

119 /  
1957/4

AP  
ՀԱՅԿԵՆԻ  
ՇՐՋԱՊԻՈՒՅՑ  
Գրականություն

# ՁԵՆՈՒՄ

8

ՆՅՅՈՆԵՄ



1957



ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუიწალი

წელიწადი 34-ე

№ 8

აგვისტო, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიარეების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა პ რ ს ი

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, გაგრძელება . . . . .	85-3
ფეიშურაჲ ჯანგულაშვილი — დაუსტანში, ლექსები . . . . .	23
გიორგი ნატროშვილი — ისმაილის ნათლობა, მოთხრობა . . . . .	24
იაკინთე ლიხაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება . . . . .	42
ნიკოლოზ ნადირაძე — შეგობარს, ლექსი . . . . .	65
გივი გუგუქორი — ლექსები . . . . .	67
კლიმენტი გოგიავა — ოქტომბრის თოფი, მოთხრობა . . . . .	69
მიხეილ შოლოხოვი — ბედი კაცისა, მოთხრობა. თარგმანი რევაზ ინანიშვილისა და გივი ზომერეიკისა . . . . .	83
მაჰმუდ თეიშურა — მოთხრობები, თარგმანი ირაბულიდან ნანა ფურცელაძისა . . . . .	105

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ ასათიანი — გიორგი ლეონიძის ლირია . . . . .	113
გურამ კანკავა — ანა კალანდაძის პოეზია . . . . .	120
შოთა შათირიშვილი — თათარი ზალხის გმირი პოეტი მუსა ჯილილი . . . . .	124
პროფ. ვუკოლ ბერიძე, პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი — „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემის გამო . . . . .	127
ალ. კალანდაძე — მოცუესმინით საბუთებს . . . . .	133

### ლიტერატურული მემკვიდრეობა

! პროფ. მოსე გოგობერიძე — რუსთაველის ესთეტიკა . . . . .	143
მ. ზავერიანი — ალექსანდრე ჭავჭავაძე მაკთა კორპუსში . . . . .	153
რევაზ ჭიჭინაძე — პეტრე შალივაშვილის ცხოვრება და ეურნალისტური საქმიანობა . . . . .	160

### ხელოვნების საკითხები

ვახტანგ ბერიძე — ლადო გუდიაშვილი . . . . .	171
ი. პეტროკოვსკაია-ცერაძე — ზიგმუნტ ვალიშევსკი . . . . .	175
შალვა აღმაშენებელი — მოგონება ვალიშევსკიზე . . . . .	178

ბ. მე-2 გვ.



წიგნების მიმოხილვა



ფ. ჯანტორაია — ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსები . . . . .	23-191
შოთა რევიშვილი — ნაშრომი ჰაინრიხ ჰაინეზე . . . . .	183
გაბრიელ მეგრელიშვილი — მონოგრაფია სოფრომ მგალობლიშვილზე . . . . .	მრეწველ № 185
დავით ჩაქვეტაძე — წიგნი ასპინძის ბრძოლაზე . . . . .	საბჭოელი წიგნების გამომცემლობა

მსოფლოვარეობის რევიუ

ვლადიმერ მაქავარიანი — ერთი პატარა რეცენზიის გამო . . . . .	191
ახალი წიგნები . . . . .	გარეკანის შესამე გე.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),  
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 379.  
უე 03226. ანაწყოების ზომა 7 3/4 x 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 x 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამოცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат Печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.



## ღავით აღმაშენებელი\*

ტიტრალოგია

„ფილოსოფია?“ ცალყუად იკითხა ევხაიტის ეპისკოპოსმა.

„არც ეგ ესაკიროება მეხამლეებსა და მეჯადაგებს“ სიტყვა ჩაურთო მაქსიმე დირბელმა.

„ჰო, მაგრამ რად დაგავიწყდა, ბერო, შენ თავათ მაჯადაგის შვილი რომა ხარ?“ წასჩურჩულა მახარამ დირბელს. მაქსიმეს შუბვივით ეძგერა ეს სიტყვები გულზე, მაგრამ დაჩუმება არჩია, ხოლო ნოტარმა განაგრძო:

„ბაღდადელ ხალიფების სასახლეში თავდაპირველად სვამდნენ ვარდისწყლისა და შაქრის ყინულისაგან შეზავებულ შერბეთს — როზატონს, არა მარტო ხალიფები, მათი ცოლებიცა.

ფარსი მეფეებისადმი მიბაძვით არაბი ხალიფები და სელჯუკიანთა სულტანები სამ დღეში ერთხელ ითვრებოდნენ.

ხალიფამ იაზიდმა მომეტებული სითამამე გამოიჩინა, იგი ყოველდღე ლოთობდა, დაწოლის წინ სასაქმებელს ღებულობდა. ამ ხალიფას ერთი მაიმუნი ჰყავდა, რომელსაც საალერსოდ შეარქვეა „აბუ კასი“, როცა იგი თავის მეინახებთან სვამდა, აბუ კასი მხარზე უჯდა, ღვინოსაც ასხამდა ხახაში. აბუ კასი ბებერი რაბინიაო, თავისი ცოდვების გამო მაიმუნად აქციაო ღმერთმა. ამტკიცებდა ხალიფა.

ერთხელ უდაბნოს ვირზე შესვა და დოღში მიადებინა მონაწილეობა მაიმუნს, ვირი წაიჭვა, აბუ კასიმ კისერი მოიტეხა. ბატონკაცური გასვენება მოუწყო ხალიფამ აბუ კასის. მოღები და

მეურები წინ მიუძლოდნენ „სამგლოვიარო პროცესიას“, ყურანის ლექსებს გალობდნენ...

სელჯუკიანთა სულტნები ბლონდით გადაატიხრინებდნენ ხოლმე სასადილო დარბაზს, ბნელ კუთხეში წამოწებოდნენ და გამსჭვირვალე ფარდიდან უკვრეტდნენ თუ როგორ ცეკვავდნენ ფარდის გადაღმა მათი ბიჭები, ან სიძვის დიაცები.

ბოლოს ეს მოცეკვავენი და სანჯის დამკვრელი შემოეხვევოდნენ თავიანთ პატრონს, ხელში აიტატებდნენ და საწოლის დარბაზში წაიყვანდნენ აგრე.

ყურანი მდაბიორებს უკრძალავდა სმას, მუსლიმანურ ქალაქებში უსასტიკესი სასჯელია ლოთობისათვის დაწესებული. ხალიფა ომარი ამოად ურჩევდა მართლმორწმუნე მუსლიმანებს მხოლოდ თავლიანი წყალი, სარმაკი და ნუშის ღვინო სვითო.

ეგვიპტელები მიზრს მიირთმევდნენ ქერისაგან მოღულებულს, არაბები მეთს, ჰინდონი მადჰულს, ხანაც ფოკას, პილპილისა, თრიაქისა და ნარდისაგან შეზავებულს.

ბაღდადის ბაზრებშიაც მინახავს ამ ფოკათი გამომთვრალი ხალხი.

გიორგი მეფე გულდასმით უსმენდა ნოტარის ნათხრობს. ებიფანე არამსმელიც კარგად ერკვეოდა ღვინის საქმეებში, ამიტომაც კმაყოფილი არ იყო ასეთი ცოდნა რომ გამოამეტავენა სტრატეგმა.

იდაყვი მოუცაცუნა კუროპალატისა მელიტას და წასჩურჩულა:

„ჩვენმა სტრატეგმა ბებერი რამ კიდევ

\* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 6, 7.

არ იცის. ერთ არაბ პოეტს ლექსიცა აქვს ასეთი:

ვარდებით მოფინე სარეცელი შენი,  
ვაზების ფოთლების დასწანი გვირგვინი,  
დათვერი აღურსით, დათვერი ღვინით,  
ნამაზსაც გვრჩიოს ღვინი.  
ნათივ ქალწულებსაც ღვინისმა მშენის,  
მთვრალს ვერას დაგაკლებს ჯინი,  
ლოთობას ვერ აღკვეთს მოღვების ზინი,  
ნამაზსაც გვრჩიოს ღვინი.“

ეპიფანე არამსმელი შეეცადა დაემტკიცებინა: მარტოოდენ მაჰმადი კრძალავდაო ღვინისსმას.

ევხაიტის ეპისკოპოზი ენერგიულად შეეკამათა:

„რასა ბრძანებ იმპერტიმ, განა მარტო მაჰმადი, ქრისტიანული სჯულის კანონიც აგრე გვასწავლის: ქეშმარიტ ქრისტიანად იგი არ ჩაითვლება ვინც ღვინოსა სვამს, კამათლებს ამღერებს და ფლეიტის დამკვრელ დიაკებს დაუწყებს ლაიცის.“

„იმპერტიმ, ამრეზილად უთხრა ეპიფანემ ევხაიტის ეპისკოპოზს, რა შენიშნა ეს იგავე მის გამო რომ იყო ნათქვამი, „განა მაცხოვარმა ჩვენმა იესომ წყალი არ აქცია ღვინოდ და ხალხს არ ასვა იგი?“

ევხაიტის ეპისკოპოზი შეცფუნდა, კრინტი ვერ დასძრა და ისევ ყვითელი კალმახის ქამას მიადგა, ხოლო მისი დიდუმებით გამხმევებულმა ეპიფანე არამსმელმა განაგრძო:

„ღვინოს მიირთმევდნენ თვით ჩვენი იმპერატორები და პატრიარქები. რა ბრძანებაა იმპერტიმ! თუ რაინდმა ღვინო არ დალია, იგი ვერც ხმალს მოიქნევს. შექარლამით გაზრდილი ვაჟკაცები ღვინს ისევე გაურბიან, როგორც ბრძოლის ველს...“

სტრატეგი ნოტარიც გააოცა თეოფილაქტეს ნათქვამმა. მან იქედნურად გაიღიმა და უთხრა ეპიფანე არამსმელს:

„ერთი შეეკითხე იმპერტიმ ევხაიტის

ეპისკოპოზს: ჩვენს თეოლოგოსს პსელოსს თუ სთვლის იგი ქრისტიანად?“

თეოფილაქტე მოეშვა კალმახის ქამას, თავი ასწია და წაიღუდუნა:

როგორ არა ვთვლიო პსელოსს ნამდვილ ქრისტიანად?

„მაშ გვედრები იმპერტიმ, ეუბნება ნოტარი ეპიფანე არამსმელს, წართქვი შენებურად მიზეილ პსელოსის „აპოლოგია რწყილისა.“

ეპიფანეს უკვე შეფაკლოდა ბახუსისაგან ნაკოცნი ლაწვეები, ამიტომაც ზეპათეთიური ტონით დაიწყო:

„...ჩვენ მართლული ღვინოც ისევე გვსიამოვნებს, როგორც ხიოსისა და ლესბოსისა. ამისათვის ვინმე დაგვძრახავს განა.“

აქ შესდგა იგი, მზერა ესროლა მომლიმარე გიორგი მეფეს, უფრო გამხმევედა და განაგრძო:

„ზოგს წარყვნილიც უყვარს ღვინო, მაგრამ ღვინის მოტრფიალეთა შორის ყველაზე უფრო დიდი მეჭაშნიკეა რწყილი. იგი გემოს ატანს მხოლოდ სურნელოვანსა და კეთილად დაყენებულ ღვინოს, თხლენარევესა და დამმარულს უკადრისობს კიდევაც.“

უკეთუ მთვრალის მაჯის ძარღვს დაეწაფა რწყილი, კეთილშობილი ღვინოსაგან აბორცვილს, ხარბად დაეწაფება სისხლსა და ღვინოს...

დარბაისელნო იცოდეთ: რწყილია უდიდესი ქაშნაგირი. ამ მხრით ატილასა ჰგავს იგი ღვინისა და სისხლის მოყვარულს...

მე ძლიერ მიყვარს ისინი ვინც დიდ გემოვნებას იჩენენ სამწღებურების შერჩევაშიაც. საგანგებოდ შეიძინენ ხოლმე ფიალებსა და ფსიქტირებს თირიკლიის მუშისაგან ნაკეთებთ, წეროსყელიან ქინკილებს, რომელთა პირიდან გადმოდენილი ღვინო ლიკლოკით ისხმება ღვინის მოყვარულთა პირში.

ჩვენს შორის განა ყველანი თანაბრად განიცდიან ამ სილამაზეს? რაიცა შეეხე-

ბა რწყილების ნათესავს, იგი კეთილშობილია და გულამაყი. რწყილი მხოლოდ თავანკარა ლეინოს ეტანება. სისხლიც ასეთი უყვარს რწყილს და ამ შემთხვევაში იგი მეფეებს როდი ჰგავს უჯიშოთა სისხლის მოყვარულთ, არამედ მემბოხე ბრბოს, რომელსაც ვერ გააძღებ კეთილშობილთა სისხლით.“

კუროპალატისსა მელიტა აღფრთოვანდა არა მარტო წართმისაგან, იგი დანატრებული იყო ბერძნული ენის ბრწყინვალეების გაელვებას ამ უცხო გარემოში, ხოლო გიორგი მეფე ისე ერთობოდა ამ გროტესქული გალიმათით<sup>1</sup> როგორც საბიას ასოთა სამღერალითა (თუმცა ჯინები და რწყილები საოცრად სძაგდა მას).

ლეინო, რომელიც ზოგჯერ მუხური ტალანტების გამოჩინებას ხელს უწყობს, ადამიანის ზადის გამოვლინებელიცაა ხანდახან. სტრატეგი ნოტარი ისე აღიტაცა მუხრანულმა წითელმა, იგი ტრახასს მოჰყვა.

ლოყებმეფაკლული უამბობდა გიორგი მეფესა და მის შეინახეებს, თუ რა სწრაფად გადასხა მან ღრომადრებით ბერძნული ჯარი ბითინიაში სწორედ იმ დღეებში, როცა თურქებმა ცხვრის ფარასავით წინ გაიგდეს გერმანელები და ფრანკები ქსერიგორდონის ციხესთან.

შეფარვულად, მაგრამ ყველასთვის გასაგებად იგიც სთქვა: ალექსი კომნენს რომ ჩემთვის დაეჯერებინა, ჯვაროსნებზე აღრე ჩვენ ავიღებდითო ანტიოქიასა და იერუსალიმს...

როგორც ფორუმზე გამოსული რომაელი მონები ურცხვად გაიშვილებდნენ მკერდს და უჩვენებდნენ მოსეირე ბრბოს ნაისარალსა და ნახმალევეებს საკუთარ მკერდზე, ისე ენაშუობდა სტრატეგი ნოტარი და სათითაოდ ანახვებდა შეინახეებს ლაწევებზე, ყვრიმალებსა და კეფაზე მიღებულ ქრილობებს.

ეპისკოპოზი მაქსიმე რომელიც ბიზანტიელების მიმართ მონური სიყვა-

რულის დაფარვას ვერ ასერხებდა, კონტაქტებაში მოიყვანა ნოტარეს კვანძამა ამიტომაც წაიდუღუნა: *ΣΥΝΕΛΠΙΟΥΜΕΝ*

საქრისტიანოს ყოველ ერს რომ ასეთი გულმამაცი რაინდი ჰყავდეს მეფედ, თურქები ვერაფერს დაგვაკლებდნენო.

ამ სიტყვების გამგონე მახარას ბრახი შემოენთო გულზე, ერთი გაითქრა: ხელუკლმა გაეასილაქებო ამ ტუტუც ბერს, მაგრამ გიორგი მეფისა და სტუმრების წინაშე რიდისგან თავი შეიკავა, ანაზღად გადაფარდა საკარცხლულიდან, შუბლი დაჰკრა აგურის იატაკს.

როცა გიორგი მეფე და სტუმრები წამოცივიდნენ, დუქმორეული მახარა შფოთავდა, უმწეოდ აფხარკალებდა ხელ-ფეხს.

ბიზანტიელი სტუმრები გახვედნენ, მათ არც კი იცოდნენ გულყრა რომ სჭირდა მახარას. გიორგი მეფე პირველი მიეჭრა თავის ნახევარძმას, მარჯვენაში ხელი წაავლო და წამოაყენა. იგი თან წაჰყვა საკაცეს და ცნობიერების მობრუნებამდის არ მოსცილებია მახარას.

ევხაიტის ეპისკოპოზმა რა გაიგო, გულყრა სჭირვებიაო საქურისს, არ დამალა თავისი ნიშანდება და სთქვა:

„ბნედა ეშმაკეულის გამოვლინება და სხვა არაფერი...“

„უეშმარიტად, უეშმარიტად“ კვერი დაუყრა მაქსიმე დირბელმა. ნიკომედიელი ილარიონიც იზიარებდა ამ აზრს. იგი უკვე დაბეჯითებით ამტკიცებდა:

ამ ბოლო ღროს მოხშირდაო ბნედის სახით ეშმაკეულის გამოვლინება არა მარტო ბიზანტიაში, ანტიოქიასა და ედესაშიაც ხდებაო ასეთი რამე.

„არაბებისაგან მაქვს განაგონი გულყრა ჯინების მიერ შეპყრობილებს ემართებათ მეტ წილად“. დასძინა ნიკომედიელი.

ეპიფანე არამსმელი ლეინის სმას მოეშვა და სთქვა:

„მე უფრო მეტი ვიცი ამ საქმის გამო. საერთოდ ჯინები მუსლიმურ ქვეყნებიდან შემოდინან საქრისტიანოში. ყუ-

<sup>1</sup> გალიმათია — ბერძნ. სისულულე.

რანში ხომ ნახსენებია ორი ანგელოზი თავუტ და მაგუტ, რომელნიც სიძვის დიაცებთან გამიჯნურებისათვის თავდაღმა დაჰყიდა ღმერთმა ბაბილონის ერთ ჯურღმულში და იქ განაგრძობენ თურმე ისინი თავიანთ ჯადოსნურ საქმიანობას.

სწორედ ეს ანგელოზები აგზავნიან მთელს მსოფლიოში ჯინებს. მე თუ მკითხავთ პორფირის კოლონას მეხი რომ დაეცა ამას წინად კონსტანტინეპოლში, ეგეც ჯინების ბრალია.<sup>1</sup>

სტრატეგი ნოტარიც დაინტერესდა ამ საქმით და მორთო როხროხი:

„ჯინების მამამთავარი ერთი შავი გველის სახით სწევვია ქაბას. ამ გველს უკან მიჰყვებოდა ჯინების მთელი ლეგიონი, მათ წინ მიუძღოდა თურმე იცი თვინ? უშველებელი ზღარბი.“

ზღარბიო?!

ერთხმად ახოჩქოლდნენ ეპისკოპოზები:

„მერმე, მერმე?“ იკითხა ამ ამბისაგან აღტაცებულმა გიორგი მეფემ.

„მერმე და არაბები შემკრთალან თურმე. ხმლები უშიშვლიათ და შებმიან ჯინებს. ურიცხვნი მოისრნენ ჯინები და სარკინიზეები ამ ომში. ბოლოს უკუიქნენ თურმე ჯინები, ახლა თეთრ გველებად იქცნენ ისინი და ეთერში აიქრნენ.“

ეს კიდევ არაფერი, ისინი ეახლნენ მამალმერთს, რათა ყური მოეკრათ თურას ეჩურჩულებოდა იგი თავის ანგელოზებს. მერმე ის იყო განრისხდა ცათამყრობელი, ანგელოზებმა ცეცხლოვანი ხმლები დაუშინეს იმ გათავზებულ ჯინებს, და ლუღის ყვავილივით ჩამოყარეს მიწაზე.

იმ წელს დიდი მიწისძვრები მომხდარა და ვარსკვლავები წყდებოდნენ ცას...“

ჯინების ამბავი რა მოათავეს, ისევ მიეძალნენ სტუმრები მუხრანულ წი-

თელს. სასადილო დარბაზში იმატა წასმურევთა ყაყანმა და სიტყვით ეგლორგი მეფემ უკვე აღარ იცოდნენ ვინ იქნა მის არაერთხელ ჰქონდა დაცდილი: ბიზანტიელები ლენოში რომ შევიდოდნენ, წონასწორობას ჰკარგავდნენ მყისვე.

ნეკრესელი, გოლგოთელი და დირბელი ამოდ ცდილობდნენ სტუმრების დამოშინებას. როცა სასადილო დარბაზში საკმაოდ უშვერი სიტყვები გაისმა, გიორგიმ მესტუმრეთუხუცესი მოიხმო და წასჩურჩულა:

მოუარეთო სტუმრებს.

ბოლოს წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაიარა ვრცელი დარბაზი.

მესტუმრეთუხუცესმა სამი მეკრე და ორი მესაწოლე მოიყვანა და კარის ზღურბლთან დააყენა.

ნოტარს ხელები საფეთქლებზე შემოეჭლო და ისეთ სიტყვებს ამოიძახებდა ხოლმე, როგორც სჩვევოდათ კონსტანტინეპოლელ მესამლეებსა და მეჯადაგებს, ლენის სარდაფებში გამომთვრალთ.

სივრცეში ამტერდებოდა თითქოს ვილაცას და ისტერიული ხმით ყვიროდა:

„ქურკუას, სადა ხარ, შე სალონიკელი ღორო, შენი...“

რაკი სალონიკელი ღორი არსად გამოჩნდა, მკლავები სუფრაზე დაჰყარა და თავი დაჰკრა მაგიდას.

მესტუმრეთუხუცესმა მოკრძალებულად ხელი წაუცაცუნა მხარზე და ბერძნულად უთხრა:

საწოლის დარბაზში წამობრძანდით, სტრატეგო ბატონო.

ნოტარი სოლდატურად ზეწამოიჭრა და გაიჯგვიმა, თანაც იყვირა:

„ჩქარა მომგვარეთ ჩემი მეჯინიბენი და მეკარვენი, ახლავე შეკაზმონ ცხენები...“

მესტუმრეთუხუცესმა ხრიკი მოიშველია: ორი მეჯინიბე მოაყვანინა და მათ უბატაკეს სტრატეგს:

შხადა გყავსო ცხენები.

მეჯინიბეთა დანახვაზე წამოვარდა ნოტარი და მხედრული ნაბიჯით თან

<sup>1</sup> რომანში ნაუღლისძემე წელს, კონსტანტინეპოლში მეხი დაეცა პორფირის კოლონას, რომელზედაც კონსტანტინე დიდის ქანდაკება იდგა. კონსტანტინე და ქანდაკებაც დაიშხვრა.

გაპყვა საწოლის დარბაზისაკენ მათ.

ეუხაიტის ეპისკოპოზი ხან სტიროდა, ხანაც ლოცულობდა, ავინებდა ეპითანე არამსმელს:

ამ თხაწვერა ხუცესმა შემაციდინა, ახლა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ამას გაიგებს და ეპისკოპოზის კათედრას აღარ მაღირსებენო არასდროს.

ეპითანე არამსმელი კბილებს ავაწკაწებდა, საკოცნელად მიიწვედა კუროპალატისა მელიტას წამოწითლებულ პუტკუნა ლოყებისაკენ, მელიტა თავადაც მთურალი იყო, ვერ გაეგო კოცნას უპირებდნენ თუ კბენას, მაინც ევედრებოდა:

დამშვიდდითო, მამაო!

ეპითანე ტანმორჩილი იყო, მეგრე აღექსამ სააღდგომო ბატკანივით წამოიკიდა და წაიყვანა იგი.

ქლიერ გასჭირდა ნიკომედიელი ეპისკოპოზის მოთრგვნა. იგი თავისი მაჯაგანიერი, ბანჯგელიანი ხელებით მოეკიდა სუფრის ძგიდეს, ლათინურად აყვირდა რატომღაც:

„ინ ვინო ვერიტას!“

სამმა ჩაკურატებულმა მესაწოლე ბერმა ქლიეს გაიყვანეს იგი დარბაზიდან ცხოველივით დაათხებულნი.

გიორგი მეფე უცნაურად ააღელვა ამ ამბავმა. იგი საკმაოდ ნასმურვეი იყო. მაგრამ ერთი წუთითაც არ დაჰპარგვია ცნობიერება. მას თავისებური შეხედულება ჰქონდა არა მარტო სამხედრო საქმეებისა, არამედ ღვინის სმის გამოც.

ვინც ომში ვაჟკაცია, იგი არც სმამი იქნება ჯაბანი. საერთოდ სმამი გაჯიბრება ხმალში გაჯიბრებას უდრიდა მის თვალში, ამიტომაც მან არც იკადრა ამ „საბრინჯე ბებრებთან“ ღვინის სმამი შებმა.

გიორგის სიყრმიდანვე უყვარდა ბერმნები. აშკერად მათი სმამი დამარცხება მან უსიამოდ განიცადა. გიორგი ბრმადმორწმუნე ქრისტიანი არასოდეს ყოფილა. მთელი თავისი ვაჟკაცობის მანძილზე ხმლით ებრძოდა იგი თურქებს, მაგრამ მათდამი სიძულვილიც უცხო იყო მისთვის.

ისპაჰანსა და ბაღდადში მალიქ-შა სულტანთან სტუმრობისას სულტანო არა ერთ კაცაეც თურქთაგანს. მას ხიზლავდა, კიდევაც ის მომწუსხველი ხასიათისმიერი სილბო, რომელიც თურქული მოღვმის ხალხებთან ურთიერთობაში საგრძნობი ზღბა ხოლმე, უფრო მეტი, მას აჯადოებდა განსაკვიფრებელი კეთილზმოვანება, არაბულისა, თურქული-სა და ირანულისა.

ისპაჰანსა და ბაღდადში არა ერთხელ დასწრებია გიორგი მეფე სულტანების დიდ დარბაზობას, თავათ უნახავს ხელოვნების სამსახურში ჩამღგარი ბრწყინვალეზა ოქროისა, ვერცხლისა და მარმარილოსი, მიუხედავად ამისა, გიორგის გულწრფელი სიყვარული ბიზანტიისაკენ იხრებოდა. . . . .

იმ დღევანდელმა პურობამ ბიზანტიელ სტუმრებთან, უგუნებობა შეჰყარა მას, არა მარტო ეგ, უმიდლობაც...

ცხადია, ამ შემთხვევაში პოლიტიკური ვითარება იყო გადაწყვეტი. გიორგი აგრე ფიქრობდა: ისლამურ ვეშაპთან ბრძოლაში სომხებსა და ბიზანტიელებს გარდა საქართველოს სამეფოს სხვა არავინა ჰყავდა მშველელი.

დავით მეფისა და მისი სპასალარების ქადილი: სელჯუქიანებს ტფილისს, სამშვილდეს და ანისს წავგლეჯათ და კავკასიიდან გავრცეათო, ბაღღურ ომობანად მიანდა გიორგის.

იგი თავდაპირველად აღტაცებული შეეგება ჯვაროსნებისა და აღექსი კომნენის გამარჯვებებს მცირე აზიასა და სირიამი, მაგრამ როცა კვლავ მოიღრუბლა საქრისტიანოს თვალსაწიერი, გიორგიმ ღვინისსმას უმატა. . . . .

სულ ოციოდე წლის მანძილზე მორიგეობით გამოეცალათ გიორგისა და სიძეების დახმარებისათვის მეოცნებე ქართველ დიდებულებს, ჯერ ნიკიფორე ბოტანიატესის, მერმე მიხეილ VII დუქას, აღექსი კომნენისა და კონსტანტინე პორფიროგენიტურის იმედი...

ახლა თავათ ბიზანტიელები დაჩიავდნენ გიორგის თვალში.

აბა რასა ჰგავდნენ ამ უჯანსიერელო სერობის შეინახენი! რა გახუნებული სკარამანგები და ომფორები ეცვათ, ან როგორ ეჭირათ თავი თავმომწონე და კეთილად აღზრდილ დიდებულებს!

გიორგის ურყევად სჯეროდა: ღვინო ბროლის სარკესავით გამოაჩენსო ადამიანის შინაგან ბუნებას. დათვრნენ თუ არა, ეს დიდებულები, მყისვე დაემზგაენენ ღვინის სარდაფებში გამოღეშებულ უპოვარებს.

ამ უსასოო ფიქრების გადაკიდვე პირალმა იწვა მეფე გიორგი თავის საწოლის დარბაზში.

ოდესღაც მის სიკბაბუეში ბიზანტია იყო მის თვალში შეუმუსერელი მითიური ლომი, რომელიც ხმალამოწვდილი უტევდა გოგსა და მაგოგს.

წარუხოცელი დარჩა გიორგის ხსოვნაში აღდგომის ის დღე, კონსტანტინე-პოლში, მარიამის გათხოვების პირველ წელს, როცა ნიკიტორე ბოტანიატეს და მარიამი შემოსეს დაფნის სასახლის ოქტაგონში.

„ზრისტოს ანესტის“<sup>1</sup> შესძახა ბოტანიატესმა სინკლიტის წევრებს, ხოლო მათ მეუღლეებს — მარიამ დედოფალმა. დაფნის პალატას რა მიიღწიეს, თავისი მოოქროვილი სკარამანგი გაიხადა ბოტანიატესმა და დაღმატიკა ჩაიცვა. შემოსილ იმპერატორის ფერხითი დაემხო პრეპოზიტი და მოახსენა:

დიდებულნი მზად არიანო.

ახლა დაღმატიკა გახადეს კეისარს და ციცაკი ჩააცვეს. ცალ ხელში ჯვარი მისცეს, მეორეში მიწითგავსილი, პატარა, ტოპრაკა აბრეშუმისა, რომელიც ივულისხმებოდა როგორც სვიმბოლო მეფეთა მიწიერი მეუფებისა.

ბოლოს იმპერატორი ბოტანიატეს და იმპერატრისა მარიამი შევედნენ იმ კარებში, რომელიც ჰყოფდა დაფნის სასახლეს ცხრაშეტი აკუევიტის სასახლისგან.

„პოლიბრონიონ“<sup>2</sup> შესძახეს კეისარსა

და მის მეუღლეს ეთერიოტებმა, ოქროქლილ სელებზე დასვეს მზრქანებულნი, რეპტორი ეახლა, ჯერ მტნულზე შემსარაკეისარს, მერმე ხელზე, ბოლოს ტუჩპირზე. ასევე მოიქცნენ დანარჩენი დიდებულები.

გახევებული იღგა ოსტიარი და უცდიდა პრეპოზიტის ნიშნებას.

პრეპოზიტმა ქლამიდაში გახვეული ხელი ანიშნა ოსტიარს და ამ უჯანსიერელმა მარჯვენათი გადასწია ფარდა.

ფარდის გადაღმიდან გამოცხადნენ სილენციარიები, ეახლნენ კეისარსა და მის მეუღლეს, მუხლი მოიდრიკეს და შესძახეს:

„ზრისტოს ანესტის“!

ამასობაში ფარდის გადაღმა კუვიკულიარებს მოუწყვიათ პატარა თალარი მირტის შტოებიდან.

როგორც კი შესწყდა ქრისტე აღსდგას გალობა, იმპერატორი და იმპერატრისა დასხდნენ ამ თალარის ქვეშ. მათ მხარმარცხნითა და მარჯვნითა ჩამწყრიდნენ კუვეუკულიარები...

ახლა იმპერატორმა ანიშნა პრეპოზიტს, იგი თალარის ქვეშ დადგა იმპერატორსა და იმპერატრისას პირისპირ და თაყვანი სცა თავიანთ მბრძანებლებს.

პრეპოზიტი გავიდა და შემოიყვანა სინკლიტის წევრები და უცხოელი ელჩები, ისინიც მიესალმენ კეისარსა და მის მეუღლეს.

ბოლოს იმპერატორმა და იმპერატრისსამ ციცაკი გაიხადეს და ლოორი ჩაიცვეს ფარდის გადაღმა.

ისევ მიეჭრა პრეპოზიტი და შეღალადა კეისარს:

„მობრძანე“!

კეისარს ეახლნენ ვესტიტორები<sup>1</sup> და საკურისები. პრეპოზიტმა შემოიტანა ოქროს გვირგვინები და თავზე დაადგა მბრძანებლებს, მიართვა აკაიები და თვალმარგალიტით მოოქვილი ოქროს ჯვრები.

<sup>1</sup> ვესტიტორები, პრეპოზიტები, ეთერიოტები, ოსტიარები, კუვიკულიარები, სილენციარები, ბიზანტიის იმპერატორის კარისკაცებს ეწოდებოდათ.

<sup>1</sup> ბერძნ. ქრისტე აღსდგა.

<sup>2</sup> ბერძნ. მრავალკამერ.



დასასრულ გამოცხადდნენ მოოქრო-  
ვილ აბჯრით მოსილნი, ხმალამოწვდილი  
ლომესტიკები, კატეპანები, სპათარიები  
და შესძახეს კეისარს, და მის მეუღლეს:

„ნიკიფოროს ან ხრისტო, ტო თეო  
პისტოს ბასილუს, კაი პეტროს ტო  
რომიონო, ბოტანიატეს, ჯემროს მს ხრისტოს  
ტო ტო თეო პისტე ბასილისა კაი იე-  
ტოკრატისა რომაიონ“...

III შავრონბანი ბაგილონის მიწისა

მახარას თმენისლონე გამოვლია. იე-  
ნისი მიიწურა, დავით მეფე აღარსად  
სჩანდა. ბიზანტიელი სტუმრები შინ  
წასვლას არ აპირებდნენ, თვით ეგზომ  
პურადი გიორგი მეფე უკვე იმეორებდა  
ქართულ ანდაზას: დილას ოქრო ხარ  
სტუმარო, სალამოს ვერცხლად იქცევი...

მათი ცნობისწადილის შეეგერებას ვე-  
ლარ აღიოდა მახარა, ხან დავით მეფის  
საჯინიბოს დათვლიერებას მიესწრაფ-  
ვოდნენ, ხან საპურკლეთა და ზარდა-  
ხანასთვის თვალის გადაკერას, ხან კაცვა-  
სიონის მთიანეთისკენ ცხენებით გასე-  
ირნებას.

მარიამ დედოფალს მობეზრდა ნოტა-  
რისაგან ზეპათეთიური ხოტბის სმენა  
ყოველ დღე. სტრატეგმა ერთ ორჯერ  
მოკრძალებულად შესთავაზა იმპერატ-  
რისას — ცხენებით გასეირნება, ბოლოს  
მარიამმა შეაკვი მოიმიზეზა, კუროპალა-  
ტისსა მელიტა და ეზოსმომღვარი ცინ-  
ცილუეი მიაჩეჩა მას და თავთ პლატო-  
ნის კითხვა განაგრძო დავითსა და  
ნიანიას დაგვიანებისაგან გულშელონე-  
ბულმა.

სპილენძად გადაქცევამდის აღარ და-  
უცადა მახარამ სტუმრებს. კვირა საღა-  
მოს მან დაბეჯითებით განუცხადა გი-  
ორგის:

ხვალ დილით მივემგზავრებიო და-  
რიალს.

გიორგი გოცდა:

„რამ გადაგრია ვეყო! ორშაბათი ეშ-  
მაკის დღეა. ჰკუთამყოფელი კაცი რო-  
გორ დაადგება ამ დღეს გზას“.

„ეჰ, ეშმაკები რას დამაკლებენ, ვა-  
დაჯეარიანი ხმალი წელზე არა მაქვს?!“

„გარდა ამისა, ხომ შესაძლოა გზაში  
ასკდეთ ერთმანეთს?“

„არაფერია, მოკლევებით გადავალ  
ქსნის ხეობაზე.“

„მე შენ გეუბნები არა ჰქნა ასეთი  
სიშლეგე, მახო, მერემეთუხუცესი მო-  
მახსენებდა წინეებზე: მეწყერებსა და  
ზვავებს დაუხორგავთო ეს გზა. მაინც და  
მაინც თუ არ დაიშლი, გიჯობს ჯორე-  
ბით იმგზავრო.“

მახარას არ უყვარდა ჯორი. სამღვდე-  
ლოთათვის განკუთვნილად სთვლიდა  
მას. ხუმრობდა კიდევაც:

ჩემსავით ჯიუტიო ეს ცხოველი.

ამ ჯერადაც გაუიქდა მახარა: მის-  
რატულს, გინგილას ოთხი სატალახო  
ცხენი და ამდენივე ჯორი შეარჩევინა.  
ერთს სანიადაგო კარავი აჰკიდეს, მეო-  
რეს სანოვავე და ღვინით სასვე ტიკები.

ღვინის სმაში ფრიად აზიზი იყო მა-  
ხარა, შემთხვევით მიწოდებულს სმას  
ერიდებოდა, საერთოდ პურის ჭამაც არ  
შეეძლო უღვინოდ.

განა მარტო ცხენით გამგზავრების ამ-  
ბავი აწუხებდა გიორგის. მან კარგად  
იცოდა: ბნელიანს არ არგებდა ხანგრძ-  
ლივი მგზავრობა სიციხიან დღეებში.  
ვევდრა: მუზარადს თან თუ წაიღებ,  
მზვარეში გაცხელდებაო ზუჩი.

მახარამ ქვა ისროლა და თავი შეუშ-  
ვირა:

რაო? დიაკვანი ხომ არა ვარ, რკინის  
პერანგი ზედ მეცვას და თავზე ჩაჩი და-  
ვიხუროვო?

მახარამ შენიშნა თუ როგორ შეწუხდა  
დადუმებული გიორგი.

ჩემი დარდი ნუ გაქვსო, ანუგეშა. სა-  
ბია იზმო, ნოშოთი შენიღბვის ოსტატი.  
გოგრის ფოთლები შემოაგრაგნეს მუზა-  
რადს გარს.

გიორგის სიცილი აუტყდა.  
„იცი ვისა ჰგაეზარ მახო?“



ვისაო?

„ბაღდადში ერთი ქანდაკება ვნახე ბაბილონის მეფისა. ზედმიწევნით მას მაგონებ, ჩემმა მშემ“.

„ეს ჩვენო პატრონო, საქმე ის კი არაა ვისა ჰგავხარ, არამედ ვინა ხარ, პი, პი. პატრონიც მოკვდომია, მიმამგვანონ ბაბილონის მეფეს“.

მახარა დარიალს მიემგზავრებო?

ეს ამბავი მთელს ქსნის ხეობას მოსდევს ხევისთავებმა და გზებზე მოხეტიალე ბერებმა.

პატივდაკლებული სამღვდელონი და ციხოვანი აზნაურები პურმარილს ახვედრებდნენ გზადაგზა.

ურცხვად ლიქნიდნენ მას დავით მეფის გუშინდელი მტერნი, თავიანთ ციხე-კოშკებში ეპატივებოდნენ მგზავრს, თანაც ჩუმიჩუმი დასციროდნენ ნოშოთი შენიღბულ რაინდს.

ერისთავთ-ერისთავმა ლარგველმა თავისი დედისმამა და კარის-მოძღვარი დაახვედრა დავით მეფის ბიძას, ლარგვისის ციხის მისაღვომებთან. სახელდახელო პურმარილი მიართმევინა, თავის ციხე-სასახლეში აწვია იგი, თანაც ბოდინში შემოუთვალა:

„შეუძლოდა ვარ, ამიტომაც ვერ ჩამოგეგებეო ციხიდან.“

მახარამ ლარგველის პურმარილი არ მიიღო, სასწრაფო საქმეები წინ მიდევს, ამიტომაც ვერ გავწვევო, შეუთვალა ერისთავს.

რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო აუტანელი ხდებოდა გზა. ზვავებსა და მეწყერებს მართლაც ჩაუღწათ ბოგირები და ხიდები, ალაგ ალაგ გზა საესებით დაზორგილი იყო ქარაფებიდან გადმოცვნილ ლოდებისაგან, ასე რომ მგზავრები იძულებულნი ხდებოდნენ ნაღვარებებისა და ხეების სადენს აპყოლოდნენ ზევით.

როცა უკანასკნელად უღელტეხილს მიაღწენ, უკვე ამ ხერხმაც ვეღარ უშველა მათ. არა მარტო ცხენები, ჯორებიც ხელით სათრევენი გახდნენ.

ბოლოს მიაღწენ საესებით დაქუ-

ულ გზას. არც ნაღვარები იყო სადნე, არც ხევის სადენი. მახარამ ცხენს შეყენა, შეხედა ზედახორად ურთმანეთზე შემდგარ ძერასფერ ლოდებს და როგორც იქნა აღვიარა:

„მართალი უთქვამსო გიორგი მეფეს“.

ახლა უკვე დაღმა დაპყნენ იმავე ქსნის ხეობას. ცნობილია: გზა უცნაურად აახლოებს ადამიანებს. მახარას ებრალებოდა გაოჩნებული ჯორების თრევით დაოსებული მისრატული და მეხმლე, ეხუმრებოდა მათ, ღვინოს აძლებდა.

უმთვარო ღამეები შეხვდათ, ხეობებში მგლების ყმული და ფოცხვერების ერთობლივი ხორზოცი მოისმოდა, მიუხედავად ამისა, მახარამ აღარ ინდომა კვლავ სწვევოდა იმავე აზნაურებსა და ეპისკოპოსებს, ვისთანაც ღამეს ათევდნენ ქსნის ხეობაზე აღმა მიმავალნი, ამიტომაც განუცხადა მეხმლესა და მისრატულს:

სადაც ღამე წამოგვეწევა, იქვე დავდგათო კარავი.

ღამლამობით კარვის კარზე მეხმლე მაიმახა ტალად დგებოდა შუბით აღქურვილი და ყურს უგდებდა დათვების ბოყინსა და მგლების ყმულს უმთვარო ღამეში...

მცხეთის გზას რა მიალწიეს, მახარამ გადასწყვიტა ერთი ღამე შიო მღვიმის მონასტერში გაეთიათ. ეს მონასტერი თავის დროზე მაგან ზედაზენის ერისთავის მემხრეთა სამალი იყო, მახარას ისიც არ გამოპარვია, რუის-ურბნისის კრების შემდეგ განპატივებულ ქვაბ-ავაზაკებს შიო-მღვიმეში რომ დარჩათ გულშემატკივარნი, მათ შორის ზუცეს-მონაზონი სერაპიონი, მონასტრის იკონომოსი, რომელიც თავის თავს ნებას აძლევდა ჩუმჩუმად ენთხია გესლი დავით მეფის წინააღმდეგ.

ბერებს მაინცდამაინც არ უყვარდათ მახარა, მიუხედავად ამისა, მოჩვენებითი ალტაცებით შეეგებნენ საპატიო სტუმარს.



ხელფები დაბანეს, თონის პური, კეცებზე შემწვარი კალმახები და წანდილი მიაართვეს.

„იციტ მამაო, ეუბნება მახარა ხუცეს-მონაზონს, სერაპიონს, — ეს წანდილი დირბელ ეპისკოპოსს შეუწახეთ, მოგეს-სენება ნამეტნაეად სათნო კაცია მაქსიმე, წანდილის გარდა სხვა საკმელს არ დააკარებს პირს.“

შენ თავშენახული კაცი ხარ, მამაო, სანთლის არაყი და ძველებული ღვინო გექნება შემორჩენილი სადმე...“

მე აგრე ნუ მიყურებ, დღეს ხვალ შესაძლოა, მეც ველიროსო ეპისკოპოსის ტახტს, ალბათ განაგონი გექნება იგავი ინდიგოში ჩაეარდნილი მელის გამო, რომელიც მეფედ აირჩიეს, მხეცებმა.“

ხუცეს-მონაზონს გაელიმა, თვით მისმა დაფანჩველმა ულვაშებმაც ვერ დამალეს ეს ღიმილი.

„აბა ერთ რამეს გეტყვი, ხუცესო, ეუბნება მახარა სერაპიონს. შენ მოლად მართალი კაცი არა ხარ...“

„რატომ ბრძანებ ამას, უფლისწულო ბატონო?“

„იცი მამაო, მეც მოზრილი ვარ წელში, მაგრამ ეს ნახმლევების ბრალია. შენ ასეთი ახოვანი ვაჟკაცი ხარ და წელში მოდრეკილი დადიხარ. ევ იცოდე მე მიყვარს არა ძალის კუდივით გადრეკილნი, არამედ შუბისტარავით გამართულნი.“

შენ იმიტომაც ხარ ასეთი, რომ მუდამ ეპისკოპოზებსა და კათალიკოზებს ლიქნიდი. მე ისიც ვიცი, მაქსიმე დირბელი ნიადგ სტუმრობს შენთან, შენ თავათ ფეხსა ბან მას და ჩემს საყვედურს ეჭილიკები...“

„ვინ მოგახსენაო ასეთი რამე?“

„ჩიტმა მომიტანა ენა.“

სერაპიონი ახლა უფრო მეტად მოიხარა წელში.

„შესაძლოა კაცი კაცს მტრობდეს. მტერი ყოველ ვაჟკაცს უნდა ჰყავდეს, ალბათ გსმენია: არ ვარგა კაცი უმტეროდ, მაგრამ არც მტერმორეული. მე ჩემს მტრებს ზოგჯერ ვუმაღლი კიდევაც, რადგან ისინი ბრძოლის ხალისს მმატებენ.“

მტერთა შორის განსაკუთრებით არ მიყვარს ქვეშევრდანი. კაცს რა გინდა უშუბივით შემართული ეძვრება მამაო მოპირდაპირეს.

„შენ გულმართალი კაცი რომ არა ხარ, ეს შეგნიშნე სულ უბრალო რამეშიაც.“

მინც რაშიო უფლისწულო ბატონო?

„როცა შენ თვალი მოჰკარი ჩემს მუხარადს, ნოშოთი შებურვილს, ჩემთან გულწრფელი რომ ყოფილიყავი ამის მიზეზს შეითხავდი და მეც ალათ გეტყოდი: გულყრა მკირს მეთქი.“

სერაპიონმა თავი ჩაჰქინდრა.

„შარშან ნაქარმაგვეის ციხეში მამცნეს: შენ აგრე გიბრძანებია თურმე: მახარა ბაგრატ მეფის ბუშია, ამიტომაც უციხოდ და უშამულოდ დარჩა. ახლა დავით მეფეს ლიქნის, რათა ამ სიბერისეამს ციხე და მამული უბოძოსო პატრონმა.“

შენ ბერი ხარ, ხომა? შენ ისეთი ჩაკურატებული ვაჟკაცი ხარ, ხვალ რომ მონაზვნური ჩოხა გაიხადო, ცოლს შეირთავ, სიძვის დიაცებს გაიჩენ და ჩემზე უკეთ მოეწყობი ამ წუთისოფელში.“

სხვა არა იყოს რა, მე იგიც ვიცი, შენ დიდანაურთა ნაშიერი ხარ მამისეულ ციხე-კოშკს დაეპატრონები, არა?

მე საჭურისი ვარ, რაღათ მინდა მეფეთა წყალობა, ციხე ან მამული? განა მთელი საქართველო ჩემი მამული არაა?

მეფეთა მლიქვნელობა მე არც ერთ ამინდში აღარ დამკირდებდა. საქართველოს ასზე მეტი მეფე ჰყოლია მოაქვამამდის. ზოგი მათგანი ლოთი იყო, ზოგი მშინშარა, ზოგი ღორმუცელა, ზოგიც ბიზანტიელებისა და ირანელების მლიქვნელი.

ბაგრატ რეგვენიც მეფედ იხსენიება, არა? მე მათთვის არამც თუ სიცოცხლეს, ნიერის ნაფცქვენსაც არ გავიმეტებდი.

გიორგი მეფე ჩემი ძმაა და სისხლისმიერი, მაგრამ მისდამი დიდი სიყვარულის მიუხედავად, მე მას პირში მივახლი ხოლმე ლამაზ-ლამაზებს.

ეპ, რა გელაპარაკო, ჩემო სერაპიონ, მე დავებრდი და მხოლოდ ახლა გავიგე:

ბოროტი კაცისთვის სიკეთის მიგება, შლეგებისათვის თათბირის მიწოდება და გონება ჩლუნგთათვის განკუთვნილი ქადაგება, ეს ყოველივე როდინში წყლის ნაყვია და სხვა არაფერი.

თუ შენ ჩემი შეგონებანი ჭკუაში დაგიჯდეს, ყველას უამბე: აგრე იტყოდა თქო ბაბილონის მეფე“.

სერაპიონი გახევდა: მან ვერც კი გაიგო, თუ რად უწოდა მახარამ თავის თავს „ბაბილონის მეფე“.

გაგონებულის შემხედვარეს სიცილი აუტყდა მახარას. ბოლოს ეს უთხრა მონასტრის იკონომს.

„აბა დატრიალდი, ბერო, ჩვენ გვეჩქარება, პურმარილი გამალე ახლავე.“

„ვაცხონე მამაშენი,“ გულში ფიქრობდა მოშიებული გინგილა, ეშმაკურად აპარპალებდა თავის ქროლა თვალებს.

ბერები გაოცდნენ, როცა დავით მეფის ბიძამ დაბეჭეილ ძველმანებში გაბვეული მდაბიორები გვერდით მოისვა სუფრაზე, უფრო მეტად გაკვირდნენ, რა დაინახეს ამჯერად მახარა თავათ უსხამდა თავის მისრატულსა და მეხმლეს სანთლის არაყს.

მახარა თავზე წამოადგა მისრატულს, რომელიც თავისი ყვითელი ღოჯებით ნადრივით ღრღნიდა თოხლის ბარკალს.

მახარამ მხოლოდ ახლა შენიშნა გინგილას უცნაური სენი რომ სჭირდა უძლომელობისა, რომელსაც არაბები ყათიჯილბიას უწოდებენ. იმავე დილას მან ნახევარი თოხლი შესკამა, ახლაც სერაპიონისაგან მორთმეული ბატკანიც თითქმის მან მოათავა მარტოკა.

„კიდევ ხომ არ დაგისხა არაყი, გინგილა შე ძველო... ოღონდ ეგაა მეშინია ჭკუამ არ გიღალატოს, ბედშავო.“

„ფიქრი არაა უფლისწულო, ბატონო, მე რაც უფრო მეტსა ვსვამ, უფრო მემატება ჭკუა.“

„არა, გინგილა ჩემო, მაინც და მაინც ნუ მიეძალები ჭკუის შემატებას. ჭკვიანი და ბედნიერი მე ცოტა მინახავს, პირიქით, უჭკუონი და უნამუსონი უკეთ ეწყობიან ამ წუთისოფელში.“

ეს ორი რამ ხელს უშლის კაცთაგანს ყოველს, ჰი, ჰი.“

„თუ აგრე დამისხეე უფლისწულო ბატონო, მე მინდა უკეთ მოვეწყო, ეგებ ამ სიბერეში მაინც ველირსო დიაკვნის გინგილას.“

მიუგო წამოჰარხულმა მისრატულმა და კიდევ მიუშვირა ცალიერი ყანწი მახარას.

მაიმახა ჩუმჩუმად იღიმებოდა ულოსავით დაგრეხილ უღვაშებს ქვეშ, მორიდებულად სკამდა, არც თუ არყის სმას ეძალებოდა.

„რა დაღვრემილი სკამ, დალიე მაიმახ, შენ როგორც გატყობ, ხმლის მოქნევის გარდა სხვა არაფერი გისწავლია ამ ქვეყნად!“

„რა ვქნა, უფლისწულო ბატონო, მამა ჩემი მკედელი იყო, ხმლის გამოკვერვა და მოქნევა ღა მასწავლა, სულ ანგრე მიჩიჩინებდა მამაი: სმას ერიდე — როცა ხმალი წელზე გერთყას, ცხენზე შეჯდე, ან გზას რა დაადგებოი.“

„ცოცხალი თუ არის მამაშენი მაიმახ?“

„მომიკლეს მამაი.“

„სად მოჰკლეს მაიმახ?“

„ზორნაბუჯის ციხის აღებისას თან ახლდა დავით მეფეს, მეფის ცხენს რომ სკედდა ისე მიუსწრეს, ორს თავი გაუტეხა რვალის უროთი, ბოლოს საიდღამო თოხლივით აკეპეს ხმლით.“

„აბა გინგილა ახლა მაიმახას მამის შესანდობარი დალიე. კეთილად მოაწყოს იგი უფალმა გრძელ ქვეყანაში.“

მახარამ კიდევ ერთი ყანწი შეუვსო მისრატულსა და მეხმლეს, დალევა მიძალა და ეუბნება:

„ახლა ერთ რამესაც გეტყვით, ვოყებო, მე ვიცი ამ წუთში თუ რას ფიქრობთ თქვენ...“

საიდანო? გაკვირვებულად იყითხა განგილამ.

„როგორ თუ საიდან? მე გულთმისანი რომ ვარ, იმიტომაც ამირჩიეს ბაბილონის მეფედ. როცა შე სერაპიონ ბერს შეგონებანი მოვასმენინე, გინგილა, შენ და ეგონებ მაიმახაც, არ იღიმებო-“

დით, მაგრამ გულში ფიქრობდით: ან გიცია ეს მახარა, ან თავს იგიეთინებსო.

იციო, ვოცებო, ამ ჩვენს ქვეყანაში ბევრი უნამუსო კაცი დადის, ეგ კიდევ ცოტაა, პურსა სკამს, ქართველი ხალხის მონაგარს, ამას ყველა ხედავს, მაგრამ სდუმს, ზოგი აგრე ფიქრობს:

მე ვიყვე კარგად და ეს ქვეყანა ჰირსაც წაუღიო, ზოგს ეშინია მტრები არ გაეიჩინოვო, სხვა ერიდება სიმართლის თქმასა, სხვანი და სხვანი აგრე ამბობენ: მხოლოდ გიყვება და ბაღებს სჩვევიათო სიმართლის ანაზღად წამოტორტვლა.

ამისდა მიუხედავად ვამბობ: ამ საქართველოში ვინმემ უნდა მოიგიეთინოს თავი, რომ ზოგიერთ ჩვენს თავქეიფა ერისთავებსა და ლორმუცელა ეპისკოპოზებს წელიწადში ერთხელ მაინც პირში მივიხალათ სიმართლე“.

ბერებმა კარგად იცოდნენ გამწე სმა რომ უყვარდა მახარას, ამიტომაც გაოცდნენ, როცა იგი სავსებით ფხიზელი წამოდგა და მადლი მიაგო მასპინძლებს.

სერაპიონ ბერს სძაგდა მახარა, დავით მეფის „ბოროტ დაიმონს“ უწოდებდა მას, იამა წასვლას რომ დაადგა ეს უსიამო სტუმარი. მაინც გულის გარეთ ევედრა: ხვალ დილაშდის დაყოვნდით, როცა საქურისმა თავისი არ დაიშალა, ახლა ღვინისა და პურმარილის საგზლად თან გატანება შესთავაზა. არც ეგ ინდომა მახარამ და ქაბუტური სიკისკასით მოაჯდა თავის სატალახო ცხენს.

ნასამხრალზე შეუდგნენ უღელტეხილებს, უკაცრიელ ფიჭვნარებს გადაღმა უკვე გამოჩნდნენ ცარცისფერ ღრუბლების თავანს მიბჯენილი მყინვარები...

მელიები და კურდღლები გადარბოდნენ გზებზე, კაკბები საამურად კრიახობდნენ სერებზე...

თეთრი ეკლესიები და ციხეები გაივლებდნენ ქარაფებზე გამომდგარნი.

ივლიდნენ, ივლიდნენ, მერმე ისევ დავარდებოდა უკაცრიელი ტყეების დუმილი, ეს ციხეები და ტაძრები ახლა უფსკრულებში დაკიდულნი გამოჩნდებოდნენ.

მახარას სატალახო ცხენი სავსებით დაოსდა, მან ორჯერ შეიყვარებინა, ჯორებს მაინც ველარ ეწოდებოდა მხატვან დაქვეითდნენ მისრატული და მესმლე, მაიმახა აღვირით მოათრევედა მახარას ცხენს, ხოლო გინგილა ტაჯგანალით ამხნევებდა ქუშუმდგარ ცხოველს.

ცხენებმა და ჯორებმა უმატეს ფრუტუნსა და ზვიზინს, რადგან მათ უკვე ესმოდათ დამფრთხალი ნადირის შლიგინი კატაბარდებში, ხევებში გაისმოდა გულისმომწყყელელი ყმული.

მახარას ვარაუდი არ გამართლდა, ბარე სამი დღის სავალი გზა კიდევ წინ ედოთ. თან წამოდებული სანოვაგე ნელნელა შემოადნა გაუმადლარ გინგილას ხელში.

ამას ყოველივეს ხიფათიც წამატა: ერთ ხევეში დაფეხვილი ბოგირი დაუხვდათ, ცხენები უყოყმანოდ გადავიდნენ მასზე, მაგრამ ღვინის ტიკებით დატვირთული ჯორი ზედ შესდგა და გაოჩნდა, ტაჯგანალები დაუშინეს გინგილამ და მაიმახამ მას, გახლებული ცხოველი ხევეში გადავარდა, ტიკები დასქდნენ. გინგილამ ჯერ თავზე დაიშინა ხელო, მერმე მიადგა და პეშეებით ხვრიბა ღვინო.

ეს ამბავი ხუცეს მონაზონს სერაპიონს დააბრალა მახარამ, დაგვენასაო მაგ წვერწითელა ბერმა, მახარას ცხენებს უკვე სავსებით გამოელია ჰირთათმენის უნარი. უკვე აღარც ცემა ამხნევებდა მათ, ასე რომ გულამაყი იბერიელი სპარაზენი იძულებული გახდა ჯორზე გადამჯდარიყო.

მოხშირდა ცხვრის ფარები, ისინი მღვრიე ტალღასავით მოსდევდნენ საურმე გზებს. მახარა კარგად ამჩნევდა, თუ როგორ ღელავდა მისრატული გინგილა ცხვრების დასუქებული დუმების შემყურე. გინგილამ ოთხი დღის მანძილზე გადასანსლა ნაჭარმაგვეიდან წამოდებული მთელი სამგზავრო მარაგი სურსათისა, შამში, აპოხტი და ხევისურული წესით დამზადებული ყალი. გინგილა უკვე აღარ მალავდა უღვინობისაგან და შიმშილისაგან მოგვრილ სიმძიმელს. წა-

მოტორტლა კიდევაც ხუმრობით: ორი-ოდე თოხლს რომ იყიდოდე, უფლისწულო, ბატონო, ხელად გავაჩაღებდით ცეცხლს.

მახარას გაელღმა.

„დიდ დროს წაგვართმევსო ეგ საქმე“.

ბოლოს ასეთი აღთქმით ანუგეშა სასოწარკვეთილი მისრატული: თუ ძლიერ მისჭირდა საქმე, ბაკურის ციხეში გავათოთოთო ეს ღამე.

„დაითმინე, დაითმინე ჩემო გინგილავ, ხომ გაგიგონია მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“ — სთქვა მახარამ.

„ერთი ეგ მიბრძანე, უფლისწულო ბატონო, ცხონებულეები სამოთხეში რასა სკამენ ნეტაე?“

„რას ამბობ ვეეო, სამოთხეში ჰამა?“

„არა, მაინც, რას აკეთებენ ნეტაე, უფლისწულო ბატონო, სამოთხის მკვიდრნი?“

„რასა და სხედან და გალობენ“.

„აბა მე პირდაპირ უნდა ვალეიარო, უფლისწულო ბატონო, სამოთხეში უქმად ჯდომას, ჯოჯოხეთში ჰამა მირჩევნია“.

ჯერ კიდევ მღეთამდის არ იყვნენ მისულნი, მხარმარცხნით, ნაძენართან მთაზე, ვეფხისფერ ქარაფებს შორის გამოჩნდა ორი ციხე და ერთი ეკლესია და თეთრი სამრეკლო.

მახარამ ჯორი შეაყენა, მცირე ხანს უჭკრეტდა მათ, ბოლოს ეს უთხრა მისრატულსა და მეხმლეს:

„აბა, ეგ არის ბაკურისა და ვარაზის ციხეები. მოდი ბაკურ ერისთავს ვეწვიოთ, ბიჭებო, ღამე გავათოთო, კარგ სატალახო ცხენებს მოგვეცემს... საკურისი მცირე ხანს სდუმდა და ბოლოს დასძინა:

„ეგაა ნამეტნავად პურადი კაცია ბაკური, ღვინის სმით დაგვაოსებს, მე მეშინია ამასობაში დავით მეფეს გზაში არ ავცდეთ“.

მაიმახამ კეფაზე მოიფხანა.

„რა მოგახსენო უფლისწულო ბატონო, როგორც მიბრძანებ ისე მოვიქცევი“.

ახლა გინგილას გაუმართა მახარამ მზერა.

გინგილა დიაკვნის ოლარისაშვილი ქართულად. ეს იყო ზედმეტი სახელი მნათეყოფილის ღარისბაისძისა, რომელიც მთელი თავისი სიკოცხლის მანძილზე დიაკვნის ოლარისათვის ოცნებობდა, მაგრამ იმდენი ილოთა, მნათეობაზედაც აალებინეს ხელი. ამიტომაც გინგილა შეარქვეს ხუმრობით.

ბაკურ ერისთავის პურადობის ამბავი გინგილასაც ჰქონდა ყურმოკვრით განავანი, ამიტომაც სიხარულის ქრეოლა მოჰკვარა მას მახარას ნათქვამმა. აგრე ივარაუდა: თუ ღმერთმა ინება და მართლაც შევეხვიეთ ბაკურის ციხეში, ერთ სამ დღეს მაინც ჩავლბებოთ ღვინოში.

ეს ყოველივე არ გაუმხილა საჭურისს, ოღონდ ეგ იყო, საწყალობელი წუწუნო მორთო:

„ნება შენია, უფლისწულო ბატონო, შენ რომ მიბრძანო, აი იმ ქარაფიდან გადავიჩეხები, მაგრამ თავათ ხელდავ, შენის სვებედნიერი თვალებითა, ცხენები სავსებით დავარდენენ, და არც ჯორები გვყავს უკეთეს დღეში“.

ერთი კი გაიფიქრა მახარამ: გზას განავარკობო, მაგრამ კიდევ ერთხელ შეხედა ქარაფებს შორის აღმართულ ციხესასახლეებს და ახლა უკვე წამოედგა მას თავისი ძველი თანამოლაშქრის, ბაკურ ერისთავის ნახვის წადილი.

„რაც არის ეგ არის, ოღონდ ახლავე გაერთხილებო, მაინც და მაინც ნუ მიეძალებით ღვინოს, ჩვენ მხოლოდ ერთი ღამე უნდა გავათოთო მანდ.“

ბაკურ ერისთავი უსინათლოა, მაგრამ ამ სიბერეშიაც ისეთივე მოღუნა იცის, როგორც ხმლის მოქნევა სჩვეოდა სიკაბუქეში“.

მოღუნის გავონებაზე ცნობის წადილმა წასძლია გინგილას.

„იმ მთებში ღვინოს რა უნდა, უფლისწულო ბატონო?“

„ყურძენი კახეთიდან მოაქვთ. ციხის ეზოში ათორმეტი ისეთი ჰქვევრი აქვს ბაკურს, ყოველ მათგანში ჯორიანად თამამად ჩახვალ შიგ.“

ახლა ეგ უნდა გავგო გინგილას:  
რამ დააბრმავო ბაკურ ერისთავი?  
მახარამ სთქვა:

„ბაკურ ერისთავი, მისი ვაჟი და ძმის-  
წული ვარაზი დიდი თურქობის დროს  
ებრძოდნენ მალიქ-შას ლაშქარს. ბაკუ-  
რი ფარცხისის ციხისთავად ჰყავდა ერთ  
ხანს გიორგი მეფეს. ბაკურის ვაჟი და  
ვარაზი სამშვილდესთან თავს დაესხნენ  
ლაშქრის ამირას.

როცა მალიქ-შამ გარემოიკცა ფარც-  
ხისი, შეუთვალა ბაკურ ერისთავს: ცი-  
ხის კლიტენი ჩამაბარე, თორემ ციხეს  
ავიღებ და თვალბს დაგთხრიო.

სამ თვეს გაუძლო გარემოცვას ბა-  
კურმა, მერმე ის იყო, თვალეზი დასთხა-  
რეს ციხისთავს.

იმევე დღეს სამშვილდესთან მოჰკლეს  
ბაკურის ერთადერთი ვაჟი, ტყვედ ჩა-  
ვარდა მძიმედ დაჭრილი ვარაზი და

უამბოდ დაიკარგა. ბაკურის გამოხყიდ-  
ვა სამი ათასი ოქროს დიპტეგქედუჯღა  
გიორგი მეფეს.

ბიზლიჩოთხა

სწორედ იმ წელს, როცა გიორგი ეწ-  
ვია მალიქ-შას ბაღდადში, ვარაზი გამო-  
ახრტკინა გიორგიმ ჯოჯიკის და თან ჩა-  
მოიყვანა იგი სავესებით ნირშეცვლილი,  
ორივე ლავიწი ჩუგლუგის ცემისაგან  
ჰქონდა მას ჩალეწილი.

ბაღდადიდან არაბული ქითაბები ჩა-  
მოიტანა ვარაზმა, კარჩაკეტულ ცხოვრე-  
ბას დაადგა, დღედაღამ იჯდა მამისეულ  
ციხეში, კითხულობდა და სდუმდა.

ალბათ განაგონი ვექნებათ, იმ წელს,  
როცა დავით მეფე ტახტზე ავიდა, უამ-  
რავი ციხეები და ეკლესიები დაიღწე-  
ნენ მიწისქვრისაგან. თმოგვის ნანგრე-  
ვებს ქვეშ დაიღუპა ძე ნინია ორბელი-  
ანისა კახაბერი, იმ წელსვე დაიჭა ეა-  
რავის ციხეცა“.

#### IV საიღუმლო ვარაზის ციხისა

„უწყის ყოველი,  
ჟამი და წელი,  
შეყინვა ნივთთა  
ციო მომრგვლებულთა“.

„ამ ამბავმა საოცრად შეაკრთო ომებ-  
ში უშიშო ვარაზი. წარამარა მიწისქვრა  
ელანდებოდა“.

ესა სთქვა მახარამ და თელიანში ატყ-  
და დათვების უსაშველო ბორგვა და  
ბოყინი. საჭურისმა ჯორი შეაჩერა და  
ყური მიუგდო ტყეში ამტყდარ გნისას.  
როცა დემილი კვლავ ჩამოვარდა, გა-  
ნაგრძო:

„თუმცა ოცდაათიოდე წლისაც არ  
იყო ვარაზი, მაინც დააბირა შემონაზუნე-  
ბა, ბოლოს კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ  
ამცნო კიდევაც ეს განზრახვა ბიძამისს.

რას მიჰქარავო? აყვირდა ბაკური. მე  
ორივე თვალი ამომწვეს, ერთადერთი  
ვაჟი მომიკლეს, მაინც არა ეკარგავ ამ  
ქვეყნად იმედს. თურქებმა ჩვენი გვარი  
გაყუეეს, ზომ ხედავ, დღეს ხვალ ჩემი  
ორივე ქალი შემონაზუნებას აპირებენ.

ახლა შენც უძეოდ რომ გადაეგო, რას  
ემგვანებო ეგე?“

კავკასიონის მთებიდან ქუხილი მოის-  
მა, მახარამ თხრობა შესწყვიტა და ცას  
ახედა. მზეს გადაფოფრებოდნენ შავ-  
ლეგო ღრუბლები. ღორღიანი, დაცერე-  
ბული გზა სულ მაღლა და მაღლა მიი-  
წევდა.

ისევე აჩქამდა უკაცრიელი ტყე, უცნა-  
ური ღვაფუნი გაისმა, ეს არ ჰგავდა  
ცხენთა ფლოქვეების თქარუნს.

გზაზე გადაიჯირითა ირმების ჯოგმა.  
მათმა ბელადმა თავისი ძალოვანი რქე-  
ბით შელუწა კატაბარდები, შემდგომ  
ამისა დიდხანს ისმოდა თელიანიდან ლი-  
წინლიწინი, სტვენა და დგაფუნი.

მახარამ სთქვა:

„...ბოლოს შეისმინა ვარაზმა ბაკუ-  
რისა და მისი მეუღლის, სიდონიას აჯა,  
ოღონდ ეს განაცხადა: ცოლს იმ პირო-

ბით შევირთავ, თუ მიწისძვრისაგან უმესერელი ციხის აგებას შევძლებო.

დიდ ხუთშაბათს, მიმწუხრისას ბაკურის ციხეს ეწვია ერთი ჯოროსანი, თმახუქუქა რაინდი, რომელსაც შეეპარქაშაინი, გველისპირული ხმალი ეკიდა ირანულად წელზე და ვარაზი იკითხა.

სტუმარმა ვარაზთან განმარტობა ისურვა და განუცხადა მას:

არტანუჯელი ხუროთმოძღვარი ვარა, არტანუჯში შენი მამისეული ციხის დანგრევის ამბავი ჩამოიტანეს მეროპიკე ბერებმა. თუ გნებავთ, მე ავიგებო მიწისძვრისაგან შეუმესერელ ციხეს.

მთელი ღამე ეჩურჩულებოდა თურმე სტუმარი საწოლის დარბაზში ვარაზს.

დღემდის არავინ იცის რა დასთქვეს და რა მოითათბირეს.

სამ წელსაც არ გაუვლია, დანაპირები შეასრულა კლარჯეთელმა ხუროთმოძღვარმა, ვარაზის მამისეულ ციხის ნანგრევებზე ააგო მიწისძვრისაგან შეუმესერელი ციხე-სასახლე“.

ამასობაში კიდევ ერთი დაცერებული აღმართი აიარეს მგზავრებმა, ახლა უფრო გარკვევით გამოჩნდა ორი ციხე საპირისპირო ქარაფებზე მდგარი. მახარამ აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა მათრახი.

„აი ეგ, მზარმარცხნით, თეთრი სამრეკლოს გვერდით ვარაზისეული ციხეა, მის გასწვრივ, ოთხგოდოლიანი ბაკურ ერისთავისა...“

სამრეკლოს ზეთავზე იდგა შავჩოხიანი მნათე და რეკდა... ზარების წკრიალა, ჩხრიალა ხმები დადუმებულ ხეობაში იფანტებოდნენ, ქარაფებიდან არწივები დგებოდნენ და ძალოვანი ფრთების რხევით მიაპობდნენ ეთერს.

ახლა მარყუტივით დაგრაგნილ გზას დაადგნენ, ორივე ციხე მიჩქმალეს ასწლოვანმა ნაძვებმა.

„მერმე ის იყო, განაგრძო მახარამ, იმ კლარჯეთელმა ხუროთმოძღვარმა მოხატა და მოქიქა ციხე-სასახლის დარბაზონი, ერთ პალატაში, სადაც თავით სცხოვრობდა სამ წელს, საკუთარი ხატება გამოისახა კედელზე.“

ციხე-სასახლის მოხატვა და მოქიქვა მოათავა სწორედ ატლესმისაგან მოქირა ძიხლ-ნიონთხა ძალში.

ეპე, იმ სამრეკლოზე აღიოდა თურმე გარიერაზე ცისკრის დასარგევად მნათე შიოლა და დაინახა ზარების ქვეშ იდგა უქუდოდ, თმახუქუქა კლარჯეთელი ხუროთმოძღვარი.

მნათეს ფეხისხმა და კიბეების კრაკუნო რა შემოესმა, ფრთები შეისხა და აფრინდა ცაში.“

„რასა ბრძანებუ“ წამოიძახა გინგილამ.

„მე აგრე მაქვს ეს ამბავი განაგონი და ჩემზე უკეთ უფალს ეცოდინება“. დასძინა მახარამ.

„ვარაზმა ყური არ ათხოვა მნათე შიოლას ნათხრობს. მიწისძვრისაგან შეუმესერელი ციხის აგებით გულმოცემულმა ლარგვისის ერისთავის დისწული შეიერთო ცოლად და სამი ვაჟი აყოლა. მაგრამ ნუ იტყვი, უბედურებამ არ დაიგვიანა...“

ერთ ღამეს ვილაც ხმალამოწვდილი რაინდი შეუვარდა მძინარე ვარაზს საწოლის დარბაზში. ვარაზი ზეწამოიჭრა და ორთაბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ჯერაც უწვერული ვაჟები წამოეშველნენ მამას.

გათენებამდის ისმოდა ხმლების წკრიალი და საშინელი ყიჟინა კარებდაგმანულ დარბაზიდან.....

მეორე დღეს ხელშინაურთა შელეწეს კარები და იპოვნეს მკერდგანგმირული მამა — ხმლით აკეპილ ვაჟებს შორის. მწოლარე.

ბაკურმა იქვით შეიპყრო ვარაზ ერისთავის სახლთუხუცესი და სამი მესაწოლე ბერი, ბორკილები შეასხა მათ, ბევრი აწამეს, ხატზედაც დააფიცეს ისინი.

ღამის დარაჯებმა ერთბაშად დაადასტურეს: იმ ღამეს ციხის კონკრებიდან არავინ შესულა სასახლეში, ასე რომ დამნაშავეს ვერ მიაკვლიეს.

მხოლოდ ეს იყო: ერთ-ერთი სარკმელი ღია დაუხვდაო პირისუფლებს.

ვარაზის ცოლი საყოლში გაბრუნდა, ლარგვისის ციხეში, იმ დღიდან კარგამოკეტილია ვარაზისეული სასახლე.





მხოლოდ მოხუცი მნათე შიოლა ცხოვრობს მანდ“. დასძინა მახარამ.

გრძელვანჯიანი, ფეხშიშველა ბიჭები ჯღავილითა და ყივიანით უკან მისდევდნენ ბაკურის ციხისკენ გალალურ ზროხასა და ფარებს. მგელ-ძაღვლები ყეფდნენ და ღრინავდნენ...

ციხეების მახლობლად, ბეჭობებზე გადმომდგარი ვირების ომაზიანი ყროყინი ხშიანდებოდა მთელს ხეობაში.

ჯიქანდაბერილი ძროხები ბღავილით გარბოდნენ საცალფეხო გზებზე.

ხევს გადაღმა ცხენების რემა მიჰყავდათ ტანშიშველ ბიჭებს, ახლად ნაბანავები ცხენები ლაქწასმულივით ვარვარებდნენ მზერაში. მარყუქივით მოდრეკილი გზა ირგვლივ უვლიდა პირამიდასებარ მთას, მხარმარცხნიდან რა მოექცეოდნენ მთას, უკვე გარკვევით ხედავდნენ ვარაზისა და ბაკურის ციხეთა ეზოებსა და შემოგარენს.

კიდევ ერთი ცერალმართული ზეგანი მოათავეს და შემოესმათ ბაკურის ციხის ეზოში მოქოთქოთე ხელშინაურთა გნისი, დასაკლავად განმზადილ ღორების ქყვიტინი, ცხერების ბღავილი და თავქვე დაკიდულ თბების საცოდავი პეტელი.

მახარამ სთქვა:

„რაღაც დიდი მზადებაა ბაკურის ციხეში. შესაძლოა დავით მეფეს მოელოდეს ერისთავთ-ერისთავი.“

უკაცრიელ მთებში სვლით დაოსებულ გინგილას უკვე ნერწყვი მოსდიოდა ხეებზე თავქვე დაკიდებულ საკლავის მჭვრეტელს.

ვარაზისა და ბაკურის ციხეთა ფარს<sup>1</sup> რა მიეზღნენ ჯოროსნები, სამი მეციხოვნე გამოვიდა მცირე მღვიმიდან და ვინაობა ჰკითხეს ახლადმოსულთ.

დავით მეფის ბიძა მობრძანდაო, რა შეიცვენეს, ერთი მათგანი ცხენს მოახტა, ქენებით აიარა დედა-ციხისაკენ მიმავალი გზა.

ციხიდან მახარას ჩამოეგებნენ ბაკურ

ერისთავის მესტუმრეთუხუცესი და სამი თავშიშველა მესტუმრე<sup>2</sup>

მესტუმრეთუხუცესმა ქედამითხება და, მახარას ჯორს აღვირში ხელი წაავლო, ხოლო მესტუმრენი სირბილით წინ მიუძღოდნენ საპატიო სტუმარს. დედაციხის კარიბჭესთან დაქვეითდა მახარა, სახლთუხუცესი და მესტუმრენი ეზოში შეუძღვნენ მას.

ახოვანი, თეთრფაფარიანი მოხუცი იჯდა ათასწლოვან ცაცხვის ქვეშ ლოდისაგან გამოკვეთილ საკარცხლულზე, უზარმაზარი სუფრა ფიქალისა წინ ედგა.

როცა სტუმრის მოახლოება შეიცნო, ზეწამოიჭრა უსინათლო მოხუცი და თავისი გრძელი მკლავები მხრისთავეებზე მოჰხვია საჭურისს.

დიღბანს ჰკოცნიდნენ ცრემლმორეული თანამოლაშქრენი ერთმანეთს.

„მე არ მეგონა, კიდევ ერთხელ თუ ველირსებოდი შენი ხმის მოსმენას მახო, გუშინ წინ გამოვაგზავნიხე წვევის წიგნები ნაჭარმაგვეის სასახლეში. დღეის სწორს ქორწილი გვექნება მახო“. ბუხუნებდა წვერდაფანჩული მოხუცი. როცა ურთიერთისადმი მისალმება და მოკითხვა მოათავეს, ბაკურმა სთქვა:

„მე ანანურიდან მამცნეს ხევი წაბრძანება დავით მეფისა. ჩემი შვილიშვილი ვალანგი, მესტუმრეთუხუცესი და კარისმომღვარი დავახვედრე. აგრე შემომითვალა პატრონმა: ამ ქამად ძლიერ მეჩქარება, აქეთაობას აუცილებლად გამოგივლიო“.

მახარას ზის კიბეთა კრაქუნთი შემოესმა, ნაბიჯების ჩქამი რა შეიცნო, ანაზღად აყვირა ბაკური:

„ვალანგ, ვალანგ, იცი ვინ მობრძანდა?“

ძახილზე მოვარდა მწითური, თვალმშვენიერი კაბუჯი, ხორბლისფერი კულულები შუბლზე ჩამოღვროდა. მახარამ აღერსიანი მზერა ესროლა ლურჯთვალეზას, რომელსაც უცხო სტუმრის შემოხედვისაგან ქალწულივით შეუფაქლდა ლოყები.

„ეგ არის მახო ჩემი ერთადერთი იმე-

<sup>1</sup> ფარი — ციხისა, მცირე სიმაგრე, ფორტი, რომელიც დედაციხეს იცავდა ზოლზე.

2. „მნათობა“ № 8.

20



დი ამ წუთისოფლად, ჩემი შვილიშვილი ვალანგი“. სთქვა უსინათლომ და ხელები მოუფათურა ახლადმოსულს.

„გაიქე შვილიყო, დიდდაშენი აქ მომგვარე ახლავე.“

როცა ვალანგის ნაბიჯების ჩქამი მიწყდა, ბაკურმა განაგრძო:

„შენ გულმეცნიერი კაცი ბრძანდებო, მახო, და უსიტყვოდაც გაიგებ რა ბედნიერი ვარ დღეს. ჩემი ძმისწულის, ვარაზის ოჯახი, როგორც იცი ამოსწყდა.“

სამშობლოს შევსწირე სამი რამ, რაც უძვირფასესია ყოველი ადამიანისათვის, ჩემი ერთადერთი ვაჟი და ორივე თვალი.

ეს ჩემი ვალანგი და დამრჩა ჩემი სიბერის ნუგეშად და იგი უნდა დავაქორწინო დღეის სწორს.

ვალანგია ამოწყვეტის ზღურბლამდის მისული ჩვენი გვარის ერთადერთი მარტველი.

ვაჟ, რომ ბნელსა ვზი და თვალით ვეღარა ვკვრეტ მას.

მომიტევოს უფალმა ეგ ჩივილი, მაინც ბედნიერი ვარ, ვენაცვალე მის მადლს.

როცა ჩემი ვალანგის ხმასა და მისი ნაბიჯების ჩქამს შევისმენ, აგრე მეოცნებება: ხორცშესხმული უკვდავება მუცხის მეთქი.

დიდდაჩემი ცნობილი მეზღაპრე იყო და მისგან მაქვს განაგონი: ბედნიერებას ერთადერთი ზადი აქვსო აგეთი: ბედნიერებას ვერასოდეს იხილაყო საკეთარის თვალითა, თუ მზერა წაატანე, თვალსა და ხელს შორის გაგიქრებაო იგი.

ჩემი გამწარებული სიბერე დაამშვენა ჩემმა ვალანგმა. ბალობიდან გვერდით მეწვა, მის ძილსა და ღვიძილს ვდარაჯობდი ნიადაგ, მისი საამო ფშვინვა მახარებდა მუდამ.

როგორ მოგწონს ჩემი ვალანგი, პარას იტყვი მახო?“

„რა სათქმელია, ლომის ბოკვერია ნამდვილი“.

საპატიო სტუმარს ეახლნენ ბაკურ ერისთავის მეუღლე სიდონია, მესტუმრეთუხუცესი და კარისმომღვარი მამაი მაკარი.

ბაკურმა მესტუმრეთუხუცესს უბრძანა სახელდახელო სუფრა, გაეშალათ ცაცხვის ქვეშ. დანარჩენს მესტუმრებმა სადილო დარბაზში შეიყვანეთ და იქ მოუარეთო მათ.

უფლისწული დაქანცულია და ჩვენ ორნი მყუდროდ მოვილხენთ ცაცხვის ქვეშ. ჩემს მიერ დაყენებული ღვინოები უნდა გაეასინჯოთო მახარას.

უკვე შესალამოვდა, ამიტომაც ფოქვის კვარები მოიტანეს, სუფრის თავსა და ბოლოში დაანთეს. ვარსკვლავები ოქროს ჭორფლივით შეასხდნენ ცას.

მესტუმრეთუხუცესმა და ჭაშნაგირმა მოართვეს დავით მეფის ბიძას ნაირნაირი დაძველებული ღვინოები, რაქში მოხარშული ძუძუთა ხბო, კეცებზე შემწვარი კალმახი და ვერცხლის სინებზე დანოქილი, მთლიანად შემწვარი ჯიხვები, რომელთაც რქები ზედ ჭქონდათ განგებისად შერჩენილი.

მახარას იამა მათი დანახვა. მას უკვე აღარა ჭქონდა თავისი მოლხობილი კბილების იმედი, ასე რომ ამ შემწვარმა ჯიხვებმა მხოლოდ მოგონებანი წარმოქმნეს სიკბაბუკის ეამისა მის წარმოდგენაში, როცა მახარა თავათ ნადირობდა მათზე და უკვრეტდა თუ როგორ იჩოქებდნენ ისინი ჭარაფების პირად და თვითმკვლელებივით სცვივოდნენ უფსკრულში.

მოშიებული იყო მახარა და მადლიანდ შეექცა ხბოს ხორცს.

ბაკურმა სთქვა:

„წრეულსაც საუკეთესო ღვინოები დავაყენე, მახო. საგანგებოდ შერჩეულა ყურძენი გამომიგზავნა კახეთიდან ჩემმა დედისძმამ. მოგხსენება ღვინოს ბევრი რეკენიც სვამს ამ ქვეყნად, მაგრამ ყოველ კაცს როდი ესმის მისი ყადრი. განა მარტო ყურძენშია საქმე?“

ღვინის დაყენებასაც ერთგვარი დახელოვნება ესაჭიროება. რაც მთავარია, გემოვნება, გემოვნება, რომელიც არც ისწავლება და არც სადმე იყიდება, არა?“

ქეშმარიტადო, მიუფო სტუმარმა.

„მე შენსავეთ მსოფლიო მოვლილი კაცი ვერა ვარ მახო, მაგრამ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მეც ბევრ რამეს დავაკვირდი ამ ქვეყნად, ეს ღვინო, ეს პურმარილი, ეს ყოველივე წერილმანია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს წერილმანებისაგანაა შეკოწიწებული ჩვენი წარმავალი ცხოვრება. ის ბაგირები, რომლითაც გაცოფებულ სპილოებს აბამენ წერილი თოქებისგანაა დაგრეხილი...“

ამიტომაც მე უდიდესი გულისყურით ვეძიებდი ყოველ წერილმანს, თუმცა მოგეხსენება რა უბადრუტია ჩვენი მოკვდავი თვალი მზეებზე ბრწყინვალე უფლის თვალის პირისპირ.

აბა, გაიხედე მხარმარცხნივ. მრგვალ ფიქალებს დააკვირდი, ესაა ჩემი ცისქვეშა მარანი, ესენი ქვევრისთავეებია.

ერთი მთლად განაპირა ამ თვრამეტი წლის წინათ გავავსებინე სწორედ ჩემი ვალანგის დაბადების დღეს.

მე თავთ კახეთში ვარ აღზრდილი, იქ, როგორც მოგეხსენება, ასეთი წესია: ოჯახის ყოველი წევრის დაბადებისას ცალკე ქვევრს გაავსებენ ზოლმე და მას მოხლიან მხოლოდ სახელდებულის ქორწილის დღეს.

ის ქვევრიც ვალანგის ქორწინების დღეს უნდა მოეახდევინო.

იმ წელს გავსილი წრეულს მოვახდევინე ბარე სამი, ღვინის უნახავს გაგზადის იცოდე“.

ბაკურმა ქაშნაგირი და მესტუმრენი დაითხოვა, მემამულეებს ახალი კვარები დაანთებინა სუფრის თავსა და ბოლოში... ისხდნენ ომებგადახდილი თანამებრძოლი ცაცხვის ქვეშ და იგონებდნენ სისხლის წვიმების ბნელ დროებს.

მთვარე ამოვიდა მთებს გადაღმიდან, მარმარის ფერი კრაველებით შეიმოსა ვარსკვლავებით მოოქვილი ცა.

ნებანება წრუთავდნენ მოხუცები ღვინოს ჩეროში შეყუყულები, ფოცხვერების ღნავილი და ჩანჩქერების საამო ჩხრიალი მოისმოდა ყბაჩაშავებულ ხეობებიდან.

ვარაზისეული ციხის ეზოდან მოსჩანდა ირმების საჩიხე, წარაქვეყნებულ მათი ფრუტუნი და ფლოქეტების სტრუქტურა.

„ეს ირმები ვარაზისეულია?“ იკითხა მახარამ.

ვარაზისეულიაო, მიუგო ნაღვლიანად ბაკურმა.

ოცნე მეტი ნუქროსანი ირემი მყავსო, დასძინა.

როცა დავით მეფის სადღეგრძელო დალღეს, ბაკურ ერისთავმა სთქვა:

„საქართველოს ბედი ჰქონია, ლიპარიტ ამირამ, აღსართან კახთა მეფემ და ზოგიერთმა თავქეფიერისთავეებმა და უძლომელა ეპისკოპოსებმა იგივე რომ ვერ მოუწყვეს ჩვენს პატრონს, რაც გაგიკ სომეხთა მბრძანებელს კათალიკოსმა პეტრემ და მისმა შემხრე ეპისკოპოზებმა.“

რამდენადაც ეიცო, გაგიკს არ უნდოდა სწვევოდა იმპერატორს კონსტანტინე მონომახს, ბოლოს ამ პირებმა იმდენი უჩიჩინეს, გააბრიყვეს თურმე მეფე შენ უკეთ მოგეხსენება მონომახმა და ატყვევია გაგიკ და სომხეთი მიიტაცა ანისიანად“.

„აბა როგორ გგონია, სთქვა მახარამ, ლიპარიტს, რატის და აღსართანსაც ასეთი რამ ეწადათ. ლიპარიტის უბანში ქორწილის გამართვას უქადდნენ, ამ ეითომდაც ქორწილში უნდა შეეპყრათ დავით მეფე. მათ სხვა ერისთავებიც უქედდნენ ჩუმჩუმად მხარს. მე იმიტომაც ჯერაც უმზრახად ვარ თქვენ ნათესავთან, ლავისის ერისთავთან.“

ლიპარიტ ამირას ნაქარმაგვეის დილეგში დაკითხვისას წამოცდა: ორი ათასი მძიმედმუჭურვილ მხედარს მპირდებოდაო ლარგველი.

ახლა ლარგველი უკვე მიხრწინილებშია გადამღვარი, ამიტომაც დავით მეფემ არ ისურვა მისი განპატივება, ორიოდვე წელიც ვეცადოთ, და თავთ სიკვდილი მიუზღავსო მას სამაგიეროს“.

„რასა ბრძანებ! — წამოიძახა ბაკურ ერისთავმა და შებლზე იტყევა ხელი. ეს რომ დროზე მცოდნოდა, მაგ ბებერ ძაღლს არც მოვიწყვედი ქორწილში“.

ციხის ეზოდან მოსჩანდა ერისთავთა საგვარეულო საძულე, ერთნეფიანი მცირე ბაზილიკა და აურაცხელი საფლავების ლოდები. გარინდებულნი იდგნენ მთვარის შუქისაგან განათებული ქვის ანგელოზები, ეს ფრთოსანი ფიგურები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქოს თავჩაქინდრულნი ცოცხალნი თავზე წამოდგომიანო მიცვალებულებს.

მახარამ დიდხანს უძიოდა ამ სანახაობას და სთქვა:

„იცი ბაკურ, მე მგონია გიორგი მეფემ კარგად ჰქმნა გეგუთის სასახლის ეზოში უკვე აღარ ამარხვინებს ახალ მიცვალებულებს. აგრე ამბობს: სადაც სუიცხლუ ჯერაც სჩქეტს, იქ სიკვდილის ორანიც არ უნდა იყოსო“.

„ეჰ, ჩემო მახო, ვინ გაპყრის ჩრდილსა და სინათლეს, სიკვდილსა და სიციცხლეს ვინ დაამორებს ერთმანეთს? ჩვენს წინაპრებს კარგად უქნიათ ეს: ციხე-სასახლის შემოგარენში რომ გაუმართავთ საძულე.“

მე აგრე მგონია, ყველა იქ დამარხული ჩემი სულის მოზიარება მეთქი. მარტო ვეკაცო ასზე მეტია მანდ, ზოგი მძიმე პრილობებს გადაყოლილი, ზოგიც ბრძოლის ველებიდან აკრეფილი. ერთი გადაიხედე ქვევით, ნახე, თუ როგორ უნაეარდნია სიკვდილს...

მაგ წყეულმა სელჯუქიანებმა ამოგეწყვიტეს, მახო, ბედმა არც ეს გვაქმარა, არა წმინდამ დაივიანა ვარაზისეულ ციხეში... ხვალისთვის ეპისკოპოზები ვაწვიე ვარაზისეული ციხე-სასახლე უნდა ვაქურთხვინო. სხვა არა იყოს რა დავით მეფეს მოველი ტაძრეულითურთ, ასზე მეტ სტუმარს კახეთ-პერეთიდან.“

ესა სთქვა ბაკურმა და მგელძაღვლები აყეფდნენ ციხის ეზოში, საჯინიბოებე, დან ცხენების ჰიზინი მოისმა. მერმე ატყდა ფლოქების კაყიან ნიადაგზე თქა-

რუნი, რკინის ჰიშკართა საკეტების/რა-ხუნი და რაზრანი...  
ერეკენული

მესტუმრეთუხუცესმა მზლ: მამობინა: ლარგვისის ერისთავი და ოთხი ეპისკოპოზი ჩამობრძანდენო თავთავიანთი ასაბიებითა.

ბაკურმა ხმადაბლა უბრძანა მესტუმრეთუხუცესს:

სიდონიას მიჰვეარე, სტუმრები ავახშმონ და მოასვენონო. მესაწოლე ბერმა მოაკითხა მასპინძელს და სტუმარს.

დასვენებას ხომ არ ინებებთო? მახარამ სთქვა:

„იცი, ბაკურ ჩემო, ამდენი სტუმრები გეწვია, ეგეც არ იყოს, მე არ მინდა ლარგვისის ერისთავთან ერთ ჰერ ქვეშ ვიყე. ამიტომაც სჯობს ვარაზისეულ სასახლეში გავათო დამე, ჩემს მისრატულსა და მეხმულესაც იქ გაუშალონ ლოგინო“.

ბაკური შეშფოთდა:

„რასა ბრძანებ მახო, ეს შვიდი წელია ვარაზისეულ სასახლეში მნათე შიოლიას გარდა მეზორციელს არ გაუთევია დამე, ლარგველს შენ თვალითაც ვერა ნახავ, ჩემს საძილო დარბაზში მოგასევენებ ამაღამ. ხვალ ვარაზისეულ სასახლეს გამოულოცავთ, ეპისკოპოზები შეგრძენბული სახლის ლოცვებს წარმოსთქვამენ და მერე ნება შენია, თუ გნებავს იქ დაისვენე და დავით მეფის მობრძანებამდის მანდ იყავი“.

მახარა ნებას დაჰყვა, მაგრამ წამოდგომას ჯერ არ აპირებდა.

ღვინო მოატანინე სავსე ფიალით შევეგებოთო განთიადს.

როცა კვლავ შეუდგნენ სმას, მახარას მოეწაინა უფრო წვრილად გამოეკითხა ბაკურისათვის კლარჯეთელი ხუროთმოძღვრის ეგზომ უცნაური გაუჩინარების ამბავი, ბაკურმა თავი ჩაჰქინდა:

„იცი, მახო, ჯერაც გათენებამდის შორსაა, მოდი მოვერიდოთ ბნელ ამბავთა თხრობას“...

ესა სთქვა უსინათლომ და მესტუმრეთუხუცესი ახმობინა მესაწოლე ბერს.

მორე დღეს უთენია მოვიდა ციხეში ქარიშან სეტყელის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლი და ამცნო ბაკურ ერისთავს:

ერთი მზგედისი შემდეგ ჩამობრძანდება დავით მეფე და ქორწილს დაესწრებაო.

ახალი და ახალი სტუმრები აწყდებოდნენ ბაკურის ციხეს. დასადავებელი ცხენები ვეღარ ეტეოდნენ ორივე ციხის საჯინბოებსა და შემოგარენში. ყურთა სმენა არ იყო მათი ერთობლივი ჭიჭინისა და ხეჭინისაგან.

ნაშუადღევს მოვიდნენ ბოდბელი მთავარეპისკოპოზი ფადლა, ხუთი ეპისკოპოზის თანხლებით, პანკისის ერისთავი თავთავიანთი ასაბიებითურთ.

ნასამზრალზე შეიმოსა ეპისკოპოზები და ბაკურის კარისმოძღვარი, მაკარი, ზორეულებითა და ხატეპით აღჭურვილი წარუძღვა მათ.

გალობითა და ღიღინით გაემართნენ ისინი ვარაზ ერისთავისეულ ციხესასახლისაკენ. მათ უკან მიყვებოდნენ ბაკურ ერისთავი სახლელითურთ, ერისთავები, ხევისთავები, ხევისბერები, ბაკურის სასახლის ხელშინაურნი გლეხები, ფეხშიშველა მონები და მათხოვრები.

მთავარი კარის ბქესთან, დაჩოქილი დაუხვდა მათ მნათე შიოლა, ერთადერთი ბინადარი ვარაზ ერისთავის სასახლისა.

ფადლა, ბოდბელი მთავარ ეპისკოპოზი მიაღვა საღარბაზო შესავლის კარებს, რომელნიც ოთხი კუბოს მიჯახუნებით გააღეს ვარაზისა და მისი ვაჟების გასვენების დღეს. და სამჯერ ჯვრით დააკაკუნა ზედ.

კარი შეაღეს თუ არა, პროცესია შევიდა ციხე-სასახლეში და ეპისკოპოზები გალობდნენ და აკმედნენ ალოეს...

კავკასიონის მთიანეთიდან ჩამოსული სტუმრები გაოცებულნი ეშვსკვერტადნენ დიდის ხელოვნებით მონატრულსა და მოქიქულ დარბაზებს. მთელი ავეჯი, ჯამ-პურქელი ხელუხლებლად იყო დატოვებული ამ ოჯახის ამოწყვეტის დღიდან.

თვით მახარაც, რომელსაც მრავალი უბრწყინვალესი ციხე-სასახლენი ჰქონდა ნახული, როგორც ბიზანტიასა, ისე მუსლიმურ ქვეყნებში, გაოცებული ათვალეობდა იგავმიუწვდენელის ხელოვნებით შესრულებულ ფრესკებს, ბროლით მოქიქულ ჭერებს...

ესქატოლოგიურ სურათებში ყურადღებას იპყრობდა შეიდი ამოკალიძსური მხედარი, ნესტოებგაბუსტული, ყალხზე-შემდგარი ცხენები ისეთის ხელოვნებით იყენენ გამოსახულნი, სადაცაა შექმნიანო ჭიჭინს.

იქვე იყო სასწაულთმოქმედი იესო, რომელმაც ქარაფებიდან გადაცვენილ ღორის კოლტში „შთაასხა“ ეშმაკეული, პატმოსის ქალაკი და ცხენი მწვანე, ანგელოზი უფსკრულისა აბადონ, რომელსაც ფარი და ხმალი ეკირა ხელში.

მახარამ თვალი ვერ მოაშორა ბაბილონის ეჯრბმულში თავქვე დაკიდულ ორ ანგელოზს თავუტსა და მაგუტს, რომელნიც ჯადოსნურად ასავსავებდნენ გრძელსა და ლამაზ თითებს და გრძნეულებას განაცხადებდნენ.

ქვესკნელისაკენ გაშვერილი თითების გარშემო რიალებდნენ ფრთაფარტატა სულეზი, პეპლებზე უმცირესნი, ბროწეულის ყვავილის, ვასაკას და სინგურის ფერებისაგან ჰქმნიდნენ ისინი ფერთა საოცნებო კალეიდოსკოპს, ხალისიანი, ვასვასა ფერებით შესრულებულს.

მოპირდაპირე კედელზე იდგნენ მოოქროვილ თორში ჩაქედილი, შავწვერა ერისთავები, ვარაზ ერისთავის წინაპრნი, განიერ მაჯებამდის ბალნით მოსილი, ძარღვიანი ხელები ვადაჯვარიან ხმლებზე ჰქონდათ წაელებულნი ზოგთა, ზოგნიც ხმალშემართულნი იდგნენ, სხვანი ქარაფების პირად მოგოგმანე

ტაიქებზე იხსდნენ, მათ მწყრივებს ასრულებდა თეთრ მერანზე აღმხედრებულ დრაკონის მმუსერელი წ. გიორგი.

სწორედ მათ პირისპირ ერთადერთი ფრესკა იყო: არტანუჯელი ხუროთმოძღვრისა. თმახუტუქა, შავგვრემან ვაჟკაცს ღამესავეთ შავი წვერი მოსავდა, კვერცხის ყვითელისფერი ღაწვისთავეები ჰქონდა, გველისპირული ხმალი წელზე ერთყა ირანულის წესით.

ამ დარბაზში შესვლის უმაღ დიდი და მცირე მიაჩერდა ამ ფრესკას.

ბოლოს დაწინაურდა და კრებულის წინაშე წარსდგა ბოდბელი მთავარეპისკოპოზი ფადლა და თავისი ომახიანი ხმით წარსთქვა ლოცვა სახლისა შეგრძნებულისა.

„უფალო ღმერთო ცხოვრების ჩვენი-საო, ძეო ლეთისაო, ცხოველისაო, რომელი მჯდომარე ხარ ხერუფიმთა და სერაფიმთა ზედა.

რომელი უმაღლეს ხარ და უზესთავს ყოველთა ხელმწიფებთა, უფლებათა და ძალთა.

რომელმან არქუ მზესა და არა აღმოჩხდის, ხოლო ვარსკვლავთა ზედა დაბეჭდვა.

რომელმან შერისხენ ზღვასა და დაყუდნა. რომლისა გულის-წყრომა დაადნობს მთათა, და შენ მიერ კლდენი შეიმუსრნენ და ბქენი რვალისანი და მოქლონნი რკინისანი შეიფქვენენ.

და ძლიერი შეჰკარ, და ნატყვენავი მისი განუყავ. რომელმან მძლავრი იგი ჯვართა შენითა და ავეთე და ვეშაპი სამკედურითა მით განკაცებისა შენისათა მოინადირე, და საკრველითა მით წყუღიადისათა ტარტაროზსა მას შინა შეკარ.

შენ აწცა უფალო, სიმტიციეო მოსავეთა შენთაო, და ზღუდეო ძლიერო მორწმუნეთა შენთაო, განაშორე, განიოტე და წარსდევნე ყოველი საქმე საეშაპიო, ყოველი ზედა-აღდგომიი სატანასი.

ყოველივე შემოსელა ბელიარისი, ყოველივე ძვირისზრახვა და ზაკვაა წინა — აღდგომთა ძალთა სართულისა

ამისაგან, და რომელნი ამას შინა მკვიდრ არიან და სასწაულითა სვეტულთა მის და ეშაპთა მიმართ ძლბერისა მკვიდრისა შენისათა შემუსრე.

ჰე, უფალო, რომელმან ლეგეონი ეშაპთა განიოტე. ყრუ და უტყუვი ეშაპი, და არაწმინდა სული განსდევნე, რათა არღარა მოიქცეს.

და ყოველნი საცთურნი უხილავთა მტერთა ჩვენთანი განაქარვენ. და მორწმუნეთა და მეცნიერთა შენთა მიეც უფლება, ვითარცა მიეც მოწაფეთა შენთა დათრგუნვად გველთა და ღირიანკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა.

შენ უფალო ყოველისავე ვნებისა და უმაღლეს გამაჩინენ სახლისა ამის მკვიდრნი, დაიცვენ და იხსნენ იგინი შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელნი ფრენენ დღისით, ღვაწლისაგან, რომელნი ვლან ბნელსა შინა, შემთხვევისაგან ეშაპისა შუა-დღისა.

რამეთუ შენ მხოლოსა არს მეუფება, ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“.

„ამინ“ დაიბუხუნეს ეპისკოპოზებმა და ვარსმოჯარულმა სტუმრებმა და ხელშინაურებმა.

ახალგაზრდა ერისთავმა ვალანგმა და მახარამ ორივე მკლავში ხელი წააღლეს ბაკურ ერისთავს, უსინათლომ მუხლი მოიყარა ბოდბელი მთავარ ეპისკოპოზს წინაშე, ხელზე ემთხვია და მოხუცის დავსილ თვალებიდან იწვიმეს თავისი ძმისწულისა და მისი ამოწყვეტილი ოჯახის სიბრალულით აღძრულმა ცრემლებმა...

„განვედინ სატანა“ დაიბუხუნა ბოდბელმა მთავარ ეპისკოპოზმა ფადლამ, „განვედინ ბელიარ“, განვედინ სატანა“ დაიგრაილა ხალხმა და ამ ომახიანი, ერთობლივი შეძახილის ეხო გახმინდა ვარაზ ერისთავის ნაოხარ დარბაზებსა და პალატებში. კარის-ზღურბლთან დაჩოქილი, შავჩოხიანი მნათე შიოლა ტიროდა. უჩუმრად ლულულულებდა: „განვედინ სატანა.“ . . . . .

## თეიმურაზ ჯანაშვილი



### დაღესტანში

#### 1. სტუმრად რასულ გამზატოვთან

რქაწითლის ფერით დაციმციმებს შუქი ხალასი,  
ვიგრძენი გული ასე თბილი, ასე ნაცნობი.  
რასულ! შენთან ვარ, შენს კოპწია მახაჩყალაში,  
შენს ეზოკარში, შენს სახლში ვარ შენი ნაძმობი.  
თუმც შევაწუხე ფატიმატი, — მთელ დღეს ტრიალებს, —  
ჩემი და არი, არ დამრჩება ვიცი მუნათად...  
და ვადღეგრძელებთ სავსე ფიალით  
იმ მეგობრობას, ჩვენს სიყვარულს გზა რომ უნათა.  
საძმო სიმღერებს ბანს აძლევენ მაღალი მთანი,  
უბე ქათქათა სხივებით რომ ამოჰყორვიათ;  
შენს ეზოკარში ქართულ ვაზებს უყრიათ ტანი,  
წინანდლის მიწის წვენი აქაც გამოჰყოლიათ.  
მზე მთაში შედგა ქარვისფერი ზარების რეკვით,  
ცას სამტრო ღრუბლის სამოსელი როდი აცვია,  
მაგრამ, ჰაი, რომ ლეკი ხარ, ლეკი, —  
საქართველოდან ვაზი მაინც მოგიტაცნია.

#### 2. ცადასა

ქალაქის გულში ქუჩაა, მზის სანიაღვრე არხია,  
იქვე ლამაზი ბაღია,  
... ბაღში ცადასა მარხია.  
რასულმა თავი დახარა, შეტოკდა გული კარღია.  
ხალხს — მთქმელი დიდი სიმღერის  
მას — მამა დაუყარვია.  
რას ჰქვია დაუყარვია? — ყოველდღე ხედება მშობელი,  
დაღესტნის მთების ბულბული, სიმღერა დაუშრობელი.  
დღეს მეც დამლოცა ცადასამ, მეც, მისი შვილის ძმობილი.  
და... სიხარულთან ვიგრძენი ტკივილი შეუცნობელი;  
ასე მეგონა, ვიდრე ქი დაყარვულ მამის საფლავთან  
და წუთიერი ტკივილი, არ იქნა, აღარ გათავდა.  
შორს სადღაც ლეკის ასული გულს სიმღერებით სთაფლავდა,  
ცა დიდ თონეში აცხობდა გავსილი მთვარის ქადასა —  
და მაღლდებოდა ზღაპრულად ეს ცა, ცადა და ცადასა.



## ისმაილის ნათღობა

პროლოგი

კოლმეურნეობის კანტორის ყვეთლად გადარტყულ ვეება ეზოში სიწყნარე იყო. გავარვარებული ჰაერი ტალღატალღა იძროდა და ამ მირაჟში თრთოდნენ შორეული ალაზნის ველიც, ლურჯად დაბინდული ტყეებიც, და, ბოლოს, თეთრი მთებიც, ცისა და მიწის საზღვარზე.

კანტორის მეორე სართულზე, ღია ფანჯრებიდან დროდადრო ადამიანების ხმა და საანგარიშოს ჩხარუნი ისმოდა. შენობის გვერდით, ტოტებგაბარჯლული კაკლის ჩრდილში, ახლადმოტანილ თივაზე ბერიკაცი იწვა და გულიანად ეძინა.

მძინარე ბერიკაცის ახლოს, პალოზე, შეკაზმული ცხენი ება. ლაგამწამოყრილი იყო და მოსართავეებიც მოშვებული ჰქონდა. სურნელოვან თივას ზედაც აღარ დასცქეროდა და სიცხისაგან შეწუნებული, ზევით და ქვევით ისე დინჯად, გამოზომილად იქნევდა თავს, თითქოს მძინარე მოხუცს გულითად სალაშს მიუძღვნისო.

ეზოში ჩამოვარდნილი სიჩუმე უეცრად მოტორის ხმაურმა დაარღვია. ყველის გულებით დაძინძილი სამტონიანი მანქანა ეზოში შემოვიდა და მძინარეს ბუბუნ-ზრიალით გვერდით რომ ჩაუარა, ის მხოლოდ ოდნავ შეიშმუშნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ცხენმა კი თავის ქნევა შეწყვიტა, ყურები დაკქვიტა და საწყობისაკენ წასულ მანქანას თვალი გააყოლა.

ის იყო კიდევ ეზოში ალექსიმ შემოალაჯა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ფეხდაფეხ მოჰყვა მანქანას. ისიც

საწყობისაკენ გაეშურა, მძინარესთან შეჩერდა, თითქოს დაეზარა დახრილიყო და გასალევიძებლად ჩექმის წვერი ფეხზე გაკვრა, თანაც ხმამაღლა ჩასძახა:

— ადექ, კაცო, გაბრო, ადე-მეთქი!

ბერიკაცმა ისევ გვერდი იცვალა.

— ადე, ბედოვლათო! — ახლა უფრო ხმამაღლა ჩასძახა ალექსიმ კანტორის მოხუც დარაჯს, დიხარა, მკლავში ხელი სტაცა და წამოსწია. ბერიკაცი წამოჯდა თივაზე და უაზროდ დაუწყო ცქერა, მერე-ღა ჩაჰკითხა:

— ალექსი, შენა ხარ? რა გინდა ბიჭო?

— ადექი, ვერა ზედავ, რა ამბავია!

მცხუნვარე მზისა და ძილისაგან გავრგნებული გაბრო ნელ-ნელა მოდიოდა აზრზე, მან თვალები მოიფშენიჭა და მანქანას გაჰხედა; მიხვდა რატომ აღვიძებდა თავმჯდომარე.

— რომლისაა? ისმაილასი? — ჯერ შოფრის ვინაობა იკითხა ბერიკაცმა.

— ჰო, იმისია... ადე, ბიჭებს დაუძახე, მანქანა გადმოვცალოთ! — უცებ გაახსენდა, რომ გადმომტვრითველი არავინა ჰყავდა, ხალხი დიდიან-პატარიანად მინდორში იყო გაკრეფილი და დარაჯს მიუბრუნდა:

— კანტორის ხალხი გამოიყვა — მერე ცხენი შეათვალეერა, — ამის პატრონიც იქ არის, რაიონიდან რომ კაცი ჩამოვიდა, იმასაც სთხოვე, ხელი წაგვახმარე-თქო... მღვევივით ბიჭია... მერე საბავშვო ბაღშიც გაღადი. გოგოებს შეეხვეწე, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ შრომის ბალანსი დაძაბული გვაქვს და... ერთი სიტყვით, გვიშველეთ-თქო!





— კაცო, ერთი ისპაილას შემახედე... ბიჭი რამდენი ხანია არ მინახავს.

— მოასწრებ... ჯერ საქმეზე წადი! — შეიკმულხნა წარბები ალექსიმ, — ისპაილა არსად არ გაიქცევა... გადმოვცალოთ მანქანა და მერე იმდენი უქპირე, სანამ მოგეწყინებოდეს.

გაბრო ზღაზენით წამოდგა, კანტორისაკენ გასწია. მაგრამ კიბეზე ასვლა დაეშარა და ქვემოდან დაიწყო ძახილი:

— მღვდლოო, ჰაი, მღვდლოო!

ფანჯარაში ახოვანმა კაცმა გადმოიხედა, შუახანს კარგად გადაცილებული იყო. მხედრულ ყაიდაზე შეკერილი, ახლად დაუთოვებული თეთრი კიტელი ეცვა, პირი სუფთად გაპარსული ჰქონდა და დაეღაბა ლოყებზე ოფლის ცვარები აჩნდა. მან ხელი მოიჩრდილა და გაბროს გამოეპასუხა:

— რა გაყვირებს, კაცო?

— რაო და მღვდლო, შენი მრველი წამოასხი, მანქანა უნდა გადმოვცალოთ.

ბერიკაცს ჩვეულებად ექცა ამ შიკრიკობის დროს თავმჯდომარის სიტყვები ზუსტად გაემიჯნებინა ხოლმე.. ამიტომ თავისდაშეუქმნეველად სულ ალექსის სიტყვებით ლაპარაკობდა. ამ წუთშიც დანაბარები გაახსენდა და დაუმატა:

— იმ მომავრებულსაც უთხარი, ჩამოვიდეს... ხელი წაგვახმაროსო...

ამ სიტყვაზე ფანჯარაში მეორე სახეც გამოჩნდა. გაბრომ იცნო — ეს სწორედ ის სტუმარი იყო, რომელზედაც ამ წუთში ლაპარაკობდა. ბერიკაცი შეცბა და თითქოს თავის გასამართლებლად ისევ თავმჯდომარის ფრაზებით დაიწყო:

— ხომ იცი, შრომის ბალანსი ისე დამაბული გვაქვს, რომ გაწყვეტაზე... — გაბრომ არ იცოდა, რას ნიშნავდა „შრომის ბალანსი“, მაგრამ რაკილა დამაბულია, შეიძლება დამპალი თოკით გაწყდეს კიდევაცო, იფიქრა და მერე დაუმატა: მუშახელი გვაკლია, ჰოდა, კანტორის ხალხმაც უნდა გავანძროთ ხელი.

მეტი აღარაფერი ჰქონდა სათქმელი,

შებრუნდა და კიშკრისაკენ გასწია, რათა საბავშვო ბაღიდანაც წამოეყვანა ვინმე.

სულ მალე კანტორის კიბეზე კიტელში გამოწყობილი ახოვანი კაცი გამოჩნდა. დინჯად ჩამოდიოდა, გვერდით მართლაც მოქიდავესავით ჩაფსკენილი ჯეილი ბიჭი მოსდევდა, ის ყურადღებით უსმენდა თეთრკიტელიანს, რომელიც რაიონიდან ჩამოსულ სტუმარს შესჩიოდა:

— გაგონილა, კაცო, ასეთი ამბავი... მომდგარა და ყვირის — მღვდლოო... ბიჭოს! ოთხი წელიწადი ვიყავ მღვდლად და იმის მერე, აბა, ოცდაათი წელიწადია, ბუღალტერი ვარ! დაბე, მაინც მღვდელს მეძახის. ეგ ბენტერა, ეგა!

ეზოში სიცილ-კისკისით შემოვიარდა ორი ქალიშვილი და ისინიც საწყობისაკენ გაიქცნენ, მათს დანახვაზე სტუმარმა წარბი უფრო შეიკრა, მალე გაბროც გამოჩნდა.

— გამოადგით ფეხი, — შორიდან გამოსძახა თავმჯდომარემ ყველას. ისპაილა მას უკვე აწვდიდა ყველთ სავესე გულებს და ალექსიც მათ ალაგებდა ზის ფიცარნაგზე, რომელიც საწყობის ახლოს ტრიბუნასავით მიეშენებინათ, რომ გადმოტვირთვა და შეზიდვა გაადვილებოდათ.

თეთრკიტელიანმა მხარი შეაშველა ყველით სავესე გუდას და თავმჯდომარეს უთხრა:

— ალექსი, ეგ ბებერი დაარჩე... ამ პასუხისმგებელ ამხანაგთან მარცხენს და თავსა მქრის.

თავმჯდომარეს უღვაშებში ჩაეღიმა, შიკრიკს მიუტრიალდა და ყასილად გაუწყრა კიდევ:

— კაცო, შენ შენსას მაინც არ იშლი? ჩვენი ეფრემა რათ გაგვინაწყინე? გაბრო ადვილად მიხვდა, რომ თავმჯდომარე გულით არ უწყრებოდა და თვითონაც ღიმილმა გაუნათა სახე:

— აბა რა ექნა! წამომცდება ხოლმე ეს ტიალი!

თეთრკიტელიანმა ყველით სავესე გუდა დაადგო და ბერიკაცს საყულოში



სწვდა, მოიქნია თავისკენ და უთხრა:

— გაბრო, დადექ-მეთქი... არ დაგავიწყდეს, რომ მე ეფრემის მეძახიან. ის თუ გახსოვს, რომ მღვდელი ვიყავი, ისიც გეხსოვება, რომ ავითონ ჩოთეშა ვერ მიძლებდა. კამეჩივით კაცი კი იყო... ხომ გახსოვს... ჰოდა, დადექ... გაჩუმდი.

და კიტელიანმა ბერიკაცს სარმა დაუდო, მიწისაკენ გადალუნა და ის იყო ისმაილამაც მანქანიდან გადმოსძახა:

— მამი, არ შეუშინდე... ვერ გაგტეხავს.

ალექსიმ უკმაყოფილოდ გადახედა მათ, მაგრამ იმ წუთს თვითონაც გაღელვებული და თავის შიკრიკს უთხრა:

— არა გრცხვენინან, კაცო! ვის ეკიდავები? ეგ ხომ ჩვენი სულიერი მამა იყო... აბა, მორჩით ახლავე ძიძგილაობას!..

რაკილა სიტყვამ მოიტანა, ალექსის ის წარსული გაახსენდა, როცა ეფრემს ანაფორა ეცვა, ხოლო თვითონ ამ სოფელში კომკავშირის პირველ უჯრედს აარსებდა.

ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ.

### თავი პირველი

ეფრემს ცუდ ხასიათზე გაღვიძა წამოდგომა სცადა, მაგრამ ვეება სხეული ძლივს-და დაიმორჩილა. ფანჯრები მუქად ჩალურჯებულყვეწენ. მიხვდა, რომ თენდებოდა. ბარბაკით მივიდა ფანჯარასთან, გამოალო და გაღვლილი, დაფანჩული მკერდი გრილ ნიავს მიუშვირა, მერე ფაფარივით ჩამოშლილი თმა ზორბა ხელებით უკან გადაიყარა და ერთხანს გაუჟნდა, ეზოს დაუწყო ცქერა. რატომღაც ველარ იგრძნო ის ნეტარება და სიხარული, რასაც კაცს მაისის ხასხასა დილა მოჰკვრის ხოლმე. თვალები აუჭრებლდა და ისევ წამოწვა; მაგრამ აღარ ეძინებოდა და აღარც გაღვიძება უხაროდა. გრძნობდა, რომ ტანი დაბეგვილივით ჰქონდა, მარჯვენა მკლავი სტკიოდა, ენა გაშრობოდა, ტყვიასავით დამძიმებულ თავი საშინლად უბრუნოდა და ყელი ეწვოდა.

ეფრემი ერთხანს უაზროდ შესცქეროდა ჰერზე გამბულ აბლაბუდას. მერე უცებ გაახსენდა, რომ წუხელ ჩოთეშას სახლში იყო სტუმრად, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგონა, როგორ დაბრუნდა შინ, არც ის ახსოვდა, რით გათავდა ის ქეიფი, მარტო მოვიდა, თუ მოყვანეს. იმ წუთიდან, როცა ჩოთამ თავის წერწეტა დიასახლისს ჰქეპები გაატანიხა და ხელადებით სმაზე გადავიდნენ, აი ამ წუთამდე — რალაც სიბნელე იყო ეფ-

რემის ხსოვნაში, რალაც გაუვალი ბურუსი და ნისლი, სადაც აღარა გაირჩეოდა-რა.

მაგრამ ეს ტიალი მკლავი რად აწუხებეს, ნუთუ გზაში წაიქცა?

გულზე რალაც მძიმე ლოდვივით აწევს ეფრემს და გრძნობს, რომ ეს მარტო წუხანდელ ქეიფს მოყოლილი უგუნებობა არ არის. რალაც აწუხებს და ვერ გაუხსენებია. შუბლი მოისრისა და აბა, იმ ფართული დარდის მიზეზიც იპოვა: დღეს სოფელში რალაც უცნაური ამბავი უნდა მოხდეს.. უჩვეულო... ამ გაზაფხულზე სოფელში ახალგაზრდა ბიჭებმა კომკავშირის უჯრედი დააარსეს და ქვეყანა შეძრეს — ცაში ღმერთი კი არა, ლურჯი ჰაერისა და ვარსკვლავების მეტი არაფერი არ არისო. ახლა, დღესაც სოფლის მოედანზე რალაც კრებაც დაუნიშნავთ, თურმე მთელი სოფელი უნდა შეყარონ და მოხსენება წაუკითხონ... ბრაზი ახრჩობს ეფრემს. განა ეშინია? აბა გაუშვან ერთი და ზურგზე ბოლს აადენს ამ ლაწირაკებს. რა იციან მაგათ, მინდვრის ბიჭები არიან, შირაქში დაზრდილები, წერა-კითხვა გუშინ ისწავლეს, თითო სიფრიფანა წიგნაკი აქვთ წაკითხული და ამ იარაღით ებრძვიან ეფრემს, კაცს, რომელიც პეტერბურგის აკადემიისათვის ეშაადებოდა და ეს რევოლუცია რომ არა, ახ-

ლა აქ კი არ იჯდებოდა, ამ დათვის ბუნავივით მივარდნილ სოფელში.

მაგრამ იმ უბირმა ბიჭებმა ეფრემის ერთი საშინელი საიდუმლოება არ იციან. როგორ გაოცდებოდნენ ისინი, რომ გაეგოთ — თვითონ ეფრემს დიდი ხანია აღარც ღმერთი სწამს და აღარც ხატი, რომ მის ანაფორაში საშინელი ურჯულა გამოხვეული, რომ ის ვეება ჯვარიც იმ გულზე ჰქიდა, სადაც დიდი ხანია აღარც ერთ კუნჭულში რწმენის ნაპერწკალიც აღარ ბეუტავს.

წევს ეფრემი და ფიქრი ფიქრს მისდევს: რა იციან ამ ბიჭებმა, რომ ეფრემი ჯერ ისევ უწვერულო ქაბუკი იყო, ჯერ სად იყო ეს ლომივით ფაფარი, როცა სემინარიაში ყოფნისას ერთბაშად გაუქარწყლეს რწმენა ღვთისა მალულად წაიკითხულმა რაბლემ და ვოლტერმა; იმათ დაღუპეს ეფრემი, იმ ფრანცისკანელმა ბერმა და კიდევ იმ ფერნის პატრიარქმა. რა ეშმაკად ჩაუვარდა ხელში მათი წიგნები! მათ აურიეს გზა, აურიეს ცხოვრება, მიახვედრეს ყველაფერს, თვალი აუხილეს, ბედმა კი მაინც ეს ანაფორა გადააცვა და ახლა თავმოქმედებულმა უნდა იმეოროს ეს ლოცვები, ნათლოს ბავშვები, შეაუღლოს სოფლის ჯილი ბიჭები და ქალიშვილები, ანდერძი აუგოს ამ ქვეყნიდან წასულებს, სიტყვა დააბაროს უფალთან, რომელიც არ არის, არ არსებობს... ცარიელია ზეცა... არის მხოლოდ ამოება ამოებათა, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა...

რა იციან ამ ბიჭებმა, რომ ყოველთვის, როცა ეფრემი მიცქალეზულს მიუძღვის, რათა სასუფეველის გზა გაასწავლოს — იმაზე ფიქრობს, რომ ეს გზა არსად არ მიდის, რომ ადამიანი უხანო პეპელაა, დაბადებული მიწისაგან, რომელსაც ისევ მიწა შეჭამს...

ჰოდა, ასეთ დროს შეუჩნდნენ ეს ბიჭებიც — ღმერთი არ არისო. დაე, ნუ არის, მაგრამ ეფრემი მაინც არ გატყუდება, ქედს არ მოიხრის, უკან არ დაიხვეს... ან კი სადღა აქვს უკანდასახევი, სადღა წავსვლება.

წინა ოთახში რალაც ხმაური ისმის.

ეფრემმა ფიქრი შეწყვიტა და კური მიუგდა — მედავითნე სესე და მნათე გეგენა მოსულან... ახლაცა ახსენდებენ, რომ დღეს ბავშვი უნდა მოხათლოს. მაგრამ გასანათლი ბავშვის მამამ ეკლესიაში კი არა, სახლში მიიპატოეა ეფრემი. ისიც თუ ერიდება გახმანებას... რა ვუყოთ, ეპატოება, დრო დადგა ისეთი...

ეფრემი ზანტად წამოიშართა, მეორე ოთახში გავიდა, მაგრამ მოსულებს წარბი არ გაუხსნა, ზედაც არ შეხედა და ცოლს გასძახა:

— ქალო, კიტრის წნილი ამოიღე, ნიცრისაც — და მერე-ღა გადახედა იქ მყოფებს, — მოდი, თითო ლუკმა გავტეხოთ და... მერე წავიდეთ!

ეფრემი მოღუშული იყო... მან ენა მაშინლა ამოიღგა, როცა ისევ საფერავით საცხე ხელადა მოიყუდა, დაფანხლო უღვაშები შეიწმინდა და იქ მყოფებს გადახედა. თვალი გეგენაზე გაუჩერდა:

— წუხელ შენ მომიყვანე? — ჰკითხა მას.

— ჰო, შენი კირიმე, მამაო... — უპასუხა მოხუცმა.

— არაფერი არ მახსოვს... — გულწრფელად გამოუტყდა ეფრემი და მერე ჩაჰკითხა: მკლავი რათა მტკიცა?

ეფრემი უკვე მხიარულ გუნებაზეა და უნდა გაიგოს თუ რა დაემართა წინა ღამეს.

— მკლავი? — იმეორებს გეგენა, — ფიცხი ღვინო იყო, ძალიან მოგვიცადა ის ტიალი... ხელადები რომ გამოვცალეთ, შენ ისეთი რამე უთხარი ჩოთას...

— რაო, რა ვუთხარი?

— რაო და შენ წურბელა ხარო, ქვეყნის მტერიო... ჩვენი მხავრელი და დამტანჯველი ხარო... ოლონდ შენი საბსენებელი მომასპობინა და თუ გინდა კომკავშირშიც ჩაეწერებო...

— მერე იმან რაო?

— ჰოოვო, გეძახიან სწორედო, შე საწყალოო, უშენოდ ვეღარ სძლებენო, გითხრა. რატომ არ გესმისო, რომ მაგათ არც მე უნდივართ და არც შენაო... შენ უთხარი, არა, მე შენთან საერთო არაფერი მაქვს, ქვეყნის მგლეჯელო-

თან და ვანანის მგელთანაო... იმან გითხრა, რატომ არ გესმის, რომ ჩემი ბოლო შენი ბოლოც იქნებაო.

— შერე?

— შენ უთხარი, ვერ მოგართევსო... ყველას თავის წილს მიუღღავენ, კამეჩს კამეჩის ფეხით დაჰკიდებენ და თხას თხის ფეხითაო... მე იდეისათვის წამებული ვარ და შენ კი ყაჩაღი ხარო!

— ეგრე ვუთხარი?

— ეგრე, მამაო, აგრემც შენი მადლი არ გამიწყრება.

— შერე?

— შერე და იმან გითხრა, მართლა თხა ხარ შე მკვდარ-ცოცხალძალღო შენაო...

— შერე? შევარჩინე?

— არა, საჭიდაოდ გამოითხოვე!

— შერე, ხომ დავეცი ბეჭებზე, — უფრო გამოცოცხლდა ეფრემი.

— არა, მამაო... პირველად კარგად წამოიღე კისრულზე, მაგრამ იმან ისეთი შიგნითა სარმა დაგიღო...

— შენ არაფერი არ გახსოვს... — აენთო ეფრემი.

— როგორ არ მახსოვს... შენ რომ იტყვოდი, მაგიდას წამოედე და ისიც წაიქცა. ქურპელი სულ დაიღწა. ჩოთამ ხელი მოგაშველა, ავაყენა და გაკოცა, თქვა, კარგი ფალავანის წესი ეს არისო... ეგ მკლავიც მაშინ თუ რტყინე... შერე ჩაებუტენით ერთმანეთსა და ორივემ ტარილი დაიწყეთ... შერე ისევ ჩხუბი მოგივიდათ...

— რაღას შერჩოდა, კაცო? რაღა უნდოდა?

— რა და შენ მარინეს ხელი მოჰხვიე.

ეუბნებოდი, ჩემი სალოცავი ხატი შენა ხარ და ნება მომეცი გემთხრობო ჩოთა ამაზე გაბრაზდა... მომმშორეთ აქედანაო... ძლივს წამოგიყვანე.

ეფრემს ეშმაკურმა ღიმილმა გაუბრწყინა სახე. თვალწინ მარინე დაუდგა, ჩოთას ცოლი, ეშხიანი და მაცდურვით მომხიბლავი ქალი. რა დააფიწყებს ეფრემს იმის თვალებს! ახლაც ისე ცოცხლად დაინახა, თითქოს მკლავებში ჰყავს და თვალებში ჩასცქერისო. ჰმ, არაფერი ისე არ გასჭირვებია ეფრემს, როგორც ამ ციხის აღება. ბოლოს, როგორც იყო შეტეხა ქალის გულის კარი. ეს იყო სწორედ ერთი წლის წინ. თუმცა ეფრემმა უთხრა მაშინ — ეს ამბავი მართო მე და უფალს გვეცოდინებო, მაინც უფლის გარდა სხვადაც ვაიგო და რაღაც ხმამ ჩოთემას ყურამდეც კი მიაღწია. გარკვევით მან არაფერი იცოდა, მაგრამ ეჭვი კი ველარ მოიშორა გულიდან. ამიტომ სიფხიზლეში რომ განუყრელი მეგობრები იყვნენ, სიმთვრალეში ჩოთას მაშინვე ეჭვი აეშლებოდა და ამიტომ მათი ყოველი ქეიფი ჩხუბით უნდა დამთავრებულიყო.

თითქოს იღუმალ ფიქრს მიუხვდნენო, ოთახში მყოფნი ღიმილით შესცქეროდნენ ეფრემს. მან ეს შეამჩნია, არ მოეწონა, რომ გულში დაუკითხავად ჩაჰხედეს, უეცრად წამოხტა და წამოიძახა:

— გვეყოფა... წავიდეთ... გაბრო გველოდება.

ყველანი ერთბაშად წამოიშალნენ.

## თახი ბიოგრაფიული

გაბროს სახლში ზეიმი იყო... მამა ოჯახისა ჩოხაში გამოწყობილიყო, მის ცოლს თებროს კი, იმ საზეიმო დღესაც შავები არ გაეხადა. მოსულიყვნენ ნათლიებიც — ჩოთა და ერთიც მეზობლის დედაკაცი.

ბავშვს აკენში ეძინა. ოთახში ჯერ ეფრემი შემოვიდა, მას სესე შემოჰყვა,

წიგნებით დატვირთული, ბოლოს გეგენაც შემოფრატუნდა და იღლით თიხის ემბაზი შემოიტანა. სახლში ყველანი აფუსფუსდნენ, რაღაც საზეიმოს წინაშე სახეზე მოწყენა გამოიხატეს, მარტო ჩოთას გაელმა დამკინავად, წუხანდელი ჰიდაობა თუ გაასენდა. ეფრემმაც შენიშნა ეს, მაგრამ არაფერი არ შეიმჩ-

ნია — ოლარიტა და ფილონით შეიმოსა და მოქიდავის მსხვილ მაჯაზეც საბუნხარი გაიკეთა...

თებროს გამთბარი წყალი უკვე მზადაჰქონდა — სასწრაფოდ აავსო ემბაში და აკვანს მიუტრიალდა. შეუხსნა თუ არა თასები, ბიჭმა ღონიერად გაიზმორა, აღარ დაატალა დედას არტახების შემოხსნა, ხელეები ამოჰყო და ორივე პატარა მუქით თვალების ფშვინეტა დაიწყო.

დედამ ააყენა, პერანგი გადააცვა და უცებ შეჰკივლა — ბავშვი კინალამ ხელიდან გაუვარდა. ბიჭმა მოჰკრა თუ არა თვალი ეფრემის ლომისებურ ფაფარს, აფოფინდა და მახეში გაბმული ჩიტივით შეიფრთხილა, წაეწოდა ამ წვერებს, დედამ ძლივს დაიმორჩილა და ძუძუ მიაწოდა.

— ჰეი, შენი კირიმე, არა ბიჭია, — წამოიძახა ალტაცებით ეფრემმა, — იცი, რა ჯეილი დადგება?!

ბიჭი კი ხარბად სწოვდა და პატარა, ქორფა ცხოველის ცნობისმოყვარეობით სავსე თვალეები ისევ ეფრემისაკენ ეჭირა, თან ორივე თათით ძუძუს ჩაბლაუჭებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ძუძუს თავისი ორი კბილი (მეტი ჯერ არაჰქონდა) მოუჭირა, თავი აიჭნია გაძლომის ნიშნად და ისევ ეფრემისაკენ გაიწია.

— აბა, დროს, ნულარ დავკარგავთ! — წარმოთქვა ეფრემმა.

დაიწყო ნათლობის პირველი ნაწილი — ეშმაკეულის განდევნა.

ამ პირველი ნაწილის დასაწყისში ეფრემმა რაღაც ლოცვა წაიკითხა, რომელიც ეშმაკის შეჩვენებას შეიცავდა, მერე მოუბრუნდა ჩოთას, რომელსაც გასანათლი ბავშვი მკლავებზე კი არ ეწვინა, ხელში მაგრად ეჭირა, რადგან ის ისევ ეფრემის ფაფარისაკენ მიიწევდა... ეფრემმა ჩოთა პირით დასაველეოთისაკენ მიაბრუნა და სამჯერ ჰკითხა:

— განავდებ სატანას?

იერის მიყრუებულ მინდვრებში

გაზრდილმა ჩოთეშამ ამ ცერემონიისა არა იცოდა-რა, ის პირდაღებულად შეჰყურებდა მღვდელს, და ბავშვს მკლავზე მაგრად იკრავდა. ეფრემს გული მოუვიდა და ჩოთას მეოთხედ შესძახა:

— შენ გეკითხებიან, შე ვანანთ ტყის ნადირო შენა, განავდებ თუ არა სატანას? თქვი — განავადებ-თქო...

ჩოთამ ბრაზი გულში ჩაიბრუნა და ძლივს ამოილულლულა:

— განავადებ...

— აბა ახლა სამჯერ მიაღურთხე ეშმაკს!

ჩოთამ სამჯერ გადააღურთხა კუთხეში, სადაც რაღაც ვედროები ეწყო და ეფრემმა მაშინ ის პირით აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნა, იმ მხარეს, საითაც ბეთლემის მღვიმე იგულისხმება და ახლა ესა ჰკითხა დაბნეულ ჩოთეშას:

— შეურდგები ქრისტესა?

— შეურდგები-თქო, — ჩასტურჩულა ჩოთას შედავითნემ.

— შეურდგები, — გაიმეორა ნათლიამ.

— და გწამს იგი? წაიკითხე სიმბოლო სარწმუნოებისა!.. — უბრძანა მღვდელმა და ვითომ მისტიკურ ექსტაზში წასულმა თავი მალა ასწია, თვალეები დახუჭა, სასმენად განეშზადა.

მაგრამ ჩოთეშამ, ცხადია, სიმბოლო ზეპირად არ იცოდა და მის ნაცვლად სესემ დაიწყო... თვალედახუჭულ ეფრემს თითქოს საღლაც შორიდან ესმოდა:

— მწამს ერთი ღმერთი... მწამს უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი... გადმოსული ზეცით, ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის...

მედავითნემ ბუტბუტი რომ დაამთავრა, დაიწყო ნათლობის მეორე ნაწილი.

ეფრემმა პატარა ფუნჯი ამოიღო, ზეცით სავსე შუშაში ჩააწო და ემბაშიში ჩასმულ წყალზე ჯვარი გამოსახა, შემდეგ ფრთხილად გამოართვა ბავშვი ჩოთას. ქორფა ბავშვს რძის სუნი ასდიოდა და ღვინოს მიჩვეულ ეფრემს უცებ შეაძაგდა. და ის იყო დაიწყო —

„ნათელს იღებს მონა ღვთისა“, როცა ეს პაწია მონა წვერებში სწვდა და ჭყლოპინი დაიწყო. თებრო წამოეშველა, მაგრამ ვეღარ გააშვებინეს, ჩოთამ ბრიყვეული ხარხარი ასტეხა. ბოლოს, როგორც იყო, მღვდელმა ბიჭი დაიმორჩილა, სამჯერ ჩააყურყუმალავა წყალში და დააბოლოვა:

— ნათელს იღებს მონა ღვთისა ლევანა, სახელითა, მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა... ამინ!

ამის შემდეგ ბავშვი ისევ ჩოთას მიახეჩეს, მან პატარა ლევანას ყელზე ოქროს ჯვარი ჩამოჰკიდა. ანთებული სანთლებიც ჩოთას მისცეს ხელში და ეფრემის წინამძღოლობით ოთახში მყოფებმა ემბაზს სამჯერ ლოცვითა და ლაღადით შემოუარეს.

დაიწყო მესამე ნაწილი — მირონცხება. როგორც ყოველი ნაწილის წინ, ახლაც ჯერ შეგონება წაიკითხეს, მერე ჩოთამ ყმაწვილი მუხლებზე გადაიწვიინა, ეფრემმა ფუნჯი ჩააწო მირონით საესე შუშაში და ფუნჯი ბავშვს წაუსვა შუბლზე, თვალებზე, ცხვირზე, პირზე, გულზე, ხელებზე და ფეხებზე, თანაც ბუტბუტებდა: „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმინდისა“...

ყველაფერი მშვიდად დამთავრდებოდა, რომ ნათლობის ამ მესამე ნაწილში ერთი რიტუალი არ ყოფილიყო. წესის მიხედვით, როცა მღვდელი მირონს უკმეღდა, ნათლის მარჯვენა ხელი მღვდელის მაჯაზე უნდა ჰქონოდა მოჭერილი. ჩოთამ როგორც კი თავისი თათი ეფრემს ჩასტაცა, ჯერ მოუპირა ხელი, მერე გადაგრეხა სცადა, ალბათ ისევ ის გულის დამწველი ეჭვი თუ აეშალა და გულზე ბოღმა მოაწვია... ეფრემმაც მაშინვე შეიტყო ნათლის ეს მზაკვრობა, ჩუმად დაიგმინა (ეს ხომ ნატყენი ხელი იყო) და თვალები გადაუბრიალა, მაგრამ ის უფრო და უფრო უპერდა ხელს და ეფრემს კინაღამ გული შეუწუხდა, ამიტომ ბავშვს საჩქაროდ მიუსვ-მოუსვა ფუნჯი და თან ატყობდა, რომ მაჯის ძვალს თითქოს ჭახუბი გაჰქონდა.

ნათლობის ცერემონიალი დამთავრებული იყო. ნათლიდემდე კახელდებულად გაშალა სუფრა და ვეღვლმე მხრამ ველად პატარა ლევანის სადღეგრძელო დალიეს.

გაბრომ ნელ-ნელა ასწია ყანწი, გადიწურა და ამ სიხარულს დღეს, ისე ღრმად ამოიხზრა, თითქოს გული თან ამოაყოლორ.

უბედური კაცი იყო გაბრიელი. აი, მონათლა პატარა ბიჭი, მაგრამ ვინ იცის, ეს კი შერჩება. მანამდე ხომ ვარდევით გოგო გამოეცალა ხელიდან: ერთი წლისაც არ იყო ეთერი, როცა უეცრად გამოესალმა სიცოცხლეს. ავად არცა ყოფილა; აკვანში რომ ჩააწვინეს, გაბრიელიცა და თებროც ვენახში წავიდნენ. მეზობელს დაავალეს ბავშვს მიხედო; სალამოთი, ვენახიდან რომ დაბრუნდნენ, დედამ გოგო ააყენა, მაგრამ ბავშვი დამბლა დაკემულივით იყო: მოცინარე ცელქი თვალები ჩაჰქრობოდა, გუგები ისე დაპატარაებოდა, ქინძისთავის ტოლები გამხდარიყვნენ, უძრავად დარჩენოდა თვალები და აღარსაით იყურებოდა, ფერი დაჰკარგოდა, მაჯა ხან უცემდა და ხან არა. მერე კრუნჩხვაც დაეწყო, სუნთქვა გაუძნელდა და დაიხრჩო.

თავზარი დაეცათ ცოლსაც და ქმარსაც, როცა საღსალამათი ბავშვი ხელიდან გამოეცალათ.

ჰოდა, დაღონდა კაცი: შეეცოდა თებროც, იმ დღის მერე სულ ძაძებში გახვეული რომ იყო, სულ ტიროდა და ცრემლითა რწყავდა ბოსტანსაც, ვენახსაც, როცა ფურჩინდა ან ახვევდა — აბარალათ უნდა ან ბოსტანი, ან ვენახი, თუ კი იმისი პატარა ეთერი სადღაც მიწაში წევს. შეეცოდა გაბროს თავისი თავიც, ის გოგოც, გაუხარებლად რომ წავიდა ამ ტიალი, მაგრამ მაინც ლამაზი წუთისოფლიდან.

აღარაფერი ესმის გაბროს, ყანწი

ხელში შერჩა და ცრემლი დაბალებით ჩამოსდის ლოყაზე.

— რა გატირებს, ბიჭო! — ჩაცმა უცებ გაბროს, მან აიხედა და გამოერკვა, თითქოს ბურანიდან გამოფხიზლდო, დაბნეულად გაიღიმა — ეფრემი კი ისევ დაჰკიოდა — ჰაი, შე უხეირო შენა, ნათლობაში ტირილი ვაგონილა? მიაწოდე ყანწი გეგენას, კაცს ყელი უშრება და შენ კი ყაბი ტყუილად გიჭირავს ხელში...

თებრო სამზარეულოში გავარდა, კმრის ცრემლმა იმასაც ისევ ის მოურჩენელი ტკივილი გაუღვიძა, მაგრამ, სირცხვილია, არ ვარგა ახლა ტირილი, უფალს ეწყინება...

— ნუ გეშინიან, გაბრო-ბიჭო! — ჩასძახის ეფრემი და მეხუთე ყანწს ავსებს...

— გადაირივენით, ხალხო. — დაიძახა ჩოთამაც, — რას ჩადიხართ... ნათლიდედავ! მოდი აქა — და როცა თებრო მიუახლოვდა, მომკრო ყანწი მიაწოდა:

— ვერ დავლევ, ნათლი, ცოტა მოამხე, — ნამტირალევი ხმით ამბობს თებრო.

— არაფერსაც არ მოამხოვ... დალიე, გოგო!

— ნუ ინაზები, შვილო — გადასძახა გეგენამაც.

მეტი გზა არ იყო...

ყანწი ახლა მნათეს გადააწოდეს. მან სიტყვა დაიწყო.

— უფლის მაღლი შეგეწიოთ... გიცოცხლოთ ეს თქვენი პატარა ბიჭი, ეს თქვენი დახატული კატკინუტი... — და მერე სათქმელი გამოვიდა.

მნათემ ყანწი გამოსცალა და ჰაერში ისროლა. ჰაერშივე დაიჭირა ის ეფრემმა.

და მერე გახურდა ქეიფი...

უეცრად ეზოში ძაღლის ყეფა და მე-  
რე კაცის ძახილიც გაისმოდა.

— გაბრო, ჰაი, გაბრო... მიაწოდე ყანწი ბაზე...

ეფრემს ახლა-ლა გაახსენდა, რომ ნათლობის სოფლის მოედანზე კომკავშირელები საჯარო კრებას აწყობდნენ თემაზე — არსებობდა თუ არა იესო ქრისტე.

ღვინომ მას სითამამე და სიბრაზე შემატა, ადრეც გადაწყვეტილი ჰქონდა დასწრებოდნ კრებას, შებრძოლებოდა კიდეც კომკავშირელებს, ძველ პოლემისტს თავისი სიტყვის ძალა ეჩვენებინა... ახლაც სასწრაფოდ წამოხტა და მედავითნეს გადასძახა:

— ჩვენ მოვემზადებით, შენ წმინდა სახარება გამოიმრბენინე ეკლესიიდან... აქ დაგიცდით და მერე ერთად წავიდეთ კრებაზე. ენახოთ ერთი რას ვეცხვიან!

— რა უნდა გითხრან... შენ ეგენი საიდან გაჯობებენ! — მოეფერა გაბრო.

— ეეპ, შენ არ იცი ჩემო გაბრიელ, — ამოიოხრა ეფრემმა, — შენ რომ პლუტარქე წაითხული გქონდეს, გეცოდინებოდა: კარგი სარდალი მუდამ აგებს ომს ცუდთან... და რათა ხდება ეს, იცი? უხეირო სარდალს ომის წესი ფეხებზე ჰკიდია... შენ რომ მარცხნიდან მოვილი, ის მარჯვნიდან შემოგიტყეს...

არა, ეტყობოდა, ხუმრობის ხასიათზე აღარ იყო ეფრემი.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი კრებაზე გაემგზავრნენ; სახლში მარტო პატარა ლევანი-ლა დარჩა, აკვანში ჩაყრული. მეზობლის გოგოს დაუძახეს, რომ ბავშვისათვის თვალი ეღვენებინა და თუ წამოიტირებდა, გადაერწია; თებრომ ისიც დაუბარა, მე მალე დავბრუნდები, ბოლომდე არ მოვიცდით.

### თავი მესამე

იფნისხევში ალექსი ხელაშვილს ყველა იცნობდა, ის ხომ პირველი კომკავშირელი იყო! ბევრმა არ იცოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვა, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ ალექსის ლარიბების მხარი ეჭირა და მდიდრები არ უყვარდა.

ალექსი წინათ მღვდელთან იყო მო-

ჯამაგირედ, ცხრა პირ ტყავს აძრობდა მას ეფრემი, მაგრამ ბიჭს წერა-კითხვა მაინც ასწავლა თავის საუბედუროდ და საჭირღლეოდ.

მერე უეცრად, ოცდაერთი წლის დამღვეს ალექსი კომკავშირში ჩაეწერა.

ალექსის მაღე სხვებიც აყენენ. ეს

მისი სიმარჯვის შედეგიც იყო. უხარო გლეხების შეილებაში მან ახალგაზრდა ბიჭები შეარჩია და ერთ თვეში უჯრედ-ლიც ჩამოაყალიბეს, რომელშიაც ხუთი კომკავშირელი ირიცხებოდა.

ალექსიმ ყველაზე ადრე ნესტორა და-ითანხმა. ის თუმცა ცხრაშვიტი წლის ბიჭი იყო, მაინც ყველანი ქალარა ნესტორას ეძახოდნენ. ეს იმიტომ, რომ ნესტორას თმა, ტანსაცმელი, ახლად აბიზინებულ უღვამეები და ქალამნებიც კი ფეკილში ჰქონდა ამოგანჯლული. ის ჩოთას მოტორიან წისქვილში მუშაობდა. ნესტორას სიტყვაც უჭრიდა და მარჯვენაც დაუღლელო ჰქონდა: ცხრა ფუთიან საცალოს ისე ციმციმ ასწევდა და გადმოიღებდა ურმიდან, თითქოს სა-თამაშოაო.

მესამე ქარუმა იყო — მინდვრის ბიჭი, ჩუმი, დინჯი და საზრისიანი. დიდხანს ელაპარაკნენ, აუხსნეს ყველაფერი, ძალიან ყურადღებით უსმენდა. მერე კე-ფაზე მოგდებული შავი პატარა თუმური ქუდი მოიხადა, თითქოს კომკავშირში კი არა, ეკლესიაში შედისო, ხელზე და-იბერტყა და სთქვა:

— აგრე იყოს!

ალექსიმ განცხადება იქვე თავის ხე-ლით დაუწერა.

მეოთხე თამრო იყო, პირველი კომ-კავშირელი ქალიშვილი. ის იმ წელს მას-წავლებლობას აპირებდა, როცა უცებ სასაფლო რეკომის თავმჯდომარემ თავის მდივნად დანიშნა და ახლად გახს-ნილი ქოხ-სამკითხველო ჩააბარა. მან თითონ მიაკითხა კომკავშირელებს.

მეხუთე მქძროზე მახარე იყო. მას გულაში, პურთან და ყველთან ერთად, „დედაენა“ ეღო და ამან მიიყვანა კომ-კავშირელებთან.

პირველსავე დღეებში თამრომ ქარუ-მასა და ნესტორას ანბანის სწავლა დაა-წყებინა. ძალიან აუტრელდათ ბიჭებს თვალეები, სახრისა და ნამგლის ჰერას შეჩვეულმა ხელმა ფანქარი უცებ ვერ შეიგუა, თითებს შუა ეკარგებოდათ პა-წაწინა ფანქარი, ქარუმამ ერთხელ ფე-ხიც მიაბჯინა: „არ მინდა და ძალათ ზომ

არ მასწავლითო“. მაგრამ თამარმა ხან დაყვავებით, ხან წყრომიტორიანებსა — გაი-ტანა.

ალექსის კი დღე და ღამ ხელში პო-ლიტიკური შინაარსის წიგნები ეჭირა. ყოველ კვირას მოხსენებებს კითხულობ-და; სოფელში ხმაც კი დაუვარდა: „ძა-ლიან მცოდინარე ბიჭიაო“.

შეიფერა ეს კიდევაც ჯერ გამოუც-დელმა და გულუბრყვილო ნამოჯამაგი-რალმა. გული საგულესა ჰქონდა, რომ იტყვიან, ცა ქულად არ მიიჩნდა და დე-დამიწა ქალამნად, მაგრამ ძალიან ბევრი რამ მართლაც არ იცოდა.

კვირაში თითო მოწერილობა მოდიო-და სიღნაღიდან, სიფრიფანა პაპიროსას ქალალზე დაბეჭდილი. ერთხელ სამაზ-რო კომიტეტიდან მოიწერეს: გლეხობა-ში საუბრეები ჩაატარეთო.

ეს ფიქრი ალექსისაც აწუხებდა: იფ-ნისხევი მაშინ ძალიან ჩამორჩენილი და ბნელი სოფელი იყო.

იმდროს იფნისხეველისათვის მღვდლი-სა და მკითხვეას სიტყვა დაბლა არ დაი-შებოდა.

გვაღვა დადგებოდა — ლაზარეს ხეწნით დააგლეჯდნენ კალთებს.

სეტყვა წამოუშენდა — ელია გაგვი-წყრაო.

ღვთის უხსენებლად იფნისხეველი ლექმას არ გასტეხავდა. კაცი რომ ავად გახდებოდა, ექიმთან კი არა, მკითხვეთან მიბრუნდნენ.

შესცქეროდნენ კომკავშირელები ამ ამბებს და გული უდუღდათ. რაკი ცენ-ტრიდანაც ურჩიეს, გადაწყვიტეს გაე-მართათ საჯარო მოხსენება თემაზე: „ცხოვრობდა თუ არა იესო ქრისტე“.

ეს საკითხი უფრო იმიტომ აირჩიეს, რომ ახალი წიგნი, რომელიც იმ ხანებ-ში მიიღეს — ამას ეხებოდა და სათაუ-რიც ასეთი ჰქონდა. ალექსიმ დაიწყო მოხსენების მზადება, შეადგინა კონს-პექტი. მერე განცხადებაც გააკრეს. კრე-ბა ღია ცისქვეშ უნდა ჩატარებინათ, მწვანე მინდორზე, სოფლის რეკომის გვერდით. შესასვლელთან დიდი წარწე-რა გააკრეს: „რელიგია ოპიუმია ხალხი-სათვის“.





კვირას დილითვე იწყო დენა იმ ხალხ-  
მა, ვისთვისაც რელიგია ოპიუმში იყო.  
მოდიოდა დიდი და პატარა. მოხუ-  
ცებულებს თათრულად მოვეცნათ  
მწვანე ბალახზე. დედაკაცებს წინდები  
წამოვღოთ — ისხდნენ და ჰქსოვდნენ.  
ბავშვების ქრიაშლისაგან ყურთასმენა  
ალარ იყო. მერე ალექსიმ უთხრა ქარუ-  
მას:

— მოდი ბიჭო, გარეკე ბავშვები...  
წინ დიდრონები უნდა დასხდნენ...

ის-იყო გავიდა ქარუმა ბავშვების გა-  
სარკად — უარესი ქრიაშული ატყდა.  
მოედანზე მამლაყინწამ შემოირბინა —  
კალიას გამოჰყოლოდა, მოსდევდა და  
ვერ დაეჭირა. ბავშვები ამან უარესად  
გადარია. გაბრაზებულმა ქარუმამ მამ-  
ლაყინწას სახრე შემოჰკრა, ის წაიქცა  
და ფართხალი დაიწყო. ის-იყო კიდევ  
იწვილა ვიღაც დედაკაცმა.

— აი, მოგტყდეს ეგ მარჯვენა, მზე  
დაგიბნელდეს, დაგრისხოს ღვთისშო-  
ბელმა!..

ვერ იყო კარგი დასაწყისი. თამარი  
სასწრაფოდ იქით გაეშურა და გაცოფე-  
ბულ დედაკაცს დაშვიდებდა დაუწყო:

— არა უშავს-რა დედი, გიზღავთ,  
მოხუცედა... შემოაკედა...

— აი, დედა-ბნედა აუტყდეს მაგას,  
მაგას მოახვედროს წმინდა გიორგიმ, ეგ  
შემოაკედეს დედაღვთისას!

ძღვეს დაწყნარდა ხალხი. ამასობაში  
მოედანზე ადრევე მოტანილ მაგიდას  
წითელი ნაჭერი გადააფარეს, ზედ  
ალექსიმ წიგნები და ქაღალდები დაა-  
წყო.

მზემ კარგად მალა ამოიწია და მა-  
გიდა, ჩრდილში რომ იდგა, მზეში მოექ-  
ცა. ისევე ჩრდილისაკენ გადაიტანეს.

სიციხემ ხალხსაც ძალა დაატანა.

— კაცო, სიციხი-გულას რას უსხედ-  
ხართ, — დაიძახა ვიღაცამ და ხალხმაც  
ჩრდილში გადაიწია.

როგორც კი მოედნის ერთი კუთხე  
განათავისუფლეს, ალექსიმ გაიხედა  
და... ელდა ეცა. თვალებს არ დაუჯერა.  
იმ კუთხეში მეორე მაგიდა იდგა, იმაზეც  
რალაც წიგნები ეწყო... იქვე ხალხში

ეფრემი იჯდა და წყნარად საუბრობდა.  
ამ დროს თამარმაც მოიბრუნა და დაუღწე-  
სის უთხრა:

— ხალხში არეულობაა... ბიჭები  
წაუქეზებია ჩოთას — იფნის სახრეებით  
დავერივნეთო. ეფრემას უთქვამს —  
სახრეები არ გინდათ, მაგ ბიჭ-ბიჭებს  
უმაგისოდაც მოვერევი, მაგათ ნებას არ  
მივცემ, რომ სოფელზე ღმერთი გაარის-  
ხონო...

— ოოვე! — დაიძახა ქარუმამ.

ალექსიმ ქარუმას თვალები გადაუბ-  
რიალა:

— რა დაგეშართა შე ბენტერავ, რამ  
შეგაშინა... ვნახოთ რას გაიტანენ...

ეს კი უთხრა, მაგრამ ცოტა შეფიქრი-  
ანდა, რალაცამ მკვალივით გაჰკრა გულ-  
ში. განა არ უქვირდა, ამდენი ხალხი რამ  
შეყარაო. აგერ მღვდლის ახლოს ჩოთა  
ფუსფუსებს, ბარბაცით დაღის და ეტ-  
ყობა მთერალია... აგერ გაბროც იმათ-  
თან არის... ამას რალა უნდა იმ ბოშო-  
ლებთან... მომხმარე რალათ უნდა ეფრე-  
მას, თითონაც ისეთი მწარე ენა აქვს, ზეს  
გაახშობს.

მომხსენებელმა უნებურად კვლავ  
გაიხედა მათკენ და ეფრემის თვალებს  
წააწყდა... ამრეზილი იცქირება ეფრემი,  
მიბრჯნით, თვალგაშტერებით. ნაწყვეტ-  
ნაწყვეტად ისმის ლაპარაკი:

— კაცო, მართლა რო იწყინოს ქრის-  
ტემა, მაშინ რალა გვეშველება...

— არაა! არაფერიც არ იქნება! —  
ტყუებით ამბობს მეორე, — ჩვენი რა  
შუაში ვართ, ჩვენზე გული არ გაუტყ-  
დება, ვენაცვალე იმის მადლსა... დაიფ-  
რენს ამ ბიჭებს ჩვენი მღვდელი და  
მორჩა... ეფრემას შენ არ იცნობ...

— შენ არბეინად იყავ, — ეპასუხება  
მესამე, — არც ესენი არიან უნდილი  
ბიჭები...

აგერ მეოთხის ხმაც ისმის:

— ახლა თვალებილულები ვართ, მშო-  
ბილო, თვალებილულები აღარ გეგონოთ...  
დე, გლუხისშვილმაც გაიგონოს მართა-  
ლი სიტყვა... მაგ ბიჭების იმედი მაქვს...

— აი, ვნახოთ, ვნახოთ...

კრების თავმჯდომარე ვანო იყო,



ფრანტელი ჯარისკაცი. როგორც პარტიის წევრი, ახალგაზრდებს ის ედგა სათავეში. ვანომ კრება გახსნა და ალექსიმ დაიწყო.

ჯერ ქვეყნიერების გაჩენაზე ილაპარაკა, მოუყვა ხალხს, რომ სარწმუნოების მიხედვით ჯერ დღე და ღამე გააჩინა ღმერთმა, მერე ზღვა და ხმელი და მესამე დღეს მზე და მთვარე. ეს ხომ აშკარა ზღაპარიაო, — დაასკვნა. ორატორის წინ, მწვანეზე შეველე ზაქარა იჯდა, დადინჯებული უსმენდა, ხარის ქედვით მაგარსა და ღონიერ კისერს იქით მიიბრუნებდა, საითაც ხმასა და წამოძახილს გაიგონებდა, თითქოს ცდილობს ყველაფერი დაიხსომოსო. ორატორმაც ზაქარა ამოიღო ნიშანში და პირდაპირ ჰკითხა:

— ძია ზაქარ! ძალიან ბნელი ღამე რომ იყოს, თუ ქოხში სანთელი არ აანთე, სინათლე იქნება?

ზაქარა შეცბუნდა. ერთხანს უცქირა და მერე უპასუხა:

— აბა სინათლე საიდან იქნება, შეილო?

— ჰოდა, მზეც აი მასეთი სანთელია! უშეოდ დღე არ იქნება, ხალხო! მართალია თუ არა ძია-ზაქარ?

— მართალიაო — დაიძახა ხალხმა.

ამან კიდევ უფრო გაამხნევა ორატორი. მან უფრო თამამად განაგრძო:

— აი ასეთი ოპიუმი რელიგია ხალხისათვის!

აქ კი სიტყვა გააწყვეტინა ეფრემმა:

— ეს ოპიუმი რას აუჩემებია, ერთი გაგვაგებინონ რა არის ოპიუმი?

— ოპიუმი საწამლაგია, სატანჯველია, გონების დამბნელებელია.

— არა, შეილოსან! — დაიძახა ეფრემმა დაძინებით — შენთვის თუ საწამლაგია, იქნება ჩვენთვის დედის რძეა?! შენ ისიც არ იცი, რომ ოპიუმი შალაშა... ქალაქში ერთი ფრახილისოდენა ოპიუმი ასი თუმანი ღირს... ყოფილხარ შენ ქალაქში?

თავმჯდომარემ ეფრემს წესრიგისაკენ მოუწოდა, ორატორსაც და ვანოსაც ოფლი გადასდის, მღვდელსაც თავთუ-

ხის მარცვლის სისხო ოფლის წვეთები აზის სახეზე.

ვანო ვანო

ორატორი მაინც განაგრძობდა დის სახარების განხილვაზე, უმტკიცებს ხალხს, რომ ეს ყველაფერი შეთხზულია, ყალბია... ის იყო სახარებიდან ერთი ციტატა მოიყვანა (იმ ახლად მალებული წიგნაკიდან ჰქონდა ამოწერილი), უნდა დაეწყო მისი გარჩევა, როცა ეფრემი წამოხტა და დაიწყო:

— ხალხო, ტყუილია, აგერ მთავარანგელოსის ეკლესიის მადლი გამიწყურეს, თუ სახარებაში ეგ ეწეროს...

— მაგითი ფონს ვერ გახვალ — გასძახა ალექსიმ.

— აი წმინდა სახარება, — დაიძახა ეფრემმა, მაგიდიდან ტყავგადაკრული დიდი წიგნი აიღო და აკოცა, — მოვიდეს, ეგ სიტყვები მოძებნოს შიგ და მაშინ მაგისი ხმალი იყოს და ჩემი კისერი!

ხალხი აჩოქოლდა. ორატორს სისხლი ყელში მოეხვინა, მოთმინება დაკარგა და გაცხარებული გაემართა მღვდლის მაგიდისაკენ, გამოართვა წიგნი, გაშალა და...

მაშინ-ღა მიხვდა, რომ საკმე ცუდად იყო: სახარება ნუსხა-ხუცურით იყო დაბეჭდილი. მაშინ კი სიმწრის ოფლმა დაასხა:

— მე ამნაირი კითხვა არ ვიცი, — წაილულულა ოდნავ გასაგონად.

ეფრემი წამოდგა და მისი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები ყვირილით გაიმეორა:

— გესმის სოფელო! გაიგონეთ, ყველამ გაიგონეთ!.. კითხვა არ ვიციო... შეკაი კაცო, მამ ჯერ ისწავლე, მერე იქნება შენც იწამო? არ ვიციო! მამ რა გალაპარაკებს? მართალი ვარ თუ არა, ხალხო?

— მართალი ხარო, — დაიძახა ჩოთამ, მერე წამოხტა და ხმამაღლა დაიყვირა:

— ეგრე მღვდლო, გენაცვალე მაქრიბტეში, მაგ წმინდა ზიარებაში გენაცვალე!

აღგზნებულ ჩოთას თავისი ექვებიც



დაეწყებოდა, მარინეც მოჯადოებულ-  
ვით უყურებდა ეფრემს და თითქო ინს-  
ტინქტით გრძნობდა, რომ არ შეცდა,  
როცა ამ ვაეკაცს გულის წადილი აუს-  
რულა.

ორატორის სახეზე ცეცხლი ეკიდება.  
ეს ტიალი მზე რალამ გადარია! თითქოს  
ჩრდილშია და მაინც სული ეხუთება.  
დახე, სად წაუჭირა ყელში ამ მღვდელ-  
მა. მოდი და ილაპარაკე ახლა ოპიუმზე...  
მოგისმენენ, გაერკვევიან? ვანო ბრაზი-  
საგან აღარ არის, მაგრამ რა შეუძლიან,  
რით დაეხმარება. გული კი ეტკინა, ბო-  
ლოს ველარ მოითმინა და დაიძახა:

— მშებო, გვეყოფა ბურანში ყოფნა,  
ჩვენც გვინდა კაზ წუთისოფელი!

— ბურანში და ჯოჯოხეთში შენ მი-  
გვათრევ, — მიიძახა ჩოთეშამ.

ხალხი აჩოჩქოლდა... უეცრად საშინე-  
ლი წივილი გაისმა და ყველა ხმა დაპ-  
ფარა. ეზოში თებრო შემოიჭრა, ერთი  
კიდევ მოასწრო დაეძახა: გაბრო, მიშვე-  
ლე, ყმაწვილი ძალიან ცუდად არიო, —  
და გულიც შეუწუხდა.

ხალხი დაფრთხა. დედაკაცები თებროს  
მეხევიენენ, გაბრო კი შინისაკენ ვაიქ-  
ცა. ჩოთამ წამოიძახა:

— აჰა, გაარსხეთ უფალი და საწყა-  
ულიც ეგ არც...

სოფლელები თავზარდაცემულნი გა-  
იყრიდნენ მოედნიდან... ცოტა ხნის შემ-  
დეგ იქ აღარავინ იყო და მარტო ქარი  
აფრიალებდა წარწერას: „რელიგია ოპი-  
უმია ხალხისათვის“.



კომკავშირელები გულდათუთქულნი  
ბრუნდებო დნენ სახლებში; ორლობეში  
მათ ვანო წამოეწიათ და აღექვის გადას-  
ძახა:

— ამაღამ შენ, ნესტორა და თამრო  
სახლში მოდიოთ ჩემთან, უნდა მოვილაპა-  
რაყოთ...

კითხვაც აღარ უნდოდა, თუ რაზე მო-  
ელაპარაკებოდა ნაფრონტალი ჯარისკა-

ცი კომკავშირელებს. ეს ისედაც ნათე-  
ლი იყო

სალამოს, როცა კარგად შეჩინდეს  
სამივენი ვანოს სახლს მიადგნენ, შესას-  
ვლელში ბოძებში შეყრილი ლატანები  
გადმოიღეს, ქიშკრის ნაცვლად რომ იყო  
გამართული და პირდაპირ განათებული  
ფანჯრისაკენ გასწიეს.

კარი ვანოს მოხუცმა დედამ გააღო.  
უბრალო და ღარიბულად მოწყობილ  
ოთახში არაჩვეულებრივი სისუფთავე  
იყო. ოთახში, კედლის გასწვრივ გრძე-  
ლი ტახტი იდგა, რომლის მალა თარო  
იყო გამართული და ზედ ექვსი ქაშანუ-  
რის ჯამი ელაგა, სწორედ იმდენი, რამ-  
დენი სულიც იყო ადრე ამ ოჯახში. ახ-  
ლა-კი ორნი-ღა დარჩენილიყვნენ. თა-  
როს გვერდით, კედელში მოკედილ  
ლურსმანზე ფრონტიდან ჩამოტანილი  
ავსტრიული თოფი ეკიდა. შუა ოთახში  
მაგიდაზე ლამფა ბღლიალებდა... სახლის  
პატრონი მაგიდასთან იჯდა, ნაგანი და-  
ეშალა და სწმენდა.

ახალგაზრდები მიესალმნენ და ტახტ-  
ზე წამოსხდნენ. ვანო მოლუმული გამო-  
იციჩებოდა... მალე იარაღის წმენდა  
დაამთავრა, ბარაბანში ვაზნები ჩააწყო  
და მაშინლა მობრუნდა, როცა თვალებში  
პირველად თამრო შეეფეთა.

— გოგო, შენ რაღა ღმერთი გაგიწყ-  
რა, რამ დაგამუნჯა?

თამრომ იწყინა, რაღა მე მომვარდაო,  
აიმრიზა და უკმეხად უპასუხა:

— თავი დამანებე... ვანა შენც იქ არ  
იყავი?

ისედაც ფიცხი კაცი აენტო, წა-  
მოხტა, ქალიშვილს წინ გაუჩერდა და  
უთხრა:

— ერთი უყურეთ ამას... მე რას ვი-  
ტყოდი, სკოლაში ფეხი არ შემიდგამს...  
ნასწავლი შენა გვეყვებარ...

ხმაზე ეტყობოდა, რომ ის უფრო და  
უფრო მეტად ღელავდა.

— შენ რომ სკოლაში სწავლობდი, მე  
სანგრებში ვეგდე... აბა მე რა ვიცი...

ვანოს თავისი დედაც გაუწყრა:  
— ბიჭო, რა გინდა ამ გოგოსაგან...  
ცხენს ვერაფერი დააკლესო და...



ბე-მალაროს მინდერები რომ ვაიარა, გარე-კახეთში გამოვიდა, ბეჟან-ბალს გვერდით ჩაუარა, ჩაილურის ხევი გადასკრა, მერე თბილისში ჩავიდა და იაღლუჯასაყენ იბრუნა პირი.

მთელი ეს ვეება გზა ცრემლით მორწყო თებრომ, გოდებითა და მოთქმით აავსო. სადაც დასასვენებლად ხარებს გამოუშვებდნენ და დასანაყრებლად ჩრდილში ჩამოსხდებოდნენ, კაცი არ აივლიდა ან ჩაივლიდა, ცხენოსანი იყო თუ ქვეითი, ურმით იყო თუ ეტლით, რომ გაბრო არ შეძრახებოდა, თავის დარდს შესჩივლებდა, ერთ კიქას მიაწვდიდა, შესანდობარს დააღვეინებდა (აბა, რა ჰქონდათ შესანდობარი პატარებს, უმანყოვებს), თავის ეთერისა და ლევანს კიდევ ერთხელ გამოიტირებდა, სტუმარსაც ატირებდა, მერე შეაბამდა ხარებს და ისევ თრიალეთისაკენ მიდიოდა.

მზე კარგა მალა წამოსული იყო, კოდას რომ მიიღწიეს.

მკითხავის ეზოში რომ შევიდა ურემი, გაბრო გაოცდა: თითქოს წისქვილის ეზოაო, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი... ურემებიდან ხარები გამოეშვათ, ეზოში ისხდნენ, თავიანთ რიგს უცდიდნენ, მალმალ ორსართულიანი სახლის ვანიერ აივნისაკენ გაურბოდათ თვალი; იქ იყო მათი იმედი — მკითხავი, ქადაგი თუ მისანი, ბედის წიგნის წამკითხველი და გზის მაჩვენებელი.

გაბრიელმა და თებრომ ეს იყო ურემის ჩრდილში მოიკეცეს და საუხმის კამა დაიწყეს, როცა ხალხი აჩოჩქოლდა, აივანს მიეტანა... ცოლ-ქმარმაც იქით გაიხედეს: აივანზე თავიდან ფეხებამდე თეთრებში გამოწყობილი დედაკაცი გამოჩნდა, ხელი მოიჩრდილა და დიდხანს, დიდხანს ათვალიერა ეზო (ოღონდ მათკენ არ მოუხედავს), მერე გზას გაჰხედა, ერთხანს უცქირა და მერე ხმაშლია დარდიანად წამოიძახა, თან ლოყაზე ხელი შემოიკრა:

— ქაა, სად არიან აქამდე ის უბედურნი მშობლები, ის დამწერები და დადა-

გულები... ქიზიყიდან არიან წამოსულები...

— დახე, ქიზიყიდან მტკუნსუ ვარდა სხვებიც წამოსულანო! — ვადაულაპარაკა ცოლს გაბრიელმა.

ნახევარი საათის შემდეგ თეთრებიანი ქალი ისევ გადმოეყუდა აივანზე და ავაჯით დაიწყო:

— ის საცოდავი გაბრო და იმისი ცოლი ჯერაც არა ჩანაან... ვიწვები იმათი ცოდვით. რა შეილები დაკარგვეს, რა მთის ვარდით დალანა ბალები...

ცოლსაც და ქმარსაც ფერი ეცვალათ... ეს ხომ მათზე ლაპარაკობს მისანი, საიდან იცის... საიდან ვაიგო, რა მართლაც გულთმისანი ყოფილა, დიდება შენდა ღმერთო!

მკითხავმა უეცრად მათკენ გადმოიხედა, ერთხანს უცქირა, ათვალიერა და მერე ლოყაზე ხელი შემოიკრა:

— აქა ხართ ადამიანებო! ამოდით, ამოდით ახლავე, რას უცდით?!... თქვენსაც თუბედური აქ არავინ არ არის!... და ხელი მთელ ეზოზე მოატარა.

გაბროს მუხლი მოეკვეთა, წამოდგომა სცადა და ვერ წამოიწია... თებროც იმაზე უარეს დღეში იყო: თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა... ბოლოს გაბრომ ურემის ფერსოს ჩასქიდა ხელი და წამოიმართა, ცოლიც ააყენა, ლასლასით გასწიეს კარებისაკენ, თითქოს მთვრალეები არიანო, ფეხი ეშლებოდათ. ის კიბეც გაგრძელდა, თითქოს იმ გზაზე უფრო გრძელი იყო, ქიზიყიდან თრიალეთამდე რომ გამოიარეს... მკითხავი ჩამოეგებათ, თითქმის გულშეღონებული თებრო ოთახში შეიყვანა და გაბრიელიც ლასლასით შეჰყვა მას.

დასხდნენ თუ არა, მკითხავმა წყლით სავსე ჯამში ჩაიხედა და მოტირალის ხმით დაიწყო:

— ვაი, თქვე საცოდავებო, თქვენა! რა შეილები დაკარგეთ...

მაგრამ მგონი ახლა გონებასაც ჰკარგავდნენ იფნისხვევლები: საიდან იცის ამ დედაკაცმა ყველაფერი, მათ ხომ ჯერ სიტყვაც არ დაუძრავთ... როგორ, რა ჯადოთი აჰხადა მათ გულს სარქველი,

ჩაიხედა შიგ და მათი ტკივილი დაინახა.

ის კი აღარ ახსოვდათ, რომ გრძელ გზაზე ყველა გამველეს თავიანთი დარდი გააგებინეს... რა გუმანს მოვიდოდნენ, რომ იმ მგზავრებში ფეფენა მკითხავის შიკრიკებიც ერივნენ.

გაბრომ ძლივს ვაბედა და შეპლალადა:

— გვიშველე რამე დედი, შენი კალთების კირიმე....

— დამაცა, შვილო, ჯერ დამაცა...

ეს სიტყვები იყო და ქალმა, თითქოს გაშტერდაო, თვალები მილულა, ფანჯარას შიამჩრდა, თითქოს სადღაც შორს, ცაში იცქირებოო... შერე სახეზე რაღაც უცნაური ნეტარება აღებეჭდა, ღიმილმა ნელ-ნელა გაუხსნა ტუჩები და ჩუმი, მიმჭრალი ხმით, ისე მიღუღული- ხმით, თითქოს შორიდან ისმისო, ბუტბუტი დაიწყო:

— მე სად ვეძებდი და დახე თურმე სადა ყოფილან... აგერ პატარა ეთერი მოფრინავს...

თებროს გააქრეოლა, მას ეგონა მეც დავინახავ ჩემს გოგონას, იქნებ ჩიტოვით შემოფრინდეს ფანჯარაშიო.

მკითხავი კი განაგრძობდა: — აჰა, მოფრინდა და უფალს ჩამოაჯდა მხარზე... არა გრცხვენინან გოგო, დედაშენი არ გეცოდება? აი ლევანაც მოფრინავს... დახეთ, ხალხნო, ისიც უფლის მხარზე შემოაჯდა... ამიტომაც არ შეგარჩინათ ღმერთმა ეგ შვილები... თურმე ანგელოზებად უნდოდა, თურმე თავისთვის უნდოდა... აბა ასეთ კარგებს, ასეთ ღამაზებს უფალი რათ გააჩერებდა ამ ცოდვილ მიწაზე. დახე, როგორ ეალერსება უფალი, ახლა კალთაში გადაუსხდნენ და ქედნებივით შეღულღუნებენ... რა სინათლეა, ადამიანებო, თვალები მეწვება, თვალები... ნუ გაიხედამ, ბიჭო, გაბრი, ნურც შენ, გოგო, თებრო, ნუ თქვენი ჰირიმე... აგრემც ფეფენა გენაცვალებათ!..

მაგრამ ვახედვის თავი სადა ჰქონდათ საცოდვეებს — ისინი, შეშინებულნი, გამკრთალნი, ფერდაკარგულნი, ტირილ-

საც კი ველარ ჰბედავდნენ. გაოგნებულნი შესცქეროდნენ მისანს...

— შეეხვეწე შენი ჰირიმე... ნახევარ ჩემს ქონებას შენ შემოაგწირავ... ოღონდ მიშველე... ერთი შვილი მომცეს...

— მოიცა გაბრო, მოიცა ბიჭო!

და კიდევ დიდხანს ელაპარაკა უფალს, დიდხანს ეხვეწა, მაგრამ ცოლ-ქმარი აშკარად ატყობდა, რომ ეს მიწიური გულთმისანი და ის ზეციური უფალი — ვერ შეთანხმდნენ; ეტყობოდა, აღარც იმ შვილებს ანებებდა ღმერთი გაბრიელს, რომელნიც ვინ იცის იქნებ მომავალში დაბადებოდათ ჯერ ისევე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს... შერე დაღლილმა მკითხავმა ამოიოხრა და გაბროს მოუბრუნდა:

— გახმეს ეს ჩემი ენაბირი, შვილო... ვერ გეტყვი, რაც იმან მითხრა, — და თითოთ ცაზე აჩვენა, — არაფერი არ მინდა შენი... და ვერც გიშველე, შვილო... უარზეა უფალი...

— შეეხვეწე, შენი ჰირიმე... კიდევ შეეხვეწე... მთელი ჩემი ქონება შენი იყოს... მეც ყმად დაგიდგები...

მკითხავმა ისევ მილულა თვალები და ბუტბუტი დაიწყო. ჩანდა არაფერი გამოდიოდა და თითქოს ბრაზიც მოერიო, იმ კაცთათვის უხილავს, მარტო თითონ რომ ხედავდა, ჯერ საყვედური უთხრა, შერე ჩხუბიც დაუწყო:

— ნუ მიგყავს, ნუ, შე ბოროტო შენა, ეგ ბავშვები... (გაბრიელსა და თებროს უარესად შეუწუხდათ გული, ეს ხომ ღვთისგმობა იყო), აღარ დაგანებებთ, არა, ჩვენს პატარებს, ნუ გვიგზავნი ბედისმწერლებს, აგრემც ჩაქვეულხარ ბნელ ჯოჯოხეთში!..

მკითხავი დაღლილი მობრუნდა. ის უკვე ტიროდა.

— რა ექნა შვილებო, არაფერი არ გამოდის...

— შენი ჰირიმე, გვიშველე რამე...

— კარგი! — ჩამოიფაფრა უცებ დედაკაცი, სახეშეშლილი წამოხტა და წამოიძახა, — ღვთის გზით არ გამოდის, სატანას გზას დავადგები... ეშმაკის კერძი გავხდები, ოღონდ შენ გაჯობო, შე ბოროტო, შენა! — გაურისხდა ისევ მა-

მალმერთს, და მერე ცოლ-ქმარს მოუბრუნდა, — წადით ახლა სოფელში... ახლავე წადით... შეილი რომ გეყოლებათ, თუ გინდათ რომ შეგრაჩეთ, არ მონათლოთ... მირონი არ დაეინახო იმის უბღბუხე. სახელიც... ურჯულოს სახელი დაუძახეთ... — და მერე ცისკენ მიაპყრო თვალი და იქ ვიღაცას დაემუქრა: — ეგეც შენ! ახლაც წაიყვან ანგელოზად ურჯულოს, მოუნათლავს?!.. წადი და ახლა. სადაც შენი დაიკვებო, ფეფენა მკითხავის სახელიც იქ ასხენე... — შეუთვალა მამალმერთს ფეფენამ და ისევ

გაოგნებულ ცოლ-ქმარს მოუბრუნდა — აბა რა მექნა, გენაცვალეთ ან ღმერთსაც გადავუღმე თქვენი გულსიყვანება... ლიან კარგები არიან და ანგელოზებად მჭირდებიან... დაე, ახლაც წაიყვანოს!.. როცა გაბრო გონს მოვიდა, ლაპარაკი უკვე გასამრჯელოზე იყო. კაცი აქედანვე გააყოლა მკითხავმა და. ორთულის მთაზე ათი ცხვარი გადაუთვალა იმ კაცს გაბრომ... ერთ წუთსაც არ დანანებია თავისი ქონება. ასე გაპყიდა ფეფენამ მამალმერთი ათი სული ცხვრის ფასად.

თავი მხუთე

ამ ამბების მერე ორმა წელმა გაიზინა, მაგრამ სოფელში ჯერ უეკლესიოდ ბაეშვი არაგვის გაენათლნა. მაინც ერიდებოდნენ ღვთის განრისხებას.

იმ დილით ალექსი სოფელში რომ გამოვიდა, მოედანზე ხალხი დაინახა. ნესტორაც იმაში იყო, საქმე ჰქონდა მასთან და იქით გაემართა. არ გასულა წუთი და გაბრიელიც გამოჩნდა... როგორც კი მოახლოვდა, ხმაური ატყდა, რაღაცას ულოცავდნენ.

თურმე წუხელ გაბრიელის ცოლს ვაცი შესძენოდა.

მესამე შეილი! როგორ არ უნატრონ გაზრდა და გახარება, კარგი დღე და წუთისოფელი!

ალექსიმაც მიულოცა.

— ეჰ, უყრსმათო კაცი ვარ, — ამოიხიზა გაბრომ მილოცვაზე და გაჩუმდა.

საწყალ კაცს გული ჰქონდა გატეხილი, ვაი თუ ესეც წამართვას სიკვდილმა, როგორც ზგისი და-ძმა უდროოდ გამოაკლდნენ მზესაო. ამიტომ გულსავეს და უღრუბლო არ იყო იმისი სიხარული. ალექსის შეეცოდა, რით ვანუგეშო, რა ვუთხრაო, გაიფიქრა და უცებ წამოიძახა:

— ნუ გეშინიან, გაბრო... ჯერ ხომ აქამდე მკითხავის გარდა რჩევა არაგვისაგან მივიღია. ახლა ექიმი უკვე გვყავს სოფელში, ვანომ ჩამოიყვანა. გავასინჯოთ... დაე თავიდანვე თვალი დაიჭიროს... შენ ახლა ნათლობაზე იფიქრე.

ნათლობის ხსენებაზე გაბრო შეეყოყმანდა. ალექსი კი აღარ ეხსენებოდა.

— მოდი, მე და იმ ექიმს მოგვანათვლინე ეგ ბიჭი!

გაბრო ჩაფიქრდა, მერე ღიმილმა გაუნათა სახე და ხუმრობით უთხრა:

— ჰო, კოდაზე მკითხავმა ესე მირჩია — თუ გინდა შეილი შეგრაჩეს, ურჯულოს უნდა მოანათვლინო... შენზე ურჯულო ვინდა იქნება, ხატი შენ არა გწამს და ღმერთი!

— გაბრო, ნუ ხუმრობ — ჩასძახოდა ნესტორაც — ალექსის ძმო, მადლიანი ხელი აქვს... აი, მეც მაგან გამნათლა... ცხრაშეტი წლის ბიჭი ვიყავ და მეორედ გამნათლა.

გაბროს გაეცინა — ბიჭო, რაღა დროს შენი ნათლობა იყოო, მერე ისევ ის გაახსენდა, ექიმი რომ ნათლიად დაუსახელეს, ერთ წუთს ჩაფიქრდა, მერე დაიძახა:

— თანახმა ვარ! დაჰკა ხელი! — მარჯვენა გაუწოდა, ალექსიმაც ხელი შეაგება.

— ნესტორ, გასკერ — სთქვა გაბრომ. ნესტორმა გასკრა. პირობა შეკრული იყო. ვანომ ბევრ სხვა რჩევასთან ერთად ისიც უთხრა ახალგაზრდებს: ეცადეთ, იქნება ერთი ახლებური ნათლობა მოაწყოთ, უმღვდელოდ და უეკლესიოდ. ჰოდა, ახლა შემთხვევა ეძლეოდა. ერთი ხმა ჩასძახოდა ალექსის — კიდევ არაფე-

რო დაემართოს იმ ბავშვსაც და შენ არ  
დებგრაღდესო, მაგრამ ამასაც ანგარიში  
აღარ გაუწია. რახან რისკია, რისკი იყოს!  
კომკავშირელები სიხარულით ცას  
ეწეოდნენ, არ იცოდნენ როგორი იყო ეს  
ახლებური ნათლობა, არსად ენახათ, მა-  
გრამ გაგონით კი გაეგონათ.

ქიზიყში ისინი პირველები იქნებო-  
დნენ.

როცა ექიმი მოპვეარეს, მან დიდხანს  
სინჯა ბავშვი და თქვა — ყოველმხრივ  
ჯანსაღიაო; ამას მოჰყვა ახლებური ნა-  
თლობაც. დასაწყისში ალექსიმ მოკლე  
სიტყვა წარმოთქვა: ჯერ ზიზღი გამო-  
უცხადა მსოფლიო ბურჟუაზიას, დაჰგმო  
მისი ოინები, მერე რელიგიაზეც დაიწყო  
ლაპარაკი, მერე შეეხო ახლებურ სამო-  
ქალაქო ნათლობას... ამერიიდან ასე  
იწარმოებს ახლადდაბადებულთა აღრი-  
ცვა და ამ აღრიცხვის წიგნში პირველი  
ჩაიწერება ჩვენი დღევანდელი ნათლუ-  
ლო.

უცებ გაახსენდა, რომ სახელზე არ  
უფიქრიათ. გაბროს მიუბრუნდა:

— სახელი რა ჩავწერთ?

გაბრომ ცოლს გადახედა და მან თვა-  
ლებით რაღაც ანიშნა.

— იცი, ალექსი, — გაუბედავად და-  
იწყო გაბრომ, — თრიალეთში, მწყემსად  
რომ დავედიოდი, ერთი კარგი ძმაკაცი  
მყავდა, თათარი იყო, ისმაილა ერქვა სა-  
ხელად... ისეთი ვაჟკაცი იყო, სულს არ  
დაუჰკერდა კაცს... იმის მოსაგონებლად  
ეგ სახელი მინდა დავუძახო...

და ისევე თებროს გადახედა, მან ლიმი-  
ლით დაუქნია თავი.

— ძალიან კარგია! — დაუდასტურა  
ყველამ. რა იცოდნენ, რომ ეს გულუბრ-  
ველო ცოლ-ქმარი ახალ წესზეც მიდ-  
ოდნენ და არც ფეფენას დანაბარებს  
იფიწყებდნენ — მაჰმადიანის სახელი და-  
უძახეთო.

თამრომ აღრიცხვის ახალი სუფთა წი-  
გნი გადაუშალა და პირველ ფურცელზე,  
პირველი ნომრის გასწვრივ ჩასწერა ახა-  
ლი მოქალაქის სახელი, გვარი, დაბადე-  
ბის წელი...

უცებ წამოსვლას აპირებდნენ, როცა

გაბრომ ნათლიას სახელოში ჩაელო/ხე-  
ლი.

— ახლა თითო ლუკმა ჩავუტყუოთ...  
ეს აღარ იცოდნენ, შეჰფეროდა თუ  
არა ქეიფი ახლებურ ნათლობას. ეს ხმა  
ხომ სოფელს მოედება და ვაი თუ ამან  
ჩვენს გამარჯვებას ჩრდილი მიაყენო-  
სო — გაიფიქრა ალექსიმ, ამიტომაც გა-  
ბროს უთხრა:

— არა გაბრო, საწყენად არ დაგჩენს  
და უნდა წავიდეთ...

— რას ამბობ, ბიჭო! ქოსმენი ტყუი-  
ლად დამაკვლევინე? რომ მომკლა, პე-  
რის უქმელად არ გაგიშვებთ!

და მერე ცოლს მიუბრუნდა:

— დედაკაცო! გაშალე სუფრა!

ლენის ლაქებითა და ზედ ამოკრილი  
ჩიტებით მოწინწყლული სუფრა უმაღ-  
ლაი გაიშალა.

და ახლებურ ნათლობას ძველებური  
ქეიფი მოჰყვა.



ამბობენ, ჩამოხრჩობილის ოჯახში  
თოკი არ უნდა ასხენოს კაცმაო.

ამ მონადიშეთა შორისაც იყო ასეთი  
საჩოთირო და ძნელად სახსენებელი სი-  
ტყვა...

ეს იყო სიტყვა — ობიუმი.

მართალია იმ მარცხიან კრებაზე ალე-  
ქსიმ ეს სიტყვა განმარტა, მისი საერთო  
აზრიც იცოდნენ, მაგრამ მაინც არ ავი-  
წყებდობათ, რომ სწორედ ამ ობიუშზე  
დაიწვეს ხელი.

და აი უცებ, ნათლობის შემდეგ ხუთი  
წუთი არ იყო გასული, როცა ექიმი ქა-  
ლი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა, ერთ-  
ხანს ბოსტანს უცქირა, მერე მობრუნდა  
და სთქვა:

— რათ გინდათ ამდენი ობიუმი? ბავ-  
შვებს აძლევთ? ნაპრასნო ვი ვერ დელა-  
ეტე! მას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.  
საკმარისია გადააპარბოთ დოზა და ბავ-  
შვი იღუპება!

თებრო გაოგნებული სახით უსმენდა  
ექიმს.

— არა, ბავშვებისათვის არაფერიც არ.





მიგვიცია! — ძლივს წამოიღულღულა გაოცებულმა გაბრომაძე.

— მაშ რად გითესიათ ამდენი? — ისევ იკითხა ექიმმა.

— სად გვითესია? — იკითხა გაცბუნებულმა გაბრომაძე.

— აგერ, ბოსტანში... — წარმოსთქვა ექიმმა.

სტუმრებიც დაიბნენ, ვერაფერი გაიგეს, თითქოს ეს ქალი ქართულზე კი არა, რაღაც სხვა ენაზე ლაპარაკობსო. ამიტომ ხმა ვეღარ ამოიღეს.

— რა გაოცებული მომჩერებიხართ, — განაგრძობდა ექიმი, — აგერ, გახედეთ ფანჯარაში, რამდენი საძილე ყაყაო ღვას. მგონი აქ ხაშხაშს ეძახიან... მაგას საძინებლად აძლევენ ბავშვებს, მაგრამ საკმარისია დოზა გადააქარბოთ, ბავშვი ფითრდება, თვალები ჭინძისთავივით უწვრილდება, მერე კრუნჩხვა ეწყება და თავდება კიდევ...

გაოგნებული უსმენდა თებრო და ახლავდა ახსენებოდა, რომ იმ პირველსაც, პატარა ეთერისაც, როცა ცოლ-ქმარი ვენახში წასვლას აპირებდნენ, ღრმად დაიძინოსო, და მეორესაც, ლევანსაც, იმ სამახსოვრო კრების დღეს ბლომად მისცეს ეს დაწყველილი ხაშხაში... სწორედ ასეთი თვალები გაუხდათ, ეს ქალი რომ ლაპარაკობს... თურმე დედის ხელით... ფიქრშიც კი ვეღარ გაბედა ეს აზრი დავითაერებინა... და ქმარს შეხედა. გაბრომაძე გაფითრებული იყო, ეტყობოდა ისიც ყველაფერს მიხვდა, გადარეულივით წამოხტა, კარი კი არ გამოაღო, თითქმის გამოვლიჯა, ბოსტანში შევარდა, კვლები გადათქერა, ბლუჯა-ბლუჯა ჰგლეჯდა ხაშხაშის ნაყოფს, პირში იყრიდა, დიდი ხნის მშვიერივით, დასარბებულ-

ვით ლეჰავდა, სქამდა და თან მოსთქვამდა:

— ბარემ, მე მომკაღმტვერეთო, იმათ რას ერჩოდო...

ყველანი ვარეთ გაცვიდნენ, გაბრომაძეს დააწყნარეს და სახლში შემოიყვანეს.

მძიმე დუმილი იდგა ოთახში, მარტო პატარა ისმაილა ღულუნებდა აკვანში და აკვნის ხილზე დაკიდულ მძივს ეთამაშებოდა.



მას მერე ოცდახუთმა წელიწადმა გაიბრბინა... და აი ის პატარა ისმაილა ახლა შოფერია, მანქანა რომ ჩამოიტანა დღეს თრიალეთიდან, იმ მიდამოებიდან, სადაც ოდესღაც ფეფენა მკითხავი ამოდ ებრძოდა ქვეყნის დამბადებელს, რომ ამ ბიჭის სიცოცხლე გადაერჩინა.

ის გაბროც აქ არის, ამ ეზოში ტრიალებს; შებერებულია გაბრიელი და შიკრიკადაც ამიტომ გაუშწესებიათ.

ის პირველი კომკავშირელიც ახლა თავმჯდომარეა და ეფრემაც ბულაღტრადა ჰყავს, ახლა ეზოში რომ ფუსფუსებს და კანტორის მოხუც შიკრიკს არიგებს:

— მეორეჯერ აღარ გამიბედო! რაიკომიდან კაცია ჩამოსული და რას იფიქრებს, შეუგნებლები არიანო, იტყვის... ახლა აგერ, ბიჭი ჩამოგვივიდა მთიდან... მალარიჩი უნდა იკისრო... საღამოსთვის ერთი კარგი სუფრა გაშალე!

გაბრიელი შეჰღიმის, თანხმობის ნიშნად თავს უქნევს და ორივეს გულიანად ეცინებათ.



## მეტიზღება\*

სალამო იყო. თამარს კარფანჯრები გაეღო. შუქი აენთო. საგარეოდ შორ-თულ-მოკაზმული კართან იჯდა, სკამსა-ქანელაზე.

ავდრის შემდეგ დაწმენდილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა და აიენის მოაჯირ-ზე სხივდაკრულ ბროლივით აკიაფე-ბულ წვიმის წვეთებს აქქერდებოდა. თითქოს რაღაც უმაღლესზე და უღია-დესზე მოუთხრობდნენ წვიმის ანკარა წვეთები, მაგრამ ხანდაყოფნებით ეს წვეთები ცრემლებივით წყდებოდნენ რკინის მოაჯირს, ეცემოდნენ, იმსხვრე-ოდნენ, ქრებოდნენ. და თამარმა წარმო-იდგინა, რომ სურათი, რომელსაც ხე-დავს, მის საკუთარ ცხოვრებას ჰგავს. ყველა მისი იმედიც წვიმის წვეთებივით იმსხვრევა და იფანტება. ქუჩაში წვიმი-თ დამფრთხალი ხალხი გროვდებოდა, ხმას იმაღლებდა, ჯღურტულებდა, ჩოჩქოლე-ბდა, თამარი კი მთელს ქვეყნიერებაზე შემომწყრალი ქოტივით ზის აქ მარტო-კა და დაღამებას თითქოს იმიტომ ელო-დება, რომ სხვებს ძილი დაუფრთხოს. მაგრამ ავერ, ეს დროც მოვიდა, ზარის ხმა გაისმა. თამარი შეირბა. „მოვიდა“, წამოიძახა და კარს მიაშურა. გააღო თუ არა, უმაღ გენრიეტას სიცილი და ძახი-ლი შემოესმა:

— მომილოცე, ველირსე, გადაერჩი! ქვეყნიერება, საფრთხე აღარ მოელის, თამარი!

გენრიეტამ ხელები გაშალა და ოთახ-

ში შემოიჭრა. მერე მის უკან შემოსულ თამარს მიუბრუნდა და მოეხვია.

— რა მოხდა, რამ გადაგრია, ასე რამ აგშალა, გენრიეტა, მოსალოცი რა უნდა იყოს?

— მოკვდა! ჩემმა ქმარმა წუხელ წაი-ლო წერილი! ჰა, ჰა! — იცინოდა გენ-რიეტა.

— ქმარი მოგიკვდა და შენ იცინი?

— რას ამბობ, თამარი, ახლა უბატო-ნოდ ხმას ვერაფერს გამცემს. ქმარი მოკვ-და, მე კი გავცოცხლდი! ახლა ჩემი ქმრის სურათს შავებით შევსუდრავ. გულზე გავიკეთებ და ყველა ჩემს კლი-ენტს მოვინახულებ. ვერცხვი: დასტკბით, გაიხარეთ, ჩემი წინასწარმეტყველება უკვე აღსრულდა, თქვენი დასმარება ცოცხალს მივახმარე, მკვდრისათვის კი არაფერს გთხოვთ-მეთქი. — მივახლი და ყველას ხმას ჩაუწყვეტ... შექარივით ტკბილი კაცი იყო ის უბედური! დიდე-ბა მის კეთილ გზას! „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

სიცოცხლეში თუ გავამწარე, საიქიო-ში მაღლობას ვერცხვი!

— იცი, რა, გენრიეტა, მამაკაცები მეც შევიძლე, მაგრამ თუ სიკეთეს ბო-როტად გადაუხდი, ბოროტებას რა პა-სუხს გასცემ?

— პასუხი ერთნაირი იქნება! — უთხ-რა გენრიეტამ, ტაში შემოკრა, მერე უეცრად შუბლზე იტყია ხელი და წა-მოიძახა:

— მართლა, თამარი, იცი, რა მომხდა-რა?

— რა?

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6, 7.

— მოსალოცი შენა გაქვს! ისიდორე რუსეთში მიემგზავრებაო და, როგორც ჩანს დიდი ხნით. ეტყობა, შენთან შეხვედრას ველარ გაუძლო და ფრთები გაშალა; სიყვარულმა შორს გადააფრინა.

წინააღმდეგ გენრიეტას მოლოდინისა, თამარი გაფითრდა. მერე თითქოს დაკმაყოფილებული ბოროტების ელვარებაც გაჩნდა მის თვალბში, თუმცა სახე ეცვლებოდა; ქალღღივით გათეთრებულ ლოყებზე ხელი ჩამოისვია, გენრიეტას სახე შოარიდა და მოიხარა.

გენრიეტა გაოცებული მისჩერებოდა.

— თამარ, რა მოგდის, არ გიხარია?

თამარი ღუმლა.

გენრიეტასათვის გაუგებარი იყო, ასე რამ შეაწუხა თამარი. ვინ იცის, თამარს იქნებ ის აწუხებდა, რომ ისიდორე ისე გაექცა, სამაგიეროს გადახდა ვერ მოასწრო. იქნებ სხვა მხრივ ვერ ურიგდებოდა ისიდორეს ასე მოულოდნელად გამგზავრებას!

მაგრამ, კერძოდ, „რა მხრივ“, ახლა თამარს არ შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მისთვის ერთი რამ მაინც აშკარა იყო: ისიდორე უნდა ეწამებინა, მაგრამ მაინც მასთან ახლო ყოფნას ამჯობინებდა. ახლა კი გაექცა, თითქოს მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველი დატოვა და თამარმა აღარ იცის, ვის შეებრძოლოს, ვისი გამწარებით დაიტკბოს გული.

„ალბათ, გენრიეტა მატყუებს. შეუძლებელია, ისიდორემ ჩემი გულისათვის თეატრი დატოვოს“, — ფიქრობდა თამარი.

თამარ, მომხედე, პირს რად მარიღებ? კიდევ ერთი რამ სასიხარულო!

— რა? — თვალები შეანათა თამარმა.

— კურსების საქმე გაგინარხე! დაჯექი ახლა და უკაყუნე, რამდენიც მოგეხასიათება!

— დამცინი, გენრიეტა!

— არა, შენ კი არა, ჩვენს უბედობას დაცინი, თამარიკო! მაინც ვნანობ; რომელ მამაკაცამდეც ეს გაფშევილი ხელი მიმიწვდება, მარწუხივით ყელში წავე-

ჭერ და, სანამ არ წავალრჩობ არ მოვეშვები! ასეა, მამაკაცებზე ყველაფერი ახია!

— ველარაფრით გამაკვირვებ, გენრიეტა, ყველაფერს შეეჩაჩვიე თვალი და გული. შენ ის მითვისარი, კურსებზე როდის უნდა წავიდე?

— ხვალ. გათენდება და შენი მანქანა ამუშავდება.

— კარგი. თანახმა ვარ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადაუგლო თამარმა და თითებს დააჩერდა, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, გაუძლებდნენ თუ არა ეს ნასათუთარი, მარმარილოსავით თლილი თითები საბეჭდ მანქანას.

ზარმა გაუბედავად გაიწკრიალა.

— აჰა, მოვიდნენ! — წამოიძახა გენრიეტამ და კარის გასაღებად გაიქცა. კარი რომ გაიღო, წამოიძახა:

— ააა, ვინ მოსულა! გივი, ძვირფასო! კეთილი იყოს შენი გამოჩენა! მობრძანდი, მობრძანდი!

გივი შემოვიდა, თავის ოდნაეი დაკვრით მოკრძალებულად მიესალმა ქალებს და მაგიდაზე საჩუქრად მორთმეული კოლოფი დადო. ერთში სუნამო იყო, მეორეში — ტორტი.

თამარმა ხელი ჩამოართვა სტუმარს, მაგრამ მის სახეზე სიხარულის არავითარი ნიშანწყალი არ გამოჩენილა.

— დაბრძანდით. რატომ შეწუხდით, — ისეთივე არაფრისმთქმელი ღიმილით უთხრა მან უამისოდაც შეფაცლულ ვაჟს.

გივი დაჯდა. შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე აკიფებულ იფლი მოიწმინდა.

— დაიღალე? ასეთი გულუხვი სტუმარი რომ მეწვიოს, ოფელს თვითონ მოეწმენდლი, — თითქოს სხვათაშორის თქვა გენრიეტამ და გივის მიერ მოტანილ ნობათს მივარდა, — საოცარი სურნელებაა, ადამიანს კი არა, კამეჩს გააბრუებს! — წამოიძახა მან, როცა სუნამოს კოლოფი გახსნა და ახლა ტორტს ახადა თავი, — აი, ეს მესმის! ნეტავი ტორტია ეს თუ ყვავილი? ბარაქალა, გივი! გემოვნება დიდი გქონია! როცა ეს

ტორტი პირში დადნება, გულსაც დაა-  
დნობს!.. მაგრამ სევერიანი სადღაა,  
გივი?

— არ ვიცი, — მოკლედ, თანაც თით-  
ქოს უკმაყოფილოდ მიუგო გივიმ.

— ახლო მეგობრებმა ერთმანეთის  
კვალი დაკარგეთ? — ეშმაკურად ჩაუქრა  
გენრიეტამ და პასუხის მოლოდინში მარ-  
ცხენა თვალი მოკრულა.

— ჩემი გზა მე ვიცი, — ყრულ უთხრა  
გივიმ და სუფთად გაპარსული შემრგვა-  
ლებული ლოყები გაუწითლდა. ის უხ-  
ერხული მღვთმარობიდან ისევ ზარის  
წყრიალმა გამოიყვანა. გივიმ გაიფიქრა,  
ალბათ სევერიანე მოდისო, და რაღა  
ექნა, აღარ იცოდა. მან ხომ აქ მო-  
სვლაზე ეჭვი გამოთქვა? ახლა კი დაას-  
წრო მეგობარს და პირველი მოვიდა.  
ლოყებზე მოდებული ალი გაუძლიერ-  
და მთელ სახეს მოედო. ყურებიც სისხ-  
ლისფრად გაუხდა. „მაგრამ სევერიან-  
მაც ხომ იცუღლუტა, დაემთანხმა, მოსვ-  
ლა არ ღირსო“. — გაიფიქრა გივიმ, თა-  
ვი ამით ინუგეშა და ოდნავ დამშვიდდა.

— აჰა, სევერიანიცი! — წამოიძახა გა-  
ხარებულმა გენრიეტამ და კარისაკენ  
გაიქცა.

— მობრძანდით! — ამის თქმა მოას-  
წრო გენრიეტამ და გაგრძელება თავშე-  
უკავებელმა სიცილმა შეაწყვიტინა.

სევერიანიც სწორედ ისე, როგორც  
გივი, ორივე ილიაში კოლოფგამორჩი-  
ლი, შემცბარი შემოვიდა ოთახში და გი-  
ვი რომ დაინახა, უეცრად შედგა.

— გამარჯობათ! — რაღაც უხერხუ-  
ლად თქვა, მერე მაგიდაზე გივის მიერ  
მოტანილი ორი კოლოფი დაინახა. რაც  
მთავარია, ისიც შენიშნა, რომ ერთი კო-  
ლოფი ფერიტაც კი ისეთი იყო, როგო-  
რიც მან ეს-ესაა მოიტანა. მიხვდა, ნობა-  
თი გივის მოტანილიაო და სირცხვილმა  
დასწვა.

— რა ამბავია, პარფიუმერიის მაღა-  
ზიას ხომ არ ხსნით აქ? — წამოიძახა  
გენრიეტამ, მაგრამ ვაყები რომ უხერ-  
ხული მღვთმარობიდან გამოიყვანა, გა-  
ამხნევა: — ნუ გეშინიათ, კოლოფები თუ

ერთნაირია, სამაგიეროდ, შიგ სხვადა-  
სხვა რამე დევს. ერთში ტურტუა, მეო-  
რეში კი... მოიცათ, ვნახეთ!.. ჩემი მისაჩე-  
ში ლიკიორები... თქვე კი კაცებო, ერთ-  
მანეთს ვეღარ შეუთანხმდით, ვინ რას  
მოიტანდით? — იცინოდა გენრიეტა.

ერთი წუთიც და — სევერიანს სიცი-  
ლი წასკდა. მას ჯერ თამარი, მერე ძალა-  
უნებურად გივიც აპყვა და ოთახი სი-  
ცილ-ხარხარმა და გენრიეტას კისკისმა  
აავსო.

მაღე გამონახეს საერთო ენა, ბაასი  
გააბეს. ქალებმა ჩაი გაამზადეს, სუფრა  
გამალეს, დასხდნენ და ლიკიორიც ზედ  
მიაყოლეს ჩაის.

— შესანიშნავია, პირში კი არა, ტვი-  
ნში იღვრება! — ძიახდა გამხიარულბუ-  
ლი გენრიეტა.

თამარი ეშმაკობდა, ისე მოხერხებუ-  
ლად აღუნებდა ხოლმე გულს ხან ერთ,  
ხან მეორე ვაყს, რომ მისმა ხელოვნებამ  
გენრიეტაც კი გააოცა.

ზეიმობდა გენრიეტა. მას ყოველთვის  
ახარებდა, ნეტარებას ჰგვრიდა მამაკა-  
ცების გაღიზიანება, ურთიერთისადმი  
წასისინება და გამწარება.

— მორჩა, გათავდა, თამარიზა ზურგი  
შეგაქცია, გიღალატა და გიჯობს, თავი  
მოიკლა. — წასჩურჩულებდა გენრიეტა  
იმ ვაყს, რომელსაც თამარი მოაკლებდა  
თავის ყურადღებას და მომწუსხველ  
ღიმილს.

თვითონ თამარი კი თავს ისე იჭერდა,  
თითქოს არაფერი ესმოდა, რასაც გენ-  
რიეტა მის მიერ უყურადღებოდ მიტო-  
ვებულ ვაყს ეუბნებოდა. დიახ, მამაკა-  
ცების გათამაშებით გენრიეტა ყოველ-  
თვის ხარობდა, თუმცა ახლა გრძნობდა,  
ასეთ გათამაშებას თვითონ უკვე ვეღარ  
შეძლებდა, მამაკაცების გულში იჭვი-  
ანობის ცეცხლს ვეღარ დაანთებდა, მაგ-  
რამ თამარი რომ წარმატებით ასრულებ-  
და მის როლს, გენრიეტაც უზომოდ გა-  
ხარებული იყო.

— ვაშა, თამარი! მე შენში დაეიბა-  
დე! — გაკიოდა იგი და ალტაცების გა-  
მოსახატავად ფეხებს აბაკუნებდა.

ვაყები მორიგეობით ხარობდნენ ან

გულზე სკდებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვის მიუალერსებდა, გაუღიმიებდა ან ზურგს შეაქცევდა თამარი.

მაგრამ ამ თამაშის სასწორი საბოლოოდ არც ერთი, არც მეორე ვაჟის სასარგებლოდ ან საზიანოდ არ იხრებოდა. ეს უფრო აღელვებდა, აღიზიანებდა, აბრაზებდა და ამწარებდა მათ. და ამ საშინო თამაშის მიხედვით სივდებოდეს ან მშვიდდებოდა ვაჟების გული, ორივეს დიდი სურვილი ჰქონდა, ამ ორკოფულ მდგომარეობას გააქცეოდა, მაგრამ საბოლოო განაჩენის გამოტანის უფლება მხოლოდ და მხოლოდ თამარს ეპყრა ხელთ.

თამარის განაჩენი კი ჯერაც არ ჩანდა.

ვაჟების აზრით, თამარი განაგრძობდა არჩევანს, რომ უფრო ღირსეულისათვის ან მისთვის უფრო შესაფერისათვის ჩაებარებინა თავისი უმანკო გული. და ვაჟებს მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა დაეცადათ, მოეთმინათ, გაეძლოთ, დაეპირათ გამოტეხა თუ გამარჯვების მოპოვება ეწადათ.

თამარი ზოგჯერ ისე გაერთობოდა მოჩვენებითი ტრფიალებით, რომ ავიწყდებოდა თავისი მდგომარეობა და არავულწრფელი, მზაკრული განზრახვა. მაშინ კინაღამ მის მიერვე დადგენილი საზღვრის იქით შეტრიავდა ხოლმე, მაგრამ მაღე თავისთავს უბრაუნდებოდა და უბრაუნდებოდა; წამსვე სახეც შეეცვლებოდა, თვალეზში რაღაც მიჩქმალული მტრობა გაუელვებდა და ბუნებრივი გზით წასულ გრძნობას თავის გულში თვით ჩაახშობდა. ამიტომ არც მისთვის იყო აღვლილი ახალგაზრდა ვაჟების გრძნობებთან თამაში და იმ როლის შესრულება, მან რომ იცისრა, რადგან მას უხდებოდა ბრძოლა არა მარტო შეურაცხყოფელ „მამაკაცებთან“, არამედ თავისთავთანაც. მაინც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ევლო ამ გზით და, რაც შეეძლო, დაეჩაგრა, დაემცირებინა, ფხუკვემ გაეთელა ყველა, თუნდაც მის წინაშე უდანაშაულო მამაკაცთა თავმოყვარეობა და მათი ნამდვილი გულწრფელი გრძნობაც. ამ სიძულელიისა და მტრო-

ბის გრძნობა ზოგჯერ ისე ძლიერდებოდა, რომ, რაც გულში ჰქონდა, ყველა იყო, ხმამალა წამოეყვირა და ამხრამამ რამ მას გამწარებამ თავდაპყრა ასწავლა. მყისვე ქალური სიფრთხილე მოუსწრებდა და პირზე მომდგარ სიტყვას გამოტაცებდა. მისი ამგვარი საქციელი სხვებს რომ უცნაურად არ მოსჩვენებოდა, გაიღიმიებდა, თითქოს ამით მოძალებულ ვნებათა დელვას იოკებდა.

ასეთი ორმავი ბრძოლა თუ თამაში იმ საღამოს კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მას არც თამარისათვის, არც ვაჟებისათვის შვება არ მოუტანია.

ამით მარტო გენრიეტა ხარობდა, სცენაზე გამოსულ გმირთა ერთადერთი მაყურებელი.

როცა ვაჟების წასვლის დრო მოახლოვდა, ალკოჰოლის წვეთებით გაღიზიანებული თამარის ტვინი და გული ძველ ჩარჩოებში ვეღარ ეტეოდა, ხელოვნურ საზღვრებს გადალახვით ემუქრებოდა და თამარი ძლიეს იკავებდა მღელვარებას.

ამავე გამაბრუებელმა წვეთებმა გაათამაშა, სიტყვამრავალი გახადა ვაჟებიც და თამარის ორკოფულ ქცევასაც მწვავედ განიცდიდნენ ისინი.

ახლა გენრიეტა მთლად გადაიჩია. მისი შესვენება აღარ იყო. მღეროდა, თამაშობდა, ტანსაც თვითონ უყრავდა, ხან ერთს, ხან მეორე ვაჟს გამაღიზიანებელ სიტყვას ესროდა, თვითონ თამარსაც კი აქეზებდა, ცეცხლზე ნავთს ასხამდა, ავარდნილ აღზე ხელსაც ითბობდა.

ვაჟებმა დღეს უფრო დამძიმებული ნაბიჯებით და დამძული ნერვებით დატოვეს თამარის ბინა.

თამარიც უფრო აღელვებული და მშფოთვარე დარჩა.

შეხვედრები გრძელდებოდა, თამარის თამაშს კი ბოლო არ უჩანდა. ამდენადვე ძლიერდებოდა დამაბულობის ცეცხლი, ერთი მხრივ, თამარსა და ვაჟებს შორის, მეორე მხრივ, თვით ვაჟებს შორის.

ხმელი გენრიეტა კი ყველა მიმართულებით აღვივებდა ამ ცეცხლს და მისთვის უფრო დიდი ბედნიერება ქვეყნად არ იყო. ის ახლა ცოცხლობდა ნამდვილად; მის მიერვე აწეწილ ამბებში ცურავდა არხეინად, ვით/თევზი წყალში.

ვაეები მოთმინებას კარგადნენ, მათ ძალა აღარ ჰქონდათ და აღარც სურდათ გაეგრძელებინათ უაზრო, უშედეგო, არაფრისმოქმელი მხოლოდ გამაღიზიანებელი შეხვედრები უცნაურ ქალთან.

მაგრამ, ეტყობოდა, თვითონ თამარიც დიდხანს ველარ გაუძლებდა დაძაბულ თამაშს. ის უკვე გრძნობდა, რომ მისი „მსხვერპლი“ მოთმინებას კარგავდა. ამასთან, თამარი უკვე საკმაოდ შეჩვეოდა თავის „მსხვერპლს“ და ჩამოშორებაც ენანებოდა. და გრძნობდა თამარი, რომ საზღვარს მიღწეული დაძაბულობის წუთებიც დადგა.

აგერ, თამარმა კარებში გააცილა ვაეები.

იქ უხმოდ შეჩერდნენ. ისინი კარგა ხანს უცქეროდნენ ერთმანეთს და უსიტყვოდ გრძნობდნენ, რომ თუ თამარი აი, ახლა, ამ წუთში, რაიმე გადამწყვეტ ნაბიჯს არ გადადგამდა, ვაეების გულში მოთმინების ცეცხლი ამოხეტქავდა. ამ აფეთქებას კი, ვინ იცის, რა მოჰყვებოდა; შესაძლოა, თამარის ახალი დამცილება, შეურაცხყოფა, საქვეყნოდ სახელის ახალი, სამარცხვინო გამოფენა, როგორც უსაქიელო, არაკეთილსინდისიერი ქცევის მქონე უსულგულო, უღირსი ქალისა. ყოველივე ამას ახლა თამარი კითხულობდა სახეშეფაკლული ვაეების თვალბეჭდში და თავის გულშიაც გრძნობდა იმასაც: თუ ამ დღემილს დაარღვევდა არა თვითონ, არამედ რომელიმე იმ „მსხვერპლთაგანი“, მერე გვიან იქნებოდა, ბევრიც რომ ცდილიყო, აწყვეტილ, უკვე მხეცად გადაქცეულ „მსხვერპლს“ ველარ დაიურვებდა. ამიტომ თამარი უეცრად შეიბრა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ იგრძნობოდა, მან რაღაც ახალი გადაწყვეტილება მიიღო: გვიან უეცრად ხელი გაუწოდა და წასწორდა:

— ნახვამდის, ვიცი... თქვენთან კი, სევერიან, პატარა საქმე მქვამდა გთხოვთ ერთი წუთით დასრუტოთ საქმე მათან, — უთხრა ბოლოს სევერიანს, მკლავში ხელი ჩაავლო, უკანვე დააბრუნა და, როცა შიგ შევიდნენ, კარიც მიხურა.

გარეთ, კართან გაშვებულ გვიან გენრიეტას სიცილიც შემოესმა და ქალების ვერაგული ქცევით გაჩერებული გული თითქოს აუფეთქდა. ვერ მოეფიქრებინა, რა მოხდა. იდგა სახეგაფითრებული, გაქვავებული, ცოტა კიდევ და, მან წამწამები დაახამხამა, გაუნძრევლად მიმოიხედა: სრული სიწყინარე სუფევდა ირგვლივ. ის მარტო იყო და თითქოს დაბნეულობდა, სადაც იყო... შეეცადა ფეხი მოეცვალა, სული მოეთქვა, ანგარიში მიეცა თავის თავისათვის, — რა შემთხვევა უნდა მოეფიქრებინა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მიხვდა, რომ აქ მისი გაჩერება უხერხულია და საჭიროა წავიდეს, გაექცეს სირცხვილს, დამცირებას, შეურაცხყოფას, აბუნად ავღებას. და კიბის სახელურს ჩაეკიდა. ჩაჰყვა ქვევით. ქუჩაში გავიდა. შეეცადა შინ წასულიყო, მაგრამ შეჩერდა. ვერა, აქაურობას ველარ დატოვებს, შორს ველარ წავა! ვინ იცის, რა ხდება ახლა თამარის ოთახში. ალბათ გუშინდელი მეგობარი სევერიანიც კი დასცინის მას და ყველა ერთად ხარბარებს.

„მერე, მერე რა უნდა მოხდეს?“ — ამ ფიქრმა ტყვიასავით გაიზუზუნა მის გონებაში, მთელ ტანში გააზრიალა. ქუჩაში აჩქარებული, ნერვული ნაბიჯით სიარული დაიწყო. ქოშინებდა, ხელებს აქეთ-იქით იქნევდა უცნაურად.

შუალამე გადასულიყო.

აქა-იქა გამოჩნდებოდა შეგვიანებული, თითოთროლა მგზავრი, გვიან ცურად გადმოხედავდნენ, ერთხელ კიდევ მოაბრუნებდნენ თავს და ფეხს აუჩქარებდნენ.

გვიან კი კარს დარაჯობდა. ახლო იყო თუ შორს, სულ აქეთ ეკირა თვალი. გულისძვერიფ ელოდებოდა, პირველი ვინ გამოვიდოდა იმ აჭრიდან. ახლა წუთები საათებად ეჩვენებოდა.

ნახევარ საათზე მეტი გავიდა, იმ სახლიდან გამოსული კი არავინ ჩანდა.

აგერ მეორე სართულზე კარი გაიღო, გვიმ იცნო: თამარის კარი უნდა ყოფილიყო. აი, მიიხურა კიდეც! შერე კიბეზე ისე აჩქარებული, თანაც მსუბუქი ფეხისხმა შემოესმა, რომ მიხვდა, ვინც მოდიოდა. ტყვიამფრქვევის ჯერივით მოჩქარებულმა ხმაურმა გული დაუცხრილა. სწორედ ის მოხდა, რასაც ასე გულის კანკალით ელოდა გივი. ქუჩაში გენრიეტა გამოვიდა. მამ, სევერიანი და თამარი დარჩნენ! გული აჩქარებით აუტკვრდა გივის. სუნთქვა შეეკრა. უნდოდა წასულიყო, დამალულიყო, რომ გენრიეტას არ დაენახა, მაგრამ ფეხიც ვერ მოიცივლა. სადღა გაიქცეს? მოდის მღელვარე ამბებისა და ჭორების მომტანი ფოსტალიონი და საჭიროა დაუხვდეს, უნდა გაიგოს, რა ხდება ქვეყნად! აი, მიიხედ-მოიხედა გენრიეტამ, თვალი მოავლო უკაცურ ქუჩას.

— გივი! — წამოიძახა, მაგრამ ვაჟის გაფითრებული სახე და დამრგვალებული თვალები რომ დაინახა, უეცრად შედგა.

— გენრიეტა, სადაა სევერიანი? — ყრუდ დამარცვლა გივიმ.

— სევერიანი? — აიბნა გენრიეტა, — სად უნდა იყოს, იქ არის! — თამარის ფანჯრისაკენ აიქნია ხელი მან. — არ შეგონა, თუ ასე ადრე უმტყუნებდა მოთმინება. დამარცხდა, დაემორჩილა სევერიანს. მე წამოვედი. იქ რაღა გამეკეთებინა! ასეთები ხართ კაცები, გაწყდა თქვენი ქოქი! — ოღნავ გაილიმა გენრიეტამ და თავი გადაიქნია, — ნახვამდის გივი, მე აქეთ მივდივარ.

გივი ახლა ვეღარ ხედავდა მას, მეხდაცემულივით იდგა ერთ ადგილზე. მალე გენრიეტას ფეხისხმა მიწყდა. არც ეს ესმოდა გივის. მისი მთელი ყურადღება თამარის ფანჯარაზე იყო მიღურსმული.

ამ დროს შუქიც ჩააქრეს შესასვლელში და გივის წარმოუდგა, რომ ჩაბნელებული შესასვლელი ვეშაპის ხახაა, რომელიც უახლოვდება და მის შთანთქმის ლამობს. სუნთქვაშეკრული მოსცილდა სახლს. ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა.

გულში დანთებული ცეცხლი ახლა მთელ სხეულს მოედო, თველებზედაც გადაეფარა. გივის უკვე აღარ ესმოდა სად იყო, საით მიიჩქაროდა. ხელი მოუფათურა უცხო სახლის კედელს, რკინის მოაჯირს წაეტანა, დაეყრდნო... გაიქცეს? შეუვარდეს? არა, შეუძლებელია! უფრო დამამცირებელია ეს, მაგრამ აქ როგორღა გაჩერდეს ახლა, როცა ჯოჯობეთის ფსკერი გარღვეულია და იქიდან ამოვარდნილი ალი შემოსდები! მოაჯირის ცივ რკინას შუბლიც დააყრდნო. ესამოვნა. სიცივე ოღნავად მაინც ანელებდა აალებულ გრძობას. გაიტრუნა. უნდოდა ფიქრიც გაეყინა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. ყველაფრის დაჭერა შეიძლება ამქვეყნად, ფიქრის კი არა. მისთვის არავითარი საზღვარი, არც რაიმე ზღუდე არ არსებობს. ის ყველგან იჭრება, უსასრულო სივრცეების იქით მიიწვევს, უჩინარს პოულობს, სიბნელიდან სინათლეს აჩენს...

და, აი, გივი კვლავ ჩაბნელებულ ხახას მიჩერებია. იქიდან არავინ გამოდის. ვის გაუგონია ვეშაპის ხახაში ჩავარდნილის უკან დაბრუნება? ეს მხოლოდ ზღაპრებში ხდება.

„ნეტავი რა მოხდება, სევერიანის დანახვას თუ ველირსე?“ — თავისთავს ეკითხებოდა გივი, რადგან თვითონაც კი არ იცოდა, რა უნდა მოემოქმედა. „მაგრამ სევერიანს რა ბრალი მიუძღვის? ის, რომ მაჯობა? დამნაშავე ქალია!.. არა, დამნაშავე თვითონა ვარ, ყველაფერი ჩემი სიბეცის, უსუსურობის, მოუქნელობისა და სისუსტის ბრალია“ — დაასკვნა, მაგრამ იმ აზრს მაინც ვერ ურიგდებოდა, რომ თამარს, ამ უმანკო, უმშვენიერესსა და სათნო ქალშვილს აგრე ადვილად გადაეწყვიტა „შორს წასვლა“.

„ეს შეუძლებელია! — ჩასძახა სხვა ხმამ, — გენრიეტა მატყუარაა, ბოროტი სულია და, ალბათ მაქნებებს... მაგრამ სევერიანი რომ არ გამოდის? მამ სად არის სევერიანი!“ — იმ თენდება კიდეც! მალე ხალხით აივსება ქუჩა და სადღა წავიდეს, სად დაიმალოს?..

სწორედ ამ დროს ხალათგადაცმული თამარი დივანზე იჯდა და წასასვლელად



მომზადებულ სევერიანს უძილო, მიზნე-  
დილი თვალეზით მისჩერებოდა.

სევერიანი კი უფრო მოწყენილი იყო,  
ვიდრე დაღლილი.

— აი, ზომ მიაღწიე... ახლა რას იტყ-  
ვი? განა ცუდი ცოლი ვიქნები? — რწმე-  
ნას მოკლებული, გრძნობით ევითხებო-  
და მას თამარი და, ეტყობოდა, თავისი  
ნათქვამი თავადაც არ სჯეროდა, — შენ  
ხომ მტკიცე სიტყვა მომეცი, ხომ შემომ-  
ფიცე?

— რასაკვირველია, სიტყვა მოგეცა.  
მეც ვეცდები, სიტყვა არ გავტეხო. —  
გულჩათხრბილად უპასუხა სევერიან-  
მა. მას შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო ხე-  
ლები და შიგ ისე ურევდა, თითქოს სი-  
ტყვას ჯიბეებში ეძებო. თავი დაეხარა,  
კრელი ჰალსტუხი ისე მოეშვა, როგორც  
თვითონ იყო მოშვებული, მოდუნებულ-  
ი. დაშლილი თმაც გადმოჰყროდა სა-  
ხეზე.

— აჰა, მაშ შეეცდები, არა? — სიტყ-  
ვა „შეეცდები“ განგებ გააგრძელა თამა-  
რმა, — ფიცე „შეეცდებით“ შეცვალე და  
ასე მალე? — კი არ შეეკითხა, რაღაც  
თავისთავად წარმოთქვა თამარმა და გა-  
ფითრებული სახე სიანხლივით გაუხდა, —  
არაფერია, მეც აგრე ვფიქრობდი... პო-  
და, ახლა შეგიძლია წაბრძანდე, — უთხ-  
რა და წამოდგა. მის ხმაში თავშეკავებუ-  
ლი რისხვა ისმოდა.

— დროა, თამარ, უკვე თენდება, შენ  
კი ფიქრი ნულარ გექნება. თავის ღრთზე  
ყველაფერი მოხდება.

— დიად, მოხდება. — რაღაც ირონი-  
ით წარმოთქვა თამარმა და ღერეფანში  
გასასვლელი კარი გააღო.

— დღეს, საღამოსაც შემოვალ, თა-  
მარ, გინახულებ. ერთად ვიქნებით.

— უსათუოდ, — ახლა თითქოს და-  
ცინვით და ისე მკვანებლ დაუმატა თამარ-  
მა, რაც უარს უფრო ნიშნავდა, ვიდრე  
პირობას.

სევერიანმა ამას ყურადღება არ მიაქ-  
ცია და კარიც თვითონ გააღო.

— ნახვამდის, თამარ! — ჩურჩულით  
უთხრა, დაიხარა და თავზე აკოცა.

თამარი აიღეწა, მთელს ტანში შეაზ-  
რიალა.

— მშვიდობით! — ესროლა და კარი  
ფრთხილად მიკეტა.

— მშვიდობით, კი <sup>ერკვენული</sup> ~~ერკვენული~~ <sup>მარჯალ ნახვამდის</sup> ~~მარჯალ ნახვამდის~~,  
თამარ! — ახლა უკვე გარედან მოისმა  
სევერიანის ფრთხილი ხმა, მაგრამ თა-  
მარს პასუხი არ გაუცია. ოთახში შე-  
მობრუნდა, ფანჯარასთან მივიდა. დი-  
ლის მიზნედილი შუქი მიაღდა მის სახეს.  
ყველაფერი ასევე მკრთალად და ფერ-  
მილეულად ეჩვენებოდა ახლა თამარს.

„ხომ ვიცოდი, მე ხომ ვიცოდი... მაგ-  
რამ სულ ერთია. ჩემი საქმე მაინც წასუ-  
ლია,“ — უტრიალებდა მას თავში.

შემოსასვლელში ზარის ხმა გაისმა.

„ვინ უნდა იყოს?“ — გაიფიქრა თამა-  
რმა. გაირინდა, ყური დაუგდო.

ზარის წკრიალი განმეორდა და დიდ-  
ხანს გაგრძელდა.

მერე ბრახუნი ატყდა.

„განა ისევ სევერიანია: რამ გააგი-  
ტა?“ — გაიფიქრა და კართან მივიდა.

— ვინ არის?

— გამიღე, მე ვარ!

— ვინ? — თუმცა ხმით იცნო, მაინც  
შეეკითხა თამარს.

— გივი ვარ!

— ვერა, ვერ გაგიღებ.

— თუ არ გამიღე, შემოვამტერე  
კარს, მაინც შემოვალ! — დაიძახა გივიმ  
და კარი მთელი ძალით შეანჯღრია.

— ვინ არის მანდ, კარს რომ ამტე-  
რეცს! — მოისმა საიდანღაც ნამძინარევი  
მამაკაცის ხმა.

„ვაიმი, დავიღუპე, მეზობლებს გაელ-  
ვიძებათ...“ — გაიფიქრა თამარმა. სხვა  
გზა აღარ ჰქონდა. კარი გააღო. მას გივის  
ამღვრეული თვალები შემოეფეოთა.

— რა მოგივიდა, გივი! — წამოიძახა  
ქალმა.

გივი ორთოდა, ცახცახებდა. ენა  
ვერ მოებრუნებინა. თამარს თვალს ვერ  
აშორებდა.

— წადი, გივი, გთხოვ, დამიჯერე, —  
გონს ძლივს მოეგო თამარი, — ხომ ბე-  
დავ, მეზობლები როგორ ახმაურდნენ?  
საღამოს მოდი და პირობას გაძლეე, რომ  
ყველაფერს გაიამბობ.

— საღამოს? — დამცინავად აუციმ-

ცომა გვიის თვალები, — საღამოს მიამბობი..

— რა ვქნა, გივი... ჩემი ბრალი არ არის... პატიოსან სიტყვას გაძღვე, არაფერს დაგიმაღავ, გულწრფელად გეტყვი ყველაფერს.

გივის არაფერი უპასუხია. ის მიხვდა, რომ; მიუხედავად გულზე მოწოლილი რისხვისა, თამართან არაფერი ჰქონდა სათქმელი. ანდა რა უნდა ეთქვა? ესაყვედურა? გაელანძლა? დამუქრებოდა, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრაა? ჰქონდა კი ამის უფლება, ანდა მისი სიტყვები ოდნავ მაინც შეაშფოთებდნენ თამარს: თავის მოტყუება იქნებოდა ამის დაჯერება. გივის არც დაუჯერებია. თავს სძლია და უხმოდ გაბრუნდა უკან, კიბეზე დაეშვა. გაიგონა, როგორ გაიჭრიალა კარმა მის ზურგს უკან და ფრთხილად დაიკეტა.



გივი იმავე საღამოს ესტუმრა თამარს. მოთმენა და სტუმრობის მეორე ან მესამე დღისათვის გადადება მის ძალ-ღონეს აღმატებოდა. სავარძელში ჩაფლულიყო, თავი ჩაეღუნა. უძილობასა და გადატანილ შფოთს თავისი კვალი დამჩნია მის სახეზე. გაფითრებულიყო. ჩაწითლებულ თვალებში შუქი არ უკრთოდა, სიტყვას ვერ ძრავდა.

თამარი მის პირდაპირ იჯდა დივანზე. საუბრის წამოწყებას არც ის ჩქარობდა. პირიქით, დუმილი ყველაფერს სჯობდა ახლა მისთვის. ხანდახან თუ გააპარებდა თვალს საეარძლისაკენ. გივი ისევ თავჩალუნული იჯდა და იატაკს ჩასცქეროდა. თამარმა ჩაღუნა თავი. თითებზე დაიხედა. მის თითის წვერებს უკვე დამჩნევოდა საბეჭდი მანქანის კლავიშების ნაკვლევი. ფრჩხილებში შავი საღებავის წინწკლები ჩარჩენოდა. ბოლოს ისევ გივის შეავლო თვალი. ნეტავი დიდხანს იქნება ასე გაჩუმებული?

გივიმ იგრძნო, რომ თამარი უყურებდა და ერთი წამით ასწია თავი. „რა სულელი ვარ! — გაიფიქრა მან, — სიჩუმე-

ში მიგვიბრები? თქვი, თქვი, ბოლომდე უთხარი ყველაფერი! სიყვარულმა გამოგაღენჩა? ვაი, შე უბედურო! სიყვარულმა აქ გაათია ღამე, შენ კი გინდა თავი მოიტყუო, დაარწმუნო, რომ თამარს უშენოდ ცხოვრება არ შეუძლია? აბა, შეხედე, კარგად დაუყვირდი! არა, არა, სისულელეს თავი დაანებე! სიყვარული ვის უთხოვია, შენ რომ ითხოვო! დაპყრობა უნდა სიყვარულს, ჩემო გივი, დაპყრობა, ხონჩით კი არავე მოგართმევს! აბა, დაიწყე, თუ რამე შეგიძლია, მაგრამ უფრო რომ შეჯავრდე? მაშ, ადექი და უხმოდ გადი აქედან. რა ჯანაბამ მოგიყვანა აქ, რა, აქამდე არ იცოდი, რის მაქნისიყო იყავი? ადექი, წადი, რაღას უყურებ!“

მაგრამ გივისთვის ძნელი იყო ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების შესრულება. ადგილიდან ვერ იძროდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა, წამოდგა.

— წავედი! — წამოიძახა ყრულ და კარს მიაშურა.

თამარი ამან გამოარკვია. თვითონაც წამოვარდა, გივის კართან წამოეწია, გაუღიმა და ჩვეულებრივზე უფრო დაშაქრული ხმით უთხრა:

— დარჩი, გივი, რა მოგივიდა, ბავშვები ხომ არა ვართ!..

ეს ორიოდ სიტყვა საკმაო იყო გივის შესაყოყმანებლად. რაღაც იმედის სიო შეეხო მის გულს, შიგ ჩამდგარი ბურუსი დასტრა, მიმოფანტა. აგრეთ: აღამიანის სულში ნუ ჩააწვეთებთ ვერაგობის შხამს და მას შეუძლია ფრთები გაშალოს, ცის ლაყვარდს მისწვდეს...

გული აღჩქროლდა გივის, სათქმელი სიტყვა ძლივს იპოვნა:

— მაშ, არ მიჯავრდები, თამარ?

თვითონაც ვერ გაეგო რამ ათქმევინა ეს, მაგრამ, რაი ნავსი გატეხა და ხმა ამოიღო, უკვე აღარ შეეძლო გაჩერება.

— აღარ მიჯავრდები? — კიდევ შეეკითხა ქალს.

თამარმა თვალები დახარა და თავი გაიქნია.

— მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ გადანაშაულებ, თამარ, — მხურვალედ განაგრძო ახალგაზრდა კაცმა, — მე მხო-

ლოდ ერთი რამ მინდა — შენი სიყვარული. სხვა არაფერი არ მაინტერესებს. ყველაფერზე ვთანხმდები, ყველაფერს დავივიწყებ, ოღონდ ერთი სიტყვა მითხარი... თამარ...

სიტყვა გაუწყდა გივისს. მთრთოლვარე მხრებზე ქალის სათუთი ხელები იგრძნო და წამით თვალები დახუჭა. მას უკვე აღარ შეეძლო ლაპარაკი, რადგან იმის შემდეგ, რაც ითქვა, ახალს ველარაფერს იტყვოდა.

თამარი კი გარინდებული იდგა. ხელები უსიცოცხლოდ ეწყო ვაგის მხრებზე. მას განუზომლად უნდოდა, კიდევ ელაპარაკა გივისს, კიდევ დიდხანს ელაპარაკა, მისი მუდარა მოესმინა... მაგრამ გივი აღარაფერს ამბობდა. ის თამარისათვის რაღაც უცხო, თითქოს ახლად აღმოჩენილი კუნძული იყო ახლა. რაღაცას ახსენებდა თამარს, ტბილი ოცნების ბურუსში ხევედა. „მაგრამ არა, არა, — თითქოს ეუბნებოდა იგი ვაგს, — მე ის აღარა ვარ, შენ რომ ფიქრობ. ოდესღაც ვიყავი, მაგრამ ახლა აღარა ვარ... შენი იმედები ამოა. მე აღარ შემიძლია უარყო ის, რაც იყო“.

— ვერ მივატოვებ, — ბოლოს თავის-სავე ფიქრს დაუმატა თამარმა და თვალები ცრემლით აეცსო.

ამ ცრემლმა უფრო აუღუღა გული გივისს, ქალის ხელებს თვითონაც შეეხო და მკერდზე მიიხუტა, რომ მოულოდნელად ზარმა გაიწყვიტა.

— მართალი მითხარი, ვინ იქნება?! — ამოიგმინა გივიმ, რომელმაც ხელი შეუშვა ქალს და უკან დაიხია.

— გავალო? — შიშნარევი ხმით იკითხა თამარმა.

— არ დამანახო, დავახრიობ, კბილებით დავგლეჯ! — იყვირა გივიმ.

— მოიცა, გაიგონებს, — წაიჩურჩულა თამარმა და კარის საეკრე ჯაჭვიც აჩხარუნდა, — ვინ არის?

— მე ვარ, სევერიანი ვარ! — გაისმა კიბისთავში.

— ვერა, ვერ გავალებ, — ხელი შეუშვა ჯაჭვს თამარმა, — ჩემთან გივია. დროც აღარა მაქვს.

— რას ამბობ, თამარ, ხომ არ გავი-

დი! — გაისმა ისევ სევერიანის ხმა, მაგრამ თამარს პასუხი აღარ გეუცხუა.

ახლა ის უფრო დამაჯერებელი თვით გივი: კოპებს იკრავდა, თვალებს მკაცრად ამრიალებდა.

გივის ვერაფერი გაეგო, სევერიანს აგრე მკაცრად რად მოექცა თამარი? მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც სიამოვნებდა ეს. უცებ თავში რაღაც ახალი მოუვიდა და შეკრთა. ნუთუ?..

— თამარი! — წამოიძახა და ქალს მკლავში ჩაავლო ხელი, — მგონი მივხვდი... თამარი!

თამარმა თვალი გაუსწორა.

— განგებ მოიქეცი ასე ხომ? საკუთარ თავს ჩრდილი მიაყენე, ვინდა ამ ხერხით ჩამოგვიშორო? თქვე მაშინ, პირდაპირ გვითხარი, მოძალე ხომ არცერთი არა ვართ, ძალით სიყვარული ვის გაუგონია. ოღონდ თქვი, სიმართლე თქვი, ნუ მომატყუებ, იქნებ უფრო ნათელი გულით წავიდე აქედან.

თამარმა კარგა ხანს იყუჩა, მერე კი, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სიმართლე თქმულია. ვერაფერს მივემართებ და ველარც შევცვლი. ამას მხოლოდ შენ გეუბნები, რადგან ვგრძნობ, მეტი დასჯის ღირსი არა ხარ და მინდა გაქმარო... არა გჯერა? ცოტა კიდევ და, შენც დარწმუნდები.

— რას ამბობ! — შეაწყვეტინა ელდანაცემმა გივიმ.

— შენ მაინც კარგი ვაგი ხარ, თითქოს ბავშვი ხარ, — განაგრძო ქალმა, — მომწონხარ გივი, — მოულოდნელად დაასრულა მან, ვაგს მიუახლოვდა, თავზე ხელი დაადო. ნაძალადევი ღიმილი ჭრილობასავით დააჩნდა მის ტუჩ-კბილს.

მაგრამ გახევებულ გივისს ახლა არაფერის გაგონება აღარ უნდოდა. თუ ცეცხლი ჩაქრა, სულის შებერვით ველარ დაანთებ. თუ შემოდგომა მოვიდა, ერთი ჩიტის გალობა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, შემოდგომას გაზაფხულად ვერ გადააქცევს. გივისს აღარ შეეძლო თამარის სანუგეშო სიტყვებით გაემთელებინა გული.

— კარგი აღარა ვარ. ჩემისთანები არ

გამოგადგება. მოტყუედი, თამარ, —  
რაღაც ყრუდ წარმოსთქვა მან.

თამარი უფრო მიუახლოვდა, მეორე  
ხელი მხარზე დაადო. ღელავდა. აჩქარე-  
ბით სუნთქავდა, მისი ამაღლებული  
მკერდი გამაღიზიანებლად ძვრდა გივის  
თვალწინ, მაგრამ ღრმა ძილს მიცემული  
ხის გაღვიძება არც ისე ადვილი იყო.

— ხომ ხედავ, მე ცოცხალი ვარ. გუ-  
ლი განა ცუდი მაქვს? იქნებ შენ დამიხს-  
ნა, გივი! — უთხრა ვაჟს თამარმა და  
ორივე ხელი ყელზე მოხვია.

ხე მაინც უძრავად იდგა.

რაც უფრო რბილდებოდა, თბებოდა  
თამარის ხმა, მით უფრო ხვედებოდა,  
ბრაზით იესებოდა გივი. მას თანდათან  
ეუფლებოდა ახლა ენით აუწყრელი სი-  
ძულელი. თამარს მკაცრად ჩახედა თვა-  
ლებში და ცივად უთხრა:

— ასეთ იაფ საშოვარში აქ არ მოვ-

სულვარ. დიდი საგანძურის შექმნას  
ვლამობდი, მაგრამ შევეცდები ჩემს ვაჟს  
მისამართი შეშლია.

ამ სიტყვებით გივიმ ფრთხილად მოი-  
შორა ქალის ხელები, ორიოდ ნაბიჯი  
გადადგა კარისაკენ, აქ ერთხელ კიდევ  
მოიხედა უკან.

— მშვიდობით! — მოუგდო ქალს და  
კარი გაიხურა.

კარის ჰრიალიც ისე მკაცრად ჩაესმა  
თამარს, როგორც თვითონ გივის სიტყ-  
ვები. არა, ამას არ მოელოდა. გივის საქ-  
ციელმა მის მოლოდინს გადააქარბა. ახ-  
ლა უფრო დარწმუნდა, რომ ყველა მა-  
მაკაცი ერთი არაა...

„არა, რა საოცარი სიწყინარეა ირგე-  
ლივ, თითქოს ცივა კიდევ“, — გაიფიქ-  
რა მან, ლასლასით მიუახლოვდა ტახტს,  
მძიმედ დაეშვა ზედ და სახე ბალიშებში  
ჩამალა.

თამი მოთხრო

I

ლომციხეში ნოემბრის პირველსავე  
დღეებს ცივი ქარი და წვიმები მოჰყვა.  
პერი დაწმენდილიყო და მტერის ბული  
ალარსად ჩანდა.

შესალამოვდა.

გურამის კაბინეტში სიწყინარე იყო.  
მხოლოდ ხან ერთი, ხან მეორე ტელე-  
ფონის ხარი არღვევდა სიჩუმეს.

გურამი მაგიდის მახლობლად მიმოდი-  
ოდა ჩაფიქრებული. ზოგი რამ უკვე აშე-  
ნებულიყო, ზოგიც შენდებოდა. მაგრამ  
მთავარი ისევ წინ იყო, გურამს კი ყვე-  
ლაფერზე უნდა ეფიქრა...

იმ დღეს პირველად ამუშავებული  
ელექტროცენტრალის ძალა და შუქი  
თითქოს ძარღვებში ჩაღვროდა გურამს.  
გაბრწყინებული თვალებით ჰვრტდა  
ლომციხის მომავალ სურათს. ბოლოს  
მისმა ფიქრებმა მშობლიურ ქვეყანაში  
დამზადებული დანადგარებითა და მო-  
წყობილობით აღჭურვილი პირველი  
ბლიუმინგის მშენებლობის საქმეებზე  
გადიანაცვლა. ახლა უკვე შესაძლებელი  
იყო ამ მშენებლობის დაწყება და გუ-

რამი გუნებაში არჩევდა ადამიანებს,  
რომლებიც სათავეში უნდა ჩასდგომო-  
დნენ ამ ახალ საქმეს.

ამ ფიქრებში იყო, რომ ტყავგადაკ-  
რული კარი გაიღო და კაბინეტში თამა-  
ში შემოვიდა.

— კარგია, რომ მოხვედი, — დანახ-  
ვის უმაღლეს შეაგება გურამმა.

მაგიდას მიუხსნდნენ.

— ეიცი, უსაქმოდ არ მოხვიდოდი  
მაგრამ თუ ძალიან არ გეჩქარება, ერთი  
რამ მინდოდა მეტყევა, — ისევ გურამმა  
დაარღვია ერთი წუთით ჩამოვარდნი-  
ლი სიჩუმე.

თამაზს არაფერი უპასუხია, მხოლოდ  
თვალებში შეაჩერდა გურამს.

— ელექტროცენტრალის პირველი  
რივის მშენებლობა დაეამთავრეთ. ათე-  
ული ათასი ცხენის ძალიანმა თბოელ-  
სადგურმა მუშაობა დაიწყო. — განაგრ-  
ძო გურამმა, — ახლა მეტი გაქანებით  
შეგვიძლია მრავალი ახალი საწარმოს  
მშენებლობის გაჩაღება, მაგრამ ამ  
ელექტროცენტრებზე ისეთი ადამიანები

უნდა შევსვავა, რომ გამაგრდნენ, პანტაუნტით არ გადმოცევიდნენ ძირს. ახლა საჭიროა შევარჩიოთ ბლიუმინგის მშენებლობის უფროსი და, საერთოდ, მშენებლობაში სუსტი ადგილებს გამაგრებაზედაც ვიფიქროთ.

ამ მხრივ თქვენი აზრიც მინდოდა გამეგო.

— ნება მომეცით მოვიფიქრო და მერე მოვახსენოთ. ცხადია, თუ ძალიან საჩქარო არაა, — როგორც იქნა, ამოიღო ხმა თამაზმა.

— აჩქარება კარგია, როცა საქმე გამართულია, მაგრამ ადამიანების შერჩევაში აჩქარება საზიანოა, — კვლავ ჩაილაპარაკა გურამმა და ოთახში სიარული დაიწყო.

თამაზმა რაღაც ქალაღი ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან, გაშალა, გურამს გადასცა და დაუმატა: თქვენ იცნობთ ჩვენს სოფელს. იქ კლუბი შენდება და აი, თქვენს სახელზე გამოგზავნილი მომართვა მივიღე. გთხოვენ, კასპის ქარხნიდან ცოტაოდენი ცემენტი დაგვითმეთო... ცხადია, თუ ეს ჩვენს მშენებლობას არ შეაფერხებს.

გურამმა მომართვა გადაიკითხა, მერე ზედ რაღაც დააწერა და შექალაქავებული თმა გაშლილი თითებით გადაივარცხნა.

— კარგია, ნეტავი ყველგან აშენებდნენ აგრე. თქვენებური ბევრია მგონი აქ, არა? მგონი თქვენცა გაქვთ ღვაწლი მაგ მშენებლობაში. ზომ ასეა? — თვალელები მოწურა გურამმა, — პროექტი ქალმა შეადგინა, არა?

თამაზი გაწითლდა. გურამს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ეს.

— ბიჭოს! — წამოიძახა მან, — სახუმაროდაც აღარ ყოფილა საქმე. კარგი, ზვალეე გაემგზავრეთ სოფელში. თქვენ თვითონ იცით, რა შეგვიძლია და რა არა. რაც შეგვიძლია, შეპირდით. მე თანახმა ვარ. ძველი ღვინო ზომ ექნებათ კიდევ? თუმცა ახლა რაღა დროს ძველია, სადაც არის, ახალს დაწურავენ.

— გამადლობთ, ამხანაგო გურამ. — ქირის ოფლი მოიწურა თამაზმა, — წავალ, დღესვე წავალ, — და წამოდგა.

— მოიცა, მოიცა, — შეაჩერა იგი გურამმა, — იმ არქიტექტორზე, ვლადიმის პროექტი რომ შეუდგენია, რაღაც რაღაცეებს ამბობენ, ძალიან ნიჭიერი ქალიაო. თუ მართლა აგრეა, არც ჩვენ გვაწყენს ნიჭიერი არქიტექტორი. ჩაუკარი სიტყვა, ვნახოთ, რას იტყვის, იქნება წამოვიდეს კიდევ.

თამაზს ახლა უფრო მსუბუქმა სიწითლემ გადაჰკრა სახეზე.

გურამმა შენიშნა ეს და უცებ გამოიცვალა. ინჟინერ შაქრო შეინდიაშვილის წამოწყებაზე დაიწყო ლაპარაკი. თქვენ მგონი იცნობთ მის პროექტსო, ჰკითხა თამაზს ისე, თითქოს აქამდე ამის მეტი არაფერი თქმულიყო.

— დიახ, ვამცნო, მაგრამ ისე, სხვათაშორის, საერთოდ, — მიუგო თამაზმა.

— საერთოდ იც არა, თქვენ დეტალურად იცნობთ მის პროექტს.

თამაზს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ისევ გურამმა დაასწრო:

— არა, არ ვაქარბებ.. თვითონ შაქრომ მითხრა, რომ ეხმარებით. კარგია. მეგობრობაც ასეთი უნდა...

— მე მხოლოდ აზრი გამოვთქვი, აზრის გამოთქმა კი ყველას შეუძლია, — წარმოთქვა თამაზმა და გურამს ხელი გაუწოდა, — თუ სხვას არაფერს დამავალბებთ, მე წავიდოდი...

— გზა მშვიდობისა! — მიუგო გურამმა და მეგობრულად ახედ-დახედა, — მოიცა, მოიცა, ეს რა ამბავია? — წამოიძახა და თამაზს საფეთქელთან გაჩენილ ქალარაზე ანიშნა, — თმაში უშტი გაჩენიათ, დღემდე კი უცოლშვილოდ დადინართ. ეე, ეს კი აღარ ვარგა! ლომციხეში თუ შესაფერი ვერ გიპოვნიათ, იქნებ სოფელში მიმოიხედოთ; ვინ იცის, რომელ ხის ტოტზეა შემოსკუპებული ჩიტბ-გვრიტი და... ეჰ, თქვენი ხნის ვიყო ახლა!.. აბა, თქვენ იცით! — უცებ გამოერკვა იგი, — კეთილი მგზავრობა!

თამაზი ერთხელ კიდევ დაემშვიდობა და კაბინეტიდან გამოვიდა. დერეფანი ისე გაიარა, თავისი ფეხის ხმაც არ გაუგონია.



შორს ახლადამუშავებული ელექტროცენტრალის გაჩირადნებული კორპუსი მოჩანდა. აქედან წასული შუქი ანათებდა ლომციხის გზებს, მშენებლობის მოედნებს, საცხოვრებელ ბინებს. უკვე მოასფალტებული ქუჩები სარკესავით პრიალებდნენ წვიმის შემდეგ, ქუჩების გასწვრივ, ახლადჩარგული მცენარეები ირწყვოდნენ ოდნავ ნიავის შემობერვაზე.

თამაზმა კარგა ხანს იარა. მშენებლობის მოედანს მიუახლოვდა. ერთი საათის წინ წავიდა აქედან, ახლა დაბრუნდა და აქაურობას თითქოს ვერ ცნობდა: ყველაფერი ელექტროშუქით იყო გაჩახჩახებული.

— ძირს სიბნელე, გაუმარჯოს სინათლეს! — წამოიძახა თამაზის დანახვაზე ტაჩეჩკომ.

თამაზმა გაულიმა მას, მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს. მშენებლობის მოედანზე დიდხანს არ გაჩერებულა. რაღაც მოუსვენრობას შეეპყრო, არ იცოდა, რა უნდოდა. ტაჩეჩკოს უთხრა, სოფელში მივალ ორი დღითო, და კვლავ მარტოდმარტო გაუდგა გზას შინსაკენ.

ბინიდან ჩემოდანი გამოიტანა, თანაც იმდღის წაუკითხავი გაზეთები წამოიღო და მანქანაში შოფრის გვერდით მოთავსდა.

— ალბათ თქვენც ნახავდით დღევანდელ „კომუნისტში“ მოთავსებულ გოგონას სურათს, — უთხრა შოფერმა, როცა თამაზის ხელში გაზეთები შენიშნა.

თამაზმა გაზეთი გაშალა. პირველ გვერდზე მოთავსებულ სურათს დააჩერდა, წამოიძახა:

— ამას ვის ვხედავ! ეს ხომ ცილაა, ჩემი ძმისწული!

უკვე ათასწლოვანი ტყის გასწვრივ მიქროდა ავტო. დაბურულ ტყეში ოქროს ჩიტებივით ჩაფრენილიყვნენ ელნათურები. ტყე ისევ ველური იყო, მაგრამ ახალი ქვეყნის ეს უცნაური მოციქულები, ელნათურები, გასაოცარ სურათსა ქმინდნენ: ტყის ათასწლოვანი

სიველურე და ელექტროშუქი პირისპირ იდგნენ.

მანქანა მტკვრის ახალ ხრდზე გავიდა, თბილისისაკენ გასრიალდა.

რაც ლომციხეში ჩამოვიდა თამაზი, მას შემდეგ პირველად მიდიოდა ახლა თბილისში. წარმოუდგა უძილოდ გატარებული ღამეები ფრონტიდან დაბრუნების პირველ ხანებში და გაუკვირდა, რომ ყოველივე ეს ახლა ისე აღარ აშფოთებდა, წინანდელი სიძლიერით გულს აღარ წვადა. მაშინ ეგონა, რომ მის სატყვიარს ბოლო აღარ ექნებოდა, გაგრძელებოდა, დამწვარი გული არ მოშუშდებოდა. „ალბათ დროს გულიც ემორჩილება“. — გაიფიქრა. მიუხედავად ამისა, ამ მოგონებამ მაინც აუტყვარა გული და სიმშვიდის მოსაპოვებლად ისევ ლომციხეზე მიეცა ფიქრს. ბარველიძე და შეინდიაშვილი შეადარა ერთმანეთს. „შეინდიაშვილის უპირატესობა ისაა, რომ მისი სული ჯანსაღია, ნათელია, გარკვეულია, ამ მხრივ ბარველიძეს ბევრი რამ უშლის. შეინდიაშვილი დღევანდელი დღეა, ბარველიძეს გუშინდელი დღის აჩრდილი მოსდევს“.

ნახევარ საათში ის უკვე თბილისში იყო.

მისი მისვლით გახარებული ლევანი ოთახიდან ოთახში დადიოდა, ღიღინებდა, თანაც, ციალას გამარჯვებით აღტაცებული, გაიძახოდა: „პატარა გოგონამაც გვაჯობა, აი სასწაული!“ უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა. თამაზი მივიდა, მილი აიღო:

— მესმის, დიად. მე თამაზი ვარ, — ამის თქმა კი მოასწრო და ქალმა, რომელიც რეკავდა, მილი დაკიდა. ახლა რაღაც გაურკვეველი ხრიალი ისმოდა ტელეფონში.

— აგრეა, ხშირად რეკავენ და მილს კიდებენ, მატყუებენ. საოცარია, გაუგებარია, ვის დაეძებენ, — უთხრა ძმას ლევანმა.

ერთ საათში თამაზმა სამზადისი მოათავა და სარკმელთან შეჩერდა. ქუჩაში ხალხი მიდიმოდიოდა. ყველა ჩქარობდა, ყველას სადღესასწაულო დღის სამ-

ზადისისათვის ზრუნვა აღბეჭდოდა სახეზე: მეორე დღე შეიღი ნოემბერი იყო. გოჭების ჭყვილი და ინდაურების ყარყარი რომ შემოესმა, თამაზმა გაიფიქრა: „თითქოს ყოველივე აღამიანისთვისაა გაჩენილი, მისთვის იბადება და მისთვის კვდება“...

ცოტა ხნის შემდეგ ხალხში ნაცნობი სახე შენიშნა და ფერი ეცვალა.

„თამარი?“ — ეინაღამ ხმამაღლა წამოიძახა.

ახლა თამარის გვერდით მიმავალ ვიღაც ახალგაზრდა ვაჟსაც მოჰკრა თვალი.

„ეს ვიღაც სხვაა, — გაიფიქრა, — თუ ისიდორეს ჩამოშორდა და სხვა შეიყვარა, ეს უფრო ცუდია... განა აგრე ჩამოქვეითდა?“

მაგრამ ნეტავი ეს რაღას ნიშნავს? ქუჩის თავში მისული თამარი უკან გამობრუნდა, იმ უცნობ ვაჟს უფრო მიეკრა, თვალეში ჩააჩერდა და ხმამაღალი სიცილი მორთო. თანაც ეტყობოდა, რომ ცალი თვალით იმ ფანჯარას აცქერდებოდა, რომელთანაც თამაზი იღვა.

„წასულა. ჰკუა დაუკარგავს“ — გაიფიქრა თამაზმა და ფანჯარას მოშორდა. კარგა ხანს ხმის ამოუღებლად დადიოდა ოთახში. მერე ლევანს მიუახლოვდა:

— ლევან, როგორ წავიდა თამარის საქმე?

ლევანი შეცბა, თამაზს დამნაშავესავით შეხედა. მერე ყრუდ წარმოთქვა:

— სამწუხაროდ...

— როგორ?

— განგებ არაფერს გეუბნებოდი. ყველაფრის თქმა არც ახლაა საჭირო, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თამარზე ცუდი ამბები მესმის... მგონი გენრიეტასაგან შორს აღარ არის. სხვა არა იყოს რა, ის ხომ ჩემი მოწაფე იყო...

— ჰმ, მოწაფე! დაამთავრებინეთ სკოლა და გააფრინეთ მტრედი, არა?

— შენ რაღაცნაირად ლაპარაკობ დღეს, თამაზ! — წარბი შეიკრა უფროსმა ძმამ.

— ზოგისთვის შეიძლება რაღაცნაირი იყოს!

— როგორ თუ ზოგისთვის!

— შენ ასე იფიქრე, რომ მართლა დაამთავრა სწავლა თამარმა? — მტკივნა ფეხს დააკირა ფეხი თამაზმა.

— სწავლა არც მე დამამთავრებია ჯერ! — გაბრაზება დაეტყო ლევანის ხმას.

— ჰმ, კარგია... — გესლიანად ჩაეღიმა თამაზს, — სიბერემდე სიქანლეო...

მერე ორივე მიხვდა, რომ საქმე უჩხუბრად არ დამთავრდებოდა. უსიტყვოდ გასცილდნენ ერთიმეორეს.

მოსაღამოვებული იყო, როცა ლევანმა კიბის თავამდე მიაცილა სოფელში მიმავალი თამაზი და სანამ ამ უკანასკნელმა სადარბაზო კარი არ გაიხურა, ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. ცოტაც და — მიწყდა თამაზის ფეხის ხმა. ლევანი მაინც მოაჯირს იყო გადაყრდნობილი და კიბეს ჩაჰყურებდა. მწარე საფიქრალს მისცემოდა იგი. ძმასთან არ გამოტყდა, მაგრამ გრძნობდა, რომ თამარის გზის აცდენაში თვითონაც ედო წილი. ის ხომ მასწავლებელი იყო ოდესღაც ამ ქალის, რამდენი რამ შეეძლო...



... რბილი ვაგონის კუბეში, სკამლოგინზე გაწოლილი თამაზიც თამარის ბედზე ფიქრობდა. მისდამი ბრაზი უკვე სინანულად გადაქცეოდა. ალბათ გაიგო თბილისში მისი ჩამოსვლა. მაინცდამაინც ლევანის სახლის წინ გაიარა. მერე როგორ იცინოდა, როგორ ეკვროდა იმ ვიღაც აყლაყუდას! საბრალო თამარი! ნუთუ ჰგონია, რომ სხვასთან სეირნობით ექვევს გააღვიძებს თამაზის გულში და აიძულებს, ყველაფერი დაივიწყოს? იქნებ არა აქვს ამის იმედი, მაგრამ მაინც აღიზიანებს? მერე რისთვის? რატომ? რა აზრი აქვს ყოველივე ამას?

როცა მატარებელი სურამის გვირაბიდან გავიდა, თამაზმა მხოლოდ მაშინ მოხუტა თვალი.



შვიდი ნოემბრის დღია გათენდა. მზე ამობრწყინდა ბასმაროს მთებზე. ფოთოლცვენას თავისი გაეტანა. გზებზე და შუკებში ფრიალ-ფრიალოთ ცვივოდა ქადრის ყვირელი ფოთლები. თანდათან იძარცვებოდა ვერხვი და ნეკერჩხალი, თხმელა და ტირიფი...

მაგრამ განა ყოველი სიყვითლე სიკვდილის ნიშანია? კვლავ მწვანედ ხასხასებდნენ სუბტროპიკული მცენარეები. მათი ფოთლები სიცოცხლის ფერს სიმწვანეს ინარჩუნებდნენ. დასრულებული, ოქროვანი ნაყოფი ადამიანს თითქოს ეძახდა, მოდი, მომკრიფე, გემო გამისინჯე, პირში ჩაგადნებო.

სოფლის საბჭოს მოედანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ცილა ვარდენისა და სოფლსაბჭოს თავმჯდომარის შუა იდგა. როცა ორატორები მის სახელს ჭებით მოიხსენიებდნენ, ცილა ადგილს ვეღარ პოულობდა, თვალებს ხუჭავდა, თითებს იმტვრევდა: „ამას ხომ გერვასი ვერ დაინახავს, ო, მისი თანდასწრებით რომ ელაპარაკათ!..“ — ფიქრობდა თავისთვის... ის სხვებისაგან შეუმჩნეველად აივნოდან ჩამოვიდა. ხალხს შეუერთდა. ხელის ფათურით გზა გაიკვლია და განაპირდა. თავისი სისუსტე რომ არ გაემხილა, სახლს ამოეფარა, დიდ გზაზე გავიდა, შინისაკენ გაქუსლა.

მხოლოდ ოციოდე ნაბიჯზე თუ იქნებოდა გამორებული სოფლსაბჭოს შენობას, როცა თითქოს სიზმარში, ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ცილა, ცილა!

ცილა შედგა, სიხარულის ცრემლები მოიწმინდა, უკან მოიხედა და... ეს ვინაა? გერვასი?!

აი, ვაჟი სულ ახლოს მივიდა, გაწითლებული, ნირდაკარგული, რალაც შემცბარი და მომღიმარი:

— მაპატიე, ცილა, შენთან ჩამოველ!

უეცრად ცილას გაცემა და სიხარული რისხვამ შეცვალა: გატრიალდა, ნაბიჯს აუჩქარა და გზა ისე განაგრძო, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

გერვასი გაშეშდა, ცოტაოდენი მერყეობის შემდეგ გამოუდგა, ძლივს წამოგვიდა:

— ჩემო ცილა, დამნაშავე ვარ! შენგან ყოველგვარი საყვედურისა და გოკიცხვის ღირსი ვარ, მაგრამ რაც მოხდა, ისევე სიყვარულის ბრალია. იმან დამაბრმავა, ამაჩქარა, მოთმინება დამიკარგა... რალაც უაზროდ ლულულებდა გერვასი.

ცილამ კარგს ხანს უცქირა. ქარიშხლის შემდეგ თითქოს მის გულშიაც გამოიძარა და სახე გაეხსნა.

— საიდან გაჩნდი, გერვასი?

— ესაა, თბილისიდან შენთვის ჩამოვედი. ნუ გამაგდებ, ცილა!

— ჩემო გერვასი! — წაიჩურჩულა ცილამ და ვაჟს ხელი გაუწოდა.

.. გზაზე ერთად მიმავალმა ცილამ და გერვასიმ აქეთ მომავალი ავტო შენიშნეს და უეცრად შედგნენ.

ავტო შეჩერდა.

— ცილა! — გაისმა და ავტოს კარიც გაიღო.

მანქანიდან თამაზი გადმოვიდა.

— ბიძა თამაზ! — დაიძახა ცილამ და თამაზს მიექრა.

— შინ გამოვიარე, მაგრამ ვერ გნახე — უთხრა თამაზმა.

ყველა იმ მანქანაში მოთავსდა.

დაიძრა თუ არა მანქანა, სანდრომ თავისუფლად ბაასი გააბა:

— იქნებ ახალგაზრდებს საუბარში ხელი შევეშალებო, მაგრამ არაფერია, მალე იქნებ ყანწიც ავწიოთ.

ცილა გაწითლდა.

გერვასიმ გაიღიმა და მერე სანდროს თვითონაც გადაჰკრა:

— მგონი შენ ყანწი უკვე ასწიე და ქვე გადაჰკარი.

— ავწიე კი არა, მომავალი თაობის გამრავლებაზედაც შევეუდექი ზრუნვას. ვარდენი იძახის, დააჩქარეთ, მოგვეციოთ თაობა, თორემ მუშახელი გვაკლია და პასუხს მოგთხოვთო! ის კი ავიწყდება, რომ როცა ჩვენი შვილები წამოიზრდებიან, ეგ როდისღა იქნება თავმჯდომარე.

თამაზი იღიმებოდა.

ციალა თავდახრილი უსმენდა, ხოლო გერვასი ჩაუკრავდა ხოლმე სანდროს აქა-იქ შენიშვნებს:

— ვარდენი თუ არა, სხვა ხომ იქნება?

— მაშინ ვინ იცის, ვინ რა იქნება.

ახლა კი მთავარია, გავმრავლდეთ და ქვეყანას ვეყოთ. ახალგაზრდები ქალაქში გარბიხართ და ვარდენი ჯავრობს.

— თუ ქალაქში არაფერი ვისწავლეთ, ისე სოფელსაც ვერ გამოვადგებით, — ჩაუთოთ გერვასიმ.

— შენი სიტყვა კეშმარტია და წყალი არ გაუვა, მაგრამ ვინც ბევრი ისწავლა, ის სულ გაგვექცა; ახლა შორიდან მოგვესალმება და თავისი სოფელი არც აგონდება. მე კი მგონია: ვინც თავის სოფელს იფიწყებს, ის ქალაქშიაც არ გამოდგება, — განაგრძობდა სანდრო.

ავტო სოფლსაბჭოსთან შეჩერდა.

ჩამოვიდნენ.

თამაზის სოფლად ჩამოსვლა ხალხს ახარებდა, ხოლო ციალასა და გერვასის ამავე მანქანიდან ერთად გადმოსვლა აოცებდა; ციალას აქედან წასვლა არავის გაუგია, არც გერვასის ჩამოსვლა გაუგია ვისმე.

— კარგ დროს ჩამოხვედი, სწორედ ახლა გვეჭირები! — მიეგება თამაზს თეიმურაზი.

ნატო აივანის კუთხეში იდგა. ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა, თამაზისათვის თვალი ვერ შოუწყვიტა, მაგრამ ახლო მისვლა და მისალმება უშნელდებოდა. მისულიყო? ასე სახალხოდ გაემკლავნებინა თავისი დიდი სიხარული? მაგრამ ვაითუ თამაზს არ მოეწონოს ეს... თავი შეიკავოს? არა, არა... მაშ, რაღა ქნას, რას იფიქრებს თამაზი! „მიტინგი დამთავრდება და მაშინ მივალ!“ — ერთბაშად გადაწყვიტა ნატომ. ის დარწმუნებული იყო, რომ აღმოაჩნდებოდა საამისო გამბედაობა.

სიტყვით თამაზიც გამოვიდა. ლომიხის მშენებელთა სახელით მიესალმა ხალხს.

ნატო კი გარინდებული იდგა. ის ახლა ევლარავის ხედავდა. მისთვის მთელი ქვეყანა დაცარიელებულიყო ერთბაშად.

მხოლოდ თამაზი... მხოლოდ თამაზი იდგა მის თვალწინ.

მარტო მუღამი

რა ახლო იყო ამ წუთსა და თამაზთან, რომელზედაც დღედაღამ ფიქრობდა. მაგრამ თვითონ თამაზმა არც კი იცოდა ნატოს აქ ყოფნა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნატოს არსებობა აღარც კი ახსოვსო. როგორ, აუცილებელია თამაზსაც ახსოვდეს ნატო, ისიც ლამეებს ათენებს ნატოზე ფიქრში? ო, მართლა ასე რომ ყოფილიყო! ვიღა იტყოდა მერე, რომ ნატოზე ბედნიერი აღამიანი არსებობდა დედამიწის ზურგზე! მაგრამ ნატო გრძობდა, რომ ეს ასე არ იყო. არც ხალხის ხმაური, არც მომღერალთა გუნდის სიმღერები, არც შეუკითხვადი ფოთლების შრიალი ნატოს აღარ ესმოდა, — მარტო საკუთარი გულის ხმას უსმენდა და მხოლოდ თამაზს ხედავდა.

...თამაზს სახე დაწმენდოდა, ფერი მოსვლოდა. იმ სევდის აჩრდილი, რომლის მიზეზი ნატოს ვერ აეხსნა, გაფანტულიყო მის სახეზე.

მიტინგი დამთავრდა. ხალხმა შეინსაკენ იბრუნა პირი.

ახლა კი აუცილებლად უნდა მივიდეს თამაზთან ნატო, მიესალმოს, თორემ შესაძლოა თამაზი ისე წაეიდეს, რომ ვეღარც ნახოს.

ამის შემდეგ ნატოს გული უფრო აუძგერდა. ფეხის გადადგმა რომ ვერ მოახერხა, უკან გაწვილი ხელი მოიშველა, კედელს ჰკრა და წინ გადაიხარა, წაეიდა, თამაზს მიუახლოვდა, დამნაშავესავით მის ახლო შეჩერდა.

თამაზმა დაინახა და მიეგება:

— გამარჯობა, ნატო!

— გამარჯობა! — წარმოთქვა ნატომ, მაგრამ ღონე აღარ ეყო, ხელი გაეთავისუფლებინა. მისი სანთლის თითებია თითქოს დნებოდნენ ვაცკაცის ხელში.

ნატო ვარდენის ხმამ გამოაფხიზლა:

— აი, ნატო, ძვირფასო, შენი კონსულტანტი ჩამოგივიდა და რაღა გიჭირს. წაეიდეთ, ძვირფასო, ჩვენი ნამოღვაწარი თამაზს ეუჩვენოთ: ენახოთ, რას იტყვის. თუ შეგახურა, ჩემი ბრალი არ იყო, იცოდეთ!

— წავიდეთ! — რალაცნაირი შემსუბუქება იგრძნო უცებ ნატომ და თავიკლამარეს მადლიერი თვალეზი შეავლო.

— წავიდეთ, დავათვალეერთო, — გაიღიმა თამაზმაც.

— ხარტონ, ძვირფასო, თეიმურაზი წამოიყვანე კლუბში მიედივართ! — კიბეზე ასძახა ვარდენმა, თამაზთან ბოდიში მოიხადა და აჩქარებული ნაბიჯით უკან გაბრუნდა.

ხალხი ჯგუფჯგუფად მიემართებოდა კლუბისაკენ.

— რა შებირება იციან, კაცო, ჰა! — ჭიჩქილებდა გზადაგზა კირილე, ამ სოფლის ურწმუნო თომა და თამაზის სიტყვას იგონებდა, — მაგათ იმედზე თუ დავდევით, არ აუშენდებით ხალხი?! რას არ შეგპირდებიან! თუ გუნებაზე მოვიდნენ, აიღებენ და მთელ თბილის-ქალაქს დაგიმტკიცებენ.

— ეე, კერკეტა! — დამცინავი ღიმილით ვადახედა მას მეველე ფასომ, რომელიც ისე იქნევდა თავის გრძელ ჯოხს, თითქოს ახლაც ყანაში შესულ ნახირს ერეკებო.

— ყანები რომ აიღეს და საქმე აღარა გაქვს, ჩემთვის მოიკალე ახლა? — აღრინდა „კერკეტა“, — ერთი ამას უყურე! ამის დასაცინიე გავხდი!

— ფასო, ძვირფასო, მოეშვი მაგ თომას, თორემ გაგაგიუებს! — წამოეწია მეგობრებს ვარდენი.

— გამაგიუებს კი არა! თავისთავი არ გააგიუოს მაგან.

— შენ იცი! — გაიღიმა ვარდენმა, — კირილე ბატონო, დარია ახლა თუ წვიმს? კირილემ თავი ჩაღუნა. ხმის ამოუღებელი განავრძო გზა.

ყველა იცინოდა. ბებრულად ხითხითებდა ფასოც. კირილემ ფეხს აუჩქარა. საერთო სიცილ-ხარხარში მიეფარა თვალს.

— ეწყინა! — თქვა ვილაცამ.

— მწყერი შეიწვას! — სიცილითვე მიავებეს მას. სიცილ-ხარხარი დიდხანს არ შეწყვეტილა. ფასო ქაჩავდა ყალიონს და ჭიჩქილებდა: რას გააქციეთ კაცო, ყოფილიყო, ელაპარაკე, ვის რას გამოლიათო.

ამასობაში სასოფლო კლუბის ორიშეუშმრალი კედლებიც გამოჩნდა.

— აი, ნატოს შემოქმედება! — დაუძახა ვარდენმა.

ნატომ თავი დახარა. „ჩემი კი არა...“ — მხოლოდ ეს თქვა და საგონებელს მიეცა... ვინ იცის, რას იტყოდა თამაზი. მოეწონებოდა კი მისი ნამუშევარი? მშენებლობის დროს ზოგი რამ თვითონ შეცვალა ნატომ, შეასწორა, გადააკეთა, ისე, როგორც თვითონ დაინახა საჭიროდ და იმედი ჰქონდა, მის შესწორებას თამაზი წინააღმდეგობას არ გაუწევდა, მაგრამ ახლა მიანც ლელავდა, ეშინოდა...

— თავშიშველი დგას ჩვენი კლუბი და გაიძახის: თუ გამაჩინეთ, თავხედაც დამხურეთ, თორემ სირცხვილი მწვაეს, მომეშველეთ, ხალხი არა ხართო? — იხუმრა ვარდენმა.

კლუბი ჯერ გარედან შეათვალეირეს, მერე შიგ შევიდნენ.

ნატო წინ მიუძლოდა ყველას, თამაზს უჩვენებდა, თუ რა გაკეთდა და რა შესწორება იყო შეტანილი შენობის პროექტში.

აი, აქ იყო ამის საშუალება და შევასწორე, ტანსაცმელის გასახდელიც გავაგანიერე, ფოიესაც მოემატა, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ ერთი ოთახი გავაუქმეთ. მით უფრო, ამ ოთახს არავითარი განსაკუთრებული ფუნქცია არ გააჩნდა, ფოიეში მეტი სიერცე და ჰაერი იგრძნობა, ხალხიც თავისუფლად გაივლის. გვერდის კარი გავქერით აქ. სოფელში სახანძრო რაზმი არ არის და ხანძარი რომ გაჩნდეს, ხალხს შენობიდან გასვლა აღარ გაუჭირდება. თუმცა თვით სახანძრო დაცვის საკუთარი აპარატურა ჩვეულებრივზე მეტი და ძლიერი იქნება, — განავრძობდა ნატო და ცალი თვალით თამაზისაკენ იხედებოდა, რომ მის სხეზე ამოეკითხა თუ რას ფიქრობდა იგი.

თამაზი დუმდა. მისი სახე არც მოწონებდას, არც დაწუნებდას არ გამოსახავდა. ამიტომ ვარდენი ზოგჯერ რალაც საექვოდ ვადახედავდა ხოლმე ხან ერთს, ხან მეორეს.

კიბეს აპყვენენ, მაღლა ავიდნენ.

ნატო თამაზს აქაც უჩვენებდა, რა შეასწორა და რა მოსაზრებით.

თეიმურაზი შეჩერდა სულ ზევით, შენობის ერთ კუთხეში, საიდანაც შავი ზღვის სარკე მოჩანდა. იქვე, ახლო მოსულ ზღვას ციტრუსების მწვანე ტყე საზღვრავდა. თეიმურაზი ამ სურათმა მიიზიდა, აქ დიდხანს დარჩა.

თამაზმა მოიხედა, დაინახა თეიმურაზი და უმაღლესად მოიხიბლა:

— აი, ხომ ხედავთ, როგორ მოუხდა იქ თეიმურაზი შემთხვევით როდი დგას; სწორედ იქ პატარა, თუნდაც თეიმურაზის სიმაღლე, კოშკი უნდა გაკეთდეს და მთელი შენობა იერს შეიცვლის.

ვარდენმა ხელები გაშალა და გადაიხარხარა:

— აი, იდეა! განა კოშკად თვითონ თეიმურაზი არ გამოდგება? შეხეთ, ნამდვილი ჰერკულესია და დაგვამშვენებს, ძვირფასო!

— არა, თეიმურაზი ვერც აქ გაჩერდება უჩემოდ, თავბრუ დაეხვევა და ჩამოვარდება! — ჩაურთო ხარიტონმა.

— მაშ, ახლა, ძვირფასო, ნატოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა; კოშკი და ისიც თეიმურაზის სიმაღლე! — დაასვენა ვარდენმა.

— სწორია, მშვენიერია! — იძახდა ნატო. გულშეკრძხე იდებდა ხელს და თითქოს ამითაც თამაზის ნათქვამს ადასტურებდა.

— რას იტყვი, თამაზ ამ შესწორებებზე? — უეცრად შეცვალა საუბრის კილო თეიმურაზმა.

ნატო აიღუნა, შეიშმუნა, თავი ჩალუნა. ქვეშ-ქვეშ გაპყურებდა თამაზს.

თამაზმა ბლოკნოტი აიღო, ჩანაწერები ჩაათვალიერა.

— ნატოს შესწორებებში ექვი შემდიოდა. უფრო ფოიეს გაფართოების საკითხში, მაგრამ... — რატომღაც შეჩერდა თამაზი.

ნატოს კი ეს წუთიერი შეჩერება ძვირფასად უღირდა; მისი გული მოძალებით ფეთქავდა.

— დავრწმუნდი, რომ ნატო სწორად

მოიქცა, — ერთბაშად დაამთავრა თამაზმა.

აქამდე გატრუნულმა მკვლევარულმა ნატომ თავისუფლად ამოისუნთქა.

— არ ვამბობდი? — თანასოფლელებს გადახედა უზომოდ კმაყოფილმა ვარდენმა.

— მშენებლობაში ნატოს შემოქმედებითი უნარი უფრო გამოჩნდა. მას შეუძლია ეს უნარი განავითაროს, — ხმადაბლა, თითქოს თავისთვის განაგრძობდა თამაზი.

სიხარულით აღძგერდა გული ნატოს. თვალებზე ცრემლი მოადგა. უფრო ჩაღუნა თავი, რათა აყირმისებული სახე არავისთვის დაენახებინა და მოულოდნელად არ გამოემტკიცებინა ის, რაც გულში ედო.

— მაშ, როგორ გეგონათ, ყოჩაღი გოგოა ჩვენი ნატო! — ცერად გადახედა ქალს პირმოძლიმარე თეიმურაზმა.

— ამიტომაც, რომ ოცდასამი წლის კომკავშირელ ქალიშვილს პარტიაში ვიღებთ, — დაუმატა ხარიტონმა.

— ნატო ქების ღირსია, მაგრამ ვატყობ, ფრთები გაშლილი აქვს და აქედან მალე გაფრინდება. ძვირფასო. — შეაპარა ვარდენმა.

— გაფრინდებაო? — გაოცდა თეიმურაზი.

კიდევ უფრო გაწითლდა ნატო. ხმის ამოდებაც ვერ მოახერხა. იგრძნო, რომ ყველა მას უცქეროდა. „ახლა კი დადგება ჩემთვის გადამწყვეტი წუთები“, — ფიქრობდა იგი.

— გაზაფხულამდე ნატო აქაურობას ვერ მოშორდება, — თქვა თამაზმა.

თამაზის აზრმა თეიმურაზი, ვარდენი და ხარიტონი გაახარა, ხოლო თვით ნატომ რაღაც უხერხულად გაიღიმა, ყურებიც კი გაუწითლდა... სახეზე დაეტყო, რომ შეურიგდა თამაზის განაჩენს. გაზაფხული არც ისე შორს იყო. გულში კმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა, რომ უფრო მკაცრი განაჩენი არ გამოუტანა თამაზმა.

— აბა! აქ დავალამოთ დღეს? — ახორ-ხოცდნენ კაცები.

— თითო ჭიქა ღვინო არ გვაწყენ-და, — თამაზს გადახედა თეიმურაზმა.

— არა, ძვირფასო. სტუმარს ვერ დაგიტომბ. ჯერ ჩემთან, მერე, თუ გინ-და, შენთან გადავიდეთ, — შორს დი-ჭირა ვარდენმა, ცუდი აზრი არაა, ა, რას იტყვი, თეიმურაზ?

— რაღა გაეწყობა, იყოს ნება შენი. ეზოში გამოვიდნენ.

ახლა მოედანზე არავენ იყო.

ჩაფიქრებული, უღლიანი თხები ჭად-რის ძირას შეგროვილიყვნენ და ზღვა-ზე დახრილ მზეს გადაჰყურებდნენ.

— ეს ეშმაკები, — წამოიძახა ვარ-დენმა ამათ დანახვაზე, — ახლა იმაზე აქეთ ბჰობა, ღობე სად იქნება გარღე-ული, რომ კოლმეურნეობის ბაღს შე-ვუტოთო.

— ის რა იციან, ფასო რომ ცოცხა-ლია და არ გაახარებთ! — დაუმატა თეი-მურაზმა.

გორაკზე შეჩერდნენ. ნატოს ეგონა, კი არ ვდგავარ, ჰაერში ვცურავო. ეს გრძნობა კი ისე ძლიერი იყო, რომ ქა-ლი ცდილობდა წონასწორობა არ დაე-კარგა.

ბოლოს ვარდენს გაუბედა:

— ახლა წავალ და ათ წუთში თქვენ-თან გაეჩნდები.

— არ დამეკარგო, ძვირფასო, თორემ უშენოდ სხივი ჩავგიქრება, ყურებს ჩამოყვრით.

ნატო სწრაფად გაშორდა მათ. ალა-გეზე თითქოს გადაფრინდა და ციტრუ-სების ბაღში გაუჩინარდა.

— ქალი კი არა, შუქია, ძვირფასო. სადაც მივა, სიცოცხლე მიაქვს, — წარ-მოთქვა ვარდენმა და რატომღაც მარტო თამაზს მიანიერდა.

თამაზის სახეზე კი ნაკეთი არ შერ-ხეულა. ის თოვლით დაფარულ ბანძა-როს მთას მისჩერებოდა და იმ მთის სისპეტაკე თავის ბავშვობას აგონებდა: დილით, თვალს რომ გაახელდა და იმ მთას შეხედავდა, გული სარკესავით ეწ-მინდებოდა. ხელგამლილი ხტოდა, გა-

კიოდა, ხარობდა. ქვეყნად არცერთარ ბოროტებაზე, მტრობაზე, ორჯულობაზე თუ ვერაგობაზე წარმოღვენიც კი არა ჰქონდა; არც სხვაში, არც თავისთავში მსგავს რამეს ვერაფერს ამჩნევდა და ქვეყანა სიხარულისათვის მარტოდენ ბედნიერებისათვის ეგონა გაჩენილი...

III

გულადგერებული ნატო უკან მოუხე-დავად შევარდა ეზოში, ოდის კიბე აირბინა და დედას მიაძახა:

— დედა! აქა ხარ? დედა!

გაკვირვებულმა დედამ გამოიხედა, გულამოვარდნილი, დაწვებაფერადე-ბული ქალიშვილი რომ დაინახა, თავსა-ფრის ყური შეიკეცა და გაკვირვებულ-მა ჰკითხა:

— რა ამბავია, გოგო, რამ გადაგრიო!..

— ვარდენისას მივიდივარ, დამპატი-ეცს! — სულმოუთქმელად წამოიძახა ნა-ტომ და ტანსაცმელის კარადას ეცა.

— რა მოხდა, შვილო, ასე რამ აგაჩ-ქარა, ვარდენისას წინათაც ყოფილ-ხარ — გაიკვირვა დედამ.

— ახლა სხვა არის, წინათ სხვა იყო! — მხოლოდ ეს უპასუხა ნატომ, რადგან ნამდვილი მიზეზის გამხელა ვერ გადაიწყვიტა.

დედა მიხედა, რაღაცას მიმალავსო, მაგრამ აღარ ჩაეინებია. — რომელ კა-ბას ჩაიციამ, შვილო? — ჰკითხა ამის მაგივრად.

— ყველაზე უკეთესს! — უპასუხა ნატომ, დაიხარა, უჯრიდან გამჭვირვა-ლე წინდები ამოიღო, სკამზე დაეშვა და იქვე შეუღდა ჩაცმას.

— შვილო, თეატრში ხომ არ მიდი-ხარ, ასე რომ ირთვები?

— მარტო თეატრში წასვლისას ირთ-ვებიან? — ეშმაკურად გახედა დედას ნატომ და ვადაიკისკისა, მერე მიხედა, რაც თქვა, დატუქსა თავისი თავი და უხერხულობა რომ არ გამოემყდენე-ბინა, უფრო სწრაფად განაგრძო ჩაცმა.

იქვე, სკამის ფეხთან ხატულა კატა ჩაცუტკებულყო და ნებივრად კრუ-ტუნებდა. დროდადრო აპრეხილი პაწია

ყურები გაეხახუნებოდა ნატოს კაბის კალთას.

— მადროვე, ფისო, შენთვის არ მცალია! — იცილებდა მას ნატო.

მოფერებას მიჩვეულ კატას ეს ამბავი არ მოსწონდა, უკმაყოფილების ნიშნად ნაწყვეტ-ნაწყვეტად კნაოდა. მაგრამ ნატოს აღარ ეცალა ახლა მისთვის. კატა კი არა, თავიც დაეწყებოდა. იატაკზე დავარდნილ კაბის სარტყელს წვეტანა და მეორე ოთახში გაიბარა. მაღლე ისევ გამოვიდა. კაბის სარტყელს დაუწყო ძებნა. იქაურობა გადმოაქოთა, უჯრებიც გადაატრიალა, ბოლოს კატას მივიარდა:

— შენ წაიღე, ხომ? საძაგელო! მაჩვენე, სად წაიღე!

კატა ჰირვეულად კნაოდა და ცბიერ თვლებს არ ამორებდა თავის პატრონს, რომელსაც სარტყელი ხელში ეჭირა და სხვაგან კი ეძებდა.

ბოლოს ისევ დედა წამოეშველა ნატოს. ძებნაში მოეხმარა. მერე ერთბაშად შენიშნა, ნატოს მკლავზე გადაკიდებული სარტყელი და შეიცხადა:

— აგერ არ ყოფილა, გოგო? რამ გადაგარია...

მაგრამ ნატოს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, გარეთ გავარდა და კიბე ჩაირბინა.

სირბილ-სირბილით იმ ადგილს მიაღწია, სადაც ვარდენსა და მის სტუმრებს დაშორდა.

კონცხი გადაჭრა, აღმართს შეუდგა. დასცხა, ტუჩები შინდისფერი გაუხდა. ვარდისფრად შეფერილ სახეზე აღმური მოედო. მაღლა რომ ავიდა, ვარდენის ეზოში შეჩერებული სტუმრები შენიშნა და ნაბიჯი შეანელა. „ახლა აჩქარება უხერხულია“ — გაიფიქრა და, ვითომც აქ არაფერი იყო, ფეხაკრეფით შევიდა ეზოში.

ვარდენმა ოდა სახლის აივნიდან გადმოძახა:

— მოხველი, ძვირფასო? ნუ გეშინია, ჩვენი სტუმარი ისევ აქაა!

ვარდენის ამ გადაკრულმა სიტყვებმა ისედაც სახეშეფაცლებული ნატო უფ-

რო ანთო და დაახნია, ვერადრის თქმა ველარ მოახერხა.

— შენ, ბიძი, ვარდენის ქირველებს ყურს ნუ უგდებ; ჩვენ დაგვიჯერე, — დაყვავებით უთხრა მოახლოვებულ ქალს თეიმურაზმა.

ვარდენი ხუმრობდა, ენაწყლიანობდა, არ ინდობდა ნატოს, წამდაუწუმ ერთად ახსენებდა მის და თამაზის სახელებს. თამაზი ადვილად უღებდა ალოს ვარდენს, თავი ისე ეჭირა, თითქოს ნატო აინტერესებდა, როგორც ინციენარი და არამცააარამც — როგორც ქალი. მაგრამ, სამაგიეროდ, ვარდენის მიერ ცივ წყალგადასხმული ნატო თრთოდა, სახეში აღარავის უყურებდა, დარცხვენით აცეცებდა თვლებს, ციტრუსების მწიფე ნაყოფით გადაყვითლებულ ბალებს გადასცქეროდა, რომ ამით მიეჩქმალა გულში დაფარული გრძნობა. ყოველივე ეს ამშვენებდა ნატოს, უფრო მიმზიდველს ხდიდა მწიფე ნაყოფით გავსილ ლიმონისა და ფორთხხალის ხეებს შუა ჩამდგარს.

ახლა აღარც თამაზს შეეძლო ყურადღება არ მიეჭკია მისთვის. ძალაუნებურად მოიხედა. ნატოს თმა და ლიმონის ფერი გულში ერთმანეთს შეადარა...

— აბა, ქალებო, შინაურებო და მეზობლებო, დღესასწაულია, გაშალეთ ხელი და თქვენი გულუხვობა გამოიჩინეთ, — ქოთქოთებდა ვარდენი, — ჰო, აგრე, ყოჩაღ! შენ წაიღი, ძვირფასო, — ახლა სანდროს მიუბრუნდა იგი, — და არც ბრიგადირები, არც მერგოლურები არ დამიტოვო, ყველა აქ მოიყვანე, თორემ გამიჯავრდებიან და ბალებს მოუჯრეფავს დაგვიტოვებენ.

— ახლავე! — დაიძახა სანდრომ, ჩაჯდა მანქანაში და იმ წამსვე დასძრა.

სანდრო მალე დაბრუნდა.

ეზოში რომ შემოვიდა, ვარდენს გასძახა:

— ციალას გარდა, ყველა მოდის. ციალა უარზეა — ცა დედამიწაზე რომ ფეხად ჩამოვიდეს, მაინც ვერ მოვალა.

— რას ამბობ, ძვირფასო, ხომ არ გვიწყურება?

— გვიწყრება კი არა, იმისთანა ბიჭი მოუსვამს გვერდით, ჩვენ კი არა, მგონია თავიც დაავიწყდეს.

— რაო, ძვირფასო, დავილუბეთ? — შეიცხადა ვარდენმა.



... მზე ზღვაზე ეშვებოდა, როცა ვარდენისას ხდილი დასრულდა.

სტუმრები ეზოში გამოეფინენ.

ისმოდა სიმღერა, სიცილი, შეძახილი, ხმამაღალი ბაასი... ღვინოს ყველასათვის ხმა აემალღებინა. მარტო ნატო და თამაზი დუმდნენ. მოახლოვებულიყო თამაზის აქედან გამგზავრების წუთები და ნატოს გული აჩქარებით უცემდა.

ზღვაზე დაშვებული მზის სხივები თანდათან ქრებოდა, წყდებოდა მიწას, თითქოს ასევე წყდებოდა და ქრებოდა ნატოს გულში თამაზის აქ ჩამოსვლით გაჩენილი შუჭი. ცას ბინდი ეპარებოდა. ნატოს სახეც იბინდებოდა და მისი ცისფერი თვალები თითქოს საწვიმრად ემზადებოდნენ. გაძლიერდა ზღვიდან მონაბერი ნიავი, ზღვამ ხმა აიმაღლა, აგორდნენ ზვირთები, ატოკდა და ახმაურდა თითქოს ზღვაშივე შეცურებული ნატოს გულიც.

ვარდენმა და მთელმა მისმა ოჯახმა კიშკრამდის მიაცილეს სტუმრები. ნატო ძლივს ითქვამდა სულს. თამაზსაც უშძიმდა წასვლა.

თითქოს ორივეს მიუხედავად ვარდენი, რიზიანად მიმართა ქალ-ვაეს:

— ძვირფასო ინეინრებო, ცალკე-ცალკე მანქანა ვერ გამოვძებნე თქვენთვის, ერთად ჩასხედით და ის იქნება!

ნატომ თავი უხერხულად იგარძნო, მაგრამ გულში მაინც გაეხარდა. ნაპერწკლებს ყრიდნენ ახლა მისი აციმციმებული თვალები.

თამაზი ყველას გამოემშვიდობა, მერე მანქანის კარი გამოაღო და ნატოს მიუბრუნდა:

— გთხოვთ!

— ნახვამდის! — ერთი კი გასძახა ნატომ ეზოში დარჩენილთ და მანქანაში ჩაჯდა.

— აბა თქვენ იცით, ჩვენც თუ არ დაგვიწყრებთ! — ხელების ქნეფეფლად ედევნა ვარდენმა აძრულ მანქანას.

— ნახვამდის, ნახვამდის! — ისმოდა ყოველი მხრიდან.

ვარდენის ეზოდან გამოსული აეტოგზატეცილზე გავიდა და სიჩქარეს მოუმატა.

ნატო ახლა თავს ისე გრძნობდა, თითქოს უკვე მიეღწია საწადელისათვის და გული მომეტებულად უძგერდა. ხანდახან ჩუმად გამოაპარებდა თვალს თამაზისაკენ, ამოეკითხა ვაისის გულისპასუხი, რათა ამით თავისი საკუთარი ბედისა და უბედობის ამბავი გაეგო.

თამაზი ისე მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს ნატოს სიანლოვეს არავითარ განსაკუთრებულ გრძნობას არ იწვევსო, თუმცა ახლა ნატოს ზოგჯერ უფრო ლმობიერა თვალებით გადახედვდა და მაშინ რაღაც მსუბუქი სიოც გადაუვლიდა სახეზე.

სანდრო — შოფერი გაუჩერებლად ლაპარაკობდა. გრძნობდა, რომ მისი მეთმოეთისათვის არაფის ცხელოდა ახლა, მაგრამ ექვსიოდე ჩაის კიქა ღვინო ჰქონდა დალეული და ენა ვერ გაეჩერებინა.

სანამ სანდრო ამბებს ჰყვებოდა, ვერც ნატომ, ვერც თამაზმა ვერ მოახერხა ერთმანეთისათვის ეთქვათ რამე, თუმცა ამის სურვილი ორივეს ჰქონდა. მაგრამ, აი, მანქანა ნატოს სახლთან შეჩერდა. სანდრომ მოათავა თავისი ლათაიები, მაგრამ ნატოს ჩასვლის დრო იყო. იგი გულდაწყვეტილი გადავიდა მანქანიდან და გზის პირას შეჩერდა. ნუთუ ისე წაეა თამაზი, რომ ერთ სიტყვასაც არ ეტყვის. რა გულქვაობა იქნება ეს თამაზის მხრივ! ის არ შემცდარა თავის გუმაში: თამაზიც ჩამოვიდა, ნატო კიშკართან მიაცილა და ბეჯითად უთბრა:

— ახლა შენზეა საქმე, ნატო. თუ კლუბის აშენებას ვაზაფხულამდე მორჩები, ვაზაფხულზე აუცილებლად გადაგოყვან ლომციხეში.

„ვაზაფხულზე... ლომციხეში! რა



ბედნიერებაა, მაგრამ როგორ შორსაა ეს განაუხლებელი! — გაიფიქრა ნატომ.

თუ რამე დაგვირდეს, ნუ მომერიდები, — უფრო რბილად განაგრძო თამაზმა და ქალს ხელი გაუწოდა, — აბა, შენ იცი! ნახვამდის!

ნატომ მოსხლეტილი ხელი ისე ჩააბარა, თითქოს უკან წაღების ძალა არა აქვს და მზადაა სამუდამოდ ჩატოვოს თამაზის ხელში.

— ნახვამდის... — წაიჩურჩულა მერე. თამაზი წავიდა.

ნატო ჭიშკარს მიეყრდნო. გული მოძალებით უცემდა. იმ გზას გაჰყურებდა, საითაც თამაზი წავიდა, მაგრამ თვალი ცრემლით ევსებოდა და გზას ბინდი ეფინებოდა.

გზის პირას ფინია გამოვარდა, ნატოს კაბის კალთებს მიეაღერსა, გახარებულნი წამეტუნებდა, ჭიშკარს ღრღნიდა.

ნატო კი მხოლოდ იმის ფიქრში იყო, აბა, თუ კიდევ გავიგონოო მანქანის ხმაო.

მანქანა კი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიქროდა მოასფალტებულ გზატკეცილზე.

— მშვენიერი ახალგაზრდა ქალია, მოკრძალებული და განათლებული, — ახლა ნატოს გამო ამბობდა სანდრო, — ალიონზე რომ გამოჩნდება, დაბინდებამდე შინ აღარ მიდის. მთელ დღეს მაგის ფეხი და ხელი არ ისვენებს. კლუბის მშენებლებსაც არიგებს, რამეს უწუნებს ან უწონებს...

თამაზი ჩუმად იღიმებოდა; აქ ყველა ნატოს აქებდა, აწონებდა ან განგებ მის სახელთან აკავშირებდა. „ნატოს მხარეზეა ყველა, ცუდი ქალი როდია და, შესაძლოა, კიდევ შეაციდინოს ვინმე ჩემისთანა ურწმუნო“, — ფიქრობდა თამაზი და თვალმოუშორებლივ გაჰყურებდა ბავშვობიდანვე ნაცნობ მწვანე კორდებს. აქ მისთვის ყოველი ბუჩქიც კი უზომოდ ახლობელი იყო, გადასხვანაირებულად ეჩვენებოდა ყველაფერი. აი, აქ, სკოლის ეზოში ერთი პატარა გორაკი იყო. მოწაფეები იქ აღიოდნენ, თამაზობდნენ, ჭიდაობდნენ, გორაკი

ისევ ისეთივეა, თითქოს არც გაველოს ამოდენა დროს. მაგრამ თითქოს არც იყო რაღაც ცვლილება, დიხს, დიხს, იყო...

•  
•

ისევ ლომციხეში გასაშვავებლად მომზადებული თამაზი შინაურებმა ეზოში გამოაცილეს.

მძინარა ხესთან მოეკალათებინა ბაბუა ქაიხოსროს. თამაზი რომ გამოვიდა, ისიც წამოდგა. ნაღვლიანად შესცქეროდა ახალგაზრდა კაცს, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: „წასვლით კი მიდიხარ, ბაბუა, მაგრამ, მეორედ რომ ჩამოხვალ, ვინ იცის, ცოცხალი დაგიხვდები?“

— ნუ გეშინია, ქაიხოსრო, თამაზი მალე გეინახულებს, არ დაგვივიწყებს, — ამშვიდებდა მოხუცს თამაზის დედა, ასმათი, რომელიც თავადაც ძლივს იკავებდა ცრემლებს.

— მალე გნახავ, ბაბუა! — გაამხნევა ბერიკაცი თამაზმაც.

მოხუცმა ნიშნად კმაყოფილებისათვის დაუქნია მას, ყალიონი უფრო მაგრად მოსწია.

ცოლა და გერვასი მოშორებით იდგნენ და რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

— თქვენ რაღაც სხვანაირად გამოიყურებით, შეთქმულობას ზომ არ გვიმზადებთ — გაუცინა მათ თამაზმა.

ცოლამ და გერვასიმ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი წასკდათ.

•  
•

... ისევ თბილისისაკენ მიქროდა მატარებელი.

თამაზი იწვია. ცოლასა და გერვასის გაცხოველებული ჩურჩული თითქოს ახლაც ესმოდა. „აღმათ იმაზე ჩურჩულებდნენ, სად მოაწყონ მომავალი ოჯახი. რა ტყბილია მომავალზე შეყვარებულთა ასეთი ოცნება... — ფიქრობდა

თამაზი, — ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენებოდა... ეჰ, ნეტავი მაგათ!

... შინ დაბრუნებული ნატო აივანზე შეჩერდა. სახლში შესვლა აღარც კი უნდოდა.

მაგრამ რა გამოეპარებოდა დედის გულს, მით უფრო, თუ შვილის მოსვლას მოელის?

დედამ თვითონ გააღო კარი და გამოვიდა:

— ნატო! აქ რაღას ელოდები, შინ ვერ შემოხვალ?

— შემოვალ, დედი, — უპასუხა ნატომ და ათრეული ნაბიჯით წამოვიდა.

ბუხარში შენელებული ცეცხლი თითქოს რაღაცაზე ლაპარაკობდა, ღვიოდა და ალის ენები ლოკავდნენ ბუხარის მომრგვალებულ კედელს.

დედას ამ შემოდგომაზე ბუხარში პირველად დაენტო ცეცხლი, თუმცა ჯერ არც ისე ციოდა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ამითაც აღენიშნა დღესასწაული.

— კიდევ ხომ არსად მიღიხარ, გოგო? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა შვილს.

— არა. დაფიქრე. ახლავე გავიხდი, — მიუგო ნატომ და სარკეში ჩაიხედა.

„რა ფერი მადგეს!.. — გაიფიქრა და უმალ ზელი მოისვა სახეზე, — იქაც ასეთი თუ ვიყავი, თამაზი კი არა, მათხოჯიც არ შემომხედავდა“.

საგონებელში ჩაგარდნილი დედა შორი ახლო უვლიდა ქალს. თუმცა გამოლაპარაკება და რაიმეს კითხვა ვერაზღვით ვერ გაეზედა. ნატო თავად მიუხედავად დედას. მიხვდა, რომ მშობელი შეწუხებული იყო, თავის ერთადერთს რომ ასე შეფიქრიალებულს ზედავდა. შეეცოდა. მაშინვე წამოხტა ზეზე და დედას კოცნა დაუწყაო. თან ჩურჩულებდა:

— ჩემო დედიკო, ჩემო პატარა დედიკო!..

დედა უხმოდ მისჩერებოდა.

— დედა, შენ უჩემოდ არაფერს შეკამდი. მოდი, სუფრა გავშალოთ, შემოუსხდეთ და დღესასწაული ერთად აღვნიშნოთ.

— გავშალოთ, შვილო, — მიუგო დედამ.

— შენ არა, დედი, მე მთვითონ გეგმავლი. ამდენ ხანს რომ მართოდ დაგტოვე, შენ ისიც გეყოფა.

დედა მაინც არ ისვენებდა, სუფრის გაწყობაში ეხმარებოდა ქალიშვილს.

— დედი, ღვინოც დავლიოთ? — წამოიძახა უცებ ნატომ.

— რატომაც არა, დავლიოთ, თუ გინდა.

— დავლიოთ! — დაეთანხმა ნატო და სამზარეულოში გავარდა ბოთლების გამოსატანად.

სუფრა მალე გააწყვეს.

შემოუსხდნენ.

თამალობა ნატომ იკისრა. ჯერ დღესასწაულის აღსანიშნავი სადღეგრძელო შესვეს, მერე ნატომ დედა ადღეგრძელა, ბოლოს დაუმატა:

— არ გაგვეციებინოს ეს ჩვენი პატარა სახლი... რა შეედრება, დედი, ამ ჩვენს საბუღარს: ყველა აქედან ამოფერინდით: მამაჩემი, პაპაჩემი, პაპათაპაა და ბოლოს ეს შენი მახინჯი შვილი.

— რაო? რა თქვი, გოგო? მახინჯი შენს მტერსა და დამაწყვევარს არ მოუვლიოს.

— არა, დედი, ისე ვთქვი... მართლა მახინჯი კი არა ვარ, მაგრამ მახინჯიც რომ ვიყო, შენ მაინც ლამაზად მოგეჩვენებდი. ყველა დედა ასეა... — რაღაც ნაღვლიანად დაამთავრა ნატომ.

— რა მოგივიდა, შვილო, აგრე რად ლაპარაკობ?..

— ისე, დედა, სიტყვანე... — თვალი ვერ გაუსწორა მშობელს ნატომ.

— ღვინო ხომ არ გალაპარაკებს?

— ჰმ, ღვინო! ამდენი დავლიე?

— გეყოფა, მეტს ნუღარ დავლევთ. მხოლოდ შენ გაგიმარჯოს, ცუდი ფიქრები უკუგეყაროს, ბედნიერი სიცოცხლე გქონდეს, კეთილი ზრახვები აგსრულდებოდეს, — ყველა სათქმელი ერთ ჭიქაში მოაქცია დედამ.

ნატომ სახე მოარიდა მშობელს, წამოღდა.

— მართალი ხარ, დედი, გვეყოფა,—  
და სუფრის ალაგებას შეუდგა.

სანამ ნატო სუფრას ალაგებდა, დე-  
დამ ქვეშაგები გაშალა.

დაწევი, შეილო, დროა, მოისვენე.

ნატომ რომ გაშლილი ლოგინი დაი-  
ხაზა, გაუხარდა.

— ო, რა კარგია! დაწვეთ, მოვისვენე-  
ნოთ, დედი, შენც დადლილი ხარ.

— დაწვეები, შეილო.

მალე ორივემ საწოლს მიაშურა. სი-  
ნათლევ ჩაქრა ოთახში. ცეცხლიც მი-  
ნელუბულიყო, მიმქრალიყო. ირგვლივ  
სრული სიწყნარე სუფევდა, ნატოს  
გარკვევით ესმოდა დედის სუნთქვა. ის  
აძითად ხედებოდა, რომ დედას არ ეძი-  
ნა. სახე ბალიშში ჩაემაღა და თავი მო-  
იმძინარა. ოცნებას მიეცა. აი, დადგება  
გაზაფხული და... თუ თამაზი შეასრუ-  
ლებს დაპირებას? არა, თამაზს არ შეუ-  
ძლია მოტყუება. რაკი დაპირდა, გააკე-  
თებს კიდევ. მერე... მერე წვა ლომცი-  
ხეში. იქ სულ ერთად იქნებიან ის და...  
თამაზი. ნუთუ უგუნურება არ არის  
ამაზე ფიქრ? სად ის და სად თამაზი?  
გული შეეკუმშა ამის გაფიქრებაზე ნა-  
ტოს. „ნუთუ ვერა გრძნობ, როგორი  
პატარა, როგორი უმნიშვნელო ხარ თა-  
მაზის წინაშე. — უჩუჩუღლა საკუთარ  
თავს, — შევარდენს მისდე? მერე  
ფრთები? უსუსურო, ვინ მოგცემს შე-  
ვარდნის ფრთებს!“ ოცნებას კი საზღ-  
ვარი არა აქვს. ლომციხე თითქოს უმაღ-  
ლესი მთის მწვერვალზეა გაშენებული  
და იმ მწვერვალზე ადის თამაზი. ის ახ-  
ლა მარტოა. უშიშრად გადაყურებს  
უფსკრულს, თვითონ ნატო კი სადღაც  
შუა გზაზეა, მთას აცქერდება, მაგრამ  
უფსკრული მასთან ახლოა და ეშინია,  
არ გადავარდეს. აი, უცერად, უფსკრუ-  
ლის პირას შეუმჩნევლად მისულს, ფე-  
ხი აუსხლტა, ცდილობს არ გადავარ-

დეს, წონასწორობა შეინარჩუნოს, თავი  
შეიმავროს, მაგრამ ქანაზს...  
„აჰ!“ — აღმოხდა. გამოტყუდა.

„ეს რა მომივიდა? დედამ გაიგონა და  
რაღა ვქნა — ახლა?“

— ცუდად ხომ არა ხარ, რად კენესი,  
შეილო — მოესმა ამ დროს.

— არა, დედი, თავი მტკივა ცოტათი.  
წამოდგა, ბუხარში მიმქრალი ცეცხ-  
ლი საკეცით გამოჩხრიკა, პირგახსნილმა  
ლაღარმა ცოტაოდენი შუქიც გამოსცა.  
ნატომ წამალი ჩამოიღო ბუხრისთავი-  
დან, მერე გაიქცა, ლოგინში ჩაწვა.

— შეილო, მთლად დამავეწყდა,  
შენთვის არაფერი მიკითხავს, ვარდენი-  
სას სტუმრად ვინ იყო? — მოულოდნე-  
ლად შეეკითხა დედა.

— ბრიგადირები, მერგოლურები,  
მეზობლები... — აბნეულად უბასუხა ნა-  
ტომ და წამალი გადაყლაპა.

— ყველა ჩვენს სოფელში მომუშავე  
თუ... — ნატო შეყოყმანდა, მერე მაინც  
წარმოთქვა:

— ჰო, დედი, ჩვენი სოფელელები,  
თუმცა ყველა აქ როდი მუშაობს.

— ასეთი ვინ იყო? — ჩაუეინდა დე-  
და და ნატო მიხედა, რომ სანამ ყველა-  
ფერს არ გაიგებდა, აღარ მოეშვებოდა;  
აღარ მოეშვებოდა შობებელი.

— შენც იცნობ, დედი, — გაბედა ბო-  
ლოს, — ჩვენი ინჟინერი, თამაზი...

— თამაზი... — გაიმეორა დედამ და  
მისთვის უკვე ყველაფერი აშკარა გახ-  
და. თავი ისევ ბალიშზე მისდო, მაგრამ  
ხმა აღარ ამოუღია.

ნატო ხმამაღლა სუნთქავდა. საკუთარ  
ი გულისცემაზე კი ესმოდა. შიშობდა,  
ვითუ კიდევ მკითხოს რამეო, მაგრამ,  
ისიც ახარებდა, რომ დედამ გაბედა და  
გამოელაპარაკა. ახლა მან დაახლოებით  
იცოდა ყველაფერი და ნატო თავს მარ-  
ტო აღარ გრძნობდა.



მემოვარს

(შალვა კაშიაძის ხსოვნას)

სულ არაფერი არ შეცვლილა, — ისევ ისეა  
ჩემი ოთახის მყუდროება და სიღარიბე...  
ისევ ისეა ის მაგიდა, ჩუმი წიგნებით;  
ჩენი მოწყენაც იგივეა, ჩემი ფიქრებიც,

მხოლოდ შენ არ ხარ,  
შენ არ ხარ ჩემთან,  
შენ არასოდეს აღარ იქნები!..

ისევე გალობს ჩემს ოთახში ღვთაებრივ ბაზი,  
ისევე ილიას ნაღვლიანი, ძვირფასი სახე!  
ისევე მისი გადმოხედვა კედლიდან წმინდა.  
(გახსოვს, ჩვენ მასზე ესაუბრობდით,  
გარეთ კი წვიმდა...)

ჩვენი ფიქრები ჩვენს შამულზე, ჩვენი ფიქრები!...  
მე ისევ ჩემი მარტოობით ვცოცხლობ,  
ვიღლები.

მხოლოდ შენ ჩემთან აღარა ხარ,  
შენ არ ხარ ჩემთან,  
შენ არასოდეს აღარ იქნები!..

მახსოვს მითხარი, რომ ცხოვრებას არ საყვედურობ,  
თუმცა ის ძუნწად, ერთობ ძუნწად სიამეს ჰგგვრიდა,  
და თუ იცინი უდარდელად, ზოგჯერაც ხუმრობ,  
ეს მხოლოდ მიტომ,  
მხოლოდ იმიტომ,  
რომ გაქვს დაცული  
გულის წიაღში

ერთი დიადი საუნჯეე წმინდად...  
გახსოვს, ჩვენ მაშინ ესაუბრობდით აი ამაზეც!  
გარეთ კი წვიმდა, წვიმდა და წვიმდა!  
და აი ახლა, აი ახლაც  
ამ სიტყვებს რომ ვწერ,  
როგორც ეკალი,  
რალაც მოწყენა უცნაური  
ჩემს გულს ესობა.  
წვიმს ისევისე, როგორც მაშინ,  
როგორც შენსობას...  
რამ დაამძიმა მთაწმინდაზე მწუხრი ესოდენ!

რისთვის აღდგება სულში ვიღაც მტკივნეულ

სიმებს  
სტრუქტურული  
გეოლოგიური

მკვახე ხმაურით,  
როგორც საფანტი,  
წვიმის წვეთები ეფრქვევა შინებს.

ო, არაფერი არ შეცვლილა, ისევეა  
ჩემი ოთახის მყუდროება და სიღარიბე.  
ისევ ისე ღვას ის მაგიდა ჩუმი წიგნებით,  
ჩემი მოწყენაც იგივეა, ჩემი ფიქრებიც...

მხოლოდ შენ არ ხარ,  
შენ არ ხარ ჩემთან,  
შენ არასოდეს აღარ იქნები!





საქართველო  
ბავშვობის ლიტერატურის საზოგადოება

შეჯგუფულ ხალხში ბავშვი დედას თვალებით ეძებს,  
ტირილით უხმობს თავის დედას,

თავის დედიკოს,

— როგორ არ იცით,  
თურმე ახლა მისდევდა გვერდზე,  
თურმე ყველაზე ლამაზია მისი დედიკო...

და ტირის ბავშვი,  
რადგან დედას ველარსად ხედავს,  
თვალეებით ეძებს თავის დედას,

თავის დედიკოს,

— დამშვიდდი, ბავშვო,  
უსათუოდ მოვძებნით დედას,  
რადგან ყველაზე ლამაზია შენი დედიკო...





## ოქტომბრის თოფი

### I

ბიძინა კილაძე, სანამ საველე ჩანთას თავს მოუკრავდა, თოფის ჩასაბარებლად საწყობში მივიდა. იქ ვასია ჟურაელი დანებდა. ვასია სამ წელიწადს ბიძინას ათულში იყო, სანგარში ერთად ისხდნენ. ზამთრის სასახლეზე შეტევის დროს ვასიას შრანელის ნამსხვრევი მოხვდა. ლითონის ამ პატარა ნაჭერმა მეგობრები ერთმანეთს დააშორა. ახლა ვასიას საწყობში რომ შეხვდა, ბიძინას გაუკვირდა.

— შენ, რა, გიმნაზიაში შეხვედი?

— რა ვქნა, ძმაო, მიბრძანეს და გიმნაზისტი გახვდი! — ჩაიციხა ვასიამ. მწყობრის მეტროლები ჯარის სამნეო ნაწილს გიმნაზიას ეძახდნენ.

ბიძინამ თოფი კედელზე მიაყუდა და სკამზე ჩამოჯდა. მეგობრებმა გახეთის ნაგლეჯში წეკო შეახვიეს და მადიანად გააბოლეს.

— რისთვის გარჯილხარ? — ჰკითხა ბოლოს ვასიამ.

— შინ გამიშვეს, ძმაო, თოფი მოგიტანე, ჩაიბარე!

ვასიამ ჩაიციხა. ბიძინას გაუკვირდა, რა აცინებდა, მაგრამ მიზეზი არ უკითხავს, ისე მიაწოდა თოფი.

— გამომართვი!

— არა, ჩემო ბიძინა, თოფი კარგ ხელს უჭირავს, საქართველოში დაგვირდება, წადი, გინდა ვაზნებიც მოგცე, შენთანებს ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერ მიუტან!.. იქ ალბათ მალე ლენინი ჩამოვა, — ჟურაელი ამას რომ ამბობდა, თან ზურგჩანთას ვაზნებით ავსებდა. — აჰა, წაიღე! — უთხრა მეგობარს ჟურაელივმა, ჩანთა ზურგზე აკიდა, თოფი ხელში მისცა და გზა დაულოცა.

მეტროგრადიდან საჩხერემდე ათასი ხიფათით სავსე გზას ბიძინა სამ თვეს მოუნდა. ხან ორთქლმავალით, ხან ცისტერნის კიბეზე დაკიდებული, ხან სამგზავრო ვაგონის სახურავზე გაწოლილი მოუთმენლად მოისწრაფოდა სამშობლოსაკენ.

საჩხერეში ღამით ჩამოვიდა.

ერთადერთი ფანარი, რომელიც ბაქნის ქერზე ეკიდა, მარტო სადგურის მორიგის სანდრო აბრამიშვილის წითელ ქუდს დასციმციმებდა. სანდრო ახალი გამოღვიძებული იყო, ჩაწითლებულ თვალებს ისრესდა და ბაქანზე მავლებს არც კი ამჩნევდა. თითოერთი მაგზავრი სიბნელეში მიიშალა, უკანა ვაგონიდან ყველაზე ბოლოს ბიძინა ჩამოვიდა, გაქონილი ჩანთა ზურგზე ეკიდა, ხოლო თოფი მარჯვენაში ეჭირა და მარცხენას ნელა მიიქნევდა.

შუქში გახვეული სანდრო ბიძინამ შორიდან იცნო, ფეხს აუჩქარა და რომ მიუახლოვდა, მზიარულად შესძახა:

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს, მარა, რომ ვერ გაცანი, ბიჭო!

ბიძინამ ქედი მოიშვლია. ახლა კი იცნო სანდრომ თავისი დიდი ხნის უნახავი მეზობელი.

— ოხ, შენ გენაცვალე, ბიძინა! — ხელი გაშალა და მოეხვია... — გუშინ კი ძალი ჯარისკაცი ჩამოჰყვა მატარებელს, მეგონა, შენც იმათში იქნებოდი. ისე კი გული შეუბნებოდა, ჩამოვარდა, და ასე აგისრულდეს ყველა საწადელი. კითხვა არ გინდა, კარგადა ხარ. კაცი ხელმწიფეს რომ მოერევა, ის ცუდად იქნება?!

მორიგემ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და ჩუმად უთხრა:

— ერთი აქაც უნდა მოიქნია ხელი!

ბიძინამ არაფერი უპასუხა. ზურგზე მოგდებული ჩანთა გაისწორა და ჰკითხა:

— დედა როგორ არის?

— არ ვიცი, ორი თვეა, სადგურიდან არ გამოვსულვარ, რკინიგზელებს აკრძალული გვაქვს სოფელში ჩასვლა, გლეხებს აჯანყებთო.

ბიძინამ ქული ჩამოიფხატა და წასვლა დააპირა, მაგრამ მორიგემ მკლავზე სტაცა ხელი.

— წამოდი, ჩემთან, აი, აგერ ეცხოვრობ, — და თითი სადგურის გვერდით სიბნელით მოცული სახლისკენ გაიშვირა.

— არა, არა, გმადლობთ, ჩემო სანდრო! — მიუგო ბიძინამ. მორიგემ თოფს გახედა და ჩუმად უთხრა:

— გავახარა ღმერთმა, თოფი ჩამოგიტანია, მაგრამ დროშასავით ხელში ნუ გიჭირავს, წაგართმევენ!

— ვინ? თოფი მე ოთხი წელიწადია, ხელში მიჭირავს. აქ წამართმევენ?!

— წაგართმევენ. ბენია გურიელის ზარბაზნის წინ ვერ დაუდგები. კიათურასა და საჩხერეში, ყველგან მისი ბრძანებებია გაკრული, რუსეთიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა იარაღი ჩაგვაბაროსო, თორემ...

— ვიცი, ვიცი!

— ჰოდა, ფრთხილად, ფრთხილად! ბიძინამ ვიწრო ლიანდაგი გადაქრა და სოფლის გზაზე გამოვიდა.

შუალამე იყო. უმთვარო ცა ჩამობნელებულიყო.

ბიძინა მიიჩქაროდა შინისაკენ, დიდი ხანია არ უნახავს დედა და არც რამე სმენია მისგან. რამდენი წერილი გამოგზავნა, მაგრამ არც ერთი უპასუხი არ მიუღია.

აღმართზე ბიძინას ტვირთი დაუმძიმდა და გზის პირას თუთის ქვეშ შეჩერდა. თოფი ხეზე მიაყუდა, ჩანთა ძირს დადო და ლოდზე ჩამოჯდა. ბევრჯერ დაუსვენია ამ ლოდზე, ჯარში რომ მიდიოდა, ნუცამ აქ აკოცა, გამოემშვიდობა და შემდეგ დიდხანს უქნევდა ცხვირსახოცს. ბიძინას თვალწინ დაუდგა თა-

ვისი თვალციმციმა დანიშნული ჯარში რომ არ წავეყვანე, ახლა, სავსე თვეები მექნებოდა, — გულისტვიტვით ეგაფიქრა მან.

ბიძინას ერთხანს კიდევ უნდოდა ამ ლოდზე ჯდომა, მაგრამ ცოტა რომ წამოწინწკლა, თავისი ტვირთი ისევ მხარზე მოიგდო და გზას გაუდგა.

ღრუბლებს ჯერ პირი არ ჰქონდათ მოხსნილი, ბიძინას თითოროლოა წვეთი ეცემოდა, ეს სასიამოვნოც იყო, გრილოდა.

ბიძინამ უნაგირა გადაიარა და ქვევით საურმე გზაზე რომ გამოვიდა, სიბნელეში ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იქითკენ მაინც გაიხედა, საითკენაც მისი სახლი იყო.

სოფელში შევიდა, თავის სახლს მიუახლოვდა, მაგრამ ჭიშკართან შეჩერდა, მოაგონდა, თუ როგორ ჩავარდა ბიცოლა ვერა ლოგინად, როცა მოულოდნელად შევიდა წლის უნახავმა ქმარმა ღამით კარზე დაუკაკუნა, ჩავარდა და ერთ წელიწადს ვეღარ წამოიწია, სიხარულმა დაზაფრა. „ახლა, მეც დედას რომ მივადგე, ვაი თუ გული გაუსკდესო“. — გაიფიქრა მან. ვადასწყვიტა ჯერ ნესტორ ბიძიასთან წასულიყო. ტვირთი კი თავისი ეზოს ვარდის ბუჩქში შეაგდო, თოფიც იქვე შემალა.

ნესტორ ბიძია სოფლის ბოლოს ცხოვრობდა, სანამ იქ მივიდიოდა, ჯერ ნუცას სახლის წინ უნდა გაევიღო. ნუცა მამით ობოლი იყო, მაგრამ მისი გამრჯე დედა ოჯახს კარგად უძღვებოდა და სოფელში არავისზე ნაღლებად არ ცხოვრობდა. ბიძინა ნუცას ჭიშკართან შეჩერდა, მაგრამ ეზოში ძალი აყეფდა, ძალის ყეფაზე დამფრთხალი ცხენი ჭიშკრისკენ გამოქანდა. „ეს ცხენი ვისია? — იფიქრა მან, — ნუცა ხომ არ გათხოვდა?“ გაანჩხლებულ ძალს მოერიდა, ხეს მიეფარა და დიდხანს უყურა მაღალ ოდას, რომლის ფანჯრიდან შუქი არ გამოკრთოდა.

ნესტორ ბიძიას ეზოში თამამად შევიდა, ძალი მისკენ ყეფით გამოქანდა.

— ვინ ხარ მანდ? — ფანჯრიდან გადმოსძაბა ნესტორმა.

ანჩლი ძაღლის ყეფა-ღრენაში ბიძანამ ძლივს მიაწვდინა თავისი ხმა, გაცუბული ნესტორი პერანგისამარა გამოვარდა სახლიდან და შუა ეზოში შეეგება თავის დისწულს. ბიცოლა აივანზე ლამპით გამოვიდა და სტუმარს ოთახში შეუძღვა. ბიძინამ ოთახში მიიხედ-მოიხედდა, ერთ საწოლზე საბანი შეირხა, მიხვდა, ვინც იყო.

— ოთარიკო ახლა დიდი იქნება! — თქვა მან.

— ვაყვაცია, ენაცვალოს დედა, მაგრამ წელს ავად იყო, სკოლაში ვერ გავაბარე. ოთარიკო, გძინავს, ბიჭო?

საბანი კიდევ შეირხა და იქიდან ბიჭუნამ გამოაქყიტა.

ბიძინამ საბანი გადახადა, ბავშვი ხელში აიყვანა და ისევ სკამზე დაჯდა.

— ჩემგან კაი კამფეტი გეკუთვნის, მაგრამ ხელცარიელი რომ მოვედი!

— ეჰ, კამფეტის გემო დაავიწყდა ბაღანას, სადღა იშოვი, ნეტავი ჭადი ჰქონდეს!

— ჭადიც სანატრელი გაქვთ? — იკითხა ბიძინამ, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან მუქით ამოიღო ცარიელი ვაზნები. — აჰა, შენ, ამის მეტი ვერაფერი მოგიტანე!

ბავშვმა ვაზნები გამოართვა, კეთხეში გაჩერდა, ჩაბერა და დაუსტვინა.

ბიცოლა ვერა სამზარეულოში გავიდა.

— თქვენ კითხვა არ გინდათ, კარგად ყოფილხართ, მაგრამ დედაჩემი? უცებ ვერ მივედი მასთან, შემეშინდა, გული არ გაუსკდეს-მეთქი. რას შერგება? როგორ არის?

ნესტორი შეჩერდა, თითქოს კითხვა არ გაუგონიაო, პატრუქი ოდნავ ასწია, ბიძინას სახეს უფრო შიდად გაშუქა.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ჩამოხვედი. სულ გაგათავისუფლეს, ხომ?

— ჰო, მითხრეს, წადი, სახლს მიხედუო.

ბიძინამ თავი ჩაღუნა და თავის ხელს დააქქერდა, თითები ყინვისაგან შეწითლებულ-შესიებული ჰქონდა.

— შენისთანა ჯარისკაცები აქ მთავრობას ებრძვიან, — განაგრძო ნესტორმა, — სხვაგან არ ვიცი და ჩვენსთან-ღარდრამბავია. კრებაზე თქვეს, ჩვენ გავიმარჯვებთ და მაშინ ნამდვილად თავისუფლება იქნებაო, ვნახოთ, ვნახოთ!

— შენც იყავი იმ კრებაზე? — ჰკითხა ბიძინამ.

ამ დროს ბიცოლა სუფრას შლიდა და ქმრის მაგიერ იმან უპასუხა:

— იყო რომელია, ბიძაშენი კრებას დააკლდება? მენშევიკებს სიხარულით ტაშს უკრავდა, ახლა კი აღარ მოსწონს!

— ტაშს ქე ვუკრავდი, მარა რა ვიცოდი, მერე რა ფასონზე დაიწყებდნენ ცეკვას.

ბიძინამ გაიღიმა.

— რა? იმედი არ გაგიმართლდა?

— ეჰ, იმედი, რისი იმედი!.. ერთი თოფი ჩამოგეტანა. ვინც რუსის არმიიდან დაბრუნდა, ყველამ ჩამოიტანა იარაღი, შენ რა, დაგამძიმებდა?

— ახლა თოფი კი არა, თოხი უნდა ავიღო ხელში! — უთხრა ბიძინამ და თვალი-სუფრისკენ გააპარა, სუფრაზე ელაგა გაფიცებული ჭადი, ყველი, სურითი ღვინო და მოხარული კვერცხები. ბიძინა ჯარისკაცულ ულუფას ვერ შეეგუა და ჭადი და ყველი სანატრელი ჰქონდა. ახლა ეს ნანატრი საქმელი რომ დაინახა, ესიამოვნა.

საუბარში შემოათენდათ. ბიძინას სახლისკენ მიუწევდა გული, ახლა კიდევაც ნანობდა, რომ ჩამოსვლისთანავე დედა არ ნახა. ბიძინამ ხალათის საყელო შეიკრა და ქუდი აიღო.

— ბიძია, ახლა ჩემსას წამოდი, დედას წინასწარ შეატყობინე, რომ ჩამოვედი!

— ეეჰ, სადღაა უბედური დედაშენი, — მიუგო ნესტორმა. — საწყალს საფლავში ჩაჰყვა შენი დარდი... გამაგრდით, შვილო, ვაყვაცია ხარ! — ნესტორმა ცრემლი მოიწმინდა.

გაფითრებულმა ბიძინამ ერთი ამოიგმინა — ვაი, დედაო, და მერე იკითხა:

— კი მარა, როდის მოხდა ეს უბედურება? რატომ არ მაცნობეთ?

— შარშან ამ დროს. როგორ არ გაცნობებთ, მაგრამ ქვეყანა აირ-დაირია და ალბათ დეპეშა არავეინ მოგიტანა.

ბიძინა კარისკენ გაემართა და ნესტორის სთხოვა, ჩემთან წამოდო.

— სად მიდიხარ, ბიჭო?

— საფლავზე მაინც მივაკითხავ იმ უბედურს!

— ჯერ სახლში მიიხედ-მოიხედე, საფლავზე მერე წავიდეთ.

— კედლები ვნახო? რად მინდა!

სასაფლაოზე ერთადერთი გუნდის ხე იდგა და ისიც გადახრილი იყო. რკინის ჯვრებს ჟანგი მოჰკიდებოდა, ზოგ საფლავზე გამხმარი ყვავილები ეყარა, ზოგსაც ბალახი ჰქონდა მორეული, ლოდები ხავსით იყო დაფარული, ერთგან უღლიანი თხა უკანა ფეხებზე შემდგარიყო და გუნდის ხეზე შემოხვეულ სუროს კორტნიდა, ხოლო მისი შავი და კრელი ციკანი საფლავის ლოდზე იწვა და მზეზე თბებოდა.

ბიძინა და ნესტორი საფლავთან მივიდნენ.

საფლავი ვილაცას გაესუფთაებინა და ზედ ცოცხალი ყვავილები დაელაგებინა. ნესტორს ასე მოვლილი საფლავი რომ დაუხვდა, ენიშნა.

— რა გყავს ის ნუცა, გაახარა ღმერთმა! — ჩაილაპარაკა მან, მაგრამ ბიძინას მისი სიტყვები არ გაუგონია, მუნღებზე დაეცა, დედაო, ერთი ჩასძახა საფლავს და ზედ დაემხო.

ნესტორი მამაკაცის უცრემლო ტირილით ტიროდა, უცებ კეითინი შემოესმა, მერე მოშორებით აქოჩრილი ბუჩქიც შეინძრა. „ნეტავ ვინ არის?“ გაუკვირდა ნესტორს, ბუჩქს იქით გადაიხედა და ნუცა დაინახა.

— გოგო, ემანდ რას იმალები, — დაუძახა ნესტორმა, — მოდი აქა, ხომ ხედავ, ვინ ჩამოვიდა!

ნუცა უფრო მოიკუნტა და ბუჩქს უფრო ამოეფარა, მაშინ ნესტორი თვითონ მივიდა მასთან, მკლავზე ხელი მოჰკიდა და ბიძინასთან მიიყვანა.

ბიძინამ ცრემლით სველი თვალები

ნუცას მიაპყრო, სევდიანმა სიხარულს უცებ გული ვერ გაუღო.

— ოხ, ბიძინა! — შესძახა ნესტორმა ვაჟკაცის მკერდს მიეყრდნო.

ნესტორმა მათ თვალი მოაჩინა, სოფლისკენ მიბრუნდა, ცოტა ხანს აცალა და შემდეგ უთხრა:

— აბა, გეყოფათ ახლა, წავიდეთ შინ, წავიდეთ! — ნესტორი ნუცას და ბიძინას შუა ჩადგა, ორივეს მკლავზე ხელები გამოსდო და შარავნისკენ წაიყვანა.

გზაზე ნუცამ ნესტორის ხელი მოიშორა, ბიძინას გვერდში ამოუდგა და მორიდებით ჰკითხა:

— რატომ წერილს არ მწერდი?!

— როგორ არა გწერდი, მაგრამ არ მოგდოდა, მეც ძალიან ძვირად ვლებულობდი შენს წერილს, ფიქრი მქამდა. ერთხელ დავიპყერი, ჰოსპიტალში ბარძაყიდან შრაპნელის ნამსხვრევი ამომიღეს, მერე სიცხე მომცა და შენ დამესისხმრე. ის სიხმარი არასოდეს არ დამავიწყდება, თეთრი ტანსამოსი გეცვა, თავზე საქორწინო გვირგვინი გეხურა და იცინიდი. მო, როგორ გავიხარე. მეწყინა, მალე რომ გამეღვიძა. დილა იყო. წერილი და დეპეშა ერთად გამოგვგზავნე. მაგრამ არც ერთის პასუხი არ მიმიღია, კიდევ კარგი, ერთი წლის შემდეგ მომწერე. კარგად ვარ. დედაჩემის წერილებს უფრო ხშირად ვლებულობდი. ცოცხალი მაინც დამხვედროდა. ჩემი ზრუნვა მაინც ჩაპყლოდა საფლავში... ბევრი იწვალა?!

— არა. ერთი წამოიძახა, ბიძინაო, და მორჩა!

ბიძინამ მძიმედ ამოიოხრა, თავი ჩაღუნა და დიდხანს ხმა არ ამოუღია.

ნუცა კი მისჩერებოდა მის საფეთქელს ზემოთ არშინავით ჩაყოლებულ ქაღარას. აქედან რომ წავიდა, არც ერთი თეთრი არ ერია, შავი თმა გვერდზე გადაეარცხნინი ჰქონდა და ძალზე უხდებოდა.

— ნუცა, წუხელეე მინდოდა შენთან მოსვლა, კიშკართან შეეჩერდი, მაგრამ ვილაცის ცხენი დავინახე და მართალი გითხრა, მეწყინა.

— საწყენიცი არის. ის ცხენი შალვა გამყრელიძისაა, კომისარი გახლავთ დაბაში და მთელი ქვეყანა თავისი ჰგონია!

ნუცა ჩაფიქრდა. მას ერთმა გულმა უთხრა: ნურაფერს დაუმაღლე ბიძინას, ვასამხელი გაუშვილო, მეორე გულმა კი გააფრთხილა, ნუ აჩქარდები, კაცს ნუ გაახელებო, და გადაწყვიტა პირზე ხელი დაეფარებინა, მაგრამ უცებ შალვას აეკაცობა მოაგონდა. შალვამ მას თვალი დაადგა, ხელი სთხოვა და მისგან უარი რომ მიიღო, გაგულსებულმა ჯერ ნახევარი სახლი ჩამოართვა, შიგ კაბინეტი და კანცელარია გამართა, მერე დაიბარა, უყვირა: შენ, ბოლშევიკი ხარ, შენი ბიძინაც ბოლშევიკია, მისგან მითითებებს ლებულობ, სოფელს მიჯანყებო. დაქაღნა, დაგაპატიმრებ და ციხეში ჩაგსვამო. ეგონა შეაშინებდა, და რასაც დაყვავებით ვერ მიაღწია, დაქაღნებით მიაღწევდა. მაგრამ ნუცა დაქაღნებამ უფრო გააფრთხა, კაბინეტიდან გამოვიარდა და კარი მიიარაჯგუნა.

— მოიცა, სად გარბიხარ, სად?! — ფანჯრიდან გადასძახა შალვამ, ნუცა კინკლაში გავიდა და იმის შემდეგ თავის კარშიდამოში იშვიათად ჩივებოდა. გაღმა უბანში მოხუც დეიდას შეეხიზნა. შალვამ არც იქ მოუსვენა, მოსატაცებლად მიუვარდა, ნუცას კივილმა მთელი უბანი წამოშალა, დაფეთებული გლეხები მოკვიდნენ და გაწბილებული მოძალადე მიიშალა.

ნუცას ეს და ბევრი ამისი მსგავსი უსიამოვნება მოაგონდა შალვას მიერ მიყენებული და თავის სატრფოს თავისი დარდი არ დაუშალა.

— სულზე მომისწარი, თორემ თავი უნდა მომეკლა... ეს იმიტომ არ ვითხარია, რომ მას ეჩხუბო, მთავრობის კაცია, ჯანაბას იმისი თავი. შენ რომ აქ ხარ, ახლა თავისთავად ჩამომშორდებ, თუ ხათრი გაქვს, ხმა არ გასცე, ხათაბალა არ გადაგიდოს.

— ძალიან შეუშინებხარ იმ უსინდისოს.

ნუცა სამშვიდობოზე გასულივით მშვიდად მიდიოდა, ხანდახან თვალს გა-

მოაპარებდა და ბიძინას შეხედავდა. „გამოიცვალა? გამოიცვალა? სხვანაირი გამოიქვია. სახეც ვათხელებია, ფერი არ ადევს. თვალები? ნაპერწკალივით მწველი თვალები რამ ჩაუქრო?“

ნუცა ხმას არ იღებდა, თავის ვაყკაცს გვერდში რომ მიძვეებოდა, ის ახარებდა... ამოათავეს აღმართი, ღუქნებისაკენ გაემართნენ, იმის იქით ხევის პირას ბიძინას სახლი იდგა.

მოსახვევიდან ჯერ ცხენის თქარათქური მოისმა, მერე დაბის კომისარი შალვა გამყრელიძე გამოჩნდა. მან გაქაფული ცხენი სამიკტნოს წინ შეაყენა, მარდად გადმოხტა, ქარვისფერი ბოხოხი კეფაზე მოიგდო და გზისკენ რომ გაიხედა, მაშინვე შუბლი შეიკმუხნა, ნუცას გვერდით მიმავალი ბიძინა თვალში ეკალივით მოხვდა.

— ყმაწვილო, აქ მობრძანდიო, — ამაყად დაუძახა ბიძინას და თან თითიც დაუქინა.

— აგისრულდა ნატვრა, კომისარი გეძახის! — გაიცინა ნესტორმა, ბიძინა რომ შეჩერდა, მან მკლავი ჩამოქაჩა, — მიდი, კაცო!

— რად უნდა მივიდეს, იმასთან რა საქმე აქვს! — შეშფოთდა ნუცა, ბიძინას ხელს ხელი გამოსდო, უნდოდა სხვა გზით წაეყვანა, მაგრამ ვაყკაცი აღგილიდან ველარ დასძრა.

— მოდი აქ, გესმის? — შეჰყვირა კომისარმა, აღვირი ტახტზე გადაავდო და თვითონ მგლური ნაბიჯით ბიძინასკენ გაემართა.

კომისარი მაღალი იყო, ალვის ხესავით აწურული, ქერა, ხუჭუჭი თმები აბურდოდა, უღვაშები მსუქან ლოყებზე ყანწებივით აეგრიხა, მოსარიმული ყაბალახი მხარზე მოეგდო, დარაიას ხალათი, რომელიც ღირკილოებით გვერდზე იბნეოდა, ახლა ბოლომდე შეეხსნა და მკერდი მოუჩანდა. წვრილ წელზე ფართო ქამარი შემოერთყა, მაუზერი თავისი ხის ბუდით ზედ კიბთან ეკიდა, გალიფეს ლურჯი შარვლის მუხლის თავებზე ყვირთელი ტყავის საკერებელი ჰქონდა ამო-

გვირისტებული, უძიროების ყელი წვი-  
ვებზე ლეკვერთხებით შეეკრა.

კომისარი ბიძინას წინ გალაჯული  
დადგა.

ნუცა ცივად მიტრიალდა და პირი ხე-  
ვისკენ იბრუნა.

კომისარმა თვალები ბიძინას გადაუბ-  
რიალა.

— შენ უფროს-უმცროსი არ იცი? თუ  
აქ ყველა შენსავით ბოლშევიკი გგო-  
ნია?!

— არა, ბატონო, შენ ჯვარი გწერია!..  
ჩემგან რა გნებაეს?!

— შე კი არა, კანონს ნებაეს, აქ რომ  
ჩამობრძანდი, პირველად ჩემთან რატომ  
არ გამოცხადდი?!

— კაცო, რა ჰქონდა ასე სასწრაფო,—  
ვერ მოიხინა ნესტორმა, — ბიკი წუ-  
ხელ ჩამოვიდა, ახლა დედის საფლავზე  
იყო, ჯერ თავის სახლშიც არ მისულა.

— მაშ, ნუცასთან გადაითენა? კარგია,  
კარგი!

— ჰაიტ, შე საზიზღარო! — დიყვირა  
ბიძინამ, კომისარს მიჰვარდა და მოცახ-  
ცახე თითებით ყელში სწვდა, მაგრამ  
მათ შუა ნესტორი ჩაეარდა, მას გამე-  
ლელ-გამომვლელი გლვებზე მიეშველ-  
ნენ, ნაჯარისკაცალი და კომისარი ერთ-  
მანეთს დააშორეს.

— ბუნტოვჩიკი, ბოლშევიკი, — ყვი-  
როდა კომისარი, — შე შენ გიჩვენებ! —  
მან რევოლუერისკენ წაიღო ხელი, მაგ-  
რამ გამზავებლებმა შეაკავეს და ხვეწნა-  
მულდართ სამიკიტნოსკენ წაიყვანეს. იქ  
კომისარი მაგიდას მიუჯდა და იქვე კე-  
დელზე მიკრულ სარკეში თავისი გაბო-  
როტებული სახე დაინახა, კისერზე ბი-  
ძინას თითებზე წითელი ანაბეჭდი თვალ-  
ში რომ მოხვდა, უფრო გაბოროტდა.

კაბინეტში აღრე მივიდა. იქ მოადგი-  
ლემ ხელმოსაწერად ქალაქლები შემო-  
უტანა, ერთი დაქმუქნული ქალაქი კი  
მის წინ ღიმილით გაშალა და მიაწოდა.

— როგორ მოგწონს?

კომისარმა ის ქალაქი გამოართვა,  
თვალი გადაავლო და გაიღიმა.

— ახლა კი ჩემს ხელში ხარ, ბიძინა  
კილაძე! — ჩაილაპარაკა მან.



ბიძინა თავის ეზოში ცაცხვის ქვეშ ჩა-  
ფიქრებული იჯდა. სახლში ბიკოლა და  
ნუცა ფუსფუსებდნენ, ნესტორი შემას  
აპობდა, სამზადში კერაზე ცეცხლი გოზ-  
გიზებდა.

ეზოში სტუმარს სტუმარი ემატებო-  
და, ბიძინას ახლობლებმა და კეთილებმა  
თავი მოიყარეს. სადილი ვახშმობამდე  
გაგრძელდა.

სუფრა გვიან აიშალა. სტუმრები ვა-  
იკრიფნენ. ნუცა ნესტორსა და ვერას  
გაჰყვა, მაგრამ ის ახლა დეიდასთან არ  
წასულა. თავის ეზოში თამამად შევიდა,  
ოთახში ლამპა აანთო, მაგრამ მშვიდად  
არ დაუძინია, შიში ჩაჰყვა, იცოდა, კო-  
მისარი ბიძინას „დანაშაულს“ არ აპა-  
ტიებდა.

ბიძინას კი თავის სახლში ისე მაგრად  
ეძინა, რომ კაქუნი არცკი გაუგონია, კო-  
მისარის მოადგილემ კარს ფეხი ჰკრა და  
შეაღო. ბიძინა ლოგინიდან წამოხტა. კო-  
მისარის მოადგილემ პატრუქს აუწია,  
ოთახი განათდა.

— რა ამბავია?! — იკითხა ბიძინამ.

— დიდი არაფერი. პეტროვრადიდან  
იარალი ჩამოგიტანია, ეს ჩვენ უკვე ვი-  
ციით, ჩავვაბარე და...

— რა ჩავვაბაროთ, რაც არ ჩამომიტა-  
ნია!

— ვაჰრობის თავი არა მაქვს! აბა, გა-  
ჩხრიკეთ, — უბრძანა მხლებლებს, — არ  
დატოვოთ არც ერთი კუნჭული.

ყველაფერი რომ მიჩხრიკ-მოჩხრიკეს  
მერე კომისარის მოადგილემ ხელი კარა-  
დისკენ გაიშვირა და ბრძანა:

— იქნებ ამაშია, გასინჯეთ!

კარადაში ეკიდა ბიძინას საგარეო ჩო-  
ხა-ახალუხი და დედამისის თაღი კაბე-  
ბი. ერთი თეთრად დაწინწკლული კაბა.  
ზოლებიანი ახალუხის გვერდით რომ  
ეკიდა, კარის გაღებისას იატაკზე დაეარ-  
და. მილოციელმა კაბას ფეხი ჰკრა და კუ-  
თხეში მიაგდო. ბიძინა კაბას დასწვდა და  
სკამზე გადაიკიდა. ეს კაბა მან ჯარში წა-

სვლის წინ დედას კიათურიდან ჩამოუტანა.

— ნამეტანი კრელია, შვილო, მხიარული! — დაუწუნა დედამ.

— საგლოვი და საჯაგრებელი რა გაქვს? არაფერს გაგიჭირვებ! — მიუგო ბიძინამ და იმ კვირას ბაზრობაზე ძალით ჩააცვა. მეზობლის დედაკაცებმა მოუწონეს კაბა. „ჰო, ბიჭმა მიყიდა, ვენაცვალე იმასო“ — უხაროდა დედას, მაგრამ ბიჭი რომ ჯარში გაიწვიეს, ეს სიხარული შხამად ექცა. კაბა კარადაში ჩამოვიდა...

ბიძინას ახლა ფიქრში დედა წარმოუდგა თვალწინ.

გვარდიელებმა ვერაფერი იბოვეს. კომისრის მოადგილემ ბიძინას მკაცრად ჰკითხა.

— რა უყავ, დამარბე? არა უშავს, დაგაქვევინებთ, — შემდეგ გვარდიელებს უბრძანა, — წამოიყვანეთ!

— ვერსად ვერ წამოიყვანთ! — იყვირა ბიძინამ, უცებ მუშტი მოკლე და თანჯრისკენ გაიქცა, მაგრამ მინის იქით ეზოში შენიშნა გვარდიელები, რომლებიც მთვარის შუქში უბრაოდ იდგნენ. გაქცევა შეუძლებელი იყო. ამიტომ გალიაში ჩამწყვედულ ფრინველივით ფრთები ჩამოყარა და გვარდიელებს გაჰყვა.

კომისრის კაბინეტის უკან პატარა ოთახში შეაგდეს ბიძინა და გარედან კარი გადაურახეს. ოთახს ერთადერთი თანჯარა ჰქონდა და ისიც ისე აეფიცრათ, რომ მთვარის შუქი ძლივს ატანდა. ბიძინა კუთხეში იატაკზე დაჯდა, სიბნელეში ვიდაკამ ჩუმად ჩაახველა, შემდეგ მისი ჩახლენილი ხმაც გაისმა.

— ვინა, ხარ, შვილო?

— გამარჯობა, ბიძია, ველარ მიცანი? ბიძინამ იცოდა, ნესტორი აქ რომ დაუხვდებოდა, კომისრის მოადგილემ კარებში უთხრა: — ნუ გეშინია, ურჩი ბიძაშენიც იქ დაგიხვდება.

— რისთვის დაგიჭირებს. ბიძაჩემო? — ჰკითხა ბიძინამ.

— რა ვიცი!

— როგორ არ იცი! მამ, უმიზეზოდ მოგიყვანეს?

— ეს მიზეზია, ბიჭო? შალვა გამყრელიძემ, ჯერ შენი იარაღი მომთხოვა, მერე ღალა. ძიკა წერეთლის მომთხოვნა და შალვასთან მიჩივლა იმ დღინამდღამა. შალვასაც ეს უნდოდა, ბევრი მათთან და მაგინა, მაგრამ არც მე დამიკლია, გაბრაზებულმა აქ მომიყვანა, ვნახოთ, რას წაიღებს ჩემგან.

— თუ მაგრად დაუხვდი, ვერაფერსაც ვერ წაიღებენ! — წააქეზა ბიძინამ.

— დაუხვდები! აქ რომ ვზივარ, სუსტი ხომ არ გგონივარ? მთელი სოფელი ჩემს მხარეზეა. მე ჩამოვართვი ყველა გლეხს პირობა, რომ ღალა არ გადაიხადონ. გლეხი ახლა გამწარებულია და არაფრის არ ეშინია... ვენაცვალე ნუცას, ვინ იცის, ახლა მთელს სოფელში ჩიტვით დაფრინავს.

— კი, მაგრამ ნუცა...

შეყოყმანდა ბიძინა.

— ჰო, ნუცა, გაიგებდა, რომ დამიჭირეს. მთელ სოფელს აქ მორეკავს. ჩვენი გლეხი ახლა დატენილ თოფსა ჰგავს. სასხლეტზე თითის გამომკვრელი თუ გამოჩნდა, დაბა-სოფელი იფეთქებს. აბა, ეს ლენინმა რომ იცოდეს!..

— იცის, ლენინმა, იცის, — გაუხარდა ბიძინას.

ბიძინა ნესტორისაგან ასე ლაპარაკს არ მოელოდა. როგორ შეცვლილა ბიძია, — ფიქრობდა ბიძინა, — ნუთუ გულთ ამბობს ამას. აბა, რა იყო ის, ჯარში წასვლა არ მინდოდა და შავი დღე მყარა, მეფის სამსახურზე უარს როგორ ამბობო. მაგრამ ეს მაშინ იყო. ახლა რომ გაიგოს, თუ რა გულთ ვარ სოფელში ჩამოსული, სულ გაგიყდება“.

ახლა ბიძინას ფიქრი ნუცას გადასწვდა.

— ნუცა რას აკეთებს სოფელში? — ჰკითხა მან ბიძის.

— აქი ვითხარი, ნუცა სოფლის თვალაია. — ნესტორმა პირი ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა. — თბილისში იყო კრებაზე, იქიდან გალესილი ხმალივით ჩამოვიდა.

— რა კრება?!



— როგორ კითხულობ, ბენია, გოგო ბოლშევიკია, არ გეწყინოს, ნურაფერს ეტყვი, მაღავს, ეშინია, არ დაიჭიროს! აქ არავინ გვისმენს, თუ კაცი ხარ, მითხარი, იარაღი მართლა ჩამოიტანე?

— არა, არაფერიც არ ჩამომიტანია,— მიუგო ბიძინამ და ფანჯარასთან მივიდა.

— თუ არ ჩამოგიტანია, ძალიან ცუდად მოქცეულხარ. ახლა სოფელში იარაღია საჭირო!

— არ ვიცოდი, თორემ ჩამოვიტანდი..

ბიძინამ მუშტები დაურთო ფანჯრის ჩარჩოზე გარდიგარდმო მოჭედებულ ფიცრებს.

— რა მოგივიდა, კაცო? — ჰკითხა ნესტორმა, მაგრამ ბიძინას მისკენ არც მიუხედავს, მაშინ ბიძამ წელზე მოხვია ხელი, კუთხეში მიიყვანა და უთხრა:

— დაჯექი, თუ ასე მაგარი მუშტები გქონდა, აქ არ უნდა შემოსულიყავი!

— რა ვიცოდი, თუ ათი კაცი დამესეოდა... აქ რა საბუთით მომიყვანეს?!

— საბუთი? — ჩაიცინა ნესტორმა, ძმისწულს მხარზე ხელი დაჰკრა და იატაკზე დასვა.

ოთახში სიჩუმე და სიბნელე ერთმანეთში აირია.

კართან იატაკის ფიცარი ოდნავ შეიჩინა, მაგრამ ეს პატიმრებს არ უგრძობნიათ, ერთხელ კიდევ შეიჩინა ფიცარი და შემდეგ ოდნავ გასაგონად გაისმა:

— ბიძინა!

— ჰა!

— სუუ, ჩვენი ნუცა! — გადაუჩურჩულა ნესტორმა და წამოდგა.

ამ ოთახის იატაკის ფიცარი, რადგან მშენებლობის დროს ნედლი იყო, ნუცას მამას ძელებზე არ დაუჭედებია, გახმება და პირს დააღებსო, პატარა ლურსმნებით სახელდასხლოდ დაამაგრა. ფიცარი რომ კარგად გამოშრა, პატრონი უკვე ცოცხალი აღარ იყო და ნუცას იმისი დაჭედების თავი აღარ ჰქონდა. ახლა კი ეს მიშვეებული საქმე გამოადგა ნუცას. მან ფიცარი ადვილად ასწია და პატიმრებს გასაქცევი გზა მისცა. ბიძინა რომ იატაკის ქვეშ მიიმალა, ნესტორი, თითქოს

რაღაც მოაგონდაო, შეჩერდა და ნუცას უთხრა: — მე არაფერი ფრქვევს ფეხსაქცევი!

ბიძინა

ნუცამ ფიცარი ნელა დაუშვა. იატაკი მიწასთან ახლოს იყო, ბიძინას წელი ვერ გაემართა. ნუცა მასთან მივიდა და ანიშნა, გამოემყვიო. ორივენი ფორთხეთი სახლის უკან ლაფაროში გავიდნენ.

სხვენზე ნუცას გრძელი კიბე მიედგა. საიმედოდ შემოფიცრულ სხვენს ერთი პატარა კარი ჰქონდა დატანებული. კუთხეში თაროზე ათიოდე კეხურა ვაშლი-და ზღო, ლურსმანზე ჩამოკიდებული კომშის ჯაგნიდან შემხმარ ფოთლებში ერთი გვერდგამომპალი კომში გამოიყურებოდა. ესეც საკმარისი იყო, რომ ოთხი წლის განმავლობაში დენთისა და ტრუსის სუნს შეჩვეულ ბიძინას ხილის სურნელება რაღაც საოცარ ნეტარებად მოსჩვენებოდა.

ნუცას გადაეფარებინა ჩალაზე დათვის ტყავი და ზედ ჰრელი მუთაქა დაეფლო.

— არხეინად იყავი. — უთხრა ნუცამ, — ყარაული ვერაფერს გაიგებს, კაცი მიეუგზავნე და იმდენი არაყი დალია, დარეტიანებული ვდია. კომისარიც დუქანშია, ძმა-კაცებში ქეიფობს!

ბიძინამ ნუცას აუხსნა, თუ სად ჰქონდა დამალული იარაღი და მისი მოტანა სთხოვა.

— რად გინდა აქ იარაღი? როცა სამშვიდობოს გაგიყვან, ყველაფერს იქ მოგიტან!

— არა, სამშვიდობოს უთოფოდ ვერ გავალ!

ფიცრებს შორის ქუჭურტანებიდან მთვარის ვერცხლისფერი შუქი შემოდიოდა და სხვენზე დალაგებულ ჩალას ზოლებად ედებოდა. ბიძინა დათვის ტყავზე დაუშვა და ნუცაც თან დაიყოლია. ქარი ცაცხვის ტოტებს ყავარს უხათქუნებდა. ნუცა ჩალას დანსქეროდა, ბიძინა კი ნუცას არ ამორებდა თვალს. და, როცა ბიძინამ ხელზე მოჰკიდა ხელი ნუცას და თავისი ცხელი ბაგეები გაუბედავად შეახო მის ხელისგულს, გამოფხიზლდა ქა-

ლი, თითქოს მთელმა დაღლილობამ გაუ-  
არაო.

— ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარე-  
ლო! — ჩურჩულებდა ბიძინა.

ქარმა კიდევ შემოუქროლა. ცაცხვის  
ტოტები მძლავრად მიახეთქა ყავარს, ჩა-  
ლაზე მთვარის ზოლები შექანდა... შე-  
კრთნენ ისინი.

— შენ გვერდით ყოფნას რა სჯობს,  
მაგრამ კიბეა მოდგმული, ვინმე რომ მო-  
ვიდეს, მოგვაგნებენ. ახლა წავალ და ია-  
რალს ამოგიტან!

ნუცამ იმ ღამესვე მოასწრო ბიძინა-  
სათვის მოეტანა თოფი, ყურავლიოვის  
ჩანთა, პური და ჭყლინტი ყველი.

ნუცამ კიბე ბელელში შეიტანა, თვი-  
თონ კი ფეხაკრფით შევიდა ოთახში.  
გამოციებულ ლოგინში ჩაწვა. მთვარე  
უკვე ჩადიოდა, მისი სხივები ირიბად  
ეცემოდა ფანჯრებზე ჩამწყკრებულ  
წითელ ბაღბის ფოთლებს, იატაკზე ჯა-  
დოსნურ ფიგურებს ხაზავდა.

სიჩუმე იყო, ხანდახან ნიავი გაიქრო-  
ლებდა და საკვამურთან მქვარტლის  
სუნს მოიტანდა. ხან თავი მოცუნეულ-  
დებოდა, მძივებივით წვრილი თვალებით  
ვერ ხედავდა უძრავად მჯდარ ბიძინას  
და მერე არხეინად მიადგებოდა ჩელტზე  
დაფენილ ჩირს.

ბიძინას მობეზრდა ფიქრიც, შიშით  
რომელიც ხანდახან გულში გაკრავდა  
ხოლმე, ახლა თავს მიუგდო ყური, მაგ-  
რამ ისიც მალე სოროში შეძვრა. მარტო  
დარჩა, სულ მარტო. ნუცაზე ფიქრობდა.  
გახსენდა, როცა ჯარისკაცის მახარაში  
გამოწყობილი ნუცას ეშვებოდებოდა,  
ქალიშვილს თვალები ცრემლით აევსო,  
ვაყვაც გული აუჩქროლდა, თავი ჩაღუ-  
ნა და ორლობეს გაჰქვა. გზაზეც, ყაზარ-  
მაშიც და სანგარშიც, ყველგან, ყველგან  
ნუცას ცრემლით საესე თვალები ელან-  
დებოდა. დიდი ძალა ჰქონდა ამ თვა-  
ლებს, ამხნეებდა მას, აქეზებდა და ხმა-  
რად ამშვიდებდა კიდევ.

ბიძინამ დღესაც დაინახა ნუცას თვა-  
ლებში გაბრწყინებული ცრემლი, მაგ-  
რამ ეს იყო სიხარულის ცრემლი.

ბიძინამ თოფის ლულას დაადო ხელი,  
ლითონის სიცივემ ტანში დაუფრიალა.  
„ახ, თოფო, თოფო, თუ მომეცა ჩემს  
გულში, — ჩვენ ხომ ძველი მეგობრები  
ვართ, რამდენი ტანჯვა და სიკვდილი  
გვინახავს, მაგრამ შინით არასდროს შე-  
გვშინებია. პიტერში რომ დამკრეს, შენც  
ჩემ გვერდით დაეცი, მერე რა, ძმაო, და-  
კრილი ვიყავ და შენთვის ხელი მაინც არ  
გამიშვია...“

III

მეორე ღამეს ნუცამ გაღმა სოფელში  
ჩასიძებული ძმის ურემი მოიყვანა, ჩა-  
ლით დატვირთა, შიგ ბიძინა შემალა,  
კოფოზე ძმისწული, თორმეტი წლის ბი-  
ჭუნა დასვა და უთხრა:

— ეს ჩალა მამაშენს მიუტანე.  
ჩალაში ბიძინა რომ იყო შემალეული,  
ბიჭუნამ არ ეცოდა. გზაზე მიმავალ  
ურემთან ნუცა არ გამოჩენილა. ბიჭუნას  
სახრის მოქნევა არც დასკირებია, ხარე-  
ბმა რაკი თავისი სახლისაკენ იბრუნეს  
პირი, მსუბუქი ურემი სწრაფად გააქა-  
ნეს. გვიან ღამით ურემი სოფელ ქალა-  
ში შევიდა. ნაწისქვილართან ნუცა გა-  
მოჩნდა, ურემს წინ დაუდგა, გაჰაფული  
ხარები შეჩერდნენ.

— აბა, გაიქეც ბიჭო, მამაშენს უთხა-  
რი, ახლავე აქ გაჩნდეს!

— კი, მაგრამ რა მოხდა, მამიდა? —  
იკითხა გაოცებულმა ბიჭუნამ.

— არაფერი, აბა, გაიქეც!

ბიჭუნა კოფოდან ჩამოხტა, სახრე ნუ-  
ცას მიაწოდა და შინისკენ გასწია. ბიჭუ-  
ნა რომ სიბნელემ დაფარა, ნუცამ ბიძი-  
ნას დაუძახა:

— გამოდი, კაცო, ხომ არ დაგეძინა?  
ბიძინამ ჩალიდან თავი ამოყო.

— გოგო, ძილი კი არა, ი ბიჭი ისე მო-  
იმღეროდა, თითქოს მაყარი მოჰყავდა.

ჩალამ გაიშრიალა, კონები აქეთ-იქით  
გადაიწია და შეიარაღებული ბიძინა ურ-  
მიდან გადმოხტა.

ნუცამ ხარს სახრე გადაუჭირა, ურემი  
აღვლილად დაიძრა.

— სად ერეკები? არ დაიქარგოს!  
— არა უშავს, პატრონი გზაში შეხვ-

დება, თუ არა და სახლს მიიწვი მიაგენ-  
ბენ! წამოდი!

ნუცამ და ბიძინამ ერთხანს შარავზით  
იარეს და შემდეგ ტყისკენ გადაუხვიეს.  
ბილიკი მათეულივით დახვეული იყო,  
მწვანე გორაკზე მიიკლაცნებოდა და თა-  
ვი ტყეში ჰქონდა შერგული. მუხნარის  
შუაგულში პატარა მინდორზე ძელები-  
საგან შეკრული ქოხი იდგა. ქოხში ოდე-  
სლაც ტყის მცველს უცხოვრია, მისი  
გარდაცვალების შემდეგ ხანდახან მონა-  
ღირეები ათევენენ ღამეს და ცეცხლიც  
მაშინ ინთებოდა.

ახლა, ამ უმთვარო ღამეში ქოხიდან  
გამოსული ცეცხლის შუქი მინდორს ანა-  
თებდა. ბიძინამ ეს შუქი შორიდან რომ  
დაინახა, მაშინვე იკითხა:

— იქ რა არის?

— წამოდი, საღაც სხვა, შენც იქა, ნა-  
ხევარი სოფელი ტყეშია გაქრილი.

ბიძინას ნესტორის სიტყვები მოაგონ-  
და, ჩვენი სოფელი ახლა დატენილ თოფ-  
სა ჰგავს, სასსლეტზე თითის გამოკვრა  
უნდა და დაიცლებაო. მან ფეხს აუჩქა-  
რა, ტყიდან რომ გამოვიდნენ, ნუცამ თი-  
თები ტუჩზე მიიღო და ორჯერ დაუ-  
სტვინა. ქოხიდან ვილაც გამოვიდა, მღე-  
ვივით უზარმაზარი ჩანდა.

— რომელი ხარ? — გასძახა მან სიბ-  
ნელეს.

— მე ვარ!

— ნუცა ყოფილა! — შესძახა მან ქოხ-  
ში ამხანაგებს და შემოსაგებებლად წა-  
მოვიდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ  
ისევე გაისმა მისი ხმა.

— მოგყავს?

— მომყავს!

— ოხ, ჩვენი სანდრო! — გვიან იცნო  
ბიძინამ. სანდრო აბრამიშვილი ბნელში  
შორიდან ჩანდა. ზორბა, მაგრამ საშუა-  
ლო ტანისა იყო.

— შე კაი კაცო, აქ ციხეში ჩასაჯდო-  
მად ჩამოხვედი? — გაეხუმრა სანდრო  
ბიძინას. — ეს გოგო რომ არ დაგხმარე-  
ბოდა, ახლა ქუთაისის ციხეში იქნებოდი.

ქოხში ბიძინას ბევრი თავისი მეზობე-  
ლი და მახლობელი დაუხვდა, ვინც უც-  
ნობი იყო, გაიცნო. ბანაკმა გვიან დაიძი-

ნა, მაგრამ ბიძინას და სანდროს არ ეძი-  
ნათ. ისინი ქოხის უკან წიფელის ქვეშ  
გაგებულ მაზარაზე დასტდნენ. საუბარი  
ჯერ სანდრომ წამოიწყო. მან მიწაზე ერ-  
თიმერის გვერდით წამოწოლილ გლე-  
ხებს გადახვდა და ბიძინას უთხრა:

— ეხ, ბიძინა, გლეხს ახლა ხელში  
თოფი უნდა ეკიროს? სიმინდი სამარგ-  
ლავია და ხედავ, რა დღეში არიან!

— რას იხამ, ამით ერთი ოქტომბერი  
კიდევ უნდათ, რომ მიწა და სიმშვიდე  
მიიღონ!

მათი საუბარი დიდხანს გაგრძელდა.  
სანდრომ ბიძინას ათასი დარიგება და  
დავალება მისცა, მერე ცხენს მოახტა და  
სამუშაოდ წავიდა.

ბიძინა ტყეში იმალებოდა. მას მთელ  
ქიათურასა და საჩხერეში ეძებდნენ. გა-  
ცოფებული შალვა ეძებდა ნუცასაც. ვი-  
ლაცამ სოფელში ხმა დააგლო, ბიძინა და  
ნუცა საშა გეგეკეკორის რაზმშია და  
დღეს თუ ხვალ შალვას გაათავებენო.

შალვა უფროსებს მოსვენებას არ აძ-  
ლევდა; ჯარსა და დახმარებას სთხოვდა,  
სოფელში მარტო არ დადიოდა, ორი მი-  
ლიციელი დამცველად დაჰყვებოდა. მან  
ბიძინას გაქცივის შესახებ ყალბი საბუ-  
თები შეადგინა, ღამით ბოლშევიკების  
რაზმი დაეცა საპატიმროს და ქუთაისის  
ციხეში გასაგზავნად გამზადებული ბი-  
ძინა გაიტაცესო. ამან გასჭრა. კომისარი  
მარტო საყვედურს დააჯერეს, დასახმა-  
რებლად გვარდიის სამაზრო შტაბმა ერ-  
თი ოცეული გამოუგზავნა, რომელიც  
„მოდი ნახეში“ დაბანაკდა; ხალხის და-  
საშინებლად ამ ძველი ციხის კედლი-  
დან ზარბაზნის ღულა გადმოეყვდა.

გავიდა სამი თვე. ბიძინას ბანაკი სამ-  
ჯერ გაიზარდა, ქოხი ტყევა-წამლით გა-  
ივსო, თოფი ყველამ მიიღო, ზოგმა თი-  
თოთროლა ხელყუმბარაც იშოვა, ბიძი-  
ნასავეთ ნაჯარისკაცალები ისევ ნამდვი-  
ლი ჯარისკაცები და ოფიცრები გახ-  
დნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ  
ახლა უფრო ერთსულოვანი და შემარ-  
თულნი იყვნენ. ბიძინა, გლეხებს ხან ია-  
რალის ხმარებას ასწავლიდა, ხან ლენინ-  
ისა და სტალინის წიგნებს უკითხავდა.

საქმე აწყობილი იყო, ბანაკში გაზეთ „ბრძოლას“, „კავკასკი რაზონის“ და „მუშის სიმართლეს“ საპაპიროსე თამბაქოს შესახვევად არავინ იმეტებდა, კითხულობდნენ, სწავლობდნენ, ემზადებოდნენ.

...იმ დამეს მუხის ქვეშ მორზე მჯდარ ნესტორს თავი ჩაექინდა და მიწას ჩაპყურებდა. მისი თაღბი ზალათის ზურგზე მრგვალად ამოგვირისტებულ მოთეთრო ნაჭერს მთვარის შუქი აღმაცერად ეცემოდა და უფრო ათეთრებდა, პატარა, გლეხური ყაბალახი კისერზე გადაეგდო და მისი გრძელი ტოტები მიწაზე ეფინა.

ნესტორის მარცხნივ კი, კილობივით მოტიტვლებულ მიწაზე ნაჯარისკაცალები ისხდნენ, ზოგი პირალმა გამოტილიყო და მთვარეს გასცქეროდა, ზოგიც მხართეძოზე იწევა, ზოგიც ფეხმორთხმით იჯდა.

ერთი ახალგაზრდა ნესტორის პირდაპირ ლოდზე იჯდა, ზურგით ხეს იყო მიყრდნობილი, თავზე ბოხოხის გახეხილი ქული ეხურა, მუქაში მომწყვედულ პაპიროსს ეჩინიანდ ეწეოდა და სულ ერთიანად კვამლი ეხვია. მან ნესტორს ერთხანს შორიდან უცქირა, უცქირა და მერე ჰკითხა:

— ნესტორ ბიძია, კარგი საქმე გააკეთე და კიდევ რამ ჩაგაფიქრა?

ნესტორს თავი მალა არ აუწევია.

ნაჯარისკაცალებში ვილაცამ გაიცინა და ახალგაზრდას მიმართა:

— ასეთი რა საქმე გააკეთა, ბიჭო?!

— არ იცით, თავისი ბედელი გამოაცარიელა და სარჩო საბადებელი წერეთელს მიუტანა.

— მერე მადლობა თუ უთხრა, მინც, იმ წერეთელმა?!

— ეს საიდუმლოა. თქვენ კითხეთ... ნესტორ, არ გესმის? ნესტორ! — ხმა მალა დაუძახა ახალგაზრდას, ნესტორმა თვალები მოიფშვინტა.

— გეძინა, კაცო?!

— ძილს წავუღივარ ოხერი, ვინ შეძახდა?

— შე. გვინტერესებს, ლალა რომ მი-

უტანე წერეთელმა, მადლობა თუ ვითხრა?!

— მადლობა? დიდი მადლობა მითხრა! რა რა გინდათ ახლა?

— შენი კარგად ყოფნა, მაგრამ ის მადლობა შენს ცოლ-შვილს საქმელ-სასმელად რამდენ ხანს ეყოფა?

— აბა, რა შექნა, ბიძია, ცხეში კიდევ ერთ კვირას რომ დაერჩენილიყოფი, მოვეკვდებოდი.

ბიძინამ ნაჯარისკაცალების წინ ჩქარი ნაბიჯით გაიარა, კუნძის იქით შეჯგუფებულ გლეხებს მიაცქერდა.

— ვის ეძებ? — ჰკითხა ერთმა.

— ნესტორი მინდა!

— აჰა ვარ, შვილო! — ნესტორი წამოდგა და თავისი მძისწულისკენ უხალისოდ გაემართა. მას ეგონა, ბიძინა ახლა ლალის გადახდისათვის დატუქსავდა და იმას ფიქრობდა, თუ როგორ გაემართლებინა თავი.

— ბიძაჩემო, — მიმართა ბიძინამ, — შენ ახლა მთავრობა პატიოსან კაცად გთვლის, შენზე ვერავინ მიიტანს ექვს. შეგვისრულე ერთი დავალება. ეს წერილი სანდრო აბრაშიშვილს გადაეცი და რაც იმან დაგავალოს, ის გააკეთე. რამდენ ხანში ჩახვალ სადგურში?

— მალე. იქ ჩასვლას რა უნდა!

— ჰო, აბა, შენ იცი, გასწი, შეგიძლია წერილი წაიკითხო და მიხედები, თუ რა სასწრაფო საქმეა.

ნესტორმა წერილი უბეში ჩაიდო და ტყეში მიიშალა.

ნესტორი რომ წელან იჯდა, იმ მორზე ახლა ბიძინა შედგა, მის წინ მაშინვე მოიყარა ხალხმა თავი. მუხის მეჩხერ ტოტებში მთვარე კარგად ატანდა და ადამიანებს თავის მკრთალ ნათელს ფენდა.

ბიძინამ ქული მოიხადა, მალა ხის რომელიღაც ტოტს მიაცქერდა და დაიწყო:

— ამხანაგებო! ახლა ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ხმამალა, მოურიდებლად, უშიშრად, — აქ შეისვენა, გაკვირვებულ ხალხს გადახედა, — დღეს ოქტომბრის რევოლუციას შეუსრულდა რვა თვე!

ნესტორსაც მისწვდა ბიძინას სიტყვები, შეჩერდა. „როგორ გაყვირის, არაფრის ეშინია? — გაიფიქრა მან, გზა განაგრძო, ბანაკს კარგა მანძილით რომ დაშორდა, წერილის წაკითხვის სურვილი აღედგა. აკი ბიძინამაც უთხრა, თუ გინდა, წერილი წაკითხეთო.“

ნესტორი ტყის განაპირას, ცაცხვის ქვეშ შეჩერდა. ცაცხვი მაღალი იყო, ტოტები ფართოდ ჰქონდა გაშლილი, მთას პატარა მდინარე, — საბრამულა ჯერ მის ფეხვითან გუბდებოდა და შემდეგ ჩხრილით მიედინებოდა ლარჯით გაქიმულ კალაპოტში. ნაბადივით მოკეცილი ცაცხვის ტანი გამოქვამულს ჰგავდა, წვიმის დროს მშვენიერ თავშესაფარს წარმოადგენდა, გამოქვამულში სიბი ქვა ეფინა, ზედ ნაცარი და ნახშირი ეყარა.

ნესტორმა ჩალაბულა შეაგროვა, კვესაბედით ცეცხლი დაანთო და მის ალთან ბიძინას წერილი გაშალა. ერთხანს უცქირა და უტრიალა, მაგრამ ერთიმეორეზე გადამბულ ასოებს თავი ვერ მოუყარა და სიტყვა ვერ ამოიკითხა. ამასობაში ალიც ჩაქრა. დაღონებულმა წერილი ისევ ჯიბეში ჩაიღო, თვალი დაუდგეს უსწავლელობასო, ჩაილაპარაკა და ხრამულას ნაპირს გაჰყვა.

სადგურში ადრე მივიდა, მზე ხალი ამობარჩხალებული იყო. აბრამიშვილს წერილი გადასცა და პასუხს დაელოდა. სანდრომ წერილი ჩაიკითხა, ჩაფიქრებულმა ნესტორს უთხრა:

— ზომ იცი, რისთვის ხარ გამოგზავნილი?

ნესტორმა ჯერ უპასუხა, არ ვიციო, და შემდეგ დაუმატა:

— ბიძინა ალბათ კარგი საქმისთვის გამოგზავნიდა!

— ჰო, მართალი ხარ... ტყვია-წამალი უნდა წაიღო... ვაგონეტზე დაგიწყობ, ერთ მუშას ვაგატან, ორივე მიაწვექით ვაგონეტს და ლიანდაგზე სრიალ-სრიალით წაიყვანეთ... მუხნარში გადასასვლელთან ბიძინა დაგიხვდებათ და ის ჩაიბარებს, საშიში არაფერია, მაგრამ სიფრთხილე კი გემართებას.

სანდრომ ნესტორს ერთი რკინიგზელი

გააცნო, ორივემ ერთმანეთს ძველი მგობრბებივით ჩამოართვა ხელი და შემდეგ მისრის ფიკრულსაქვე წაქვიდნენ. იქ ვაგონეტი რელსებზე შედგეს, ზედ ფიკრულიდან გამოტანილი ყუთები დააწყეს, თან ლიანდაგის მუშის ხელსაწყობიარალებით შენიღბეს, ვაგონეტი კრიალ-კრიალით სადგურის ისრებში გავიდა.

გზაში არ დაუსვენიათ, ნაშუადღევს მუხნარს მიადგნენ. იქ ბიძინა და რაზმელები დაუხვდნენ, დალილ-დაქანცული ნესტორი ფეხზე ველარ დგებოდა, ხის ქვეშ წამოჯდა, მის გვერდით რკინიგზელმაც მოიკეცა.

რაზმელებმა თითო-თითო ყუთი შეიღგეს მხარზე და ტყეში შექვიდნენ.

ნაჯარისკაცალ ბიძინას ახლა ისევ ნამდვილი ჯარისკაცის შეხედულება ჰქონდა. წერილ წელზე ფართო ქამარი შემოეჭირა, ქულზე პეტროგრადიდან ჩამოტანილი ხუთქიმიანი ვარსკვლავი წითლად უბრწყინავდა, მკერდზე სავაზნეები გადაეჯვარედინებინა, თოფი მხარზე გადაეგდო და წინ მიუძღვებოდა ოთხად გამწყრივებულ რაზმს. რაზმში უმრავლესობა გლეხები იყვნენ.

ყველას სხვადასხვა სახე ჰქონდა, ტანისამოსიც სხვადასხვა ფერისა ეცვათ, მაგრამ მათი გული და წადილი ერთი მიზნისაკენ იყო მიმართული.

— დაბაში ძალა-უფლება უნდა ავიღოთ ხელში, ჰო, მაშინ კი გვეშველება, როცა ჩვენი ბედი ჩვენს ხელში იქნებაო, — ამბობდნენ ისინი.

მათში ნესტორი ყველაზე ხნიერი ჩანდა. ნესტორს მოკლე კარაბინი ეჭირა ხელში.

როცა ბიძინამ რაზმს აუხსნა, თუ რა ხერხით უნდა აეღოთ ციხე „მოდი-ნახე“, ნესტორი ადგილიდან წამოხტა.

— „მოდი-ნახე“ აღება? რას ამბობ კაცო, იქ ზარბაზანი დგას, — მან მკლავები მაღლა ასწია და ჰაერი ფართოდ შემოხაზა, — ზარბაზანს ამხელა პირი აქვს დაღებული, ჩვენ კი როგორ მივაღვეთ!

— არა, ნუ გეშინია, ბიძაჩემო, წინ შევავალ!

— მერე მარტო შენ რას გახდები? — გლეხებს გადაულაპარაკა: — გამოჩნდა ფოლადის კაცი!

— მარტო მე, მართალია, ვერაფერს გავხდები, მაგრამ თქვენ — ყველანი — ერთ მუშტად რომ შეიკვრებით, ვერავეთარი ზარბაზანი ვეღარ გაგიძლებთ.

— მართალია, — გაისმა გლეხებში.

გადახრილი მზის სხივები ახლა მხოლოდ კენწეროებს ანათებდა, ტყეში აგრილდა. მებრძოლთა ფეხქვეშ ხმელ ფოთლებს შრიალ-შრიალი გაჰქონდა. რაზმის თავში ბიძინა მიარჩევდა გაშლილ მხრებს, მისი მარცხენა მხარი ხშირად ქვევით დაქანდებოდა და ნესტორი მას ჯავრიანად აყოლებდა თვალს. „საწყალ ბიქს ბედი ჰქონია, ცოცხალი დაბრუნდა!.. მაგრამ აქ... აქ რა მოელის?“

IV.

ბიძინამ ნუცას დაავალა დროშისათვის წითელი ნაქერი ეშოვნა. ნუცამ მაშინვე თავისი საქორწინო საკაბე გაიხსენა, ხუთი არწინი შინდისფერი აბრეშუმი კამოდში ედო. ეს აბრეშუმი მას ფრანგმა ვაჭარმა მისცა ორ კალათ პარკში. მაშინ გახარებულმა ნუცამ გულში ჩაიხუტა ეს ფარჩა და შინისკენ წამოვიდა. ფიქრები, ნატვრა და სიხარული ერთად არეოდა თავში. ახლა ისე ჩქარა მიდიოდა, რომ ყანიდან მომავალმა ბიძინამ ორჯერ დაუძახა და ვერ გააგონა.

ნუცამ მოიხედა და ღიმილით შემოტრიალდა.

— ნუცა, ეს რაა, ფრანგის მალაზია სულ შენ რომ გამოგიცლია, დაგიტყვევა საცოდავი.

ნუცამ გადაიკისკისა:

— მერე რა, არ გიხარია? ის დავაქციე, შენ აგაშენებ!

ბიძინამ შინდისფერ აბრეშუმს ხელი მოჰკიდა.

— ნუცა, თუ გიყვარდეს, ამის კაბა შეიკრე, — ეს ფერი ძალიან მიყვარს, წითელი კაბა უხდება ქალს.

მაგრამ არ დასცალდა. ტყეში არ გამოჩენილა უბედურების მკენე ვეღა-ანი ვარსკვლავი. სოფელტყეში „მოდინა“ ნახესთან“ უყურებდნენ დიდ, ალისფერ ურჩხულს, რომელსაც კუდი ცეცხლის ცოცხლით ჩამოეშვა ძირს. ძველი ხალხი პირჯვარს იწერდა და მოთქვამდა. „უბედურება, მეორედ მოსვლა, არ ავცდებოდა“. — ამბობდა ნუცას ბიძოლა და მეზობლის ქალებიც კვერს უკრავდნენ, ღმერთს ეხვეწებოდნენ, „შენ გადაგვარჩინეო“. მას შემდეგ ბევრმა დრომ არ გაიარა, რომ უბედურება დაატყდა მთელს ხალხს, მათ შორის — ნუცასაც.

საქორწილო ფართლეული და შეკერილი საბნები ნუცას სკივრებში უნესტიანდებოდა და უხუნდებოდა, შეინდისფერი საკაბე კომოდის უჯრაში ედო. მაღლიმალ ამოიღებდა, იტირებდა, იტირებდა და ისევ შეინახავდა.

ახლა ნუცამ სიხარულით ამოიღო კამოდის საკაბე, შეინდისფერი დროშა შეექვრა, გრძელ ჯოხზე მიამაგრა და რაზმს ჩააბარა.

ბიძინას რაზმი „მოდინა-ნახეს“ აღების შემდეგ დაბის შუაგულისაკენ წამოვადლოდა, ხოლო მდინარე ყვირილისა და მდინარე ჩიხურის მხრიდან დაძრული მისი ნაწილები გზას გაიკაფავდნენ, დაიკავებდნენ ფოსტა-ტელეგრაფს, სადგურს, ხიდს, კომისარიატს.

ყველაზე ძნელი მიანიც „მოდინა-ნახეს“ აღება იყო. იქ გვარდიელებს ბანაკი ჰქონდათ გამართული. ბიძინამ ოცდაათი გულადი რაზმელი აარჩია, დანარჩენებს უბრძანა, ციხის ირგვლივ გაშლილიყვნენ და ხელყუმბარის ხმის გაგონებისთანავე იერიშით წამოსულიყვნენ.

ბიძინა ათეულს წინ წაუძღვა, ხევი ჩქარი ნაბიჯით გაიარეს, აღმართს რომ მიადგნენ, ქოჩორა მუხებს ტოტები ჩამოსხიპეს, ზურგზე აიკიდეს, ზოგმა ქამარშიც გაიარქო შეფოთლილი შტო, ბიძინამ ყველა ისე ლამაზად შენიღბა, რომ კაცს შორიდან ბუჩქი ჰგონებოდა. ამ საქმეს რომ მორჩა, თავს ნესტორი წამოადგა. ხელში მუხის შტოები ეჭირა.

— რად მოხვედი, რა გინდა? — ჰკითხა ბიძინამ.

— სადაც თქვენ, იქ მეც... ნუ გამიჯავრდები! — ნესტორმა შტოები ასწია და გაბადრულ სახეზე მიიფარა.

— კარგი, კარგი, წამოვიდეს! — გაიცინეს რაზმელებმა.

ბიძინამ ნესტორიც შენიღბა. ოცდათორმეტი კაცი სიბნელეში ფორთხვით გაემართა ციხისაკენ. ფრთხილად მიჩოჩავდნენ, უხმაუროდ, მხოლოდ შტოები ირხეოდნენ მშვიდად, თითქოს ნიავემა წამოუქროლო.

ნესტორი ბიძინასთან მიჩოჩდა და ჩასჩურჩულა:

— პირველად შენ ისროლე, ბიჭო, ოქტომბრის თოფია, ნაცადი!

ბიძინამ გაიღიმა, ცოტა წამოიწია და მავთულხლართი მკერატლით გადასჭრა. უკვე ინათა.

ხის ქვეშ ყარაული იჯდა, მას ორი რაზმელი ზურგიდან ფოცხვერივით თავს დაეცა, გაოგნებული ქვეშ მოიგდეს და დასაყვირებლად დაღებულ პირში ცხვირსანოცი ჩასტენეს, გზა ხსნილი იყო, ბიძინა კარავში შევიდა, იგრილა მისმა თოფმა. დაფეთებული გვარდიელები წამოცვიდნენ.

— ხელები მალა! — შესძახა ბიძინამ.

ამ დროს გარეთ სანგართან ხელყუმბარამ დაიქუხა, კარავი ქოლგასავით შექანდა. გვარდიელებმა ხელები ზევით ასწიეს.

კარავში ნესტორმა შემოირბინა, მაგიდაზე და სასთუმალთან რაც თოფ-იარაღი იყო, სულ აკრიფა, გარეთ გამოიტანა.

უცებ რევოლვერი გავარდა, ნესტორი წაბარბაცდა, მუცელზე იტაცა ხელი.

— ვაიმეო, — შესძახა ბიძინამ მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. გვარდიელებს უბრძანა, დაწეჭითო. ტყვიას ტყვია მოჰყვა, მეორე კარავიდან გამოქცეული ოფიცერი ბრმად ისვრიდა, კუთხეში მიმწყვდეული ფოცხვერივით უკან-უკან იხვედა. ოფიცერს ტყვია მოხვდა, რე-

ვოლვერი ხელიდან გაუვარდა და მავთულხლართის ბოძს მიეყრდნო.

ამასობაში რაზმელები ციხის მთავარი იყინით ამოცვიდნენ და მეორე კარავ-მაც იარაღი დაყარა, სროლა შეწყდა. ბებერი ციხის კოშკზე დროშამ ზღაპრული ფრინველივით გაშალა ფრთები.

ერთმა რაზმელმა კარავიდან საბნები გამოიტანა, მიწაზე გაფინა, ზედ ჯერ ნესტორი დააწვინეს, მერე — სხვა დაკრილი რაზმელებიც.

ბიძინა ზარბაზნთან მივიდა, ტილო ახადა და ბრძანა:

— წამოიღეთ, დაგვეჭირდება!

თითქოს მწვერვალიდან მოსხლტაო ლოდი, ისე სწრაფად წამოვიდა რაზმი ძირს, გზაზე მათი რიგები უფრო იზრდებოდა, მწკრივში დგებოდნენ კაცება, ქალები. ბავშვები კი ხან ფეხს უსწორებდნენ უფროსებს, ხანაც სტვენითა და ასკინკლით მისდევდნენ.

მიტიჩგზე ბიძინამ მალა ასწია თოფიანი ხელი.

— ამხანაგებო, ამხანაგებო! — გადასძახა მან აზიშვიმებულ ხალხს.

მიტიჩგი რომ დაშოშმინდა, სიჩუმეში ისევ გაისმა ბიძინას ხმა. მან გლეხებისადმი მოწოდების კითხვა დაამთავრა ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო და ნუცას გადასცა.

ფრიალებდა დროშა, ლელავდა ნუცა. დროშის ფერი დასდებოდა ლოყებზე. შორიდან ისე გეგონებოდათ, ეს ცისფერკაბიანი ქალი თითქოს ზედ გამარჯვების დროშაზე ეხატა.

ნუცამ ქალაღლს თვალი გადაავლო, პაერში შეაფრიალა და ხალხს გადასძახა:

— ამხანაგებო, ჩვენი გამარჯვება ვაცნობოთ ლენინს! — და დაიწყო ლენინისადმი მისალმების კითხვა.

ეს იყო 1918 წლის 28 ივნისს, საჩხერის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება რომ გამოცხადდა, იმ დღეს.





## ბელი კაცისა

გვერთა გრიგორის ასულ ლევო-  
კაის, სკვ წევრს 1903 წლიდან.

ომის შემდგომი პირველი გაზაფხული ზემო დონზე უჩვეულო ძალით მოზღვავედა. მარტის ბოლოს აზოვისპირეთიდან ფილმა ქარებმა დაბერეს; ორ დღეში დონის მარცხენა სანაპიროს ქვიშნარები პირწმინდად მოშიშველდნენ, ტრამალში თოვლით გადალესილი ღრანტეები და ლარტაფები წყლით მოპირთაედნენ, მდინარეებმა ყინული შემოიმსხვრიეს, გამაგებულნი მოედნენ ველ-მინდორს და გზები თითქმის მთლიანად გაუვალი გახადეს.

ამ უგზოობის დროს სტანიცა ბუკანოვსკაიაში მომიხდა გამგზავრება. მანძილი რა, დიდი არ არის, — სულ რაღაც სამოციოდე კილომეტრია, — მაგრამ არც ამის გავლა გამოდგა მაინცდამაინც ადვილი. მე და ჩემი ამხანაგი მზის ამოსვლამდე დაეადექით გზას. ორი ჩათქვირებული ცხენი ჰაბანწყვეტაში იყო და მაინც ძლივს მიათრევდა მძიმე ბრიკას. თვლები მორგეებამდე იფლობოდა თოვლ-ყინულივით ახელილ სველ ქვიშაში, და სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ ცხენების ფერდებსა და ნაევრავებს, საბარკულის წვრილ-წვრილი თასმების ქვეშ, ჰაფის თეთრი ფაფუკი ფანტელები დააჩნდა. ხოლო დილის ცინცხალი ჰაერი ცხენის ოფლისა და გამდნარი კუპრით საგულდაგულოდ გააოხილი მოსართავეების მძაფრი, მათრობელა სუნით გაიფიქნა.

საცა ცხენებს მეტრისმეტად უჭირდათ, ბრიკიდან ჩამოვდიოდით და ფეხდაფეხ მივდევდით. ჩექმებს მდნარ თოვლში მივაკვამუნებდით. სიარული გვიკვირდა, მაგრამ გზისპირებს მხეზე ბროლი-

ვით მოციმციმე შლორი შემორჩენოდა და იქ გავლა უფრო ძნელი იყო. ოცდაათი კილომეტრის მანძილი ექვს საათში ძლივს დაეფარეთ. მდინარე ელანკის გადასაცურს წავადექით.

ზაფხულობით ალაგ-ალაგ დამშრალი ეს პატარა მდინარე ხუტორ მოხოვსკოეს გადმოსწვრივ, დაქაობებულ, მურყანმოდებულ ნოლაში მთელ კილომეტრზე გალიცილიებულიყო. უნდა გადავსულიყავით დაფუტუროებული ბრტყელძირა ნავით, რომელიც სამ კაცზე მეტს ვერ იტევდა. ცხენები გავუშვით. ვალმა, კოლმეურნეობის ჩარდახში, ჯერ ისევ ზამთარში დატოვებული ძველისძველი, ბევრ ჰირვარამნანახი „ვილისი“ გვიცდიდა. მე და შოფერი დიდი სიფრთხილით ჩავსხედით დაფეხვილ ნავში. ამხანაგი ბარგიუთრთ ნაპირზე დარჩა. ის იყო შევეცურეთ და ნავის დამპალი ძირიდან, რამდენიმე ადგილას, შადრევნებმაც დაჰკრეს. რაც იგი ხელთ მოგვხედებოდა, ყველაფერს იმ დასალუპავ შურქელს ვწურთავდით და წყალს ვხაპავდით, სანამ არ გავედით. ერთი საათის შემდეგ ელანკის იქითა მხარეზე ვიყავით. შოფერმა ხუტორიდან მანქანა მოაგდო. ნავთან მივიდა, ნიჩაბი აიღო და თქვა:

— ეს დაწყველილი გობი თუ წყალში არ დაიშალა, ორ საათში მოვალთ. მანამდე კი ნუ გველი.

ხუტორი საღლაც შორხ იყო გაკარგული, და აქ, ნავმისაბმელთან, ისეთი დუმილი სუფევდა, როგორც უდაბურ ადგილებში იცის ხოლმე — ისიც ღრმა შემოდგომასა და ადრეულ გაზაფხულზე.

წყლიდან ნესტი და ჩამბალი მურყნის მყაყი სცემდა, იასამნისფერ ბურუსში ჩაძირულ შორეულ ტრამალებიდან კი სიოს ახლახან თოვლმოცილებული მიწის მარადკამ ნორჩი, ძლივსსაგრძნობი სურნელება მოჰქონდა.

მოშორებით, სანაპიროს ქვიშაში, წაქცეული ტყრული ეგდო. მივედი და ჩამოვჯექი. მინდოდა მომეწია, მაგრამ ჩავიყავი ხელი დაბამბულ ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში და ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ „ბელმოჩის“ კოლოფი ერთიანად დამბალიყო. მდინარეზე გადმოსვლისას ღრმადჩამკდარი ნავის კიდეს ტალღამ შემოაშხაპუნა და მღვრიე წყლით საქამრემდე გამწუწა. მაშინ პაპიროსზე ფიქრის დრო არ მქონდა, უნდა ნიჩაფი დამეგდო და წყალი სწრაფად ამომეღვარა, რომ ნავი არ ჩაძირილიყო. ახლა კი ავბუნდუნდი საკუთარ უთაურობაზე, მოწიწებით ამოვანოჩე ჩალორთხილი კოლოფი ჯიბიდან, ჩავიმუხლე და იმ სველი, ჩამავეებული პაპიროსების ტყრულზე გაფენას შევეუდექი.

შუაღლე იყო. მზე ისე აცხუნებდა, თითქოს მაისი ყოფილიყო. იმედი მქონდა, პაპიროსები მალე გამოშრებოდა. სიცხემ შემაწუხა და ვინაჲ — გზაზე დაბამბული შარვალი და ქურთუკი რად ჩავიცვი-მეთქი. ეს იყო ზამთრისშემდგომი ნამდვილად თბილი პირველი დღე. კარგი იყო ტყრულზე ასე, ყველსაგან განცალკევებით ჯდომა, დუმილსა და მარტობაში ჩაძირვა, ჯარიკაცული ყურებიანი ქუდის მოხდა, ნიჩგების მოსმით გაოფლილი თმების ნიაჭზე გაშრობა და გაცრეცილ ლაყვარდში მცურავი თეთრი ქულა ღრუბლების უაზრო თვალისდევნება.

ცოტა ხანში დავეინახე, რომ ხუტორის განაპირა ეზოებიდან მამაკაცი გამოვიდა და გზას დაადგა. ბიჭი მოჰყავდა ხელჩაკიდებული — პატარა, შესახედავად ხუთი-ექვსი წლის, — მეტის არა. მოლოდინი მილაყუნებდნენ გადასაცურისაკენ, მაგრამ მანქანას რომ გაუბრუნდებოდნენ, ჩემკენ შემობრუნდნენ. მომიბა-

ლოვდა მალალი, მხრებში ოდნავ მოხრილი მამაკაცი, ყრუ ბანით ~~მარტობაში~~ ~~მარტობაში~~ ~~მარტობაში~~

— გამარჯობა, ძმობილო!

— გაგიმარჯოს! — ჩამოვართვი ჩემკენ გამოწვდილი დიდი, გახეხემებული ხელი.

მამაკაცი ბიჭისკენ გადაიხარა და უთხრა:

— ძიას მიესალმე, შვილო, ხომ ხედავ, ეგეც მოფერია შენი მამიკოსავით. ეგ არის, მე და შენ დიდ მანქანაზე დავდიოდით, ეგ კი ემაგ პატარას დაერეკება.

ყმაწვილი ლაყვარდით ნათელი თვალებით შემომყურებდა. მამამ რომ ეს უთხრა, გაელიშა და მარდაღ გამომიწოდა აწითლებული, ცივი ხელი. მე ეს მსუბუქად გავუქნიე და ვკითხე:

— რა არის, ბებერო, რომ ხელი ასეთი ცივი გაქვს? ქვეყნად სითბოა, შენ კი იყინები.

გულგასახარი ბავშვური ნდობით მომეკრა მუხლებზე, გაკვირვებით ასწია თეთრი წარბები.

— მე რანაირი ბებერი ვარ, ძია! მე სულაც ბიჭი ვარ და სულაც არ ვყინები. ხელები ცივი რომ მაქვს — თოვლს ვაგუნდავებდი და იმიტომ.

მამამისმა ჩამოფხავეებული ზურგჩანთა მოიხსნა, მოწყვეტით დაეშვა ჩემ გვერდით და თქვა:

— ხათაბალა ასეთი მგზავრის ყოლა მგის გამო მეც ფეხებგაკრული ვარ. დიდს გააბიჯებ — ეგ უკვე ჩორთზე გადადის. მიდი და აუწყე ფეხი! საცა ერთხელ უნდა გადავალაჯო — სამ ნაბიჯს ვადგამ. მოვდივართ ასე იოწიოდ, როგორც ცხენი და კუ. თვალსაც ვერ მოაშორებ! წამით იქით მიიხედავ და ეს უკვე მკმეში მიაშლაპუნებს, ან არა და ყინული მოუტეხავს და კამფეტით წუწნის. არა, ძმაო, კაცის საქმე არ არის ასეთ მგზავრთან სიარული, ისიც სალაშქრო წესით — ცოტა ხანს იყუჩა და შერე ისევ შკითხა: — შენ რა, შენს უფროსებს ელი?

უხერხულად მომიჩვენა რმის თქმა,

რომ შოფერი არ ვიყავი და ასე ვუპასუხე:

- რას იზამ, უნდა ელოდო.
- იმ მხრიდან უნდა მოვიდნენ?
- ხო.
- ხომ არ იცი, მალე მოვა ნავი?
- ორი საათის შემდეგ.

— რიგზე ყოფილა ყველაფერი. რას ვიზამთ, მანამდე დავისვენებთ. მაინც არ მეჩქარება. აქ ასლოს მივდივარ. ვხედავ, ჩვენი ძმა შოფერი იხუხება. ვიფიქრე, მივალ, ერთად მოვწვევთ-მეთქი. მარტოაკობას ხომ არც პაპიროსის მოწვევაში აქვს მადლი და არც სიკვდილში... შენ, გეტყობა, გვარიანად ცხოვრობ, რომ პაპიროსს ეწევი. დავსველებია კია! ე, ძმაო, რაც თამბაქო სველიო, ის დავარდნილი ცხენიო. მოდი ისევ ეს ჩემი მახრჩობელა გავაბოლოოთ, ესა სჯობს.

თალხი ფერის საზაფხულო შარვლის ჯიბიდან მილივით დახვეული აბრეშუმის გაქუცული ქისა ამოიღო, გაშალა, მოვასწარი კუთხეში ამოქარგული წარწერის წაკითხვა: „ძვირფას მეომარს ლებდიანსკაიას საშუალო სკოლის მეტრის მოსწავლისაგან“.

გავაბოლოეთ მწარეზე მწარი წეკო და დიდხანს ვდუმდით. მერე ის იყო, უნდა მეკითხა — სად მიხვალ, რა ძალა ვადგას, რომ ამ ხელარცში ბავშვიანად ამგზავრებულხარ-მეთქი, მაგრამ ისევ იმან დამასწრო:

- შენ როგორ, მთელი ომის განმავლობაში საქვსთან იჯექი?
- თითქმის.
- ფრონტზე?
- ხო.

— ეე, ძმაო, მეც ვიწვნიე, იქ რომ საწვნიე იყო, მეც წამომადინეს ცხვირიდან მწარი!

დიდი გარუჯული ხელები მუხლებზე დიწყო, მოიღუნა. გავხედე აღმაცერად და რატომღაც გუნება შემეცვალა. თუ გინახავთ თვალები — მინავლული, მუდამ სამარისებური ნაღვლით სავსე, შეხედვა რომ გზარავს? ასეთი თვალები ჰქონდა ამ ალაღბედზე გადაყრილ შეინახეს.

ტყრშულს დაბრეცილი ხმელი წერი: წამტვრია, ქეიშას გაუსტყურა მდენივე წუთს ასე ხაზავდა — ჩემად: ჩემად: ცემლად, მერე ალაპარაკდა:

— ხანდახან ძილი გამიკრთება, ცარიელი თვალებით შევყურებ სიბნელეს და ვფიქრობ: „რატომ დამტანჯე, ცხოვრება, ასე? რატომ, რა დავაშავე?“ მაგრამ პასუხი არც იმ სიბნელეშია და არც დღისით, მზისით. არ არის და არც ველი! — უცებ შეწრიალდა, ბიჭს ალერსით უბიძგა და უთხრა: — წადი, საყვარელო, წყალთან წაითამაშე. დიდ წყალთან ყმაწვილების საკბილო ყოველთვის არის ზოლმე რაღაც. მხოლოდ, იცოდე, ფეხები არ დაისველო!

ჯერ ისევ მაშინ, როცა ჩუმად ვწედი, შეპარვით ვუთვალთვალე მამაშვილს და, ჩემდა გასაოცრად, ერთი უცნაური გარემოება შევამჩნიე. ბიჭს უბრალოდ, მაგრამ ლაზათიანად ეცვა. ყველაფერი ქალის მზრუნველ, დედურ მადლიან ხელზე მეტყველებდა: მსუბუქი ბეწვით გაწყობილი გრძელკალთებიანი პიჯაკი რომ კოხტად ედგა, პაწაწინა ჩექმები რომ იმ ანგარიშით იყო შეკერილი — ბაწრის წინდებზე ჩასვლოდა, ოდესღაც გახეული პიჯაკის სახელო რომ ოსტატური გვირისტით ჰქონდა გაკერილი. მამამისი კი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა: რამდენიმე ადგილას ამომწვარი ქურთუკი დაუდევრად ჰქონდა ამოჯლანული, გაცვეთილ შარვალზე დადებული საკერებელი საკერებელს არ ჰგავდა, მამაკაცური ბატიფეხურიო ჰქონდა მიბლანდული. თითქმის ახალი სალდათური ფეხსაცმელები ეცვა, მაგრამ მჭიდროდ ნაქსოვი ბაწრის წინდები ჩრჩილს დაეჩრჩილა, დედაკაცის ხელი აკლდა... მე მაშინვე ვიფიქრე, ან ქვრინია, ან არა და ცოლთან უთანხმოება აქვს-მეთქი.

მაგრამ აი, მან ბიჭს თვალი გააყოლა, ყრუდ ჩაახველა, ხელახლა ალაპარაკდა, და მე სმენად ვიქეცი:

— ჩემი ცხოვრება პირველში ჩვეულებრივი იყო. წარმომავლობით ვორონეის გუბერნიიდან ვარ, იქ დავიბადე

ათასცხრას წელს. სამოქალაქო ომის დროს წითელ არმიამ ვიყავი, კიკვიძის დივიზიაში. ოცდაორში, შიმშილობის წელს, ყუბანს მივაწყდი, კულაკებმა მლღტეს, მაგრამ ამან გადამარჩინა. ჩემი დაიკო და დედ-მამა კი შიმშილით ამოწყდნენ. მარტო დავრჩი. სანთლით რომ ეძებო, ნათესავს ვერ იპოვი, კაცი არსად არ არის! ავდექი და დაებრუნდი ერთი წლის შემდეგ ყუბანიდან. ქოხმაზი გავყიდე, ვორონეჟი გადავსახლდი. ჯერ დურგლებთან ვმუშაობდი, არტელში, მერე ქარხანაში შევედი, ზეინკლობა ვისწავლე. მაღე ცოლი შევირთე. ობოლი იყო, საბავშვო სახლში აღზრდილი. კარგი გოგო გამომადგა, — თავდაპირილი, მზიარული, გულისყურიანი და ქვეით სავსე. ჩემი ცალი არ იყო. ბავშვობიდანვე ჰქონდა გაგებული პირვარამის ფასი და, ალბათ, ამან იმოქმედა მის ხასიათზე. შორიდან რომ შეგხვდა, მაინცადამაინც დიდი არაფერი იყო, მაგრამ შე ხომ შორიდან არ ვუყურებდი, ახლო ვედექი. არაფერ არ იყო ჩემთვის იმაზე ლამაზი, იმაზე სასურველი ამ ქვეყანაზე და არც იქნება!

ხანდახან დაღლილი მოხვალ სამუშაოდან, ძაღლივით იღრინები. მკვახე სიტყვაზე მკვახე პასუხს კი არ შემოგაგებებს. აღარ იცის, სად დაგსვას აღერსიანმა, სათნომ. რაც არ უნდა ცოტა რამ ჰქონდეს, თავს იკლავს, ტკბილ ლუქმას გიჟადებს. უყურებ და გულზე გეშვება, პატარა ხანიც და მოეხვევი, ეტყვი: — მპატიე, ჩემო კარგო ირინა, ვირობა ჩავიდინე. ხომ გესმის, დღეს საქმე საქმეზე ვერ მომივიდა და... ისევ ტკბილად ვართ, გულიც დამშვიდებული მაქვს. ეს კი რაც არის საქმისათვის, გეცოდინება, ძმაო! დილით სწრაფად წამოვდგები. ქარხანაში მივდივარ და, რაც არ უნდა მომცენ, ცეცხლს ვუჩენ. ნაპერწყლებს ვადენ. აი, რას ნიშნავს ეს — კარგი ცოლის, მეგობრის ყოლა.

ზოგჯერ, ხელფასს რომ ავიღებდი, ამხანაგებთან ერთად გადავკრავდი. ისიც ყოფილა, რომ შინ მივდივარ და ფეხე-

ბით ისეთ რვიანებს მივიხმავ, ვერხეს რომ შემოეხვდა, შეეშინებოდა: მესახევეებზე არას ვიტყვი. მჭერა მჭერობდა და ეგ იყო! მაშინ დევეით ზორბა და ლონიერი ბიჭი ვიყავი, ბევრის დაღვევა შემეძლო, შინ კი მაინც ყოველთვის საკუთარი ფეხით მივდიოდი. თუმცა ისიც დამმართია, რომ უკანასკნელ გადასარბენზე პირველი სიჩქარე ჩამირთავს, ესე იგი ოთხი ფეხით მივლია, მაგრამ შინამდე მაინც მიმიღწევია. მერე რა! ისევ ისევე — არც საყვედური, არც ლანძღვა არც აღრზაური. მარტო იცინის ჩემი ირინა, ისიც ფრთხილად, რომ არ მაწყენინოს — იცის, მთვრალს ცოტა ჰყოფნის. ფეხთ დამხდის და ჩამჩურჩულებს: „კელისკენ მიწეკი, ანდრიუშა, თორემ ძილში გადმოვარდები“. მეც ავდგები, ფეტვის საცალოსავით მივეგდები და წამივა თვალთაგან ყველაფერი. მხოლოდ ის მესმის ძილ-ბურანში, რომ თავზე წყნარ-წყნარად მისვამს ხელს, რაღაცას ჩამჩურჩულებს ალერსით, ვებრალები, ეტყობა...

დილით, სანამ სამუშაო დაიწყებოდეს, ორი საათით ადრე წამომაგდებს ფეხზე, რომ ცოტა მოვიშმუნო. იცის, ნაბახურეზე ვერაფერს ვერ შევქამ და კიტრის მწილს მომიტანს, ცოტა საკიწნა-საც მოაყოლებს, ნათალ ქიქაზე დამისხამს არაყს. „აბა, წაიხეხე, ანდრიუშა და მეტად ნულარ იზამ ასე, შემოგველე!“ მოდი და ნუ გაუმართლებ ასეთ ნოდბას. დავლევ, უსიტყვოდ ვეტყვი მადლობას, ასე — თვალებით. ვაკოცებ და წავალ სამუშაოზე ანგელოზივით. აბა ერთი მრულე სიტყვა ეთქვა იმ გამოქულებულ გუნებაზე, დაეყვარა ან დაეწყველე, მე და ჩემი ღმერთი, რომ მეორე დღესაც გავიღეშებოდი. ასეა ხოლმე, ზოგ-ზოგ ოჯახში, დედაკაცები რომ ტუტრუტანები ჰყავთ. მიყურებია იმათი ჩარბუნანისათვის, ვიცი!

მალე დაეწვრილმვილდით. ჯერ ბიჭი გვეყოლა, შემდეგ წლებში ორი გოგონაც მოგვემარტა... ახლა კი მომტყდა სამკაცო რქა! რასაც ავიღებ, მთლიანად შინ მიმაქვს, ნამდვილი ოჯახის პატრონი

ვარ, გზათუჟან სმა აღარ შემფერის. უქმე დღისით ერთ კათხა ლუღს დაწლევ და ამაზე დავსვამ წერტილს.

ოცდაცხრა წელს მანქანებმა გამიტაცეს. შევისწავლე ავტოსაქმე, დაეჯექ საუკესთან საბარგოზე, ჩაყვავი, ჩაყვავი და ქარხანაში დაბრუნებაზე უარი ვთქვი. ეს საქმე უფრო სახალისოდ მომეჩვენა. ასე ვცხოვრობდი ათი წელიწადი და არ გამიგია ამოდენა დროს გასვლა. თითქოს სიზმარში გაველოს. ათი წელიწადი რა არის! აბა, მიდი და ჰკითხე რომელიმე ხანშიშესულ კაცს, შეამჩნია თუ არა, თავისი დრო როგორ მოჰქამა? არაფერიც არ შეუმჩნევეია! წარსული აგერ იმ შორეული ტრამაღვიით არის, ბურუსი რომ გაჰკვრია. დიღას მანდ მოვდიოდი. ირგვლივ ყველაფერი ჩანდა. გამოვიარე ოცი კილომეტრი და უკვე ბურუსი გადაეგლისა. აქედან ტყვეს შამბნარისაგან ვერ გააჩრევ და ნახნავი სათიბი გეგონება!..

ამ ათ წელიწადს დღე და ღამე გასწორებული მქონდა. შოენითაც კარგად ვმოულობდი და სხვაზე ნაკლებადაც არ ვცხოვრობდი. ბავშვებიც გვახარებდნენ: სამივენი ფრიალებზე სწავლობდნენ. უფროსს, ანატოლის, მათემატიკის ისეთი ნიჭი აღმოაჩნდა, იმის შესახებ ცენტრალურ გაზეთებშიც კი წერდნენ. მე თვითონ არ ვიცო, ძმო, საიდან დაჰყვა ასეთი უზარმაზარი ნიჭი ამ შეცნიერებისა! ეგ კი იყო, რომ ძაან მსიამოვნებდა და ვამაყობდრ, საშინლად ვამაყობდი!

იმ ათ წელიწადში ცოტაოდენ ფულს მოვუყარეთ თავი და ომის წინ საკუთარი სახლი ჩავდგით — ოროთახიანი, საკუქნაოთი და ღერფენით. ირინამ ორი თხა იყიდა. მეტი რალა უნდა გინდოდეს? ყმაწვილები რძიან ფაფას ჰამენ, თავზე გადასახური აქვთ, ტანთ აცვიათ, ფეხშიშველა არ არიან. მამასადამე, თითქმის ყველაფერი რიგზეა. ეგ იყო, რომ უხვირო ადგილას ვსახლობდი. ექვსი მესაგედი ავიაქარხნის მახლობლად მომიზომეს. სხვაგან რომ ყოფილიყო ჩემი სახლკარი, იქნებ ცხოვრებაც სხვანაირად აწყობილიყო.

აქ ომიც დაიწყო. მეორე დღეს უწყებდა სამხედრო კომისარიატის მესამეს კი — აბა, ეშელონში! ~~წინააღმდეგობა~~ მაცილებდა: ირინა, ანატოლი და გოგონები — ნასტენკა და ოლინკა. ყმაწვილებს თავი ყოჩაღად ევირათ, გოგონებს მხოლოდ თვალეზში უბრწყინავდათ ცრემლი და სულ ეგ იყო. ანატოლი მხრებში იწურებოდა, თითქოს სცივაო — იმ დროს ის უკვე მეჩვიდმეტეში იყო გადამდგარი. ჩემი ირინა კი... ჩვიდმეტი წელი ვცხოვრობდით ერთად და ასეთი არასოდეს არ მენახა. ღამით პერანგი მისი ცრემლისაგან მხრებთან და მკერდზე სულ სველი მქონდა. გათენდებოდა და ისევ ასეთი ამბავი გრძელდებოდა... სადგურში მივედი. მეცოდება და ზედვერ ვუყურებ. ტურები შემუშუბებია, თიები ჩამოსწეწია, თვალეზი ამღვრეული აქვს შემლილივით. მეთაურები ჩასხდომას აცხადებენ. ის კი დამეზო მკერდზე, ხელეზი კისერზე შემომაჰკლო, ძირმიჭრილ ხესავით ცახცახებს. მეც ვეზეწეზები, ბავშვებიც ეზეწეზებიან — აბა! არაფერი არ შველის. სხვები ქმრებს და შვილებს ელაპარაკებიან. ის კი მომკვრია, ფოთოლი რომ ტოტს მიეკვრება, და ცახცახებს, ხმას ვერ იღებს, ვეუზნები: „თავი შეიკავე, საყვარელო, ერთი სიტყვა მაინც მითხარი გამოსამშვიდობებლად“. ისიც მეუზნება და თან ყოველ სიტყვაზე ქვითინებს: „ანდრიუშა... ჩემო ყველა... ჩვენ... ერთმანეთს... მეტად... ვეღარ... ვნახავთ... ამ ქვეყანაზე“.

ჯერ ისედაც იმის ცოდვით გულღვიძლი მეწვის და ახლა ასეთ რამესაც მეუზნება! როგორ არ უნდა სცოდნოდა, რომ მათთან განშორება ჩემთვისაც არ იყო ადვილი, სიდღერთან არ მივედოდი ქადის საჭმელად! ბრაზი მომერია, ძალით მოვიცილე მისი მკლავები და მსუბუქად წაგვარი მხარში. მსუბუქად-მეთქი, მაგრამ მაშინ ხომ გიყური ღონე მქონდა! გადაქანდა, საშიოდე ნაბიჯი უკან გადაადგა და ისევ ჩემკენ მოდის პატარ-პატარა ნაბიჯებით, ხელებს მიწვდის, მე კი ვუყვირი: „რას სჩადი, განა ასე ეთხოვებიან! უდროოდ რატომ მმარ-

ხვ ცოცხლად?" ისევ მოვეხვიე, ვხედავ, ქეუაზე აღარ არის ქალი...

ჩემმა მეინახემ თხრობა ნახევარ სიტყვაზე მოსკრა. სიჩუმე ჩამოვარდა და მომესმა, როგორ ხრიალებდა და ყმუყმუნებდა მის ყელში რაღაც. ამ კაცის ზღელეარება მეც გადმომედო. ქვექ-ქვექმ გაეხედე და ერთი ცრემლიც ვერ შევამჩნიე თითქმის უსიციოცხო, ჩამქრალ თვალებში. იჯდა, თავი ჩაეჭინდრა და დიდი, უნიათოდ ჩაშვებული ხელები უკანკალებდა, უკანკალებდა ნიკაპი, უკანკალებდა მკერივი ტუჩები...

— ნუ გინდა, მეგობარო, ნუ იგონებ! — ჩუმად ჩავუღაპარაკე მე, მაგრამ ალბათ ჩემი სიტყვები ვერ გაიგონა, ნერვების საოცარი დაძაბვით დასძლია აღელვება და ჩაბლწილი, უცნაურად გამოცვლილი ხმით უცებ დაიძაბა:

— სიკვდილამდე, ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე... მოვკვდები და ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, რომ მე მაშინ იმას ხელი ვკარი!

ისევ დადუმდა. დიდხანს იყო ასე. ცდილობდა პაპიროსი გაეხვია, მაგრამ გაზეთის ქაღალდი ეხეოდა, თამბაქო მუხლებზე ებნეოდა. ბოლოს, როგორც იყო, მაინც გაახვია, რამდენჯერმე ხარბად შეისუტა, ჩაახველა და განაგრძო:

— ავიგლიჯე ირინა, ჩავბლუჯე მისი სახე, ვკოცნი. ტუჩები კი ცივი აქვს ყინულივით. ბავშვებსაც დავემშვიდობე და ვავონისაკენ მივრბივარ, ვახტები. მატარებელი დაიძრა, ჩემს ხალხს უნდა ჩაუღარო. ვხედავ, ჩემი დაობლებული ბავშვები ერთად შეგროვილან, ხელს მიქნევენ, უნდათ, რომ გამოიღმონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. ირინას გულხელი აქვს დაკრფილი, ტუჩები ცარცივით გასთეთრებულია, რაღაცას ჩურჩულებს, მე შემომყურებს, თვალი ვერ დაუხამხამებია და წინ-წინ იხრება, თითქოს ძლიერი ჭარის საპირისპიროდ უნდა გააბიჯოსო. ასეთი ჩამრჩა მესხიერებაში: გულზე დაკრფილი ხელები, თეთრი ტუჩები, ცრემლებით საესე ფართოდ გახედილი თვალები. სიზმარშიც მეტწილად სულ ასე ვხედავ... რატომ ვკარი მე მაშინ ხელი!

ახლაც კი, გამახსენდა და, გულს თითქოს ბლაგვი დანით მიჯიჯგინებდა.

ბელაია ცერკოვთან დაჯიჯგინებდა, უკრაინაში. მე „აჩი-5“ მომცეს. იმით წავედი ფრონტზე. აბა ომისა რა უნდა გითხრა, თვითონ გინახავს და იცი, რაც იყო დასაწყისში. წერილებს შინიდან ხშირად ვლებულობდი, მე კი იშვიათად ვუგზავნიდი. ადგები და დასაწერ: არა გვიჭირს რა, ცოტ-ცოტასაც ვიბრძვი, და თუმცა უკან ვიხვეთ, მალე ძალას მოვიკრეფთ და მაშინ დაეუბოლებთ ფრიცებსო. სხვა რაღა უნდა მომეწერა. საზიზღარი დრო იყო, წერილისათვის არავის არ სცხელოდა. გამოგიტყდები, რომ არც მე ვიყავი დიდი მოყვარული ცრემლიანი სიმების ქლერისა და სხვისასაც ვერ ვიტანდი, საჭირო იყო თუ არა, ყოველდღე რომ წერდნენ ცოლებსა და საყვარლებს, იწირალებოდნენ, ქაღალდს ცინგლით სთხუნავენ. მიჭირსო, მიძნელდებაო, არ, ნახე, მომკლავნო, ჩივის ეს შარვლიანი ძუენა, თანაგრძნობას მოითხოვს. იმის გაგება კი არ უნდა, რომ იმ ყოველმხრივ გაუბედურებულ დედაკაცებსა და ბავშვებს ჩვენზე უკეთესი დღე არ ადგიათ ზურგში. მთელი ქვეყანა იმით მხრებზეა. განა რა მხრები უნდა ჰქონოდათ ჩვენს ქალებსა და ბავშვებს, რომ ამოდენა სიმძიმის ქვეშ არ მოღუნულიყვნენ. მაგრამ ხომ არ მოიღუნენ, გაუძლეს, ის კი, ის მურღალი, დაწერს ამ საბრალბელ წერილს და საწყალ მუშაქალს, როგორც სარმა გამოჰკრა... ამ წერილის, ამ შავი ელდის, შემდეგ, ხელებს ჩამოუშვებს, იმის საქმეს საქმე აღარ ერქმევა. არა! კაცი იმისთვისა ხარ, ჯარისკაცი იმისთვისა ხარ, ყველაფერს უნდა გაუძლო, ყველაფერი უნდა აიტანო, თუ კი ამის საჭიროება მოითხოვს. და თუკი დედაკაცი საფუარი მეტი გაქვს, ვიდრე კაციური, ნაოქასხმული განიერი ქვედაკაბა ჩაიცვი, რომ შენი გამხმარი უკანალი დაიმრგვალო, რომ ზურგიდან მაინც დედაკაცს დაემსგავსო. ადექი, წადი და ჭარხალი მორწყე, ძროხები მოწველე, ფრონტზე კი ეგეთი არავის არ



სკირდება, იქ უშენოდაც ყარს ბევრი რამე!

ეგ იყო, ერთი წელიწადიც არ მომიხდა ბრძოლა... ამ ხნის განმავლობაშიც ორჯერ ვიყავი დაქრილი, ორჯერვე კი მსუბუქად: ერთხელ ხელში, მეორედ — ფეხში, პირველად — თვითმფრინავიდან, ტყვიით, მეორედ — ყუმბარის ნამსხვრევით. მალლიდანაც გამიხვრიტა გერმანელმა მანქანა, გვერდებიდანაც, მაგრამ პირველხანებში ბედი მწყალობდა. მწყალობდა, მწყალობდა და ბოლოს ხუფი მიწყალობდა... ჩავეარდი ტყვედ ლოზოვენკებთან ორმოცდარობის მაისში ასეთი უხვირო შემთხვევის გამო: გერმანელები მაშინ მაგრა გვიტყვიდნენ და ჩვენი ერთი ასოცდაორმომეტრიანი საპაუბიკო ბატარეა მთლად უტყვიავამლოდ დარჩა. დავტვირთეთ ჩემი მანქანა პირთამდე ჭურვებით. თვითონაც ვტვირთავდი, მერე ისე, რომ გიმნასტურა სულ მხრებზე მეწებებოდა. ძალიან უნდა გვეჩქარა, რადგან ბრძოლის ხაზი გვიახლოვდებოდა: მარცხნივ ვილაცეების ტანკები გრუხუნებენ, მარჯვნივ სროლაა, წინაც ისერიან და ტრიალებს უკვე ნატისუსალის სუნი...

ჩვენი ავტორასეულის მეთაური მეკითხება: „გააღწევ, სოკოლოვო?“ აბა რა საკითხავი იყო! იქ იქნებ ჩემი ამხანაგები ილუპებოდნენ და მე აქ ბუზები მეთვალა? მაგას კითხვა რად უნდა-მეთქი. უნდა გავაღწიო და ეგ არის-მეთქი. „მაშ, აბა, მოუსვი! დააწე, რაც კი შეგიძლია“.

მეც მოვუსვი და რა მოვუსვი! ჩემს დღეში ისე არ მივლია. ვიციოდი — კარტოფილი არ მიშქონდა. ვიციოდი — ამგვარ ტვირთს სიფრთხილე სკირდებოდა ტარების დროს. მაგრამ რა სიფრთხილე, რის სიფრთხილე, როცა შენი ამხანაგები ცარიელი ხელებით იბრძვიან, როცა მთელ გზაზე საარტილერიო ცეცხლი გადი-გამოდის. ექვსი კილომეტრი გავირობინე. ცოტაც და სასოფლო გზისკენ უნდა გავუხვიო და იქიდან გავიდე ღარტაფში, სადაც ჩვენი ბატარეა დგას. მაგრამ — დედაო წმინდაო — ვხედავ ჩვენს ქვეითებს კაბდო მოეხვეტება და ფან-

ტავს მარცხნივ თუ მარჯვნივ ტრიალ მინდორზე, უკვე ნალმებდენ სკირდება მთორიგებში. რა უნდა შექნამ ბრძოლაში გამომბრუნდებოდი? ვაწევები, რაც ძალი და ღონე მაქვს! ბატარეამდე სულ რაღაც კილომეტრი მაქვს, აი, სასოფლო გზაზეც გადავუხვიე... მაგრამ ჩვენებამდე მისვლა მაინც არ მომიწია, ძმაო... ეტყობა, შორსმსროლელიდან მომხვდა მძიმე ჭურვი და გამაწვინა მანქანის ახლოს. არც აფეთქება გამოვიცა, არც სხვა რამე. მხოლოდ თავში გასკდა თითქოს რაღაც და მეტი აღარ მახსოვს. არ ვიცი, ცოცხალი როგორ დავრჩი. ისიც არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიუვეტიდან რვა მეტრის მანძილზე. გამოვერკვიე და აღვგომა კი არ შემიძლია. თავი მიყანყალებს, მამაცმაგებს ციებაშეყრილსავით. თვალთ ვერას ვხედავ, მარცხენა მხარში კი რაღაც ღრქიალებს, ხრამუნებს და ისეთ ტკივილს ვგრძნობ, თითქოს ორი დღე-ღამე ერთყათ, რაც კი ხელთ მოხვედროდეთ. დიდხანს ვილოლე მუცლით დედამიწაზე და ბოლოს, როგორც იქნა, ავდექი. მაინც ვერა გამეგო რა; სადა ვარ ან რა ამბავია ჩემს თავს. შეხსიერება მთლად დააფრაკებული მაქვს. ისევ დავწევ და-მეშინია. მეშინია, ვაითუ დავწევ და ველარ ავდგე, მოვკვდე. ედგავარ და ვქანაობ, ალვის ხე რომ გინახავს ქარში, ისე.

როცა გონს მოვედი, აზრი მოვიერიფე და აქეთ-იქით მომივიხებდე რიგიანად — გულზე თითქოს გაზი მომიჭირეს. ირგვლივ ის ჭურვები ჰყარია, მე რომ მომქონდა. მოშორებით მთლად ნაფლეთებად ქვეულ ჩემს მანქანას აუშვერიო თვლები. ბრძოლა კი, ბრძოლა სადღაც ჩემ უკან მიდის... როგორია, ჰა?

ცოცხა გატეხილი სჯობს. აქ კი მუხლთ მომეკვთა და მოცელილივით წავეიქეცი, რადგან მივხვდი, რომ ალყაში ვიყავი მოქცეული, ან, უფრო სწორად, ტყვედ ვიყავი ფაშისტებთან. აი, როგორ ხდება ასეთი რამ ომში...

ეხ, ძმაო, ადვილი არ არის იმის გაგება, რომ შენ შენი ნებით არ ვარდები ტყვედ. ადვილი არ არის, ეს იმის სულს



მიუდგეს და კაცურად გაიგოს, ვისაც საკუთარ ტყავზე არ გამოუცდია ეს ამბავი...

და აი, ვწევარ, მამსახადამე, და მესმის: ტანკები გრუხუნებენ. ოთხმა გერმანულმა საშუალო ტანკმა მთელი სისწრაფით ჩამიარა გვერდზე და იქით წავიდა, საიდანაც კურგები წამოვიღე... როგორ გინდა ამის გადატანა. შემდეგ ზარბაზნებგამობმული საზიდრები გაიკიმინენ, საველე სამზარეულომ გაიარა, მერე ქვევითი ჯარი წამოვიდა — მეჩხერად, ბევრი — ბევრი ერთი შეთხვლებული ასეული. გავხედავ ცალი თვალთ, გავხედავ და ისევ ლოყით დავეხუტები მიწას. თვალებს ვხუჭავ. მეზიზღება, იმათ რომ ეუყურებ, სულ გულს გზიდავს.

მეგონა, ყველამ გაიარა. თავი წამოვიწიე და — ექვსი მეავტომატე! აქვე არიან, ჩემგან ასი მეტრის მანძილზე მოაბიჯებენ. გზიდან გადმოუსხვიეს. პირდაპირ ჩემკენ მოდიან, ჩუმად მოდიან. „აბა, სიკვდილი მიახლოვდება!“ — ეთქვი ჩემთვის და წამოვჯექი, არ მინდა, რომ მწოლიარე მოვკვდე, ფეხზედაც ავდექი. ერთმა მათგანმა ჯერ ისევ რამდენიმე ნაბიჯზე იყო — მხარი აპკრა და ავტომატი მოიხსნა. და აი, რა სასაცილოდ არის ადამიანი მოწყობილი. არავითარი პანიკა, არავითარი გულის ფრთხილი იმ წუთში! მარტო იმას შეეყურებ და ვფიქრობ: „აი ახლა გამომიშლის მოკლე რიგს. მაინც რა ადგილას მომიშვებს?“. თავში თუ მკერდში, გარდ-გარდმო?“ თითქოს ერთი დოზანა არ იყოს, ჩემი სხეულის რომელ ადგილზე გადამიტარებს გვირისტს!

ახალგაზრდა ბიჭია, შავგვრემანი... შეხედავ — არა უკირს რა. ტუჩები კი თხელი აქვს ძაფებივით, თვალებსაც წქურავს. „ეს მოგკლავს და არც კი დაფიქრდება-მეთქი, ვეუბნები ჩემს თავს. მართლაც ასეა. მოზიდა ავტომატი, — მე პირდაპირ თვალეში შეეყურებ, ხმას არ ვიღებ, — მაგრამ მეორე, ვკონებ ეფრეიტორი, უფრო მეტი ხნის, შეიძლება ითქვას ხანში შესულიც კი,

იქით ეწევა. მოდის ჩემთან, რაღაცას მეჯუჯულუნება თავიანთებურად და მარჯვენა ხელს იდაყვთან მდებარე მისინჯავს. გასინჯა და ამბობს: „ო-ო!“ თანაც გზისკენ მითითებს, მზის დასავალზე მითითებს“. აბა, დაუდე, პირუტყვო, და იშრომე ჩვენი რაიხისათვის. ერთი სიტყვით, ხელად დამეპატრონა მამაძალი.

იმ შავგვრემანმა კი ჩემს ჩექმებს დააღდა თვალი. კარგი ჩექმები მეცვა, შეხედავდი — მოგეწონებოდა. ხელით მანიშნებს: „გაიხადე!“ დავჯექი ძირს, გაეხადე, გაუწოდე, თითქოს გამომგლიჯა. შემოვიხსენი ფეხსახვევები, იმასაც ვაწვდი, თან ქვემოდან ზემოთ შეეცქერა. მაგრამ ამაზე მიღრიალა, შემოიკურთხა თავიანთებურად და ისევ გადმოიღო ავტომატი. სხვები კიხვინებენ. იმ ადგილს მშვიდობიანად ვავეცალეთ. მხოლოდ ეგ იყო, რომ, სანამ გზაზე გამოვიდოდით, იმ შავგვრემანმა ერთი სამჯერ შემომხედა: თვალებს მიჰყრიალებს მგლის ლეკვივით. ბრახობს ნამდვილად. თითქოს იმას კი არა, მე გამეხადოს იმისთვის ჩექმები.

მეტი რა ძალა მქონდა, მშაო. გავედი გზაზე, ვწვიტე მეეტლესავით ერთი მაგარი ვორონეჟული დედისგინება, გავალაჯე დასავლეთისაკენ, ტყვედ. დიდი უხეირო მოსიარულე ვიყავი მაშინ. საათში ერთ კილომეტრს ვავდიოდი, მეტს ვერა. გინდა, რომ წინ გადააბიჯო, აქეთ-იქით კი გაქანავებს, მთვრალივით მიგაბარბაცებს გზაზე. წავედი ცოტას და ჩვენი ტყვეების კოლონა წამომეწია. იმ დღივიზიდან არიან, რომელშიც მე ვიყავი. ათიოდე გერმანელი მეავტომატე მოერეკება. ერთი, კოლონას რომ მოუძლოდა, გამისწორდა და სიტყვა არ უთქვამს — მდო ავტომატის ტარი ხელუკულმა თავში. დავცემულიყავ — დამაკერებდა კიდევ მიწაზე ტყვეებით, მაგრამ ჩვენები მწვდნენ, შემითრიეს შიგნით და ნახევარი საათი ხელი-ხელ მატარეს. მერე, აზრზე რომ მოვედი, ერთი მათგანი მეუბნება: „ღმერთი გიშველის, არ დაე-

ცე! არ დაეცე, თუ რამე შეგიძლია, თორემ მოგკლავენ!“ სული კბილით მეჭირა, მაგრამ მაინც წავედი.

როგორც კი მზე ჩავიდა, გერმანელებმა ბადრაგი გააძლიერეს. საბარგო მანქანით მოიყვანეს კიდეც ოცი მეთევითი და აჩქარებული ნაბიჯით გაგვრეკეს. მძიმედ დაკრიბები სხევებს ვერ მიჰყვებოდნენ და იმათ იქვე, გზაზევე ხვრეტდნენ. ორმა გაქცევა სცადა, მაგრამ ის ვერ მოიხსარეს, რომ მთვარიან ღამეს ტრიალ მინდორზე ეშმაკმა უწყის, როგორ არ ჩანხარ, და, რა თქმა უნდა, ისინიც დახოცეს. შუალამისას რომელიღაც ნახევრად ვადამწეარ სოფელში მივედი. ღამისგასათევად გუმბათმონგრეულ გკლესიაში შეგვრეკეს. ქვის იატაკზე თივის ნასახი არა ჩანს. ფარაჯა კი არც ერთს არა გვაქვს. გიმნასტურა და შარვალი გვაცვია — სულ ესაა. რა გინდა, რომ ძირს დაიგო! ზოგს გიმნასტურაც არ შემორჩენია, ნარმის პერანგის ამარაა. ესენი უმეტესად უმცროსი მეთაურები იყვნენ, კიტელები და გიმნასტურები გაიხადეს, რომ რიგითი ჯარისკაცებისაგან არ გამოერჩიათ. კიდეც არტმოსახურების ხალხი იყო პერანგის ამარად. როგორც მუშაობდნენ მოშილიფებულნი ქვემეხებთან, ისევე ჩაცვიდნენ ტყვედ.

ღამით კოკისპირული წვიმა წამოვიდა და ყველანი თავითფებებამდე დავლბით. აქ გუმბათი მოუგლეჯია მძიმე ჭურვს თუ ყუმბარას, აქაც კერი ერთიანად არის დაცხრილული და მშრალ ადგილს საკურთხეველთანაც ვერ იპოვნია. ცხვრები რომ გინახავს ბნელ გომურში, ეგრე დავბორიალობდით მთელი ღამე. ღამითვე შესმის, რომ ვიღაც მკიდებს ხელს და მეკითხება: „დაჭრილი ხომ არა ხარ, ამხანაგო?“ „მერე შენ რა გინდა მეთქი“, ეუპასუხებ მე. „სამხედრო ექიმი ვარ, იქნება ცოტა რამე გიშველოო“... მე შევიჩვილე, რომ მარცხენა მხარი მიღრქიალებს, მისივდება და საშინლად მტკივამეთქი. ის მტკიცედ მეუბნება: „გაიხადე გიმნასტურა და პერანგი!“ გავიხადე და დამიწყო მხარში კირკიტი თავისი წვრი-

ლი თითებით, მერე ისე, რომ ქვეყანა დამაიწყა. ვალრქიალებ კბილებსი და გუჭბნები: „შენ, გეტყობა, აღსაშინისს სუქამს კი არა, ვეტერინარი ხარ. მტკივან ადგილზე ასე რას მაწეები, შე უგულო“. ის კი ისევე ისე მგჯვლემს და თან გაბრაზებული მიპასუხებს: „შენი საქმე ჩუმად ყოფნაა! რა მასლაათი გამიბი აქ! აბა, გაუძღე, ახლა უფრო უნდა გეტკინოს!“ — ეს რომ მითხრა, მკლავი დამაქნევეინა, დამაქნევეინა და თვალებიდან სულ ნაპერწყლები წამომაყრევეინა.

გონს მოვედი და ვეკითხები: „რას მიშვრები, შე უბედურო ფაშისტო! მე მკლავი ნამსხვრევებად მაქვს ქეცული, შენ კი აგრე იქცევი!“ შესმის, რომ ჩუმ-ჩუმად იცინის და მეუბნება: „მეგონა, მარჯვენით გამარტყამდი, მაგრამ ჩანს, მომთმენი ბიკი ხარ. მკლავი, ვადამტრეული კი არა, ამოვარდნილი ჭკონდა. მე ავდექი და თავის ადგილზე ჩავსვი. აბა, ახლა როგორაა, ცოტა მოგეშვა თუ არა?“ მართლაც ვგრძნობ, რომ ტკივილი თანდათან მიყუჩდება. გადავუხადე გულითადი მადლობა და წავიდა სიბნელეში კითხვა-კითხვით: „დაჭრილი არის ვინმე? დაჭრილი არის ვინმე?“ „აი, რას ნიშნავს ნამდვილი ექიმი? ტყვეობაშიც, ამ უკუნეთშიც თავის საქმეს აკეთებდა.“

არეული ღამე იყო ის ღამე, ნიავამდე არ გვიშვებდნენ. ამის შესახებ ბადრაგის უფროსმა ჯერ ისევე მაშინ გაგვაფრთხილა, როცა წყვილ-წყვილად გვერეკებოდნენ ეკლესიაში. მაგრამ, რაღაცა ცოდვად, ერთ ჩვენს მლოცველს გარეთ გასვლის საჭიროება აუტყდა. ითმინა, ითმინა და ბოლოს ატირდა: „ამ წმინდა ტაძარს ვერ შევბილწავო. მე ხომ შორ-წმუნე ვარ, ქრისტიანი ვარ, რა უნდა ვქნა, ძმებოო“. ჩვენები, ხომ იცი, რა ხალხიც არის, ერთნი იცინიან, მეორენი აგინებენ, მესამენი სხვადასხვაგვარ მაიმუნურ რჩევას აძლევენ. ამან ყველანი გაგვაშხიარულა. დამთავრდა კი ეს ამბავი ცუდად, ძალიან ცუდად. დაიწყო კარზე ბრახუნი — გთხოვთ, გარეთ გამიშვათო. ადგნენ და აუსრულეს თხოვნა. გამოუშვა ფაშისტმა გრძელი რიგი

მთელი კარის სიგანეზე და ის მოცუველი ხომ მოკლა, სამი კაციც სხვა მიყოლა. ერთი კი მძიმედ დაქრა, დილას ისიც გარდაიცვალა.

დაზოცილები ერთ ადგილას დავასვენეთ, ჩავსხედით, ჩავუძლით და ჩავფიქრდით. დასაწყისი მინცდამინც სამხიარულო არ იყო. ცოტა ხანს ვიყუჩეთ და მერე ხმადაბლა ავლაპარაკდით, აფიქრდით: ვინ საიდან, რომელი ოლქიდან იყო, ტყვედ როგორ ჩავარდა. იმ სიბნელეში ერთი ოცეულის ამხანაგები, ან ერთი ასეული ნაცნობები სულ აირ-ღირივნენ და ახლა დაუწყეს ერთიერთმანეთს ჩუმი ხმით ძახილი. ჩემ

გვერდით ასეთი ხმადაბალი საუბარი აქვთ: „ხვალ თუ სხვაგან გარეკვამდე მოგვაწყეს და კომისრების, კომუნისტებისა და ებრაელების გამოძახება დაიწყეს, არ დაიშალო, ოცმეთაურო, ამ ამბიდან არაფერი არ გამოვივა. შენ როგორა გგონია, გიმნასტურა რომ გაიხადე, რიგით ჯარისკაცად გაასაღებ თავს? არ გაგივა! შენი გულისათვის მე არა ვარ პასუხისმგებელი. პირველი მე მივუთითებ შენზე. ხომ ვიცი, რომ კომუნისტი ხარ და მეც აგიტაციას მიწედი, პარტიაში შედიო. მიდი და ახლა პასუხი ავე შენს საქმეზე“. ამას ჩემ გვერდით, მარცხნივ რომ ზის, ის ამბობს. მეორე მხრიდან კი ვილაციის ყმაწვილკაცური ხმა უპასუხებს: „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენ, კრიენიოვ, კაი კაცი არა ხარ. განსაკუთრებით მაშინ, როცა უცოდინარობა მოიმიზეზე და პარტიაში შესვლაზე უარი სთქვი. მაგრამ ეს არასოდეს არ მიფიქრია, რომ გამყიდველი გახდებოდი. შენ ხომ შვიდწლელი გაქვს დამთავრებული!“ ის ზანტად მიუგებს: „რაო, რომ დამთავრებული მაქვს. რა გამოვიდა აქედან“. დიდხანს დუმდნენ. მერე ხმაზე მივხვდი, ოცმეთაური ალაპარაკდა: „ნუ გამცემ, ამხანაგო კრიენიოვო“. იმან კი ჩაიჭირჭირა: „შენი ამხანაგები ფრონტის ხაზის რქით დარჩნენ. მე აქ შენი ამხანაგი არა ვარ და ნურც მეხვეწები. სულ ერთია, მინც ვაჩვენებ შენს თავს. ჯერ თავო და თავო, ხომ იცი“.

დაჩუმდნენ. მე კი მხურძულად ამგვარი საზიზღრობა. „არა-მეთქი ვუკლებ ველებ, ძაღლის ლეკვო, რომ შენი მეთაური გასცე, — ვფიქრობ ჩემთვის, — შენ ამ ეკლესიიდან ვერ გამოხვალ, აქვე გაგაქვინებ მაგ ბინძურ ტყავს“. ცოტა იწათა და ვხედავ: ჩემ გვერდით გულაღმა დინგარა ახალგაზრდა წევს, ხელები თავქვეშ ამოუწყვია. მის მახლობლად კი ზედასაცვლის ამარა დარჩენილი, თხელთხელი, ცხვირპაკუთა ბიჭი ზის, მკლავები მუხლებისთვის შემოუტყერია, გაფრთხილებულია ძალზე. „ეს ბიჭი ამ ვირგლას ვერას დააკლებს. ისევე მე უნდა მოვეუთავო-მეთქი“.

ხელი შევახე, ჩურჩულით ვეკითხები: „ოცმეთაური შენა ხარ? არაფერი არ მიპასუხა, მხოლოდ თავი დამიქნია. „მერე ამან უნდა დაგაბეზლოს?“ — ვუთითებ მწოლიარე ახალგაზრდაზე. ამაზეც თავს მიქნევს. „აბა, მაშ, მიდი, ფეხები, დაუქირე, რომ არ იტლინკოს, აბა, მარდად...“ მე კი დავაწყვი იმ ახალგაზრდას და თითები ყანყარატოში ჩავასვი. დაყვირებაც ვერ მოასწრო. მეჭირა ისე რამდენიმე წუთს და, ავდექი. გასაღებული იყო გამცემი, ენა გვერდზე ჰქონდა გადმოვადებული!

როგორ ცუდად გავხდი ამის შემდეგ, როგორ საშინლად მომინდა ხელები დაბანა! — თითქოს ადამიანი კი არა, რალაც საზიზღარი მცურავი დამეღრჩოს... ჩემს სიცოცხლეში პირველად მოეკალი და ისიც ჩვენია... მაგრამ ის რა ჩვენია იყო? ის უცხოზე უარესი იყო, გამყიდველი! ავდექი და ეუთხარი ოცმეთაურს: „წამო, აქედან წავიდეთ, ამხანაგო, ეკლესია დილია“...

როგორც კრიენიოვი ამბობდა, დილით ყველანი ეკლესიის წინ ჩავვაშკრივეს, შემოგვეტყენნენ მეავტომატები და სამა ესესელმა ოფიცერმა იმათთვის მავნე ხალხის გადარჩევა დაიწყო. იკითხეს, ვინ იყო კომუნისტი, მეთაური, ან კომისარი. მაგრამ ასეთები არ აღმოჩნდნენ. არ აღმოჩნდა არც გათახსირებული ვინმე, რომელსაც გაცემა შეეძლო, ჩვენ შორის ხომ თითქმის ნახევარი კომუნისტი იყო,

მეთაურებიც იყვნენ, და, რა თქმა უნდა, კომისრებიც იქნებოდნენ. მხოლოდ ოთხნი გაიყვანეს იმ ორასზე მეტი კაციდან, ერთი ებრაელი და სამიც რუსი რიგითი ჯარისკაცი. რუსები ამ უბედურებაში იმის გამო მოყვნენ, რომ სამივენი შავგვრემანები იყო და კულუ-კულული თმები ჰქონდათ. მიდიან ამისთანებთან და ეკითხებიან: „იუდეე?“ ის ეუბნება, რომ რუსი ვარო, მაგრამ ყურს ვინ უგდებს! „გამოდი“ — და მორჩა.

ის . ცოდვისშვილები იქ დახვრიტეს, ჩვენ კი გზას გაგვიყენეს. ოცმეთაური, რომელთან ერთადაც გამყიდველი გავგუდე, პოზნანამდე ჩემს ახლოს ტრიალებდა; პირველ დღეს ვერა-ვერა და მერე კი ხელი მომიჭირა სიარულის დროს. პოზნანში გავგყარეს ერთი ასეთი მიწეზის გამო.

იცი, რა იყო, ძმაო? პირველსავე დღეს გულში ჩავიდე ჩვენებთან დაბრუნება. აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი. პოზნანამდე, სადაც ნამდვილ ბანაკში მოგვათავსეს, არც ერთხელ არ მომეცა ხელსაყრელი შემთხვევა. პოზნანის ბანაკში კი დრო ვიხელთე. მაისის ბოლოა და ბანაკის მახლობელ ტყეში გავგვზავნეს ჩვენი სამხედრო ტყვეების საფლავების გასაპრელად, ბევრნი იხოცებოდნენ მაშინ დიზენტერიით: ეთხრი იმ პოზნანის თიხას და თან აქეთ-იქით ვიხედები. ენახოთ, ორი ჩვენი მცველი პურის საკმელად ჩაჯდა, მესამე კი მყუდროში თვლემს. დავაგდე ნიჩაფი და ფრთხილად გადავედი ბუჩქს იქით... მერე გავიქეცი. პირდაპირ მზის ამოსასვლელისაკენ გავიქეცი...

ნამდვილად მალე ვერ მიმიხვდნენ ჩემი მცველები. სად მქონდა იმოდენა ძალა, რომ დღედაღამეში ორმოცი კილომეტრი გამევილო, არ ვიცი! ეგ კია, რომ არაფერი არ გამოვიდა ამ ოცნებიდან: მეოთხე დღეს, უკვე შორს რომ ვიყავი იმ დაწყევლილი ბანაკიდან, დამიჭირეს. მეძებარი ძალები მომყოლოდნენ კვალდაკვალ და მათ მიპოვეს მოუძველ შვრი-აში...

გამთენიისას ტრიალ მინდორზე სია-

რულის შემეშინდა, ტყემდეც საში კილომეტრი მაინც იყო და დაღლილმდღეს შვრიაში ჩავწექი. მოვფშვნიტე ჩულის გულზე მარცვლები, დავდექე. ცოტა ჯიბეებშიც ჩავეყარე მარაგად, და სწორედ ამ დროს ძაღლის ყეფა და მოტოციკლის ტრახტრახიც მესმის... გული გადამიტრიალდა, რადგან ძაღლების ხმა სულ ახლოს და ახლოს მოდიოდა. გავერთხე მიწაზე და ხელები ავიფარე, რომ სახე მაინც არ დაეგლიჯათ. იმათ მოირბინეს და მყისვე გამაძრეს ჩემი ძონძმანძები. დავრჩი დედიშობილა. მათრეედნენ იმ შვრიაში, როგორც უნდოდათ, და ბოლოს დამადგა ერთი ქოფაკი მკერდზე წინა თათებით. ყანყრატოში უნდა მწვდეს, მაგრამ ჯერ ხელს არ მახლებს.

მოვიდნენ ორი მოტოციკლით გერმანელები, ჯერ თვითონ მცემდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, შემდეგ ძალები მომისიეს და ჩემი ტყავ-ბორცის ნაბუარი დააყენეს. შიშველი, მთლად გასისხლიანებული მიმიყვანეს ბანაკში. ერთი თვე კარცერში ვიჯექი გაქეცი-სათვის, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ... მაინც ცოცხალი დავრჩი!

ძნელია, ძმაო, იმის მოგონება, და უფრო ძნელი იმის მოყოლა, რაც მე ტყვეობაში დღე დამადგა. გავისხენებ არაადამიანურ წამებას იქ, გერმანიაში, რომ გადამიტანია, გავისხენებ ამხანაგ-მეგობრებს იქ, ბანაკებში რომ დაიხოცნენ წამებით, და გული მკერდიდან ყელში მებჯინება, სუნთქვა მიჭირს.

სად აღარ მიკრეს თავი იმ ორ წელიწადში, რაც მე ტყვედ ვიყავი! მთელი ნახევარი გერმანია შემოვიარე. საქსონიაშიც ვიყავი — სილიკატების ქარხანაში ვმუშაობდი, რურის ოლქშიაც — მაღაროდან ნახშირს ვეზიდებოდი, ბავარიაშიც — მიწის სამუშაო კუში გამიჩინა, ტიურინგიაშიც, და ეშმაკმა უწყის, სად აღარ მომიხდა გავლა იმ გერმანიის მიწაზე. ბუნება, ძმაო, იქ სულ სხვადასხვანაირია, მაგრამ ჩვენ ყველგან ერთნაირად გვესროდნენ და გვეცმდნენ. ისე გვეცმდნენ ის ღეთისაგან დაწყევლი-

ლი პარაზიტები და გარეწრები—ჩვენში საქონელსაც არ გაართყამენ თავის დღეში. თოფის კონდახით და ყოველგვარი ხით ხომ გვემდნენ და გვემდნენ, მუშტები, წიხლები, რეზინის კეტები და ხელსმოყოლილი რკინეულობა სხვა იყო.

გვემდნენ იმის გამო, რომ რუსი იყავი, იმის გამო, რომ ამ შვიან ქვეყანას ისევ უყურებდი, იმის გამო, რომ იმათთვის, იმ ძალღაპირებისათვის, მუშაობდი. გვემდნენ იმის გამოც, რომ ასე არ გამოიხედე, ისე არ გადაადგი ფეხი, ისე არ შებრუნდი... გვემდნენ ტყუილ-უბრალოდაც, რომ ადრე თუ გვიან ჩაეკალი და ჩაემკვდარებინე, რომ საკეთარ სისხლში ჩამხრჩვალყავი და ჩაძალღებულყავი ცემისაგან. ღუმელები ხომ ყველასათვის არ ეყოფოდათ იმოდენა გერმანიაში...

კვებით ყველგან ისე გვემდნენ, როგორც იყო: ასორმოცდაათი გრამი ერზაცი-პური, ისიც ნახევარი ნახერხი და საქონლისჭარხლის წყალწყალა წვენი. ადუღებულ წყალს ხან გვიწყალობებდნენ, ხან არა. აბა რა ლაპარაკი გინდა, თვითონ განსაჯე: ომამდე ოთხმოცდაექვს კილოს ვიწონიდი, შემოდგომაზე კი ორმოცდაათსაც ძლივს მივაღწიე. ცარიელი ძვლი და ტყავი ვიყავი. იმ ძვლების თრევაც მიჭირდა! მუშაობით კი — იმუშავე და ხმა არ ამოიღო. ისეთი რამეები აკეთე, საფორნე ცხენს რომ მოსწყვეტდა წელს.

სექტემბრის დასაწყისში ასორმოცდაათი საბჭოთა სამხედრო ტყვე ქალაქ კიუსტრინის ბანაკიდან დრეზდენის ახლოს, ბ-14 ბანაკში გაგვრეკეს. იმ ხანებში იქ ორიათასამდე ჩვენი ტყვე იყო. ყველანი ქვის სამტრევეზე მუშაობდნენ. ხელით იღებდნენ, სკრიდნენ და ამსხვრევდნენ გერმანულ ქვას. გეგმა — ოთხი კუბომეტრი სულზე. მერე ისეთ სულზე — ერთი ძაფით რომ იყო მიმაგრებული სხეულზე. აი აქ კი დაიწყო: ორი თვის შემდეგ იმ ასორმოცდაორკაციან ეშელონიდან ორმოცდაჩვიდმეტა-ლა დავრჩით. როგორია? ჰა, ძმობილო! არ ვარგა, არა?! აქ შეინიანების დამარჯვას ვერ ასდიხარ და აქ კიდეც ხმა დადის ბა-

ნაკში, რომ გერმანელებმა სტალინბარადი აიღეს და ახლა იქით უკომბერფსევენ მიიწევენო. უბედურებამ უბედურებებს მოსდევს და ისე გლუნავს, თავი ვეღარ აგინწევია, თითქოს შენც იმ უცხო მიწაში, გერმანულ მიწაში მოითხოვდე ჩაწოლას. ბანაკის მკველები კი ყოველდღე სვამენ, მღერაინ, ხორხოცებენ, ხარობენ, ზეიმობენ.

და აი, ერთ საღამოს დავბრუნდით ბანაკში სამუშაოდან. მთელი დღე წვიმდა. ჩვენი კონკები გასაწური გახდა. ყველანი ძაღლებივით ვკანკალებდით ცივ ქარზე, კბილებს კბილებზე ვაკაპუნებდით. სად უნდა გაშრე, გასათბობი რამეც არსად არ არის! თანაც შიმშილით სული გვხდება. მაგრამ საღამოს ვახშამი არ გვეკუთვნოდა.

გავიხადე ჩემი სველი კონკი, დავაგდე ტახტზე და დავაყოლუე: „იმათ ოთხ-ოთხი კუბომეტრის გამოიმუშავება უნდათ, ყოველ ჩვენიგანს კი ერთი კუბომეტრი აუვა თავს საფლავისათვის“. ესა ვთქვი და ვიდაც არ გამოდგა ჩვენ შორის გათახსირებული! — მიუტანა ეს მწარე სიტყვები ბანაკის კომენდანტს.

ბანაკის კომენდანტად, ანუ, როგორც ისინი ეძახიან, ლავერფიურერად გერმანელი მიუღერი გვეყავდა. დაბალ-დაბალი იყო, ჩახხმული, თეთრგვრემანი და თვითონაც როგორღაც თეთრი: თავზე თეთრი თმა, თეთრი წარბ-წამწამი, თვალებიც თეთრად აქვს გაღმოკაკლული. რუსულად როგორც მე და შენ, ისე ლაპარაკობდა. „ო“-ზეც კი უძევედა, თითქოს მკვიდრი ვოლგისპირელი ყოფილიყოს; დედის გინების ხომ ოსტატი იყო და ოსტატი! მინც სად ისწავლა იმ წყეულმა ეს ხელობა! გაგვამწკრივებდნენ ბლოკის წინ-ბარაკს ისინი ასე ეძახდნენ — მიდის მწყობრის გასწვრივ, უკან ესესელებს ხროვა მისდევს, მარჯვენა ხელი მოწყვეტით უჭირავს; ზედ აცვია ტყავის თათმანი, რომელშიც ტყვისის ტყლაპი აქვს ჩაგებული, რომ თითები არ დაუშავდეს, მიდის და ყოველ მეორე კაცს ცხვირ-პირში ულაწუნებს, სისხლს ადენს. ამას ის „გრიპის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას“ უწოდებდა. ასე მე-

ორდებოდა ყოველდღე. სულ ოთხი ბლოკი იყო ზანაკში. და აი, დღეს რომ ერთს მოუწყობს „პროფილაქტიკას“, ხვალ—მეორეს და ასე შემდეგ. წესის დამკველი იყო ის წყეული, არც ერთ დღეს არ უქმობდა. ერთ რამეს მაინც ვერ ითვალისწინებდა: სანამ ხელის ასაღებად ეახლებოდნენ, რომ გაფიცებულ იყო, ათიოდე წუთი მწყობრის წინ იგი-ნებოდა. დგას და იგინება ტყუილ-უბრალოდ! იგინება და ჩვენ ეს მალამოდ გვხედება გულზე. სიტყვები ხომ ჩვენია, ჩვენებურია, თითქოს მშობლიური მხარის ნიავს წამოებეროს... სცოდნოდა, რომ მისი გინება შევბას გვევრიდა, რუსულად აღარ შეიგინებოდა, თავის ენას მიმართავდა... მხოლოდ ერთი იყო, ჩემი ამხანაგი, მოსკოველი ბიჭი, რომელსაც საშინლად აბრაზებდა ეს: „ეგ რომ იგინება, მე თვალებს ვხუჭავ და თითქოს მოსკოვში, ზაცუპზე, ბარში ვიჯდეო. ისე მომინდება ლფი, სულ თავბრუ მესხმის ხოლმეო“.

ვთქვი კუბომეტრების შესახებ და მეორე დღესვე ეს კომენდანტი მიბარებს, სალამოს ბარაკში თარჯიმანი მოვიდა და ორი მკველი მოჰყვა. „ანდრეი სოკოლოვი რომელიაო?“. „მე გახლავართ-მეთქი“. „სწრაფად გამოგვეყვი, თვით პერ ლაგერფიურერი გიბარებსო“. გასაგები იყო, რისთვისაც მიბარებდა, ანდრეი უნდა აეგოთ! ამხანაგებს გამოვეთხოვე, ყველამ იცოდა, სასიკვდილოდ რომ მივდიოდი, ამოვიოხრე და წავედი. მივდივარ ბანაკის ეზოში, ვარსკვლავებს შევეყურებ, იმათაც ვემშვიდობები: „აბა, დამთავრდა შენი წამებაც, ანდრეი სოკოლოვო ანუ ბანაკის მიხედვით სამას-ოცდამეთერთმეტე ნომერო“. როგორღაც ირინა და ბავშვები შემებრალნენ. შემდეგ ეს სიბრალული ნელ-ნელა ეძლიე. გულის გამაგრებას შევუდექი, რომ, როგორც ეს ჯარისკაცს შეშვენის, დამბაჩის ტუჩისათვის უშიშრად ჩამეხედა. არ მინდოდა უკანასკნელ წუთს მტერს ის შეემჩნია, სიცოცხლესთან გაყრა მაინც მიძნელდებოდა...

საკომენდანტოში ფანჯრებზე ყვავილები ეწყო და ისეთი სისუფთავე იყო,

როგორც ჩვენთან კარგ კლუბში ვინახავს. მაგიდასთან მთელი ზანაკი ეფეროსობას მოეყარა თავი. *Знакомство* შნაპსს თრაქავენ და თან ღორის ქონს ატანენ. წინ შნაპსის ახლადდახარჯული მოზრდილი ბოთლი უდგათ, პური, ღორის ქონი, ჩამწნილებული ვაშლები და სხვადასხვანაირი კონსერვების გახსნილი ქილები უწყვიათ. გადავავლე თვალი ერთად თავმოყრილ ამოდენა ხორაგს და, არ დამიჯერებ, ისე ამეშღერა გუნება, კინაღამ გული არ ამერია. მეგელივით მშოიდა, ადამიანურ, საკვებს გადაჩვეული ვიყავი... აქ კი ამოდენა რამერუმეა შენ წინ! გულის რევა ხომ ძლივსძლიობით დავიოკე, მაგიდის თვალისმოშორება უფრო მეტად გამიძნელდა...

პირდაპირ ჩემ წინ შეზარბოშებული მიუღერი ზის, დამბაჩას ათამაშებს, ერთი ხელიდან მეორეში აგდებს, თან მე შემომყურებს, თვალს არ ახამხამებს გველივით. მე გამოვექიმიე, მოცვეთილი ქუსლები ერთმანეთს შემოვკარი და ხმა-მალა მოვახსენე: „ბატონო კომენდანტო, სამხედრო ტყვე ანდრეი სოკოლოვი, თანახმად თქვენი ბრძანებისა, გამოცხადდა!“ ის შეკითხება: როგორ ივანარუსო? ოთხი კუბომეტრი ქვის გამოშვება ბევრიაო?“. „ეგრეა, ბევრია-მეთქი, ბატონო კომენდანტო“. „საფლავისათვის ერთიც გვეყოფათ?“. „ეგეც ეგრეა, გვეყოფა და მომრჩება კიდეც-მეთქი, ბატონო კომენდანტო“.

წამოღდა და მითხრა: მე შენ დიდ პატივს დაგდებ, ამ სიტყვებისათვის თვითონ მე დაგხრეტ“. აქ უხერხულია, გარეთ გავიდეთ, იქ მოვაწერიებ“. თქვენი ნებაა-მეთქი... შეჩერდა, დაფიქრდა, მერე დამბაჩა მაგიდაზე დადო და ქიჯა შნაპსით ამივსო. პური აიღო, ზედ ღორის ქონის ნაჭერი დაადო, მომაწოდა და მითხრა: აბა, ივანა-რუსო, სიკვდილის წინ გერმანიის იარაღის გამარჯვებისა დალიე“.

ქიჯაც და მისატანებელიც ჩამორთმეული მქონდა, მაგრამ ეს სიტყვები რომ გავიგონე, თითქოს ცეცხლი შემოენთოთ რაო? მე, რუსმა ჯარისკაცმა, გერმანუ-



ლი იარაღის გამარჯვებისა დავლიო? კიდევ სხვა რამესაც ხომ არ ინებებ, ბატონო კომენდანტო? ჯანდაბას ჩემი თავი და შენც შენი არყოთ!

ქიქა მაგიდაზე დავდგი, ლუკმაც იქვე დავდე და ვეუბნები: „მადლობას მოგახსენებთ გამასპინძლებისათვის, მაგრამ მე არ ვსვამ“. გავლიმა. „რაო, ჩვენი გამარჯვებისა არ გინდა დალიო? მაშინ ადექი და შენი დალუპვისა დალიე“. აბა, ამით რას ეკარგავდი. ჩემი დალუპვისასა და ტანჯვისაგან დახსნისას დავლევ-მეთქი. ქიქა ავიღე და ორი ყლუბით გამოვაშრალე, ლუკმისთვის კი ხელი არ მიხლია. თავაზიანად მოვიწმინდე ტუჩები ხელისგულით და ვუთხარი: „გმადლობთ გამასპინძლებისათვის, ბატონო კომენდანტო, მე მზად ვახლავართ, წამობრძანდით, ხელი მომაწერინეთ-მეთქი.

მაგრამ ის გაშტერებული შემომყურებს და მეუბნება: „ცოტა რამე მაინც შეგეჭამა სიკვდილის წინ“. მე კი მივეუბნებ: „პირველ ქიქას ლუკმას არასოდეს არ ვატან“. ის ქიქას მეორედაც მივსებ და მაწვდის. დავლიე მეორეც და ლუკმისთვის ისევ არ მიხლია ხელი. მინდა თავი ვაჩვენო, რომ დავთვრე მაინც, სანამ გარეთ გამიყვანენ და სიცოცხლეს გამომასალმებენ! ზეასწია თეთრი წარბები კომენდანტმა და ისევ მითხრა: „რატომ არაფერს არა სვამ, ივანა-რუსო, რისა გრცხვენია!“ „ბოდიში, ბატონო კომენდანტო, მე არც მეორე ქიქის შემდეგ ვარ დაჩვეული ლუკმაპურის მიტანებას“. ლოყები გაბერა, ჩაიფრტუნა, მერე კი ახარხარდა და თან სხაპასტურით რაღაცის ლაპარაკი დაიწყო გერმანულად, ეტყობოდა, მეგობრებს ჩემს სიტყვებს უთარგმნიდა, იმათაც გავცინათ. სკამები აახრივინეს, ცხვირები ჩემკენ მოიღეს და, შევამჩნიე, რომ როგორღაც სხვანაირად, უფრო ლმობიერად მიყურებდნენ.

კომენდანტმა მესამე ქიქაც გამივსო. მივსებდა და თან სიცილისაგან ხელში უკანკალებდა. ეს ქიქა კი სიამოვნებით დავლიე. პატარა წავამტვრიე პურს და დანარჩენი ისევ მაგიდაზე დავდე. მინ-

დოდა იმ წყევლებისათვის შეჩვენებინა, რომ, მართალია, შიმშილზე სულფურს დიდოდა, მაგრამ იმათი ნასტურტალომას მაინც არ ვაპირებდი, რომ მე ჩემი რუსული ღირსება — სიამაყე მქონდა, და, თუმცა ბევრს ეცადნენ, პირუტყვად მაინც ვერ გადამაქციეს.

ამის შემდეგ კომენდანტმა სერიოზული სახე მიიღო, მკერდზე ორი რკინის ჯვარი შეისწორა, იარაღი მაგიდაზე დატოვა, ჩემთან მოვიდა და მითხრა: „აი, რა, სოკოლოვო, შენ ნამდვილი რუსი ჯარისკაცი ყოფილხარ. შენ მამაცი ჯარისკაცი ყოფილხარ. მეც ჯარისკაცი ვარ და ღირსეულ მოწინააღმდეგეს პატივსაც ვცემ. მე შენ აღარ დავხვრეტ. მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენმა ძლევა-მოსილმა ჯარებმა სტალინგრადი მთლიანად დაიკავეს და ვოლგისკენ გაიჭრნენ. ეს ჩვენთვის დიდი სიხარულია და, ამიტომ არის, რომ მე დიდსულოვნებას ვიჩენ და სიცოცხლეს გაჩუქებ. წადი შენს ბლოკში, ეს კი მამაცობისათვის!“ — მთელი პური და ღორის ქონის მოზრდილი ნაჭერი მომცა.

პური ჩაებლუჯე, ღორის ქონი მარცხენა ხელში მიჭირავს და იმდენად ვარ დაბნეული ამ მოულოდნელი ბედისტრილით, მადლობასაც ვერ ვეუბნები. მივბრუნდი მარცხნივ, გასაქლელისკენ მივდივარ, თან ვფიქრობ: „დამაჯერებს ახლა ბეჭებში ტყვიას და ვერ მივუტან ბიჭებს ამ საქმელს“. მაგრამ არა, გადავჩი. ამჯერადაც გვერდზე ჩამიარა სიკვდილმა. მხოლოდ მისი სუსხი მომწვდა...

საკომენდანტოდან მტკიცე ნაბიჯით გამოვედი, ეზოში კი ბარბაცი დავიწყე. შევეარდი ბარაკში და უგონოდ დავეცი ცემენტის იატაკზე. გამაღვიძეს ჩვენებმა უთენია: „აბა, მოგვიყვიო“. მეც გავიხსენე, — რაც საკომენდანტოში გადამხდა, და მოვეუყვიე. „ეს საქმელი როგორ გავყიოთ?“ — შეკითხება, ჩემს გვერდზე ვინც იწვა, და თან ხმა უკანკალებს. ყველას თანაბრად-მეთქი, პურიც და ღორის ქონიც მაგარი ძაფით დავჭერით. თითოს ასანთისოდენა პურის ნაჭერი შეგვხვდა, ქონი კი, რაღა თქმა უნდა მხოლოდ



ტუჩზე წასაცხებად გვეყო. მაინც ძმურად გავყავით ყველაფერი.

მალე სამასიოდე კაცი, ყველაზე მაგრები ვინც ვიყავით, ჭაობების ამოსაშრობად გავგვრეკეს. მერე იქიდან რურის ოლქში ამოგვავიდნენს თავი—მალაროში. იქ ორმოცდაათწლამდე დავყავით. ამ ხანებში ჩვენებმა გერმანელებს კისერი მოუგრისეს და ფაშისტები ტყვეებთან სიახლოვეს უკვე იმდენად აღარ თაკილობდნენ. ერთხელ მთელი დღის ცვლა გავგამწკრივეს, ვილაც ჩამოსული ობერლუიტენანტი იყო. თარჯიმნის საშუალებით გამოგვიცხადა: ვინც ჯარში ან ომამდე მოფრად მუშაობდა, ერთი ნაბიჯით წინ წაშოდგესო. შეიდი ნაშოფრალი წაედექით. მოგვეცხა ნახმარი სპეცტანსაცმელი და ჩავვიყვანეს ქალაქ პოტსდამში თოფქვეშ. მე „ტოდტში“ გამამწესეს — ასეთი ეკლიკანტური კანტორაც ჰქონდათ გერმანელებს გზებისა და თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობისათვის.

„ოპელადმირალით“ დამყავდა გერმანელი ინჟინერი, ხარისხით არმიის მაიორი. რამსისქე იყო ის ფაშისტი, რომ გენახა! დაბალ-დაბალი, ღიბიანი, სისქესიმაღლით ერთნაირი, კარგად მოსული დედაკაცი რომ იქნება, ეგეთი თეძოები ჰქონდა. მუნდირის საყელი წინიდან სამმაგ ღაბაბს უჩენდა, უკანიდან კი, კისერზე, სამ სქელ ნაოჭს. როგორც მე ვიანგარიშე, სამი ფუთი სუფთა ქონი მაინც ექნებოდა. რომ დადიოდა, ორთქლმავალივით ქშინავდა. მიუჯდებოდა სუფრას და — მტრისას! ხანდახან მთელი დღე იღმულნებოდა და თან მათარიდან კონიკს წრუბავდა. ხან მეც მხედებოდა ცოტა რამ: გზაზე გამაჩერებდა, ძეხვსა და ყველს დაჭრიდა, მიირთმევს და სევას. თუ კარგ ხასიათზე იყო, მეც გადმომიგდებდა ერთ ნაჭერს, როგორც ძალს. ხელში არასოდეს არ მომიკვდა, ეს თავის მეტისმეტად დამცირებად მიიჩნდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბანაკთან მაინც რა შესადარები იყო, ნელ-ნელა

ადამიანისფერი დამედო, თანდათან მოელონიერდი.

ორი კვირა ბერლინსა და პოტსდამს შორის დამყავდა ჩემი მაიორი. მერე ფრონტისპირა ხაზზე გავზავნეს, ჩვენების საწინააღმდეგო თავდაცვითი ზღუდეები უნდა აეგო. აქ კი ძილს საბოლოოდ გადავჩვიე. მთელ დამეს იმასა ვფიქრობდი, ჩვენებთან, სამშობლოში როგორ გავქცეულიყავი.

ქალაქ პოლოტში ჩავედი. განთიადია და ორი წლის შემდეგ პირველად მესმის, თუ როგორ ქუხს ჩვენი არტილერია. იცი, ძმაო, როგორ ამიგვრდა გული? დასანიშნავი რომ ვიყავი და ირინასთან დავდიოდი პაემანზე, ისე მაშინაც კი არ ამიგვრებია გული. ბრძოლა პოლოცის აღმოსავლეთით, თერაპერტი კილომეტრის მანძილზე მიმდინარეობდა. ქალაქში მყოფი გერმანელები იღრინებოდნენ, ნერვიულობდნენ, ჩემმა სქელმა მაიორმა მძას უმატა. დღისით ქალაქგარეთ მივდიოდით, განკარგულებებს აძლევდა, სიმაგრეები როგორ უნდა ეგოთ, ღამით კი მარტრდ-მარტო სვამდა. სულერთიანად დასივდა, თვალის უბეები ტომრებივით ჩამოეკიდა.

ახლა კი მეტი მოცდა აღარ შეიძლება, ჩემი დრო დადგა-მეთქი. თან მარტო კი არ მიწოდდა გაქცევა, ჩემი მაიორიც უნდა წამყევანა, ჩვენებს გამოადგებოდათ.

ერთ ნანგრევში ორკილოიანი გირი ვიპოვე და ხელისსაწმენდი ძონძი შემოვახვიე, რომ, თუ დარტყმა იყო, სისხლი არ გამოედინებინა. გზაზე ტელეფონის მავთულის ნაჭერსაც წამოვკარი ხელი. ყველაფერი, რაც კი მჭირდებოდა, გულდასმით შევავროვე და მანქანის წინა სავარძლის ქვეშ ამოვაწყვე. ორი დღით აღრე, ვიღრე გერმანელებს გამოვეთხოვებოდი, სალამოს მანქანაში ბენზინი ჩავასხი და უკან დავბრუნდი, მოვდივარ და ვხედავ — უგონოდ მთვრალი გერმანელი უნტერი მოდის, კედლებს ვკიდებ. მანქანა გავაჩერე, ის უნტერი ნანგრევში შევათრიე, მუნდირი გავხადე, ქუდიც ავართვი და მთელი ეს ავლა-დი-

დებაც მანქანის სავარძლის ქვეშ ამოვ-  
ლდე.

ოცდაცხრა ივნისს ჩემმა მაიორმა მიბ-  
რძანა: ქალაქგარეთ, ტროსნიცის მიმარ-  
თულებით წამოყვანეთ. იქ ის სიმაგრეე-  
ბის მშენებლობას ხელმძღვანელობდა.  
დავადექით გზას, მაიორი უკანა სავარ-  
ძელში თვლემს, მე კი გული ლამის სა-  
გულიდან ამომივარდეს. ჯერ მაგრად  
მივდიოდი, მაგრამ ქალაქგარეთ რომ გა-  
ვედი, სიჩქარეს მოვუკელი. ბოლოს გაე-  
ჩერდი. მანქანიდან გადმოვედი, მიმოვი-  
ხედე, სადღაც უკან ორი საბარგო მოზო-  
ზონობდა. გირი მოვძებნე, კარი ფართოდ  
გამოვალე. ის ძონძროხა საზურგულს გა-  
დასწოლია, არხენინად ხვრინავს, თით-  
ქოს ცოლის გვერდით ეძინოს. ავიღე და  
ჩავეშვი გირი მარცხენა საფეთქელში.  
იმ წუთში თავი ჩააკიდა. გული რომ და-  
მეარხენებინა, ერთხელაც დავუმატე,  
მაგრამ მოკვლა არ მინდოდა, ცოცხლად  
უნდა მიმეყვანა, ჩვენებისთვის ბევრი  
რალაც უნდა ეთქვა. ბუდიდან „პარაბე-  
ლში“ ამოვაცალე, ჯიბეში ჩავიდე.  
რკინის გასაწყობი საზურგულს უკან ჩა-  
ვარკვე, მაიორს ყელში ტელეფონის მავ-  
თული მოვდე და მჭიდრო მარყუქით გა-  
საწყობზე მივაბი, რომ ჩქარი სვლის  
დროს არ გადმოშვარდნოდა. ხელდახელ  
გადავიცივი გერმანული მუნდირი, ქუდი  
დავიბურე და მანქანა პირდაპირ იქით  
მრეშვი, საცა მიწა გუგუნებდა, საცა  
ბრძოლა წარმოებდა.

გერმანელების მოწინავე ხაზი ორ  
ღზოტს შორის გავჭერი. ბლინდაციდან  
მეავტომატეები გამომიხტენენ, მე სისწ-  
რაფს ვუკელი განგებ, რომ მაიორი  
დაენახათ. მაგრამ ყვირილი მაინც ატე-  
ხეს, ხელების ქნევა დამიწყეს — იქით  
წასვლა არ შეიძლებოდა. მე კი, თითქოს  
არაფერი არ გამეგოს, სიჩქარეს მოვუ-  
მატე, ოთხმოცდაათი კილომეტრით მი-  
ვეშვი, და ვიდრე ისინი რამეს მოისაზ-  
რებდნენ და ტყვიამფრქვევიდან დამი-  
შენდნენ, მე უკვე საარვისო მიწაზე ნა-  
ყუმბარე თხრილებს შორის ვბრუნავდი  
კურდღელივით.

აქ გერმანელები მირტყამენ უკანი-

დან და აქ კიდევ ჩვენები გადაირჩენენ—  
ავტომატების ცეცხლში ეგვივედნენ. რა-  
დიატორი დამიცხავეს. საჭაქურში წინა ტყ-  
მიხვრიტეს ოთხ ადგილას. და იმ ტყე  
გამოჩნდა ტბასთან, ჩვენები მორბიან,  
მე მანქანა იმ ტყეში შევაგდე, კარი გა-  
ვალე, მიწას დავემხე, ვკოცნი, სული მი-  
გუბდება...

პირველად ახალგაზრდა ბიჭმა მოიჩ-  
ბინა. გიმნასტურაზე ხაკისფერი სამხ-  
რეები აქვს, მე ჯერ არ მინახავს, იკრი-  
კება: „აჰა, წყეულო ფრიცო, გზა აგებ-  
ნა?“ შემოვივლოჯე გერმანული მუნდირი,  
ქუდიც ფეხებთან დავუხეთქე და  
შევძახე: „შვილო, საყვარელო! რის  
ფრიცი, ვორონეელი ვარ მკვიდრი“. ტყვედ ვიყავი, ვესმის? მიდიო, ასე-  
ნით აგერ ის ტანი, წაიღეთ მაგისი პორთ-  
ფელი და თქვენს მეთაურთან მიიყვა-  
ნეთ!“ დამბაჩაც იმით ჩავაბარე და მე  
წავედი ხელიდან ხელში. საღამოს პოლ-  
კოვნიკთან, დივიზიის მეთაურთან ვარ.  
მანამდე კარგადაც მაქამეს, აბანოშიც  
წამიყვანეს, დამკითხეს კიდევ, ფორმის  
ტანსაცმელიც მომცეს და პოლკოვნიკ-  
თან, ბლინდაეში, ისე გამოვცხადდი,  
როგორც წესია, სულით ხორცამდე გა-  
სუფთაებული სრულ ფორმაში გამო-  
წყობილი. პოლკოვნიკი წამოდგა, წინ წა-  
მოვიდა, გადამხეხია და მითხრა: „გმად-  
ლობ, ჯარისკაცო, ძვირფასი საჩუქრი-  
სათვის. შენი მაიორი და იმისი პორთ-  
ფელი ჩვენთვის ოც მოენეზე უფრო  
ძვირფასია. შუამდგომლობას აღვძრავ  
სარდლობის წინაშე მთავრობის ჯილ-  
დოზე წარსადგენად“. მისმა სიტყვებმა,  
მისმა ალერსიანმა კილომ ძალზე ამა-  
ლელვეს. ტუჩები ამიკანკალდა, არ მე-  
მორჩილებიან, ამის ამოძახება ძლევს  
შექველი: გთხოვთ, ამხანაგო პოლკოვნი-  
კო, მსროლელთა ნაწილში ჩამრიცხოთ-  
მეთქი.

მაგრამ პოლკოვნიკმა გაიცინა, მხარზე  
ხელი დამარტყა: „შენ რანაირი მებრძო-  
ლი უნდა იყო, რომ ფეხზე ძლივს დგე-  
ბი! დღესვე ჰოსპიტალში გაგზავნენი. იქ  
გიმკურნალებენ, კარგად გაქმევენ და  
შემდეგ ერთი თვით შევბუღებაში წა-

ხეალ, ცოლ-შვილს მოინახულებ. როცა დაბრუნდები, მაშინ ვიფიქროთ, სად ემჯობინება შენთვის“.

პოლკოვნიკი და ბლინდაჟში მყოფი სხვა ოფიცრებიც ხელისჩამორთმევით გულთბილად დამემშვიდობნენ და ამან მთლად ამიჩვილა გული, რადგან ორ წელიწადში ადამიანურ მოპყრობას ვადამაჩვიეს. ეს კი არა, კიდევ დიდხანს არ შემეძლო უფროსებთან ლაპარაკი. როგორც დაჩვეული ვიყავი, თავს მხრებში ვერგავდი, თითქოს ვშიშობდი, თავში არ ჩაერთყათ. აი, როგორ ვადაგვამუშავებს ფაშისტურ ბანაკში.

პოსპიტლიდანვე მიეწერე ირინეს, ყველაფერი მოკლედ ავეწერე, როგორ ვიყავი ტყვეობაში, როგორ გამოვიქეცი გერმანულ მაიორთან ერთად, და, რა ვიცი, საიდან დამებადა ბავშვური ტრახახის სურვილი ვერ მოვითმინე და შევატყობინე, პოლკოვნიკი მთავრობას ჯილდოზე წარდგენას დამპირდა-მეთქი.

ორ კვირას ძილსა და ქამის მეტი არაფერი მიკეთებია. ცოტ-ცოტას მაკმევენენ, მაგრამ ხშირად. როგორც ექიმმა მითხრა, ბევრი საკმელი რომ ერთად მოეცათ, შეიძლება ფეხები გამეფიქია. სავსებით მოვლონიერდი. მაგრამ ორი კვირის შემდეგ ლუკმის ჩადება აღარ შემეძლო. ბინიდან პასუხი არ იყო და, გამოგიტყდები, ძალიან დავნალელიანიდი. საკმელი აღარც მაგონდებოდა. რაც კი ცუდია, ყველაფერს ვფიქრობ, მესამე კვირას ვორონეჟიდან მივიღე წერილი. მაგრამ ირინა კი არ მწერდა, არამედ ჩემი მეზობელი, ღურგალი ივანე ტიმოთეს-ძე. ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი წერილი. მატყობინებდა, რომ ჯერ ისევ ორმოცდარობის იენისში გერმანელები ავიჟარხანას ბოშავდნენ და ერთი მძიმე ბოშბი პირდაპირ ჩემს ქოხს მოხვედროდა. ირინა და გოგონები შინ ყოფილან და... იმათი ნასახიც ვეღარ ვნახეთ, ქოხის ადგილას ღრმა ორმო-ლა იყო... ამაზე მეტის წაკითხვა ვეღარ შევქელი, თვალთ დამიბნელდა, გული შემეკუმშა და ვერ იქნა და ვეღარ მომეშვა. მიეწევი სა-

წოლზე, ცოტა მოვსულიერდი და წერილი ჩავიკითხე. მეზობელი იმასაც მწერდა, რომ ანატოლი და მისი მეგობრებიც ღრუს ქალაქში იყო. საღამოს დაბრუნდა, დახედა ორმოს და იმავე ღამეს ისევ ქალაქში წავიდა. წასვლის წინ მეზობლისთვის უთქვამს, რომ უნდა ვითხოვო, მოხალისედ გამიშვან ფრონტზეო. ეს იყო და ეს.

როცა გულს ცოტა მომეშვა და ყურებში სისხლის შხივილი ვიგრძენი, გამახსენდა, თუ როგორ უძიებდა ჩემს ირინას განშორება, მას, ალბათ, მაშინვე უგრძნო ქალურმა გუმანმა, რომ ამ ქვეყნად ჩვენ ერთმანეთს მეტად ვეღარ შევხვდებოდით. მე კი მაშინ ხელი ვკარი... ოჯახი მქონდა, სახლკარი მქონდა, ყველაფერი ამას წლების განმავლობაში ვაკოწინებდით და ყველაფერი ერთ წაშში კი დაიმსხვრა. ხანდახან დაფიქრდები: სიზმარი ხომ არ იყო ეს ჩემი უკულმართი ცხოვრება?! ტყვეობაში ხომ თითქმის ყოველ ღამეს ირინასა და ბავშვებს ვესაუბრებოდი, ვამხნევებდი... მე დაბრუნდები, ჩემო ძვირფასო, მე სადარდელი არაფერი მაქვს, მე მაგარი ვარ, ყველაფერს ავიტან და მალე ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით-მეთქი... გამოდის, რომ ორი წელიწადი მიცვალებულებთან მიმუსიაფია...

ჩემი შეინახე ერთ წუთს დადუმდა, ხოლო შემდეგ აკანკალებული, დაბალი ხმით მომმართა:

— მოდი, ერთი ც მოვწიოთ, ძაო, თორემ ღამის რაღაცამ გამგულოს.

გაეაბოლეთ. ჩატბორებულ ტყეში კოდალა აკაუნებდა. თბილი ნიავე ისევ ზანტად არხვედა მურყნის შემხმარ საყურაყვავილებს; ღრუბლებიც თითქოს თეთრი, დატიკული იალქნები ყოფილიყოს, წყნარად მიცურავდნენ თვალშეუდგამ ლაყვარლში. მაგრამ ამ ნალელიან ღუმელში უკვე სულ სხვანაირად მომეჩვენა ეს უკიდევანო ქვეყანა, რომელიც დიადი გაზაფხულის, მარადიული სიცოცხლის დამკვიდრებისათვის ემზადებოდა.

ღუმელი მიჭირდა და შევეკითხე:

— მერე? მერე? რა მოხდა?

— მერე? — უხალისოდ გამომეპასუხა ის, — მერე პოლკოვნიკმა ერთთვიანი შვებულება მომცა, კვირისათვის ვარონეთში ვიყავი, ფეხით ავხანხალიდი იმ ადგილამდე, სადაც ჩემი ოჯახობით ვცხოვრობდი. ღრმა ორმო დამხვდა, ჩამყავებული წყლით სავსე, ირგვლივ კი შამში იყო საქამრემდე... კაცი არ ჰქანებდა, სამარისებური სიჩუმე იდგა. ძალიან ცუდ დღეში ჩავეარდი, ძმავ. ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი მწუხარებისგან კრიკაშეკრული, მერე ისევ სადგურში წავედი. საათი ვერ გავძელი. იმავე დღეს უკან დავბრუნდი, დივიზიაში.

მაგრამ სამი თვის შემდეგ ბედმა მეც გამოიღმა, თითქოს ღრუბლებიდან მზემ გამოაშუქაო, ანატოლი გამოჩნდა. ფრონტზე ბარათი გამოგვზავნა სხვა ფრონტიდან. ჩემი მისამართი მეზობლისაგან, ივანე ტიმოთეს-ძისაგან გავგო. თურმე ის ჯერ საარტილერიო სასწავლებელში მოხვედრილა. აი, იქ გამოსდგომია მათემატიკის ნიჭი ერთი წლის შემდეგ წარმატებით დაუმთავრებია სასწავლებელი, ფრონტზე წასულა და აი, ახლა მწერდა, რომ კაპიტანის წოდება მივიღე. „ორმოცდახუთიანების“ ბატარეას ვმეთაურობ, ექვსი ორდენი და მედალი მაქვსო. ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან მოეხაზა შშობლისათვის, ყველაფრით გაესწრო. და ისევ ვიგრძენი საშინელი სიამაყე! როგორც გინდა სიქვი და საკუთარი შვილი — ბატარეის მეთაური — ხუმრობა არაა! მერე ამდენი ორდენები! რა ვუყოთ, რომ მამამისი „სტუდობეკერით“ ქურვებსა და სამხედრო ალათს ეზიდება! მამამ თავისი დრო მოჭამა, შვილს კი, კაპიტანს, მომავალი წინა აქვს!

სალამ-სალამობით ბებრული ოცნება დავიწყე: როგორც კი ომი დამთავრდება, ბიქს დავაქორწინებ, მეც ახალგაზრდებთან ვიცხოვრებ, დურგლობას დავიწყებ და შვილიშვილებს მოვუვლი-მეთქი. ნამდვილად ბებრულად ავტუნტუქვდი! მაგრამ აქაც სასტიკად მიმუხთლა ბედმა! ზამთარში შეუსვენებლივ ვუტევდით და

ხშირი მიწერ-მოწერისათვის არ გვეცალა. ომის დასასრულისათვის კი უტყვევებერლინის ახლო მყოფს მრეწველ მასსუხი მეორე დღესვე მივიღე. გავიგე, რომ გერმანიის დედაქალაქს მამა და შვილი სხვადასხვა გზებით მივდგომოდით, ერთ-მანეთთან სულ ახლოს ვყოფილიყავით. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები! და აი, შევხვდი... ზედ ცხრა მაისს, დილით, გამარჯვების დღეს, ჩემი ანატოლი გერმანელმა სნაიპერმა განგმირა...

ნაშუადღევს ასეულის მეთაური მეძახის. ვხედავ, გვერდით არტილერიის უცნობი პოლკოვნიკი უზის. ოთახში რომ შევედი, ფეხზე წამომიდგა, თითქოს მე ვყოფილიყავი უფროსი. ჩემმა ასეულას მეთაურმა მითხრა: ეს კაცი შენთან არის, სოკოლოვო, და თვითონ ფანჯრისაკენ შებრუნდა. თითქოს ელექტროდენს დაეკრას, შემაერყოლა, რაღაც ცუდი ვიგრძენი. პოლკოვნიკი ჩემთან მოვიდა და მითხრა „გამაგრდი, მამა! შენი შვილი, კაპიტანი სოკოლოვი, დღეს ბატარეაზე მოკლეს. წამომყევით“.

დავბარბაცდი, მაგრამ ისევ ფეხზე დავდექი. ახლა სიზმარივით მაგონდება, როგორ მივდიოდით მე და პოლკოვნიკი დიდი მანქანით, როგორ მივიკვლევდით გზას ნაშხვრევეებით სავსე ქუჩებში. ბუნდოვნად მახსოვს ჯარისკაცების მწყობრივ და წითელხავერდგადაკრული კუბოც. ანატოლის კი აი, ასევე ვხედავ, ძმავ, როგორც შენ გიყურებ. მივედი კუბოსთან. ჩემი შვილი წევს, და ჩემი შვილიც არ არის. ჩემი ყოველთვის მოლიმარი ბიჭი იყო, ვიწრო მხრები ჰქონდა, გამხდარ ყელზე წვეტიანი ზვანჩი ეჯდა. აქ კი ახალგაზრდა, მზარბეჭიანი, ლაშაზი მამაკაცი იწვა. თვალები სანახევროდ მიეხუჭა, თითქოს ჩემს იქით, სადაც შორს, იღუმალ სიერცეში იყურებო. მხოლოდ ტუჩების კილოებს შერჩენოდით წინანდელი ბიჭუნას, მე რომ ვიცნობდი იმ ტოლიკას დიმილი... ვაკოცე და გვერდზე მივდექი. პოლკოვნიკმა სიტყვა წარმოთქვა. ჩემი ანატოლის ამხანავ-მეგობრები ცრემლებს იწმენდნენ, მე კი ვერ ვტიროდი, ცრემლები, ალბათ,

გულზევე მაშრებოდა. იქნებ ამიტომაც მტკიოდა გული ასე ძალიან?

უცხო, გერმანულ მიწას მივებარე ჩემი უკანასკნელი სიხარული და იმედი. მისმა ბატარეამ ბათქით გააცილა თავისი მეთაური შორეულ გზაზე და მე თითქოს რაღაც ჩამწყდა... მივედი ჩემს ნაწილში. თავი აღარ მახსოვს. მალე დემობილიზაციამ მიწია. სად წავსულიყავი? ვორონეჟში? არაფრის დიდებით! გამახსენდა, რომ ურიუბინსკში იმ ზამთარს დაქრილი და დემობილიზებული მეგობარი ცხოვრობდა — მან ოდესღაც თავისთან მიმიპატივა — გამახსენდა და წავედი იქ.

ჩემი მეგობარი და იმისი ცოლი უშვილოები იყვნენ, ქალაქგარეთ ცხოვრობდნენ საკუთარ სახლში. ჩემი მეგობარი, მართალია, ინვალიდად ითვლებოდა, მაგრამ მაინც მოფრად მუშაობდა ავტოსასულში. მეც იქ მოვეწყე, მეგობართანვე დავბინავდი, იმან შემიკვლდა. სხვადასხვაგვარი ტვირთი დაგვქონდა რიონებში, შემოდგომაზე პურის საზიდად გადაგვიყვანეს. ჩემს ახალ ვაიროვილსაც, აგერ იმას, ქვიშაში რომ თამაშობს, მაშინ გავეცანი.

ზომ იცი, რეისიდან რომ ქალაქში დაბრუნდები, თავდაპირველად საჩაიეში შეხვალ დასანაყრებლად, რასაკვირველია, ას გრამსაც დალევ დალილ გულზე. ამ მავნე ხელობას უკვე კარგად შევეწყე იმ ხანებში. და აი, ერთხელ საჩაიესთან ამ ბიჭუნას ვხედავ, მეორე დღესაც იქაა. ძონძებშია ვახვეული, სახე საზამთროს წვენით აქვს მოთხუნული, გამტვრიანებულია, გაჭუჭყიანებული, გაწეწილი. თვალები კი უციმიციმებს ნაწვიმარი ღამის ვარსკვლავებივით. და იცი, როგორ შემეყვარდა? უმისოდ გაძლება მიჭირდა! რეისიდან მოვიჩქაროდი, რომ ის შენახა. საჩაიესთან იღგა და, თუ ვინმე რამეს გამოიმეტებდა, იმას ჭამდა.

მეოთხე დღეა და საბჭოთა მეურნეობიდან, პურით დატვირთულმა, პირდაპირ საჩაიესკენ ჩაეუხვით. ჩემი ბიჭუნა იქ იყო, პარმაღზე იჯდა, ფეხებს აქნევდა, ეტყობოდა, შიოდა. ფანჯრიდან თავი გამოყვავი, დაუყვირე: „ეი, ვანიუშკა,

მოდი, მანქანაში ჩაჯექი, ელექტრორისაკენ გაგასივრებ, იქიდან დაგვტყუდებო და ვისადილებო!“ ჩემი ზმს ჩემს გარკონა, შეერთა, პარმალიდან ჩამოხტა, მანქანის საფეხურზე ამოზობლდა და წყნარად მითხრა: „თქვენ საიდან იცით, ძია, მე რომ ვანიას მეძახიან?“ თან თვალებს აუყეტს, მელოდება, რას ვუპასუხებ. მე ეს ვუთხარი, ბევრისმნახველი კაცი ვარ და ყველაფერი ვიცი-მეთქი.

მარჯვენა მხრიდან მედგა, კარი გავუღე, გვერდით მოვისვი. დავიძარიო. ეს მოუსვენარი ბიჭი უცებ დაწყნარდა, დაფიქრიანდა. დროდადრო გრძელი, ზეაგრებილი წამწამების ქვეშიდან გამოშვდავს და ამოიოხრებს. მთლად ბარტყია და უკვე ოხვრა იცის! მამაშენი სად არის-მეთქი, — ვეკითხები. „ფრონტზე დაიღუპაო“, ჩურჩულებს. „დედა?“ „დედა ყუმბარამ მოკლა, მატარებლით რომ მოვიდოდი“. „საიდან მოდიოდი-მეთქი?“ „არ ვიცი, არ მახსოვსო“... „მე-რე აქ ნათესავიც არავინა-გყავს?“ „არავინ არ მყავს“. „მამ, ღამით სად გძინავს?“ „სადაც მომიხდებაო“.

აქ გული ამიდულდა და უცებ გადავწყვიტე: „არა, ჩვენი ცალ-ცალკე ცხოვრება არ შეიძლება! უნდა ვიშვილო! გადავწყვიტე და გულზეც იმ წამსვე მომეშვა. როგორღაც გამინათდა. გადავიხარე მისკენ, წყნარად ვეკითხები: „ვანიუშკა, შენ თუ იცი, მე ვინა ვარ?“ ამოიოხრა და კითხვა შემომიბრუნა: „ვინა ხართ?“ მე ისევ წყნარად ვეუბნები: „მე შენი მამა ვარ“.

ღმერთო, რა მოხდა, რომ გენახათ! ჩამომევიდა კისერზე, მკონის, ლოყებზე, ტუჩებში, შუბლში. სალამურივით წვრილი ხმით ყვირის და კაბინას აყრუებს: „მამიკო, საყვარელო! მე ვიცოდი! ვიცოდი, რომ მძივნიდი! სულ ერთია, მძივნიდი! რამდენ ხანს გელოდე, სანამ მიზივნიდი!“ მომეკრა და ცახცახებს ქარდაკრული ბალახივით. მეც თვალთ ამებლი-სა. მეც კანკალი მივლის, ხელები მიდუნდება... როგორ არ გამეშვა საკე ხელიდან, გასაკვირველია. ჩემდაუნებურად მაინც ჩავცურდი კიუვეტში, ძრავი ჩა-

ვახშე. ვიდრე ბურუსი არ გადამივიდა თვალთაგან, არ დავძრულვარ, ემანდ ვინმეს არ დავაჯახხო-მეთქი. ასე ვიდრე ხუთიოდე წუთს, ჩემი ბიჭი მთელი ძალით მეკვრის, ხმას არ იღებს, კანკალებს. მარჯვენა ხელი მოვხვებ, ნელა მივიხუტე, მარცხენით მანქანა მოვატრიალე, უკან დავბრუნდი, ჩემს ბინაზე. რა მეელევატორებოდა, იმისთვის სად მეცალა.

მანქანა კიშვართან გავაჩერე, ჩემი ახალი ბიჭიკო ხელში ავიყვანე. შინ შემყავს. ის კი, როგორც არ მომხვია თავისი პატარა ხელები, ისევე მომეკრა გაუპარსავ ლოყაზე, თითქმის მომეწება. ასევე შევიყვანე: ზედ დატანებაზე სახლისპატრონები შინ დამხვდნენ. შევედი და ჯერ ორივე თვალით ვანიშნე, მერე მხნედ დავიძახე: „აი, ჩემი ვანიშნავე ვიპოვნე! მიგვიღეთ, კეთილო ადამიანებო!“ ისინი ხომ უშვილოები იყვნენ, ხელად მიმიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. დატრიალდნენ, დაფაცურდნენ. ბიჭს მაინც ვერაფრით ვერ ვიცვლებდი, ბოლოს, როგორც იყო, დავიყოლიე. ხელები საპნით დაებანე, მაგიდასთან დავსვი. დიასახლისმა მათლაფაზე შჩი დაუსხა და რომ დაინახა, როგორი სიხარბით ჰამდა, ცრემლები წასკდა. დადგა ღუმელთან და იცრემლება წინსაფარში. ჩემმა ვანიშნაკამ თვალი შეასწრო, მივარდა, კალთაში ეკიდებდა. ეუბნება: „რატომ სტირით, დეიდა. მამამ საჩაივსთან მიპოვნა ყველამ უნდა ვიმზიაროლოთ. თქვენ კი სტირით!“ — ამ სიტყვებზე ხომ უფრო გული ამოუჯდა და უფრო ცხარედ ატირდა!

სადილის შემდეგ ბიჭუნა სადალაქოში წავიყვანე, გაეაქრეკინე, მე თვითონ ვაბანავე ტაშტში და სუფთა ზეწარში გავახვებ. მომებუტა და ასე, ჩემს ხელზე ჩაეძინა. ფრთხილად დავაწვინე საწოლზე, ელევატორისკენ გავწვი, პური დავცალე, მანქანა სადგომთან მივაყენე და სირბილით ჩამოვუარე მალაზიებს. ვუყადე ბიჭს მაუდის შარვალ-ხალათი, სანდლები და ხრალის კარტუზი. რა თქმა უნდა, რივიანად არაფერი მოერგო და არც ხარისხით ვარგოდა. შარვლის გუ-

ლსთვის დიასახლისმა დამტუქსა: „შენ რა, კუდიდან ხომ არ შერმადუნე? სიციხეში ბავშვს მაუდის შარვილი უნდა ჩააცვაო?“ მაშინვე საყვარელი მანქანა გადამოილო, სკიერი ამოაქოთა და ერთი საათის შემდეგ ჩემს ვანიშნას სატინის ტრუსები და მოკლესახელოებიანი თეთრი ხალათი ჰქონდა მზად. დაწოლით ერთად დავწექით და დიდი ხნის შემდეგ პირველად დავიძინე მოსვენებით. ღამით ოთხჯერ მაინც ავდექი. გამომღვიძება და ვხედავ: ილლიაში მეყუყუება, როგორც ლავგარდანს ბელურა ჩიტი, წყნარად ფშვინავს; და გულში ისე მიხარია, ვერ გამომოთქვამს, გატოკებასაც კი ვუფრთხი — ემანდ არ გამოვადღვიძო-მეთქი. მაგრამ გული მაინც არ მოთმენს. ნელ-ნელა ვდგები, ასანთს ვუკიდებ და შევხარია...

განთიადის წინ გამომღვიძება, ვერ გამეგო, რამ შემისუთა სულ. ჩემი ბიჭი ყოფილიყო, ზეწრიდან გამომძვარა, გადამწოლია გარდაგარდმო, ფეხები ჩემს ყელზე გადაუწყვია, უხერხულია მასთან წოლა, მაგრამ მივეჩვიე, ვერ ვისვენებ, როცა ის გვერდზე არა მყავს. ღამით მძინარეს ხელს გადავუსვამ, ხან თმებზე ვსუნავ და ამით ვაი-უბედურებით ვაქვავებული გული მილხვება.

ერთხანს ჩემთან ერთად დადიოდა რეისებზე. მერე მივხვდი, რომ ასე არ ივარგებდა. მარტო მე რა მჭირდებოდა — პურის ნატეხი, ხახვი მარილი და მეტი რა — ამოთაც მაძლარია ჯარისკაცი. მასთან კი სხვა ამბავია საქირო. აქ რაქ უნდა ვეშოვო, იქ კვერცხი უნდა მოვუხარაშო, ცხელი საკმლის გარეშე ხომ ვერ დასტოვებ? საქმე კი არ ითმენს. რაც არის, არის-მეთქი, და დიასახლისის მზრუნველობის ქვეშ დავტოვე. მთელ დღეს ცრემლად იღვრებოდა, საღამოს კი ელევატორისკენ გამოქცეულიყო ჩემ შესახვედრად. გვიან ღამემდე მიცილია იქ.

პირველ ხანებში მისი მოვლა მიჭირდა. ერთხელ ჯერ ისევე დღიურ დავწექით, მოთეთქვილი ვიყავი ძალზე. სხვა დროს ის ბელურასავით ქლურტულებდა, ახლა



კი, როგორღაც დადუმებული იყო. რაზე ფიქრობ, ჩემო ბიჭიკო-მეთქი? კითხვითვე მომიბრუნდა, თან კერში იყურებოდა: „შენი ტყავის პალტო რა უყავი, მამილო?“ მე ჩემს სიცოცხლეში ტყავის პალტო არა მქონია, თავის დაძვრენა და მკირდა: ვორონეჟში დამრჩა-მეთქი. „მაინც ასე დიდხანს რატომ მეძებდიო?“

„შენ, შვილიკო, — ეუბასუხე მე, — გერმანიაშიც გეძებდი, პოლონეთშიც. შენი გულისათვის მთელი ბელორუსიაც მოვიარე. ურიუპინსკში კი ყოფილიყავი“. ურიუპინსკი რა, გერმანიასთან ახლოსაა? შორია აქედან პოლონეთამდე? — აი ასე ვსაუბრობდით ძილის წინ.

შენ როგორ გგონია, ძმობილო, ტყავის პალტო ტყუილად მოიკითხა? არა, ტყუილ-უბრალოდ არ უკითხავს. მამსასადამე, ოდესღაც მის ნამდვილ მამას ასეთი პალტო სცმია. მას ასე დამახსოვრებია. ბავშვის მესხიერება ხომ ზაფხულის ციალსა ჰგავს, იფეთქებს, წამით გაანათებს და ჩაქრება. მისი მესხიერებაც ციალივითაა: დროდადრო გამოაშუქებს ხოლმე.

შესაძლოა ურიუპინსკში კიდევ ერთი წელიც გვეცხოვრა, მაგრამ ნოემბერში ფათერაკი შემემთხვა: ტალახში მივდიოდი მანქანით, ერთ ხუტორში შეეუხვითე, გადამიჭრა გზა ძროხამ, დავეჯახე და წავაქციე. რაღა გესწავლება, ქალებმა ყვირილი მორთეს, ხალხი მოგროვდა, ავტოინსპექტორიც ხელათ იქ დაერჭო. როგორ არ ვეხევეწე, მაგრამ შოფრის წიგნაკი მაინც ჩამომართვა. ძროხა წამოდგა, კული აიბზიკა და კენტრუსით წავიდა ორღობებში. მე კი წიგნაკი დავკარგე. ზამთარში ვდურგლობდი. შემდეგ ერთ მეგობარ-თანამშრომელს მივწერე — თქვენს ოლქში, კაშარის რაიონში მუშაობს შოფრად, და იმან მიმიწვია თავისთან. მწერს, რომ ნახევარ წელიწადს სადღურგლოში იმუშაებთ და მერე ჩვენს ოლქში მოგცემენ ახალ წიგნაკსო. და აი მივემართებით მე და ჩემი ბიჭი კაშარისაკენ სალაშქრო წესით...

ისე კი, როგორ გითხრა, ძროხასთან/ის ფათერაკი რომ არ შემემთხვეოდა? ურიუპინსკიდან მაინც წამოვბადობდი და მაწუხებს და ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენა არ შემიძლოა. აი, როცა ჩემი ვანიუსკა წამოიზრდება და სკოლაში მრვაბარებ, შესაძლოა, მაშინ მეც დავწყნარდე, ერთ ადგილს დავემკვიდრო. ჯერჯერობით კი — ხან აღმა და ხან დაღმა ამ რუსეთის მიწაზე...

— ბიჭს უკირს სიარული? — ჩაუერთე მე.

— თავისი ფეხით ძალიან ცოტას დადის. უმეტესად მე დავატარებ. შევისვამ კისერზე და მიმყავს. მოუნდება ფეხის გაშლა — ჩამოვსვამ და მორბის გზის პირას, მიკენტრუსებს ციკანივით. ყველაფერ ამას არა უკირს რა, ძმობილო, ჩვენც დავრჩებთ ამ ქვეყანაზე, მაგრამ აი, გული, გული მომეშალა, დგუშია გამოსაცვლეელი... ხანდახან ისე დამკრავს და მომაწვება, რომ დღის სინათლეს ვეღარ ვხედავ. მეშინია, ძილში არ გავიპარო და ჩემი ბიჭუნა არ შევაშრო. ამას ერთი უბედურებაც ერთგება: თითქმის ყოველამ ჩემს ძვირფას მიცვალებულებს ვხედავ. მერე სულ ასე — მე ეკლიანი მართულების შიგნით ვარ, ისინი კი მეორე მხარეს არიან, თავისუფლად დადიან... ყველაფერზე ვესაუბრები ირინასაც და ბავშვებსაც, მაგრამ, როგორც კი მავთულების ხელით გაწევას მოვიწყობ, ისინი ჩემგან მიდიან, თითქოს თვალწინ დნებიან... საყვარელია პირდაპირ: დღისით ყოველთვის გულს ვიმაგრებ, ჩემგან ოხვრას ვერ გაიგონებს კაცი, ღამით კი გამეღვიძება და მთელი ბალიში ცრემლებისგან არც დასველებული...

ტყეში ჩემი ამხანაგების ხმა და წყალზე ნიჩბების ტყლაშუნი გაისმა.

უცხო, მაგრამ ჩემთვის უკვე ახლობელი მამაკაცი, წამოდგა, გამომიწოდა ხესავით ხმელი ხელი:

— მშვიდობით, ძმაო, ბედნიერად გატაროს!

— შენც ბედნიერი გზა გქონდეს კაშარისაკენ.



— მადლობელი ვარ. ეპეი, შვილიყო, წამო, ნავი მოდის.

ბიკუნამ მამასთან მიიბრინა, მარჯვნივ ამოუდგა და მის დაბამბულ ქურთუკის კალთას ჩაქიდებული წახუსხუსდა ფეხგაშლით მიშავალი მამაკაცის გვერდით.

დაობლებული ორი კაცი, ქვიშის ორი მარცვალი, არნახული ძალის ომის გრიგალის მიერ გადმოსროლილი უცხო მხარეში... რა მოელის მათ? მინდოდა მეფიქრა, რომ ეს რუსი კაცი, ეს უტეხი ნეზისყოფის კაცი, კიდევ გაიწევს, და მამის მხარდამხარ გაიზრდება, დაეაყვაცდება ის, რომელიც ყველაფერს აიტანს, ყველაფერს გადალაბავს თავის გზაზე, თუკი ამისათვის მას სამშობლო მოუხმობს.

მძიმე სევდით ვაცილებდი მათ... შე-

საძლოა ყველაფერს კეთილად ჩაევლო ჩვენი დაშვიდობების დროს? მაგრამ: ქანიუშკამ, რამდენიმე ნახევარსაათი და პატარა ფეხები გაებლანდა, პირი ჩემკენ იბრუნა, ვარდისფერი ხელი დამიქნია და უცებ, თითქოს რბილმა, მაგრამ ბრტყალეზიანმა თათმა გული შემიკუმშა. სწრაფად მოებრუნდი. არა, მარტო ძილში არ ტირიან ხანში შესული, ომის წლებში გაქაღარავებული მამაკაცები. ისინი ცხადადაც ტირიან. აქ მთავარი ისაა — დროულად მოებრუნდე. აქ მთავარი ისაა — ყმაწვილს არ დაუკოდო გული, არ დაანახვო, თუ როგორ ჩამოგდის ლოყაზე ძუნწი, მწვავე, მამაკაცური ცრემლი...

თარგმანი რევაზ ინანიშვილისა  
და გივი ხოშირიძისა



კოცნა

აშრა თექვსმეტი წლის ქაბუკია. მეჯინებელ მუშაობს ერთ ღარიბ ბევთან. თვეში ორმოცდაათ ყურუმს იღებს და ბეგი იმასაც მამამისს უგზავნის სოფელში; ასე, რომ აშრა სინამდვილეში უჯამაგიროდ შრომობს. ის კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, უბრალო საქმლით, ძველი შარვლითა და ბატონის ნაბიძები დაგლეჯილი ფეხსაცმელით, რომელშიც ფეხი თავს-სუფლად დასრიალებს. მეეტლეს უსტა აბდო ხანდახან მკაცრად რომ არ ეპყრობოდა, აშრას საჩივრელიც არაფერი ექნებოდა ამ ქვეყნად. იგი თითქმის მთელ დღეს საჯინიბოსა და არაბხანში ატარებს. მან სხვა ბინა არ იცის. რეცხავს ეტლსა და უვლის ზაფთავის გამხდარ ბებერ ჯაგლავს, რომელიც კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ ბატონის ეტლს მიაჩაქჩაქებს. დაღამებისას აშრა ჩაღის ლოჯინს შლის და თავისი მეგობრ...ს ზაფთავის გვერდით იძინებს. ისინი დღენიადაც ერთად ყოფნამ დაამეგობრა. ხაკის მოკლე შარვალსა და ცისფერზოლებიან ბამბის პერანგში გამოწყობილი აშრა თავისუფალ დროს მზეზე ზის ფეხმორთხმული და წყნარად ღიღინებს, ან ოცნებათა ქვეყანაში დასცურავს დაღუმებული. აშრა კაიროში მხოლოდ თავის მიყრუებულ ჩიხსა და მის მიღამოებს იცნობს. საჯინიბოს სტოვებს მხოლოდ მაშინ, როცა უსტა რაიმე საქმეზე გზავნის.

ძველი ჩიხი ვიწროა, ბნელი და პირქუში. როგორც კი მზე დასავლეთისაკენ გადაიხრება, იქ სევდიანი უკაცურობა ისადგურებს. სამივე მედუქნე—ცერცვის გამყიდველი, თამბაქოს გამყიდველი და მაჭვაჯი<sup>1</sup>—კეტავს დუქანს და ამის

შემდეგ იშვიათად თუ ვინმე გაივლის ჩიხში. ფანჯრებიდან გამომკრთალი სუსტი შუქი რომ ოდნავ არ ანათებდეს ბნელ ქუჩას, ჩიხი ქინკების საბუღარს დაემსგავსებოდა. დღისით სიცოცხლის ერთადერთი ნიშანწყალი მედუქნეების ხმადაბალი მისაღმება და ზმორებასა და მოქნარებაში არეული მოსაწყენი მასლაათია, ან შორეული ხმა მოხეტიალე მეწვრილმანეებისა, რომელნიც იშვიათად აქაც შემოიხედავენ ხოლმე.

ჩიხის ერთ ცარიელ სახლში დაბინავდა ქვრივი ქალი თავისი ქალიშვილით. ქვრივი ორმოცდაათი წლისა იქნება, თითქმის ბრმა და მწუხარებისაგან წელში გატეხილი. ის გარეთ არც კი გამოდის. ქვრივის კოხტა ქალიშვილს ნიზაქა ჰქვია. ნიზაქა თექვსმეტი წლის ცქრიალა და მომზიბლავი გოგონაა.

იგი კეკლუცი რხევით გამოდის სახლიდან, თავმოწონებით მოაბიჯებს იწით შეღებულ შიშველ ფეხებს, მოაბაკუნებს ხის ფერად ქოშებს და აწყრიალებს ფეხებზე წამოცმულ რგოლებს, თვალის მომკრეღ ფერად შუშის მძივებსა და სამკაულებს. მოქარგული თავსაფარი ახურავს. თავსაფარის ფოჩები წარბებზე მაკდურად ელამუნება. მხრებზე პატარა წითელი შალი წამოუსხამს. ნახევრად შიშველ მკერდს ხანდახან შალის ბოლოთი იფარავს, რომ თავი მორცხე ქალიშვილად მოგაჩვენოს. ან უფრო უკეთ იმიტომ, რომ თვალთა მხერა მისკენ მიიზიდოს. ნიზაქა მუდამ რახათ-ლუქუმს ღეჭავს და საოცარი ოსტატობით ატრიალებს კბილებში. თან ღიმილით აქეთ-იქით იცქირება, თითქო გეკითხებათ მოგწონთ თუ არაო.

როგორც კი ეს პატარა ფერია გამოჩნდა, ჩიხში ისეთი სიხალისე და მზიარუ-

<sup>1</sup> მეუთოე

ლება შეიქრა, თითქოს მან ერთი სულის შებერვით მკვდრების ქალაქი ცოცხლებით დაასახლა, რომელნიც ყოველი მხრიდან მხოლოდ ნიზაქასთან სალალოზოდ და სახუმაროდ მოსულიყვნენ.

მედღუქნეები თავიანთი ბნელი სოროებიდან გამოვიდნენ და სიზანტის მტვერი დაიბერტყეს. გასუფთავდნენ, ტარბუშები დაიხურეს; ახალ ტანსაცმელში გამოეწყვნენ; და დაიწყო წარბების თამაში, თვალის ჩაყვრა, ორპაროვანი სიტყვა-პასუხი და შეჯიბრი მოსწრებულ თქმაში. სამთავე მედღუქნემ სკამები გამოიტანა და დასხდნენ ისე, როგორც სიყვარულით ანთებულ ადამიანებს სჩვევიათ. ხელში ჭეჭუნა ეპირათ, ინიავებდნენ და თან ბუზებს იგერიებდნენ. გამოვიდოდა ჩიხში ნიზაქა, ზოგს გაეხუმრებოდა, ზოგს მწარე სიტყვას ეტყოდა. მედღუქნეებს წაართმევდა, რაც თვალში მოუვიდოდა. მღეროდა, აწყრიანობდა სამკაულებს და ჰაერი მის ირგვლივ ეღვებოდა იმუხტებოდა. ჩიხი ხან მშვიდობისა და მხიარულების ასპარეზს ემსგავსებოდა, სადაც სიცილი და სიამე სუფევდა, ხან კი მამაკაცთა შორის ატეხილი ჩხუბისა და აყალ-მაყალის ადგილად იქცეოდა, სადაც სიძულვილისა და ქიშპობის ცეცხლი გიზგიზებდა. ნიზაქა კი იდგა და სიამაყით უცქერდა მის გულისათვის მებრძოლ ყოჩებს.

ნიზაქა უბირატესობას ხელგაშლილ ადამიანებს ანიჭებდა. ნებას რთავდა ეკოცნათ მისთვის, იყო შემთხვევა, უფრო თამამი ალერსის უფლებასაც აძლევდა მათ. მერე კი უცებ თავს განრისხებულად მოაჩვენებდა. ხანდახან ჰაემანსაც უნიშნავდა ზოგიერთ თაყვანისმცემელს, რის შემდეგაც ისინი ჩურჩულითა და სიხარულით ლამაზ და საინტერესო ამბებს ავრცელებდნენ. ყოველივე ეს ნიზაქას ირგვლივ რაღაც იდუმალ გარემოს ქმნიდა.

ყველაფერი შეიცვალა ჩიხში, მხოლოდ აშრა მეჯინიბე არ შეცვლილა. არაბხანის კართან, თავის საფარში ხალხისაგან განმარტოებული აშრა უყურებდა ამ ახალ ფილმს, ან უფრო უკეთ, ძველს, მეტისმეტად ძველს, ადამისა და

ევას დროინდელ ფილმს. აშრას მისწონდა ქალიშვილი და იდუმალად უმზერდა მას. სულგანბლდებოდა ყოველ მის მოძრაობას, ყოველ მის ხუმრობას, ტყებოდა მისი სიცილით, მისი ლაპარაკით და საღამოს, როცა ჩიხი დადუმდებოდა, აშრა სიამოვნებით იგონებდა განვლილ სურათებს და მარტო მყოფი თავისთვის ესაუბრებოდა.

აშრა ერთ მენაგვე ბიქს იცნობდა. ბიქს მარა ერქვა. მარა აშრაზე უფროსი და აშრაზე უფრო ქუქყიანი იყო. მარა ხანდახან აშრას ესტუმრებოდა, მოუჯდებოდა და უყვებოდა სატრფიალო თავგადასავლებს, რაც მას ზნედაცემულ ქალებთან გარდახდომოდა. აშრას მაინცდამაინც არ სჯეროდა მისი და თუმცა აკრთობდა მარას თავხედობა და ურცხვობა, მაინც ხარბად უსმენდა და ხშირად ამეორებინებდა მოყოლილს. აშრა ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას.

ერთ საღამოს, როცა საქმე მოათავა და უსტასაგან თავისი წილი ცემატყვამაც მიიღო, აშრა თავის მიჩენილ ადგილისაკენ გაემართა, მოიკეცა და ჩვეულებისამებრ ნიზაქაზე ოცნებას მიეცა. უეცრად, მის სმენას რაღაც ჩურჩული მიიწვდა. აშრამ თვალები გაახილა და იქვე კედელს მიყრდნობილი ორი ჩრდილი დაინახა.

აშრა ათრთოლდა; კარებს ამოეფარა. ყურები სტკეცტა. ნიზაქა და მარა იყვნენ. სიბნელეს შავი ნიღაბი ჩამოეფარებოდა ჩიხისათვის. მოძრაობა შემწყდარიყო. სიჩუმე მეფობდა. აშრას გარკვევით მოესმა, რომ მისმა მეგობარმა ნიზაქას უთხრა:

— ნებით არ გინდა, ძალით გაყოცებ! ნიზაქა მოხერხებულად დაუსხლტა ხელიდან ეაკს. გაბრაზებული თამამად აეშოტა წინ.

— აბა ერთი გაბედე და მომიხლოვდი...

— მივირს შენი საქმე, მაქეაჯიზე ნაკლები ბიჭი ვარ?

— ჩემთვის ყველა ერთი ხარ.

— მაშ იმას რატომ აყოცინენ?

— არ იცი, შე ჭკვიანო, რომ კოცნას ფასი აქვს?

— ფასი?

— იცოდე ბატონო ბეი, რომ ერთი კოცნა ერთი შილინგი ღირს.

— რატომ აქამდე არ მითხარი? ცოტა გააძვირე, იაფია.

მარა ჯიბიდან ხუთყურთშეიანს იღებს და ღილინით აძლევს ნიზაქას.

თითქოს დანამ გული გადაუსერა აშრას. ქვითინით მიწაზე დაემხო და ტკივილისა და სიმწრისაგან თითები დაიკვნია.

მეორე დღეს მოვიდა მარა. აშრას გვერდით მოუჯდა და ნიზაქას კოცნის ამბავი დაწვრილებით უამბო. აშრა დაატყვევა მარას თხრობამ. იგი გატაცებით და თავდადარწყებით უსმენდა ამბავს, რომელიც ახალი არ იყო მისთვის. თან სწყევლიდა თავისთავს, მარასა და მთელ დუნიას. „მისი ტუჩები რახათ-ლუქუმის ნაჭერია — ამბობდა მარა — სუნთქვა რეზედას სურნელი, მისი ნერწყვი ვარდის შარბათია“ — და ბოლოს აღტაცებულმა თქვა:

— აშრა, ვფიცავ ალაჰს — ნიზაქას ერთი კოცნა — სამოთხეში ერთ შესვლად ღირს. მარა ყვებოდა, — თან ამბობდა და იფურთხებოდა; როცა ამბავი დაასრულა აშრასაკენ გადაიხარა და ღიმილით უთხრა:

— აშრა, არ გინდა ნიზაქას აკოცო?

აშრა ათრთოლდა და დარცხვენილმა თავი ჩაღუნა. მარა ადგა და მედიდური რხევით თავის გზას გაუდგა.

ამ დღიდან აშრას უცნაური დაღვრემილობა დასჩემდა. ყოველ წუთს სიზმარსა თუ ცხადში ნიზაქას ხედავდა. ყოველ წამს თვალწინ ედგა ლამაზფოჩებიანი მისი თავსაფარი, მოკლე წითელი შალი, სამკაულებით მორთული ხელები და ინით შეღებილი ფეხები. ნიზაქა თითქოს მაედურად უღიმიოდა აშრას და ჩურჩულით ეუბნებოდა — კოცნა შილინგად, აშრა! აშრა ჩაიყოფდა ჯიბეში ხელს და მოაფათურებდა, თითქოს იქ რაიმე ეგულებოდა.

აშრას ერთმა აზრმა გაუელვა და სიხარულის თრთოლვამ აიტანა. ამ დღიდან

ყველაფერზე უარი თქვა. იმ რამდენიმე მაღიმას, რომელსაც ხანდახან უსუსა ან ვინმე შეძლებული კაცს გადაუგდებდა ხოლმე, სასოებით ინახავდა. ხშირად ბაზარში ყიდდა დღიური პურის ულფუას და მის საფასურს მოგროვილ გროშებს უმატებდა. ის სიამოვნებით აკეთებდა ყოველივე ამას და თან მარას სიმღერას ღილინებდა. ბოლოს, რამდენიმე დამქანცველი და დაუსრულებელი კვირის შემდეგ, რომელიც სიმშლასა და მოლოდინში გაატარა, აშრამ ხუთი ყურთში შეაგროვა. პირველად არც კი დაიჯერა, რომ ამ დიადი შილინგის, ამ ჯადოსნური გასაღების მფლობელი გახდა, რომელიც, როგორც მარა არწმუნებდა, სამოთხეში შეიყვანდა აშრას. თრთოლვით ფული გადაახურდავა და ხელმეორედ გადათვალა. აშრა სიამაყემ აიტაცა. წამიწუთ კედელზე მიკრულ სარკის ნამტვრევთან მიდიოდა. ზაფთავის საკრეჭი მაკრატლით თმებს ისწორებდა და ნიზაქასთან შეხვედრის გეგმებს აწყობდა. ბოლოს შესანიშნავი გეგმა მზად იყო.

მეორე დღეს, უსტას ჯუბასა და ტარბუმში გამოწყობილი, ნელსაცხებით მოსხურებული აშრა ნიზაქას გამოჩენას ელოდა. როცა შემთხვევა მიეცა და ნიზაქამ გვერდზე გაუარა, ვერც კი შეირხა სიტყვაც კი ვერ დასძრა. გახევებული უყურებდა გოგონას, რომელიც სიცილითა და ხუმრობით მიდიოდა ჩიხში და კბილებში რახათ-ლუქუმს ატრიალებდა. გავიდა დღე. თავგზააბნეულმა და ხელფეხმებორკილმა აშრამ არ იცოდა რა ელონა, რომ სატრფოს ყურადღება მიეპყრო. ჩიხი თანდათან დაიცალა. ჩიხის კუნძულებში სიბნელე ჩაიღვარა. აშრამ დაინახა, ნიზაქა სახლში ბრუნდებოდა. გოგონამ აშრას ჩაუარა და რატომღაც მობრუნდა. აშრამ მორცხვად გაუღიმა და უეცრად დაუძახა.

— ნიზაქა! ნიზაქა!

ნიზაქამ მოიხედა, მოტრიალდა და აშრას მორთულობით გაოცებულმა სიცილით ჰკითხა:

— დამიძახე?

— მე? არა... ჰო, დაგიძახე. ერთი სი-

ტყვა უნდა გითხრა, მხოლოდ ერთი სიტყვა.

— კარგი, მითხარი რა გინდა?

— მინდა... მინდა... მოდი ჯერ არაბნანაში შევიდეთ!

აშრას ვარეგნობა სიბრაღულს იწვევდა. ნიზაქაც დაემორჩილა. ოდნავ გამხნევებული აშრა მიუახლოვდა გოგონას და უთხრა:

— მინდა ერთხელ გაეცო, მხოლოდ ერთი კოცნა, ნიზაქა.

ნიზაქას შეეშინდა და ხელი ასწია, რომ ამ ურცხვისა და ბრიყვისთვის სილა გაეწნა. მაგრამ უცებ თვალი მოკრა აშრას ხელში აელვებულ ფულს. აშრა ბუტბუტებდა:

— კოცნა შილინგად; ასე არ არის? აი შილინგი, აიღე აჰა...

ნიზაქამ გაიცინა, ხელი გაუწოდა და უდარდელად უთხრა:

— კარგი, მოდი მაკოცე.

ეს სიტყვები აშრას ყურში რაღაც უცნაურად აელერდნენ. იგრძნო თავბრუ ესზმობა, თვალეზზე სქელი ნისლი გადაეფარა. თვალეზი დახუჭა, შუბლი მოისრისა. მერმე შემოესმა ნიზაქა ამბობდა:

— ალაჰ, ზომ გითხარი მოდი და მაკოცე!

აშრა აცახცახდა. თვალეზი დახუჭულა ქალიშვილი სულ ახლოს მოსულიყო. მათ მხოლოდ ერთი ნაბიჯილა ჰყოფდა. მისი ნათელი სახე სულ ახლოს იყო აშრას სახესთან. აშრა გარკვევით ხედავდა ნიზაქას ვარდისფერ ტუჩებს. გრძნობდა მიხაკის, რეზედასა და ვარდის შარბათის სურნელს. უნდა ამხდარიყო მისი სიცოცხლის დიდი ოცნება. აი, გადადგამს ამ ერთ ნაბიჯს და მიიღებს ჯადოსნურ ამბორს, სააქაოსა და საიქიოს სიამით აღსავსეს. მიუახლოვდა ნელა, მერე უეცრად შეჩერდა, და დააქერდა გოგონას ტუჩებს. უცქეროდა დიდხანს — უმოძრაოდ, უსიტყვოდ.

ნიზაქას მობეზრდა ამდენი ლოდინი და უთხრა:

— რა მოხდა ბატონო, ომარ, მაკოცე, ძმაო.

მაგრამ ბატონი ომარი, ან უკეთ აშრა დაბნეული იდგა და უაზროდ უყურებდა მას. ნიზაქამ ხმამაღლა გადაიკისკისა, აშრას გულზე ხელი ჰკრა, ფული შეათამაშა და ყოყმანით გაშორდა. აშრა კი გაქეპეებულნი დარჩა.

## ღაბრუნება

ჭავჭავიძის ოჯახს მამული აქვს ბანქას მახლობლად. მამულის შუაგულში ერთი უბადრუკი ძველი სახლი დგას. მაგრამ ფელაპების ქოხებთან შედარებით, ის დიდიც მოგეჩვენება და ბრწყინვალეც. მამულში ცხოვრობს ქალი, რომლის სიცოცხლე ისე შესისხლხორცება ან სახლს, რომ მის განუყოფელ ნაწილად ქცეულა. ეს არის ხაბაზი ქალი უმ ზაიანი; ის სახაბაზოში ცხოვრობს, უელის და დარაჯობს სახლს. ძნელი გამოსაცნობია, რამდენი წლის იქნება პატარა ტანის, გამხდარი სახედანაოქებული უმ ზაიანი. მოუსვენარი ქალია უმ ზაიანი. მთელი დღე ფუსფუსებს; ხან პურებს აბრუნებს თონეში, ხან ქათმებსა და ბატებს აპურებს საქათმეში, ხან ძროხას წველის ბოსელში, ხან კი ეზოში დადის აქეთ-იქით და წყალსაცავის ასავ-

სებად თავზე შედგმული ძველი თულუხით წყალი დააქვს. წელგამართული და ყელმოღერებული დადის უმ ზაიანი — ოცი წლის ქალიშვილის სიმარდით. სიარულის დროს მარჯვენა ხელს აღღუმზე გამოსული ჯარისკაცივით აქნევს.

ერთ დროს უმ ზაიანს საკუთარი სახლი ჰქონდა. ბავშვების ხმაური აესებდა ოჯახს. ყაველ გამარჯვ და მშრომელი ქმარი, რომელიც დღედაღამ მათთვის ზრუნავდა. უმ ზაიანი თავის სახლში ქალბატონი იყო. ის მხოლოდ თავის ქმარშვილს ემსახურებოდა. დიდხანს არ გაგრძელებულა უმ ზაიანის ბედნიერი ცხოვრება. ბედმა უმუხთლა და წაართვა ქმარი, მისი მფარველი და მარჩენალი. ამ დღიდან ის თავდადებულ შრომას შეუდგა. ქირით მუშაობდა.

სხვის კარზე. დედას შრომაში შევლო-  
დნენ ქაღალდელები და უფროსი ვაჟე-  
ბი, რომ ცხოვრების ტვირთი შეეშუ-  
ბუქებინათ მისთვის.

კიდევ უფრო დიდი უბედურება და-  
ტყდა უმ ზაიანს. ერთი მეორეს მიყო-  
ლებით დაკარგა შვილები. მხოლოდ  
ერთი ცამეტი წლის ქალიშვილი დარჩა,  
მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა  
გათხოვდა და ალ-ღალი გააჩინა ისიც  
სიკვდილმა წაართვა. უმ ზაიანს შვილი-  
შვილის გარდა აღარავინ შერჩა. მამამ  
ალ-ღალი, უმ ზაიანს დაუტოვა, რათა  
თავისი საქმისა და ახლადშერთული  
ცოლისათვის მიეხედა. ამ დღიდან უმ  
ზაიანი ჰავამიდის ოჯახს მიეკვდლა.  
შვილიშვილთან ერთად სახაბაზოში გა-  
დავიდა და იქ დაბინავდა.

ალ-ღალი თონის გვერდით იზრდებო-  
და. თავსა და ხორბალზე ეძინა. სახა-  
ბაზოს თბილ იატაკზე დაცოცავდა. ჩვი-  
ლობიდანვე ცომისა და პურის სურ-  
ნელს ისუნთქავდა. სახეზე აელვებული  
სპილენძის ფერი ედო — ახლადგამო-  
ცხვარი ლავაშის ფერის მსგავსი, რამ-  
დენჯერ მიუყვანია ბავშვურ ცნობის-  
მოყვარეობას თავლია თონესთან, რომ  
გაეგო რა იყო ის წითელი ვარვარა წრე,  
იქ რომ გიზგიზებდა. რამდენჯერ გამო-  
უთრევია ბებიას იქიდან, როდესაც ცე-  
ცხლის ენები ბავშვს შთანთქმას უქად-  
ნენ. რამდენჯერ ხელები გომბში აურე-  
ვია და სახე ცომით მოუთხუნია, ანდა  
ცხელ-ცხელი პური მოუტეხია და თი-  
თები დაუწვავს. მერე კი ატირებულს  
ხელები წყლით გაუვრდობია. ერთი სი-  
ტყვიით ალ-ღალი ნამდვილი ჰინკა იყო,  
რომელიც ბორბტებას სთესდა ფქვი-  
ლისა და ცეცხლის სამეფოში, რომელ-  
საც ის ნამდვილ დესპოტ მმართველად  
მოეეღინა. ბებიამ შვილიშვილზე გადა-  
იტანა მთელი თავისი გრძნობა, ქმრისა  
და შვილების სიყვარული და თვით სი-  
ცოცხლის სიყვარულიც. უმ ზაიანი  
შვილიშვილში ხედავდა თავის ბედნიე-  
რებასა და იმედს. ის მხოლოდ მისთვის  
ცხოვრობდა ამ ქვეყნად.

უმ ზაიანი საოცრად მორჩილი და

მოთმინებით აღსავსე, ადამიანური ბუ-  
ნების ნამდვილი სასწაული იყო. მერე-  
ხედავად იმ თავზარდაცემულ მდგომარე-  
ობისა, რაც მას გადახდა, უმ ზაიანს  
სასოწარკვეთილსა და მოღუშულს ვერ  
ნახავდით. ვერ გაიგონებდით მისგან  
ჩივილსა და წუწუნს წუთისოფელზე.  
მის შავ თვალეში მუდამ წრფელი სი-  
ხარული ციმციმებდა. ეს იყო მის  
გულში დამკვიდრებული სიმშვიდის სი-  
ხარული. არავის ახსოვს, რომ უმ ზაიანს  
შეხვედროდეს და მის ტუჩებზე ეს მა-  
რადი ღიმილი არ შეენიშნოს. ღიმილი,  
რომლის დაფარვას ის თავსაბურთის  
ბოლოთი ცდილობდა ხოლმე. თუ ვინ-  
მე მისი ამბის გაგებას მოინდომებდა  
და ჰკითხავდა — როგორა ხარ, უმ ზაი-  
ანი? — ის წყნარად და ღიმილად უცე-  
ლელ პასუხს აძლევდა:

— ათასი დიდება და ათასი მადლო-  
ბა ალაჰს — ყველაფერი კარგია ამ ქვე-  
ყნად.

ხშირად ჰავამიდის ბავშვები ეწვეო-  
დნენ უმ ზაიანს. დახლებოდნენ მის  
მახლობლად თონესთან და თვალს ადე-  
ვნებდნენ უმ ზაიანს რკინის ქარცახით  
პურებს რომ აბრუნებდა; ხან საქათმე-  
ში შეყვებოდნენ და უყურებდნენ ქა-  
ტოთი და პურის ნამცეცებით ფრინ-  
ველს როგორ აპურებდა. სიყვარულით  
უსმენდნენ მის საინტერესო მოთხო-  
ბებსა და წარბაც ხალხურ თქმულე-  
ბებს. ალ-ღალი კი მისი ერთგული  
ლეკვი იყო. სადაც არ უნდა წასულიყო  
უმ ზაიანი, იგი უკან მისდევდა. თუ უმ  
ზაიანი აქეთ-იქით სიარულს მოუხში-  
რებდა, ალ-ღალი კბის ბოლოში ხელს  
ჩაავლებდა, იმის შიშით, რომ არსად  
დაკარგოდა. როცა უმ ზაიანს ალ-ღა-  
ლისაგან თავის დახსნა სურდა, რომ  
საქმისათვის მიეხედა, ჩალის ღეროები-  
დან ცხენს გაუკეთებდა. ბავშვი კი სი-  
ხარულით მოახტებოდა ამ ცხენს და  
დააქენებდა ეზოში.

როცა ალ-ღალი წამოიზარდა, მამუ-  
ლიდან მარტო გასვლა გაბედა. ის  
თავის ამხანაგებთან ერთად პატარა  
გორაკზე თამაშობდა, ხან გომურისა-

ყენ მიმავალ შეუქანზე სახედარს შეატყობოდა; ხან პაპანაქება სიცხეში მერყეთში შეიპარებოდა, რომ ღვთის მორწმუნე მონებისათვის ძილი დაეფრთხო, ხან კი მინდორში მიდიოდა და ბავშვებთან ერთად ცეკვავდა და სოფლურ სიმღერებს მღეროდა.

„პოი პაპანაქების მწვანე ღეროვ, პოინათესო ყანებო...“

ბევრჯერ წასულა უმ ზაიანი მინდორში ალ-ღალის საქმებრად. ბავშვს იპოვიდა, შინისაკენ წამოიყვანდა, ის კი ყვიროდა და ეურჩებოდა. უმ ზაიანი მოეფერებოდა, პატარა შაქრის ლერწამს მისცემდა და ისიც მისი წუწინით ერთობოდა...

შვიდი წლის ალ-ღალი ბატონის პატარა ბავშვებს ყანაში დაყვებოდა და მათთან ერთად ნესესა და კიტრს შეეცყოდა. როცა ისინი მუზობელ სოფელში წასვლას განიზრახავდნენ და სახედრებზე შესხდებოდნენ, ალ-ღალი უკან მისდევდა და ჯოხით პირუტყვს ერეკებოდა.

ალ-ღალის მხოლოდ დღესასწაულებზე მოინახულებდა მამამისი. იგი თავისი ახალი ოჯახით სხვაგან გადასახლდა, რადგან იქ უკეთესი საშოვარი ჰქონდა.

ერთხელ ალ-ღალის მამა უჩვეულო დროს მოვიდა. როცა შეშინებულმა უმ ზაიანმა ჩამოსვლის მიზეზი ჰკითხა, მამამ უპასუხა, რომ ალ-ღალის წასაყვანად მოვიდა. უნდა, რომ ალ-ღალი კაიროში მსახურად დააყენოს ერთ მდიდარ ოჯახში, რადგან ახლანდელ დროში ფელაქობაში ხელსაყრელი არა არის რა. ქალაქში კი ათასი ხელობაა და ალ-ღალი აირჩევს თავის შესაფერს, იმ კეთილ ცხოვრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლითაც ქალაქელები ტყუებიან.

უმ ზაიანმა უარი უთხრა მამას. შეევედრა, რომ დაეტოვებინა მისთვის შვილიშვილი. მაგრამ მამამ ყური არ ათხოვა ქალის თხოვნას. ის გაცხარებით უხსნიდა, რომ თუ უმ ზაიანი ბიჭის წაყვანას ხელს შეუშლის, სამუდამოდ დაღუბავს მის მიმავალს. მისი

ვალაია — შვილიშვილის მიმავლისათვის საკუთარი სიამოვნებას დატოვებს. მერე დაიწყო იმ განცხრომის და ბრწყინვალე მიმავლის აღწერა, რომელიც ქალაქში ელოდა ალ-ღალის. ქალმა ვერავითარი საბუთი ველარ გამოიხატა წინააღმდეგობის გასაწევად და ისევე როგორც წინათ, ახლაც მორჩილად მიიღო განგების განაჩენი. ცოტახნის მერე მამას ჰკითხა:

— დიდი ხნით დამშორდება?

— ყოველ წელიწადს გინახულებს და დღესასწაულებსაც შენთან გაატარებს.

— გჯერა, რომ ალ-ღალი ქალაქში წარმატებას მიაღწევს?

— აუცილებლად. დაგიბრუნდება ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი, გვერდზემორქეული ტარბუშით, პრილა ფესსაცმელებით; დაგიბრუნდება კოხტა ქალაქელი ყმაწვილი და არა გაუთლელი სოფლის ბიჭი. მოვა და მოგვითანს ფულსა და საჩუქრებს.

ერთი წუთით უმ ზაიანმა შვილიშვილი ლამაზ, უცხოურ ტანსაცმელში გამოწყობილი წარმოიდგინა. გვერდზე მოქცეული ტარბუშით, პრილა ფესსაცმელებით. ჯორზე ამხედრებულს უკან ბიჭი მოსდევდა ჯოხით ხელში. თვალები სიხარულის ცრემლით გაუბრწყინდა. მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რომ მას გულის ნაწილს გლეჯდნენ. უმ ზაიანმა ტირილი და ოხვრა დაიწყო — მაგრამ არ იცოდა კი რა ატირებდა: სიხარული ალ-ღალის მიმავლის გამო, თუ მწუხარება მისი განშორებით გამოწვეული.

ისინი შეთანხმდნენ ალ-ღალის წაყვანის დღეზე და მამამ დატოვა უმ ზაიანი. უმ ზაიანი სახაბაზოში შევიდა. კარი გამოიკეტა, ნიკაბით ხელს დაეყრდნო და ფიქრებში გართულს სახე ცრემლებმა დაუსველა.

მეორე დღეს უმ ზაიანი ბაზარში წავიდა. სხვადასხვაგვარი ქსოვილები მოიტანა და ალ-ღალისათვის ხალათებისა და ქუდების კერვას შეუდგა. ღამეებს ათევდა, სანთლის შუქზე კერავდა, თან ბავშვს არწევდა და მშვენიერ



მომავალზე უმღეროდა. მღეროდა, რომ ალ-ღალი ერთ დროს დიდი ბატონი გახდებდა. სქელი და გადაგრეხილი უღვაშები ეწენება, — გუბერნატორის უღვაშების მსგავსი. თავზე ტარბუშს დაიხურავს — ემირის ტარბუშით წითელსა და ბრწყინვალეს. ჯარისკაცებით კრიალა ფეხსაცმელებს ჩაიცვამს, რომ შორიდანვე გაიგონონ მისი ხმა.

დიღბანს დაშტერებოდა ბავშვს უმ ზაიანი. ეხვეოდა და კოცნიდა, სანამ არ შეაწუხებდა და ტირილით არ გააღვიძებდა. ჩააწვენდა თავის საწოლში, წყნარად მოეფერებოდა, მანად დაარწევდა და ისევ იწყებდა სიმღერას, რომელიც სევდიან ქვითინს უფრო გავდა.

ბოლოს ალ-ღალი მამასთან ერთად კაიროს გაემგზავრა. დარჩა მარტო უმ ზაიანი თავის სახაბაზოში. საკვირველი ის იყო, რომ შვილიშვილთან გამოშვებობებისას ერთი ცრემლი არ ჩამოუგდია, სახეზე აღუღვება არ დატყობია. უცინოდა და მზიარულად ეთამაშებოდა ბავშვს. სხვადასხვა ამბებით ართობდა მას. მაგრამ შინ რომ დაბრუნდა მთელი კვირით ჩაიკეტა და ბოლოს, როცა გარეთ გამოვიდა საფლავიდან ამოღებულ მკვდარს გავდა გაფითრებული.

•••

დატრიალდა ცხოვრების ბორბალი ჩვეულებრივ. უმ ზაიანი თავის საქმეს დაუბრუნდა. თონის გვერდით ცოშს ზელდა და აცხობდა, საქათმეში ფრინველს აპურებდა, გომურში ძროხებს წველიდა და ყველს აკეთებდა. დაუბრუნდა სიხალისე. დიმილიც გამოკრთა მის ტუჩებზე. ძველებური სიმარდით დადიოდა ეზოში და თავდადებით მუშაობდა. მხოლოდ ოდნავ მოიხარა და სახეზე ნაოკები მოემატა. დაღამებზას თავის ბუდეში ბრუნდებოდა. საათობით იჯდა თონესთან. სახეს მიმჭრალი ცეცხლის ალი უნათებდა. წარმოიდგენდა, რომ ალ-ღალი მის გვერდით იყო. ესაუბრებოდა, უყვებოდა თქმულეებს, საოცარ ამბებს. ეკითხებოდა თუ რას

აკეთებს, რა გასამრჯელოს იღებს. ახალი ტანისამოსი თუ ჩაიცვამს, ვეფხვზე მოქცეული ტარბუში თუ დაიხურავს, რე ბავშვის ხალათს აიღებდა, თავის ლოგინში ჩადებდა და ნაზად არწევდა. მღეროდა ალ-ღალის ბრწყინვალე მომავალზე და დაწევებზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

გავიდა წლები, გაიარა მრავალმა დღესასწაულმა. უმ ზაიანი მოთბინებით ელოდა ალ-ღალის დაბრუნებას. უკერავდა ტანისამოსს, აგროვებდა ფულს და ყიდულობდა ალ-ღალისათვის საყვარელ ტკბილეულს. ყველაფერი ეს მამასთან მიჭონდა, რომ მას ალ-ღალისათვის გაეგზავნა. მამა კი გამოართმევდა ამ ძვირფას საჩუქრებს და თავის ოჯახის წევრებს უნაწილებდა.

თუ გაიგონებდა უმ ზაიანი, რომ ქალაქიდან ვინმე ჩამოვიდა, გაიქცეოდა და ალ-ღალის ამბავს გამოკითხავდა. ჩამოსული უბასუხებდა, რომ ალ-ღალი ძალიან კარგად არის — ჯანმრთელად და ბედნიერად ცხოვრობს. სინამდვილეში მისი ჩრდილიც არ ენახა თავის სიცოცხლეში.

ხანდახან მოეჩვენებოდა, რომ ბიჭი უნდა დაბრუნებულიყო. — გული მიგრძნობსო — ამბობდა. წარმოიდგენდა ბავშვთან შეხვედრის დღეს. მოუმზადებდა ტანსაცმელს. დააცხობდა ღვეზელებს, შეაგროვებდა ჩალის ღერებს, რომ ცხენები გაეკეთებინა. მსახურთუფროსს ჯორს სთხოვდა, რათა ალ-ღალისათვის სადგურზე შეეგებებინა და თან ბიჭი ეახლებინა ჯოხით ხელში.

ასე გაატარა უმ ზაიანმა სრული ათი წელი. ამ ხნის განმავლობაში ის სულ ოცნებებით ცხოვრობდა.

ბოლოს ოცნება ცხადად იქცა. მოვიდა მამა და ბებიას ამცნო, რომ მეორე დღით შვილიშვილი ჩამოვიდოდა. უმ ზაიანს კინალამ გული შეუღონდა, ისე დააბნია ამ ამბავმა; როცა დამშვიდდა, იმდენი კითხვა მიაყარა მამას, რომ მან აღარ იცოდა თუ რომელზე ეპასუხა.

უმ ზაიანი იმ წამსვე სახაბაზოში გაიქცა. გემრიელი საქმელი გაუკეთა

შვილიშვილს: ყველაზე მსხვილი ჩაღის ღერო ამოარჩია და ბედაურის შესაყაზმად მოუშადა. მერე ხელ-პირი დაიბანა, სურმა წაისვა. ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა. უმ ზაიანმა ღამე თეთრად გაათენა. ოთახში წრიალებდა. არ იცოდა რა გაეკეთებინა. ეჩვენებოდა, რომ რალაც დიდი საქმე დარჩა დაუმთავრებელი. გათენებისას ეზოში გაიქრა. სახლის ზღურბლზე დაჯდა. უცდიდა როდის გამოჩნდებოდა საუცუესო ჯორზე ამხედრებული ალ-ღალი. მაგრამ ძილი ზოგრა და მერე მინდორისაკენ მიმავალი პირუტყვის ხმაურმა გამოაღვიძა. ბოლოს გამოჩნდა მამა. მის გვერდით ჩვიდმეტი წლის ჰაბუკი იდგა. მოწყენილი, სპილენძისფერი სახე ჰქონდა. უხეში კანი სიკბუტის ძიძიბებს დაეფარა. ხალათი და პალტო ეცვა. თავზე ტარბუში ეხურა. ტუჩზე უღვაშები წამობიბინებოდა. უმ ზაიანი ჩუმად წინ წავიდა და მამას ჰკითხა:

— არ ჩამოვიდა ალ-ღალი, შვილო? მამა სიცილით მობრუნდა და ჰაბუკზე აჩვენა

— აბა ეს ვინ არის?

უმ ზაიანმა თავი ასწია და ჰაბუკს დააკვირდა. ჰაბუკი კი იდგა მის წინ და მედიდურად იღიმებოდა. თვალბმომწყურულმა მითროლვარე ხმით იკითხა:

— ეს არის ალ-ღალი? ნუთუ ეს შესაძლებელია?

მამამ და შვილმა გადაიხარხარეს!..

უმ ზაიანი ჰაბუკთან მივიდა. დიდხანს ეხვეოდა და ტიროდა. მერე სახაბაზოში შეიყვანა. წინ საკმელი და ტუბილეული დაუღაგა და დაიწყო თავისი ამბების მოყოლა, რაც შვილიშვილთან განშორების შემდეგ შემთხვევოდა. თუ მარადეამს შვილიშვილზე როგორ ფიქრობდა. ყოველ დღესასწაულზე მის ჩამოსვლას როგორ ელოდა. მერე ფრინველის და პირუტყვის ამბებიც არ დაივიწყა. თავისი წარსულიც გაახსენა. მოაგონა თუ რა სძულდა, რა თამაში უყვარდა. უმ ზაიანმა ჩაღის ღეროებისაგან გაკეთებულ ცხენს თვალი შეავლო და ჰაბუკს შეხედა. ის კი ზიზღით უყურებდა იქაურობას. უხეში და ბოხი

ხმა ჰქონდა. უხალისოდ მოძრაობდა. უმ ზაიანი დაიბნა. აღარ იცოდა რა უნდა მოეხდინა, როგორ გაეხარებინა შვილიშვილი, სწრაფად გაიქცა ზანდუკისაკენ, რომ რაიმე მოეტანა მისი შესაფერი. დიდხანს ნაგროვები რამდენიმე ყურუშის მეტი ვერაფერი წახა. ეს მიუტანა, ხელში ჩაუღო და უთხრა:

— ალ-ღალი, აიღე ეს ფული და გული გაიხარე.

ალ-ღალიმ ხელი გაშალა, ფულს გულგრილად გადახედა და უსიტყვოდ ჯიბეში ჩაიღო. ცოტახნის შემდეგ წამოდგა, წასვლის ნებართვა ითხოვა და იმ წამსვე მინდორში წავიდა, რომ იმ ჰაბუკებთან და ქალიშვილებთან ერთად საფლური სიმღერები ემღერა. ბებია მარტო დარჩა. დაბნეული უმ ზაიანი თავისთავს ეკითხებოდა: — „ეს არის ალ-ღალი? ეს არის ჩემი შვილი, ჩემი საყვარელი პატარა?“

ამის შემდეგ ალ-ღალი აღარ დაბრუნებულა. ის თავის ტოლებში ერთობოდა და მინდორსა და სადგურის კაფეს შორის დარბოდა. საღამოს მამასთან წავიდა.

• •

უმ ზაიანი დიდხანს ამოდ ელოდა შვილიშვილს. გახმა საგანგებოდ მისთვის გამომცხვარი ღვეზელები. გადიოდა დღეები. მას ესმოდა ალ-ღალის ამბები, მაგრამ თვითონ მას კი ვერ ხედავდა.

ცოტახნის შემდეგ მამამ უმ ზაიანთან შეიარა. წახა ქალი თონესთან დამჯდარიყო. შვილიშვილის პატარაობის ხალათი და ჩაღის ღეროებისაგან გაკეთებული ცხენი გულში ჩაეკრა, კოცნიდა და ტიროდა.

მამას გაუკვირდა და კითხა:

— ალ-ღალი დაგიბრუნდა, შენ კი ტირი?

ქალმა თავი ასწია; სასოწარკვეთილმა მორჩილებით შეხედა და მხოლოდ ესღა უთხრა:

— ალ-ღალი დიდი ხნის წინ მოკვდა შვილო... ის მამის მოკვდა; ქალაქში რომ წავიდა.

თარგმანი არაბულიდან ნანა ფარცვალიძისა

პირველი ასათიანი



## ბიორგბი ღმონიძის ღირიკა

გიორგი ღმონიძემ უკანასკნელი ორიოდ წლის განმავლობაში გამოაქვეყნა მრავალი ლირიკული ლექსი, რომელთა შესახებ, საშუაბროდ, ჯერ კიდევ არ გამოთქმულა აზრი. ამ წერილში ჩვენ არ ვისახავთ მიზნად არსებული ხარვეზის, შევსებას და ვველა ამ ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზის მოცემას. ჩვენ გვინდა მკითხველს გაეაცნოთ მხოლოდ ის ზოგიერთი მოსაზრება გიორგი ღმონიძის ლირიკულ პოეზიის თავისებურებათა შესახებ, რომლებიც ამ ლექსების წაკითხვისას აღგვეჭრა.

ყოველ კრიტიკულ წერილს (უბრალო მიმოხილვისა ან რეცენზიისაგან განსხვავებით), რა კონკრეტულ თემას და მასალასაც არ უნდა შეეხებოდეს იგი, ყოველთვის გააჩნია თავისი შინაგანი პოლემიკური მიმართულება. ამ მხრივ, აღწერილი შესაძლებელია, რომ ეს წერილიც არ აღმოჩნდეს დასხვავებული ერთგვარი ტენდენციურობისაგან, რადგან აქ ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს გიორგი ღმონიძის ლირიკის ამ სპეციფიკურ ნიშანთვისებათა გარკვევა, რომლებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ქართული პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის, და რომლებიც ამის გამო განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი შეფარდობის ახალი თაობის წარმომადგენელთათვის.

გიორგი ღმონიძის პოეზიის მთავარი საიდუმლოება მდგომარეობს ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნაში, მისი ხალხური, ეროვნული კოლორიტის ორგანულ განცდაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აქ არა ღმონიძის პოეტური ლექსიკონის სიმდიდრე, არა სიტყვათა დიდი რაოდენობის ცოდნა, არამედ სწორედ ენის შინაგანი, ხალხური ბუნების მიმართ უტყუარი, აღღმა ამიტომია, რომ გიორგი ღმონიძემ არ არის ენის ტრადიციულ ფორმათა უბრალო მონა-მორჩილი, პირიქით, იგი ხშირად გვევლინება მის ვაბედულ და დაჯერებულ მმართველად, როდესაც ასე უბრალოდ და თითქმის ძალდაუტანებლად ქმნის თავის პოეტურ ნეოლოგიზმებს.

ღმონიძის რძიან სიტყვას ბოლომდე აქვს შენარჩუნებული თავისი პირველადი, მიწისებური სურნელება და სინოციტრე. მისი რტოლიტური ლექსის ზე უხვად არის მსხმოიარე იმ ვიზიანი და მსუყე ნაყოფით, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთის თაყარა მშის ქვეშ მწიფდება. სწორედ ამის, პოეტური ენის ამ უშრეტ ბარქიანობაში

მვლანდება ღმონიძის ლექსის ფესვთა სიმპრე, მისი ღრმა კავშირი მშობლიურ ნიადაგთან. აქედან მოდის მისი სიტყვის ძარღვანობა და გამტანი ძალა.

სწორედ ამან მისცა უფლება პოეტს ასე დაჯერებულად ეთქვა თავის შესახებ:

მშობელ მიწაში მიღვას ფესვები  
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.

პოეზიის მთავარი მასალის, მისი სიტყვიერი მატერიის ასე ღრმა ფლობა ისეთივე დიდი პედნოერებაა პოეტისათვის, როგორც მაგალითად, მომღერლისათვის ხმის თანდაყოლილი ორგანული უფერადობა. მაგრამ ექვს გარეშეა ის, რომ, გარდა ამ თავისთავადი ბუნებრივი ნიქისა, გიორგი ღმონიძეს ამ მხრივ განვლილი აქვს ოსტატობის დიდი სკოლაც, რომლის მთავარ გაცვეთილს, ჩვენი ღრმა რწმენით, დიდად საგულისხმო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თანამედროვე ქართული პოეზიის ყველა მომდევნო თაობისათვის. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენმა ახალგაზრდა პოეტებმა პირდაპირ მიბანონ ღმონიძის ენას, ან მოწაფური სისუსტით შეეცადონ მისი ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურებების გადმოღებას. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს იქნებოდა ამაო ცდა. ჩვენ აქ გველისხმობთ ღმონიძის პოეზიის მხოლოდ მთავარ ნიშანთვისებას — იმ ხალხურ სტიქიას, რომელიც დღეს განსაკუთრებულ სიმღიერთთ იტარებდა სწორედ ამ პოეტის შემოქმედებაში.

ღმონიძის პოეტური ღეწლი და მისი მაგალითის მნიშვნელობა ამ მხრივ კიდევ უფრო ნათელ გახდება ჩვენთვის, თუ მხედველობაში მავიღებთ ერთ სახეფათო გარემოებას.

ენის სიმღიდრის საკითხი დღითიდღე მწვავედ დგება ქართულ პოეზიაში და, განსაკუთრებით, ჩვენი ახალთაობის პოეტთა შემოქმედებაში. ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი დაზარალებული ენობრივი შეზღუდულობით. მტრეველების სქემატრობა, სიტყვიერი ფაქტურის სიღარიბე და უფერულობა — ეს არის ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვანი ნაკლოვანი, რომლის დაძლევა სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს ქართული პოეზიის მომავალი განვითარებისათვის. და აი, აქ ჩვენი პოეტური ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ — გ. ლ.

ინიციტივან ის ბრწყინვალე ლექსქართულობა, რომელიც მან ასე წინადად და მომზადვალად შე-  
მოიწახა ჩვენს დრომდე.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ტრადიციული  
ლექსქართულობა ორგანიზულად შეერწყმება იმ  
ახალ ენობრივ ფორმებს, რომლებიც თავთ ცხოვ-  
რებას მოაქვს და, ამგვარად, დამწველ იქნება  
ყოველივე, რაც კი მისში, შესაძლებელია, ზეა-  
ლისათვის უკვე დროვადასული აღმოჩნდეს —  
მხოლოდ ისეთ შემთხვევაში არ შეზღუდვას იგი  
იმ ახალ შინაარსს, რომლის გამოხატვა ვალად  
აქისრია ქართული პოეზიის მომავალ თაო-  
ბებს.

თქმა იმისა, რომ გიორგი ლეონიძის პოეზია  
ღრმად არის დავაშორებული ხალხურ ნიადაგ-  
თან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ პოეტის ინდივი-  
დუალური თავისებურების სრულ განსაზღვრას.  
ასე ზოგადად იმავეს თქმა შეიძლება არა ერთი  
სხვა თანამედროვე ქართველი პოეტის შესახ-  
ბაც. მაგრამ, ცხადია, რომ ყოველი მათგანის შე-  
მოქმედებაში ხალხურობას აქვს თავისი დამახა-  
სიათებელი ნაირსახეობა.

ხალხური პოეზიის სათავეებთან გიორგი ლე-  
ონიძის ლექსის განსაკუთრებით ახალღებს ერთი  
თავისებურება, რომელიც შედარდება არა მხო-  
ლოდ მის შინაარსში არამედ სპეციფიკურ ინ-  
ტონაციასთან, ხოლო ხშირად უფრო ზედმესახე-  
ბადაც — მის ზეკრად შემადგენლობაშიც.

ესაა ის მკაფიოდ გამოხატული პერსონული  
პათოსი, რომელიც ღრმად შეესიტყვება რი-  
გორც ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის ზეიად სი-  
ლამაზეს, ისე მის მკვიდრთა დიდებუნიდან ზა-  
სიათისად და მთელი ჩვენი ისტორიის გმირულ  
სულს.

პერსონული მოტივები, საერთოდ, უცხო არ  
არის თითქმის არც ერთი ერის პოეტური შემოქ-  
მედებისათვის, მაგრამ ქართულ ხალხურ პოეზიას  
ამ მხრივ მაინც აქვს თავისი სპეციფიკა. შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ მას გააჩნია განსაკუთრებული  
სიმკვეთით გამოშვლავებული მამაკაციური ზა-  
სიათი, რომელიც სხვა ენაზე ძნელად ითარგმ-  
ნება.

ჩვენი ასრით, ეს არის ქართული პოეზიის,  
ისევე როგორც, ქართული მუსიკის, ერთ-ერთი  
თანდაყოლილი ნაციონალური თვისება, რომელიც  
მას ყოველივეს შესაძინებლად განსხვავებდა სა-  
ქართველოს ახლა მეზობელ სხვა ტომთა პოე-  
ტური და მუსიკალური შემოქმედებისაგან.

ქართული ნაციონალური მელოდიკისათვის  
ერთნაირად აბარაგანვლია როგორც აღმოსავ-  
ლურ პანგთა დამახასიათებელი შექარლამური  
სიტკბო და აღვირახსნილი ვნების ბაიათური აღ-  
ტიკინება, ისე მკვეთრ ემოციურ სიმამფრეს მოყ-  
ლებული, შედარებით ფხიზელი და მწყობრი  
ჩრდილოური მუსიკაც.

ჩვენმა ძველმა ხალხურმა სიმღერებმა შემოი-  
ნახეს სრულიად სხვა, განუზომებელი ხმები,  
რომელთა დიდებულ სიმფონიაში მგზნებარე

წარმართული მგრანობიერება და რაინდული გე-  
ტაციების მძაფრი ნოტები განუტყფლად უნდა შე-  
ზავებული ქართველი კაცისეფუესეცეფუესეფუესე-  
ბელი კეთილშობილური სიღარბიასლის კიდევ  
უფრო ღრმა და ძლიერ მოტვთან.

სწორედ ხალხური სიმღერებში უნდა ვეძიოთ იმ  
ვაკაციური სულის სათავე, რომელშიც სხვადასხ-  
ვა დროს თავისებური გამოხატულება პოვა ქარ-  
თული პოეტური სიტყვის თითქმის ყველა დიდ-  
ოსტატის შემოქმედებაში. ეს სპეციფიკური თავ-  
ვისებურება, საზედნიეროდ, შემორჩა ჩვენი საუ-  
კუნის ქართულ პოეზიასაც. სხვადასხვა ფორმით  
იგი გამოვიინდა მთელ რიგ შესანიშნავ პოე-  
ტურ ნაწარმოებში.

აქ შეიძლებაოდა არა ერთი მათგანის ჩამოთვლა,  
მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ვაკაფმველას  
შემდეგ ჩვენი მკითხველის ყურს იშვიათად სმე-  
ნია ლექსი, რომელიც ასე ორგანულად ეკლარდეს  
ქართული ხასიათის ეს რაინდული სულსიტქმა,  
როგორც იგი გაისმა გიორგი ლეონიძის „ვიეჩა-  
ლურ პაემანში“ და „ნიონოშინდამში“.

პირადად ჩვენ ყველაზე ძლიერად და გარდა-  
უვლად ამ პოეტის შემოქმედებაში მიგვანინია  
სწორედ ის ლექსები, რომლებიც მან თავისი  
პოეტური ბიოგრაფიის განაღებულზე შექმნა და  
რომელთა განუმეორებელ ხმაში საოცარი ძა-  
ლით იქნა ამტკვეთილებული ჰაბუკური თავდა-  
წყების რომანტიკა.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს სიბიჭებურ შეხედუ-  
ლებას წარმოადგენს და, გარდა ამისა, ამ ლექსე-  
ბის კონკრეტული განხილვა არ შედის წინამდე-  
ბარე წერილის მიზნებში. ამიტომ ჩვენ აქ აღარ  
შევუდგებით უკვეთქმულის დაზუსტებას.

საჭიროდ მიგვანინია მხოლოდ ერთი შენიშვნა,  
ურომლისიდაც ჩვენი წარმოდგენა ლეონიძის  
პოეზიის სპეციფიკაზე, შესაძლებელია, ცალ-  
მხრივად იყოს გაგებული.

საქმე ისაა, რომ ლეონიძის ლექსის თავისებუ-  
რი ელვარდობა არავითარ შემთხვევაში არ  
გულისხმობს იმას, თითქოს მის პოეტურ ხმს  
მხოლოდ და მხოლოდ ერთი კილა გაჩანდეს. თუ  
კვლევ მივმართავთ პარალელს მუსიკალურ ზე-  
ლოვნებასთან, ჩვენ ამ შემთხვევაში მოვიყვან-  
დით ისეთი მომღერლის მავალითს, რომელსაც,  
თანდაყოლილი დამალი ხმისა და ფოლადისებუ-  
რი ტემბრის მიუხედავად, შეუძლია ყველაზე  
მაღალ ტონალობაში სიმღერაც.

ლეონიძის პოეტური ხმაე არ არის მოკლებუ-  
ლი ამგვარ ელასტიურობას, მას გააჩნია საკმარის  
ფართო ლირიკული დიაპაზონი, რის გამოც მისი  
ლექსიდან ჩვენ ერთნაირი ბუნებრიობით გვესმის  
როგორც ზემოტემში მოგარდნილ ზევათა შეზუ-  
რავი ეხო და მყვარალობას მიიდან გადმომდგარ  
ზარბრემთა ძახილი, ისე ყველაზე პატარა ნაკა-  
დულის წკრიალა ხმაე და გაზაფხულის უჩინარ  
ფესეთა ნაზი ჩურჩული.

ზომ ერთი და იმავე პოეტის მიერ არის ნათქ-  
ვამი:

ტრამალ და ტრამალ გამოგედვენ,  
შემოვამტვრევ გზები ტრიალი,  
მტკვთას ვემტვრევ საკლატრები,  
ვლენე ტაძრები კელატრიანი...

შენ, გზაუხელის დგრილო  
უჩინეს დაღწევა, ხმატყველად  
წყარამ რომ დაიწყიაღწეა  
შესაღწეოთ...

და: შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,  
გულზე რომ ვიარსაყ ძლოვს იყარებდი.

გიორგი ლეონიძის ლექსის ინდივიდუალურ თავისებურებებზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

და ეს იმიტომ, რომ, გარდა ამ ძველში გამკლარი ვაჟკაციური შეუპოვრობისა, გიორგი ლეონიძის შემოქმედება მატარებელია დიდი შინაგანი სანაზის, იმ ზვილი და ოდნავ გულუბრყვილო გრძობისა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტი პოეზიის არსებობა.

მეგრამ ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით ამ საკითხს, რადგანაც ამ ორიგინალურ თვისებათა ძიებით ზედმეტმა გატაცებამ შეიძლება დაგვაეიწყოს ერთი უბრალო ამბავი. სახელდობრ, ის რომ, ლეონიძის პოეზია არის, უპირველეს ყოვლისა, ღრმად ნაციონალური მოვლენა და ამ მხრივ იგი დღეს უკვე წარმოადგენს რაღაც უფრო დიდს და უფრო ზოგადს, ვიდრე ეს შეიძლება აიხსნას ერთი კონკრეტული პიროვნების (ან შემოთხვევის) გიორგი ლეონიძის პიროვნების) ინდივიდუალური თავისებურებით.

სწორედ ეს უნდოდა ეთქვა პოეტს თავის ლექსში:

სიკოცხლის ეღერა  
წვიმის წვეთის ხმაში მსმენია,  
ფესვის სურნელში,  
აბა მარტო დროშის შრიალში...

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ გიორგი ლეონიძე, როგორც მხატვარი, მიუხედავად მისი ლექსის რომანტიკული შემართებისა, ყოველთვის იყო და არცხა რეალისტ პოეტად. სწორედ ამის გამო მისი პოეტური სამყაროც, როგორც მისი ხმა, მიუხედავად ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული უაღრესად თავისებური კოლორიტიანა, თითქმის სრულიად მოკლებულია ხელოვნურ შეზღუდულობასა და მონოტონურობას.

სწორედ ეს მრავლისმომცველი და, ამავე დროს, შინაგანად ერთიანი პოეტური ბუნებაა გამოვლენილი სიტყვებში:

მიყვარს ლვართქაფი, ყვიგინა,  
მუხის ხმა, წვიმიანობა,  
ნიავზე ყანა, ქალიერი  
მოსახვევინად რომ წამოვა  
და იაფერი, მარაღის  
გულიდან დაუთხოველი:  
მშობლერი, ტკბილი, მოწყალე,  
ცა წუალობისა მთოველი.

გიორგი ლეონიძის რეალში შემოთქმულით გოდი ამოიწურება, ვინაიდან — ეს არის რეალიზმი, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მისი ნაციონალური ელფერი, უპირველეს ყოვლისა, ელენდება არა ყოვლისა და გარემოს, ისტორიული და ცოცხალი სინამდვილის რეალისტურ ასახვაში, ე. ი. არა მხოლოდ და არც იმდენად მხატვრობაში, რამდენადაც თვით ამ პოეტის მსოფლმხედველობაში ან, უფრო სწორედ, მის მსოფლშეგობებაში.

გიორგი ლეონიძის პოეტური ხმა თითქმის სრულიად მოკლებულია მონოტონურობას (თითქმის, რადგანაც ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ მის ზოგიერთ სუსტ ლექსს, რომლებიც ჩვენს პოეტს სხვადასხვა დროს დაუწერია), და ეს მაშინ, როდესაც მისი ყოველი პოეტური ნაწარმოების მთავარ ინტონაციად ისევე როგორც მთელი მისი ლირიკის მუდმივ შინაგან თემად მანც რჩება ერთი და იგივე მოტივი: ესაა ცხოვრებისადმი ვაჟკაციურ დაპოყვებულებას თემა, ეს არის ის შინაგანი პოეტური ინერცია, რომელიც თავისებურ რიტმში გარდატეხს და თავისებურ ელვადობას ანიჭებს გარეშე სინამდვილას ყველა მოვლენას, ყველა ხმასა და მულოდის. სწორედ ამ შინაგანი ინერციიდან მოდის არსებული სამყაროს პოეტური (ან, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, შესიკაღური) აღქმის ის ღრმა სპეციფიკურობა, რომელმაც გიორგი ლეონიძეს ათქვევინა:

ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,  
ენძლებით და თითა?  
სადაც მწევანე ფრთას დააქნევ,  
ვაჟკაციურ ძვრას მიიტან  
სალამი,  
ასჯერ სალამი!

ლეონიძის მთელი შემოქმედება — ეს არის იმ დიდი სიზარელისა და დიდი სულიერი სიმრთელის პოეტური გამოხატულება, რომელიც, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია არა მხოლოდ ამ პოეტის ინდივიდუალური ტემპერამენტისათვის, არამედ, საერთოდ, ქართველი კაცის ბუნებისთვისაც.

და განა არ არის საოცარი ბედნიერება, რომ ისეთ ძველ ერს, რომელსაც ჩვენ, მართველები, წარმოვადგენთ, აქამდე შერხა ასეთი სალი და ძლიერი ფილტვები, ასეთი ვაჟკაციური შემართება და სამყაროს სიღამაზით ასე ბავშვური და უშეალო აღტაცების უნარი?!

რაც შეეხება ლეონიძის რეალიზმს, ამ სიტყვის ეიწრო გაგებით, ჩვენი აზრით, იგი სწორედ ამ თავისებური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს და, იმავე დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველივე იმასთან, რას გამოც მისი პოეტური ენის დახასიათებისას მოგვიხიდა ლაპარაკი, ამიტომ აქ ჩვენ იძულებული ვიქნებით დაახლოებით იმავე თემატებს მივმართოთ.

გიორგი ლეონიძის პოეზიისათვის დამახასიათებელი ფერთა სინოციერე და ბარაქიანობა, მის მიერ შექმნილი პოეტურა სახეების გოლიათური ხასიათი, მისი მისწრაფება ყოველივე ძეაღმსხვილისა ხორცქონისადაც მას, როგორც მხატვარს, ხშირად აახლოებს იმგვარი ხასიათის რეალიზმთან, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში ასოცირებულია ფლამანდიელ ფერმწერალთა შემოქმედებასთან.

ეს არის ის რენესანსული კულტი ჯანმრთელი ხორცისა, რომელიც ახალ ევროპულ მწერლობაში, როგორც გვიანა ეხო, გამეორებულ იქნა ემბ ვერპარნის ლექსების ცნობილ ციკლში: „ფლამანდიელი ოსტატები“.

მიუხედავად იმისა, რომ ლეონიძის ზოგიერთ ადრინდელ ლექსში ცხადად იგრძნობა ვერპარნიუსულ მოტივებთან პირდაპირი გამოხმაურება მაინც ექვს გარეშეა, რომ იგი ამ მანერამდე მივიდა თავისთავად. ზედმეტი არ იქნებოდა აქვე გვეთქვა, რომ თუ ვერპარნიუსისთვის ეს სტილი არ წარმოადგენდა მთელი მისი შემოქმედების ორგანულ თვისებას და ამ შემთხვევაში დეკავშირებულ იყო უფრო ზელოვნებისებულ რემინისცენციებთან, ვიდრე სინამდვილესთან. გიორგი ლეონიძისათვის ეს არის სრულიად პუნებრივი, თანდაყოლილი თვისება, რომელიც უცხალი ნაციონალური სინამდვილით არის შთაგონებული. გაიხსენოთ თუნდაც რამდენიმე მაგალითი:

როგორც სამაროზე ქვაბს ოხშივარი,  
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

ანდა:

ყანა კახური, ათქვირებული,  
და უამირები ყარაიისა,  
ეზი თორმეტი ფურის ნაწველი,  
დასხმული ოქროს ბარძიმფეთა,  
წინანდლის ღვინო დედისრძიანი;  
თადლი ხეებზე ჩამოღვენილია,  
ბროწეულის ტყე წყაროებითა...  
მხარე — ნახობი სამარკველების,  
მხარე — სარკინე ფალანგებისა,  
მხარე — ვაზებში გამოხვეული...

ასეთია დაახლოებით თანამედროვე ქართული ლირიკული პოეზიის ის ზოგიერთი თვისებურება ან, უფრო სწორად, პოეტური საკითხთა ის ერთი რკალი, რომელიც ჩვენი მითხველას წარმოადგენს დაკავშირებულია უმთავრესად გიორგი ლეონიძის სახელთან.

ჩვენ აქ საჭიროდ არ მივიჩნით სპეციალურად შევხებოდით ლეონიძის პოეტურ ოსტატობას, რადგან ეს საკითხი განუყოფელია ყოველივე იმისგან, რაზედაც აქამდე გვქონდა საუბარი. თავის საუკეთესო ლექსებში გიორგი ლეონიძეს მიღწეული აქვს ოსტატობის დონე, რომელიც

თითქმის შეუძლებელს ხდის საკუთრივ მის შესახებ ლაპარაკს, ე. ი. მისი (როგორც უიკრძის, შინაარსისაგან გამორჩევას).

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გიორგი ლეონიძე ამ მხრივ ჩვენ წარმოგვიდგება „უცოდველ“ პოეტად. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გაცივით, რომ მას სხვადასხვა დროს დაწერილი აქვს სუსტი ლექსებიც. შეიძლება მეტიც თქმა: იყო ისეთი პერიოდი, დაახლოებით 40-იან წლებში „ბავშვობისა და ყრმობის“ დამთავრების შემდეგ, როდესაც ქართველ მკითხველს საბაბი ჰქონდა ეფიქრა, რომ ლეონიძის შემოქმედება განიცდის კრიზისს, ან, მისი პოეტია ჩიხში მოექცა. ჩვენ არ შეუდევებით ამ ლექსების დეტალურ განხილვას, რადგან ისინი არ მიგვანჩნა დამახასიათებელ ლეონიძის შემოქმედებისათვის. რომ ისინი მართლაც შემთხვევითობას წარმოადგენენ ავტორისათვის, ამზე მოწმობს თუნდაც ის, რომ მეტი წილი ამ ლექსებისა გიორგი ლეონიძის არ შეუტანია თავის უკანასკნელ წიგნში (მზეღველობაში გვაქვს სახელგამის მიერ 1954 წ. გამოცემული ერთტომეული).

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ლეონიძის მიერ იმის დროს დაწერილი ზოგიერთი ლექსების მხატვრული სისულტე შეიძლება აიხსნეს ობიექტური პირობებითაც (მეგალითად, თუ გავიხსენებთ, როგორ სიტუაციაში იწერებოდა ე. წ. „ექსპორტი — ფურცლები“). ლეონიძის პოეტური ოსტატობის დაქვეითება ამ დროს გამოიხატა არა იმდენად გარეგნულ, ტექნიკურ მხარეებში, — ამის მანიერებელი იყო ერთვეთ არა ის, რომ მის ლექსში თითქოს სამუდამოდ გაქრა ჯვარდინი რითმა. უფრო დიდ ხიფათს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გიორგი ლეონიძემ ამ ლექსებში მიანება თავი ახალი პოეტური სახეების აქტიურ ძიებას და თითქოს მთლიანად დაენდო თავისი ძველი ლექსების ინერციას. სწორედ ამ დროს მისმა პოეზიამ მიიღო ზედმეტად „ტრადიციული“ ხასიათი, ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით.

საბედნიეროდ, ეს აღმოჩნდა მხოლოდ დროებითი შესვენება ახალ გზებზე გასვლის წინ, ერთგვარი „სტაბილიზაცია“, რომელიც არ ნიშნავდა ერთ წერტილზე გაუინვას.

ლეონიძის პოეტური სიტყვის დაუმრეტელობა, მისმა დიდმა შემოქმედებითმა პოეტნიკამ კვლავ იჩინა თავი მის სახლგარეგნული ციკლის ლექსებში. მართალია, პირადად ჩვენ ეს ციკლი არ მიგვანჩნა ისეთ ღირ მიღწევი, რომელიც ლეონიძის სხვა ადრინდელ პოეტურ გამარჯვებებს უთანაბრდებოდეს (საერთოდ, ჩვენ ვეფიქრობთ, რომ სხვა ქვეყნებში ხანმოკლე მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს იშვიათად მოაქვს ნამდვილად მწიფე პოეტური ნაყოფი), მაგრამ მაინც მწელია იმის უარყოფი, რომ ეს ლექსები წარმოადგენენ ფრიალ მნიშვნელოვან და საკულისსმო მოვლენას უკანასკნელ დროის ქართულ პოეზიაში.





შობებულებათა გარკვეული ზედამირღობა და ცალმხრივობა, რაც, საერთოდ, თითქმის აუმორებელ თვისებას წარმოადგენს ასეთი ლექსებისათვის, აქ ნაწილობრივ დაძლეულია და კომპენსირებულია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებით, რომელიც ამ ციკლს „ლირიკულ გმირს“ ახასიათებს. საქმე ისაა, რომ მკითხველის თვალს უკანასკნელი იშვიათად ევლინება უზრალო ცნობისმოყვარე მოგზაურობის რაღწი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მას სავესებით ატროფირებული აქვს ყოველგვარი ეგზოტიკური ინტერესები. პირაქით, იგი ქართველი მკითხველისათვის ნაცნობსა და ახლობელს ხდის ამ უცხო გარემოს. (შეიძლება ეს უზრალო დამთხვევით იყოს გამოწვეული, მაგრამ პირადად ჩვენთვის ლუწაძის ლექსიდან ქართული სიტყვებით ვერაზენ არა მარტო უნგრული „ხილ“ და პატარა მდინარის სახელი „შოი“, არამედ ისეთი სიტყვებიც, როგორცაა „ბალატონი“ და „ჩემელი“). მართლაც, შეუძლებელია არ გავაოცოს ნაციონალური შეგნების იმ დასრულებულმა მთლიანობამ და სიმყარემ, რომელიც ამ ლექსების ავტორს უტოვებდა თითქოს თავის სამშობლოს დაკარგულ ნაწილს აძებნინებს (ეს განსაკუთრებით იგრძნობა „ბიძინა ბუქურაულში“ და „შოში“).

აქ, ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ „უნგრული“ ციკლის ლირიკული გმირი ყველა სიტუაციაში რჩება, უპირველეს ყოვლისა, თავისი ერის წარმომადგენლად, და ამ დიდი მისთვის შეგრძნება განაპირობებს მის თავისებურ პოეტურ ხედვას.

საქორალ მიგვაჩინა ილენიშნოთ, აგრეთვე, გიორგი ლუწაძის შემოქმედების ერთი, ალრე ნაკლებად შესაძნევი, თავისებურება, რომელიც ასე მკაფიოდ სწორედ ამ ლექსებში გამოიყვანება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის სატირული საღებავები, რომლებიც ასე ოსტატურად აქვს ნახშირა ავტორს ლექსებში „გარგარის წყალი“, „მღვდელი“ და „ნახანაურალი“ — უკანასკნელი მთავანი თითქოს პირდაპირ მიგვიითხებს, რომ ლუწაძის აქ შესანიშნავად გამოუყენებია მე-19 საუკუნის და, კერძოდ, აკაკი წერეთლის ტრადიციები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბილი დროს ლუწაძემ გამოაქვეყნა მთელი რიგი ახალი ლირიკული ლექსები. თვითველი მთავანი სახელს ვაუთქვამდა რომელიმე სხვა საშუალო რანგის პოეტს. მაგრამ, თუ ჩვენ მათ მივუღებთ იმ საზომებით, რომლებიც თვით ლუწაძემ მოგვცა თავის „სიყვარულ რამში“ და „პირველი თოვლის სიმღერაში“, უნდა ვიღიაროთ, რომ ეს არ არის პოეტის ახალი გამარჯვება.

მხოლოდ ერთი ლექსი უახლოვდება იმ ჩვეულ სიმაღლეს: „ზუზუ მარჯნისფერად ისეც ბღღვრიაღებს“.

სად გასხლტი, ჩემო ახალგაზრდა, დაუდგრომლობავ, ზაფთო, უცივინავ! შენ თუ გიშეილა ქარიშხლის ღელვამ, ფრთება მჭროლაგი რამ შეგვიშინა? ტყეში შევარდა ჩემი ბრემი, იღარ ვამოდის ველი... დაწმულა... ეგებ მისდევნე მონადირენი, იქნებ რომელმა დაინარჩუნა?

თავს რომ ირთობდი ძველი ზღაპრებით, თავი მოგქონდა ნაყივალარად, რით ვერ გაიგე, რა ფეხაქრული დაგვცა თავზე თოვლი — კაღარა!

თუმცა ისეთი დიდი პოეტისათვის, როგორც ლუწაძეა, არ არის ურიგო ხანდახან თავის თავის გადამღებება, მაგრამ ქართველი მკითხველი მაინც იმედით მოელის, რომ მისი პოეტური სიმწიფის ხანა, მისი ლექსის შემოღობვა გამოიღებს კიდევ უფრო დიდებულ ნაყოფს, ვიდრე ის მშვენიერი ყვავილები, რომლებიც მან თავის პოეტური ბიოგრაფიის გაზაფხულზე დააბროვა. პირადად ჩვენ შეგვექმნა ისეთი შობებულება, რომ ეს ცალკეული ლექსები წარმოადგენდნენ მხოლოდ ხმის მოსიარჯვას ახალი სიმღერისათვის. გიორგი ლუწაძე თითქოს ეძებს რაღაც ახალ, აგრე კიდევ ბუნდოვან მულოდობებს, რომლებიც მან შეიმდგენს თავის უნდა გამოიყენოს. ამას გვაფიქრებინებს, კერძოდ, სტრიქონები:

მე ოქროს ქნარის სიმების ქვტრა პაერში შესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მიწველი, ვერა და ვერა! ვერც ვაგზი მისი მიმაყლველი.

თითქოს ფრინველმა ოქროს ღრთიანმა უეცრივ ყურთან გამიტყლამუნა, ვერ დავივირე! დახეთ, ტალამა რა უფრო შორიშორს მიამურა.

შეიძლება ამ ლექსის ასეთი ინტერპრეტაცია სუბიექტური იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა, რომ ეს აღმოჩნდეს სწორედ ამ შემოქმედებითი უკმაყოფილების ანარეკლი, რომელიც უთვალთვის წინ უძღვის პოეტის ახალ მწვერვალებთან შეხვედრას.

ჩვენი მწერლობის ახალი თაობის თვალში (რაცინდ სხვადასხვაანარი გემოვნების აღმამათავანაც არ უნდა შედგებოდეს ეს თაობა) გიორგი ლუწაძე ყოველთვის იქნება ქართული ლექსის ერთი უბრწყინველი ოსტატთაგანი. არა გვეკონია, ამის შესახებ არსებობდეს ორი სხვადასხვა აზრი, ამიტომ ჩვენც აღარ შეუვლდებით ამის მტკიცებას.



აქ ჩვენ გვინდა ვუბრალდებამივამეცოთ მხოლოდ ერთ ვარემოვბას. გიორგი ლეონიძე არის ერთ-ერთი პირველთაგანი იმ პოეტთან შორის, რომელთაც დღევანდელი სახე მისცეს ქართულ საბჭოთა პოეზიას. ამიტომ იგი იყო და რჩება სრული პასუხისმგებელი ყოველფე იმასზე, რაც ამ პოეზიაში შეიქცეოდა ან ახლად დაიბადა მე-19 საუკუნესთან შედარებით.

ახალი ქართული პოეზია მისი — ილიაძეების პირველი დღიდანვე ვრცინობდა ერთგვარ უპირატესობას თავის უახლოეს წინაპართა მიმართ. სხვათაშორის, ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ჯერ კიდევ „ცისფერყანწულები“. რომელთა წრიდანაც ლეონიძე გამოვიდა. მაგრამ, რაღაც ამ თქმევინა მისი ტაციან ტაბიძეს:

შეიღჯერ რომ ვითხრათ ლექსები ყველამ,  
ყველა შეიდივე ადუნენილია.  
თავს დაგვიარა ვევა-ფშაველამ,  
თავზე ვეაწევა ზეავედ ილია.

ჩვენ არ ვცდილვართ, თავი შეგვეკავებინა ყველაზე მალალი ეპითეტებისაგან, როდესაც გიორგი ლეონიძის პოეზიის დარსებებზე ვსვამდეთ ლაპარაკი, რადგანაც ვფიქრობთ, რომ, თუ გამოთქმული აზრი თავისთავად სწორია, ცოტაოდენი გადაჭარბება არ არის საფრთხო. ამიტომ ჩვენ არ შევეწინდებით ასეთ საფრთხეს ის შემთხვევაშიც, როდესაც ლაპარაკი გვექმება გიორგი ლეონიძის პოეზიის სხვა მხარეზეც.

საკითხი, რომელიც ჩვენ გვინდა აქ წამოვჭრათ, ღრმად არის დეკავშირებული მე-19 საუკუნის და, საერთოდ, ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან.

ძველია დღეს საქართველოში მეორე ისეთი პოეტის დასახელება, რომლის შემოქმედებამ უფრო ორგანულად იყოს შესისხლებორცებული მთელი ჩვენი წარსული შერატობის შემოქმედრობასთან. მაგრამ, არას თუ არა გიორგი ლეონიძე, როგორც თანამედროვე ქართველი პოეტი, შემართი და ღრმადი გამგრობი მე-19 საუკუნის მოწინავე ქართული პოეზიის იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანინდამ“ და ილია ქვეკეკელი „ანრილიდან“ მოდის და რომელსაც ჩვენ ვწოდებდით დიდი ფიქრისა და დიდი ფილოსოფიური გაქანების ტრადიციას ქართულ პოეზიაში?

ამ შეკითხვის დასმა სხვაინარადაც შეიძლება: შეძლო თუ არა XX საუკუნის ქართული პოეზიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ და, მათ შორის ლეონიძემ, იმ მსოფლმხედველობით ძიებათა გიღრმავება და სრულყოფა, რომელთა მაგალითი ჩვენ დავგებთა წარსულმა შერატობამ?

ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა კონკრეტულ ფილოსოფიურ პრინციპებს, არამედ მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიურ ძიებათა ის მასშტაბები, ან, თუნდაც, სოციალური აზროვნების ის პათო-

სი, რომელიც ბარათაშვილის შემდეგ თერგდალულულბმა დაამკვიდრეს ქართულ ლექსში.

ჩვენ აუცილებლად ვცანიტ ამ სკანდინავიის დასმა სწორედ გიორგი ლეონიძის შემოქმედებანთან დეკავშირებით არა იმიტომ, რომ იგი ამ მხრივ განსაკუთრებით ღრმად ან ნაკლებად გამოიყურებოდეს თანამედროვე ქართული პოეზიის საერთო ფონზე. პირიქით, ჩვენ აქ გვაიმოძრავებდა სწორედ ის მოსაზრება, რომ ამ პოეტის შემოქმედება წარმოადგენს ერთ-ერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ მოვლენას ჩვენი პოეზიაში (იმ სახით, როგორადაც მან დღევანდელ დღემდე მოაღწია).

ზემოთ, სადაც ლაპარაკი იყო ლეონიძის პოეზიის ხალხურობაზე, ვგანგებ ვგვანახვილეთ ერთადლება ამ პოეტის მსოფლ-შეგრძნებაზე და არა მსოფლმხედველობაზე. საქმე ისაა, რომ ლეონიძის პოეზია წარმოადგენს სინამდვილის უმთავრესად და უპირატესად ემოციურ აღქმას. ამ მხრივ მის დაპყრობილი აქვს ქართული პოეზიის არა ერთი ნამდვილად მალალი და შექმოსილი შეწყვეტილი. მაგრამ, თუ ჩვენ მინც თვალს გავუწვწვრებთ ამ დიდ სინათლეს და შევეცდებით მის ქვეშ იმ დიდი სიღრმის ძიებას, რომლის ამოკითხვა ქართველმა მკითხველმა ჯერ კიდევ არუსთავილისა და სულხან-საბას დროიდან იწყება, ასეთი ცდა, სამწუხაროდ, სიხარულზე ხშირად ერთგვარ გულისტყვილსაც განგვაცდევინებს.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ გიორგი ლეონიძე ჩვენ წარმოგვიდგება მხოლოდ ვრცინობათა მორჩილ ეპიკურეულად ლეონიძის არა ერთ ლექსს ატყევა იმ თავისებულო აზროვნების დიდი, რომელსაც ქართულ ენაში სოციალური სიხუსტით „გელისფიქრი“ ეწოდება (ეს განსაკუთრებით ეხება იმ ლექსებს, რომლებიც ჩვენი ისტორიული წარსულისაგანა მიძღუნილი). მაგრამ საქმე ისაა, რომ ლეონიძის პოეზიაში ჩვენ იშვიათად ვხედვებით განზოგადოებათა იმ დიდ სიღრმეს, იმ დიდ ინტელექტუალურ ენერჯიას, რომელმაც ჩვენი წარსულის დიდობატები ერის თვალში აქცია არა მარტო სიღამაზის, არამედ დიდი ცხოვრებისეული სიბრძნის დაუღალავ მამიებლებადაც.

საქოროდ ვთვლით ვავიმეორით, რომ ეს არის არა იმდენად ლეონიძის შემოქმედების ნაკლი, რამდენადაც, საერთოდ, ჩვენი თანამედროვე პოეზიის სუსტი მხარე.

შეიძლება მეტის თქმაც: თვით ლეონიძისთვის, თუ ჩვენ ვანვიხილავდით მის პოეზიას ცალკე-ბარათო ვანტერებული პროცესისაგან იზოლირებულად, ეს ვარემოება არ წარმოადგენს რამდენადმე მნიშვნელოვან ზარეგებს, რადგანაც იგი შინაგანად ვაპირობებულა მთელი მისი პოეზიის თავისებურებათა რთული კომპლექსით, რომელზედაც ზემოთ მოგვიხდა ლაპარაკი.

გიორგი ლეონიძე არის უმძაფრესი ემოციური აღქმის პოეტი. მისი პოეზია, პირველ რიგში,

წარმოადგენს გრძელ-ნათა დაღადის, „გულის ფესვიდან“ სიმღერას. ეს არის მისი პოეტური ხმის, მთელი მისი შემოქმედების სპეციფიკური თვისება, და ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება, რომ პირადად მას სხვა ხმაზე სიმღერა მოვთხოვათ.

საერთოდ, აქ წამოჭრილი საკითხი არ არას იმდენად მარტივი და უდავო, რომ იგი გადაწყვეტილი იქნეს აზრთა სხვადასხვაობის გარეშე. ჩვენ აქედანვე ვგრძნობთ, რომ მისი დაყენება ასეთნაირ ასპექტში გამოიწვევს არა ერთ უთანხმოებას, ამიტომ შევეცდებით წინასწარ ეუბასუხობთ ზოგიერთ მოსალოდნელ რეპლიკას.

შეიძლება, მაგალითად, გვისაყვედურონ, რომ ჩვენ არ გვესმის, საერთოდ, ლირიული პოეზიის არსებითი თვისება, სახელდება, ის, რომ იგი წარმოადგენს სინამდვილის მხოლოდ და მხოლოდ ემოციურ ათვისებას და რომ ამის გამო გაუმართლებელია მისდამი სხვა კრიტიკიუმებით მიდგომა. მართლაც, ხომ ნამდვილად არსებობს სახლერები, რომლებიც პოეზიას და, საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურას განასხვავებენ ფილოსოფიისაგან.

ჩვენ არ ვაპირებთ პოეზიის სპეციფიკის უგულვებელყოფას. მაგრამ, განა ეს ნიშნავს, რომ პოეზიისათვის, საერთოდ, დახშულია აზროვნების, და კერძოდ ფილოსოფიური აზროვნების, სფერო? რა ვუყოთ მაშინ დანტესა და პეტრარკას, შექსპირისა და რონსარის, გოეთესა და ჰეინესს, პუშკინისა და ტიუტჩევისს, მიცევიჩისა და ბარათაშვილის ღრმად ფილოსოფიურ პოეტურ ქმნილებებს?

ან შეიძლება თქვან, რომ ეს არის პოეზიის მოქმედებელი ფაქტორი, რომ პოეზია, ისევე როგორც, ვთქვათ, ფერწერა, დიდი ხანია განათავისუფლდა ამ „გარეშე“ ელემენტებისაგან, რომ ახალი დროის „წმინდა პოეზიაში“ ბოლოსდაბოლოს მოქმენა თავისი სპეციალური საგანი — იდამიანის ინტიმური, ემოციური საწყარო — და სწორი არ იქნება, ვეცადოთ მის გამოყენებას, ამ ხარისხებიდან.

მართლაც, ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება არა ერთი მაგალითის მოყვანა XX საუკუნის პოეზიის ისტორიიდან, მაგრამ, რომელ ერთ მათგანს შეუძლია დამრდილება იმ დიდი მაგალითებისა, რომლებიც ჩვენს ეპოქაში, მოკვცეს ისეთმა ღრმად მოაზროვნე პოეტებმა, როგორიც იყვნენ დასავლეთში ემილ ვერჰარნი, ხოლო ახალ რუსულ მწერლობაში — ალექსანდრე ბლოკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი?

აქ საჭიროა ერთი, ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, გარემოების გათვალისწინებაც. მართალია, საბჭოთა პოეზიას უკანასკნელი ორი

ათეული წლების განმავლობაში ახსოვს მთელი-თები, როდესაც, კემმარტიად ღრმა ფილოსოფიურ ძიებათა ნაცვლად, ბევრი მწერალი გუთამეზობდა აზროვნების სურათებს. მაგრამ დღევანდელი დღისათვის, როდესაც, მაგალითად, რუსულ საბჭოთა პოეზიაში დაიწყო ფასეულობათა ერთგვარი გადასინჯვა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი შემოქმედებითი გამარჯვებისათვის მიუღწევიათ სწორედ იმ პოეტებს, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მეტს ფიქრობდნენ.

კიდევ უფრო ნიშანდობლივად მიგვიჩნია ის ფაქტი, რომ დღეს საბჭოთა პოეზიაში ღრმა და გაბედული აზროვნებისადმი განსაკუთრებულ მისწრაფებას იზენენ სწორედ ახალი თაობის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, აქ შეუძლებელია — კონკრეტული მაგალითების მოყვანა, ქართული ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებიდან, რადგანაც მათი პირველი ცდები დღეს მოკლებული არიან სისრულეს და გარკვეულობას. მათს შემოქმედებაში ეს მისწრაფება გერგეობით არსებობს უფრო, როგორც სურვილი და მოთხოვნილება, ვიდრე ხელშესახები ტენდენცია. და მაინც, მიუხედავად ამ გაურკვეველი და ხანასახობრივი მდგომარეობისა, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის სიმპტომატური მოვლენა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას. სწორედ აქ უნდა ვეითათ ახალი პოეტური დინების სათავე. ჩვენ გვინდა გუჯეროდეს, და იმედოვანი გვაქვს, რომ ხვალინდელი დღე ქართულ პოეზიაში შეიტანს ახალ კონტეტივებს, რომ პოეზია წაეა ახალი, უფრო ღრმა მსოფლმხედველობით ძიებათა ვხვებით. სწორედ ამის გამო დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ რეალისტრად შეაფასოს ის აღმოსავალი მდგომარეობა, ის წინასწარ მოცემული ნიდაგბე, რომელზედაც მას უხდება ფრთების გაშლა და გასარბნად მომზადება.

აუცლებელია ერთნაირი სიფხზლით იქნეს გაანგარიშებელი როგორც ჩვენი უფროსი თაობის წარმომადგენელთა ნამდვილად დიდი მიღწევები, ისე იმ მწვერვალთა სიმაღლეს, რომლებიც მათ თივანთ მომავლებს დაეტოვებს ასაღლებ.

აქ შეიძლება და წერტილის დასმა; თუ ჩავუვლით, რომ გიორგი ლეონიძისა და მისი თაობის სხვა პოეტთა შემოქმედება წარმოადგენს ქართული პოეზიის მხოლოდ გუშინდელ დღეს.

საბედნიეროდ, ეს არ არის ასე. და ამის გამო, როდესაც ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ჩვენი პოეზიის მომავალზე, ყურადღება, პირველ რიგში, მიპარობილია ქართული ლექსის იმ ნაცად ისტატთა მიმართაც, რომელთა რიგს ლეონიძე ეკუთვნის.



## ანა კალანდაძის პოეზია

ანა კალანდაძე ღრმად ემოციური პოეტია. ახლახან გამოხული „ლექსების“ მეორე წიგნი ამოწერა და წარმოგვიდგინა ავტორის მკვეთრად გამოძიებული პოეტური პიროვნება.

ანა კალანდაძის ლექსების მკითხველს პირველად სამშობლოს მიწით ნაკვები უხილავი მძლავრი ფესვების სურნელება იზიდავს. ცხადია, ანა კალანდაძის ეროვნულობა მარტო იმ ლექსებით კი არ განისაზღვრება, როგორც „საქართველო ლამაზო“, „მრავალკემიერ“ ან „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, რომლებშიც კონკრეტულად არის საქართველოზე ლაპარაკი, ეს თავისებურება საერთოდ მისი პოეზიის ამოსავალია, პირველსაწყისი; ეს თვისება თანაბრად არის გაბნეული მის ყოველ ლექსში — ცალკე და ერთად.

ძალიან ბევრი საგულისხმო თვისება, რომლებიც კალანდაძის პოეზიას ახასიათებს, სწორედ აქედან იღებს თავის საწყისებს: უხვი სურნელება, რომელიც მის ლექსებშია, კლორიტულობა, რომელიც მხოლოდ ამდიდრებს მის ლექსებს, სახეების პლასტიკურობა, რომელიც მან შეიძინა ქართული პოეზიის უძველესი და შესანიშნავი ტრადიციებიდან და, ბოლოს, მის ლექსებში მოიპოვება ის იდეალური ნამდვილი პოეზიის, რომელიც ყველაზე მეტად ქართულ ფოლკლორის შედევრებში გვაქვს, ეს თვისებები მნიშვნელოვანწილად არის გაბნეული ა. კალანდაძის ლექსებში. ანას შემოქმედებიდან ჩანს, რომ მისთვის აბლობელი უნდა იყოს როგორც ფრანგული ლირიკა, ისე ძველი სპარსული პოეტები, იმპერ ხაიამი, თაგორი და ვარსია ლირიკა.

ხშირად ნაციონალიზმის განზოგადებული ან გაგებული როგორც კარნაქტილია, რაც ზღუდავს შემოქმედს და მოყავს იგი გაუმბაროებისაკენ. ა. კალანდაძე დაზღვეულია ამგვარი საშიშროებისგან. მას შეუძლია თავისი გრძნობების, შეხედულებების განზოგადება, ფართო პლანში გაშლა. მისი პოეტური ზედა საკმაოდ რაფინირებულია.

კლორიტულია მისი ლექსები: „შემოდირდა ჩვენში კალანდა“, „თოვლი აჰარა-გურიის მთების“, „დღეს მკვდარ დემილით ველი ვრცელში“, „დამილოცეთ, მშებო!“ „ამოშა ქალი“ და სხვ., მაგრამ ზოგი ლექსი გამოირჩევა უაღრესი სურათოვნობით, ბრწყინვალეობით, თავისებურით რიტმით.

მზე ოკეანით ამოვა მძიმედ,  
გაბრწყინდებიან შორეული ზღაბრული  
მთები...  
თავს მოვიკაზმავ სირაქლეშის ლამაზი  
ფრთხებით,  
ველზე შევიბამ ბრტყევილა მძივებს...  
ჩემი საქმარო ნაზი გრძნობის აღსანიშნავად  
ვერ მიძღვნის ბეჭედს ძვირფასთვლიანს,  
აბრეშუმს ცისფერს;  
ის დამილოცავს ზღვას და ხმელეთს  
შორეულ ცის ქვეშ;  
თუ დაეღონდები, მოაწვევენ ასი წლის  
შამანს,  
ყელზე შევიბამ სულ უბრალო, ბრტყევილი  
მძივებს,  
არ მინდა ოქროს სამკაული ძვირფასი  
თვლებით.  
თავს მოვიკაზმავ სირაქლეშის ლამაზი  
ფრთხებით  
და მზეს ვემდებრებ ოკეანით მომავალს  
მძივებს.  
(„მე მზეს ვემდებრებ“).

ამ ლექსში, ისევე როგორც ლევენდის ბერე-სით სავსე, მეორე, ლექსში „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, კარგად არის გამოხატული წარმართი ქალის სასიყვარულო ენებები, მისი ზოგიერთი საყოფაცხოვრებო დეტალი.

ოსტატურად ფლობს პოეტი პლასტიკურ მეტაფორებს. მის ლექსებში მოპოვება გარდამავალ ცვალებად ფორმებშია დანახული. სტატიურობა ა. კალანდაძის პოეზიაში უპირისპირდება ექსპრესიულობას, უკანასკნელის სასარგებლოდ აქედან გამოიმდინარეობს მისი ლექსების ნაზი, მოხდენილი პლასტიკა:

...ტყის ბანოვანი ზანტი ზმორებით,  
ტანშობატული უცხო ზოლებით  
მორჩება ლოცვას და, შიშის მკერელი  
ხელში დაირით  
ველუბს დაივლის  
და უზუნდარას იცეკვებს ვეელი...

ფორმათა პლასტიკურობა და ფერადონება დამახასიათებელია ა. კალანდაძის ნაწარმოებში. პოეტის მხატვრული პალიტრა მდიდარია. მას უფრო ღია, მზიარული ფერები უყვარს და



თუ ისინი ჩვენ გემოვნებით განაწილებულად გვეჩვენება, იმიტომ, რომ მათ ხმარებაში სითამაშე და სილაღე იგრძნობა. ფერების სიმკვერთე მოუცლევებელია მისი პოეზიისათვის. ზოგი მისი ლექსი პოეტური ფერების ნიმუშია. საღებავები ნაირნაირია და აწებულია. პოეტისთვის საქმარისი არ არის ყაყაპის წითელი ფერი, იგი ვამოცხებულაა ღვინისფერით. უდავოდ ამგვარმა ისოციაციამ შექმნა ეს სახე: „ქლივს მობარბაყებს მთვრალი ყაყაო, ომარ ხაიამ!“ ან როგორ ადვილად თავსდება ჯენს წარმოადგენაში ასეთი სახე: „შენა სუნთქვია ღერჯი ზალაბი“ („ამ სურათ სვამენ“). ძნელია უფრო ამკარად ვაღმოსცე ღამის ვარსკვლავების ბრწყინვა, როგორც ეს ლექსშია „ვარსკვლავები“. თუმცა ეს ლექსი არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ზერხებით, რაიმე განსაკუთრებული პოეტური შედარებებით, მაგრამ მისი წაქითხვის შემდეგ თქვენს მართლაც გაბრწყინებულ ვარსკვლავებს სიძაგ.

ძნელია ანა კალანდაძის თითოეულ ლექსზე ცალკე დიდხანს შეჩერება, მათი დაწვრილებით ანალიზი. ლექსი იმდენად მთლიანი და შეკრულია, რომ მისი „დაშლა“, დანაწევრებულად გარჩევა არ ზერხდება. შეიძლება მათი დიდხანს კითხვა ან მოსმენა, თუკი ისინი მოგვიწონს და, პირიქით, უფროს არაღებია, თუკი არ მოგვიწონს. ანას ლექსები ამგვარაა: ისინი გემოვნებით შესრულებული დამთავრებული სურათებია, აღბეჭდილი განწყობილების მძლავრი ზემოქმედებით, საღებავების სიმკვერით, წარმოდგენა, მომხიბვლელი ქაღირებით და სურნელით ავსებულნი.

რა შეიძლება ითქვას ლექსზე „ამ სურათ სვამენ“ თუ არა ის, რომ იგი ფერადების გემოვნების თანმიმდევრობაა? ან კიდევ, რომ აქ აღმოსაველური ხატოვანება არის გადმოცემული? ამ ნაწარმოებში ისევე ომარ ხაიამის ცნობილი სახეები გაიზივებებულა, მის მიმართ კვლავ მისივე პოეტური არსენალი არის ნახმარი და შემდეგ მიძღვნილი გულწრფელი განცდით და პოეტური გულისძახილით. პოეტმა ანდავარ ზერხს მისცა უპირატესობა. უფრო ტრადიციული ზერხით არის შექმნილი ლექსი „ლაღო ასათიანს“.

ხანდახან კრებულში ვხვდებით მეოცნებე ადამიანის განწყობილებას, ბუნების პასიურ აღქმას „აქ სთფლთა მთვარის“, „ლუნასზე და რიცა“, „წყლის ზამბახი“ და სხვ., მაგრამ ა. კალანდაძის პოეზიაში ვერცხვულად ქარბობს ბუნების ჯანსაღი, რომანტიკული ვარცა. მისი პოეტური ვიზიანება მისი რეალიზმის კარგი დადასტურებაა და ვეღლაზე უხვად არის აქ შვისა და სიერციის შერძინობა, „ღერჯი ზალახები“ და ქრის უფრო ზნირად ქარიშხალი, ვიდრე ქარი: „ქარო, მოუვალს ცალზე დაღვი ჩემი მიწერი“, „ღრუბლები“, ცილა „ფშავში“ და სხვ. ზოგჯერ ლექსში იგრძნობა გამაბეილებული ნერვული ფეთქვა ან რიტმული მკვეთრი მოძრაობა:

ქარები მოვარდნენ, რტოს რტოზე  
 შეთრთოლდნენ ფოთლებზე  
 მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ  
 ფოთლები... ფოთლები...  
 ხეები, ხეები, ხეები გაფითრდნენ,  
 გამარნენ და გაფითრდნენ, რას  
 მოსწყდნენ და გაფრინდნენ, გაფრინდნენ  
 ფოთლები... ფოთლები...  
 („ფოთლები... ფოთლები...“).

ანა კალანდაძის პოეზიის მნიშვნელოვანი ელემენტია ექსპრესიული, შინაგანი პათეტუკა. პოეტმა კარგად იცის, რომ შინაგანი დამძაბობა, გამომსახველობითი სიუცაღე მიიღწევა პოეტური სახეების ექსპრესიული ხმარებით, ემოციათა კონდენსირებით. შთამბეჭდაობისათვის სხვადასხვა პოეტური ზერხი არსებობს და მათ შორის ერთერთ სახარბიელო ზერხს წარმოადგენს ექსპრესია, გამომხატველობითი თვალსაჩინოება. ა. კალანდაძე ზნირად მიმართავს ამ საშუალებას იმიტომ კი არა, რომ მას უპირატესობას ანიჭებს, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი პოეტური ბუნებისათვის არის ჩვეული. შინაგანი ექსპრესიით არის შექმნილი „ქარში“. ამ ლექსში არა მარტო ქარიანი პეიზაჟია დახატული, ცალკეული ბუნების სურათი — ხეები ქარში, აქ გადმოცემულია მაღალი სულიერი აღმაფერნა, ისეთი, როდესაც ადამიანს სუნთქვა ეცეცება. ძლიერი ემოციით აღნიშნება ლექსი „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“. ეს კარგი პატრიოტული ლექსია. იგი დაწერილია დიდი ტკივილით, მაგრამ აქ ჩანს მხოლოდ იმ ადამიანის უღრუკე განწყობილება, რომელიც დამარცხების შემთხვევაშიც საღდაც, რომელიც მორენტში გაიპარკვებულად თვლის თავს.

მზე აიწია ფეხის წვერებზე,  
 მზემ შვის ქალქში ჩამოიხედა,  
 იდგა თბილისი როგორც ერკვლე,  
 ხმაღმემართული ნარის ციხესთან.  
 ღრუბლები როცენ დაიძინენ ქარში  
 და შიამურეს ლილისფერ მითაო.  
 ასეთი დარი თუ იყო მაშინ,  
 ოდეს თბილისი აიკვს სპარსთა?

პოეტური ვერცხვლების უშუალობით აღბეჭდილია „არაბი ხარ“, „შენ არჯაველო მხიარია“, „შაფიგა“; სისაღეთა და გულწრფელი ლირიზმით გამოირჩევა „მე ლამაზი მეგობარი შეყდა“; ამგვარი უშუალობა და სისაღავე მოწმობს პოეტის ხალის ნიქს. მაგრამ სრული თავისი შესაძლებლობანი ანა კალანდაძემ სხვა ლექსებში გამოავლინა. ეს ლექსები უღრესი ქალურობით და კდემით გამოირჩევიან. პოეტი გულსაჩუბით უს-

მეგს საკეთარ გულისხმას და მთელი ქალური სინაზით, სისათუთით გადმოგვეცემს მას. ა. კალანდაძისათვის მეტად ნაყოფიერი იყო 1945 წელი. იგი ქმნის ამ დროს პოეტური ნაწარმოებებს, რომლებიც სრულყოფილია და მისი შემოქმედების მიღწევას წარმოადგენს. რამდენი პაეროვნება და პოეტური თართოლეაა ლექსში „რა ვარ? სტეირი ვარ!“, რომელიც ა. კალანდაძის პოეზიაში ზვეწ შედეგად მიგვიჩინია. ეს ლექსი მეტად ქალურია, ან მარადქალური, როგორც გერმანელები ამბობენ, ოდნავ სექსუალური და სავსე მწვავე სინაზით. ამ ლექსის სტრიქონები ყველაზე მითოლოგარეა და ნატიფი ქრებულში, მაგრამ მით უფრო დასანანიია, რომ მის გაუნდა ახალი ვარიანტი, ჩვენი აზრით, გაყოლებით ვაუბრალივბული. საქმე ისაა, რომ ანა კალანდაძის „ლექსების“ წინა წიგნში! ამ ლექსის — „რა ვარ? სტეირი ვარ!“ — ბოლო ოთხი სტრიქონი იკითხებოდა შემდეგნაირად:

მზე ჩამწერნელებს ლელიანის ტევარში  
შობილსა,

იმღერეო, პატარა ქალი!

შთამბერე, ქარო,  
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა.

პოეტ ქალს რატომღაც, ვტყობა, არ მოსწონებია პირველი ორი სტრიქონი და შეუცვლია უკვე ნასკნელ გამოცემაში ამგვარად:

მაგრამ... დახედეთ განჩინებებს ამა  
სოფლისას:

მეტყვი სცდებო, პატარა ქალი

შთამბერე, ქარო,  
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!

პოეტმა თითქმის მეტი „ლოგოერობის“ შეტანა სცადა თავის ნაწარმოებში, მაგრამ ოდნავ არისწორმა შეხებამ ლექსს მხოლოდ ვება მოუტანა. ასევე გაუმართლებლად მიგვიჩინია ამ ლექსის დასაწყისიდან მესამე სტრიქონში ზმარება სიტყვა „უგუნერის“ იმის ნაცულად, რაც იქ იყო. თუკი ავტორს განსხვავებული განწყობილება უჩნდება მისი წაითხვის შემდეგ, უკეთესი იქნებოდა ეს ახალ ნაწარმოებში გამოეთქვა.

კარგია „თუთა“ თავისი ლაღი ეროტიკით და ქალური გრაციით; „თქვი, კიამაივ“ — ჯერ

გაუღვივებელი, ყმაწვილქალური გრძნობებით, „შეყვარებულნი ოდეს ქარები“, „პაწმინა რტო ვარ“ და სხვ.

ანა კალანდაძის ლექსებში შესწორებულ ნაწარმოებთა ურო „ორი ქვეყნის საზღვრად ვღვევარ“. აქ შესანიშნავად არის გადმოცემული დღისა და ღამის ვაერა, როდესაც მზე ჩასულია და მიწაზე მხოლოდ მისი სხივები დარჩია. ეს ეს დროა, როდესაც ბინდი ჯერ არ დამდგარა, ადამიანი მოკლე ხნით არაფერს აკეთებს, ელის დამინდებას, რათა შემდეგ საღამოს საქმიანობას შეუდგეს. ამ დროს ადამიანი ვმშვილობება კიდევ ერთ წასულ დღეს და ბუნებრივია, „გული ეხერება“. ეს დრო თითქმის სიმბოლოა სიკვდილ-სიცოცხლის მონაცულების, მათი ერთმანეთთან მოსახლერობისა. ეს ნაწარმოები შექმნილია იმ უსახელო იღვამალებით, რომელიც საერთოდ ნაშვლიად მალანზატერულ ლექსებში გვხვდება. ამგვარ ნაწარმოებში ქვეტექსტი ზმირად რამდენჯერმე აღუმატება ტექსტს. ლექსში ნამდვილ პოეტურ ხილვასთან გვაქვს საქმე.

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად  
ვღვევარ,

გულო, რისად მეხერები?  
სხივ-მიმკრთალი, სხივ-მიმკვდარი მკვდართა  
მზე ვარ,

ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები...  
კორნიოტას, კორნიოტას თესლი ვალზეა,  
ოროტლად მიღის ნესტიანი სუნთქვა მიწის,  
ნაკიდულს სიმღერებში სძინავს ლალას,  
ღუნით ვისმენ ბელურების წიგ-წიგ-წიგ-წიგს  
ამოღიან, ბალახების სუნთქვა მესმის,  
მაგრამ... მინიც გული რისად მეხერება?  
ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი  
აქვარეს და გაიტაცეს ბელურებმა...  
ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად

ვღვევარ,  
გულო, რისად მეხერები?

სხივ-მიმკრთალი, სხივ-მიმკვდარი მკვდართა  
მზე ვარ,  
ჩემს სხივებში ვიკვივებენ ბელურები...

არსებობს შესანიშნავი მეტაფორა ქართულ ფოლკლორში: „მკვდართა მზე“, როდესაც ჩამავალი მზის დარჩენილი სხივები უძლურად ანათებენ მიწას, ქართული ფოლკლორის მიხედვით, მზე მკვდრებისთვის ანათებს, იგი „მკვდართა მზეა“. ეს ხატოვანი ხალხური თქმა დაედო საფუძვლად ა. კალანდაძის ლექსს. ეს ნაწარმოები ისევე ძალუმიია, როგორც თვითონ მისი წარმოშობის ქართული თქმულება და ისეთივე იღვამალებით სავსე, როგორც, თუნდაც, ვარსია ლიტკას „რამანი შავი სევედის შესახებ“. ამ ნაწარმოების აღქმაში თითქმის გრძნობათა რამდენიმე ორგანო იღებს მონაწილეობას. მკითხველის თვალწინა მზის მოკეთათლო სხივები, რომლებიც ანათებენ, მაგრამ არ ათბობენ და ადამიანს თითქმის სიცოცხლა და სიბოძს შერგძნობა დაეკარგა. უცნაურად

1 ანა კალანდაძე — „ლექსები“, სახელგამო, 1953 წ.

და იღუმალიდ გაისმის ამ დაბატულ, მართლაც და მკვდარულ პეიზაჟში ბელურების წიწვივი და ეფეფივი, იგი სრულებით არ აცოცხლებს მას; პირიქით, ოდნავ შემამარწუნებელი გაიწყობილობა შეაქვს ლექსში და, ბოლოს, საყვედრო, რომელიც ბელურებმა აკენეს, გამზმარი, „ხმელი თესლია“. ამგვარ გრძნობებს აღძრავს ყოველი დღის წასვლა, გვეუბნება ავტორი. მაგრამ ამ ნაწარმოებში პოეტი არ გვევლინება ხმა ქვეყნის განწირულების ამლბარებლად. პირიქით, იშვიათად არიან ასე თავდაუწყებობი შევყარებულნი სიცოცხლისადმი, თავის სამშობლო ქვეყნისადმი, როგორც ა. კალანდაძე, ასე მადლიერი იმ ნაირფეროვანი, დიდებული ძღვენისა, რომელსაც ცხოვრება, დედბუნება გვაწვდის. ა. კალანდაძე ყოველთვის ეძებს საბაბს, რათა თავისი კარგი პოეტური ხმით ღირსეულად შესწიროს მადლი თავის სამშობლოს და მის გარშემო მყოფთ. და თუ ამ ლექსში — „ორი ქვეყნის საზღვრად ვღვებო“ ჩვენ გამოუთქმელი პანაგები ვგვისმის, ეს უთუოდ იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი, პოეტი იქნება იგი თუ არაპოეტი, ყოველდღიურად დღისა და ღამის გასაყარში ეთხოვება ბუნების ღაზითი, შემოქმედებით საცხე, სიანტერესო და გაუმთავრებელ დღეებს. ამგვარად უნდა გავიგოთ ჩვენ პოეტის ეს ნაწარმოები.

ასეთივე მაღალი პოეტური ღირსებებით აღბეჭდილია „ეწირო ბილიკებს ბილიცი ჩასდევს“ და სხვ. ანას ამ ლექსებში არის ნამდვილი ჩამწვლობა, ადამიანის სულის სიღრმეობა და განკვერტა.

უნდა აღინიშნოს, რომ ანას შემოქმედებაში, თუ მისი დათარიღებული ლექსების კრებულით ეთხელმდებანელებთ, დიდ ტეხილს ჰქონდა ავტორი. ეს ტეხილი 1946 წლიდან 1952 — 3 წლებამდე მოდის, როდესაც პოეტს არც ერთი ასე თუ ისე მაღალმატერული მნიშვნელობის ნაწარმოები არ გამოუტყვევებია და საერთოდ ეს პერიოდი ორი-სამი ლექსით არის წარმოდგენილი. ამგვარი ხანგრძლივი პაუზები თავის წარუშლელ დაღს ასევეს შემოქმედის ზელოვნებას; უკანასკნელი ხანის ლექსები არ გამოირჩევიან იმ ხარისხოვნებით, რაც ათი-თორმეტი წლით ადრე დაწერილ ნაწერებში ხანს. პოეტი თითქოს ნაკლებად მუშაობს თავის ლექსების ფორმაზე, ევრსიფიკაციაზე და მხატვრობაზე.

საერთოდ, ცოცხალი, ძლიერი ემოციები, რომელიც შემოქმედს პირველ ხანებში წარმტაცქმნილებს აწერინებს, უფრო მოგვიანო ასაკში ინტელექტუალური სიმშვილი აღინიშნება და სულიერი მოტივები უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს შერლის შემოქმედებაში. ხალასი, შიშვე-

ლი ემოციები გაშეალებულია სულიერი, შინაგანი ინტერესებით. ეს უდალესი მნიშვნელობის ფაქტორია, რომლის კანონზომიერებას მუდამ განიცდიან შემოქმედნი, ამიტომ შეუძლებელი ინტერესით ელის ანა კალანდაძის პოეზიის შემდგომ განვითარებას.

გამოთქმული აზრი ვრცელდება, ძვევ, ცივლზე „ფშაშაში“. იგი ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსების მოზაიკას წარმოადგენს; აქ გამოირჩევიან „ფშაშალო ქალავ“, „რომ ავოლოლი გულის-თქმას“, „არაგვი იცვლის აკლაბიტს“ და სხვ. მაგრამ ამ „ფანრშივ“ პოეტს მართებს ზომიერების დაცვა და ერთგვარი შიჯნის დაწესება წინდა ხალხურ კილოსა და დიდ ლიტერატურის შორის. ანა კალანდაძემ უდავოდ უნდა დაადგინოს მათ შორის მიმართება (მოვითხოვთ, რომ ლორკას ბრწინებულ პოეზია მაღიანად ანდაღუზიერი ფოლკლორით არის გამოკვებული).

ნამდვილ შემოქმედებს ყოველთვის დიდი პასტისმებელობის გრძნობა აქვს საერთო თავის წინაშე. იგი ყველზე გულისხმიერად საკუთარ პიროვნებას, თავის პოეტურ „მეს“ ევტობა, რადგან შემოქმედებითი საწყისები პოეტის ინდივიდუალობიდან გამოიშინარებენ; შემოქმედება პოეტის პიროვნების უკუფენაა. ამიტომ, რომ შემოქმედი ზელოვნად ხშირად „ხელშეკრულებას“ სდებდა საკუთარ თავთან, საკუთარ პოეტურ სამყაროსთან. ამ შინაგანი „ხელშეკრულების“ გარეშე იშვიათია შემოქმედება და ა. კალანდაძე თავის კრებულს ამგვარი აღთქმით ამთავრებს:

მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად  
რომელიც მიხმობს,  
მე ვუსმენ შენს ხმას იღუმალსა, რომელიც  
შთხობობს,  
მე ვიღებ იმ მსხვერპლს, რას სამსხვერპლო  
შენივე ითხოვს,

შენივე მწუხრით აივსება ესოდენ წრფელი.  
ო, შენ მარადის მომეახლე სხივითა კანკალით,  
თან დაგიმარბავს, როგორც მარვალიტს,  
ჩემი გულის მდუმარე ჭსკერი.

(„მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც მიხმობს“)

ანა კალანდაძეს შეუძლია თვალა გასწირობის სინამდვილეს და მიიღოს იგი თავისი სართულთ და წინააღმდეგობებით, რადგან ამის გარეშე არ არსებობს შემოქმედება. ზელოვნება მოითხოვს მსხვერპლს, სულიერ სიმტკიცეს და სიწრფელს. პოეტი თავის სათუთ გულისხმას აწრთობს იმ სიამელებში, რომელიც ნამდვილად შეუხვედრია და იმ „სხივითა კანკალით“ მოახლოებულ აღმადრენაში, რომელიც უკანახაბებს მას პოეტურ სტრუქტურებს. აქ ბრას შემოქმედების სათავეები, ასე აღწევს პოეტი ზელოვნების სიმათლეს. ასეთია ა. კალანდაძის მხატვრული შრწამსი.





## მათარი ხალხის გმირი პოეტი მუსა ჯალილი

1944 წელს ბერლინში, მოაბიტის ციხეში ფე-  
შისტმა ჯალილებმა სიყვდილით დასაჯეს საბჭო-  
თა ოფიცერი, თათარი ხალხის გმირი შვილი და  
ცნობილი პოეტი მუსა ჯალილი (მუსა მუსტაფის  
ძე ზალილოვი). 1942 წლის შემდეგ არაფერი იყო  
ცნობილი მუსა ჯალილის ბედის შესახებ. ბერ-  
ლინის იერიშით აღებნის დროს საბჭოთა მეომრე-  
ბმა მოაბიტის ციხის ბაბილოთეიკის ერთ-ერთი წი-  
ვინის ბოლო გვერდზე აღაფეს წარწერა: „მე, ცნო-  
ბილი თათარი პოეტი მუსა ჯალილი, პოლიტიკი-  
სათვის ჩაიწვედიელი ვარ მოაბიტის ციხეში და  
მისჯილი ვაქვს დაჭრეტა... ვთხოვთ გადასცეო  
ჩემი საღამო ა. ფადეევს, პ. ტინინს, ჩემს ნათე-  
სავეებს“.<sup>1</sup> ამრიგად, ვიარკვე, რომ მძიმედ დაჭრი-  
ლი მუსა ჯალილი ტყვედ ჩაიგდეს ფაშისტებმა,  
საკონცენტრაციო ბანაკში ჩააწყვედიეს იგი და  
შემდეგ ანტიფაშისტური საქმიანობისათვის სე-  
კვდილით დასაჯეს.

მუსა ჯალილის, მგზნებარე საბჭოთა პატრიო-  
ტისა და პოეტის, ცხოვრება და შემოქმედება მკო-  
ნდრო არის დაკავშირებული საბჭოთა ქვეყნისა  
და მისი ხალხის გმირული ბრძოლების ისტორი-  
ასთან. იგი დაიბადა 1906 წ. ორენბურგის (ახლა  
ჩკალოვის) ოლქის სოფ. მუსტაფაში, საიდანაც  
მალე მისი ოჯახი საცხოვრებლად ქ. ორენბურგ-  
ში გადავიდა. პატარა მუსამ ლექსების წერა და-  
იწყო ჯერ კიდევ ათი წლის ასაკში. 1919 წელს  
თურქესტანის ფრონტის გაზეთში „ყზოლ იულ-  
დუზ“ (წითელი ვარსკვლავი) დაიბეჭდა მუსა ჯა-  
ლილის პირველი ლექსები. ამ ლექსებში ჯალი-  
ლი მგზნებარედ მოუწოდებს ახალგაზრდებს შე-  
ვიდნენ წითელი არმიის რიგებში.

1922 წელს მუსა ჯალილი გადადის ყაზანში  
და შემოაბას იწყებს ვაზეთ „ყზოლ თათარსტა-  
ნის“ (წითელი თათარის) რედაქციასში. შემდეგ  
ჯალილი შემოაბას პიონერულ ფერწახლებში „ქე-  
ჩქენე იბტემლერ“ (ახალგაზრდა ამხანაგები) და  
„ოქტიაბრ ბალის“ (ოქტომბრელი). 1927 წლიდან  
იგი სწავლას აგრძელებს მოსკოვის უნივერსი-  
ტეტში.

1929 წელს გამოდის ჯალილის ლექსების მეო-  
რე კრებული „იბტემე“ (ამხანაგები); ჩქარა ამას  
თან მოჰყვა სხვა კრებულებიც: „ქეჩქენე აღა-  
სიზლარ“ (ვაზეთი უღმერთონი) „ორდენდი მი-

ლიონა“ (ორდენოსანი მილიონები), „შიგირლარ  
ხემ პოემალარ“ (ლექსები და პოემები). 1935  
წელს გამოდის მუსა ჯალილის ლექსების თარ-  
გმანი რუსულ ენაზე.

1938 წელს მუსა ჯალილი მოსკოვიდან ყაზანში  
ბრუნდება და იქ აქტიურ მონაწილეობას იღებს  
ახალი თათრული ოპერის თეატრის დაარსებაში.  
წერს და თარგმნის ლიბრეტოებს. 1939 წლიდან  
იგი თათრეთის საბჭოთა მწერლების კავშირის  
პასუხისმგებელი მდივანია.

სამამელი ომის დაწყების პირველ დღეებშივე  
ჯალილი მოხალისედ მიდის ფრონტზე. აქ იგი  
ვანაკრობს ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვა-  
წეობას, მგზნებარე ლექსებით აღფრთოვანებს  
მებრძოლებს ფაშისტა დამპყრობლების წინააღ-  
მდეგ ბრძოლაში. 1942 წელს მძიმედ დაჭრილი  
მუსა ჯალილი ტყვედ ჩაიგდეს გერმანია და სა-  
კონცენტრაციო ბანაკში ჩააწყვედიეს. მგზნებარე  
საბჭოთა პატრიოტს აქაც არ შეუწყვეტია ბრძო-  
ლა გერმის წინააღმდეგ. მუსა ჯალილი ტყვეო-  
ბაში, არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში და-  
წერა თავისი შესანიშნავი ლექსები, რომლებშიც  
მისმა მეგობრებმა ციხეში, პოეტის სიყვდილით  
დასჯის შემდეგ, დიდი სიფრთხილითა და მონდო-  
მებით შეინახეს და ომის დამთავრების შემდეგ  
საბჭოთა ორგანოებს გადასცეს. ტყვეებს შორის  
აქტიური არაღვალადური შემოაბის განაღებისა-  
თვის გესტაპოს აგენტებმა შეიპყრეს მუსა ჯა-  
ლილი და ბერლინში მოაბიტის ციხეში ჩაეტყეს,  
სადაც იგი სიყვდილით ექნა დასჯილი 1944 წელს  
10 იანვარს.

მუსა ჯალილიმ განკლო საბჭოთა აღამიანის  
გმირული ცხოვრების შესანიშნავი გზა. იგი მუ-  
დამ იღვა სოციალიზმის მშენებელთა მოწინავე  
რიგებში და თავისი შემოქმედებით აქტიურ მონ-  
აწილეობას იღებდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი  
წინსვლისა და ძლიერებისათვის ბრძოლაში. ქა-  
ბუკი პოეტი მგზნებარედ მოუწოდებდა თავის  
თანატოლებს „ებრძოლათ მუშათა საქმისათვის“.

მუსა ჯალილის მშვიდობიანი მშენებლობის  
პერიოდის შემოქმედების სერიოზულ თემას წარმო-  
იდგენდა საბჭოთა აღამიანების შემოქმედებითი  
შრომა. თუ სამოქალაქო ომის წლებში იგი ახალგა-  
ზრდობას მიზნად უსახავდა ებრძოლათ ჯერ კი-  
დედ ნორჩი სოციალისტური ქვეყნის დასაცავად,  
ახლა იგი მომავალი თაობის ყურადღებას ამაჯი-  
ლებს ახალ მიზნებსა და ამოცანებზე, ახალგაზრ-

<sup>1</sup> მ. ჯალილის წერილი, Нескoлькo слов o  
Мусе Джалиле, წიგ. Муса Джалиль, Из-  
бранное, Москва, 1955 г., გვ. 3.



და პოეტი თავის ლექსებში აღტაცებით მოგვითხრობს საბჭოთა აღმშენებლის მტკიცე ნებისყოფაზე. მათ თავდადებულ შრომას და უწყვეტ დაწყვეტილებასზე, ააშენონ სოციალისტური საზოგადოება, აღამაინათ მომავლე ბედნიერების საფუძველი. პოეტს წაშს თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის, იგი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა ბრწყინვალედ შეასრულებს ამ საპასუხისმგებლო ამოცანას. ლექსში „პოლესის შესახებ“ ჯალილი წერს: თუ ჩვენ მოვისურვებთ წინ წავიდეთ, დაწვებულ საკმებზე ხელს ვერ აგვადებინებს ვერც სიცივე, ვერც ყინული, ვერც ღრუბელი. საბჭოთა ქვეყნის შეილება შეძლებენ გზის გაკაფვას პოლარულ ქვეყნების გულისაყენ... როგორც არ უნდა უზარავეს ქარი ყინულვანი მინდვრებიდან, როგორც არ უნდა იქონებოდეს ქარიშხალი, რა ჯიუტობაც არ უნდა ახასიათებდეს თოვლის ყოჩაღბელს, ჩვენ საბჭოთა მიწაწლის მოქალაქეები ვართ. ჩვენ შრომისა და ბრძოლის შეილება ვართ... შეილება ცეცხლოვანი ოქტომბრისა; ჩვენი მტკიცე ნებისყოფა და ფოლადისებური შეუდრეკელობა დაძლეეს ზამთრის ეინაინობას. დამორჩილებს ქარსა და ზღვას, დაიპყრობს ყინულოვან სივრცეებს პოლუს, არქტიკას.

მუსა ჯალილი თავის ლექსებში აღფრთოვანებული მოგვითხრობს, რომ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების საყოველღეოდ მიმართული ყოველგვარი შრომა დიდებისა და ღირსების საქმეა, საამაყო და პატივისცემას იმსახურებს („წერილების დამტარებელი“). ჩვენი ეპოქის ღირსეული აღამაინათ ის, ვინც თავს გამოაჩინდა და ახალ-ახალ წარმატებებს მიადრეკს შრომაში. საბჭოთა აღამაინათ ცხოვრების აზრს პოეტი ხედავს უკეთესი მომავლისათვის შრომისა და ბრძოლაში. იგი აღტაცებულია მოწინავე აღამაინების შრომითი გმირობით („ზეინაბი“, „ყოლმეურნე ქალიშვილს“). ამავე დროს პოეტი არ ზოგავს მათ, ვინც ცოცხალ საქმეს ცაჩრელი ლაყობით ცეცის, ვინც ზარზაკობს, თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას და ცდილობს სხვისი შრომის ხარჯზე იცხოვროს („ღამის გუშაგი“, „ეჰამი“).

მუსა ჯალილის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხთა შეგობრობის, ინტერნაციონალიზმის თემატიკას. მას აღაფრთოვანებდა ჩვენს ქვეყანაში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის გაფურჩქნა-აყვავება. ლექსში „სტუდენტის დღიურიდან“ პოეტი სიხარულით იგონებს სკოლაში გატარებულ წლებს და აღტაცებით წერს: ჩვენი სიცილი ფარავდა მთელ ქუჩებს; ყველა ჩვენგანი სიხარულით ხეუბნოდა როგორც ზამთრის ქარბუქს, ისე გაზაფხულის მზეს. აქ ჯგუფის ერთიან ოჯახში ვიზრდებოდით ჩვენ, სამოცდაათი. დედის ბავშვები, დამეგობრებულნი სწავლის პერიოდში; ჩვენ ერთმანეთთან საერთო მიზნით ვართ დაკავშირებული.

მუსა ჯალილის შემოქმედებაში განსაკუთრებ-

ული ადგილი უკავია საბჭოთა პატრიოტიზმსა და საშობლოს მტრებთან ბრძოლის თემატიკას. ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის ელენში მის მიერ დაწერილი ოპერეტა „ქალტაქ“ („ქრისაქ“ და „ოლდარის“ ლიბრეტოებში წარმოდგენილია საშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ეთიკური-მორალური მოტივი. ოპერაში „ალტინ ჩეინი“ განსახიერებელია ხალხის აჯანყება დამპყრობთა წინააღმდეგ. ოპერის მთავარი პერსონაჟი ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლე გმირია. პოეტი კარგად ხედავს, რომ ერთი და იგივე არ არის იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობა, რომელიც ომს იწყებს ერთი მუტა მონოპოლისტების კარნახით, და ამ ქვეყნების ხალხი, რომელსაც ძალით ახვევენ თავს ომს.

მუსა ჯალილი, თავისი საშობლოს მგზნებარე პატრიოტი, პირად სიცოცხლეზე მაღლა აყენებს თავისი ქვეყნის სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს. თავის წერილში ცოლისადმი იგი წერს: „პატრიოტიზმის დიდი გრძობა, თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის სრული შეგნება ყოველთვის ძლევის შიშის პირად გრძობებს. როდესაც ჩნდება აზრები სიყვდილის შესახებ, მაშინ ასე ფიქრობ: სიყვდილის შემდეგ კიდევ არის სიცოცხლე. არა ის—იმქვეყნური სიცოცხლე“, რომელსაც ქადაგებდნენ მღვდლები და მოღვინა. ჩვენ ვცით რომ ის არ არის. აი, ხალხის ცნობიერებაში, ხსოვნაში არის სიყვედილის შემდეგ სიცოცხლე. თუ მე ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი, უყვადვი გაავაყო, მე ამით დავიმსახურე ის, მეორე სიცოცხლე, სიყვდილის შემდეგ, ამაში მღვდამარეობს ცხოვრების მოზანი: იცოცხლო ისე, რომ სიყვდილის შემდეგაც არ მოკვდები. აი სწორად ეს სიცოცხლე საშობლოს სიყვარულის, საზოგადოების, ქვეყნის ინტერესების პირად ინტერესებზე უფრო მაღლა დაყვრების გრძობა, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის მილიონობით აღამაინებისათვის, წარმოადგენდა სამართლო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების ერთერთ პირობას.

როცა ფაშისტური ურდოები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, მუსა ჯალილი მობალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც საბჭოთა მეომრის საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებასთან ერთად განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. ამ დროს მისა ლექსები იბეჭდებოდა თათრულ ეურანალში. „სოვეტ ედიბიატი“ (საბჭოთა ლიტერატურა). ლექსში „წერილი სანგრებიდან“ მუსა ჯალილი წერს: „მე ვიცი, რომ ყოველ გასროლაში გასმის ხალხის მქუხარე მრისხანე ხმა; მე ვიცი, რომ ჩემს უკან საყრდენად აღმართული უძლეველი ქვეყანა... დე, ჩემს სანგრებზე კიდევ უფრო მრისხანედ გამალოს ფრთები სიყვდილში, მით

<sup>1</sup> იხ. ა. ჯალილის წერილი, Несколько слов о Мусе Джалиле, წიგნ. Муса Джалиль, Избранное, М. 1955, გვ. 4.

უფრო მიყვარს მე თავისუფლება, მით უფრო დღეს სიციცხლე ჩემს მხერგულ სისხლში.

პოეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა არმია გაიმარჯვებს და განათავისუფლებს ევროპას ხალხებს ფაშისმის უღლისაგან. ლექსში „ევროპაში გაზაფხულია“ იგი მტკიცედ აცხადებს: როგორც არ უნდა პნელოდეს, მაინც გათენდება; როგორც არ უნდა იყოს ზამთარში, მაინც მოვა გაზაფხული; ევროპისათვის ჩქარა დადგება გაზაფხული, ნათლად ციალებს ის ჩვენს დროშებზე... ცოცხალი იმედი გააღვიძებს მილიონების დიად, სიუცუნებში დაღვიწვარი აღმავლობისათვის, მომავალი გაზაფხულის გაციცქროვებელი დროშები გაიფრთხილ თავისუფალ ხალხთა ბელებში.

სამწებაროდ, მუსა ჯალილი ვერ მოესწრო ევროპის გაზაფხულს — მის განათავისუფლებას ფაშისტური უღლისაგან. ფაშისტმა ბარბაროებმა ტყვედ ჩაიფლეს იგი. ტყვედ ჩავარდნის მძიმე განცდები ასახულია ტყვეობის ჯურღმულებში დაწერილ ლექსში „მამაკიე, სამშობლო!“ ტყვედ ჩავარდნის გამო შეძრწუნებული პოეტი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ იგი ამ მოკვდა ცხარე ბრძოლებში მებრძოლის გმირული სიკვდილით, რომ სიკვდილმა გვერდი აუარა მას და უქანასკნელად უმტყუნა იარაღმა. მაგრამ პოეტი სულით არ ეცემა; მას კიდევ აქვს იმედი, რომ მისი სიუცურული სამშობლოსადმი და ზოგი მტრის მიმართ მასთან ერთად განთავისუფლება ტყვეობიდან; იგი კვლავ ჩადგება სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში.

უაღრესად მძიმე იყო პატრიოტი პოეტისათვის ფაშისტთა ტყვეობაში ყოფნა. მაგრამ იგი მტკიცედ განგარბობდა ბრძოლას. ჯალილმა ტყვეობის უძიმეს პირობებში დაწერა ათობით მგზნებარე ლექსი, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დიდი გატირებით ახერხებდა ის ქალღმრთის ნაღვლებს პოეტს. შემდეგ პოეტმა ქალღმრთის ეს პატრი-პატარა ნაღვლები მცირე ხოშის წიგნად შეკრა და მტრის თეილის ასახვევად უდავო დააწერა: „გერმანულ-თურქული-რუსული სიტყვებისა და ლექსების ჩასაწერი წიგნაკი“. იმ დროს დაწერილ ლექსებში ტყვე-პოეტი კონსპირაციის ზიზნით ხშირად ხშირობს არაბულ სიტყვებს, ან წერს სიტყვებს ასობის შეზღუდვებით თანამედვერობით, იმ იმედით, რომ სამშობლოში გაიგებენ მის აზრს.

მოუხედავად ამ სიფრთხილისა, გესტაპო მაინც აპატიმრებს მუსა ჯალილს. იგი ბერლინში მიხვევა და მოპოიტის ციხეში ათავსებენ, სადაც ის ცოტა ხნის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

მუსა ჯალილი კარგად გრძნობდა რას უშნა-დებდნენ მას ფაშისტები, მაგრამ სულით არ დაცემულა. ახლა მას თავისი ლექსების ბედი აწუხებდა, მის უქანასკნელ ჩანაწერში, რომელაც

ლექსების რვეულთან ერთად გადასცა წარსულის საბჭოთა საკონსულოს ბელგიელმა პატრიოტმა და მუსა ჯალილის ციხეს დაწვავს. ანდრე ტიმერმანმა, პოეტი წერს: „მეგობარს, რომელსაც შეუძლია წაიკითხოს თათრულად და წაიკითხავს ამ რვეულს. ეს დაწერა თათარი ხალხისათვის ცნობილმა პოეტმა მუსა ჯალილმა. ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ყველა სამიწუნებათა გამოცდის შემდეგ, ის, რომელიც ვერ დაიმორჩილა სიკვდილის ათსგვარმა შიშმა, გადმოიყვანეს ბერლინში. აქ მას ბრალად დასდეს იტალიაში ტყვეობის ორგანიზაციის მონაწილეობა, საბჭოთა პროპაგანდის გავრცელება... და ჩამწყვდევნილია ციხეში. მას სიკვდილით დასაჯეს. ის მოკვდება. მაგრამ მას დარჩება პატრიოტობაში დაწერილი 115 ლექსი. მას ეს აწუხებს. თუ ზღმა ჩავივარდეს ეს წიგნაკი, სუფთად, ყურადღებით გადაწერე ისინი. თუთარად, გაუფრთხილდე შათ და ომის შემდეგ აიკრებე ყაზანში, გამოიცილე ის, როგორც თათარი ხალხის დაღუპული პოეტის ლექსები. ეს არის ჩემი ანდერძი. მუსა ჯალილი. 1943 წ. დეკემბერი“<sup>1</sup>.

მუსა ჯალილი — თათარი ხალხის საყვარელი პოეტი და მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი — ისევე როგორც ჩუხი ხალხის საამაყო შვილი იუდილი დუნიკი, უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა მომავლის მტკიცე რწმენით, მაგრამ მას ჭედი არ მოუხრია მტრის წინაშე. ლექსში „ჯალილის“ მუსა ჯალილი ამაყად აცხადებს, რომ ის ჭედი არ მოიხრის ფაშისტთა ჯალილის წინაშე, რომელიც მისი თავის მოსაკვითად არის გამზადებული. პოეტს მხოლოდ ის აწუხებს, რომ მან ბრძოლაში მარტო ასი ასეთი ჯალილის მოსპობა მოასწრო და არა ათასის.

გერმანულმა ფაშისტებმა სიკვდილით დასაჯეს სამშობლოს მოსიყვარულე პოეტი, მაგრამ საბჭოთა არმიამ დაამარცხა გერმანელი ფაშისტები, განათავისუფლა ევროპის ხალხები. მუსა ჯალილი ვერ მოესწრო ამას, მაგრამ სამაგიეროდ ახლა მისი სიტყვები: იგი, როგორც პოეტი და საბჭოთა მოქალაქე, კვლავ დაუბრუნდა თავის ხალხს, თავის დედა-სამშობლოს. საბჭოთა ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დაითესეს გმირი — პოეტის სამშობლოსათვის თავდადება. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ლენინური პრემია მიენიჭა. მუსა ჯალილი თავისი ხალხის გულში კვლავ ცოცხლობს სიკვდილის შემდეგ სიციცხლით. მისი პოეზია და სამშობლოსათვის გმირული თავდადება აღადრთოვანებს მილიონობით საბჭოთა აღზრდილებს.

<sup>1</sup> იხ. გ. ყაშაიის წერილი. მუსა ჯალილი, გერონიკური პოეზია, მ., 1955, გვ. 9.



## „რუსულ-ქართული დემსიკონის“ გამოცემის გამო

20 წლის წინათ, 1937 წელს, პირველად გამოვიდა ს რ უ ლ ი რუსულ-ქართული ლექსიკონი ერთ წიგნად. მას შემდეგ ენის მარაგი შეივსო, ზოგი რამ შესწორებასა და დაზუსტებას მოითხოვდა და ამან გამოიწვია ახალი ლექსიკონის დამუშავება და გამოშვება: ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ამჟამად გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ პირველი ტომი. ეს არის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ლექსიკონზე დიდი მუშაობაა გაწეული. წიგნს მრავალი ღირსება აქვს, მაგრამ შევადარებ მოიპოვება საცილობელი და მცდარიც. სწორად საცილობელისა და მცდარის შესახებ ვვინდა ვაგვზიაროთ მკითხველს ჩვენი მოსაზრება.

### I

თავდაპირველად ლექსიკონის რედაქტორის (რედაქციის) შესახებ. ლექსიკონს ზღვამქვეანელობს სარედაქციო კოლეგია, მას ჰყავს თავი მ ა რ ე მ ა რ ე და ერთიანი რედაქტორი, მთავარი რედაქტორი არა ჰყავს, და ეს ეი აუცილებლად საქმეს დაზიანებს, და კიდევაც დაზიანა.

Двигатель აქამდის იყო ძრავა, ახლა რატომღაც შეიქნა ძრავა. იმავე დროს, мотор-თან ის არის ძრავა. ძრავა არნ. ჩიქობავას რედაქტირებულია, და ძრავი, არ ვიცით, ვისი?

Вагоностроительный завод — „სავაგონომშენებლო ქარხანა“. ენას მოიტებ, სანამ ამას იტყვი! თუ შეინცადამიანიც ეს სიტყვა აუცილებელია, უნდა ვაგამარტივოთ: სავაგონმშენებლო, „ო“ უკვე აღარაა საჭირო, ისე როგორც ახლა აღარააღენ დაპარაკობს და წერს „ხელნაწერი“, არამედ მხოლოდ „ხელნაწერი“ იწერება. ამ მხრივ ლექსიკონში ბევრია შესასწორებელი. რაც შეეხება „სავაგონომშენებლოს“, რასაკვირველია, უკეთესია ვაგონსაშენი, როგორც ჩვენ დავადგიინეთ და შევიღეთ სატერმინოლოგიო კომიტეტში. ამ მხრივ სწორია: машиностроительный завод — მანქანასაშენი ქარხანა. საერთოდ строительный, როცა ეს ეხება საწარმოს, ქარხანას და მისთანებს, უნდა ვადაითარგმნოს: საშენი, საშენებელი და არას გზით მშენებელი, როგორც სისტემატურად დაპარაკობენ და წერენ: машиностроительный завод „მანქანათმშენებელი ქარხანა“. ამ მხრივ ლექსიკონის ხაზი სწორია, მაგრამ „ვაგონსაშენი“ და არა „სავაგონომშენებელი“.

კიდევ ერთი მაგალითი: ერთი რედაქტორი რომ ყოფილიყო, градостроительный „სახალაქომშენებლო, ქალაქთსაამშენებლოს“ ეი არ დაწერდა, არამედ ქალაქსაშენს.

ეს ერთიანი რედაქტორის მიმართ! ერთი მონაკვეთის რედაქტორიც რომ სხვადასხვაგვარად აღორძებს ერთისა და იმავე კატეგორიის ცნებებს?! ამას რა ვუყოთ? Железоделательный завод — რკინისაგებობელი ქარხანა. უმჯობესია — „რკინის საკეთებელი ქარხანა“.

Землеустроительные мероприятия — სამონათმომწყობო ღონისძიებანი? „ღონისძიებანი“ მომწყობანი არ შეიძლება იყოს, არამედ მოსაწყობი („მონათმოსაწყობი ღონისძიებანი“).

ასე იღის, როცა ლექსიკონს არა ჰყავს ერთი რედაქტორი!

Движение აქამდის იყო „ამძრაი“, დღეს რატომღაც: მძრაი, ამძრაი. მძრავის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ამძრაი ზომ привод-ია! ამას ვარდა: двигательный და движущий ორივე „მამამძრავებელი“ ყოფილა, რაც არ არის სწორი.

### II

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ყოველმა ახალმა ლექსიკონმა უნდა შეგვიძინოს ახალწარმოებული სიტყვებიც. ყოველად შეუძლებელია, რომ ლექსიკონის ავტორმა, ლექსიკონის შემდგენელმა მხოლოდ იმით განსაზღვროს თავისი კომპეტენცია, რომ სხვა ლექსიკოგრაფოსების მიერ ნახმარი სიტყვები ვაიმეოროს და არ სცადოს ენაში ახლად დამადებული საჭიროებისათვის შექმნას ახალი სიტყვათომქვესები. მაგრამ ამ შექმნის აუცილებელი პირობა უნდა იყოს ორი გარემოება: 1) ახლად შექმნილი სიტყვა უნდა სრულიად გვეუბროდეს ქართული ენის ბუნებასა და სტრუქტურას; ამ ახალი სიტყვის ნაწილები უნდა იყოს ფართოდ ზმარებული სიტყვები; 2) ამ ახალი სიტყვის ვაგება არ უნდა ვაუქირდეს ლექსიკონის მომხმარებელს, ე. ი. მის გასაგებად არ უნდა იყოს საჭირო კიდევ დამატებითი განმარტებები.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, წინამდებარე ლექსიკონიც შეიცავს რამდენიმე ასეთ სიტყვას, კარგად გაეთვებულ, ასე ვთქვათ, ტერმინს, რომელსაც საამოვებებით მიიღებს ჩვენი მწერლობა. მაგ., вероступничество რაქულანდგომილობა местничество ადგილუფროსობა



местничать ადგილფეროსობის ძიება

молчанка დუმილობა

მაგრამ ამათ გვერდით არის ბევრი სიტყვა, რომლებიც ქართული ჟურნალისთვის ზელოვნურად და უცხოვრებენ.

თარგმნის დროს („რუსულ-ქართული ლექსიკონი“ თარგმნითა) ის ენა, რომლიდანაც ვთარგმნით, უთუოდ ახდენს ჩვენზე გაცილებას და ხშირად გვაიწყნებდა იმ ენის ინტერესი, რომელზედაც ვთარგმნით: ეხმარობთ ამ თარგმნის დროს ისეთ სიტყვებს, რომლებსაც სხვა დროს არ ვიხმარებდით, რადგან ქართული მეტყველება ამ სიტყვებს არ ხმარობს, ყოველ შემთხვევაში, ვიწრო, მეტად ვიწრო ხმარებისად თვისის.

თითქმის 40 წელია, რაც ჩვენ სამეცნიერო ტერმინოლოგიების დამუშავებაში მონაწილეობას ვღებთ. სწორედ ამ ხანით თავი იჩინა სათარგმნელი ენების გავლენამ. სატყდალისტები მოითხოვდნენ, რომ ყოფილიყო:

внимательность უფრადღებიაობა (და არა „უფრადღება“)

вывих ღრძობილობა (და არა ღრძობა)

дряблость მოღუნებულობა (და არა მოღუნება)

заразительность გადაღებულობა (და არა გადაღება — სენისა)

изнеженность განაზებულობა (და არა განაზება)

окраска შეღებულობა (და არა შეღებვა, შეფერვა)

освещение განათებულობა (და არა განათება)

перелом მოტეხილობა (და არა მოტეხა)

და სხვა მრავალი.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტს „სული კბილით ევირა“, როდესაც ამ ტერმინების სანქციას იძლეოდა, მხოლოდ იმ იმედით, რომ ამ სიტყვებს ვიწრო, სატყდალური გამოყენება ექნებოდა და ქართული მწერლობა მათ დიდ სარბიელს არასცხით არ მისცემდა, ვერ მისცემდა.

ჩვენი მხოლოდინი გამართლდა. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არც ერთი ეს სიტყვა (გადამღებობა, ანქარებულობა და სხვ.) არ მოიპოვება. რატომ? იმიტომ, რომ ქართულ მწერლობას ისინი არ უხმარია დღემდე. თვით ისეთი სიტყვაც კი, როგორცაა გარკვეულობა, რომელიც ქართულისათვის ჩვეულებრივი სიტყვაა, ირკვევა, რომ ქართულ მწერლობას არ უხმარია. „განმარტებით ლექსიკონს“ არც ერთი ციტატი არ მოჰყავს ამ სიტყვის ხმარების დამადასტურებელი. ასეთივეა სიტყვა „ხენდაიანობა“, რომელიც აგრეთვე „განმარტებით ლექსიკონს“ მოჰყავს, როგორც მწიგნობრული, ყოველგვარი ციტატის დამოწმების გარეშე.

რატომ შევჩერდით ამ სიტყვებზე? იმიტომ, რომ თუ „ქართულ განმარტებით ლექსიკონს“ ეს სიტყვები არ შეუტანია, არ შეუტანია იმიტომ, რომ ქართულ მწერლობას არ უხმარია და არც იხმარს, არც იყო მათი შეტანა საჭირო „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“. ყოველ შემთხვევაში, კარგად მოქმედობს რედაქტორი, რომ ზელოვნური

„ღრძობილობა“, „ამოვარდნილობა“ უარყვეთ და ნამდვილი ქართული სიტყვა ღრძობა უხმარია.

მაგრამ „ლექსიკონში“ მრავალი სიტყვაა, რომლებიც მანაც ზელოვნურად შექმნილი სიტყვები. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

вмногомаленький გამოიმალეველური

заворот გადასცენა (უნდა: გადასასცენა)

заинтересованность დაინტერესებულობა (უნდა: დაინტერესება)

выхлоп გამობოლქვა (ტერმინია)

выхлопотать გამოსარჯვლა; он выхлопотал ему пенсию პენსიას გამოსარჯვავს (შეიძლება ვთქვათ: პენსია დაანთხენინა მისთვის)

вышелушить გაქმინა (ტერმინია)

гладкость გულზიზღობა, გულზიზღიერობა

гладкий გულზიზღი, გულზიზღიერი

гладкость გადატყცილობა

гладкость გამართულობა (ამ სიტყვას ქართული მწერლობა ხმარობს „მოწყობილობის“ (обстановка) მნიშვნელობით).

гнилостный процесс ლობობით პროცესი (შეიძლება ვთქვათ: ლობობის პროცესი)

гнусавость დუღუნობა (შეიძლება: დუღუნეი)

годность გამოსადეგობა (მაგრამ ქართულში გააკეთა „გამოსადეგობა“)

голосность დიდხმიანობა

манерность გატყარტყულობა

маслянистость ზეთიანობა, ზეთოვნება

материалистичность ანგარებიაანობა

материалистичный ანგარებიაინი

мгlistость ბერუსიანობა

мелочливый თაფლმჭოთლვარე

мелькать თვალმოსაკავად გამოჩენა

мертвенность მკვდრისებრი გაფითრებულობა

мечтательность ოცნებიაანობა

милосердие გულმოწყალებობა

мимозный ალოგამეველი, ასლომიმავალი,

миролюбие ეთოლგანწყობა

(„ეთოლგანწყობა“ ნიშნავს „კარგად მოწყობას“, благоустройство)

многозначительность დიდმნიშვნელოვნობა

многосемейность დიდოჯახიანობა

молчаливость ენაშენახულობა, ენადაცულობა

морской ზღუერი (12 მოყვანილი ნიმუში არც ერთი არ არის „ზღუერი“).

мужиковатость გავრობა (იხმარება „გავრო“)

мягкотелость თონთლობა, დონდლობა

III

ლექსიკონში არ არის საჭირო ადგილის ეკონომიის დაცვა აზრის სისრულის საზიანოდ. თუ გამოთქმის შემოკლება ოდნავ მაინც იწვევს გაუგებლობას, არ არის საჭირო მივმართოთ შემოკლებას:

дратва — გაფხიშობა, განათლული ძიფე



(344) როგორ უნდა გავიგოთ ეს? შეგვიძლია дратва გადავთარგმნოთ: გავისული ძაფი, თუ აუცილებელია აგრეთვე „ვასანთლული“ მიეუზაროთ? უნდა იყოს: გავისული ძაფი, ვასანთლული ძაფი.

Здоровый мороз — დიდი, ძლიერი ყინვა (487). „დიდი ყინვა“ არ იქნება здоровый мороз? თუ აუცილებლად უნდა მიეუზაროთ „ძლიერი“. უნდა იყოს: დიდი ყინვა, ძლიერი ყინვა.

Дипломное письмо — ფასდაუდებელი, ფასდასამატი წერილი.

драты зубы — ქბალების დამარბა, ამოგლეჯა. заподозривать — ეჭვის, გუშაშის მიტანა. აქ მოყვანილ შემთხვევებს კიდევ არა უშვავს ყოველ შემთხვევაში, ქართული შვითხველი ადვილად გაერკვევა, რომ საჭიროა წაიკითხოს: „ვაფისული ძაფი, ვასანთლული ძაფი“, „ქბალების დამარბა, ქბალების ამოგლეჯა“ და ა. შ.

მაგრამ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში შეიძლება ქართული შვითხველიც დაიხმნეს (უცხოელი ხომ სრულად ვერ გაერკვევა): медовые пряники (გვ. 738) თაფლიანი კეერბეზი. ფაღუსტაკი (ხომ შეიძლება კაცმა იფიქროს: თაფლიანი კეერბეზი, თაფლიანი ფაღუსტაკი) мертвешство (გვ. 746) მკვდრისებრი ფერწასულობა, ვაფითრებულობა (გაუგებარია: მკვდრისებრი ფერწასულობა, მკვდრისებრი ვაფითრებულობა, თუ კმარა მარტო „ვაფითრებულობა“.

время всё выветрит из памяти (გვ. 195) დრო ეველაფერს გააქრობს მესსიერებაში, გააქარვებს. სწორედ გაუგებარია: „გააქარვებს“ სკეპარისა მარტო, თუ უნდა ვთქვათ: „გააქარვებს მესსიერებაში“.

вспыхнуть от стыда სირცხვილისაგან აწითლება, ატყრება (გვ. 183, ბუღეშო). ერთ ნაწირობს წაუტოხოთ ეს: ქართულში კარგად ერკვევა, რუსულთანაც არაა შეწყრალად. ასე ვთავო: ქართულად ეს ნიშნავს „სირცხვილისაგან აწითლება“, ანუ მოკლედ, ერთი სიტყვით „ატყრება“! ჩვენ გვჯონია უკეთესი იქნებოდა: სირცხვილისაგან აწითლება, სირცხვილისაგან ატყრება.

ჩვენ ვერ გავიზარებთ აგრეთვე ერთ ზერბს, რომელიც წესად მიუხმნევა „ლექსიკონის“ საარდაქციო კოლეჯის: უსრულ სახელიან არ იძლევა განმარტებას და მომზარებელს აგზანის იმევე ზნის სრულ სახესთან. ეს წესი შესაწყნარებელი იქნებოდა (ისიც დიდი ვაი-ვაგალობით), რომ ლექსიკონი ერთ წიგნად გამოსულიყო. ავიღოთ: вербовать უსრ. შეკრება... იხ. завербовать და наwerbenათ. გადასულით წიგნს და ნახეთ: завербовать მოკრება (მოკრებს). იხ. უსრ. вербовать შნიშვ. 1. ხოლო ამ უკანასკნელზე არც პირველი მნიშვნელობაა მოყვანილი და არც არავითარი. რაც შეეხება наwerbenათ-ს, ის ზომ მეორე ტომში იქნება.

Вывеска-ს შესახებ. წინათ საქართველოში 9. „მნათობი“ № 8.

(მთელ აღმოსავლეთში) არ იყო ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ რუსულად вывеска-ს, რაც უნდა იქნის მაგიერ? დღესინი არსებულე სიტუაციას წინაშეები იყო კარგთ გამოტანილი. ამას ვუწოდებოდა ფრ. ამის ნათი ახლაც ვცხვდება (თითო-ორილა). მაგალითად, მაღაზიის წის დაკიდებულა დიდი სათვალის მაკეტი: ეს ნიშნავს, რომ იქ ყოფიან ან აკეთებენ სათვალეს. ანდა: უზარმაზარი ჩემპის მოდელი; მაშასადამე, იქ ფესსიკელის მაღაზიაა და სხვ.

თავის დროზე, როდესაც საჭირო შეიქნა სიტყვა вывеска-ს გადმოქართულება, არაკანონიერად გამოიყენეს უცხოური სიტყვა აბრა, რომელიც სრულად სხვა რასმე ნიშნავს, სახელდობრ: სასწორის საჭარბი, привесок для уравнения весов. საღ вывеска და საღ привесок! ჩვენ, სატერმინოლოგიო კომიტეტში, სხვაგვარად მოვიქცეთო: ავიღეთ ფარი და „ნიშის“ (ნიშანის) დართით შევიქმნით ტერმინი ფარინაში. „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“ ეს ტერმინი პირველ რიგში მოუთავსებია, მაგრამ ამკარა შეცდომით: ფარინაში. რა შეუშია აქ „ფარი“? „აბრა“ კი ამ შემთხვევაში სრულად არ არის საჭირო!

თევზების შესახებ: белорыбница „კორეგონა“ და არა „თეთრთევზა“; белоглазка ქართულად „ბაღურია“ და ლექსიკონში კი არ არის; горбуша „ღურკანია“ და არა „კუზა“? жерех „ასმა“ და არა „ქერები“, кумбала მხოლოდ „კამბალა“ (კამბულა) და არასგზიო „სეთია“; луга ხომ არის белуга. ეგებ მკითხველს სურს იტოდეს, როგორაა რუსულად სათალი: белужий боковник, ლექსიკონში კი არ არის. Балык ზურგეილი, осетровый балык თარათის ზურგეილი; გამოდის, რომ თართი არის осетр, მაშინ ზეთი რაღაა? იქნებ ზეთი და თართი სინონიმებია!

Вторичный მხოლოდ „მეორეულა“; „მეორადი“ ქართულად არ ითქმის. ქართულად არის „მეორედი“, მაგრამ იგი სხვა რამეს ნიშნავს: ამიტომ დადგენილია და მიღებული: вторичный — მეორეული.

Высотный — დიდმაღალი. რუსულმა პირობითი ტერმინი მოვიგონა, ქართულად გოქმეთებიათ „დიდმაღალი შენობა“, დიდმაღალი ფრენა“. არ ვარგა! უფრო კარგი იქნებოდა: მაღლივი შენობა, მაღლივი ფრენა. აგრეთვე: высотный — მდიდმაღალე. შეუძლებელია! არამედ მხოლოდ „შემაღლია“.

Безопасность და бесстрашие. Безопасность ქართულად უნდა უშინარობა და არასგზით „უშინარობა“. როგორ წარმოებს ეს სახელი? არის სიტყვა „უშინარი“, აქედან სუფიქს ობა-ს დართოეთ: „უშინარობა“, შემდეგ „უშინარობა“. რა შეუშია აქ „ე“? იტყვიან — ოფიციალურად მიღებულია „სახელმწიფო უშინარობის კომიტეტი“. აკადემიის აქვს უფლება და შესაძლებლობა დასვას საკითხი და მიადგინოს სწორი გამოთქმა და დაწერა ამ სიტყვისა. აკადემიები აკვირებენ ხოლმე ამგვარ საკითხებს.

რაც შეეხება *бесстрашие*-ს, მისი თარგმნი „უშიშრობად“ არ არის სწორი. არის სიტყვა „შიში“, აქედან „უშიშობა“.

**Кооперация: потребительская кооперация** — ჩართულად იქნება „მომხმარებელთა კოოპერაცია“ და არა „სარეწაო კოოპერაცია“.

**Книгоиздатель** — წიგნის გამომცემელი (გვ. 598). კარგია! მგარამ: „**книговед** — წიგნმცოდნე“ არ ვარგა. უკეთესია: წიგნის მცოდნე.

## IV

უკანასკნელ, გვინდა შევეხოთ ერთ პრინციპულ საკითხს. რა წესით უნდა იქნეს წარმოებული მუშაობა თარგმნითი ლექსიკონის შესადგენად? რა ღონისძიებები უნდა მივიღოთ, რომ სალექსიკონო მასალა სანდო აღმოჩნდეს? ზემოთ ჩვენ გვკონდა იმაზე საუბარი, რომ ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წარედგინება თარგმნით ლექსიკონს, ის არის, რომ სათარგმნელი სიტყვის ქართული შესატყვისი ემყარებოდეს ცოცხალ მასალას, იმ მასალას, რომელიც ქართული ენის ბუნებასა და სტრუქტურას ეგუება; ქართული შესატყვისი იყოს ხალხში ხმარებული სიტყვა და არა ზელოვნურად შექმნილი გამოთქმა.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საშუალება იმისაგან დასაზღვევად, რომ რუსული სიტყვის ქართული თარგმანი არ წარმოადგენდეს ზელოვნურ სიტყვასა და გამოთქმას, იქნება შემდეგი: ჩვენ უნდა შესაძლებელი სისტემით გავითავალისწინოთ ცნობილ ქართულ მთარგმნელთა მიერ შესრულებული სამუშაო, სანამ ჩვენ შევედგებოდეთ თარგმნითი ლექსიკონის (ამ შემთხვევაში „რუსულ-ქართული ლექსიკონის“) შედგენას, უნდა შევადგინოთ კარტოფეა იმ მასალისა, რომელსაც გვაძლევს ცნობილ მწერალთა და ზელოვან-მთარგმნელთა მიერ სათარგმნო წიგნების შედარება დედანითან. რუსულიდან ქართულად თარგმნილი აქვს სხვადასხვა ნაწარმოებები, მაგალითად, ილიას და აყაის. სახელგანთქმული არიან ძველ მოღვაწეთაგან ივ. მაჩაბელი და ივ. მაქავარიანი, რომელთა თარგმანები ცნობილია როგორც მაღალხარისხიანი; ჩვენს ხანაში ბრწყინვალედ თარგმნიდნენ და თარგმნიან რუსულიდან და სხვა ენებიდან ქართულად ჩვენი საუკეთესო მწერლები. დიდი მუშაობა ჩაატარეს საუკეთესო მთარგმნელებმა მარქსიზმის კლასიკოსების თხზულებათა თარგმნისას. ამ მწერალთა და მთარგმნელთა ნამუშევარი იმით არის საყურადღებო, რომ მათ თარგმანებში იშვიათად იგრძნობა რამე ზელოვნურობა. ჩვენი დაკვირვებით, მათი თარგმანების შედარება დედანთან გვაძლევს უხე მასალას რუსულ სიტყვათათვის ბუნებრივ ქართულ შესატყვისობათა დასაძებნად.

რამდენადაც შეგვეძლო დავეიროვებოდით სარეცენზო „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“, მის სარედაქციო კოლეგიას იმგვარი წინასწარი მუშაობა არ ჩაუტარებია, ე. ი. არ ამოუკრეფია მასალა ზემოდასახელებული კარტოფეის შესადგენად.

ამიტომაც მოხდა, რომ სარეცენზო „ლექსიკონში“ ვერ პოვეს ადგილი *превращение* სიტყვას. მას კარგმა ქართულმა გამოთქმებმა *ქვეყნის* უხმარიათ ჩვენს ძველს სახელოვანსა და გამოცდილს, ქართული ენის კარგ მცოდნე მთარგმნელებს.

**завратиться: как бы свиньи не завратились** — ლორი არ შემოიბაროს

**заведомо** განვებ, განხრახ (ლენინი 25, 323)  
**завлечь: завлекло его слишком далеко** — ჰალიან ღრმად შეატოპინა  
**завоевать: он завоевал большой авторитет** — მან დიდი ყურადღება დაიმსახურა  
**задыхался** ქოხინით.

**защитить: защитный** ხელფასის სახით აღებულ (ლექსიკონში სულ არ არის) **защитное** ნახარკი (ლექსიკონში სულ არ არის)

**застубить** დაზებირება ე. ი. ბევრისა („გაზებირება“ არის ლექსიკონში)

**закленвать: закленвать трещину** შეეკაოწოწოთ ეს ბზარი (ლენინი 25, 322)

**заливать: улицы Парижа заливались кровью рабочих** მუშების სისხლით რწყავდნენ პარიზის ქუჩებს

**заложил ногу на ногу** შემოიღვა ფეხი ფეხზე  
**заложили перья за ухо** კალმები უფრს უკან გაიხარეს

**замазывание** გადაფერჩენება  
**замешательство: произойдет замешательство** „ბარევა მონასტერა“

**занемог** ავად გახდა (ილია)  
**занесенная (рука...)** აღმართული (ზელი)

**заниматься: чем занимается?** რა ზელოვანს ეწევიან?

**заяит: все время был занят** სულ მოცული ვიყავი

**запинаясь** ენის ბორბიკით

**застывает: кровь стынет** სისხლი ძარღვში გაუშრება ზოლზე (ილია IV, 146) ძარღვში სისხლი გაშრა (ილია IV, 150)

**затушеивается** აფუჩჩებს  
**залупавшийся** გზაბზნული

**засверкать: глаза его засверкали** თვალებიდან ცეცხლს ჰყრია

**застенки** ჯურღმულები  
**застыла** ჩრდილაკდა

**засучил рукава** გადაიწია სახელოები  
**затушились (очи)** ბინდი გადაეფარა (და არა გადაეცრა)

**затруднительное положение** უხერხული მდგომარეობა

**затыкать рот** პირზე კლიტის დადება

**захрапывает (кони)** ფრუტუნით... (ილია)

**защищает** მფარველად ადგია, მოსარჩლეობას უწევს



заявлять: стал заявлять свои права მოითხოვა თავის უფლებანი

звонящий бубен მოკრიალუ დაირა (ილია)

здорово кутил ლახათიანი შიფი სკოდნია

земля: на земле ქვეყნად (ილია)

злоба ზორტება (ილია), ბოღმა

злободневный вопрос შვევე საკითხი

зловредно საზარალოა

злойный день გოლიანი დღე (ილია)

золотистый ბაჯალლოს ფერი

зреть: зрела мысль დვიდებოდა აზრი

игральные карты ფსონის ქალაღი

игривый: с игривой веселостью ორზროვანი სუპრობით

идейная жизнь მოაზრე ცხოვრება (ილია IV, 229)

избави აგვაშოროს (აკაკი)

идти: не идут дальше ვერ გასცილებიან

избегал გვერდს უელიდა

известно დასაბაჟიდან

изложить დასტურაბება

изложить марксизм — это значит изложить и диалектический материализм მარქსიზმის დასაბუთება ეს იმავე დროს დიალექტიკური მატერიალიზმის დასტურაბება იქნება

измельчать დაბერდავება

измученный გასაჯაუბებული

исощаются всячески ყოველნაირად ცდილობენ

изучать: с таким рвением принялись изучать (иностранный язык) ასე გაფაციკებით დავაწაფენენ (ეცხო ენას)

изменятый სახელდებელი (ილია):  
თუ ესე არის ნება მას  
დღედასა სახელდებულსა,  
ვინც იმ ყრმის პირველ მიაწვიდის  
თვის ჭებუნს მადლით ცხებულსა

импровизированный სახელდახელოდ გაეთუბული

иначе говоря ესე იგი

инициатива თაოსნობა

иными словами სხვანაირად რომ ვთქვათ

интерес: в интересах трудящегося крестьянства მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ

нога: на ногу ოტის ოდენასაც

Каутский здесь на ногу не расходится с Лениным კავკი ოტის ოდენასაც არაფერს ამბობს ლენინის წინააღმდეგ

ископни თაობითვე

использовать მოხმარება

использовать общую победу исключительно для себя საერთო გამარჯვება მარტო თავის სასარგებლოდ მოიხმაროს

исследователь გამრკვევი

истина: истина и ложь წადმართოც და უსულმართოც

искать: ищут защиты აფარებენ თავს

казна სიმდიდრე

как бы то ни было ასე იყო თუ ისე

как не так ვერ მოგართევს

каперднер შეითარი

квалыаля француз (Бепре) სახმზონიტრანკაქაქა

квалифицированные рабочие დახელოვებული მუშები

кинуть დატოვება

(что кинул он в краю родном? ან რა დასტოვა შშობელ მხარეში?)

клясть в карман ჯიბეში ჩახსრილბა

клиент მუშტარი

козметатკა დედათხა

колени

поставить на колени დაიოქება — დააიოქებს

стать на колени დაიოქება — დაიოქებს

колотилось сердце გულს ბაგაბუღი გაქონდა

комментарии განმარტება

конвойные солдаты მებადრავე ჯარისკაცები

конец დასკნა დოშელ დო სვოეო ლოგიკისკო კონკა

მივიდა თავის ლოგიკურ დასკვნამდე (ლენინი 25, 319)

конкретные вопросы განსაზღვრული კითხვები

конспирация საიდუჭლოება

корень

в корне противоречит ძირიანად ეწინააღმდეგება

корчила იკაცებოდა

косвенная связь

прямая или косвенная связь

კავშირი პირდაპირ თუ სხვისი მეშვეობით

косягор: по косягору თავდაღმა (ილია)

• крайность: до крайности მეტისმეტად, მეტისმეტად

крепостной строй ბატონყმური წყობილება

крепостной труд ყმათა შრომა (პარტ. 5)

крестьянская беднота ლარიბი გლეხკაცობა

критика: подвергнуть суровой критике კრიტიკის ქარცეცხლში გაეჯატარათ

критически კრიტიკული თვალთ, კრიტიკის თვალთ

Кривавый поток სისხლის ნიღვარი

кровля სახლი (ილია); ბანი, ერდო

крупнейший теоретик გამორჩენილი თეორეტიკოსი

Кручина წუბილი (ილია)

крылышко: под крылышком реакции რეაქციის კალთას (იფარებენ თავს)

кстати сказать აქვე შევნიშნავ

кудрявый ხუჭუჭთმიანი

кулачный бой კრუკა

курил папиросу პაპიროსს აბოლებდა

кущая конституция კედმოგლეჯილი კონსტიტუტია

лепечат მეჩერჩელება

лжеც მტყუანი (მტყუანს სიმტყუენის კარამდე მიიყვო)

лихорадочно გაფაციკებით

• лицо: не к лицу არ შეგფერის



лишний: считает это лишним მეტ ბარგად მიანა

лишний груз მეტი ბარგი

льшь ესლა, მარტოოდენ

ложко ხერხიანად

лохматая простыня ხაოიანი ზეწარი

лужайка კორდი

лукавый მელაკულა

любуются ცქერით სტკებთან

люди: на людях გარეთ

и дома и на людях გარეთაც და შინაც

маклер დალალი

маленький кружок მცირე რიცხოვანი წრე

малодушно სულმდაბლად

мал: от мала до велика დიდიან-პატარიანად

мастерской ხელოსანი

масть ჯერი

националисты всех мастей ყველა ჯერის

ნაციონალისტები

медленный процесс ხანგრძლივი პროცესი

медленно აუწყარებლად

мелкими шагами მოკლე ნაბიჯით

мелкопоместный წერილმამულიანი

мера: в известной мере რამდენადმე

мёрзлый შეიხნული

мертворождённый უღღერო

метать: металы против нас გრამი და მოლინი  
თავზე ცეცხლს გეყარდით

милостивый взор მოწვალე ტკბილი

милость: крупница милости მცირე მოწვალეობა

милая უღმბკა ტურფა ღიმილი (ილია)

минуть:

ей минуло 16 лет 16 წლისა შესრულდა

можно:

можно подумать, что...

კაცი იფიქრებს, რომ...

молва მითქმა-მოთქმა

монета: сбить за чистую монету

ნაღდ ფულად გაასაღონ

мост: между нами сожжены все мосты

მათ შორის ჩატეხილია ყველა ხიდი

мускулистыми руками დამარღველი მელავე-

ბით

мишень ზღვევა, სისხლ-ზღვევა (ილია)

აქ ჩამოთვლილი რუსული სიტყვები ყველა მი-

იბოვება „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ სათანადო

თარგმანით, ხოლო აქ ჩვენ მიერ მოყვანილი

ქართული შესატყვისობანი არც ერთი არაა გათ-

ვალისწინებული:

ეფიქრობთ, ლექსიკონის სარდაქციო კოლეგია

გაითვალისწინებს ამ ჩვენს შენიშვნებს.



## გოვუსნიროთ საბუთებს\*

„მოლაყბის“ ვინაობის დადგენას სერიოზული მნიშვნელობა აქვს 60-ანი წლების ქართული ლიტერატურისა და ეერნალისტიკის ისტორიის შესწავლისათვის.

ამის გამო ინტერესით ვაგვიცინათ დ. რამიშვილის წერილს ჩვენს წიგნზე „მასალები ივ. კერესელიძის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის“. ექვი არ გვეპარებოდა, რომ რეცენზენტი, რომელიც ჩვენ თითქოს არ გვეთანხმება, ერთ საბუთს მაინც მოიტანდა მის. თუმანიშვილის ავტორობას დასამტკიცებლად; მოლოდინი არ გამართლდა. სამაგიეროდ, დ. რამიშვილმა მიიღო ჩვენი უმთავრესი დებულებები, რომელთა გაზიარება წოდნის ყველა დასკვნის უნებლიე აღიარებას იწვევს.

დ. რამიშვილი გვეთანხმება, რომ „სალაყბო ფურცლების“ დამფუძნებელია 1858 წ. მარტის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი, რომ ამ პირსავე ეკუთვნის 1857 წ. ნოემბერ-დეკემბრის „სალაყბო ფურცლები“.

ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის აღიარება, რომლის შედეგებადაც ჩვენი რეცენზენტი ვერ ითვალისწინებს, რაც იქიდან ჩანს, რომ გვარუბნებს მარტის „სალაყბოს ფურცლის“ ავტორი მის. თუმანიშვილია. ალბათ, დ. რამიშვილმა არ იცის, რომ ამ „სალაყბო ფურცელში“ დასაბუთებულია მის. თუმანიშვილის გვარი და იგი გაყრტილებული და გაიციტულია.

ამ ეკითხვობით: იქნებ... „იმისთანა დახმარებას ბრძანებს მოლაყბი, (ივლისისებმა იანვრის „სალაყბო ფურცლის“ ავტორი მის. თუმანიშვილი — ა. კ.), როგორც თხზულებითაც ეხმარების“ (დ. რამიშვილის აღიარებითაც, მის. თუმანიშვილი — ა. კ.), სადაც ხმარობს სომხურს ლექსებს: „მუყაითი“ ნაცულად „ბეჯიით“, ანუ „წიბაგის თაგად-ანაურით“... თითქოს ცხვრებს წაასხადებს და სხვა...“ (წინწკლებში ჩანს მთელი გამოთქმები მოლაყბებს ამოღებული აქვს 1858 წ., იანვარში მის. თუმანიშვილის ზელმოწერით დიპტილი სტატიებიდან — ა. კ.) 1858 წ. ნოემბრის „სალაყბო ფურცელში“, რომელიც მარტის ფურცლის გაგრძელებაა, მის. თუმანიშვილის შესახებ ნათქვამია: „საქმირო აღარ არის გამოვლდე უ. ბერძინის სტატიას, ამისათვის, რომ მკითხველი კარგათა ხედავს საქმეს... უკეთესი მაგალითი გვიქვს წინა. იანვრის ნომერში დაგვიბეჭდა უფ.

რედაქტორმა „ციცკრისაში“ ბეგრნი კარგნი პარნი დაგვიხმარებანი შემწეობასაო. უმეტესად ერთი კარგი მყოფდე, ვანათლებული და თუ გნებათ უპირველესი ქართველი ლიტერატორი? (დ. რამიშვილის აღიარებითაც, სიტყვა მის. თუმანიშვილის შეტება — ა. კ.), შეტს ქებას ეს მოაქვს... ახია, რაც მოუხდინა რედაქტორს (მის. თუმანიშვილმა ა. კ.); მაგრამ რას ვამბობთ, მარტო რედაქტორს? — იმისი დაყლება ჩვენია. ანუ რომ არ ექო, არ დავმართებოდა ის, რაც გამოვიცხადე „ციცკრის“ მეთე ნომერში განცხადებით; ჰგვირობენ, რისთვის ვიარნობდი თავს! ჰყვირობენ, რისთვის ყოველსავე ჩვენს თვისებას არ ვუუარებ გულგრილად!... თუ დმერთი გრწამსო, რომელი კაცი უნდა იყოს, რომ გულგრილად უფრებდეს ამისთანა საშინელებას; პატოისანი კაცი (მის. თუმანიშვილი ა. კ.) აძლევს პირობას შემწეობისას კეთილს საქმეზე, შეზღამოს რა გამოდის დრო, ზურმა პირში და დოლი გვერდზედ — გაკვივის იოტუთობა, ვითომც მოსულა კალია და სრულდებით დუნიავებია ჩვენი საზოგადოების სანუგეშო! (ივლისისებმა „ციცკარი“ — ა. კ.) რასაკვირველია, რომ კაცსა ეს ბიროტება (მის. თუმანიშვილისა ა. კ.) ენეწოს საზიზღრად და ამგობიზოს თავის დარჩობა, ეგება ადარ უფრთის მაინც ამ საშინელებას!.. (მაზი ჩეშია, — ა. კ.).

როგორც ვხედავთ, მარტისა და ნოემბრის „სალაყბო ფურცლები“ დამწერილია მის. თუმანიშვილის წინააღმდეგ.

დ. რამიშვილის მტკიცებით გამოდის, რომ მის. თუმანიშვილს ორი წერილი დაუწერია სპეციულირად თავისივე თავის განსაქიქებლად, ვასამასხარაველად და ვასაკიხად. აი, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვო ჩვენი რეცენზენტი მის. თუმანიშვილის ავტორობის მტკიცების სურვილმა! მთელი მისი მსჯელობიდან დარჩა მხოლოდ უნებლიე აღიარება, რომ 1858 წლის მარტის „სალაყბო ფურცლის“ (მაშასადამე, 1858 წ. ნოემბრისაც) ავტორი არის „სალაყბო ფურცლების“ დამფუძნებელი და მასვე ეკუთვნის პირველი ორი „სალაყბო ფურცელი“. ვინ არის ეს პირი? ამის პასუხსაც მარტის „სალაყბოს ფურცელში“ ვპოულობთ: „როგორც მითხრა უფრში (რედაქტორმა — ა. კ.) ბეგრნი საიმედონი კენი დაგვიბრებანი დახმარებას“ — (ეს ციტატა მარტის ფურცლის ავტორის ამოღებული აქვს მის. თუმანიშვილის იანვრის „სალაყბო ფურცლიდან“ — ა. კ.).

\* განხილვის წესით.

ეს ყურში და ჩუმათ (თქმა) ზეერი გაეკეთე, —  
ქანუბობს მარტის ფურცლის ავტორი, — და ცხა-  
და კი ჯერ ვერაზა ვხედავთ“. (ზაზი ჩემია —  
ა. კ.)

ამრიგად, მარტის „სალაუბო ფურცლის“ ავ-  
ტორი, და, მასწავლაძე, 1857 წ. პირველი ფურ-  
ცლების ავტორიც არის „ციკარის“ რედაქტორი  
ივ. კერესელიძე. ასეთია დ. რამიშვილის უნებ-  
ლოე აღიარებიდან გამომდინარე დასკვნა.

ამავე დროს, ათობით სხვა ერთმნიშვნელო საბუთიც  
არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ 1858  
წლის მარტისა და შემდგომში „სალაუბო ფურც-  
ლები“ მის. თუმანიშვილს არ ეკუთვნის, რომ  
მ. თუმანიშვილი მხოლოდ 1858 წ. იანვრის „სა-  
ლაუბო ფურცლის“ ავტორია. დავასაბუღებთ  
ზოგიერთ მათგანს. პირველ რიგში საყურადღე-  
ბია „ციკარის“ რედაქტორის 1858 წ. იანვრის  
განცხადება, რომ მის. თუმანიშვილი სწორედ  
იანვრის მეორე ნახევარში გხდა ამ ეურნალის  
თანამშრომელი. ფაქტების ასეთი დამტკიცების შე-  
დეგად, ამ განცხადებას განსაკუთრებული მნი-  
შვნელობა ენიჭება. ამასვე აღსტურებს „ციკ-  
არის“ რედაქციის 1858 წლის მაისის განცხადება  
იმის შესახებ, რომ მის. თუმანიშვილმა იანვარში  
დაიწყო „ციკარში“ თანამშრომლობა და თე-  
ბერვალში მტრულად განშორდა ამ ეურნალს. ავ-  
რთვე სხვა ცნობებიც:

ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1858 წ. მენი-  
ნა, რომ 1858 წ. იანვრის „სალაუბო ფურცლი-  
სა“ და „ციკარის“ იმავე ნომერში „თ“ს (მ. თე-  
მანიშვილის) ხელმოწერით დაბეჭდილი სტატიე-  
ბის ავტორი ერთი და იგივე პირი იყო, რომელ-  
საც უზომოდ აქებდა, ხოლო პირველ ორ „სა-  
ლაუბო ფურცელს“ და მარტის „სალაუბო ფურ-  
ცელს“, რომელითა ავტორად სხვა პირი მიაჩნ-  
და, — თავს ესპნობდა.

დ. რამიშვილის სიტყვით, მოლაყბის ფსევდო-  
ნიმის დასადგენად ვეღვაზე საიმედო მასალას  
წარმოადგენს მის. თუმანიშვილის ეთის — გი-  
ორგი თუმანიშვილისა და ვაბრ. სულხანიშვილის  
ცნობები; მოყვანილით რეცენზენტის მიერ და-  
სახელებულ ავტორიტეტებსაც.

სულხანიშვილი წერს, რომ იანვრის შემდეგ  
იმ მოლაყბს (ფელისბოშის მის. თუმანიშვილს —  
ა. კ.) „...ერთი სტრიქონიც ადარ აღირსა თქვენს  
„ციკარისა“ (ზაზი ჩემია — ა. კ.).

ამასვე აღსტურებს გ. თუმანიშვილიც. მის.  
თუმანიშვილის თხზულებათა 1881 წლის გამო-  
ცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „...ეს შრომა  
(მის. თუმანიშვილის თანამშრომლობა „ციკარ-  
ში“ — ა. კ.) მხოლოდ ოთხ თვეს გაგრძელდა  
(ფელისბოშის 1857 წ. ბოლო ორ თვესა და  
1858 წ. იანვარსა და თებერვალს — ა. კ.). ის  
ვერ შეურყიდა იმ ლიტერატურულ ურვიობას,  
რომელიც მეფობდა ადრინდელ „ციკარში“ და

თითქმის სრულიად დაანება თავი მწერლობას“  
(ზაზი ჩემია — ა. კ.).

ეს აზრი გამოერბულია „მეცნიერული  
პოეტები“ (ნაწ. 1, 1904 წ.), სადაც ნათქვამია:  
მის. თუმანიშვილი „ციკარის“ განმარტა ოთხ  
თვის შემდეგ“ (ზაზი ჩემია — ა. კ.).

ყოველივე ამის შემდეგ, როგორცა შეიძლება  
იმის თქმა, რომ 1858 წლის მარტისა და მომდევ-  
ნო „სალაუბო ფურცლები“ (მასწავლაძე, 1957  
წლის ფურცლებიც) მის. თუმანიშვილს ეკუთ-  
ვნის?

ამასთან ერთად, ჩვენს წიგნში დამტკიცებუ-  
ლია, რომ მის. თუმანიშვილი 1857 წ. „ციკარ-  
ში“ არ თანამშრომლობდა და ამიტომ შეუძლე-  
ბელია პირველი ორი „სალაუბო ფურცელი“ მას  
ეკუთვნოდეს; ამ ფაქტის დასადასტურებლად,  
სხვა მასალებთან ერთად, დავიმოწმებთ „ციკარის“  
1858 წ. იანვრის სარედაქციო განცხადებას. საი-  
დანაც ვარკვევით ნანს, რომ 1858 წლამდე მის  
თუმანიშვილისა „ციკარში“ არაფერი დაბეჭდო-  
ლა. რეცენზენტი კი ვეუბნება, რომ მის. თუმ-  
ანიშვილი „ციკარის“ დაარსებიდანვე ამ ეურნა-  
ლის ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო. სა-  
დაო რა ვეაქვს? რეცენზენტს უნდა დავსახელე-  
ბინა ეურნალში დაბეჭდილი მის. თუმანიშვილის  
თუნდაც ერთი ნაწარმოები და გავჩემდებოდით,  
მაგრამ, როგორც ყოველთვის, იგი დაუსაბუთებე-  
ლი განცხადებით კმაყოფილდება.

წიგნში ვწერთ, რომ ივ. კერესელიძე თავის  
მოვალეობად თვლიდა „ციკარის“ ფურცლებზე  
მადლობა გამოცხადებისა ეურნალის თანამშრო-  
მლებისათვის და ამ განცხადებებში მის. თუმ-  
ანიშვილი არც ერთხელ არ არის მოხსენიებული.  
დ. რამიშვილი გულბრყვილივდ ამბობს, რომ  
ივ. კერესელიძის მადლობა დაამტკიცებდა მის.  
თუმანიშვილს. ამრიგად, ვ. რ. ორბელიანს, ალ-  
ორბელიანს, დიმ. ბაქრაძეს, ილ. კეკელიძეს,  
ა. წერეთელს, რ. ერისთავს, ლავრ. არაბაიანსა  
და სხვა თანამშრომლებს არ ამტკიცებდა „ციკ-  
არის“ რედაქტორის მადლობა, ხოლო მის. თუმ-  
ანიშვილი რაღაც განსაკუთრებული პირიყვება  
ყოფილა! მაგრამ, საქითაგია: რატომ 1858 წ.  
იანვარში არ დაამტკიცა მის. თუმანიშვილი ივ. კე-  
რესელიძის განცხადებამ და მადლობამ? დავგვი-  
ნებუდი მადლობა უფრო სისამოყენია?

რეცენზენტის აზრით, ივ. კერესელიძე იმტომ  
ვერ უტკიცებდა მადლობას მის. თუმანიშვილს,  
რომ ამით „მოლაყბის“ ფსევდონიმი გამოქალაყ-  
ნდებოდა. დ. რამიშვილს ავიწყდება, რომ 1857 წ.  
ივნისში „მოლაყბის“ ფსევდონიმი არ არსებობდა  
და ამიტომ „შეიძლება“ საჭირო არ იყო.

ჩვენ ვწერთ, რომ მის. თუმანიშვილი არამც  
თუ თანამშრომელი, ეურნალზე ხელისმომწერიც  
არ ყოფილა. რეცენზენტი დემბლით გვერდს უე-  
ლის ამ ფაქტს და თავგამოდებით გვარწმუნებს,  
თითქმის მის. თუმანიშვილი „ციკარის“ რედაქტო-  
რის უფლებებთაც კი სარგებლობდა. ეს ხელს

არ უშლის მას — იმავე გვერდზე გამოთქვას სრულიად საწინააღმდეგო აზრი.

1858 წ. იანვრის განცხადებაში ეკითხვობოთ: „ახლო ვგონებოთ აღარა გავციკორდებომა ერთომა მყოდონე და განათლებულმა პირმა პოლო და ახლოვებულა და ნამდვილო თანამშრომლობა ჩვენი“ (ლაპარაკია მიხ. თუმანიშვილზე, — ა. კ.) ეს განცხადებო ნიოდგეს აქლის მიხ. თუმანიშვილის ატორობის მამტიკებულთო პოზიციას და ამოტომ დ. რამიშვილო ამ სიტყვებს ისე განმარტავს, თოქოქს მ. თუმანიშვილო 1857 წელსაც თანამშრომლობდა „ცისკარში“, ხოლო 1858 წლადან ამ ეტრნალის „დაახლოვებული და ნამდვილო თანამშრომლო“ ვახდა. გამოდის, რომ 1858 წლამდე იყო არ ვოფილა „ცისკარის“ ნამდვილო თანამშრომლო. მაშ, სხვა აღვიოს რად გვარწმუნებს დ. რამიშვილო ასე დავიენებოთ, რომ მიხ. თუმანიშვილო 1857 წელსაც რედაქტოროზე მეტო უფლებებით სარგებლობდა და სარედაქციო წერილებსაც კო წერდა? რომ: „მოწინავე ინტელეფიკცია მიხ. თუმანიშვილს „ცისკარის“ გამოშვეწელისგან ვერკო არ ახვედა?“ რომ „თუმანიშვილო რედაქციოის მახლობლო იყო?“ ახლო რატომ ამტიკოქებს სრულიად საწინააღმდეგოს? ეს კოდევ არადფერი. დ. რამიშვილს განზრახ დამახინჯებულად მოატეს განცხადებოის ტექტი. ჩვენ მის სწოროდ მოვიტინთ და მაშინ ვვლოდფერი ნათელი ვახდებომა. იგ. კერესელიძე წერს: „ამ პირველის წიგანს (1858 წ. იანვრის — ა. კ.) ნახვეარი ჟვეე თომა აღბეჭდილო, როდესაც იმან (დ. რამიშვილის ადარებით, მიხ. თუმანიშვილმა, — ა. კ.) წინა დავვიდო თავის თანამშრომლობო; ამისათვის იმისო კალამო შემოვიდა მხოლოდ მეორეს ნახვეარში ვ. ი. ხვედასხვა ამბავების ნაწილში“ (ხაზი ჩემო — ა. კ.).

ფაქტებს ურდვეეო ლოგოკო აქვს: რადგან 1857 წელს მიხ. თუმანიშვილს არავითარი ურთოფერთომა არ ჰქონდა „ცისკართან“, ამიტომ ამ ეტრნალში მისი არე ერთო სტრიქონი არ დაბეჭდილა და იგო არე სარედაქციო განცხადებებში მოხსენიებული, მაგრამ, როცო 1858 წ. იანვრის მეორე ნახვერიდან მიხ. თუმანიშვილმა „ცისკარში“ თანამშრომლობო დაიწყო, ამ ერთადერთო თვის განმავლობოში შვილო თხზულებო გამოაკვეყნო ამ ეტრნალში (იანვარ-თებერელის ნომრებში). ამოკე ბეგერი 1857 წელსაც დარწმუნო იყო და მ. თუმანიშვილს რომ ეტრნალთან რამე ურთოფერთომა ჰქონდა, აეცილებულად დაბეჭდავდა. ეს ფაქტები ცალ-ცალკე კო არ უნდა ვანვიზოლოთ, არამედ მჭიდრო ურთოფერთავში. 1858 წ. თებერელის შემდეგ „ცისკარში“ 17 წელი იარსებდა, მაგრამ ამ ეტრნალში მ. თუმანიშვილის ერთო სტრიქონსაც ვერ იპოვინთ.

დ. რამიშვილო ცდილობს თეოთეული უტყუარი საბუთო ვეკის ქვეშ დიავენონ, ამიტომ სულ ახლო-ახლო წინააღმდეგობების ქსელში ვხვეკოთ, კოდევ ერთო მავალითო; როგორც აღვნიშნეთ, დ. რამიშვილის სიტყვით, 1857 წელს „ცისკ-

არს“ რედაქციო იმიტომ არ აცხადებდა მიხ. თუმანიშვილის გვარს სარედაქციო განცხადებებში, რომ ემინოდა, ამით „მოლოების“ ფსევდონიმო ვამელავენებულიყო. მაგრამ თუ „მოლოების“ ფსევდონიმის გამელავენებაზე შეიძლება ლაპარაკო, სწოროდ 1858 წ. იანვრის განცხადებო წარმოადგენს ამ ფსევდონიმის აშკარო და წინასწარ განზრახულ გამელავენებას, რადგან განცხადებოში ნოთქვამო: „იმისო კალამო (ივლისსხებებო მიხ. თუმანიშვილო, — ა. კ.) შემოვიდა მხოლოდ მეორეს ნახვეარში — ვ. ი. ხვედასხვა ამბავების ნაწილში“ (ხაზი ჩემო — ა. კ.) მესამე „სალაებო ფერციელიც“, მიხ. თუმანიშვილის სხვა თხზულებებთან ერთად, ეტრნალის ამ ნაწილშიო დაბეჭდილო. ამას უწოდებს რეცენზენტი „შენილბას!“? სავროოდ, მიხელო თუმანიშვილს არავისო ემინოდა — მტკვარში ვიდავდებებს ვებუდვადო ემინე თუ ეტრნალზე ხელის მოწვერებს დაქორავდო?

ჩვენი წიგნის ერთ-ერთო მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ „სალაებო ფერცილის“ წარმოშობო არ არის შემთხვევითო მოვლენო, რომელოში მობულ ლიტერატოროს კაბინეტერიო შოკანების ნაყოფო.

ჯერ კოდევ 1857 წ. ივნისის წერილში, რომელიც ფაქტოროდ პირველო „სალაებო ფერციელიც“, წამოყენებული დებულებები იგ. კერესელიძემ 1857 წ. ნოემბრის „სალაებო ფერციელში“ დიოცვა და ვანავითარო. ისინი რომ ერთო ატოროის ნახვლევიო, ამას გამოუცვლო მოითხველოც შეამჩნევს. აღიარებს დ. რამიშვილოც, მარტო ეს ფაქტიც საკამოსიო იმის დასამტიკებულად, რომ 1857 წლის ნოემბერ-დეკემბრის „სალაებო ფერციელიც“ იგ. კერესელიძეს გეოლენის და ამის უნებლო აღიარებოთ სოთხი საესებოთ ვიდაწვევებოლო; მაგრამ რეცენზენტს არე ახლო შეუძლოა შეუროვდეს ამ დასკვნას.

ფაქტი კო ისე უვქველო, რომ დ. რამიშვილო აშკარად გრძობის უზერბულობას და წერს: „როგორც. და ბაქრაიის წერილო ვვიჩვენებს, ხომ შეიძლება (ხაზი ჩემო — ა. კ.) ეს მიმართელო მას (თუმანიშვილს ა. კ.) ეცუთვინოდეს და არე კერესელიძეს?“

დ. ბაქრაიის წერილს დ. რამიშვილთან არავითარი კავშირო არ აქვს და ასეთი უმართებულო მითოთემა მკელოვარს ამ შეეფერება. ჩვენს რეცენზენტს ჰყოფინს ვამეებოდაო თქვას, რომ ამ ერთ-გვერდიანი სარედაქციო წერილის დასაწერად იგ. კერესელიძემ სპეციოლორად მოიწვიო მიხ. თუმანიშვილო. დ. რამიშვილო დარწმუნებულიო, რომ ქართული ეტრნალის რედაქტორო წეროკოთხების უცოდინარი კაცი იყო და მოცლო სარედაქციო განცხადებების დასაწერადეო კო ვარეშე პირებს იწვევდა. მაგრამ ვვლოდ იცის, რომ ეს ასე არ არის და ასეთი ეტროოზებით რეცენზენტი უნებლოდ უზერბულ მდგომარეობოში ვარდებო. ცნობილოა ისიც, რომ ამ პერიოდში „ცისკარს“ რედაქციო არ ჰყავდა და ეტრნალს მარტო იგ. კე-

რესელიძე უძღვებოდა. თვითონვე წერდა ყველა სარედაქციო განცხადებებსაც, რომლებსაც აწერდა (ზოგჯერ ერთსა და იმავე გვერდზედაც კი) „რ.“, „რედ.“, „რედაქტორი ი. კერესელიძე“, „რედაქცია“ და სხვა.

ივ. კერესელიძე რომ 1857 წ. მართლაც მართლ მარტო უძღვებოდა „ცისკარს“ ამის დასადასტურებლად უმარავი მასალა არსებობს. აღსანიშნავი, ლეკო არდაზანი და სხვ. ხშირად აღნიშნავენ, რომ „ცისკარი“ გამოდის „შრომითა მართოდენ ერთის რედაქტორისა“.

ამასაც რომ ანგარიში არ გავუწიოთ, თვითონ დ. რამიშვილმაც ხომ აღიარა, რომ 1858 წ. იანვრამდე მის. თემანიშვილი არ იყო „ცისკრის“ „მხალხელი და ნამდვილი“ თანამშრომელი.

მაგრამ, რაც მთავარია, სად არის ის „ლოგიკა“, რომელსაც ასე ხშირად ახსენებს დ. რამიშვილი? თუ ივანისის წერილში მის. თემანიშვილი სხვებს მოუწოდებდა დახმარებოდნენ „ცისკარს“, რას აკეთებდა თვითონ? „ცისკარი“ ხომ წელში წყდებოდა მასალების უქონლობისაგან და ნუთუ ამ „მხურვალე გულშემატკივარს“ ერთი წერილი ან ლექსი მაინც არ გამოეტა ეტრნალისათვის?

რეცენზენტის აზრით, 1857 წ. ივანისის წერილის დაწერა მხოლოდ იმ პირს შეეძლო, ვის ოჯახშიაც ილია ჭავჭავაძის კულტი არსებობდა. როგორ შეიძლებოდა 1857 წ. მის. თემანიშვილის ოჯახში ილია ჭავჭავაძის კულტი ყოფილიყო? ხოლო თუ ამასთან დაკავშირებით მაინცა და მაინც ილია ჭავჭავაძის შესახებ გვიწავს ვილაპარაკოთ, მაშინ მხოლოდ ის ვაგვასტყავს, რომ სწორედ ამ დროს სრულიად ახალგაზრდა პოეტი ილია ჭავჭავაძე ივ. კერესელიძემ გრ. ორბელიანს ახოუყენა გვერდში; მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ივანისის წერილში რედაქტორი ივ. კერესელიძე პირველ პირში ლაპარაკობს: „შე ვიცო მკითხველ, საყვარელნო მკითხველნო, რომელთათვისაც ყოველთვის მზათა ვარ... ამ მტკარობას მე მომაწერენ, მეკნია... (ზახე ჩემია—ა. კ.)“ და ა. შ. გამოდის, რომ მის. თემანიშვილს უფლება ჰქონდა ელაპარაკა ივ. კერესელიძის სახელითაც. სუბიექტივიზმს უფრო შორს მიაყვანს დ. რამიშვილი და შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას ყურადღებიათ არ წაუციობხავს „სალაყბო ფურცლები“. 1857 წ. ნოემბრის „სალაყბო ფურცელში“ წერია, რომ ივანისის წერილი „შეუთხველადმი“ ივ. კერესელიძის (რედაქტორის) თხულებია. აქ კეთილბოლო: „უფალმან რედაქტორმან ცისკრისამ დაგვიბეჭდა ორი განცხადება თურნალში... გასპირებია გამოცემა მცირეთა ხელისმოწყობითა მიხედვით. იმ განცხადებაში გულწრფელობით აღიარებს თავისი რედაქციის უშუალოდობას“ (ზახე ჩემია—ა. კ. ყოველივე ამის შემდეგ, ვინა ითვებ შეძლებს ვარტყოთ, რომ ივანისის სტატია ივ. კერესელიძის ან ივ.

თვინს? ამ შემთხვევაშიაც დარბა მხოლოდ რეცენზენტის უნებლიე აღიარება, რომ ივანისის სტატია და პირველი ორი „სალაყბო ფურცელი“ ერთი და იმავე ავტორის (ი. ი. ივ. კერესელიძის) თხულებია.

დ. რამიშვილი მაინც არ კარგავს იმედს და სტილიური ნიშნების ძებნას იწყებს. სტილიური ნიშანი კი ისე ადვილად მოსაძებნეი აარბილია ჩვენი რეცენზენტის ხელში, რომ ამ ხერხით ოღონდ შეეძლოა მისთვის სასურველი ყველა თხულებსა საერთო სტილიური ნიშნების მქონედ გამოაცხადოს. ამიტომ მისი წერილის დიდი ნაწილი სავსეა საუმაწელო ხელნაწერი ეტრნალის სტატეიების თარგმანებით, რომლებშიაც დ. რამიშვილი „სალაყბო ფურცლებთან“ მსგავსებას ხედავს.

რეცენზენტის აზრით, ივანისის სტატია იმიტომ არ შეიძლება ივ. კერესელიძის ეყუფუნოდეს, რომ, აქ არ გვხვდება სიტყვა „ლოგიკა“, მაგრამ მას აიოწყებდა, რომ ამ წერილში არც მხუვილ თემანიშვილის საყვარელი გამოთქმები — „მტილობა“, „მხრეობა“ და „მუყუთობა“ ნახბარა.

თავის მოკლე წერილში დ. რამიშვილს მოტანილი იქვს დიმი. ბაქრაძის საყვარელ გრძელი კერბო ბართი მის. თემანიშვილისადმი. დიმი. ბაქრაძე, რომელიც არ იცნობდა თბილისში საქმის ვითარებას, თემანიშვილს სთხოვს ყურადღება მიუქციოს მის ერთ-ერთ სტატეიას, ეს არის და ეს. საბუთებს მოკლებული რეცენზენტი ამ კერბო წერილს უნივერსალურ დოკუმენტად თვლის. ყალბე უფრო კერბიზებულია წერილის შელაშხების ცდა. წერილში დ. ბაქრაძე სთხოვს მის. თემანიშვილს: „არ ვიცო კორექტორი ვინ არის და კარგი იქნება უბრძანოთ რომ ყური უგდოს“. დ. რამიშვილის აზრით, დ. ბაქრაძე ბრძანების გაცემას ავალბებს მის. თემანიშვილს. სინამდვილეში „უბრძანოთ“ აქ ნიშნავს „უთხრათ“, „სთხოეთ“. რისთვის დასპირდა ეს ჩვენს რეცენზენტს? დასპირდა იმის დასამტკიცებლად, რომ „ცისკრის“ რედაქტორი, „მბრძანებელი“ — ივ. კერესელიძე კი არ იყო, არამედ სრულიად გარეუმი პირი მის. თემანიშვილი. მაგრამ, თუ იმ ხანად სთბილისში არმყოფმა დიმი. ბაქრაძემ არ იცოდა, რეცენზენტს რატომ ავიწყლებია, რომ „ცისკარს“ იმ დროს კორექტორი არ ჰყავდა? ივ. კერესელიძე თვითონ იყო რედაქტორი, კორექტორიც, ასობამწყობიც, ამკნამეიცა და დარტარებელიც.

დ. რამიშვილი წერს მის. თემანიშვილი პირველი მისალმა ბატონეობის გაუქმებას ოფიციალურ ლიტერატურაში და მთელი თავისი სიოოცხლე გულხთა განთავისუფლების პროგრესულ საქმეს შეალოა“.

რომელი წერილი იქვს მხედველობაში ჩვენს რეცენზენტს? იქნებ, ივ. კერესელიძის 1858 წ. დეკემბრის „სალაყბო ფურცელი“! ამ დროს მის. თემანიშვილი ხომ სამუდამოდ ჩამოშორე-

ბული იყო „ციკარის“! ამის ზომ თვითონ დ. რამიშვილიც აღიარებს. მაგრამ თუ გავიტოვებულ-თათვის არც ეს არის საკმარისი, კიდევ მოვა-ტანთ ამსოღებური დამაჯერებლობის შერონე არ ცნობას.

1859 წ. „ციკარის“ იანვრის ნომერში დაბეჭდი-ლია ალ. ორბელიანის წერილი, რომელშიაც იგი წერს, რომ 1858 წ. დეკემბრის „სალაყბოს ფურ-ელის“ დაწერისათვის (რომელშიაც დავნიობილია ბატონყმობა) რეაქციონერები ამხედრებული იყე-ნენ ივ. კერესელიძის წინააღმდეგ. ივ. კერესელი-ძის გადარჩენის შიზნი, ალ. ორბელიანს არის სტატარატბასთვის უთქვამს, ამ წერილის ავტორი კერესელიძე კი არ არის, არამედ „ესა და ეს თა-ვალიშვილიო“. რეაქციონერები ამით დამიშვიდე-ბულან. „ციკარში“ დაბეჭდილი ამ ცნობის შინა-არის ფარდა ახვადა საქართველოს სახ. მეზეუმის ფონდში გამოვლინებულმა ალ. ორბელიანის ზედაწერისა „საქართველოს ჟურნალი“ „ციკარ-ის“ რედაქტორი კერესელიძე და მე<sup>1</sup>, რომე-ლიც დაწერილია 1866 წელს, ივ. კერესელიძის წინააღმდეგ. ალ. ორბელიანი ივ. კერესელიძეს აყვედრის, ზომ ვახსოვს 1858 წ. დეკემბრის „სა-ლაყბოს ფურელის“ გამო სიყვედილს გადაგარბი-ნყო.

„ერბაჲ.. წერს ალ. ორბელიანი, — ვაბამს და სწერს გავეთიბავად. აღარ იცი ს ტუვილი და მარ-თალი სად არისო, ანუ აქედგან რა გამოვადო? (ზახი ჩემია — ა. კ). ერთხელ ერთს შეუხილო-ბაში მე კერესელიძეს ვეხარბულბოდი და ზოგი-ერთნი იმას ძალიან გამოადღენ იმის გამოცემე-ლის სტატისათვის. მაშინ მე იმათ უთხარი დი-სამიშვილებლად, ვიციოდი ეს სიტყვა იმათ დამ-იშვილებდა. ვე ზომ კერესელიძის სტატია არ არის, ვე ზომ ამა და ამ თავადიშვილისაგან არის მეთ-ქი. ამაზე ყველანი დამიშვიდდნენ“. ალ. ორბელი-ანი გარკვევით ეუბნება კერესელიძეს — რომ ეს შენს ვადისარჩენად მივთვონ, თორემ ის თავა-დიშვილი ისეთ ეუდ რამეს, (მალაღი საზოგადო-ების საწინააღმდეგვს) როგორიც 1858 წლის დე-კემბრის სტატიაა, არასოდეს დასწერდიო. ვინა ამის შემდეგ, ყველა სხვა ფაქტების გათვალისწი-ნებით, კიდევ შეიძლება სერიოზულად ვამტკი-ოთ, რომ 1858 წლის „სალაყბოს ფურელი“, რომელიც ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართე-ლი, მიხ. თუმანიშვილს ეკუთვნის, რომ შან ვად-შითარგენა მანიფესტი გლეხთა განთავისუფლე-ბის შესახებ?

მიხ. თუმანიშვილის ავტორობის დამამტკიე-ბელ საბუთად დ. რამიშვილის მიანიხი 1881 წ. ვა-მოცემული თხზულებათა კრებული, რომელშიაც პირველი სამი „სალაყბო ფურელი“ შეტანი-ლი. მაგრამ რეცენზენტს აღარ ახსოვს, რომ ამ წიგნს თვითონვე გამოუცხადა უნდობლობა. წიგნ-

ში 1858 წ. იანვრის „სალაყბო ფურელითა“ შეტანილი, რომელიც, როგორც ვე ვე ვე ვე წერს, პირველი ორი ფურელიცაა. ვე ვე ვე ვე ეკუთვნის. ამ წიგნში ნათქვამია, რომ 1857 წ. ნო-ემბრამდე მიხ. თუმანიშვილს „ციკარობან“ არა-ვითარი ურთიერთობა არ ჰქონდა და 1858 წ. თე-მერელის შემდეგ სამუდამოდ ჩამოშორდა ამ ფურელს. დ. რამიშვილი ამ ცნობებს ზომ აღარ უჯერებს, მაშ, რისთვის დასპირდა ამ წიგნის ვახსენება? მხოლოდ იმისთვის, რომ შეგვეთხე-ბოდა „არტომ არ ვანაცხადა ივ. კერესელიძემ პრეტენსია იმის გამო, რომ მიხი ორი „სალაყბო ფურელი“ შეტანილი იქნა მიხ. თუმანიშვილს თხზულებათა კრებულში?“ ამაშიაც სცდება რე-ცენზენტი.

1881 წ. როცა მიხ. თუმანიშვილის თხზულე-ბათა კრებული დაიბეჭდა, ივ. კერესელიძემ ავ-ვილად შესწლო თავისი ავტორობის დამტკიე-ბა როგორც ირკვევა, ავტორობებულმა ლიტერატურ-ბულმა წრეებმა მისი პრეტენსია დააციკოვილა. ვახ. „ნოვოე ოპოზრენიეში“ ე. ი. იმ ვახეთში, რომელსაც მიხ. თუმანიშვილის ვაყვებიც სცემდ-ნენ, ნიკო ნიკოლიძემ დაბეჭდა წერილი და სა-ჯაროდ გამოაცხადა, რომ „მოლაყბე“ მხოლოდ და მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიამა.

ამვე პერიოდში დაბეჭდილ წიგნში ზაქ. კო-ჭინაძემაც დაადასტურა ეს. ამის შემდეგ ივ. კე-რესელიძის სილოცხლეში აღარავის ეუღია ამ შე-ცდომის განმეორება.

რეცენზენტის აზრით, 20 „სალაყბო ფურელი-დან“ 8 აქტუალური თემატიკის შემეკვლია, ხო-ლო 12 წერილმან საყოფაცხოვრებო საკითხებს შეეხება. ასეთ წერილმან საყოფაცხოვრებო სა-კითხებლად რამიშვილს მიანიხი შექრამეობა, პრეტენციონიზმი, უპასუხისმგებლობა, საზოგა-დოებრივი ინტერესების პარალში ვაცვლა, მიღე-ბით ვატაცება და სხვა. ნეთუ რეცენზენტს მარ-თლა ჰქონია, რომ ეს საკითხები იმ დროისათვის უადრესად აქტუალური და უადრესად დიდი ეროვნულ-სოციალური მნიშვნელობის მქონე არ იყო? მეტრანყლებს სისრულთ ამ საკითხების მო-ლაყბე ეტება არა მარტო 12 წერილში, არამედ ყველა „სალაყბო ფურელში“, რადგან ქართუ-ლი ენის დავიწყების, ქართული კულტურის ჩა-მორჩენის, ეროვნული შეგნების დაქვეითების, ხალხის ღუბჭირი მდგომარეობის ერთ უმთავრეს მიზეზად მოლაყბეს საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მანკიერი მზარეები მიანიხნა.

ამასთან ერთად, რეცენზენტს ავიწყდება, რომ პრეტენსიული საზოგადოება (ნიკო ნიკოლიძე, ავ. წერეთელი, ლ. არვაზიანი და სხვ.) აღტაცე-ბული იყო ჩვენი რეცენზენტისაგან დაწუნებული ამ „საყოფაცხოვრებო“ ფურელებით.

დ. რამიშვილის აზრით, აქტუალური „სალი-ყბო ფურელები“ მიხ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის. სხვა რომ არა იყოს რა, ვის დავეუჯ

<sup>1</sup> საქართველოს სახ. მეზეუმის ფონდი, S — 1634.

რომ — ჩვენს რეცენზენტს, თუ ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც წერს, რომ ივ. კერესელიძე მუხრანელი, გაბედული „სალაყბო ფურცლების“ ავტორია!

ჩვენი მოკამათე მტკიცების არამეცნიერულ ხერხებს მიმართავს. იგი ამბობს: „სალაყბო ფურცლების“ ავტორობის საკითხს შეეხნენ: გ. სულხანიშვილი, პ. უმიკაშვილი, ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ალ. რაბელაძე... ამ პირთ შორის, რომელთაგან ბევრი თანამედროვეა კერესელიძეს... პირველი ორი წერილის (1857 წ.) შესახებ სხვადასხვა აზრი არ არსებობს. ყველა მათგანი ერთხმად აღიარებს, რომ ეს ვანო... შექმნა მის. თუმანიშვილი...“ გვიყვია, რომ დ. რამიშვილს შესაძლებლად მიუჩნევია მკითხველთა შეკითხვით შევეყნა. ეს საქმე რომ ნამდვილად ისე იყოს, როგორც რეცენზენტი წერს, მაშინ მოკითხვის ბარათებიდან უსარგებლო ამონაწერების ნაცვლად, იგი მის მიერ ჩამოთვლილ მწერართა ცტატებს გავვიყენებდა.

დ. რამიშვილის წერილში ხშირად ვხვდებით ასეთ წინადადებებს: „ცნობილია, რომ თანამედროვენი „ციხისკრის“ რედაქციას ერთხმად უყურებდნენ, თუმანიშვილია დატოვებული (ზაზი ჩემია — ა. კ.) და თქვენი მიზანია არ ვარგაო“. ერთგან დ. რამიშვილი იმასაც კი ამბობს, თითქოს, ივანე კერესელიძეს ეთქვას „სალაყბო ფურცლებს“ მის. თუმანიშვილი წერსო.

1881 წლამდე და მის შემდეგ 900-იან წლებამდე ამ საკითხთან დაკავშირებით მის. თუმანიშვილის სახელი და გვარი არაფერს უხსენებია; ამის საბუთი არ არსებობს და თუ არსებობს, ვანა სიბუთები არ აჯობებდა ისეთ მკითხაურ გამოთქმებს, როგორცაა: „აბაბა“, „ხოშ შეიძლება ეს კერესელიძეს არ ეკუთვნოდეს?“. „ვანა უფრო მართებული არ არის ვიდრე ჩემი“ და სხვა?

სწორედ ასეთ მკითხაობას დასცილდა ანტ. ფურცელაძე, როდესაც არჩ. ჯორჯაძეს მიმართავდა, — საიდან ვიკითხე, რომ მის. თუმანიშვილი მოლაყბის ფსევდონიმით წერდა, იმ წყაროდან ხომ არა, რომლითაც მე მომავრჯეთ ფსევდონიმი „ულოლიო“?

რეცენზენტს საკითხი ისეთ სფეროში გადააქვს, სადაც, მისი ფიქრით, თავისუფალი ნაგარის მეტე შესაძლებლობა ექნება. მის სურს დავარწმუნოს, რომ მხოლოდ თუმანიშვილი შეიძლება და ყოფილიყო „სალაყბო ფურცლების“ ავტორი, კერესელიძეს კი არ შეეძლო ასეთი ფელეტონების დაწერა. რეცენზენტის სიტყვით: „იბდროინდელი საზოგადოება მშვენივრად არჩევდა ერთმანეთისაგან მოლაყბე კერესელიძეს და მოლაყბე თუმანიშვილს, თავს ესხმოდა პირველს და ქება-დიდებათს იხსენიებდა მეორეს“. ივ. კერესელიძის მიწასთან გასასწორებლად რეცენზენტს მოჰყავს ნიკო ნიკოლაძის ცტატები, რომელიც დაწერილია 1872 წ. ანტ. ფურცელაძესთან მეტად შეყავე პოლემიკის ნიადაგზე. მაგრამ ჩვენს მოკამათეს აღარ აგონდება, რომ სწორედ ამ

დროსაა დწერილი ილია ქავჭავაძის ცნობილი „გამოკანა“ მის. თუმანიშვილის შესახებ, სადა დანაც შესანიშნავად წანს — ვანო ჩემს მის. თუმანიშვილი და როგორი „ქება-დიდება“ მისთვის ებდა მას ახალი თაობა“. ჩვენ არ ვაპირებთ მიუხაძით ჩვენს რეცენზენტს და შეურაცხყოფა მივაყენოთ ქართველ პოეტს მის. თუმანიშვილს. ამიტომ ამ მისისანე „გამოკანაში“ შედარებით უმანყო ნაწევრებს. მოვიტანთ, რადგან მის პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენი წერილის თემასთან. ამ ლექსში „სალაყბო ფურცლების“ ისტორიასთან დაკავშირებით, ილია ქავჭავაძე პლაგიატობას აბრალებს მის. თუმანიშვილს.

ილია წერს:

„მის კუროს ზღბს მწერლად მოსწონს,  
ვერს კი შეურაცხეს მრუდობა,  
რომ სხვის წიგნიდამ ფრავების  
იციის ცოტა რამ ქურდობა. (ზაზი ჩემია, —  
ა. კ.)

რა გინდ მძიმე საქმე იყოს, ანუ ძველი სავეზრო, ის მაშინვე წაერთვება, ვითომ მეც ნაბირ-ნაბირო. ეს გამოკანა, მკითხველო, აბირებულად გრძელია, ფუფე, უსახლ კაცისა მოკლედ აღწერა ძველია. ვიარეშმაკა და ორპირი, ეგ დიდად მოსარდილია, ქართლი, სომხეთი, რუსეთი სამხედ ფეხებზედ ჰყოლია“.

ასეთი გამანადგურებელი დახასიათება არც ერთ რეაქციონერს არ მიუღია ახალი თაობისაგან. (როგორც ვხედავთ, ილია ქავჭავაძე „ქარის წისქვილებს“ არ ებრძოდა!)

დ. რამიშვილი არწმუნებს მკითხველს, თითქოს ახალი თაობა აძევებდა ივ. კერესელიძეს. წერილის მოცულობა ნებას არ ვუძლევს მოვტანოთ ამონაწერები ივ. წერეთლის, კირ. ლორთქიფანიძის, ანტ. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილისა და სხვა პროგრესულ მოღვაწეთა ნაწერებიდან, რომლებშიც ისინი მარწმინვალე შედევრებს ამოკვევენ ივ. კერესელიძის დამსახურებებს ქართული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე. ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ პოლემიკის პროცესში წარმოთქმული სიტყვები ყოველთვის არ გამოდგება ამა თუ იმ მოღვაწის შესაფასებლად.

რაკი რეცენზენტს ივ. კერესელიძის განსაჯებლად ნიკო ნიკოლაძის სიტყვები მოჰყავს, ანჯერად ჩვენს ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით დავკმაყოფილებთ:

„Всякий, кто... содействовал просвещению своих сородичей, кто шедрал в них интересы и стремления высшего порядка, должен быть близок и дорог всем, кому противно жить среди людей, преданных одним лишь животным инстинктам.“



— А, разве г. Кереселидзе принадлежит к числу таких полезных деятелей? — спросите вы.... имеет-ли он за собою заслуги и какия имению, — об этом не спрашивайте никого: толком вам никто не ответит. Он „отстал“, он „отжил свой век“, — скажут вам, с уверенностью, что этим все выражено. Происходит же это от того, что мало еще в нашем обществе людей, что-нибудь путное сделавших для своей родины. Тот, кто способен, кому посчастливилось быть ей полезным, всегда умеет высоко ценить заслуги лиц, прежде его трудившихся для его страны, на его поприще. В его глазах отсталость его предшественников не умоляет его признательности к ним: он твердо сознает, что лишь благодаря их трудам его собственные стали возможными, что его успехи ими-то и подготовлены...

— уже одно то обстоятельство, что человек, всю свою жизнь, неустанно работавший для своей литературы, вложивший в ея дело всю свою душу и весь преданный только труду, после тридцати лет суровой работы вынужден обращаться к общественной благотворительности, согласитесь, мало говорит в пользу его современников. Оды этот факт свидетельствует, что за время Кереселидзе любовь к чтению среди его соотечичей не настолько была развита и сильна, чтобы прокормить и обеспечить единственного, почти, деятеля, удовлетворявшего этой потребности...

— Просто изумителен размер труда, вложенного И. И. Кереселидзе в журналистику и литературу 1857—1887 г.г. "

დ. რამიშვილი უნიკო პოეტს უწოდებს ივ. კერესელიძეს და სასატილოდ ივდება მის ლექსებს. „განა მის უამრავ ლექსებში, — წერს დ. რამიშვილი, — მრავლად მოიპოვება სტროფები ქართულთა ერთგულ-სოციალური მისწრაფებების გამოხატველი, ფორმით და შინაარსით გამართული? "

საიუბილეო სწორედ: შეუძლია დ. რამიშვილს დასახელოს მის. თემანიშვილის პოეტური შემკვიდრებობიდან ისეთი ლექსები, როგორცაა ივ. კერესელიძის: „ელეგია“, „ნანა“, „ორთა თეატლის სინათლევ“, „ქართული სიმღერა“, „სიმღერა“, „ახალი წელი“, „მედნიერების ძებნა, აკაკო წერეთელს“, „ნიკო ნიკოლაძეს“, „მე, ქართველო, რა კეთ ხარ“, „მშვიდობიანი სურვილი“, „ღაბობი“, „ჩინონიკი“, „გაღიჯაკებულს“, „ვრძელნი დიჯაკებს“, „დიდაკას“, „ადგილის მძებნელ“, „ჩემს მეგობარს“, „ადგილიდან დათხოვნილი“ და ათობით სხვა?

დ. რამიშვილს ძალიან უყვარს ავტობიოგრაფიკატების მოშველება და ამიტომ, ცენტრ-ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით დაეხსიანებოდ ივ. კერესელიძის მხატვრულ შემოქმედებას:

...სколько он написал и перевел стихотворений, пьес, рассказов, путешествий, бойких фельетов...

...Одни только его стихотворения собранные вместе, составили бы увесистый том, между ними немало годных попасть в любую хрестоматию.

Конечно, если бы судьба дала ему возможность работать не изо дня в день, не на всех парах, а только изредка, когда вздумается, когда вдохновение синзойдет, он сумел-бы пустить в свет только наиболее удачное и новенькое из своих писаний. Тогда они не утопали-бы в балласте, который приходилось писать по нужде, для пополнения следующей книжки, для замещения „неудобных к печати сочинений“... Но разве мы в наши дни, настолько богаты литературными силами, чтобы требовать, чтобы все, выходящее из-под пера журналиста, отмечено было печатью бессмертия? Кажется, перворазрядный талант имелся у Армана Кареля, ниже его даже и гением считали, а и тот говорил, что величайший гений не в силах постоянно давать журналистике выдающиеся произведения...

აი, ვის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ტრადიცია, ნიკი და გამოცდილება, რომელიც დ. რამიშვილს „სალაგო ფერცლებს“ ავტობიოგრაფიკატების საბუთოდ მიუჩნევდა.

„შეუძლებელია იმის წარმოვლენა, — წერს დ. რამიშვილი, — რომ დაიწყო თუ არა ვერნალის გამოცემა, ივ. კერესელიძე მყის დაეუფლა პედაგოგიკურ ენარს - და ერთბაშად შექმნა... ბრწყინვალე „სალაგო ფერცლები“.

რეცენზენტი იეიწყებს, რომ ამ პერიოდისათვის ივ. კერესელიძე უკვე საყოველთაოდ აღიარებული პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი იყო.

დ. რამიშვილი მის. თემანიშვილს ქართული თეატრის წინაშე დიდ დამსახურებად უთვლის „აკაკოში“ ორიოდე რეცენზიის დაბეჭდვასა და გ. ერისთავის „ციცაკაში“ ერთადერთი სუსტი ლექსის გამოქვეყნებას და არც კი აგონდება, რომ სწორედ ივ. კერესელიძე იყო ამ ქართული თეატრის მთავარი პურჯი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, — გერ გ. ერისთავის თანამეგობრე, ზოლო შემდეგ ზღვმძღვანელი თეატრისა, რომელსაც გასაოცარი ენთუზიაზმით ემსახურებოდა. სწორედ ეს მგზნებარება, ენთუზიაზმი, აქტივობა და სწრაფვია მოცემული „სალაგო ფერცლები“.

\* „Новое Обозрение“, 1889, № 2059.

ლებში", რაც ისტორიის ასპარეზიდან ჩამოსული მოდერნებელი შეფის მოხელისათვის უცვლად წარმოუდგენელი იყო.

ვინ შეუშალა ხელი მიხ. თუმანიშვილს დახმარება გაეწია განსაკუთრებით მყოფი ქართული თეატრისათვის, თუ იგი მართლა ისეთი გუნდებარე პატრიოტი იყო, როგორც ამას დ. რამიშვილი გვარწმუნებს? იგ. კერესელიძე და მისი ოჯახი ხშირ შემთხვევაში იმის გამო, რომ მასწავლებლობით აღებული კაბიკებს ის მთლიანად ქართულ თეატრსა და ეტრნალს ახმარდა?

დ. რამიშვილი თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მიხ. თუმანიშვილი დიდი რეჟისორი იყო და ამ შჩრეც ნ. ბარათაშვილზე მღელვან იდგა. ამ ბრის საილუსტრაციოდ მას მოყვას ნაწევრებში მიხ. თუმანიშვილის საყმაწვილო წერილებიდან. დ. რამიშვილი შეუმდროთებლად წერს, რომ მიხ. თუმანიშვილი „სალაყბო ფურცლებს“ იმავე სტილითა და იდეებით წერდა, როგორც ოცდახუთი წლის წინათ გიმნაზიაში სწავლის დროს. გამოცემულ ხელნაწერებში. გვთავაზობს ვრცელ ამონაწერებს „კეკეაში“ დაბეჭდილი ორივე რეცენზიიდან, რომელთა მსგავსს იშვიათად როდი იპოვით იმდროინდელ ოფიციალურ ეტრნალ-გაზეთებში.

აჯობებდა, რომ დ. რამიშვილს დაესახელებინათ თუნდაც ერთი მაგალითი მიხ. თუმანიშვილის რეალისტური შემოქმედების პრაქტიკიდან — ლექსი, მოთხრობა ან პიესა. მაგრამ იგი ვერ დასახელებს ასეთ მაგალითს, რადგან მიხ. თუმანიშვილმა რამანტიზმით დაამთავრა თავისი მხატვრული შემოქმედება და შწერლის კალამი მღელვან გასცაღა ჩინოვიციის შენდარზე! მაშინ, როდესაც იგი კერესელიძე ათობით ბრწყინვალე ლექსის, მოთხრობის, პუბლიცისტური წერილისა და პიესის ავტორია. ამ ლექსებს დღესაც მღერაან ხალხში. მის ლექსებში მოლაყბის მებრძოლი მამილიბელი ხმა ისმის. იგ. კერესელიძე ასე მიმართავს, მაგალითად, ნ. ნიკოლაძეს:

„შენი კალამი! კალამია? — არის ისარი!  
განგმირე, ძეო, ბოროტების გულის ფიქარი!  
შენი ნაწერი! რა ნაწერი? — არის მკვეთელი  
ბრძალი უებრო, ბოროტების მარად  
მსღვეწელი“... და სხვ.

დ. რამიშვილი დასცილანს იგ. კერესელიძის „მგზავრის წერილებსა“ და სხვა პუბლიცისტურ ნაწერებს, რომლებსაც არ იცნობს და რომლებიც ახალი თაობის (მ. უმიკაშვილი; გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე და სხვ.) საერთო აღტაცების იწვევდა და დღესაც ინტერესით იკითხება. იგ. კერესელიძის უსამართლო დასკერტობაცია

მე-20 ს. დამდევადან დიწყო, მაგრამ მთქუთა მკვლევარებმა (მიხ. ზანდუკელი, გ. ჯიბლაძე, დ. გამეზარდაშვილი, ახ. მახარაძე) მსკრწწილი და სხვ.) სერიოზული ეკვიტს შექმდეს ჩვეულებრივად დელი კრიტიკის ამ ტენდენციურ განაჩენს. ზოგიერთი მკვლევარი კი დღესაც ვერ განთავისუფლებულა არა სწორი შეხედულებისაგან და ქართული კულტურის ამ დაუღალავი მოამგვისა და ნიქვიერი მწერლის დაუსახებლებელი ლანძღვაგინება თავის მოვლუბად მიანწია.

დ. რამიშვილი უღაოდ გრძნობს, რომ მიხ. თუმანიშვილის ავტორობის მტკიცება უკვე შეუძლებელია, ზედება, რომ „სალაყბო ფურცლების“ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ იგ. კერესელიძეა და თავისი წყაროს დასასრულში გვირჩევს, — თავი გავანებოთ ამ საკითხის კვლევა-ძიების საფუძველზე გადაწყვეტას. გვირჩევს ვეველა საბუნთს პირზე ავაფართო ხელი, დავხეროთ სეიდის კარები, ერთმანეთისგან აღარ გავარჩილოთ თერთი და შავი და საკაოხი ისე გადაწყვეტილი, ვისაც როგორც ვისამოვენება, რათა ამ გზით რეგარმე ზელი შეუქმლოთ იგ. კერესელიძის, რომ იგი თავისი თხზულებების ავტორად აღიარონ. მისი ფიქრით, იგ. კერესელიძის ავტორობა რომ ვალაართ, ეს გამოიწვევს ილია ჭავჭავაძის რთლის დამცობებს, თობათა შორის იღვეური ბრძოლის ისტორიაში არეუ-დარევის და სხვა მისთანანს. უოველივე ეს იმდენად გულსატყველო და არამეცნიერულია, რომ ამის შესახებ ლაბორაკი ზედმეტად მიგვანწია. გამოვს, რომ სიყალბე უფრო ხელს შეგვიწყობს საკითხების მართებულად გადაწყვეტაში, ვიდრე სიმართლე.

სად არის ჩვენს ნაშრომში ტენდენცია დამცობებელი იქნას გნამ წლებში თაობათა შორის იღვეური ბრძოლის მნამწენლობა?!

დ. რამიშვილის აზრით შეუძლებელია იგ. კერესელიძე შევიწინით ქართულ მესამოციანელთა წინამორბედად. ნიყო ნიკოლაძის აზრს ამ საკითხზე უკვე გავეცანით. ახლა მოვესწინოთ რას წერდა ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ამის შესახებ: „აი, დასაწყისი ჩვენის ახლის ცხოვრების მოძრაობისა! მოძრაობა აქედამ იწყება, დღესაც სუსტად მომდინარე, მაგრამ მაინც დამარა, სათავე მოძრაობისა აქ იწყება. დავიზოვნოთ, რომ მოძრაობის მიზეზი ის (კერესელიძე), იყო!“<sup>2</sup> (ხაზი ჩემია, — ა. კ.).

<sup>1</sup> გასაკვირია, რომ ამ უსაფუძვლო ბრალდების ავტორი ზენ გვეამებს ლიტერატურული ეთიკის უქონლობას და გვისაყვედურებს, რომ ჩვენს წიგნში არ მოვიხსენიეთ დ. გამეზარდაშვილის წერილი „სალაყბო ფურცლების“ შესახებ. დ. გამეზარდაშვილის წერილს ჩვენ იმ დროს არ ვიცნობდით, მაგრამ ფიქრადაც არ გვაქვს იმის უარყოფა, რომ პირველი სიტყვა ამ საკითხის მართებულად გადაჭრისათვის დ. გამეზარდაშვილმა თქვა.

<sup>2</sup> „ივერია“, 1893 წ., № 4.

<sup>1</sup> 1838 წ. შეზღვევ. 37 წლის განმავლობაში მ. თუმანიშვილმა დაწერა მხოლოდ ერთი ლექსი, ორი კორესპონდენცია, სამი რეცენზია და გადმოთარგმნა ერთი მისტიკური მოთხრობა.

„ივერიის“ 1879 წ. პირველ ნომერში გვითხულობთ: „ამ დროდამ იწყება გამომცემლობითი შრომა თვით შერკლობის მოყვარე კაცებისა. შიშრობის შეუწყენელად, და ჩვევ დრომდე მომდინარეობს. პირველი ამის მდღრომე იყო ეტრნალი „ციკარი“ 1857 წლიდან და მშრომელი... ივანე კერესელიძე... ცხადია, რომ ამ დროდამ იწყება ასალი მოძრაობა ჩვენი შერკობისა... „ციკარს“ მოჰყვა „საქართველოს მოამბე“ შერე „დროება“ და სხვანი“.

დ. რამიშვილს ორიგინალური წინამოღვენა აქვს ლიტერატურულ კვლევამებაზე. იგი წერს: „ა კლანდათე...“ მძღულებულია ერთი წერალი მანც „დაეთმოს“ თემანიშვილს“. რეცენზენტს არ ესმის, რომ ჩვენთვის ეტრსელიძე და თემანიშვილი სულ ერთია, რომ არ შემძღლია ერთერთი მათგანს რამე „დაეთმო“ და შეროვს მოვალე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დოკუმენტებზე, მათ ანალიზზე.

ამის შემდეგ, დ. რამიშვილს ჰყოფნის გამბედაობა განაცხადოს, თითქმის შე წინასწარი განზრახვით ვამტკიცებდე ივ. კერესელიძის ავტორობას. ამბობს და არ კი უფიქრდებდა ამის თქმა შეიძლება მხოლოდ მის წერალზე, სადაც არც ერთი საბუთი არაა დასახელებული მის თემანიშვილის ავტორობის სასარგებლოდ, და არა ჩემს წიგნზე, სადაც ჩამდენიმე ათეული პირდაპირი დოკუმენტია მოტანილი. ან კი, როგორ შერეგებულა წინასწარი მოსაზრებით ავტორტყველებინა ჩვენს სასარგებლოდ ალ. ორბელიანი და ზ. ჰიბინაძე, კირ. ლორთქიფანიძე და ნ. ნიკოლაძე, ან. ფერცელაძე და ნ. ბერძინიშვილი, „ციკარის“ და სხვა ეტრნალგანუგებების ნომერები? თუ პირიქით, ამ დოკუმენტებმა ავტორტყველებინა ჩვენ?

ჩვენ ამ წერალიშიც არ დავკმაყოფილებით რეცენზენტთან კამათით და ჩამდენიმე ისეთ დოკუმენტურ მასალასაც მოვიტანო, რომლებიც წიგნში არ შეგვტანია, რადგან საკითხი ისედაც საბოლოოდ გადაწყვეტილად მიგვანდობოდა ვლადიკავობთ დოკუმენტებზე, მხედველობაში გვაქვს არა უხესური ამონაწერები გიონაზის საყმაწვილო ეტრნალიდან, რომლებსაც დ. რამიშვილი გვთავაზობს, არამედ პირდაპირი მითითებები „სალაებო ფერცელის“ ავტორობის შესახებ.

საქართველოს საბ. მუზეუმში გამოვლინებულ ალ. ორბელიანის ზელნაწერში — „საქართველოს ეტრნალი „ციკარის“ რედაქტორი კერესელიძე და მე“ ავტორი თავის შეუთრგებელ მტრად აცხადებს ივ. კერესელიძეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან კერესელიძისადმი მიეკრძაობა სრულიად გამოირიცხებოდა პირიქით, თუკი ალ. ორბელიანს ივ. კერესელიძის მამიძღლებელი რამ ეყოლინებოდა, არ დაზოგავდა მას. ალ. ორბელიანის წერალი დაწერილია 1866 წლის იანვარში. მიუხედავად ვასაოცარი სალიმნაღვი ტონისა, ალ. ორბელიანს არ შეუძლია უარყოფა რომ ყველა „სალაებო ფერცელის“ ავტორი ივ. კერესელიძეა. საბავიეროდ, იგი ცდილობს დაიწინოს „სალაებო ფერცელის“ მნიშვნელობა, ნამოთელის რა ივანე კერესელიძის მნიშვნელობა, ნამოთელის რა ივანე კერესელიძის მნიშვნელობა, — ალ. ორბელიანი წერს: „სალაებო ფერცელის“, ზოგიერთებს რომ მისწონს, მართლა კარგი იფოს? რა არის იქ კარგი? ის არის უზრახლო დანაშაურობა... ანუ წინდაუხედავი ღანძღვა, რომელიც ის ლაებობა კარგს ვერას ასწავლის ვერაფრის“ (ზანი ჩემია, — ა. კ.).

როგორც ცნობილია, ალ. ორბელიანმა მსგავსი ბრალდება წაუყენა „სურამის ციხესაც“.

1866 წელს, როცა ალ. ორბელიანის ეს წერალი დაიწერა, ვახტ. სულხანიშვილის განცხადება ცნობილი იყო და „საქართველოს მოამბეში“ მოლაების შესახებ დამეკვილი ცნობა რომ მართალი ყოფილიყო, ალ. ორბელიანი მას აცდილებულად გამოიყენებდა ივ. კერესელიძის წინააღმდეგ დაწერილ წერალიში. ეს ფაქტი ალ. ორბელიანზე კარგად ვის უნდა სცოდნოდ?

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია კირ. ლორთქიფანიძის დატყველები თხზულება (ავტოგრაფი) „ჩინიანიის გრდემლი და მასხარათ ავტობი“.

ამ თხზულებაში „ციკარის“ რედაქტორი და მოლაებე ერთ და იმავე პირადია გამოცხადებული. კირ. ლორთქიფანიძე წერს, ჩვენ აღტყე ვიცოდით „ციკარის“ რედაქტორი და მოლაებე რომ ერთი და იგივე პირი იყო... „ტყევილი არაფერი შემოქმეზბია „ციკარისათვის“, კიდევ ბევრი ვახატე, რადგანაც ვიცოდა ვინ იყო უფ. მოლაებე და სინდისმა მის ეტრნალში მეტის თქმის ნება აღარ მომცა“—ო.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნიკოლაძის კატეგორიული განცხადება ივ. კერესელიძის ავტორობის შესახებ. როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძე ახლავაზრობაში მოლაების გავლენით წერს და დღის ინტერესიკ გამოჩინა ამ ფსევდონიმის გასაგებად. შემდეგში, იგი კიდევ უფრო დაინტერესებულია ამ საკითხით, განსაკუთრებით, 1881 წლიდან, მის თემანიშვილი კრებულში ივ. კერესელიძის „სალაებო ფერცელის“ შეტანასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, მის განუწყობავ ივ. კერესელიძის პრეტესტა, შეუსწავლია ეს საკითხი და ამიტომაც კატეგორიულად აცხადებს, რომ მოლაების ფსევდონიმი მხოლოდ ივ. კერესელიძეს ეკუთვნის. „ნოვო ობოზჩენიში“ ნ. ნიკოლაძე წერს: „...сколько он написал и перевел стихотворений, пьес, рассказов, путешествий, бойких фельетонов (ему [კერესელიძეს] принадлежит псевдоним „Малакше“).“ (ზანი ჩემია — ა. კ.). ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ნიკოლაძე ამას აცხადებს კატეგორიულად, იმ ხანებში ამ

1 ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი, № 2173.

საკითხზე შექმნილი ვიდეგებობის პასუხად. მოლაყებ რომ მხოლოდ და მხოლოდ იყ. კერესელიძის ფსევდონიმი არ ყოფილა, ისეთი ფრთხილი და საქმიანი პუბლიცისტი, როგორც ნიკო ნიკოლაძეა, იმ ხანებში ამას არც იტყოდა და ვერც იტყოდა. საგულისხმოა ისიც, რომ მისი სიტყვით, იყ. კერესელიძე „გაბედული ფელეტონების“ ავტორია იმის დასამტკიცებლად, რომ ამ პერიოდში (80-ან წ. წ.), მიხ. თუმანიშვილის თხულებზეა კრებულის გამოსვლასთან დაკავშირებით, იყ. კერესელიძე ლიტერატურულ წრეებს აცხადებდა, რომ „სალაგებო ფურცლების“ დამფუძნებელი თვითონ იყო, ვაჟისხსენებ ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით: „ციცკრის“ რედაქტორმა იყ. კერესელიძემაც მარწმუნა: „როცა „ციცკრისი“ — მე „სალაგებო ფურცლების“ ბეჭდვა დაიწყო, მაშინ ამ წერილების ერთ ვულგურულად შეთხვევით ილია ჭავჭავაძე აღმოჩნდა. იგი მაშინ პეტერბურგში იყო; უნივერსიტეტში სწავლობდა და მე წერილი გამოიმგზავნა და ამ წერილების გამო დიდად მაქოვო, წამახალისო, მაშინ ეს ჩემთვის დიდი საქმე იყო, დიდი მოვლენა, სხვებისაგან მე ამის შესახებ არაფერი მიმადია, ქება კი არა და ბერძნი მუვედრიდენე კიდევ, რომ რა არის, უფროსთვის ქართული ენისა და „ციცკრის“ გამოედრატინება ხალხსა“ (ხაზი ჩემია — ა. კ.).

ანტ. ფურცელიძე ჯერ კიდევ 1872 წ. წერდა, რომ მოლაყებ მხოლოდ და მხოლოდ იყ. კერესელიძის ფსევდონიმი, რომ მას შეეხებოდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომ იგი იყო პირველი ორი „სალაგებო ფურცლის“ ავტორი.

„იი ახლა იმის ნიმუში... — წერს ა. ფურცელიძე, — არასე გამობობი მე მოლაყებზედ, თვით იმ მოლაყებზედ, რომელიც იყო ივანე კერესელიძე და რომელსაც ახვ აქებდა თავის წიგნებში ილია ჭავჭავაძე“ (ხაზი ჩემია — ა. კ.).

ესეც გადამწვევტი მნიშვნელობის საბუთია, რადგან იგი დაიბეჭდა 1872 წ. „მნათობში“, დიბეჭდა იმ დროს, როცა ცოცხალი იყვნენ მ. თუმანიშვილიც, გ. სულხანიშვილიც, ი. ჭავჭავაძეც და ყველა ამ საქმესთან დაკავშირებული პირი. მაგრამ ფიქრადაც არავის მოხვლია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის უარყოფა, ვინაიდან „საქართველოს მოაზრებში“ წამოტრიალი პოლიტიკის შემდეგ ეს საკითხი ერთგულ და სამუდამოდ იყ. კერესელიძის სასარგებლოდ იყო გვადამწვებრლი.

ამრიგად, მ. თუმანიშვილის სიცოცხლეში ორჯერ — 1863 და 1872 წ. წ. — კატეგორიულად იქნა აღიარებული, რომ მოლაყებ მხოლოდ და მხოლოდ იყ. კერესელიძის ფსევდონიმი იყო, მაგრამ მ. თუმანიშვილს კრინტიც არ დამტკიცეს.

წერილის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს

ჩვენს განკარგულებაში არსებული სხვა დოკუმენტური მასალებიც მოვიტანოთ და დამტკიცებელი ვიყავით, წიგნში მოტანილი „საბუთები“ წავსარისი იქნებოდა საკითხის საზარლოდ გაძიებრისათვის, მაგრამ რაყი ყველას ადვილად არ შეუძლია ფაქტებისათვის თვალის გასწორება, ჩვენ მედამ მზად ვართ ახალი საბუთები წარმოვადგინოთ იყ. კერესელიძის ავტორობის სასარგებლოდ.

დ. რამიშვილი ამოდ ცდილობს „მოლაყების“ ფსევდონიმის საკითხს რაღაც სენსაციური ხასიათი მისცეს. არქივებში, მუზეუმებში და ძველ ეურნალ-გაზეთებში გამოვლინებულმა ახალმა მასალებმა, ტექსტის შინაარსობლივ ანალიზთან შეიღბო ურთიერთ კავშირში, გვემოტრალად და საბოლოოდ დადასტურა, რომ 60 — 80 — 90-ან წლებში დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „სალაგებო ფურცლების“ ავტორად მხოლოდ იყ. კერესელიძე იყო მიჩნეული, უნდა აღდგეს.

ჩვენს ჭეყანაში დიდი ზანია შექმნილია ის პარობები, რომელშიაც ნიკო ნიკოლაძე შესაძლებლად თვლიდა იყ. კერესელიძის სათანადოდ დაფასებას. საბუთთა ხალხი ღირსეულად აფასებს წარსულის დიდ მოღვაწეებს და არც იყ. კერესელიძის მიმართ შეიძლება არსებობდეს ის „ისტორიული უმადურობა“, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე ისე ახასიათებდა:

...историческая же неблагодарность — неотъемлемый удел неудач и злонстов, которым даже и любовь к родные не может внушить уважения к тем, кто ей служил верою и правдою, насколько хватало сил и средств... Вот почему несколько не удивительно, что в нашей среде Н. И. Кереселидзе не скоро еще дождется общественной признательности...“ (ხაზი ჩემია — ა. კ.).

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“, „ყვალმა“ და სხვა ქართულმა ეურნალ-გაზეთებში გასული საუკუნის 90-ან წლებში ფართო მუშაობა გაიწილეს თბილისში იყ. კერესელიძის ძეგლის ასაგებად. იყ. კერესელიძე იყო ერთი იმ პირველ მოღვაწეთაგანი; რომელიც ასეთი განსაკუთრებული პატივისცემის ღირსად იქნა აღიარებული.

გადაუდებლად ამოცანას წარმოადგენს იყ. კერესელიძის რჩეული ნაწერების გამოცემა, რომელშიაც მის შესანიშნავ ლექსებთან, პიესებთან და მოთხრობებთან ერთად, ყველა „სალაგებო ფურცელი“ უნდა იქნას შეტანილი.

\* „ნოეოე თბორენი“, 1889 წ. № 2059.

პროფ. მოსა გოგიბერიძე



## რუსთაველის ესთეტიკა\*

პოეზია სინთეზური ბუნების ხელოვნებაა. მისი შემოქმედების იარაღი არის გაფორმებული სიტყვა. პოეზიის კანონმდებელი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის კანონმდებელია. რუსთაველის პოეზია კლასიკური მშვენიერებაა ამ წესის ილუსტრირებისათვის. შეიძლება სხვადასხვა აზრისა ვიყოთ რუსთაველის ადგილის შესახებ გენიოსთა მკითხველებთან ოჯახის წრეში. ერთი კი უდავოა: სიტყვის კანონმდებლობისა და ლექსის გაფორმების ოსტატობაში მას, პომეროსის ვაჟად, მეტოქე არ ჰყავს პოეზიის მსოფლიო ისტორიაში.

მაგრამ რუსთაველის შემოქმედების არც ამით არ არის შემოფარგლული. ჩვენ მიერ გამოკვლეული საკითხი ზმისა და ფერის განცდისა რუსთაველთან უკვე ნათლად აჩვენებდა, რომ მას უღრმესად ესმოდა პოეზიის სინთეზური ბუნება.

პოეზიაში რუსთაველი გარკვეულად იცხადებდა, რომ მის მიერ დამსული ამოცანის შესასრულებლად ხელოვნების სამი ძირითადი დარგი უნდა გაერთიანდეს: მელოდოსობა ნიშნდობლივ, მუსიკოსობა და მხატვრობა.

ეს საკითხი რუსთაველის მიერ ნათლად რეკომენდებულია. ტკბილ და მომზიბლავ ლექსთა მთქმელი უნდა იყოს მხატვარი და თქმა იმდენად უნაკლოდ უნდა იყოს გაფორმებული, რომ პოეტის ენა მუსიკობდეს. მხატვრობა და მუსიკა პოეზიის განუყოფელი მონაწილეა. ზმა და ფერი არის ის საერთო მასალა, რომლითაც შემოქმედების ენევიან პოეტი, მუსიკოსი და მხატვარი, ხმას აღიქვამს ადამიანი, ანუ შეტყვევლი, ფორმით ან მუსიკალური პარამონიული ტონით. ამიტომ ნიშნდობლივ მუსიკალურ ნაშენში ყოველთვის მონაწილეობს მეტყველი ზმა, პოეზიაში კი —

პარამონიული ტონიკება. სმენა თვისებს ორივეს, როგორც ერთს მთლიანს და განუყოფელ სანთებს.

მაგრამ ადამიანის შეგონების ამით არ შეუძლია დამყოფილდეს. სმენით აღქმული მას სერს მეორე განზოგადებაზე ნახოს, ე. ი. დინამოს. ეს არის მხატვრობის დასაბამი. კოსმოსის შეგნება იყვება ხმითა და ფერით. ზმა და ფერი ბუნების ორი უმარტივესი კავშირია. ადამიანის შეგონებაში მუსიკოსისა და მხატვრის დომენია საზიკრდება.

სამყაროს ხელოვანის შეგონებითს სრულს ათვისებას აკლია მესამე დომენია. ეს არის სიმეტრიის დომენია. მას სკულპტურა გვაძლევს. მაღალი ხელოვნების ამდგვარ ქმნილებაში მუსიკალური დინება ტონისა, პარამონია გაჩერებულა და, სინათლის ჩრდილითან შეერთებულა, სიმეტრიის განცდად მოკლენილა ადამიანის შეგონებაში. ადამიანი მესამე დომენიას განიცდის, როგორც დინსტანციისა და სიმეტრიის გრძობას, შეგების საშუალებით. შეგების გრძობა აფორმებს სიმეტრიის შეგონებას. შეგება აძლევს ადამიანს სივრცეში ორიენტირების უნარს, სივრცეთან ერთად იმადება დროს განცდა. სიმეტრია არის სივრცისა და დროის პარამონია, ამიტომ არის დრო და სივრცის განზომილებათა ერთიანობა ანუ მეოთხე დომენია, ე. ი. შემოქმედების დომენია. ამიტომ სიმეტრიის მომცემი ხელოვნება — სკულპტურა უმაღლესი ხელოვნებაა.

პოეზიას, როგორც უმაღლეს ფორმას სინთეზური ხელოვნებისა, ცხადია, სიმეტრიის გრძობის გარეშე ოპერირება არ შეუძლია. მაგრამ მას აქ სიმეტრია არ ეწოდება. აქ ეწოდება მას ზომიერება. ზომიერების გრძობის გარეშე არ არსებობს არავითარი ნაშლილი ხელოვნება. ხელოვანი ზომიერების ოსტატია. ზომიერება ხელოვნების მეოთხე განზომილებაა. ამიტომ არის, რომ ხელოვანის თვალის მეტია და ხელოვანის ყური მეტს რომ ისმენს.

როგორც კი ხელოვნება დაარღვევს ზომიერების პრინციპს, ის დაკარგავს ღებს, ურომლოსოდაც მის იაღქმებს ზღვის ტალღებთან არ შეუძლია ბრძოლა. ამრიგად, პოეზია, ნიშნდობლივ

\* მოსე გოგიბერიძის (1897 — 1948 წ.) ამავე ნაშრომის პირველი თავია — „რუსთაველის ლექსის ენაშენობა, მუსიკალური ფერი და მხატვრობა“. (იხ. ჟურნ. „მნათობა“ № 10, 1956 წ., გვ. 120 — 128). ავტორის ხელნაწერი (1943 წ.) მთლიანად მოაშლდა დასაბუბლად და რედაქციის წარმოდგინა იოსებ მეგრელიძემ.

სრულქმნილი, იყენებს ხელოვნების უპირატესეს ფორმათა ზღვრებს — მუსიკის, მხატვრობისა და სკულპტურისას, ამათვე კავშირებს — ხმის, პარონიას, ფერს, სინათლის ჩრდილს, სიმეტრიას, ზომიერებას. მის ნიშანდობლად ბუნებას კი შეადგენს ამ კავშირთა სინთეზირება მეტყველი ფორმების საშუალებით.

რამდენადაც პოეტი უნაყოფო შეასრულებს ამ ნორმების მოხმარებას, იმდენად მაღალი იქნება მის შაერ შექმნილი ხელოვნება, იმდენად ხანგრძლივი, მყარი და გარდაუვალი იქნება მის მიერ წარმოშობილი პოეტური ობიექტი. ეს ახალი ობიექტური ელემენტი არსისა და სინამდვილისა.

ამიტომ პოეზია მარტო მეტყველი მუსიკა კი არ არის, არამედ არის ამტყველებელი მხატვრობა და სკულპტურაც. ნამდვილი მხატვრობა და ნამდვილი სკულპტურა არის გაიერებული აკორდი-პარონია წყნარ ყოფაში.

პოეზია სიტყვიერა ფორმით გამოთქვამს ხელოვნების ყველა ჩამოთვლილ კავშირს. პოეზია არის სიტყვიერ თქმული სინთეზ ყოველი სრული ხელოვნებისა. პოეზიის ყველ დიდი გენიოსი არის სრული ხელოვანი და ამიტომ თავის შემოქმედებაში ასინთეზირებს ზემოთ მოხაზულ კავშირებს. რუსთაველში ჩვენ ვხედავთ ხელოვანს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამიტომ რუსთაველის ხელოვნებაში უხვად ვნახულობთ პოეზიის მაღალ სინთეზებს.

ყოველივე ეს არის საშუალება, რომლითაც ხელოვანი შემოქმედებს, ხერხები, რომლითაც ხელოვნება მუშაობს. მაგრამ ეს არ არის ხელოვნების მიზანი. ხელოვნების მიზანი მის იდეურებაში ელიედება. იდეურობით ხელოვანი ახდენს ზეგავლენას.

არ არსებობს კემარტი ხელოვნების არც ერთი დიდი ქმნილება, რომელიც მოკლებული იყოს მაღალ იდეურობას; ხელოვნება ყოველთვის ტენდირებულია მშვენიერების, სამართლიანობის, სიყვარულის თუ სხვა იდეალისა და პროგრესის მიხედვით. ნამდვილი დიდი ხელოვანი მოწინავე იდეებისა და პროგრესის აგიტატორია.

ამიტომ ხელოვანი ადამიანში ეძებს ადამიანურს, ადამიანის დამახასიათებელს, როგორც ასეთს, მოვლენაში — ზოგადს, წარმავალში და შემთხვევითში — მარადსა და გარდაუვალს. ყერძი მის სპირიტუალ ზოგადისათვის; ხელოვანის თვალში ამორიზანტის მიღმა ზედღეს და ამიტომ კერძოადამიანური მისთვის გზა არის ზოგადადამიანურისაკენ.

ნამდვილი ხელოვანის სინთეზურ სულში ყოველთვის მარადისობის განმეორებული ლეტოება ბინადრობს. ლეგენდარული ღმერთის — იანუსის მსგავსად იგი ორი მიმართულებით იტყობება. არსებულიდან წარმოშობილი, სინამდვილის გარდაუვალად ებრძობება, მაგრამ ზედმივე ამვე ებრძობებას ებრძვის და შორსმხედველი თვალთ მშაველისაკენ იყურება, ის მარჯვენა ფეხით მომავლის ზღვრე დგას. მომენტების მიხედ-

ვითაც რუსთაველი იყო ხელოვანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ნამდვილი ხელოვანის ესმის, თუ როგორ იქნება მინდვრის სიმწვანე და ხელოვნის თვალზე ზედღეს, თუ როგორ ირხვეა ბუღელოს ხმის ემბრონება. ხელოვანი გულისხმის ადამიანთა. მისი ინტუიცია მარტოღმობილი და მხოლოდღმობილია, მისი ენამზებობა მომჯადოებელია, ენამწვევრია, მაგრამ მისი ლოვიკა არაა ენამრავალი.

ხელოვანისათვის სამყარო მუსიკალური აკორდი, იგი ყველაფერში ზედღეს პარონიას და მონონოზიმირებას. ამიტომ ხელოვანი — გულისხმისა და გრძნობის კაცია, პრძენი და გონების კაცია ერასა და იმავე დროს. ამიტომ მშვენიერების გამარჯვება ნამდვილი ხელოვანისათვის არის, გზავე დროს, გონიერების ტრიუმფი. მშვენიერი და გონიერი არის ერთი და იგივე, დანახული დიდა ხელოვანის არწივის პერსპექტივებიდან. ნამდვილი ხელოვანი კვეყანას არწივის პერსპექტივიდან ზედღეს.

ესე გაიხიდიდა სამყაროს ალალი ხელოვნების განუმეორებელი ოლიმპიელი — გოეთე; ამიტომ მის გონებას და გრძნობას მარად აჯადოებდა და *Ewigweibliche*.

ამ პირობის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ხელოვნება და რუსთაველი იყო ნამდვილი ხელოვანი; მის ხელოვნებაში *das Ewigweibliche* მშვენიერებისა გაერთიანებული იყო გონიერებასთან. ამიტომ ყოველი რთული სიტუაციიდან მისი გმირები გონების ძალას გამოყავს, ამიტომ იტყვას რაციონალისტტი რუსთაველი:

„ეკაქე ჰქუეასა ბრძენთასა, რამენლი ეურჩებიანი“ (347).<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ დიდი რუსთაველმა მისი ეპოქისათვის ჩვეული აფორიზმით გამოთქვა:

„ბორტკასა სძლია ეეთილმან, — არსება მისი გრძელია“ (1361).

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მთავონება არის გამარჯვების ზეიმი. იმარჯვებს მშვენიერება და სიყვარული, იმარჯვებს მეგობრობა და სამართლიანობა, იმარჯვებს ინდოეთის შვიდ სამეფოთა გაერთიანებული უძლეველი მეფეთ მეფე და ამათი გამარჯვება სიცივის გამარჯვებაა. ეს კი გონიერებისა და განგების გამარჯვებაა. განგება არ შეიძლება იყოს გონების მოწინააღმდეგე. ამიტომ იგი სიცივეთი არის.

მის შემდეგ, რაც ენახეთ, თუ რა ოსტატობით იყენებს რუსთაველი ხელოვნების შემოქმედების ხერხებს სიტყვის, ხმის, ფერის, სინათლის ჩრდილისას, ე. ი. მასალას პოეტის, მუსიკოსისა და მხატვრისას, საჭიროა ენახოთ, თუ როგორ მუშაობს რუსთაველი ხელოვნების

<sup>1</sup> იტატები მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის მიხედვით.



პრინციპით. ე. ი. აუცილებელია განვიხილოთ, თუ როგორ ასინთეზირებს რუსთაველი, როგორც პოეტი, ხელოვნების პრინციპებს ერთი მთლიანი სიტყვით გაფორმებული შემოქმედების სახით.

ზომიერების განზომილებით იზომება პოეტის შემოქმედების სიღრმე და სიგანე. მხატვრული მასალა, რომელსაც იყენებს ნიშანდობლივ პოეტს — ტიპი, წარმოსახვა, ფიქცია, მეტაფორა, ანალოგია, პიკერბოლა და სხვა წარმოუდგენელია ყველაპირადად იყოს, თუ მის საფუძვლად ზომიერების პრინციპი არ ემყდრება.

პოეზიას უმეტეს შემთხვევაში საქმე აქვს ადამიანის გმირობებთან და იფიქტებთან, ამიტომ დიდი ხელოვანი უნდა იყოს ფსიქოლოგი, ზომიერების გრძობა ინტელექტური გზით აძლევს ყოველ ნაშრომს პოეტის ფსიქოლოგიის უფლებას. პოეტი დედადებული და, ამავე დროს, განსწავლულ (რასაკვირველია, თავისი დროის მიხედვით) ფსიქოლოგი უნდა იყოს. თუ ხელოსანს სჭირდება წერათა, ცხადია, ხელოვანს ის ასევე მტრად სჭირდება. ეს არისტოტელური სიბრძნე კაცობრიობას შთააგონა არა მარტო რომაელთა დიდმა პოეტმა პარკიუსმა, არამედ დიდმა ქართველმა პოეტმა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორიც მრავალგზის გვეუბნება თავის საყვარელ გმირებზე, რომ „წერთასა არ მოიწყინებდა“ (51).

ზომიერების პრინციპის გასაინჯად ყველაზე მდგრადი მასალა პოეტის მიერ შექმნილი მხატვრული სახეებია. მხატვრული შემოქმედების ხერხებიც უნდა იყოს ზომიერების პრინციპის მიხედვით გამოქმენდაცული. რუსთაველი ოსტატურად აშენებს ერთსაც და მეორესაც. იგი ხშირად მიმართავს პიკერბოლებს, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში თუ აშლაშებს. იანი შემთხვევაში, სადაც მისი პიკერბოლები ზომიერების ფარგლებს თითქმის შორდება და ჩვენ რუსთაველის სახელოვნო ხერხების დახასიათება სწორედ აქედან ვინდა დავიწყეთ.

საქვია, თუ ლიტერატურის კრიტიკა ხარვეზებს აღმოაჩენს რუსთაველის ბრილიანტივით დახვეწილსა და უცუეთელი ფოლადივით ნაწრთობ მონუმენტში, უნაკლასა და აღმადლებულს აქ მოქმენა არ ესაუიროება, იგი ხელსახეშია ყოველგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საჩუქარისა და სიმდიდრის აღწერა „ვეფხისტყაოსანში“. პოეტის პირული ტაქტიდანვე იწყება საჩუქრების გაქმენისა და მიღების, სიუჟეტისა და სანამდე რუსთაველი იტყუდეს, „გასრულდა მითი ამბავი“ და სხვა... „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იმოდენ განმეულობას გააჩუქებენ, რივის ქვედა მარგალიტებზე რომ ექცია შემოქმედს, მიინდ არ ათავადებოდნ. აქვიაზე ზომიერა იყო საჩუქრები, რომლებიც ფრადონმა ვასკა ქორწილზე ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისათვის; უმაღლესი ოსტატობით ავეყრის რუსთაველი არტისტულ ხელოვნებას ამ ძვირფას ქვებთან. ერთი იშვიათი ქვის შესახებ ვთხოვლობით:

10. „წინაობი“ № 8.

„ველა ერთი თვალი, სამზგავსო მზისა  
შექმენამდინისა,  
მას წინა ღამით მალ-ედვის მხატვარის ხატსა  
ხატისა“ (1485).

მაგრამ ამ ქორწილზეც ბოქმებული განმეულობის ღირებულება, ერთად აღებული, დღეს არ მოგპოვება აშერიის ბანკებსაც კი. და ჩვენ საჩუქრების ისეთი შემთხვევა ავიღეთ, როცა რუსთაველი ავეყრებს მკობზელს არა სიმდიდრით და ღირებულებით, არამედ იმით, რომ ვაბოქმებული ნავთები მაღალი არტისტული ოსტატობითაა გავეთებული.

გაზვიადებულია აგრეთვე სიმდიდრის აღწერა. სამჯერ რომ გამრავლდეს ჩვენთვის ცნობილი ყველა სახელმწიფოს მატერიალური ძლიერება, მაინც ვერ ვეთანაბრდება იმ სასაღარო სიმდიდრეს, რომელსაც ენახებოდათ რუსთაველის მიერ აღწერულ სამ სახელმწიფოში. მარტო პატარა ქავეთის ციხეში გამარჯვებულმა რაინდებმა იმდენი ალაფი შეკრიბეს, რომ აქვლესა და გორს

„სამი ათასა აკედეს მარგალიტი და თვალები,  
თვალი ყველი დათლილი, იავუნდი და ლალები“ (1426).

აბა სიმდიდრე, რომელიც ტარიელმა ხატველთა სახელმწიფოდან ბეგარისა და კონტრიბუციის სახით მიიღო, რომ პირდაპირ სასაღარო! მთელი სახელმწიფოს აქვლეთა ქარავნებიც კი საემარისი არ დარჩა იმ ალაფის წასაღებად!

ნუ დავიფიქვებთ, რომ პოეზიის ნორმების ნახამხედ, გაზვიადებული პიკერბოლები წერა და შევებულია მიუწედიომელი იდელების აღწერისას, მაგ, ღმერთის ძლიერების აღწერის დროს. და თუ რუსთაველი ამ მეთოდს იყენებს სიმდიდრის აღწერის შემთხვევაში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმდროინდელი საქართველო ერთიან მდიდარი ქვეყანა იყო და თავად უფრო მეტი გემდიდრება ქართული ძლევამოსილების სიმბოლო უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს პიკერბოლური აღწერა სიმდიდრისა გვხვდება კლასიკური ატიკის ოქროს ხანის მწერლობაშიც. თვითონ პლატონი „პოლიტიკის“ შესავალში ავეყრებს ერთი პალატის ვარუბანში მცხოვრები მოქალაქის ისეთ განმეულობას, რომლის ადგილიდან დასაბრავდ თანამედროვე ვეფხისტყაოსნის კი არ იქნებოდა საემარისი.

რაც შეეხება საჩუქრის სიუჟეტს, ზომიერება აქაც დარღვეულია, მაგრამ აქაც იდეალის აღწერის უფლებით. ნუ დავიფიქვებთ აგრეთვე, რომ რუსთაველი ცხოვრობდა ეპოქაში, როცა საჩუქარი სოციალური ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. მდიდარი თუ ღარიბი, დღი თუ პატარა ცდილობდა რაიმე დავეროვებინა, ეს შემდეგ ვაბოქმებინა, მაგრამ საჭივტიროც მიღო.



ბოძება და მიღება აღუბმიცემობის ერთ-ერთი ფორმა იყო, რუსთაველი ბევრჯერ ავციწერს სა-  
ნუქტის გაკემისა და მიღების ეთიკასა და რი-  
ტუალს, და ყველა შემთხვევაში იგი თავის საგანს  
ექვეა როგორც ხელოვანი, ე. ი. ხატავს იდეა-  
ლურ შემთხვევებს. ყველა ამ შემთხვევაში რუს-  
თაველის — მხატვრისა და ხელოვანის გასაცნო-  
ბად მოგვებოვება უძვირფასესი მასალა. რუსთა-  
ველი მთელი ძლიერებით გრძნობს მაღალი ოსტა-  
ტობით შექმნილი ნივთის მშვენიერებას. მის მი-  
ერ აღწერაში სიმკაული არტისტული ნივთი, გა-  
კეთებული მაღლა ხელოვნებით, შერჩეული დე-  
მოვნებით. რუსთაველს ახასიათებს ღირსებისა და  
ღირებულების განცდა; ნივთის სილამაზე და ოს-  
ტატობა მისთვის განცდის საგანია. უამარვი მა-  
გალითიდან მოვიყვანოთ ერთი. იგი ცნობილი ჩი-  
ნური ხელოვნების რა შედევრს ავციწერს პოეტს;  
ხატავთიდან. გმირმა წამოიღო ერთი რიდე საკვირ-  
ველო, („სამღვინოდ მისად“, ე. ი. ნესტან-დარეჯა-  
ნისათვის);

„ვერა შევიგინ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად!  
ვისცა ვუჩვენე, უკვირდის, ღმერთისაგან თქვის  
სასწაულად;  
არცა ღარულად ჰგებობდა მას ქსელი, არ  
ორხაულად;  
სიმტკიცე ჰგვანდის ნაქედსა, ვთქვი ცაცხლოთა  
შენარათულად“ (461).

შეზღვეთ რუსთაველს, ხელოვანს სულით და  
გულით! როცა საჩუქარი უნდა მიართავს უძვირ-  
ფასეს არსებებს ამი ქვეყნისას, მაშინ თვალმარ-  
ვალიტობ ტვირთული ქარავანი კი არ გაგზავნა,  
არამედ მაღალი ხელოვნების უხადო ნამოქმედარ-  
ის; ღირებულება იმ ჩინური რიდისა მის იშვია-  
თობასა და ხელოვნებაში მღგობარეობდა. და  
სწორედ საჩუქრების გაკემისა და მიღების რი-  
ტუალისა და ეთიკის აღწერის დროს, ამ ერთი  
შეზღვეთი უმნიშვნელო მაგალითზე, ნათლად  
ჩნდება, რა დიპაზონის ხელოვანია რუსთაველი.

პომეროსის სადარი ნიჭი ჩვენი პოეტისა ქმნის  
წარმტაც მხატვრულ სახეს. მთავრდება კოლოზია  
„ვეფხისტყაოსნის“ ამბავთან. გამარჯვებული რა-  
ინდება ქაჯების ხელიდან განთავისუფლებული  
მხექალითურთ მიექცენ არაბეთს; გამოეგება მე-  
ფე არსტევანი. მოვიდა ტარიელი, აღსრულდა.  
არსტევანი თავისი თვალთ ხედავს უცხო მოყმე  
ენიშს, მტირალი რომ იჯდა წყლისა პირსა, ღა-  
მამხ ტევრში. იმ შეგვედრისას ტარიელმა გაანაწყუ-  
ნა მეფე. ახლა მოყვრებად ჰვდებიან ერთმანეთს.  
მამ, უმცროსი პატეუბას ითხოვს და რიტუალისა  
და ჩვევის მიხედვით შერჩეულ საჩუქრებს მი-  
ართმევს მაღალ სუვერენს. ყველაფერი ასე მი-  
ღის. მაგრამ საქმე საჩუქართა მართმევაზე რომ  
მიღება, ენატებოლი ტარიელი ეუბნება არაბეთის  
მოხუც მფლობელს:

„აჲ ამაღ მოვალ წინაშე, დაყარენ ჩემს/  
გზანია,  
შემინდოთ, რაცა შეგცოდნე, ქმნენარ/  
გაწეროსთა კეთისა  
ძღვენი არა მამქეს, მმოწმობენ ფრიდონ და  
მისინა ყმანია,  
ოდენ ძღვენად თქვენი ავთანდილ მე თქვენითვის  
მომიტანია“ (1506).

აი, ჩვენი აზრით, ჩინებული მაგალითი მხატვ-  
რული ამოცანის გენიალური ამოხსნისა. რომე-  
ლიმე სხვა, საშუალო ნიჭის შერაღს, ცხენ-აქ-  
ლეში რომ არ აღუთავდებოდა, მხოლოდესაც კი ამ-  
კიდებდა მარგალიტების ამანათს და მობრთმევა  
მეფე როსტევანს. რუსთაველის მხატვრულმა აღ-  
ლომ იგრძნო, რომ ეს მიპერბოლა ამ შემთხვევა-  
ში ეფექტს არ მოახდენდა; ამიტომ მთლიანად  
უარა თქვა მიპერბოლის ხერხზე და ამოცანა გა-  
დაჭრა ერთი დაკვირთ, პირდაპირ და მომხიბლა-  
ვად. მყოხველი გრძნობს, რომ ამ მომენტში  
იგი უნებლად მოწამეა უღელისა და უმშვენიერესი  
ძღვენის მობრთმევის რიტუალისა. როსტევან შე-  
ფემაყ ასე ავრძნო და ასე მიიღო ეს.

ეს მაგალითი ამტკიცებს თვალნათლად, რომ  
მისი ავტორი არის შეუდარებელი ხელოვანი, რა-  
მელიც ისე წყვეტს ხელოვნების რთულ ამოცა-  
ნებს, რომ ნორმას აწესებს შემოქმედებისათვის.

ხელოვნების ამოცანების ასეთ გადაჭრას წვენ  
პომეროსისებურ ხერხს ვუწოდებთ. ან სხელ-  
წოდებას თავისი გამართლება აქვს. პირველად  
ლესინგმა მითითა ხელოვნების, სახელდობრ  
პოეზიის, ასეთ მაღალ ხერხებზე პომეროსთან,  
რათა გენიოლობა პოეტისა განესაზღვრა და აღ-  
წესსა.

პომეროსი, ლესინგის თქმით, უმაღლესი მხა-  
ტვრული ამოცანის გადაჭრისათვის არასდროს არ  
შეშორავს ენამრავლობას და მოეღენათა ვითა-  
ეველ სიტყვიერ აღწერას საცილობელი მიპერ-  
ბოლების დახმარებით. არამედ უოველოვის გამო-  
ეგანებს რომელიც მხატვრულ ხერხს და ერთი  
დაკვირთ მოეცეყავს საკვლევე ამოცანის უშუა-  
ლობაში. როცა მის სჭირებოდა აფერა ქვეყ-  
ნაზე უღამაზესი ქალის მშვენიერება, ამისათვის  
პომეროსს არც ერთი ეპითეტო და არც ერთი შე-  
ტაფორა არ დაუხარჯავს, მან ეს მშვენიერი ქა-  
ლი — ელენე ქალაქ ტროას უზუცუესთა კრებას  
წარუდგინა. შეხედეს გრძელწვერსა და სისხლნა-  
კვლმა მოხეტეებმა ელენეს და ვროსმად თქვეს:  
ეს ქალი მართლაც ღირსია ამ სისხლისმღვრელი  
ომისა, მისი მშვენიერება მართლაც ღუთაებრივი  
ყოფილაო.

მორჩა და გათავდა. ამიერიდან მთელმა ქვეყა-  
ნამ იოიდა, რომ ელენე უმშვენიერესი ქალი იყო  
მთელ ქვეყანაზე.

ლესინგი ჩინებულად შენიშნავს, რომ ეს არის  
მხატვრისათვის ნიშანდობლივ დამახასიათებელი-  
ხერხი, სიტყვის ფორმით შთაგონებული გენია-  
ლური პოეტის მიერ.



არსთაველის პოეზიაში ამდგავარი და ამის ან-  
ლოგიური შავალითი ბევრია. ზელოვნების ამოკე-  
ნებს არსთაველი წყევტს მუსიკოსისა და ზნორად  
ნიშანდობლივ მხატვრისათვის წვეული ზერხით.

ფონისა და სიტუაციის მიხედვით ჰომეროსის  
ხერხის განმეორების შთაბეჭდილებას ტოვებს  
694 ტაეზი. ამოცანა ასეთი: ავთანდილი დაბრუნ-  
და ინდოეთს, მოტანა აშავე ტარიელის აღმოჩე-  
ნისა. იგი მიიღო თინათინა, აღდიენცია სიტკბო-  
ებისა და ლაღობის წუთებდა გადაქცეულა; გან-  
საყურებით ბრწყინავს თინათინი; იგი გამარჯ-  
ვებულა; მისი საქმრო ნამდვილი რანინი აღმო-  
ჩნდა; დაღლება შესარულა; ტარიელი აღმოჩინა;  
როსტევან მეფემ გაიგო საიდუმლოება და დაშვი-  
ლდა. ამაყად ზის თინათინი თავის ტახტზე. პოე-  
ტი იწყებს მისი მშვენიერების შესხმას:

„ბროღბადღბაშა ამშვენებდა თმა გიშერი,  
წარბი ტყარი“

მაგრამ პოეტი შეწყვეტს მდიდარი წარმოსახვის  
გამოწვევ მეტაფორებს და იტყვის:

„მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს  
ენა ბეერი“(694).

სწორედ ეს არის უმაღლესი ქება და დიდება.  
პლატონის სიბრძნე და ენაშუბოა ყოფილა საქა-  
რო, რომ კაცმა თინათინის მშვენიერება შეამ-  
კის გეროვნად. დანარჩენი ყველაფერი ვასაგე-  
ბია.

ამვე თინათინის მკითხველისაღმი გაცნობის  
მიზნით, არსთაველი ქმნის მეტაფორას, რომე-  
ლიც იმდენად მშვენიერია, რომ ბადალი მწელად  
მოიხსება პოეზიის მრავალფეროვან და მრავალი  
საყურებით შევალარავებულ ისტორიაში.

დიდი აბაბეთის მფლობელმა როსტევან მეფემ,  
რომელსაც ვაგი არ ჰყავდა, სამეფო ტახტზე თა-  
ვისი მშვენიერი ქალი დაასმევინა ვაზირატს. ბეე-  
რი სიბრძნე ითქვა ვაზირატის კრებაზე. აფო-  
რახშს აფორიზმი ცვლის არსთაველის ლექსში და  
კიდევ უფრო მეტი — მეფეთ კურთხევის ცერე-  
მონიის დღეს. შეყრებილია შიველი არაბეთი,  
ჯაბისა და დიდებულების შეყრებაზე მეფე წარ-  
მოთქვამს საინტერესო პოლიტიკურ სიტყვას და  
ახლ მეფეს მისცემს დარიგებას:

„ვარღთა და ნეჭთა ვანათვან მზე სწორად  
მოყფინების“,

ე. ი. მეფე უნდა იყოს ასეთიო, მაგრამ თინა-  
თინა ქალია, ე. ი. მეფედ არჩევა მისი უჩვეულოა  
და პოეტი მოვალეა, რაიმე განსაკუთრებული  
თქვას. არსთაველი ექვსი სიტყვიდან შედგენილი  
მეტაფორით ისეთს რაიმეს იტყვის მისზე, რომ  
სხვა მოჯადოებელი რჩება და გონება ვაკვირ-  
ვებულა:

„თინათინ მჭესა, სწუნობდა, მაგრამ მზე  
თინათინებდა“ (51).

ამ თქმის არა მარტო სიგანი, არამედ თვით  
თქმის ფორმაც მომხიბლველია. მზე, აღმაიანერი  
გაგებიო, უმშვენიერესი და უმაღლესი ყოველივე  
სრულყოფისა, თვით ცდილობს თინათინოს, ე. ი.  
ძღვევაშიალებით და მშვენიერებით დაემსგავსოს  
მას.

მაშამ გადასცა სიბრძნე აბსოლუტრემისა, ერთ-  
მყარობელი მეფე უმაღლესი სუფერენია ქვეყნი-  
სა, როგორც მზე ზუნებისა; ამიტომ, როგორც  
მზის სხივები ერთნაირად მოეფინების ვარსაც  
და ნეზესაც, ასე მეფეც ერთნაირად უნდა ეუფ-  
ლოს ქვეყანას აბსოლუტურად და უსიტყვეოდ,  
მასა

„მპორილობს ყოველი იგაცა, ვინ ირგულია“

(ამ ორი სიტყვით გამოთქმულია აგრეთვე მთე-  
ლი სოციალური ფილოსოფია არსთაველისა).

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად  
მოისმინებდა“ (51).

და შედეგის შესახებ გვასწავლის არსთაველე-  
რი შედეგები, რომ ამერიიდან თვით მზეს თინა-  
თინება დასჭირდებო, განმარტება საქარო არ  
არის. არსთაველის მოკლე მეტაფორა მეტის  
მოქმელი აღმოჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ  
ეს ქალი უდიდესი მშვენიება იქნებოდა ერთ-  
მყარობელი ტახტისა, ვიდრე ასეთად შეიძლე-  
ბოდა აღმოჩენილიყო მკაცრად ტრაქტატი,  
დაფერილი აბსოლუტრემის დასაცავად!

აუწერელი გენიალობით გამოქმნდაეკებული  
არსთაველურ მეტაფორა ერთსა და ამავე დროს  
გამოხატავს როგორც იმ პოლიტიკურ მსოფლმხე-  
დველობას, რომელიც ქალმა მამისაგან სახელ-  
მძღვანელოდ მიიღო, ისე მზისადაც მშვენიერე-  
ბას თვითონ ქალისა. ეს უზადო ზელოვნება, ამა  
რა არის!

იშვიათი თანმიმდევრობით მოიხმარს არსთა-  
ველი ზომიერების პრინციპს ომების აღწერის  
დროს. რეალისტის თვლი არ ღილატობს მას  
არც ერთ შემთხვევაში. უწყველია, პოემის ავტო-  
რი საზნდრო სტრატეგიისა და ტაქტიკის დიდი  
მკოდრე უნდა ყოფილიყო. ამ მზირე შედეგია  
აღწერილობა დიდი ომისა. ინდოეთის ჯარის სარ-  
დალი ტარიელი მიმართავს ომების ისტორიიდან  
კარგად ცნობილ სტრატეგიულ ხერხს, ლაშქარს  
გაყოფს ორად. ერთ ნაწილს დაშალავს და მეორე  
ნაწილით შეებმის. გადამწყვეტ მომენტში ბრძო-  
ლის ველს მოაწყდა:

„ჩემნი ლაშქარნი, რომელნი წამომეტანნეს მე  
არა“... (450).

და ბრძოლა ხატავლია სრული კატასტროფით  
დაშთაყრდა.

ომი დახასიათებულია როგორც გმირობა; ომის მიზანი უმიზნო ზოცვა-ელტა არ უნდა იყოს,

„მისი სპანი ყველაწი დაფიქრებით, არ მოკლენით“.

გამარჯვებული ტარიელი სულგრძელია, მოსახლეობისათვის აცხადებს სრულ ამინტიას და სხვა. აღებულია იდილური შემთხვევა ნამდვილი ომისა, გადამღამებული არ არის არც ერთი მომენტის აღწერა. მოკლენები გამქებულია თქმის ღრმა ცოდნით, ვაჟის რეალების დაცვით, ამგვ დროს — მხატვრული დამაჯერებლობით.

სულ სხვა სურათს ენახებოდა ქაჯეთის ციხესიმაგრის ასაღებად გამართული ომის აღწერილობისას.

მაღალი სიმპლური მხატვრობისათვის დამახასიათებელი ზერხით წყვეტს რუსთაველი რთულ ამოცანას. ეს ამოცანა შეეხება შინაგან სიმათლესა და დამაჯერებლობას.

ზომიერების პრინციპის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს შინაგანი სიმათლისა და დამაჯერებლობის განცდის გამოწვევა. ნაწარმოები, რომელიც ეწინააღმდეგება შინაგან სიმათლეს, რომელიც დაუჯერებლობის გრძობას აღიძებს აღამიანში, არ ეცუთენის ხელოვნებას. ამიტომია, რომ ჰიპერბოლების ზერხით წერა მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ იდეალურის აღსაწერად, და ისიც მკაცრი პირობების საზღვარში. შინაგანი სიმათლის გრძობა უნდა გამოიწვიოს აღამიანში ხელოვნების ზოცვა თუ სქენამ. რუსთაველს ნათლად რეფლექსირებული აქვს ეს პრინციპი, მაღალი ოსტატობით იყენებს იგი მას.

ქაჯეთის ომის ამბავი ეგზემპლარული შემოხვევაა. ასაღება ციხე, რომლის შესახებ ტარიელს ატობიანებს ნესტანი:

„ციხეს ვზი ვზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან“ (1300).“

ციხის გვირაბს იცავს „ქაჯეთი, ძნელად საომართა“ ათათასიანი რაზმი. დიდი ჯარის შეკრებისა და ზანგრძლივი ომისათვის ზელსაყრელი პირობები არ მოიპოვება.

მიდის სამი რაინდი სამასა რჩეული მეომართ; ამოცანა შეეხება ძლიერა ციხის მოზგრზებული დარტყმით აღებას. მკითხველი უნდა დაწმუნდეს ასეთი ციხის აღების შესაძლებლობაში და თქმულის შინაგან სიმათლური, რუსთაველი ზედავს, რომ ამისათვის ტარიელს მაღალი სტრატეგიალია არ არის საკმარისი. გამარჯვება დამაჯერებელი რომ იყოს, რაიმე სიმბოლო უნდა გამოვიდეს სამოქმედოდ.

სტრატეგიას და ჯარის ორგანიზაციისა და ბარისს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ნინებულად იცის „ეფენისტყაოსნის“ ფტორმა. ჯერ ის ამ არგუმენტს მიმართავს:

„ასი ათასსა აჯობებს, თუ გამოირჩეოთ მქნელი“ (1392).  
მარკინეული

მაგრამ განსხვავება შინაგან სიმათლურ რაინდებს ასეულები ჰყავთ, მოწინააღმდეგეს კათი ათასები. რით შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი გამარჯვება? ფერომნალური იარაღით. იარაღის უდიდესი მნიშვნელობა ისე ნათელი ყოფილა რუსთაველისათვის, როგორც ეს დღეს ჩვენთვის, ტექნიკის სიუენის შეილებისათვის არის ნათელი.

ტარიელს მოაგონდება, რომ მას ღვეთა ყოფილ ქვაბში დაცული აქვს ზარადხანა, რომელშიაც ინახება უცნაური კილობანი აბჯრისათვის. ტარიელი და ავთანდილი დაღწენ ქვაბის ორმოციოდე ვარს, შევლენ შიგ და იპოვიან აბ სიმბოლურ კილობანს, ხილავენ დიდ გარემოებათა მაუწყებელ, ჯადოსნურ წარწერას:

„ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საკვირველიო, ჯაბე-მუზარადი, აღმასი, ზრამალი ზასრისა მკრელიო; თუ ქაჯნი ღვეთა შეებნენ, დღე იყოს იგი ბნელიო; უმისქამისოვ ვინც გახსნას, არის შეფეთა მკელელიო“ (1368). „კილობანი გახსნეს, პოვეს მურ აბჯარი სამი ტანი, რასაცა ვით შეიმოსნენ მეომარნი სამნი ყმანი“ (1369) და სხვა.

ამით დამაჯერებლობა გამარჯვებისა საკლშინაციო წერტილს აღწევს. სამივე რაინდი შეიჭრვა იარაღით, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმულ ქალაქშია დამზადებული და თვით განჯების მიერ ქაჯეთა გასანადგურებლად იყო განკუთვნილი. სიმბოლური ზერხი ამ ხელოვნებისა გასაგებაი უკომენტაროდაც. ამიტომ რუსთაველის ხელოვნება უზადო რეალიზმია. სიმბოლიკის ზერხებსაც კი ამიტომ მიმართავს პოეტი, რათა საერთო რეალისტური შეგონება გაამართლოს.

დიდი ხელოვანი უნდა იყოს აღამიანის სელის შესაიდუმლე, ფსიქიკის მეცნიერი, ვნებათა დღესისა და აფექტების დენის მეოღე, აზრის დოსტაქარი და ნების მმართე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღამიანში ვერ აღმოჩენს ზოგა აღამიანურს შემთხვევათა კრებაში თუ ხელოვანს არა აქვს განყენების უნარი, იგი ვერ შექმნის მხატვრულ სახეს, ტიპს. თავისებური ანსტრაგირების უნარი განუწყრელი თანმზებელია ხელოვნებისა. მეორე მხრივ, მიუღებელია ის შეზღუდულება, რომლის თანახმაც, ხელოვნება ვითომც აღამიანურს შეცხებოღეს და არა გარკვეულ აღამიანს, ვითომ ხელოვანი არავის არ გულისხმობდეს შემოქმედების პროცესში, ვითომ მხატვარს პორტრეტირების გარეშე შეეღოს მხატვრობა. ასეთი ხელოვნება სისხლის სითბოსა და რეალური ცხოვრების დენას მოკლებული ოსტატობა იქნებოდა

ასეთი ნაკლოვანება ყოველთვის პერსონალურ, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციას გულისხმობს და სწორედ კონკრეტულში იძლევა საერთო ნაგულისხმევი რეაქტორი აღამიანის სახით, ზოგად — აღამიანურს, როგორც ასეთს.

ქეშირითი ზელოვნების ეს პრინციპი მაღალი სტატობით გამოყენებულია რუსთაველის მიერ. „ვეფხისტყაოსანი“ უაღრესად კონკრეტულ ისტორიულსა და უაღრესად განყენებულ ტაბლოგიურ პერსონაჟებსა და სიტუაციებს გვიხატავს. მაღალი იდეები, რომლებიც რუსთაველს სურს მაწიროს მთებს, აქ გამოიყენებოდა როგორც აღამიანის კეთილდება, როგორც ისეთი სიტუაცია, რომელსაც განიცდიდა მაშინ მისი სამშობლო, რომელიც დაბატული და აღწერილია როგორც ლეგენდარული და თვალთა და ყურით მიუწვდომელი, შორეული. ასე უნდა მოქცეულიყო პოეტი, რომელმაც თავი დააღწია ბინანტინის შემოჭრებებში.

ნამდვილად რუსთაველის დროინდელ საქართველოს სამეფოს ვარზე იდეალად დინახავდით დადებულს, რომელიც აეთანდღის ისე ემსგავსებოდა, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, მაგრამ დროის კანონმა წაიღო ის ვარისკაცი და მარად დარჩა საქართველოს რუსთაველის აეთანდღილი. რა პირობებშიაც არ უნდა იფიქროს ქართველმა აღამიანმა, რომელიც არის სწავლული და ბრძენი ერთსა და იმავე დროს, გაიხსენებს: „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ჭირია“

და მკისვე რუსთაველის აეთანდღილი ზაისახება მის წარმოდგენაში.  
დასასრულ რუსთაველის ზელოვნება რამდენაზე კერძო ხასიათის საკითხზე უნდა გამოვცადოთ. წარმოუდგენელია, დიდი ზელოვანი აღამიანის სერის დიდი მეოცად არ ხელს. მისი თვალის ფსიქიკის მიმოქცევის ყველა ზეულია და თვითთულს დეტალს უნდა ზედაედეს. განსაკუთრებით აფექტების მიმოქცევის ცოდნაში დახელოვნება საქირო, რუსთაველი ამ მხრე შეუდარებელი და ვანუშიორებელია. თავისი დროის ფსიქოლოგიაში იგი უაღრესად განსწავლული კაციც უნდა ყოფილიყო. გარეშე ამისა არ შედეგობოდა ის დიალექტიკა, რომლითაც რუსთაველი შლის სულიერი ცხოვრების სამ მოტეხს — გრძნობას, ინტელექტსა და ნებისყოფას შორის და არ ვაფორმდებოდა ის ინტელექტუალური თვალსაზრისი, რომლის პოზიციებზე რუსთაველს დგას ვარკვეულად. რასაკვირველია, ამ მომენტში ზვენი სწავლულებისა და რეზონირების მომენტი არ გვაინტერესებს. ამაზე ქვემოთ იქნება მსჯელობა. აქ ზვენი გვიანტერესებს მხატვრული ხერხების გამოყენების საკითხში ფსიქიკურ მოვლენათა გამოკვლევის დროს.

რუსთაველი დამაჯერებელი ზელოვნებით გვიჩვენებს, რომ აღამიანის სულიერი ცხოვრების

მიმოქცევის დროს აფექტის პლუსსა და მინუსს ერთნაირი რეაქტორი აქვთ. მიგალითად, უმადლეს სიხარულსა და მწუხარებას, ზედწიერებას და უბედურებას სწორად აერთიანებენ ერთნაირი დამიანი. არის შემთხვევა, როდესაც გრძნობასა და სიხარულს ერთნაირად გავაგა და, მაგ, უმადლეს მწუხარებას აღამიანი უპასუხებს დიმილით, ხოლო უმადლეს სიხარულს — ტრილით. უმადლესმა წყრობამ და ბაზმა შეიძლება გამოიწვიოს ნებისყოფის დამდაბლავება და სხვა, სადაც უმადლესი სიტხილზე სავიროა, იქ უმადლესს სიხარულით მწუხრების გამო, შეიძლება დაეჭინოს აღამიანს, უსამინელს მწუხარებას კი სიმღერით უპასუხოს. ამ შემთხვევაში ინსტიქტი ცდილობს განაცადოს სიხარულს და, რათა მთლიანად შეიხადოს სიხარული ძალა პირველისა.

რუსთაველი იცის სულიერი ცხოვრების ამ საიდუმლოების ყველა ზეული და აყენებს მათ თვითთული საკირო შემთხვევისას; ტარიელისა და ნესტანის რომანი, როგორც ცნობილია, დაიწყო აქტივობით ქალის მხრე. „მაგრამ ნესტანი პირველად რომ იმზობს ტარიელს, დათვრება მისა დასახებთ, გრძნობათა მოჭარბება მას სიტყვას წაართმევს და ასმითი ბტყვის სიყვარულითვე მთვრალ რაინდს: „აჲ წაღო, ვერას ვითბობს“. (395). დანარჩენს გვაცნობებს შეყვარებულთა ცრემლები... მაღალი სტილის ზელოვნება თავიდან ბოლომდე გამართლებული. დიდმა გრძნობამ და დიდმა სიყვარულმა არ იცის დილომატიური ლაქლაქი.

ასეთს შემთხვევებში შესიკის აღვილს იქერს ტრილი. რუსთაველი შეუდარებელი რატატია ცრემლებით აკრძლებს აწუხობს. საქართველოს მოთხილად მდინარეებს არ უდენიათ იმდენი, რამდენიც ცრემლი რუსთაველმა ადენინა თავის გმარებას. რუსთაველის ცრემლის ფსიქოლოგია ცალკე კვლევის ღირსია.

სწორად გამოუთქვამთ გაკვირება ამ გავრავებული ტრილის გამო. საიდუმლოება ნათელი გახდება, როგორც კი გავიგებთ, თუ რა აზრი აქვს სიტყვას — „ტრილი“ რუსთაველთან.

ტრილი რუსთაველთან შესიკალური მსოფლგაგების ელემენტია. იგი ყველა ძლიერი აფექტისა და დრმა გრძნობის თანსლები აკომპანიმენტია. ჩვეულებრივ ტრილი მინორბს ფორმით გვესმის; რუსთაველი კი უმადლეს მაკორსაც ტრილით უპასუხებს. სულ ერთია, მწუხარებასთან თუ სიხარულთან, ზედწიერებასთან თუ უბედურებასთან გვაქვს საქმე, რუსთაველის გმირები ტრილის აკომპანიმენტის ქვეშ უერთდებიან ამ ქვეყანას. ამ შემთხვევაში ტრილი გამოუთქვამს იმას, რაც ენას არ უთქვამს.

ტრილი მტყველების მიმართ იმ როლს ასრულებს, რასაც ინსტიტუტები ვოკალის მიმართ: ზან წინ უსწრებს და აწუხობს მის ზეებს. არის უფერტიურა, ზან აბლავს მას და აშუქებს მის დენადობას, ზან აგრძელებს ზანგების ტრანს და ამ-



თარგებს მოქმედების აზრს. რუსთაველური ტი-  
რილი იმავე მოთხოვნების პირშია და იმავე  
გრძნობებს აკმაყოფილებს. ჩასაც მუსიკა.

ტირილი და მუსიკა მსოფლმზღველობაა რუს-  
თაველთან. პოეტი განსაკუთრებული ინტენსიო-  
ბით განიცდის ერთსაც და მეორესაც, ერთსაც და  
მეორეც აღზნების ღრმა აკორდებსა და გრძნო-  
ბის მექ ტონს გამოხატავს, ერთიცა და მეორეც  
კოსმოსური ძალაა. ერთსაც და მეორესაც ახასი-  
ათებს როგორც მინორის, ისე — მაჟორის პანგა.  
საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რუსთაველის  
აზრით ტირილის კოსმოსური შემოქმედება გზ-  
ცილებით ძლიერია, ვიდრე სიმღერისა. ტირილი  
თან ახლავს ისეთ მაღალ განცდებს, როდესაც სა-  
ერთოდ არ მღერიან; განსაკუთრებით თავისებური  
და რუსთაველურია ეს მაღალი და უმაღლესი მზი-  
არულების შემთხვევებში, როცა ადამიანი, რუს-  
თაველის გავებით, არასდროს არ მღერის, მაგ-  
რამ ცრემლების მდინარებას იძლევა სათავეს.  
სიმღერა თანმხლებია საშუალო ტონის სიამოვნე-  
ბისა. მუსიკა თან ახლავს სიმბრუნეს, ტირილი  
კი — უმაღლეს სიამოვნებას და მის ფსიქიკურ  
მონათესავეს — უმაღლეს უბედურებას.

განსაკუთრებულად აღვლი უქარავს ლოცვა.  
ლოცვა, რუსთაველის აზრით, არის ადამიანის  
სიტყვა ღმერთთან. რუსთაველმა მოგვცა ლოც-  
ვის შედეგები. პოეზიის ისტორიას იშვიათად თუ  
მოგვცემა ის, შთაგონებით თქმული და ისეთი  
ისტატობით შესრულებული სიტყვა ადამიანისა  
ღმერთის მიმართ, როგორც არის „ლოცვა ე-  
თანდღისისა“, და ისიც აკომპანირებულია შერმა-  
დინის ცრემლის ღვარით.

როგორც ცნობილია, ჭარბული რიტუალური  
ტირილი — ზარი არის თავისებური ოპერა, რომ-  
ელსაც სიტყვისა და მუსიკის სრული აქსესუა-  
რი აქვს თავის განკარგულებაში. რუსთაველი მა-  
ღალი ისტატობით აგვიწერს აეთანდღისის გაბრ-  
ვის გამო გამართულ ზარის იშვიათ სურათს მე-  
ფე რისტიკანის სასახლეში. რუსთაველური ტი-  
რილი რომ ნაშვლია მუსიკაა, ეს საბოლოოდ  
დამტკიცებულია ამ ზარის რუსთაველური აღწე-  
რით.

უნდა აღინიშნოს, რომ, რუსთაველის გავებით,  
ტირილი მუსიკის ერთი ფორმაა, იგი არის ად-  
ამიანის სულის მუსიკა, ტირის ადამიანი და მის-  
თან ერთად მუსიკოსს თუ ტირის მთელი სამყა-  
რო. სამყაროს პარპონიული აგებულება არის  
უნაყურსალური მუსიკა; ამიტომ არის, რომ მუსი-  
კის მაღალ ფორმას, სიმღერას, ერთნაირი ძლიე-  
რებით გრძნობს ბუნების ყველა ძალა.

ამ მსოფლმზღველობაში თავისი გამოხატულება  
პოეტი იძლევიდა ასტრალურ საგლობელში  
რომელიც ფრიდონისას მიმავალმა აეთანდღისმა  
უმღერა სამყაროს. ეს სიმღერაც როგორც ფორ-  
მის, ისე შინაარსის მიხედვით რუსთაველური  
შედეგია. მის შინაარსს ჩვენ სხვა ადგილს და-  
ვებრუნდებით; აქ გვიანტერესებს მისი მუსიკა-  
ლური გაფორმება, ესაა გენიალური ვადარწმუნა-

ერთმანეთში სიმღერისა და ტირილის პანგებისა.  
ეს არის რუსთაველური განსაკუთრებული  
თან ერთად მღერის მთელი ბუნება, ყოველსენით  
რუსთაველს:

„რა უსმოცის მღერა ყმისა, სმენალ მზეკნი  
მოვიდიან,  
მისევ ხმისა სიტკმოსაცან წულით ქვანიცა  
გამოსხდიან,  
ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატირდის,  
ატირდიან;  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ლვარისაებრ  
ცრემლი სიდიან.  
მოვიდიან შესამკობლად ქვევნით უოვნი  
სულიერნი:  
კლდით ნადირნი, წყალშიც თევზნი, ზღვით  
ნინანგნი, ცით მფრინველნი,  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მამრით და  
მალბიანელი,  
რუსნი, სპარსნი, მოდრანგნი და მისრეთით  
მეგვიბტენნი“ (957, 958).

და აქ, მთელი სამსჯავროს წინ, სადაც აეთან-  
დღილან ერთად მუსიკოსს და ტირის მთელი სამ-  
ყარო, რუსთაველი თავის საუკრულ გმირს წარ-  
მოათქმევენებს დანიელი პრინცი უოფნა-არყო-  
ფნის ალტერნატივას! აეთანდღილი „სიციცხლისა  
იტყვის თვისა“ (956)

და თვითონვე უხასტებებს:  
„მაგრა თუ კირსა არ დასთმობ, ლხინი რა და-  
სათმობია!“ (955)

რუსთაველის შემოქმედებაში ყოველთვის  
იმარჯვებს გონება; მუსიკის მინორული პანგე-  
ბით გამოწვეული პესნიმორიც კი გადალახა სა-  
ციცხლის გამარადისებით გაქვნილმა ოპერ-  
მიზმა. ოპტიმისტური მსოფლგაგების სადემონსტ-  
რაციოდ უყუთს მხატვრული სურათის დადგმა  
ღიახაც ძნელ წარმოსადგენია. შექსპირი სიცი-  
ცხლის „თუს“ პასუხგაუცემელს ტოვებს. რუსთა-  
ველი უყოყმანოდ უყოფედებს „თუს“ და ტოვებს  
სიციცხლს.

უქანსწნელი საკითხი, რომელსაც ჩვენ კიდევ  
განვიხილავთ ამ მიმართულებით, შეეხება რუსთა-  
ველურის შუქრას ადამიანის სულის სიღრმეში.  
რუსთაველი იზიარებს რაციონალური ფსიქოლო-  
გიის იმ ცნობილ შეხედულებას, რომლის თან-  
ხმად, ადამიანის აფექტების, გულისხმის, გონების  
და ნებისყოფის კონფლიქტის შემთხვევაში საბო-  
ლო ანგარიში გონება და ნებისყოფა იმარჯვებს.  
ასეთი ძლიერებით შეიძლება არც ერთს პირტს.  
არ ემღეროს გულისხმის სიტყვა, როგორც რუს-  
თაველს. მაგ. ის ამბობს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა  
კვიდიან:  
რა გული წაეა, იგიცა წაელენ და მისევ  
მიდიან“ (848) და სხვა.  
მაგრამ გადაწყვეტ მომენტში ყოველთვის  
იმარჯვებს სიმბრუნე გონებისა. გონებას მრავალ-  
ტერხი მოეპოვება, რათა დაძლიოს გული და გა-

მარჯვის მასზე. ამ იუვის მხატვრული სახით გამოქმნის შედეგს წარმოადგენს პოემის ის ადგილი, რომელშიც დასაბუთებულია „პოემა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“. აქ, ხეც ამ მომენტში გვიანტერესებს არა ის, თუ ავთანდილი, ცნობიერებისა და გონების დისტაქარმა, როგორ გაიმარჯვა სასოწარკვეთილებაში საყრდნელ ტარიელზე, თუ ავთანდილის შემოთვალაში დიდაქტეკამ როგორ დაიმორჩილა ტარიელი, არამედ შედეგი, რომელიც აღფრთოვანებს თვით რუსთაველს; აქ ამბობს იგი თავის უდიდეს და მართლაც შემოთვალაში და კონშეს მერ გადაულახავს აფორიზმს:

„ველსა ზერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (901).

აქ მთავარია ის, თუ რა მხატვრული ოსტატობით გვიჩვენებს რუსთაველი ერთი ადამიანის გრძობის მეორეზე გამარჯვების მავალით.

ტარიელის საძებნად არამთილად გასარული ავთანდილი ზანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ხელმოკრედ მოვიდა ასმათის სადგომთან. ქალი იყო მარტო ტარიელი სულ გადაკარგულიყო. დრო აღარ ითმენდა. ავთანდილი მყისვე მეგობარი ჰქნას შეუღლა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ დაინახა მან მალაი ქვიდიან მზიან. ჩრდილიან ველზე ტარიელის შავი მერანი. სასწრაფოდ აქ მოსულ ავთანდილს უცნაური სურათი დაუხვდა: სისლბა მელრავი ცოცხალ-მკვდარი ტარიელის ერთი მხრავ მოკლეული ღოში ეგლო, მეორე მხრავ კი — ქვედაჩრტებობი მოკლეული ვეფხვი.

შეუბოავრი მზრნეველობით გონზე მოსულსა და გამოცოცლებულ ტარიელს წინ დაუჯდა ბრძენი მეგობარი. შეიარაღებული ანტიკურ ბრძენთა თქმული სიტყვით, ლოგიკისა და დიდაქტეკის განსწავლულობითა და ზერხებით ენა-მეყვერა ავთანდილი მოეწოდებს მეგობარს გონიერბისაკენ. ტარიელი არა ნაკლებ განსწავლული აღმოჩნდა ბრძენთა ნათქვამის დაუფლებაში, მაგრამ მტკიცე უარით უპასუხა მეგობარს:

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!

ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა“ (886).

ტარიელს საბოლოოდ დაუაროვანს გამარჯვების იმედი. მას ვადაუწვევებია განშორდეს ამ ქვეყანას და მათ იმედოვნებს, რომ

„აქა გაყარონი მიკუნთნი მენამცა შევიყარენით“ (882).

ავთანდილი ზედებს, რომ აქ მეცნიერება და სობრძნე აღარ ვაქობს. მეგობრის გადასარჩენად მან სხვა ზერხი უნდა გამოიჩინოს.

აქ რუსთაველი შექმნის მხატვრულ საბავს ვა მოთხარის ზერხს, რომლის ხელოვნება მტკიცეს არ იცნობს შემოქმედების ფსიქოლოგიის ისტო-

რიაში. ნათლად ხედავთ, თუ რა უდიდესი შესაძლებლედ ყოფილა რუსთაველი ადამიანის სულის მიმოჭყევისა, რა ფაქიზი ანალიტიკოსი იყო ადამიანის ფსიხიკისა, რა ხელოვანი.

როცა რელიგიური აღვზნებით გატაცებული ტარიელი აღფრთოვანებით ამბობს, რომ საიქიოს

„მისიკენ მოვალ მზიარული, მერმე მანცა ჩემ კერბ იროს, მივეგებვი, მომეგებოს, ატირდეს და ამატიროს... ჰვითხე ასთა, ქმენ გულისა, რა ვინდ რა ვინ გვიხაროს“ (883).

მაშინ ავთანდილი მიიტოვებს ლოგიკის და ფილოსოფიას და მოკლედ ეტყვის — კეთილი, შენი იუოსო,

„აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისცა ეცდაღ მელარა“ (888).

მეგრამ უკანასკნელად გთხოვ, პატავი მეც და ერთადერთი სურვილი შემისრელოთ:

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა ერთი მიყავ საწაღელი, ერთხელ შეგვე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხელე.“

ნუთუ მაშინ მოვიქარეო სევადა ესე აწინდელი მე წავალ და შენ დაგავდებ, იქმნას შენი საქაღელი“ (890).

კითხვობ და ვეკვირს, რა აბიურბული სურვილია! პირდაპირ ვინდით თქვათ, რა დროს ეს არის? ნუთუ ტარიელი ახლა ამის გუნებაზეა. მაგრამ შეხედეთ რუსთაველს, შეხედეთ გენიალურ ხელოვანს, როგორ მოგაჯადოებს და ერთხელ და სამუდამოდ დაგიპყრობს ყოველივე ის, რისაც იგი უმაღლედ გვიჩვენებს:

ზრდილობის მალაი ეტაკეტებით გაზრდილი ტარიელი, ცხადია, მეგობრის თხოვნას ასრულებს: მოიყვანე ცხენი, შეეჯდებიო.

„მან მოგვეარა, წყნარად შესეა, არ სინჭარით იაქმინე;

მინდოროთაც წაიყვანა, ტანი მკვერი აძერვეინა, ხანი წარელეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“ (892).

მაშასადამე, ზერხმა გაჭრა, ცხენზე ჯდომამ ტარიელს თავისი ბუნება აღუდგინა, ნელ-ნელა შეინიჯა იგი ავთანდილმა, ჯერ ნელ-ნელა მიდიოდნენ ცხენები, შემდეგ უმატეს სულს, სასიოცხლო ინსტიქტმა გამარჯვა, ტარიელს ცნობიერება დაუბრუნდა.

რუსთაველი ავთანდილს „ცნობიერთა დისტაქარს“ უწოდებს. „სვედის მუფარახს“. მართლაც, ავთანდილის მოქმედება გაწვრთნილი ფსიქიატრის ოპერაციას მოგვაგონებს. შეატყო რა ტარიელს საბოლოო მოჯობინება, ავთანდილმა ახალ ზერხს მიმართა, ესაა ტკბილად მოუბარი ენისა და გონების უმშაკობა.

ერთი რამეა კიდევ მოგახსენებ და დაფარული



გამოცხადდეს, — დაიწყო მან. ახლა მიუთითა მშვენიერ სამხრეთზე, რომელიც ნესტან-დარეჯანის ნაიუქარი იყო და რომელსაც ტარიელი ვანუყრელად თან ატარებდა. ძალიან გიჟყვარს ეს სამხრეთი? — იგი ჩემთვისო, — მიიღო პასუხად.

„მჯობე ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა“

არისო, მაშინ, აეთანდღეობა, მართლაც „ცნობიერთა დოსტაქარმან“, ჰყვარა: ნუთუ ეს სამხრეთეურო მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე ასმათი, ის ასმათი, რომელიც არისო:

„თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნახშობი

ღობისა,

თქვენი შემყრელი მსახური, შენგან ღირს-ქმნილი ხმობისა,

მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის

მიხდილი ცნობისა,

გლახ, დამიგდია, არ პნახავ, შაბამ მართლისა ბრკობისა!“ (899).

შამაცობა მისი მიტოვება კი არაა, არამედ მასთან ერთად ქირის ატანა იქნებოდა. ეტყობა რუსთაველს თვითონ მოეწონა ძალია გონების დაღლექტიკისა, თვითონ აღფრთოვანდა აწერილი სურათის შიშველტალღობით და აქ წარმოთქვა თავისი ცნობილი აფორიზმი: გველსა ზერულით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარაო. ტარიელი უსიტყუოდ დაემორჩილა ამიერიდან აეთანდღეობს და მიჯრძალვებით

„მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად

სოფლად ღირდეს,

გონიერსა მწერათნელი უყვარს, უგუნურსა

გულსა ჰგმირდეს“ (904).

რუსთაველმა მიადღწია თავის მიზანს. ზელოვნების იშვიათი სურათით თქვა მან, რომ გონიერება კაცს ყოველივე გასაქირისაგან გამოიყვანს და უვალ გზებსაც გაუკაფავსო. თუ უღრმესი ცოდნა არა ჰდამიანის სულიერი ცხოვრების მიმოქცევისა, თუ არა შორსმჭვრეტელი თვალა ხელოვნისა, თუ არა განსწავლული ენა შეცნობისა და გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, ცხადია, არც ასეთი მაღალი ოსტატობით შექმნილი პოეტური სახე გაფორმდებოდა.

რომ რუსთაველი ზელოვანი ასეთი იშვიათი სურათების წერას ღრმად ყოველთვის გარკვეულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა, ამას ნათლად ამტკიცებს ზემოთ გარჩეული უკანასკნელი (905) ტაქტი, რომელიც არის ლექსად თქმული დებულება არისტოტელისა, აღებულო „რიტორიკიდან“.

თავლის სანთელიო, ამბობს ბრძენი აეთანდღელო, ცეტსლში იწვიოს და ანათებს, რადგან სიბოროს შეიცავს და ეცხობს ბუნებისა არისო, შვარამ

წყალში ჩავარდნილი ქრება, რადგან წყალი სხვა ბუნებისაა, და იმიტომო: „რაცა ვისცა საქმე თვით სკირს, სხვათათვისცა ევარგებნს“ (905). შევეჩვენებულს შეუძლია გავგოს შევეჩვენებულსა, გვიჩვენებულს — გაჭირვებულსა, ეს არის თავიდან შეგობრობისა და მეც, ვისიც გული სთევადულით შენებარ დნების, ნამდვილი შეგობრობა შემძილა და მიმეგობრეო.

არისტოტელეს ამ ეთიკური სიბრძნით მიაგებდა ეს წარმტაცი პეიზაჟი განუმეორებელი ზელოვნებისა. რუსთაველის ზელოვნება იდეურია თავიდან ბოლომდე ისე, როგორც იდეურია ყოველივე ეპოქის შემქმნელი ზელოვნება.

ჩასაკვირველია, მოყვანილი შავალითები არ ამოწერავენ რუსთაველს ზელოვნის და მით უმეტეს — რუსთაველს მოაზროვნეს. მოყვანილი შავალითებს მიზნად ჰქონდათ მთელი თავის ეშუალობით ეჩვენებინა რუსთაველის სიტყვის მშვენიერება, რუსთაველის თვალის და სმენის, როგორ ზედაც რუსთაველი სამყაროს, „შვიან ჩრდილს“ და „შაქრის ფერი ხმას“, როგორ მღერის და ლოცულობს პოეტს, როგორ ტრირს და მუსიკობს მისი ენა და ენასთან ერთად მთელი მისი არსება. მამსადამე, ჯერჯერობით საქმე გვაქვს იმ საკითხების წრესთან, რომლებიც ესთეტკის სფეროს გვეთვინან.

იდეურობა რუსთაველის შემოქმედებისა, ჩასაკვირველია, იმით არ ამოწერება, რომ მან ასეთი ოსტატობით განიცადა ფენომენი „შვიანი ჩრდილისა“, „შაქრის ფერი ხმისა“, და „ენისა, რომ მუსიკობს“, არამედ იმით, თუ რა ეთიკური და პოეტური, ფილოსოფიური და მეცნიერული მსოფლმხედველობა ახლდა პოეტს, თუ როგორ მხატვრულ სურათში გასახიერდა ეპოქის მოწინავე აზრები და იდეები.

კვლევის ის მეთოდი, რომელმაც რუსთაველი გვიჩვენა, როგორც სინათლის ჩრდილის, ლექსის მუსიკალური ფერის, თუ სიტყვის შაქრის ფერის გენიოსად, უმეველია, რუსთაველის სიბრძნესაც თავის შესაფერის სიმაღლეზე დაგვიანებებს და მისი აზროვნების არწივის პერსპექტივებს გაიშუქებს.

საკეთიარი ესთეტკური შემოქმედებაც გააზრებულა რუსთაველთან, დიდი პოეტი არა მარტო განუმეორებელი შემოქმედია, არამედ არის ენონიმდებელიც შემოქმედების ნორმებისა. პოეტი ურყევად ღვას კლასიკური არისტოტელისმან პრინციპებზე. ესთეტკაში, ეთიკაში თუ ნატურ-ფილოსოფიაში იგი შეგნებულად იცავს არისტოტელეს დიდ მეცნიერებას. განსაკუთრებული თვალნათლობით ვხედავთ ამას ესთეტკისა და პოეტკის სფეროში.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ რუსთაველი არაბული სკოლის არისტოტელეს იცნობდა და ამ სკოლის ნატურალისტურ ინტერპრეტაციას იზიარებდა.





## აღმქსანდრე ჰავეკავაძე პაქთა კორპუსში

აღმქსანდრე ჰავეკავაძის ცხოვრება და შემოქმედება უფროაღაფერო იზერობს ლიტერატურის-მკვლევებისა და ისტორიკოსების ყურადღებას. და ეს გასაგებია. შესანიშნავი პოეტი, რომელმაც გაამდიდრა ქართული ლიტერატურა მთელი რიგი, დღემდის პოპულარული, ლექსებით, საზოგადო მოღვაწე, რომლის სახლი, ერთი თანამედროვის სიტყვით, იყო ცენტრი საქართველოს მოწინავე კულტურული ძალებისა, ადგილი, სადაც ერთმანეთს ზედმოდნენ რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები, — ასე გვეხატება ფიგურა ჰავეკავაძისა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენლისა.

საყოველთაოდ ცნობილია ალ. ჰავეკავაძის შეგობრული ურთიერთობანი ბეგრ დეკაბრისტთან, ვრამდენოვთან; მრავალი ფაქტი, დადასტურებული მკვლევართა მიერ, გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ ჰავეკავაძის ნაცნობობაზე პეშინთან, ლეონტოვთან. ყოველივე ეს გასაგებს ხდის იმ ინტერესს, რომელსაც იწვევს მისი პიროვნება, ბიოგრაფია, შემოქმედება.

სამწუხაროდ, პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების არა ერთი და ორი მხარე ჯერ კიდევ ბნელთ არის მოცული. თუ მისი ცხოვრების კავკასიურ პერიოდზე (განსაკუთრებით, დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ) ზევნ ბევრი რამ ვიცით, შემდეგდროინდელი წლები სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არაა. ეს წლები კი შეადგენენ საინტერესო ისტორიულ ეპოქას, რომელშიც განსაზღვრა პოეტის სულიერი განვითარება და რომლის ვაგება, ფიქტობა, მთელი სისრულით შეუძლებელია, თუ არ ვავითვალისწინებთ ალ. ჰავეკავაძის მონაწილეობა 1812 წლის სამამულე ომში, თუ არ შევავსოვთ არცთუ მდიდარ მასალები, ამსახველი მისი სამსახურისა პუსართა პოლკში; ასევე საინტერესოა ამაზე აღბრუნებული პერიოდის მასალები, რომლებიც ასახავენ პაქთა კორპუსში სწავლის დროს. როგორც ვიცით, აქ ალ. ჰავეკავაძე მოხდა ტაშოვში გადასახლების შემდეგ. პაქთა პერიოდი მისი სიცოცხლის ერთ-ერთი პირველი ფურცლებია, რომლებიც მტრად მნიშვნელოვანია პოეტის დამოკიდებულების გასაგებად იმდროინდელ სინამდვილესთან.

### 1.

სანამ გადავიდოდეთ პაქთა კორპუსში ალ. ჰავეკავაძის ცხოვრების ფაქტების განხილვაზე, აუცილებელია გამოიჩინოთ ამ პერიოდის ქრონო-

ლოგიური საზღვრები, თუ როდის შევიდა იგი კორპუსში, ამასთანავე, საინტერესოა ვიცოდეთ, როდის გადავიდა იგი ლეიბ-გვარდიის პუსართა პოლკში.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ დღემდის ლიტერატურაში, რომელიც მიეძღვნება პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ამ საკითხის გარშემო არ არის მიღწეული ერთსულოვნება.

ბეგრი რევოლუციამდელი ავტორი, აგრეთვე, მთელი რიგი საბჭოთა მკვლევარები უცანსეოდ დროშის ფიქრობდნენ, რომ ალ. ჰავეკავაძემ პაქთა კორპუსში სწავლა დაიწყო 1805 წელს. ტრადიციამ დაფუძნებულ ამ შეხედულებას იზიარებდა პოეტი-აკადემიკოსი ი. ვრამშაველი, რომელიც ალ. ჰავეკავაძის თხზულებებზე დაართულ წინასიტყვაობაში წერდა: „შეგობრულ ტაშოვში დიღბანს არ დაჩნდებოდა. 1805 წელს აღმქსანდრე ჰავეკავაძე უმაღლესი ბრძანებით გაწვეულ იქნა ბეტერბურგში და იმპერატორ აღმქსანდრე პირველის განკარგულებით რამდენიმე ხნის შემდეგ ჩარიცხეს პაქთა კორპუსში“<sup>1</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ვრამშაველის ვარაუდი უსაფუძვლო არ არის. მეტიც, იგი შეიძლება განმტკიცდეს თვით აღმქსანდრე ჰავეკავაძის ცნობით, რომელიც უბასტებდა რა საგანობებელი კომისიას 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა:

„Начало моего воспитания было попечением моих родителей. Сперва в Санкт-Петербурге, в вольном пансионе Бамана, в котором я учился с 1795 года по 1799 год; потом дома, в Тифлисе, до удаления моего от моих родителей, кажется, в 1803 году, когда, по вредным внушениям некоторых заблудившихся молодых людей, я привезал к царевичу Парнавозу, находившемуся в то время в Туруети на Арагве. Я желал последовать за ним в Персию. Но к счастью, был схвачен и привезен в Тифлис вместе с царевичем. Блаженной памяти государь император Александр Павлович, приняв проступок мой молодости лет, изволил ограничить мое наказание кратковременным пребыванием в городе Тамбове, откуда был скоро потребован в Петербург. В 1805 году

<sup>1</sup> აღმქსანდრე ჰავეკავაძე, თხზულებანი. ი. ვრამშაველის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. 1940. გვ. XXIV.

я поступил в Пажеский корпус, из уважения к заслугам моего отца содержанием на казенный счет“<sup>1</sup>.

აღ. ჰევეაძე ამბობს, რომ პაეტა კორპუსში იგი ზაერისა 1805 წელს, ამასთანავე დასძენს, რომ ტამბოვეში გადასახლება მოკლებინანი იყო. მაგრამ მის სიტყვებში უფრადლებას იპყრობს არასწორი, თუმცა ფრთხილად გამოთქმული, დათა-ჩილება ბატონიშვილი ფარნაოზის შეთქმულები-სა 1803 წლით, მამინ ჩოდესაც ცნობილია, რომ ეს შეთქმულება მოხდა შემდგომ — 1804—წელს. ვასაგებია, რომ ასეთი არსიზუსტე აუცილებლო-ბას ზადებდა, განსაკუთრებული გულისხმიერე-ბით მოპყრობოდნენ პოეტის წევნებაში აღნიშ-ნულ სტა ფაქტებს.

და პართლაც, 1953 წელს გამოქვეყნდა ა. კენ-კოშვილის ნაშრომი, მიძღვნილი ალ. ჰევეაძეს ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, სადაც ავ-ტორს მოჰყავს ახალი საბუთები, აღმოჩენილი მის მიერ სსრკ სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივის ლენინგრადის განყოფილებაში. ერთად, ა. კენკოშვილს მოჰყავს წერილი პოეტის მამის— ვარსევან ჰევეაძისა, რომელიც იმყოფებოდა ტამბოვეში შვილთან ერთად. აღუქსანდრე პირვე-ლისადმი მიწერილ ამ წერილში ვარსევანი სთბრ-ვედა ადრესატს შეიბრალოს მიხუცი, რომელიც იძულებულია იტყვოს ტამბოვეში შვილთან ერ-თად, და დანაშაული აპატიოს ალ. ჰევეაძეს<sup>2</sup>.

უადრესად საინტერესოა თარიღი, გულისხმით გამოყვანილი წერილის ბოლოს ძველი ქართული ციფრებით, ესაა 1806 წელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, 1806 წელს აღუქსანდრე ჰევეაძე იმო-ფებოდა ტამბოვეში, ამიტომ მას არავითარ შემ-თხვევაში არ შეეძლო ჯერ კიდევ 1805 წელს ეს-წავლა პაეტა კორპუსში.

გავიხსენით ვარსევან ჰევეაძის მეორე, ძა-ლიან მნიშვნელოვანი წერილი, რომელიც 1904 წლის 17 იანვარს მიმართული იყო იმპერატორ აღუქსანდრე პირველისადმი და რომელიც შეი-ცავდა თხოვნას მისი შვილის ჩარიცხვის თაობა-ზე სამსახურში მეფის კარზე. ეს თხოვნა დატე-ყოფილებული იქნა და, როგორც სწორად აღნიშ-ნავს ა. კენკოშვილი, 1804 წელს აღუქსანდრე ჰევეაძე დანიშნეს კაპერ-პაეტის თანამდებობაზე (დავსძენი, რომ 1804 წელი, როგორც ალ. ჰევეა-ძის კაპერ-პაეტად დანიშნის დრო, აღნიშნულია პოეტის თხოვნებათა ყველა რვეოლუციადელ გამოქვეყნებაში).

მაგრამ აქ რომ შევეჩერდეთ, როგორც, სამწე-ხაროდ, იქცევა ზემოაღნიშნული შრომის ავტო-რი, ნიშნავს შევხაზე შეჩერებას. ასე, პაეტა კორპუსში მიღებული ალ. ჰევეაძე ამ დანიშე-ნით ვერ ისარგებლებდა, მიუხედავად იმისა, რომ

პაეტა მოზაღდების ახალი წესები მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ გამგზავრებეს კეტერბურგში, კორპუსში.

გავიხსენით, რომ პაეტის წოდება დაწესებულია რუსეთში 1711 წელს, და მხოლოდ 1759 წელს შეიქმნა პაეტა კორპუსი — პრივილეგირებული სამხედრო-სასწავლო დაწესებულება, რომლის მი-ზანი იყო მოემზადებინა პაეტები და კაპერ-პაეტე-ბი დიდგვაროვანთა და გენერლების შვილთაგან. მაგრამ ამ პერიოდში კორპუსში სწავლა პაეტის-თვის არ იყო აუცილებელი, მას შეეძლო სითანა-დო განათლება მიეღო შინაც და პანსიონშიც. 1802 წელს მოახდინეს პაეტა კორპუსის რეორგა-ნიზაცია. ახალი წესდება ითვალისწინებდა შემდეგს: „Дабы достигнуть единообразия и воспитания, воинской дисциплины и учения, и чтоб надлежаще приготовить воспитан-ников к службе, то и содержимым на ижди-вении его императорского величества пажам и кавалер-пажам не дозволяется жить вне корпуса, и отлучать жалованье или столы-вые деньги, но все должны быть неразлучно в корпусе“ (პაეტა კორპუსის წესდებადან). მე-ტიც, 1806 წელს პაეტა კორპუსის ხელმძღვანე-ლომამ გაზეთების საშუალებით გამოაცხადა, რომ იგი ატარებს გამოცდებს ადრე დანიშნული ყვე-ლა პაეტისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ შრო-ბებობდნენ იმყოფებიან.

მაგრამ აღუქსანდრე ჰევეაძეს არათუ არ შე-ეძლო თავის დროზე გამოცხადებულიყო კორპუს-ში 1804 წელს, რაკი რამდენიმე დღის შემდეგ კაპერ-პაეტად მისი დანიშნვიდან მან მონაწილეობა მიიღო ფარნაოზის შეთქმულებაში, არამედ არ შეეძლო გამოცხადებულიყო გამოცდებზედაც 1806 წელს. ამ დროს იგი ტამბოვეში იყო გადასა-ხლებული.

საქმის ვითარება ამაყად ასე წარმოგვიდგება: 1804 წელს, ვარსევანის თხოვნის შედეგად, აღუ-ქსანდრე ჰევეაძე დანიშნული იქნა კაპერ-პაეტად და, საფიქრებელია, უნდა გამგზავრებულიყო პე-ტერბურგში პაეტა კორპუსში სასწავლად. მაგრამ ამას მოჰყვა ფარნაოზის შეთქმულება და აღუქ-სანდრეს გადასახლება ტამბოვეში, სადაც იგი იმ-ყოფებოდა ჯერ კიდევ 1806 წელს.

საკითხავია: მაინც როდემდე იყო ალ. ჰევეა-ძე ტამბოვეში გადასახლებული, ანდა, უფრო სწო-რად, როდის მიიღეს საპოლოდ იგი პაეტა კორ-პუსში?

ამისთვის საკითხა შევიწყვილოთ პაეტა კორპუსის დოკუმენტები, რომლებიც საკმაოდ სისრულ-ლით დაცულია ცენტრალურ სახელმწიფო სამხე-დრო-საისტორიო არქივში მოსკოვში.

ჩვენ აღმოვაჩინეთ კაპერ-პაეტა საყოფაცქეყო სიები 1807 წლის იანვრისა და თებერვლის თვე-ებისა, შესაბამისად შედგენილი 1 თებერვალს და 1 მარტს კაპიტან კლინგენბერგის მიერ, რომლის განყოფილებაშიც იყო ალ. ჰევეაძე. თებერვ-ლის თვის სიაში ჰევეაძეს უცე უზის ნიშნები

<sup>1</sup> ს. მაღლაყელიძე, მასალები ალ. ჰევეაძის ბიოგრაფიისათვის: „საისტ. მოამბე“, № 2, 1946.

<sup>2</sup> ა. კენკოშვილი, აღუქსანდრე ჰევეაძე, 1953, გვ. 7.

ყოფა-ქცევებში, სამართალში, სისუფთავეში. იანვრის სიაში კი ნათქვამია, რომ „Александр Чавчавадзе недавно в корпусе“, რომ იგი მეორე კლასშია. ამასთანავე, ნათქვამია, რომ, საერთოდ პაშის კორპუსში იგი, როგორც ჩვენ აღვნიშნავდით, ჩარიცხულია 1804 წელს.

ამხარად, ნათელია, რომ აღ. ქავჭავაძე მიღებულ იქნა კორპუსში არა უგვიანეს 1807 წლისა. სამხედრო-საისტორიო არქივში დაცულია სხვა საინტერესო საბუთები, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ კორპუსში ქავჭავაძის მიღების თარიღი. ესაა დიშ. გურიევის წერილი. აი ამ წერილის ტექსტი: „Его императорское величество высочайше указать изволил сына действительного статского советника князя Чавчавадзе, по представлению покойного генерала от инфантерии князя Цицианова, пожалованного камер-пажем, определить в Пажеский корпус на казенное содержание, возобнова ему через князя Павла Дмитриевича преподаное, что он получа надлежащее образование поступить может в военную службу с теми выгодами, какие камер-пажам предоставлены“<sup>1</sup>. წერილის ბოლოს გულდასმით გამოყვანილია თარიღი — 1807 წლის 23 იანვარი.

დამოწმებული დოკუმენტებიდან ამჟამად ჩანს, რომ აღ. ქავჭავაძე, რომელიც ჯერ კიდევ 1804 წელს აღინიშნა კამერ-პაეად, ფაქტობრივად მიღებული იყო პაშის კორპუსში 1807 წლის ბოლო დღეებში, ტამბოეში გადასახლების შემდეგ.

ასევე ზუსტად შეიძლება განისაზღვროს კორპუსიდან ქავჭავაძის გამოსვლის დრო. 1809 წლის ნოემბრის ბოლოს სამხედრო-სალაშქრო კანცელარიამ მიმართა კორპუსის დირექტორს ი. გ. გოგელს წინადადებით, „отобрать желаних у представленных в выпуск офицерами камер-пажей и пажей, кто из них в какой полк определенным быть желает“ ამის საპასუხოდ კორპუსში შედგა სია, სადაც ყოველი კურსდამთავრებული, მათ შორის აღ. ქავჭავაძეც, მიუთითებს იმ პოლკზე, რომელშიაც სურთ იმსახურობს.

ახლა უკვე შეგვიძლია აუცილებელი სიზუსტით გამოვარკვეოთ დრო აღ. ქავჭავაძის ყოფნისა პაშის კორპუსში. კორპუსში მან სწავლა დაიწყო 1807 წელს და დამთავრა 1809 წელს. მთელი ეს პერიოდი მოიცავს 2 წელსა და ათ თვეს.

შედგომა კი, რომელიც დაუშვა აღ. ქავჭავაძე თავის ჩვენებაში საგამომძიებლო კომისიის მიერ დაკითხვის დროს, სრულიად მარტივად იხსენება: დაბლობით 30 წლის წინანდელი ამბების თხრობაში მოხდა ერთი წლით გადაანაკლება ფაქტებისა — ეს იყო ფარნაოზის შეთქმულება,

რომელსაც იგი ათარიღებს 1803 წლით (ფაქტობრივად მოხდა 1804 წელს), კორპუსში მიღება, რომელიც დათარიღებულია 1805 წლით (ფაქტობრივად მოხდა 1807 წლის დასაწყისში). ამასთან, შეიძლება გარკვეულად ითქვას, რომ აღ. ქავჭავაძე პეტერბურგში გადასახლებიდან ჩავიდა უკვე 1806 წლის ბოლოს აქაც ერთი წლით გადაადგილებასთან გვაქვს საქმე, თუ მოვთვინებთ მის ჩვენებაში აღნიშნულ დროს.

2

პაშის კორპუსის დებულებაში, რომელიც დამტკიცებული იქნა 1802 წელს, აღნიშნული იყო ამოცანები, რომლებიც იდგა ახალი სასწავლო დაწესებულების წინაშე. „Директор. — ნათქვამია დებულებაში, — должен предположить себе главным основанием, что Пажеский корпус есть училище, где образования прав и характера, в котором имеют быть преподаваемые нужные офицеру познания; что корпус сей есть совершенно такое воинское установление, где благородное юношество через воспитание приспособляется к военной службе строгим повиновением, совершенною подчиненностью и не принужденным, но добровольным выполнением обязанностей своих“<sup>2</sup>.

მთავარი ამოცანა, — ახალი დებულების მიხედვით, — ოფიცრების მომზადება გვარდიისა და არმიის პოლკებისათვის, რისთვისაც კამერ-პაეები უნდა გაეარჯიშნენ სამხედრო საქმეში, შეისწავლონ სიბოლა, ხოლო ზაფხულში — გაეადრინებულად ყოველკვირეულად. ამასთან, კამერ-პაეებს არა მარტო უნდა შეესრულებინათ პაშის ყველა ელდებულება, არამედ „Они содержатся должны были с еще большею строгостью“, როგორც ნათქვამია დებულებაში.

ახალგაზრდობის განათლების იდეა კი უკანა პლანზე იყო, და არ არის გასაკვირველი, რომ ერთ-ერთი პაეი აღიარებდა, რომ „за весьма и весьма малыми исключениями, все учились не для того, чтобы знать что-нибудь, а для того, чтобы выйти в офицеры“.

პაშის კორპუსი წარმოადგენდა ნამდვილ სათავადაზნაურო პრივილეგირებულ სასწავლო დაწესებულებას, — მხოლოდ აქედან ზღვებოდნენ კამერ-პაეები ოფიცრები ძველი გვარდიის პოლკებში. დურეგანის სიტყვით, „Пажеский корпус. — пишет Дергана, — был скорее аристократический придворный пансион“. И далее: „Пажеский корпус хотя находился в то время в числе военно-учебных заведений, причем состоял под начальством главного начальника этих заведений, но во многом резко отличался от них... Пажи отличались

<sup>1</sup> ЦГВИА, ф. 318, оп. 1, д. 114, л. 2.  
<sup>2</sup> ЦГВИА, ф. 318, оп. 1, д. 132, л. 7.

<sup>1</sup> Левшин. „Пажеский корпус“, стр. 215.  
<sup>2</sup> „Воспоминания А. С. Гангеблова“, „Русский архив“, 1886, № 6, стр. 181.

от кадетов своим обмундированием... пажы не делились, как кадеты, на ряды, — но на отделения. Вместо ротных командиров у них были губернеры; вместо батальонного командира — гофмейстер пажей<sup>1</sup>.

პაეთა კორპუსის ასეთი წოდებრივი ხასიათი კარგად ჩანდა თეთი კორპუსის შინაგან ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, პაეები ღებულობდნენ ხაზინიდან დიდ ჯამაგირს, უფლება ჰქონდათ კორპუსში მოეყვანათ თავიანთი მამულებიდან მოსამსახურებელი ყმები და სხვ. კორპუსის ფუძემდებლები ძალიან ცდილობდნენ თავიდან აეცილნათ თავიანთი<sup>2</sup> აღსაზრდელობისათვის ყოველგვარი არასახურველი გავლენა ვარდნად, რისთვისაც საათობრივ ჰქონდათ განაწილებული მათი დღიური, აგრძალებული იყო კორპუსის კედლების დატოვება. კამერ-პაეებსაც კი ვერძალეზობდათ უნებართვოდ გასცლოდნენ კორპუსის კედლებს, — ამისთვის საჭირო იყო სიგანგებო წებართვა და სპეციალური გამყოლა.

თუ გავიყენოთ პაეთა განაწესს, თვალში გვეყვება ვაკეითლების სიმრავლე, — შეყადინებომა მიმდინარეობდა დღეში ცხრა-ათი საათის განმავლობაში. მაგრამ ყველა მიზონებაში, სადაც ასახულია კორპუსში სწავლის რეჟიმი, ერთსელოვანად დანახტრებელია, რომ შეყადინებობის ხარისხი თდნავ არ შეესაბამებოდა მათ რაოდენობას. „В Пажеском корпусе, — წერდა, მაგალითად, დერეგანი, — науки преподавались без системы, поверхностно, отрывочно. Из класса в класс пажы переводились по общему итогу всех баллов, включая и баллы за поведение, и потому нередко случалось, что ученик, не окончивший арифметику, попадал в класс прямо на геометрию и алгебру<sup>3</sup>“.

ცნობები მასწავლებელთა შესახებ, განსაკუთრებით იმდროინდელი, როცა სწავლობდა ალ. კვაკვაძე, არ შენახულა. ჰყენ შეგვიძლია მათზე ვიქტინით წარმოადგენა მხოლოდ ისტორიკოს ლევ. შინის მიხედვით, რომელსაც კერძო კიდევ საშუალება ჰქონდა შეესწავლა ამ მასწავლებლების ნაშახტრებობის ნუსხები. იგი გვაუწყებს, რომ თუ ახალი „ღებულების“ მიღების შემდეგ კორპუსის ოფიცერთა შემადგენლობა იცვლებოდა, მასწავლებელთა შემადგენლობა, პირიქით, მთლიანად ძველი რჩებოდა. მასწავლებლები — კუჭმა გრიგოლის-ძე კორბტნიცი, ეგორ პეტრეს-ძე პოპოვი, ივანე ივანეს-ძე ლელო, ივანე სვერბიცი და ეგორ ზუბარევი — ყველა დარჩა თავ-თავის ადგილზე და კვლავინდებურად ასწავლიდნენ იმ სა-

გნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიდნენ ახალი „ღებულების“ შემოღებამდე. შინაგან ცხოვრების ნუსხები, — ამბობს ლევ. შინი, — მტკიცებობს, რომ ისინი ვერ დიაცვნიდნენ არისტოკრატულიზმით. ესენი იყენენ ან მღვდლის შეიღები, ან საღდათთა ასეულიდან გამოსული პირები. არც დიდი სწავლულობით იყენენ ცნობილი. ერთადერთი იყო ფრანგი ლელო, რომელსაც პარიზის საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული და გამოჩაყლისს წარმოადგენდა იმ მრავალრიცხოვან ფრანგთა შორის, რომლებიც იმ დროს ასწავლიდნენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში. დამებელი კერხები (გარდა ვოიციხოვისკის არითმეტიკისა) და პროგრამები არ არსებობდა, ამიტომ ყოველი მასწავლებელი კითხულობდა თავის საგანს საკუთარი გვეგვის მიხედვით; მოსწავლეებს კი ჰქონდათ ჩინაწერები, რომლებიც სწორადებოდა მასწავლებლების მიერ.

კორპუსში ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობოდა ფრანგულ და გერმანულ ენებს, გაცილებით ნაყლები — რუსულ სიტყვიერებას.

დუკაბრისტ განგებლობის მოგონებებიდან ვტყობილობთ, რომ ისტორიის გაყვეთალები სხვა ახალი იყო, თუ არა ჩამოთვლა მეფეებისა, დაწერილებითი იღწერა მათი გარემოცვისა, მხედართმთარგებისა, „это было лишь сухое перечисление фактов, без упоминания о нравах, цивилизации, торговле и прочих проявлениях народной жизни“<sup>4</sup>. დერეგანი ამბობს:

„В классе истории, — добавляет и Дерган, — рассказывалось про Олгова коня и про то, как Святослав ел кобылятину. Несколько задач Воицеховского и формулы дифференциалов и интегралов, вы зубренные на память, составляли высшую математику“<sup>5</sup>. დავსძენთ, რომ კორპუსში არ იყო გათვალისწინებული ახალი ისტორიის სწავლება, რაზედაც მიუთითებს განგებლობა.

ასეთი მოკლე აღზრდისა და სწავლების ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც იზრდებოდნენ კორპუსში ტახტისა და მეფის ერთგული დამცველები. მაგრამ ეს მიზანი ყოველთვის არ უსრულდებოდა ალექსანდრე I-ს. კორპუსის შიგნით შეიმჩნეოდა დუღილი, მოსწავლეთა საუფეთესო ნაწილის სასიცოცხლო ინტერესები და შეზღუდულებები არ ეგუებოდა აღზრდის იმდროინდელ პრინციპებსა და მიმართულებას.

## 3.

კორპუსის მოსწავლეთა ხასიათი, მსოფლმხედველობა ყალბდებოდა ცხოვრების იმ მოწინავე იდეებისა და განწყობილების გაყვლით, რომ-

<sup>1</sup> П. М. Дерган. „Воспоминания первого камер-пажа“. „Русская старина“, 1875 г., № 4, стр. 476.

<sup>2</sup> Там же, стр. 7.

<sup>3</sup> „Воспоминания А. С. Гангеблова“. „Русский архив“, 1886, № 6, стр. 184.

<sup>4</sup> П. М. Дерган. „Воспоминания первого камер-пажа“. „Русская старина“, 1875 г., № 4, стр. 778.

ლებამაც თავი იჩინეს 1812 წლის ქარიშხალში და, განსაკუთრებით, გვიან, დეკაბრისტების აჯანყების დროს.

ეს იყო უქმყოფილება, თვითმპყრობელობის პოლიტიკით გამოწვეული, რამაც უფრო მეტებით ხასიათი მიიღო მეფის გენერლების დამარცხების დროს ნაპოლეონთან 1806 — 1807 წ. წ., ამასთანავე, ტილზიტის ზავის დადების შემდეგ. ტილზიტის ხელშეკრულებამ მახვილი ჩასვა რუსეთის საექსპორტო ვაჭრობას, ამიტომ იგი ერთიანიად მიუღებელი იყო როგორც თავადაზნაურებისათვის, ისე ვაჭრებისათვის. უქმყოფილებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, გამოხდნენ ალექსანდრე პირველის პოლიტიკას.

ყოველივე ეს, ცხადია, არ შეიძლება შევინჯველი ყოფილიყო აღ. ქავეკავაძისათვის.

ახალი პოლიტიკური ამბები მსჯელობის საგანი იყო პაეთა კორპუსში, იმპერატორის მოქმედებით გამოწვეული უქმყოფილება აქაც იგრძნობოდა, მიუხედავად ამ სასწავლო დაწესებულების პრაფილგაგრძელებული მდგომარეობისა, მიუხედავად აღზრდის სამხედრო-ოფიციალური ხასიათისა. განა პაეთა კორპუსიდან არ გამოვიდა რამეშივე, რომელშიც რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ქავეკავაძე შევიდოდა კორპუსში, ტრაგიკულად დასრულდა თავისი სიცოცხლე პეტერბურგში, განა ამავე პაეთა კორპუსში არ სწავლობდა პეტელი, რომელიც თითქმის ერთდროულად გამოვიდა კორპუსიდან ქავეკავაძისთან ერთად?

განხეთქილება კორპუსში უფროადურო მწვავე ხასიათი იღებდა, იგი გღინდებოდა. ასეთი განწყობილება თავს იჩენდა როგორ აღსაზრდებულსა და მასწავლებლებში, ისე პაეთა შორის.

ახალი ამბები კორპუსში ვრცელდებოდა სხვადასხვა გზით. ისინი გაცხოველებული მსჯელობის საგანი ზღებოდა. დამახასიათებელია ბელგარდის სიტყვები:

„Особых шалостей у нас не было, во взрослые являи иногда, по праздникам, кутили в кондитерской Алибиеля (из Невском, близ Армянской церкви); туда же часто заворачивали камер-лажи, которые находили возможность довольно часто отлучаться из корпуса под предлогом, что их требуют во дворец. Устранялось так, что за ними приезжали кареты, везли во дворец, там они оказывались ненужны, но в корпус возвращались уже поздно ночью, в тех же каретах, и иногда и без карет“<sup>1</sup>.

პაეთა კორპუსი აღ. ქავეკავაძისთან ერთად დაამთავრა ფ. შარკოვინმა. რომლის მოგონებები შეიცავს სინტერესო ცნობებს პაეთა კორპუსში

აღ. ქავეკავაძის ცხოვრების გასაცნობად. შიროკოვნი, ისევე როგორც განგებულეფე მწვერულებს იმაზე, რომ პაეები იმდროინდელი საქმის ვითარების კერში იყვნენ თავიანთი სასახურებრივი მდგომარეობის გამო. შირკოვნი იგონებს, რომ იმპერატრიცა „в 4 часа следовала с гостями к столу, в сопровождении великих княжен, графини Ливен, нескольких дам и дежурных фрейлин. Обеды эти были для нас в высшей степени интересны: присутствовавшие на них лица представляли собой остатков двора Екатерины II, и разговоры их были замечательны. Речь шла то о заграничных вояжах, то о политических новостях, или об известиях из внутренних областей России... Стоя за стулом императрицы; мы с жадностью вслушивались во все разговоры...“<sup>2</sup>

თუ რა იყო ეს „известия из внутренних областей России“, აღვილი გასაგებია: ეს ის დროა, როდესაც მოდის ცნობები, განსაკუთრებით პეტერბურგიდან, გლახთა მღვდლების შესახებ ასტრახანში, ურალში და სხვაგან, ლანჩოკია თავისუფლებამდე გლახთა შორის და სხვ. ამ ამბებს თვალყურს ადევნებდა რა თქმა უნდა, აღ. ქავეკავაძე, რომელიც სასახლეში კამერპაეთის მოვალეობას ასრულებდა.

გადასახლებიდან დაბრუნებული აღ. ქავეკავაძის პირიქეობა, ცხადია, ღიდ ინტერესს გამოიწვევდა ამხანაგებში. ისინიც, თავის მხრივ, გააცნობდნენ ალექსანდრეს თავიანთ თავგადასავალს. ასე, მაგალითად, ზემოხსენებული შირკოვნი, რომელმაც კორპუსის კურსი დაამთავრა აღ. ქავეკავაძისთან ერთად, 1805 წლამდე, ე. ი. პაეთა კორპუსში შესვლამდე, რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა ბედრისტონ ერთად, ეს ის ბედრია, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გახდა პუშკინის მასწავლებელი ლიცეუმში. ბედრო, — შარატის უმცროსი შვი, — დაახასიათა „Fable talk“-ში: „Будри, профессор французской словесности при Царскосельском лицее, был родной брат Марату. Екатерина II переименовала ему фамилию, по просьбе его, придав ему аристократическую частицу de, которую Будри тщательно сохранял. Он был родом из Будри. Он очень уважал память своего брата и однажды в классе, говоря о Робеспьере, сказал нам, как ни в чем не бывало: c'est lui qui sous main travailla l'esprit de Charlotte Corday et fit de cette fille un second Ravalliac“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Федор Яковлевич Миркович. Его жизнеописание, составленное по собственным его запискам, воспоминаниям близких людей и подлинным документам. СПб., 1889 г., стр. 18.

<sup>2</sup> „იგი ფართულ გავლენას ახდენდა შარლოტა კორდეზე და ეს ქალი მეორე რაველით გახდა“.

<sup>3</sup> „Автобиографические воспоминания В. А. Бельгарда“, „Русская старина“, 1899 г., № 1, стр. 167.

თავის ლექსებში ბედრი ხშირად უბრუნდებოდა საკითხს მარტის მკვლელობის შესახებ. საერთოდ, იგი ხშირად იმუშავებდა ვოლტერის სამოქალაქო ხასიათის ნაწარმოებებს.

თუ რამდენიმე წლის შემდეგ მიჩოკინმა — ამ დროს უკვე ცნობილია მოხელემ — „მოგონებებში“ ჩამდენიმე სტრიქონი მიუძღვნა ბუდრის, ვასაგებია, მას არ შეუძლო არ ეამბა ამხანაგბოსათვის, მათ შორის ალ. ჭავჭავაძისათვის (ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ) ხალხის შეგობარზე — მარტზე, რომესპიერზე, საფრანგეთის რევოლუციამზე, ვოლტერის სამოქალაქო ხასიათის ნაწარმოებებზე.

კორპუსში მკვეთრად ისახება ორი ფრთა, ცოტა გვიან საიდუმლო საზოგადოებებიც ყალიბდება. ერთ მათგანს ახასიათებს განგებლოცი თავის „მოგონებებში“. როცა ალ. ჭავჭავაძე კორპუსში სწავლობდა, ბუნებრივია, პაეთა შინაგან ცხოვრებას ასეთი გაქანება არ ექნებოდა, მაგრამ განგებლოცის მოგონებები, თუნდაც რეტროსპექტიულად, საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინო ვიქონიოთ იმ საზოგადოებრივ ინტერესებზე, რომლებიც ამოძრავებდა კორპუსის მოწინავე, საუკეთესო ნაწილს.

სწორედ ეს ახალგაზრდობა ადევნებდა თვალყურს დიდი ინტერესით ლიტერატურულ ბრძოლას, რომელიც პირველი ათეული წლის მთლიან წარმოება მოწინავე რუს მწერლებსა და მის მოწინააღმდეგე იმ მიმდინარეობას შორის, რომელსაც მეთაურობდა შიშკოვი.

შიშკოვი თავის წიგნში „Рассуждение о старом и новом слоге российского языка“ (1803 წ.) მოითხოვდა დაბრუნება „სახელიერო ლიტერატურის“ ენისაკენ, ბრძოლა ეკლასიციზმისათვის, მისი მალალი სტილისათვის, ჩასაც შიშკოვის აზრით, შეუძლო გზა გადაეკრა რევოლუციური იდეებისათვის.

შიშკოვს და მის თანამოაზრეებს დაუპირისპირდნენ მოწინავე ბანაის მწერლები — ჯ. ნ. ბატიუშკოვი, ი. მ. ბორინი (ერთ-ერთი პოეტო-რადიშნიკი) და სხვები. 1809 წ. ბატიუშკოვი წერს ერთ-ერთ თავის ვეღაზე უფრო საინტერესოს პოლემიკურ ნაწარმოებს — „Видение на берегах леты“, სადაც იგი დასციინს შიშკოვს და მის ჯგუფს. „Видение“ მალე გავრცელდა ხელნაწერის სახით, მან ფართო პოპულარობა მოიპოვა მოწინავე საზოგადოებრივ წრეებში.

თუნდაც გავრცელებული ნიშნები ამ ბრძოლისა — თანამედროვე ენის დამკვიდრება, რომ არაფერი ვთქვათ მის შინაარსზე, არ შეიძლება იყოს ცოტა ალ. ჭავჭავაძის ინტერესების მიღმა, ჭავჭავაძისა, რომლის სამშობლოშიც — საქართველოში ცხოვრება პოეზიის წინაშე ახალ მოთხოვნილებებს აყენებდა.

უნდა ითქვას, რომ კორპუსში ბევრი იყო დაინტერესებული ლიტერატურის საკითხებით, მას ჰყავდა საკუთარი პოეტებიც, რომლებიც თხზავდნენ სახეობარო ლექსებს აღმზრდელთა შესახებ,

შეგობრების ალბომებში წერდნენ სტეფანსხვა ხასიათის ლექსებს. არქივში დაცულია პაეთა კორპუსის უფრო მოგვიანო ხანის მოწინავე ლექსებისა და პრაზული ნაწარმოებების კოლექცია. საწუხაროდ, ამგვარი ხასიათის ჭავჭავაძისეული მასალები ჩვენამდის არ მოღწეულა; საფიქრებელია, ისინი განადგურდა კორპუსის ახალ შენობაში გადასვლის დროს 1810 წელს.

აღსანიშნავია, რომ ჭავჭავაძის თანამედროვე მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენდნენ ახალი ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი. ამგვარი ლიტერატურის კითხვა კორპუსში გააღვივებული იყო იმ გარემოებით, რომ კორპუსის ხელმძღვანელები — ოფიცრები უწყურადღებობას იჩენდნენ ამ საქმისადმი, და არც შეეძლოთ გაეყოთ წიგნები, რომლებითაც დაინტერესებული იყვნენ პაეები.

## 4.

ამ წლებში ალ. ჭავჭავაძე, ფრიად დაინტერესებული იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებით და ათანაირი ძაფებით დაკავშირებული საქართველოსთან, განაგრძობდა თავის პოეტურ შემოქმედებას. ჩვენი აზრით, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ლექსი „პაევი პირველის სასახლისადმი“, რომელიც წარმოადგენს იმ წლების სამოქალაქო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს:

„ჰე, პალატო! ვინ მონარხმან, დიდებისა  
მოყვარემან,  
საუენჯეთა დაუზომან, სიძნელეთა ვერცხლით  
შრემან,  
დიდ შემძლეთა განსაკვირვოდ ქმნად საქმისა  
მომწადმან,  
ქვეყნით გამო აღმოგზარდა, ველთ მდელი  
ეთა შრემან!  
შენობითა სრულ გყო რამან შენ საბისა მქონე  
დიდის,  
შემდგომ ზელით საიშვითოდ, უთვალავად  
რადმე გრთვიდის,  
გარეთ ქეთა სხვა და სხეთა, შინაგანად ოქროდ  
გრწვევიდის,  
ესრეთ დაშვარა შენზე სამ წელ, ვინ წელთ საქმეს  
ერთჟამ ჰვეილის  
თილათა ქვათა ზღუდეთ შორის წყალი წმინდა  
მომდინარე,  
ეთა კრძალეთი მონამდოერი, ოთხით ეყრო  
განელო გარე;  
განგაბრწყინვა მორტმულებით, აღვამაღლა  
ცადმდებარე,  
განვიზრახდა ქვეყნის საყდრად, და შენ მას გლან  
ესამარე!  
როს ცისკარით გამოსული, მზე პირითა  
განმათენით,  
ზელოვნების შენამკობსა განავაშენებს სხივთ  
მოფენით,



სარქმელთაგან ცეცხლთ ისარნი განოკრთიან  
 ალთა ჩენით,  
 ზედები წყალსა განეჭრობლად, უფსკრულამდე  
 შთავედ ბრწყინით.  
 მხედავთ, ერნო, ამა ზღუდეთ აღტყინებულთ  
 რეცა კმუნეთი,  
 რომ არ ძალ-უნნსთ თქმად საეროდ, თუ  
 მკვლელობა ჰყვეს  
 უე მუნეთი;  
 თუ ვით სრულ ჰყვეს ძვირი იგი ხელ-მყოფელთა  
 გვრივის ზრუნეთ  
 ანუ გულნი ვით იხარეს, ან კეთილნი ვით  
 სწულეს ბრწყინეთ!

უწინარეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ ეს ლექსი, რომლის ავტორგანაც შენახულია, შეუძლებელია მივაჯიუთოთ უფრო ძველ პერიოდს დეტალების სიზუსტე ადასტურებს იმას, რომ ლექსი დაწერილია ცოცხალი, უშუალო შთაბეჭდილებებით. პეტერბურგში აღ. ქავჭავაძე აღტყინებულადაა მხოლოდ 1799 წელს, როდესაც ლექსი არ შეიძლება დაწერილიყო; ჰავე პირველი მკვლელობა ზომი იყო წლის შემდეგ, 1801 წლის 12 მარტის ღამეს, მოხდა.

უფრო მეტი, რომ ამ ლექსის მიკეთებება უფრო გვიან პერიოდისათვის (ამის შემდეგ აღ. ქავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა უკვე სამამულო ომის დროს) შეუძლებელია. საერთო ელვადობა, მთელი ძვირბეჭდი ლექსისა გვაძლავს იგი დაუთარილოთ 1806 — 1807 წლებით, განსაკუთრებით, ტილბიტის ზაფის დროით. ეს იყო აღქსანდრე პირველის პოლიტიკით უმეყოფილების ხანა. და არ არის საკვირველი, რომ აღ. ქავჭავაძის ლექსი შეიცავს ბრალდებებს იმპერატორის მიმართ, იმპერატორისა, რომელიც, როგორც ცნობილია, იცნობდა გვემებს მისი მამის — ჰავე პირველის — მკვლელობის შესახებ:

„მხედავთ, ერნო, ამა ზღუდეთ აღტყინებულთ  
 რეცა კმუნეთი,  
 რომ არ ძალ-უნნსთ თქმად საეროდ, თუ  
 მკვლელობა ჰყვეს უე მუნეთი“...

მივაქციოთ ურადლება იმასაც, რომ აღ. ქავჭავაძის ლექსი ესმარება პეშინის ლექსს — „Вольность“ (1817 წ.):

Молчит неверный часовой,  
 Опущен молча мост подъемный,  
 Врата отверсты в тьме ночной  
 Рукой предательства наемной...  
 О стыд! О ужас наших дней!  
 Как звери, вторглись янычары!..  
 Падут бесславные удары...  
 Погиб увенчанный злодей!

ამ აშკარად იტყობისმება ბრალდება აღქსანდრე პირველის მიმართ.

მაგრამ ამ ორი ლექსის საერთო განწყობილებაში ძნელი არაა, შევამჩნიოთ განსხვავებებიც, რაც აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, მათი დროებით დროით. მართლაც, პეშინის ლექსი შექმნილია სამამულო ომის შემდეგ, საერთო-სახალხო პატრიოტული აღტყინების შემდეგ, იმ წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამჭრიახი რწმენა აღქსანდრე პირველის პროექტისადმი. ამიტომ პეშინი თავის ლექსში შიშობით ლაპარაკობს აღქსანდრე პირველის მონაწილეობაზე მამის მკვლელობაში, ესაა გაბედული ისტორიული მაგალითი. რომელმაც შეგეს უნდა ანევენს „надежный закон“-ის იუცილებლობა.

აღ. ქავჭავაძის ლექსი სხვაგვარია. როგორც ვთქვით, იგი შექმნილია არსებითად სხვა ისტორიულ ეპოქაში — სამამულო ომამდე, ტილბიტის ზაფის დროს, როდესაც ვაჭარ რწმენა იმპერატორის ლიბერალური ფრანკების მიმართ, რასაც არ იმუტებდა იგი ტაბტზე ასეღის პირველსავე წლებში.

გისაგებია, რომ აღ. ქავჭავაძის ლექსში გამოიხატა უმეყოფილება აღქსანდრე პირველის პოლიტიკის მიმართ, აქედან — ამგვარ დაგმობა თვითმპყრობელობისა და დესპოტიზმისა, როგორც ჰავეს ისე აღქსანდრეს გაეცხება.

ეს დასკვნები უფლებას გვაძლავს ქავჭავაძის ლექსი მივაჯიუთოთ პოეტის ან პაეტა კორბულის პერიოდს, ანდა პუასარო პოეტში მისი სამსახურის დროს. პირველი თარიღი უფრო სარწმუნოა, თუ მოვიფიქროთ ავტორგანაც ვაქეთუბულ შენიშვნებს, რომელიც ეკეთენის ისტორიკოსს, არქივის მფლობელ დ. კარბუშვილს: „დაწერილია არა უფროდ 1805 წ. ჰალაღი ამ წლისა“<sup>1</sup>. მამასადაც, არცთუ 1805 წელზე უფრო ხნის შემდეგ, დაიჭრებელია, 1807 — 1809 წ. წ. ე. ი. პაეტა კარბუსში ყოფნის პერიოდში. ამ დროისათვის სწორედ დამახასიათებელია ეს ლექსი, — იგი ნიშანდობლივია არა მხოლოდ ქართველი პოეტისათვის, მისი შეხედულებებისა და განწყობილებისათვის, არამედ მთლიანად იმ წლების საზოგადოებრივი ატმოსფეროსათვის.

ჩვენ შევვებთ პაეტა კორბუსში აღ. ქავჭავაძის ცხოვრების ზოგიერთ ფაქტს. ვფიქრობთ, ეს ფაქტები კარგად ასახვენ იმ გარემოებას, რომ აღ. ქავჭავაძემ, რომელიც მოხდა პეტერბურგში, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ცენტრში, შეისისხლბორცა იმ წლების რუსული ეულტერის მოწინავე იდეები, შეიჭრნო ხალხის საეკეთესო წარმომადგენელთა ძიებანი და მიზანსწრაფა, ხალხის წარმომადგენლებისა, რომლებიც რაღენიმე ათეული წლის შემდეგ გამოვიდნენ სენატის მოედანზე მეფის ზარბაზნების გარემოცვაში. სწორედ მათთან იყო დაახლოებული აღ. ქავჭავაძე, — ამაზე შევარძლებულად ღალადებს მთელი მისი სიკაცებუ; მთელ მისი შემოქმედებითი გზა.

<sup>1</sup> აღ. ქავჭავაძე, თხზულებანი, 1940, შენიშვნები ი. ვრისაშვილისა, გვ. 276.

<sup>1</sup> А. С. Пушкин. „Полное собрание сочинений“ в 6-ти томах, М., 1949 г., т. 1, стр. 260.



## პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და ქუჩნაღისტური საქმიანობა

«Он милый поэт, человек  
достойный уважения...»

ა. პუშკინი.

რუსი და ქართველი ხალხების ევლტერულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც რუსი ხალხის მდიდარმა სულერმა ევლტერამ, მისმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, ხელოვნებამ და ლიტერატურამ შეასრულეს ქართველი ხალხის ევლტერის განვითარებაში.

საფუძვლიანადაა შესწავლილი რუსული მოწინავე აზროვნებისა და ლიტერატურის კეთილისმყოფელი გავლენა ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაზე. ბევრია დაწერილი ამ საკითხებზე, მაგრამ რუსი და ქართველი ხალხებს ევლტერული ურთიერთობას ისტორიაში უკრძალავს არის დაუწერელი ფურცლები, რომელიც უნდა შეავსოს ქართველი მოღვაწეების მიერ რუსული განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ მეცნიერულად შესწავლილმა მასალებმა. ასეთი მასალები არც თუ ისე ცოტაა. ამ მხრივ საინტერესოა მე-19 საუკუნის

რუსეთის საზოგადოებრივი მოღვაწის, მწერლისა და ფერწილისტის პეტრე ივანეს ძე შალიკაშვილის შემოქმედების შესწავლა.

რუსეთის პრესაში ქართველების მონაწილეობა სპეციალურ მეცნიერულ კვლევებს ღირსია. უკრძალავს 1786 და 1791 წლებში რუსულ პერიოდულ ორგანოებში — „Покоящийся трудолюбец“ და „Чтения для вкуса“ — დაიბეჭდა ქართველი ავტორების წერილები, კერძოდ, ეკატერინე და თამარ ბაგრატიონების მასალები საქართველოს შესახებ. შემდგომ რუსულ პერიოდულ ორგანოებში ხშირად იბეჭდებოდა სოლომონ დოდაშვილის, პლატონ იოსელიანის და სხვათა წერილები. ამავე პერიოდში მამლანაძეობა შალიკაშვილის ფერწილისტური მოღვაწეობაც რუსეთში.

რუსული ლიტერატურისა და ფერწილისტიკის ისტორიაში პეტრე შალიკაშვილი საპატიო ადგილის დაკავების ღირსია უდავოდ.

### პეტრე შალიკაშვილის ცხოვრების გზა

პეტრე შალიკაშვილის პაპი, თავადი დემეტრე (იგივე დიმიტრი) შალიკაშვილი 1724 წლის 15 ივლისს ვახტანგ მე-6-ის ამაღლას ვაჟეცა რუსეთში. დავით გურამიშვილი თავის პოემაში „ქართლის კირი“ ერთგან წერს, რომ ვახტანგს თან ახლდა „ხუთნი შალიკაშვილები, მეფეთ მიწვეულნი ყმანი“-ო. ვახტანგის ამაღლას სიაში აღნიშნულია მარტო დემეტრე შალიკაშვილი: გამოდის რომ დანარჩენი შალიკაშვილები 1724 წელს ვახტანგის ამაღლაში არ ყოფილან.

რუსეთის მთავრობა ქართლის მეფეს თავისი მრავალრიცხოვანი ამაღლით გულუხვად უმასპინძლებდობდა, მაგრამ ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ამაღლს წყვეტს ისეთი მდგომარეობა შეექმნათ, რომ ისინი ამ სამშობლოში უნდა დაბრუნებულაყვნენ, ანდა რუსეთის ქვეშევრდომობა უნდა მიეღოთ და სამსახურში შესულიყვნენ. 1738 წელს 87-მა ქართველმა თხოვე-

ნით მიმართა დედოფალ ანას, რომ ისინი სამსახურში მიეღო და მათგან ქართული პესართა ასეული ჩამოეყალიბებინა. დედოფალმა შეიწყნარა ქართველთა თხოვნა. 1738 წელს შეიქმნა ქართულ პესართა ასეული. ისინი უნდა დასახლებულაყვნენ ერთად, საზღვართან ახლოს. დემეტრე ედიშერის-ძე (რუსულ საბუთებში — Димитрий Елисейвич) იყო ვახტანგ მე-6-ის მეჯინებეთუხუცესი. ქართულ პესართა ასეულში იგი ჩარიცხეს რიგით პესარად და, როგორც თავადს, მისცეს მამული (30 კომლი) პოლტავის გუბერნიის დაბა სანდინარში. მალე დემეტრემ მიიღო კაპიტნობა, ხოლო 1762 წლის თებერვალში შეიტანა თხოვნა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. იმავე მარტში იმ წინით განთავისუფლდა ქართულ პესართა ასეულიდან მოხუცებულობის საბაბით.

დემეტრეს მამა, დავითი, ქართულ ჰესართა ასეთელში შევიდა 1740 წელს. მალე იგი გადაიყვანეს ზორგატების ჰესართა ესკადრონში. 1761 წელს იგი პოდპორუჩიკის წინით განათვისდებულა და დასახლდა პოლტავის გუბერნიის სოფელში, სადაც მას პატარა მამული ჰქონდა.

პეტრე შალიკაშვილის მამა, ივანე დემეტრესძე, 1757 წელს ჩაირიცხა ქართულ ჰესართა პოლკში. მან აქ მათარბა მიიღო. 1768 წელს ივანე გადაყავთ სუმის ჰესართა პოლკში. 1797 წელს იგი სამუდამოდ თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. ივანე დავაპტრონა მამისეულ 30 კომლს. მალე მისი მამული გაფართოვდა: უმემკიდროდ გადაეცა ივანეს ბიძა, დავით შალიკაშვილი. 30 კომლი სოფელ ლოზოვოში ივანეს დარბა. მას მიღებული ჰქონდა წმინდა გიორგის ეკრის 4 ორდენი და იყო ვლადიმირის ორდენის ოთხჯგის კავალერი. ივანეს ცოლად შეყვდა კატერინა სტეფანეს ასული — პოლკოვნიკ სტეფანე უკლიაშას უმცროსი ქალიშვილი.

ივანეს სიყვლის შემდეგ პეტრე შალიკაშვილი გაყიდა მამისა და პაპის მისი მამულები და საცხოვრებლად გადმოვიდა მოსკოვში, სადაც, პირველ ხანებში ცხოვრობდა პრესნაზე, დღევანდელ „გროზინსკაიას“ მოედანთან.

პეტრე შალიკაშვილის უკრაინაში მამულები გაუყიდა 1801 ან 1802 წელს; სათავადაზნაურო დემეტრატთა კრებისადმი გაგზავნილ განმარტებთი ბარათში (აღნიშნული ბარათი ხელმოწერილი და უთარილოა), სადაც პეტრე მოითხოვს თავადის პრივილეგიების აღდგენას, მამულებს გაყიდვის წელი აჩარტულადაა აღნიშნული (სწერაა მარტო 18...).

დაუდგენელია პეტრე შალიკაშვილის დაბადების თარიღი. ყველაზე სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ 1767 წელი (ზოგიერთი ბიოგრაფის ცნობით 1768 წ.). პეტრეს საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. მამამ პატარა ვაჟს სამხედრო საქმის სიყვარული ჩაენერგა. პეტრემ დიდი ნიჭი გამოიჩინა სამხედრო საქმეში, იგი ჩაირიცხა ცხენოსანთა პოლკში და მონაწილეობდა ოჩაკოვის აღებისა და პოლონეთთან ომში. მან აქ ყურადღება მიიქცია, როგორც სამხედრო საქმის ბრწყინველ მკოდნემ და უშიშარმა მებრძოლმა. 1797 წელს მან მიიღო პრემიერ-მაიორის საპატრონო წოდება და ჰესართა პოლკის ერთ-ერთ ესკადრონს ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი მისი ბიოგრაფი, მგალითად, მ. ი. საიტოვი ამტკიცებს, თითქმის იგი გენერალ-ლეიტენანტ შევიჩის სახელობის ჰესართა ესკადრონით მონაწილეობდა ტტლის გუბერნიის გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში 1797 წელს. ეს შეეძლოა, როგორც შა-

ლიკაშვილთა საგვარეულო არქივიდან ვაგებულობთ, ზემოთხსენებულ ესკადრონს, სელოქტავნელობდა პეტრეს მამა, ისევე პრემიერ-მაიორი ივანე შალიკაშვილი. მამის სიყვლის შემდეგ პეტრემ გაყოლა მამულები უკრაინაში და სამუდამო საცხოვრებლად გადასახლდა მოსკოვს; პრესნაზე მას ჰქონდა პატარა სახლი.

სამხედრო სამსახურში პეტრე გატაცებული იყო ლიტერატურით და წერდა ლექსებს. 1796 წელს ეტრნალ „Приятное и полезное препровождение времени“-ს მეათე წიგნში დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ლექსი „Истинное великодушие“, ცოტა ხნის შემდეგ იმავე ეტრნალის მე-17 წიგნში დაიბეჭდა ლექსის „Аравийский пустынный“-ის მისი თარგმანი. 1798 წელს პეტრემ დაბეჭდა თავისი პირველი ორიგინალური ლექსი სათაურით „Гробницы“. იმავე წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებულის „Плоды свободных увещаний“-ს პირველი ნაწილი. ამ კრებულის მეორე ნაწილი გამოქვეყნდა 1799 წელს; აღნიშნული კრებულის 1801 წელს გამოქვეყნებულ მესამე ნაწილში შევიდა როგორც ეტრნალ „Приятное и полезное препровождение времени“-ში ადრე დაბეჭდილი ლექსები, ასევე რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსებიც. შალიკაშვილის ამ პერიოდის პოეზია უკიდურესად სენტიმენტალური ხასიათის იყო. უნდა ითქვას, რომ შალიკაშვილის პირველი ნაწარმოებები ძალიან კარგად მიიღო მოსკოვის მაშინდელმა საზოგადოებამ. იგი კარაშინის ღირსეულ შემკვიდრეთაც კი მონათლეს.

შალიკაშვილმა სულ მალე მოიპოვა უდიდესი პოპულარობა. თავისი პირველი უცნაურობების წყალობით იგი მთელი მოსკოვისათვის გახდა ცნობილი. ორიგინალობის მანიით შეყვრობილი, იგი ედილობდა გამოჩინულყო საზოგადოებაში თავისი ქვეითი, ჩაცმით, ლაპარაკის მანერით. მოსკოველები პირდაპირ აღმერთებდნენ მას, როგორც „უცნაურ“ პოეტს.

ფ. ფ. ვიგელს თავის „წერილებში“ მოქყავს ზავოსკინის მოგონება შალიკაშვილზე, სადაც იგი მოგვითხრობს: ბავშვობაში შობალებს ხშირად დავეყავი სასიეროდ „ტყერისკის ბელგარზე“. ძალიან კარგად მახსოვს ასეთი ხშირი შემთხვევები: ენობისმოყვარეთა დიდი აჯგუფები მოშორებით მოქყევა საშუალო ტანის ლამაზ მამაკაცს, რომელიც ხან ნაბიჯს ატეჩარბებს, ხან გაჩერდება, ამოიღებს ქალაღს, რაღაცას ჩაინიშნავს და ისევ გაბობს. „იი შალიკოვი“ — გაისმის ხალხში მორიდებული წერჩული. ამის გამგონე შალიკოვი განიცდიდა სიხარულისა და დიდების ნეტარ წუთებს.

პეტრე შალიკაშვილმა მიიღო კოლეჯსკი ასესორობა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა

<sup>1</sup> Центр. гос. Архив древних актов, ф. Шаликовых, 1842 д. № 10.

მალა საზოგადოებაში. შალიკაშვილის ცოლად ჰყოლია ალექსანდრა თედორეს ასული ლეისნაუ, რომლისაგანაც შესძენია ოთხი შვილი: გიორგი, ანდრეი, ნატალია და სოფია.

ნატალია პეტრეს ასული შალიკაშვილი თავის დროზე საკმაოდ ცნობილი მწერალი ქალი იყო. იგი ითვლებოდა პირველ რეს ყურნალისტ ქალადაც. საზოგადოების ყურადღება მან მიიპყრო თავისი რომანებითა და მოთხრობებით, რომელთაც ე. — ნარსკაიას<sup>1</sup> ფსევდონიმით აქვეყნებდა. ცნობილია მისი ნაწარმოებები: „Первое

знакомство со светом“ — („Современник“, 1855, № 6). „Елена“ (рассказ № 10), „Все к лучшему“ (№ 12), „Семейные сцены“ („Русский вестник“, №№ 17—18) „Две сестры“, Роман №, 1858) „Корреспонденция из Праги“ (в современной летописи „Русского вестника“. 1870, № 28) „Из-за куска хлеба“ (повесть из духовного быта, №, 1876) და სხვა.

ნატალია შალიკაშვილი აგრეთვე თარგმნიდა ურანგულიდან და გერმანულიდან.

### შალიკაშვილის პიროვნება

პეტრე შალიკაშვილი მთელს თავის ცხოვრებაში უცნაურობამდე ორიგინალური დარბა. მაგრამ მისი უცნაურობანი არ ყოფილა არც ნიღბი და არც ანგარიში; ისინი შეადგენდნენ მისი აღმანიერი ბუნების განუყოფელ ელემენტებს. ამ ორიგინალურმა უცნაურობამ აქცია იგი სიტყვამახვილობისა და დაკინების საგნად.

პეტრე შალიკაშვილმა დაგვიტოვა ავტობიოგრაფიის მავარი ფრაგმენტი, რომელიც ძალიან ცოტას ამბობს მისი პიროვნების შესახებ. მაგრამ არსებობს თანამედროვეთა მოგონებები და სხვა დოკუმენტალური მასალები, რომელთა კრიტიკული შესწავლა ბევრ საგულისხმოს შეგვიძენდა. თუმცა თანამედროვეების ჩვენამდე მოღწეულ დაზნათებულთა უპირატესობა არაა ობიექტურად დაწერილი, მიუხედავად იმისა და პირად ანგარიშებს ემყარება, მაგრამ მათში მაინც მომხდარი ფაქტებია აღნუსხული.

თანამედროვეთა დაზნათებით პეტრე შალიკაშვილი ყოფილა გამხდარი, შავკვრემანი, ღიღ ცხობილი მამაკაცი, ხშირი წარბებითა და ბაცენბარდებით. ლაპარაკობდა არაჩვეულებრივად ჩქარა, უყვარდა ლამაზი სიტყვების სმარება საუბრის დროს. ლაპარაკისას მოძრაობდა მისი სახის ყველა ნაკეთი. იგი ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და საოცარ შინაგან ტემპერამენტს ავლენდა ხოლმე კამათის დროს.

აი, რას ამბობს დემოტრიევი მის შესახებ: „Князь Шаликов был чрезвычайно известен и смешон своею нежностью, которой совсем не было в его характере: он был только сластолюбив и раздражителен, как азиатец. Его сентиментальность была только прикрытием эпатирующей. Он был страшен и в одежде: летом всегда носил розовый, голубой или бланжевый платок на шею... его нежные бульварные похождения невообразимы! Иногда за это ему случалось поподать или в неприятные или в смешные приключения, которые не подлежат скром-

ному описанию, но которые забавляли его современников“<sup>1</sup>.

უ. უ. ვიგელი თავის „წერილებში“ დასკინის და ამიბურებს შალიკაშვილის შემოქმედებას. ის სახელი, რომელიც მას აქვს ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოებაში, მოიხვეჭა არა ნიჭისა და შემოქმედების წყალობით, არამედ თავისი უცნაური პიროვნული ხასიათითა და უცნაუროვ ქვეყით. მ. ნ. შაქაროვი, პ. ი. შალიკოვი და ბ. კ. ბლანკი ღიღხანს წერდნენ და მუშაობდნენ ლიტერატურაში, მაგრამ უწყალოდ...

ვიგელი იქვე მოჰყავს ვიაზემსკის ეპიგრამა შალიკაშვილზე. შალიკაშვილის გადამწყვეტილი ჰქონია საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ სიღარიბის გამო განზრახვა ვერ შეესრულებია. ამის გამო ვიაზემსკის მასზე დაუწერია ეპიგრამა, აი, ისიც:

„С собачкой, с посохом, с лорнеткой  
И с митрой от мошек веткой,  
Подвязан розовым платком,  
В кармане пара мадригалов,  
С елда звенящим кошельком —  
Вот как пустился наш Выходило  
По суету странствовать пешком“<sup>2</sup>.

დამშვიდობებისას თითქოს შალიკაშვილი მიმართავს მეგობრებს:

„Прости, Макаров Фэбом чтимый  
И ты, о Бланк неистощимый,  
Единственный читатель мой“<sup>3</sup>.

ვინმეზედ განაწყენებული შალიკაშვილი არ იზღობდა მოწინააღმდეგეს. მასში ყოველთვის გიზგიზებდა სამაგიეროს გადახდის საოცარი წუერილი. ცნობილია, რომ მან მოსკოვის უნი-

<sup>1</sup> М. А. Дмитриев „Мелочи“, стр. 95.

<sup>2</sup> Ф. Вигель, „Письма“ том III, стр. 139.

<sup>3</sup> იქვე.

ვერსიტეტში რუსული ენის მოყვარულთა საზოგადოების სხდომაზე, საჯაროდ, მუშტით ცემა თავისი მეგობარი და მთავრული ცნობილი მეი-გაიარაკე მწერალი დიმიტრიევი სრულიად უბრალო გამაღვიანებელი შეკამათებისათვის. ამ ამბის გამო შალიკოვი გარიცხეს რუსული ენის მოყვარულთა საზოგადოების წევრობიდან.

ამ დროისათვის საკმაოდ ცნობილმა კრიტიკოსმა კაჩენოვსკიმ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სენტომენტალური სკოლის წინააღმდეგ. წერილას ავტორი დასცინოდა კარამზინისა და შალიკაშვილის ცრემლიან ნაწერებს და მათ „მტირალთა მწერლუკანებს“ უწოდებდა. შალიკაშვილისათვის საკმარისი იყო კარამზინის სახელის აუგად მოსვნიება, რომ იგი უცბად იფეთქებულყო. მან სასტიკად დასაჯა კაჩენოვსკი, საშუალო ბოლიციის ხარვეით დამთავრდა. მოსკოვის უნივერსიტეტის მოამბე და კაჩენოვსკის მთარველი პ. ა. გოლუნიშვილ-კატუხოვი მიმართავს განათლების მინისტრს რაზნუოვსკის 1811 წლის 4 დეკემბერს შემდეგი შინაარსის წერილით:

„Шаликов, злыя на нашего Каченовского за критику на слезливцев, письменно угрожает Каченовского прибить до полу-смерти... Шаликов, как всей публике здесь известно, есть человек буйный, не обузданный“<sup>1</sup>.

1811 წლის 19 დეკემბერს ბატოუშკოვი თვად პ. ა. ვიანემსკის წერილით აფრთხილებს: „Он (ლაპარაკია შალიკაშვილზე) страшный скотина, и прошу тебя именем дружбы не писать на него эпиграмм. Если бы он был человек, а не Шаликов, то стоил бы того, чтоб я или ты, или кто случится, проколол ему желудок, обрубил его уши и съел живого зубами... Но он Шаликов!“<sup>2</sup> და შემდეგ დასძინს— მენი ჭირიზე, პასუხი არაფერზე ვასცე, დაე, კაჩენოვსკი ემბროლოს მავას: ჩვენ კი ჩვენთვის ჩემად ვიყოთ. იგი საშინო ქარბეღია, მას შეუძლია ყველაფერი მოსპოს და გაანადგუროს, რაც კი წინ აღუდგებაო.

ბატოუშკოვის აღნიშნული წერილი ღვარძლიანი პასკილია შალიკაშვილის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ბატოუშკოვი სულით ავადმყოფი იყო, იგი ხან აძაგებდა და ხან აქებდა შალიკაშვილს, იმის მიხედვით, თუ სხვადასხვა დროს როგორ იყო მასთან დამოკიდებულება. კ. ნ. ბატოუშკოვი ლექსში „Видение на берегах Леты“ საშინლად დასცინის შალიკაშვილს და ამ დროისათვის საკმაოდ ნიჭიერ პოეტს მერბ-

ლიკოვს (ბატოუშკოვს ეჩვენებოდა, თორქოს მერზლიაკოვს და შალიკაშვილს მისი დახარბობა უნდოდათ. მათ ჩემი შუკმა უნდაოლოდ წერს იგი) აი, ავადმყოფური იტვიზობით შთაგონებული ლექსი ბატოუშკოვისა:

Кто ты — „Увы, я пастушок,  
Вдыхатель, навсегда готовый,  
Вот мой баран и посошок,  
Вот список всех красот упрямых,  
Которыми дышал и жил;  
Вот мой Амур, моя Аглая“...  
Сказал и, тягостно зевая,  
Спросонья в лету проскользнул“<sup>3</sup>.

ბატოუშკოვის მეორე ლექსი, დაწერილი 1818 წელს, აგრეთვე მიძღვნილია შალიკაშვილისადმი. ამ ბატოუშკოვი უყვე ზობას ასხამს მას; შალიკაშვილს ბატოუშკოვისათვის გაუგზავნია თავისი თარგმანები მისი აზრის გასაგებად. როგორც ჩანს, ბატოუშკოვი აღფრთოვანებულა ამ თარგმანებით და დაუწერია საზობტო ლექსი; ეს ლექსი დაიბეჭდა ა. ვოიეოვისა და ი. ვ. ვოზლოვის რედაქტორობით გამოშველი „Новости литературы“-ში. ლექსს წამძღვარებული ჰქონდა შალიკაშვილის მთავრე შენიშვნა: „Предчувствую с каким удовольствием читатели сих листов увидят стихи столь давно умолкшего, любезного поэта, полученные мною пред отъездом его в Италию“<sup>4</sup>.

ეს ლექსი მეგობრული გრძობითაა გამოთარი და ასე მთავრდება:

„Но где б я ни был (так я моляю  
в добрый час)  
Не изменюсь, душою тот же буду  
И умирая не забуду  
Москву, отечество, друзей моих и Вас!“<sup>5</sup>

შემდეგში ბატოუშკოვს ხელი აუღია საერთოდ ღვარძლიანი ეპოგრამების წერაზე. მას შეუბრალებია, შალიკაშვილიც; აი რას სწერს იგი ვენედიის 1816 წლის აგვისტოში: „Глишка умирает с голоду; Мерзляков мне приятель или то, что мы зовём приятелем; Шаликов в нужде; Языков питается пылью, а ты хочешь, чтобы я их дурачил перед светом. Нет, лучше умереть!“<sup>6</sup>

მავე ვენედიის ბატოუშკოვი სობოვს გამოუგზავნოს შალიკაშვილის „მოგზაურობა“.

<sup>1</sup> К. Н. Батюшков „Сочинения“, том III, стр. 166, 1896 г.

<sup>2</sup> „Новости Литературы“, 1822 г., II издание стр. 61.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> К. Н. Батюшков, „Сочинения“ том III, стр. 389, 1896 г.

<sup>1</sup> А. А. Васильчиков „Семейство Разумовских“ I, II стр. 365.

<sup>2</sup> К. Н. Батюшков „Сочинения“, том I, стр. 81.



ნაცნობობა პუშკინთან

პუშკინის ქართული ნაცნობებიდან, რომელთა სახელი პოეტის ნაწერებში გვხვდება, პირველ რიგში პეტრე შალიკაშვილი უნდა დავასახელოთ.

შალიკაშვილს პუშკინთან ახლო ურთიერთობა ჰქონია. ცნობილი პუშკინოლოგის ბ. ლ. მოძილევსკის ცნობით, შალიკაშვილი პირველი მისაღმებია პრესაში პუშკინის გენიის გამოშვებებისას.

ყურნალ „Новости литературы“-ის მე-11 წიგნში დაბეჭდილია შალიკაშვილის ორსტრიქონიანი ექსპროზიტა — „К портрету Пушкина“:

Талант и чувства в нем созрели  
прежде лет.  
Овидий наш, он стал ко славе  
муз поэт!

შალიკაშვილის რედაქტორობით გამოვიდა „Дамский журнал“-ში რამდენიმე წლის მანძილზე ზედმიზეძ იბეჭდებოდა აღფრთოვანებული რეცენზიები პუშკინის გენიალურ ქმნილებებზე; იბეჭდებოდა მკითხველთა აღტაცებული გამოძახილებიც. ამ ყურნალში დაიბეჭდა უამრავი ლექსი და ექსპროზიტა დიდი პოეტის ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებისადმი მიძღვნილია.

პუშკინი ხშირად ახსენებს შალიკაშვილს თავის წერილებში, სადაც შალიკაშვილი დახასიათებულა, როგორც „საყვარელი პოეტი“, „პატივისცემის ღირსი“, „ნამდვილი პოეტი“ და ა. შ. ცნობილისადმი მიმართულ პუშკინი იცხვას შალიკაშვილს და ახასიათებს მას, როგორც პოლიტიკურად უდანაშაულო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

1825 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა პუშკინის „ევენი ონგინის“ პირველი თავი. ამ თავის შესავალს წარმოადგენდა ლექსი „წიგნების გამოცდვლის საუბარი პოეტთან“, სადაც შალიკაშვილის შესახებ პუშკინი ამბობდა:

„Пускай их Шаликов поет  
Любезный баловень природы“<sup>1</sup>.

შემდეგში პუშკინმა პირველი ვარიანტი ასე შესცვალა:

„Пускай их юноша поет...“

1825 წლის 19 თებერვალს პუშკინი წერდა ვიახრშისკის:

„Ты увидишь в разговоре поэта с книгопродавцем мадригал Кн. Шаликову. Он милый поэт, человек достойный уважения и надеюсь, что искренняя и полная похвала с моей стороны не будет ему неприятна...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> А. С. Пушкин, Письма, т. I, стр. 404.

<sup>2</sup> А. С. Пушкин, „Письма“, т. I, стр. 404

<sup>3</sup> იქვე.

გენიოსი მწერლის ასეთი გულწრფელი სიტყვებით აღტაცებულმა შალიკაშვილმა დაწერა სახობტო ლექსი: „Кн. А. С. Пушкину“, „Дамский журнал“-ში დაბეჭდა ვრცელი რეცენზია ახლადგამოქვეყნებულ „ევენი ონგინის“ ერთ თავზე; რეცენზიაში პოემის აღნიშნული თავი მიხნეულია დიდებულ ქმნილებად.

პუშკინი ხშირად დადიოდა შალიკაშვილის ბინაზე მოსკოვში, განსაკუთრებით კი 1826 წელს, ნიკოლოზ პირველის ტახტზე ასვლის დროს. ეს იყო დეკაბრისტების აჯანყების დამარცხების მომდევნო პერიოდი. როგორც საყოველთაოდ ცნობილია პუშკინი მთელი სულით თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა დეკაბრისტებს.

ნიკოლოზ პირველმა დაიბარა კავკასიიდან ახლად დაბრუნებული პუშკინი და ჰკითხა: აჯანყების დროს რომ პეტერბურგში ყოფილიყავ, როგორ მოიტყუედიო. პუშკინმა პირდაპირ პირში მიახლა შეფის სიტყვები: აჯანყებულთა რიგებში წავედგებოდიო.

ასეთ ვითარებაში პუშკინის ახლო მეგობრობა პეტრე შალიკაშვილთან მეტად საგულანხში მოვლენაა. ეჭვი არ არის, რომ პუშკინი შალიკაშვილში ხედავდა პროგრესულად მოაზროვნე მწერალსა და ყურნალისტს, რომელიც არ შეიძლებოდა დეკაბრისტებისადმი გულგრილად განწყობილი ყოფილიყო. ადვილი დასაშვებია, რომ პუშკინისა და შალიკაშვილის შეხედულებები დეკაბრისტების აჯანყებაზე ბევრ საერთოში ემთხვეოდა ერთიმეორეს. შალიკაშვილი ხომ უსაზღვრო პატივს სცემდა პუშკინის გენიალურ ქმნილებებს და, რა თქმა უნდა, პოეტის მარად მემამობზე სულიც იქნებოდა მისთვის სათაყვანებელი.

მეტად საინტერესოა პუშკინისა და შალიკაშვილის ერთი შეხვედრის სცენა, რომელიც ვ. ვერესაევის აქტს აღწერილი თავის წიგნში „Спутники Пушкина“. არზრუმიდან დაბრუნებულ პოეტს მოუნახტლებია ბიძამისი — ვასილ პუშკინი. ბიძის ოჯახში პოეტს დახვდებია მისი შუვის თაყვანისმცემლები, მათ შორის პეტრე შალიკაშვილიც. პუშკინს დაუწვია მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გატაცებით მოყოლა აღფრთოვანებულ შალიკაშვილი ამ დროს მისჯდომია მაგიდას და დაუწერია პუშკინისადმი მიძღვნილი სახობტო ექსპროზიტა; შალიკაშვილი მისულა პოეტთან და უთქვამს მისთვის: „Недавно был день вашего рождения, Александр Сергеевич. Я получал, что никто не воспел такого знаменательного дня и написал вот что“ — ამ სიტყვებთან ერთად გადაუცია სახობტო ექსპროზიტა. პუშკინს წაუეთხიხავს იგი, მაგრამ ჩამოურთმეცია ხელი შალიკაშვილისათვის და საჩქაროდ ჩაუღვია ჯიბეში. სწამს პოეტს ეუბრძბოდა თავისი ქება სხვებისათვისაც წაუეთხიხა. ამ შალიკაშვილის აღნიშნული ლექსი:

К А. С. Пушкину. В день рождения  
 Когда рождался ты — хор  
 в Олимпийском мире  
 Среди небожителей пророчески  
 воспел:  
 Младенца слава ждет, удел  
 Пленить сердца игрой на лире<sup>1</sup>.

შენახულია შალიკაშვილის ერთი წერილი პეტროსისადმი, დათარიღებული 1836 წლის მაისით. ამ წერილში შალიკაშვილი დიდად წუხს იმის გამო, რომ მის ბინაზე სტუმრად მისულ პოეტს სახლში არავენ დახვედრია. ამ ერთი ადგილიდან: „... Жена и дочь моя разделили бы живейшее удовольствие моего сердца, разделяя со мной все чувства относительно бесценного и, присовокупляю, редкого для всех гостя“.

### შალიკაშვილის ეურნალისტური საქმიანობა

მე-19 საუკუნის რუსული ეურნალისტის ისტორიის სათანადოდ გაგება და შეფასება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განვიხილავთ, როგორც იმ პერიოდის ცხოვრების ორგანულ ნაწილს, როგორც იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარების შემადგენელ ელემენტს. მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, თუ რა დიდი როლი შეასრულა რუსულმა ეურნალისტებმა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების, ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებაში საერთოდ.

აღქმანდრე პირველის დროს რუსეთში გამოდიოდა სენტიმენტალისტური ხასიათის ბევრი ეურნალი. ეს ეურნალები გადატვირთული იყო იმ დროს მოდარში მყოფი სენტიმენტალისტური ხასიათის ნაწერებით: კარაშინის „საბრძოლო ლაზს“ მიბაძვით შექმნილი მტრალა მოთხრობებით, ცრემლიანი ლექსებით, ბევრი იწერებოდა გრძნობელობაზე ლიტერატურაში, „თბილი ვულისა“ და „უივი გონების“ დაპირისპირებაზე. სენტიმენტალური ეურნალისტის მამამთავარმა კარაშინმა მთელი ეურნალისტური სკოლა შექმნა. კარაშინის „Московский журнал“-ში აღმართულ იმ დროის ყველა ეურნალი და თავისი გაკლენის ქვეშ მოაქცია ისინი. ამ ეურნალის ბრძა მიმბაძველი დ უფერული ეპიგონა ვახდა ეურნალი „Чтение для разума, вкуса и чувствования“, რომელიც 1791—93 წლებში გამოდიოდა. დანარჩენი სენტიმენტალისტური ეურნალებიც „Приятное и полезное препровождение времени“ (1794—98 წ.). „Музы“, (1796 წ.) „Ипокрена или утехы любосло-

შალიკაშვილი პეტროსის ახლო მეგობარი და მისი შემოქმედების დათვალადე პოპულარიზატორი იყო. იგი სათანადოდ აფასებდა და აფასებს სტუმრად გენიოს მწერლის „ღირებვის სტატიის აღბეჭდილ“ შემოქმედებას. შალიკაშვილი ყოველმხრივ ეხმარებოდა და სტიმულს აძლევდა ნიჭიერ რუს თეიმანსაველ პოეტს ლიხანოვს, რომელიც აღმერთებდა პეტროსის. ლიხანოვმა პეტროსის სიკვდილის გამო შალიკაშვილის შთაგონებით დაწერა სვედლანის ლექსი „ფანტაზია“, რომელმაც დიდი აღიარება პოვა.

პეტრე შალიკაშვილის პეტროსისეული დახასიათება ოქროს საბუთია ზოგიერთი ამ არასწორი და მიყრდნობით შეზღუდულების გასაბათილებლად, რომელიც ცალკეული თანამედროვე ავტორებზე შალიკაშვილზე პირადი შერისა და მტრობის საბაზით, ხოლო შალიკაშვილის ახლო ნაცნობობა გენიოს პოეტთან რუსი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთი ფრიად საინტერესო თეია.

შია“ (1798 — 1801 წ.წ.) კარაშინის ეურნალისტურ სკოლას ეკუთვნის. ამ ეურნალს თითქმის ერთი და იგივე თანამშრომლები ჰყავდათ. მათს სულსა და გულს შეადგენდნენ ვ. პოდვივალოვი, ვ. იზმაილოვი, ი. დიმიტრიევი, მერზლიაკოვი, ვისილ პეტროვი, დერკაინი და სხვები. ამ ეურნალებში მოღვაწეობდა პეტრე შალიკაშვილიც.

რუსული ეურნალისტის ისტორიის შესწავლაში შალიკაშვილის მოღვაწეობა საესებით შეუსწავლელია. შეუსწავლელია მისი ეურნალებიც. მათთვის ჯერ არავენ მიუქცეია ჯგეროვანი ყურდმეობა. თანამედროვეთა მიტად ძმწი და ზნორად მიყრდნობითი დახასიათებები, რომელთა რიცხვი არცთუ ისე ბევრია, ფრიად უმაღური მასალაა რუსული ეურნალისტის ისტორიის მველევართათვის. შალიკაშვილის ბიოგრაფიის უმნიშვნელო წერტილმანის ზოგიერთი გაზვიადებული დახასიათება თანამედროვეთა მიერ არ უნდა მივიზნოთ სარწმუნო ამბად და არ უნდა დავემყაროთ მათ.

შალიკაშვილი ზამედა კარაშინის ლიტერატურაში, ვანიციდა მის დიდ გავლენას, განსაკუთრებით ლექსებში. ზაგნას წვეწ ეფექტობთ. მას ამ შეიძლება კარაშინის უბრალე ეპიგონი ეწოდოს, როგორც ამას აცხადებს ზოგჯერ. მისმა მრავალმხრივმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ თავის დროზე მიიქცია ფართო საზოგადოებას ყურადღება, მან თავისებური წველო შეიტანა რუსულ ლიტერატურის ისტორიაში. განსაკუთრებით საგულსხმა მისი როლი რუსული ეურნალისტის განვითარებაში, მისი ზანგრძლივი მოღვაწეობა რუსულ ეურნალ-გაზეთებში.

1806 წელს შალიკაშვილმა დამოუკიდებლად დაიწყო ახალი ყოველთვიური ეურნალის— „Московский зритель“-ის გამოცემა. ეურნალი არ

<sup>1</sup> В. Вересаев. „Спутники Пушкина“, том II, стр. 63.

იყო წმინდა ლიტერატურული ხასიათისა. მასში მთავარი ადგილი პოლიტიკურ თეზებს ეკავათ. ეურნალის გამოცვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში შალიკაშვილი მკითხველებს პირადობდა, რომ ეურნალი გაყოფილი იქნებოდა კარგი გამოწვევებით, მასში მოთავსებული მასალების ენა და სტილი იქნებოდა წმინდა ლიტერატურული, კრიტიკულ წერილებში მოცემული იქნებოდა სწორი რჩევები, ამასთანავე განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ეურნალის ყურადღების ცენტრში იქნებოდა ქალთა უნახესი გრძნობებისადმი პატივისცემა

„Московский зритель“ ვახდა იმდროინდელი რუსი სენტიმენტალისტებისა და პურისტების მებრძოლი ორგანო. ეურნალში დაბეჭდილი შალიკაშვილის სტატიები გამოირჩევა ორიგინალური სტილითა და ენობრივი თავისებურებებით, ისინი იცავენ და ამტკიცებენ კარაშინის ენობრივ პოზიციებს.

ენობლია, რომ კარაშინი იბრძოდა რუსული ენის სიწმინდის დასაცავად. იგი რუსულ ენაში უცხო სიტყვების შემოტანის სასტიკი წინააღმდეგი იყო. კარაშინი გამოდიოდა, როგორც თავდაზნარული პატიოტიზმის აპოლოგეტი. კარაშინი რუსული ენის ყველა გრამატიკული ნიუანსს დიდი მცოდნე იყო და მოითხოვდა რუსული ენის ლექსიკის გაფორმებას ახალი რუსულიზაციის სიტყვებითა და გამოთქმებით. კარაშინი ურჩევდა თანამედროვე მწერლებს ენის გასაფორმებლად გამოეყენებინათ ხალხური შეტყულების ლექსიკური განსეულობანი.

შალიკაშვილი თავის ეურნალში ედილობდა ეწერა სალაპარაკო ხალხური რუსულით. შალიკაშვილი ეურნალი პოპულარიზაციის უწყვეტ კარაშინის ენობრივ რეფორმებს.

შალიკაშვილის ამ ეურნალში თანამშრომლობდნენ იმ დროის განათლებული ადამიანები: ბ. კ. ბლანკი, ე. ლ. პუშკინი, ე. ვ. იზმაილოვი, ა. პ. ბუნინი, ანდრეევსკი და სხვები.

შალიკაშვილი თავის ეურნალში დაბეჭდა საზოგადოებისათვის ჯერ ეურნალი ახალგაზრდა კრილიკის სამი იგავ-არაკი. კრილიკის იგავეებს შალიკაშვილი წარმოუდგარა დმიტრიევის წინასიტყვაობა, სადაც დმიტრიევი მალაღ შეფასებას აძლევდა კრილიკის აღნიშნულ იგავ-არაკებს. კრილიკს დიდი წარმატება ჰქვდა. რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი მუშაობა ამ ეურნალში. შალიკაშვილის ეურნალში დაბეჭდილი კრილიკის პირველი იგავ-არაკები გადმოკეთებულია ლაფონტენიდან, ესენია: „Дуб и трость“, „Разбор-

чивая невеста“, „Старик и трое молодых“. ამგვარად შალიკაშვილიმა გზა გაუხსნა კრილიკს. შალიკაშვილიმა საყურადღებოდ დატოვა ეურნალში დაბეჭდა „Путешествие в Крошталл“, რამდენიმე უმნიშვნელო მოთხოვნა და სახობრო ლექსი — მოძღველი ეურნალის აქტიური თანამშრომლების — ბუნინის, ბლანკისა და დოლოგოტკისადმი. შალიკაშვილიმა ამ ეურნალში გამოაქვეყნა რამდენიმე თეორიული ხასიათის სტატიაც, სადაც იგი მზარს უწყერდა კარაშინის ენობრივ რეფორმას. მიუხედავად იმისა, რომ ეურნალში მოღვაწეობდნენ ი. ა. კრილოვი, ე. პ. იზმაილოვი და მას მთავრელობდა ენობლი შეიგავე ი. ი. დმიტრიევი. „Московский зритель“-ი არ ყოფილა მარტდამინც პოპულარული ეურნალი. ამის გამო შალიკაშვილს აღარ ვაუვრძელებია მისი გამოცემა. 1807 წელს ეურნალი დაიხურა.

1808 წელს შალიკაშვილიმა მოსკოვში გამოცემა ახალი ეურნალი „Аглая“. (ამავე სახელწოდებით თავის დროზე გამოდიოდა კარაშინის ეურნალი) ეურნალში იარსება 1812 წლამდე მკითრედენი ხარვეზებით.

ეურნალის იდეალი წამოყალიბებულია შალიკაშვილის სიტყვებში:

„Тот, который говорит языком сердца, страдает иметь в себе все слишком педантическое, словом: я не люблю совсем политики, а педантизм ненавижу“<sup>1</sup>.

ეურნალს ეპოვრავდა წამმლეარებული ჰქონდა ვოლტერის სიტყვები ფრანგულად:

Tous les genres sont hors le genre ennuyeux“

Voltaire.

ამ ეურნალში აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ „Московский зритель“-ის თანამშრომლები: ე. ვ. იზმაილოვი, ი. ა. კრილოვი, ა. ი. მერხლოკოვი და ბევრი სხვა იმ დროისათვის ენობლი მწერალი და კრიტიკოსი. 1810 წელს ეურნალის გამოცემა შალიკაშვილიმა დროებით შეწყვიტა, მაგრამ იმავე წელს განაახლა. ეურნალი გამოდიოდა 1812 წლის სამამელო ომის დროებამდე.

„Аглая“-ის ჰქონდა სენტიმენტალისტური სულისკვეთება, იგი ეპოქის საკრიტიკო საკითხებისაგან განზე იყო გამდგარი.

შალიკაშვილი თავის ეურნალში ათავსებდა თარგმანებს მსოფლიო ლიტერატურიდან. ამ შეხედებით რუსს, ლამეტრისა და სხვათა ნაწარმოებებს.

#### შალიკაშვილი „Московские ведомости“-ს რედაქტორი

„Московские ведомости“ იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდული ორგანო. მას საპატიო ადგილი უჭირავს რუსული ეურნალისტის ისტორიაში.

ვახუშტმა „Московские ведомости“-მ დიდი როლი ითამაშა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. ვახუშტის პირ-

<sup>1</sup> „Аглая“, XI часть, 1808 г.



ველი ნომერი გამოვიდა 1756 წლის 26 აპრილს. იგი იბეჭდებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის სტამბაში, გამოდიოდა კვირასი ორჯერ, ევრეთწოდებულ „სადოსტო დღეებში“ — სამშაბათობით და პარასკევობით.

1806 წელს გაზეთის გამოცემის უფლება გადაეცა მოსკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს. გაზეთმა დაკარგა მებრძოლი ორგანოს სახე, მასში მთავარი ადგილი დაიკავა ოფიციალურმა ნაწილმა — შეფის ბრძანებებმა სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების განკარგულებებში, დოკუმენტებმა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ უნივერსიტეტის ცხოვრებასთან. „Московские ведомости“-ს შალიკაშვილი რედაქტორობდა 25 წლის მანძილზე განუწყვეტლივ. ეანდარების მიმოწერაში გაზეთის მიმართულების შესახებ, შალიკაშვილი დახასიათებულა, როგორც პროგრესულად მიაზროვნე საზოგადო მოღვაწე.

მესამე განყოფილების უფროსის, ეანდარების შეფის გრაფ ბენკენდორფის უახლოესი თანამგზის გენერალ ფონ-ფოკის წერილში რომელიც ვაგზავნილია სამხედრო მინისტრ დიბიჩისადმი 1827 წლის 6 იანვარს ნათქვამია: „В газете „Московские ведомости“, выходящей по особенному положению и по особенной инструкции, редактором состоит известный князь Шаликов; напечатанное мнение Стенгопа о заведении полсеместных республик весьма предосудительно, особенно после показания людей, мечтавших о республике“.

(ფოკი აქ დეკარისტებს ველისხმობს, — რ. კ.) „Такой ужасный промах газеты“-ს ფოკი მხოლოდ შალიკაშვილს მიაწერს. ფოკის აღნიშნული წერილიდან ვტყობილობთ, რომ „...Место редактора газеты от (Шаликов) получил по протекции И. В. Дмитриева“... ცნობილი არაა, თუ რა შედეგი მოჰყვა ფონ-ფოკის აღნიშნულ წერილს<sup>1</sup>. ყოველ შემთხვევაში

<sup>1</sup> სტენგოპი იყო ფრანგი პოლკოვნიკი და პოლიტიკური მოღვაწე. ფონ-ფოკის აღნიშნული წერილი გამოიწვია იმ ვარკობებამ, რომ შალიკაშვილმა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 1862 წლის 1 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა სტენგოპის წერილი, სადაც რესპუბლიკანელი პოლკოვნიკი ამტკიცებს რომ: „Скоро все нации в свете будут конституционными республиками“. ასეთი პროგრესული იდეის ქადაგებამ ოფიციალური ორგანოთი აღაშფოთა მთავრობა, რომელიც დეკარისტების გამოსვლებით დაშინებული იყო.

შალიკაშვილი განაგრძობდა გაზეთის რედაქტორობას 1838 წლამდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1826 წელს მოსკოვში შეიქმნა ლია ხმები შალიკაშვილის ცენზორად დანიშვნის შესახებ. რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთხსენებულის შემდეგ მის ცენზორად დანიშვნაზე ლაპარაკი კი ზედმეტი იქნებოდა.

ერთდროულად 1823 — 33 წლებში შალიკაშვილი რედაქტორობს „Дамский журнал“-საც. ეს ეტრნალი იყო უკიდურესობამდე სენტიმენტალისტური. იგი მიზნად ისახავდა „Насажать чувствительность, сопряженную с моралью“ შალიკაშვილის რედაქტორობის დროს ეტრნალი იყო ყოველთვიური ლიტერატურული ორგანო, გამოდიოდა მოღვრი<sup>1</sup> სურათებითა და პორტრეტებით. 1823 — 28 წლებში ეტრნალი იცემოდა კვირასი ორჯერ. 1929 წლიდან ყოველკვირეული გამოცემა გახდა. სულ გამოვიდა ეტრნალის 44 ნომერი.

ამ ეტრნალში მოღვაწეობდა ჰეტრეს და ალექსანდრა შალიკაშვილი. ეტრნალში თანამშრომლობდნენ მ. ნ. შაჟაროვი, ბ. კ. ბლანკი, ვოლოკი, მილანსკი, რაშჩანოვი, ვ. კ. ლეონტიევი, ვიწმე „შეოცნებე“, დავილოვი, ნიკოტინი, ბუნინი, ვარკვენი, რაშკი-კარასკოვი, კოუზნოვი, ბაკარევიჩი, გლადკოვი, ალიანსკოვი, შელხოვი, ზვისტოვი, ტოლშანოვი, პისარევი, ვიაზემსკი, ვ. პუშკინი და სხვები.

ეტრნალში იბეჭდებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა იმ დროის ცნობილი მწერალი ქალის ნაწარმოებთა თარგმანები სურათებითა და ახსნა-განმარტებით. მაგალითად ეტრნალში მკითხველებს გააცნო მადამ ეანლისი, დე სტალი, დონკა დეპონე, კრიდენერი, ნიკობინი, ლამბერი, დე სავინი, ნეკრასენი და სხვანი. რუსი ქალი მწერლებიდან ეტრნალში იბეჭდებოდა: კრიუკოვა, უბოვევა, შახოვსკაია, ა. შალიკაშვილი, ეიდინა და სხვები.

ეტრნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა შალიკაშვილის წერილი, სადაც იგი ულოცავდა რუსული ლიტერატურის მოყვარულთ დეკარისტების ახალი ეტრნალის „Полярная звезда“-ს გამოსვლას. ეს პატარა ფაქტი უფრო დარწმუნებით გვაფიქრებინებს შალიკაშვილის სულიერ ნათესაობაზე დეკარისტულ იდეებთან.

ეტრნალის პირობულ განყოფილებაში დაბეჭდილი მასალები გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს წარმოადგენენ. მეტად საინტერესოა შაჟაროვის ვრცელი ნარკვევი „Материал для истории русских женщин — авторов“.

ამ ეტრნალის უბრალო გადათვალერებაც კი დაგვარწმუნებს იმაში, რომ იმ დროის პირობების მიხედვით ეტრნალის ტექნიკური გაფორმება მეტყველებს მისი რედაქტორის მაღალ ეტრნალისტურ გემოვნებაზე.

## შალიკაშვილი როგორც მწერალი და ჟურნალისტი



რუსულ სალიტერატურო კრიტიკაში ძალიან ცოტაა დაწერილი შალიკაშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და თითქმის არაფერია ნათქვამი მასზე, როგორც ჟურნალისტზე.

შალიკაშვილი მხატვრული ლიტერატურის თითქმის ყველა განაშთ ცდიდა კალამს. იგი იყო ლიტერატურის კრიტიკოსიც და ამკლავებდა ხელოვნებისა და ლიტერატურის თავისებურ გაგებას.

თავის პუბლიცისტურ წერილებში შალიკაშვილი მსჯელობდა ყველაფერზე — სიყვითე-სიქველზე, ფილოსოფიაზე, ზნეობაზე, ლიტერატურაზე. იგი გამოთქვამდა, თუმცა არა იმდენად დრმა ფილოსოფიურ, მაგრამ თავისი დროის საზოგადოებისათვის ზოგჯერ საღ და სასარგებლო აზრს. საინტერესოა მისი ისტორიული ნარკვევი „Историческое известие о пребывании в Москве французов 1812 года“.

(კალაქ წიგნად გამოიცა 1813 წელს მოსკოვში).

როცა ნაპოლეონი მოსკოვს უახლოვდებოდა, თითქმის ყველა მცხოვრები გავიდა ქალაქიდან. შალიკაშვილი თურმე ერთი წუთითაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ფრანგები შეძლებდნენ მოსკოვის აღებას, ამიტომ მან ვეღარ მოასწრო თავისი ოჯახით მოსკოვიდან გასვლა. წიგნის წინასიტყვაობაში იგი თავის შესახებ მეფე ალექსანდრეს ასე მიმართავს: „Патриотическое честолюбие вместе с другими обстоятельствами, заставило его остаться в Москве, удержать свое семейство и нашестые вандалов почитать — химерою“<sup>1</sup>.

შალიკაშვილი მოწმე იყო მოსკოვის განადიდებული ხანძრისა. როგორც ცნობილია, რუსებმა დასწვეს ქალაქი, რათა იგი დამპყრობს არ დაჩინებოდა. ყველაფერი ეს შალიკაშვილმა ასახა თავის ნარკვევში, სადაც მოცემულია ბევრი სავსე-ლისხმო ფაქტიც, თუმცა მთავარი ადგილი მის პირადულ-ფსიქოლოგიური განცდებისა და გრძნობების აღწერას უჭირავს.

ამ ნარკვევიდან ჩანს, რომ შალიკაშვილი კარგი ჟურნალისტი იყო. შესავალში იგი ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე, მე ისტორიკოსი არა ვარ და შეიძლება ჩემი პირველი ცდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სისწორით აღწესგვაში სრულყოფილი არ იყოს: „И ежели не все места будут верны с каждою подробностью; ежели некоторые ознаменуются духом сильного негодования, — первое произойдет от того, что непонятный мрак гения тьмы тщательно покрывает дела вероломные; последнее — от воплей сердца, ко-

торые, может статься, вырываются непринужденно“...<sup>1</sup>.

შალიკაშვილი ფრანგ დამპყრობლებს ბარბაროსებს უწოდებს:

„...И название француза ныне сделалось именем вандала“<sup>2</sup>.

ნაპოლეონი მას უდიდეს იმპერატორად მიაჩნია. შალიკაშვილი ნაპოლეონს უპირისპირებს ატილის, რომელმაც რომში გავლასას შესიშინა ეკლესიის მსახურთა ვედრება და ქალაქი არ დაჩინებია.

ანგარი. შემდეგ შალიკაშვილი მხატვრული სიღებავებით აღწერს, თუ როგორ ანგრევდა კრემლის კედლებს და აოხრებდა ქალაქს მრისხანე ნაპოლეონი — „მნგრეველი და გაბანადგურებელი გენია“.

მე ვიცი, — განაგრძობს შალიკაშვილი, — რომ სამხედრო კანონებით დასაშვებია მოწინააღმდეგის ციხე-სიმაგრეთა დანგრევა, მაგრამ ეს ორი სიტყვა კანონი და ნაპოლეონი არ უნდა იხსენიებოდეს ერთად. „Закон и Наполеон, не должны быть вместе под пером историка, ни даже стихотворца, ежели не хочет жертвовать славою рифм“<sup>3</sup>.

შალიკაშვილის აღნიშნული ნარკვევი დაწერილია რუსული მიწის უსახლეროდ მოსიყვარულე გულის მიერ, დაწერილია დიდი პატრიოტული ილტყინებით, უსახლერო სიძულელით დამპყრობელისადმი, მაღალმხატვრულად და პოეტურად. შალიკაშვილი ბევრს ფიქრობდა მოგზაურობაზე. თავის ნაწარმოებში მას არა ერთხელ გამოეთქვამს სინანული, რომ მან სრულყოფილად ვერ განიცადა „живейших лучших удовольствий жизни“ — ესე იგი მოგზაურობით გამოწვეული სიამოვნება.

შალიკაშვილმა ორჯერ იმოგზურა უკრაინაში, პირველად — 1803 წელს, მეორედ კი — 1804 წელს. მეორე მოგზაურობას ქონდა უფრო პრაქტიკული ხასიათი. მაშინ მან ჩაიბარა მამის ნაანდერძები მამულე.

ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით დაწერა მან ორი ნაწარმოები „Путешествие в Малороссию“ და „Другое путешествие в Малороссию“. პირველ ნაწარმოებს ემიგრაციად წამდგურებელი ქმონდა კარაშინის სიტყვებით: „Кто еще не заперт в клетку, кто может подобно птичкам небесным, быть здесь и там, там и здесь, тот может еще наслаж-

<sup>1</sup> Шаликов „Ист. изв. о преб. в Москве французов“, 1812—1813 г., стр. 6.

<sup>2</sup> იქვე, 33-44.

<sup>3</sup> Шаликов „Ист. изв. о преб. в Москве французов“, 1812—1813 г., стр. 48.

<sup>1</sup> Шаликов „Ист. изв. о преб. в Москве франц.“, 1813 г., стр. 3.

даться бытием своим и может быть счастлива<sup>1</sup>

ორივე ამ ნაწარმოებს შალიკაშვილი უძღვნდა ახლო მეგობრებს — ანდრეევსკის, ბენინსა და ტაუშევს.

საინტერესოა შალიკაშვილის „В день моего рождения“. 1806 წელს დაწერილი ამ ავტობიოგრაფიული ხასიათის ერთი ფრაგმენტიდანაც ჩანს, რომ შალიკაშვილს არ ჰქონია დიდი წარმოდგენა თავის თავზე, როგორც ამას მიაჩვენებს მას დამკინავე ეპიგრამების წერის მანიით და ავადებულ ზოგიერთი თანამედროვე. ამ ფრაგმენტში ვხვდებით სამშობლოსადმი ასეთი ხასიათის მიმართვას: სამშობლოვ ჩემო, რაღვინი ჯარ ჩამის გაეკეთა მინდოდა შენთვის, შენი ხალხისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით სურვილი სურვილადვე რჩება. აბა, რა გადაეკეთე მე ჯერ შენს სიდიდებლად და სააქებლად, ჩემო სამშობლოვ, არაფერი. არაფერი და ეს არ მასვენებს მე. დღე მომავალი ჩემი პატარა მოღვაწეობით გავხდვარის შენი შეილობისაო.

შალიკაშვილის „Путешествие и Малороссию“ პირადი შთაბეჭდილებებისა და განცდების გადმოცემაა. აქ არ არის არც ეთნოგრაფიული და არც ისტორიული მასალები უკრაინელი ხალხის ცხოვრებიდან. ეს არც ყოფილა „მოგზაურობის“ ავტორის მიზანი. შალიკაშვილი სენტპეტერბურის მგრომობიარობით გადმოგვეყვამს პირად განცდებს და მტკაღ მიშვიდეულად და საინტერესოდ. ამ პატარა ნაწარმოების წინასიტყვაობაში იგი ამბობს:

„Путешествие мое не напоминает вам ни Стерна, ни Дюлати, ни Карамзина, ни Измайлова — Большое расстояние, но вы найдете в нем вашего друга с пламенной любовью к вам и, может быть, с вами и другие что-нибудь найдут в нем. Образования для чувствительности находят под сердцем печатляю ее самую бездельку приятною и на час забывают о таланте“<sup>2</sup>.

სამაველი ომის დამთავრების შემდეგ შალიკაშვილი განსაკუთრებით ბეერს წერს და ბეკედეს კიდევ. 1814 წელს გამოვიდა მისი წიგნი „Остров Эльба и новые Санхо-Панса“, 1815 წელს გამოქვეყნდა შალიკაშვილის მტკაღ საინტერესო წიგნი „Мысли, характеры и портреты“. აქ შალიკაშვილი იძლევა თანამედროვე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დახასიათებებს. აღნიშნული წიგნი შეიცავს საინტერესო ფაქტებსა და შესანიშნავ პორტრეტულ ჩანახატებს.

შალიკაშვილი იყო პრინციპული რედაქტორი. იგი მაღალ ლიტერატურული გემოვნებით არჩევ

და ეურნალებში დასაბეჭდ მასალებს, იყო მომთხოვნი და პირდაპირი. შემონახულია ერთი წერილი, რომელსაც პ. შ. გოლოვინი, ორგანიზატორი და უგზავნის შალიკაშვილს და თხოვს მას: უკან მე შეშვესვი გზავნის შენს ეურნალებში ვოლტერის ტრაგედიის „ეუზარის სიკვდილის“ თარგმანს, მართალია, არ არის ძლიერი თარგმანი, მაგრამ მაინც დაუბეჭდო. შალიკაშვილს წაუთხოვან იგი და არ დაუბეჭდავს, როგორც „სასყებით უნებო და არა პოეტურა“ თარგმანი.

რუსული ლიტერატურის ისტორიაში შალიკაშვილი ცნობილია აგრეთვე, როგორც ფრანგი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის ფრანსუა რენე დე შატობრიანისა და სენტპეტერბურის მწერალი ქალის ეანლისის მოთხოვნების კარგი მთარგმნელი.

1817 წელს გამოქვეყნდა ფრანსუა რენე დე შატობრიანის „მოგონებები იტალიაზე, ინგლისზე და ამერიკაზე“. წიგნი თარგმნილი იყო შალიკაშვილის მიერ. 1818 წელს გამოქვეყნებულ ეანლისის „ახალი მოთხოვნების“ საკუთარ თარგმანს შალიკაშვილი უძღვნის პ. ა. ვიაზემსკის, მიუხედავად იმისა, რომ ვიაზემსკის დაწერილი ჰქონდა მასზე დამკინავე ეპიგრამები. იმ დროს ვიაზემსკი მონაწილეობდა იღებდა რუსული კონსტიტუციის შემუშავებაში და იგი „საშვი ლიბერალად“ ითვლებოდა და პოლიტიკის ფართული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ის ეფაქტი, რომ შალიკაშვილი მთავრობისათვის ასეთ საშვი პიროვნებას უძღვნის თავის თარგმანს კიდევ ერთხელ დასაბეჭდოვს შალიკაშვილის ლიტერატურული და პოლიტიკური შეხედულებების პროგრესულ ხასიათს.

1838 წელს შალიკაშვილი გაათავისუფლეს „Московские ведомости“-ის რედაქტორობიდან. უაქტიურად აქ წყდება მისი ეურნალისტური საქმიანობაც. შალიკაშვილს უკვე საკმაოდ მოხუცს, ფიქრიც კი აღარ შეეძლო ახალი ეურნალის გამოცემაზე. მან თავი მიაჩნა ლიტერატურულ საქმიანობასაც.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები შალიკაშვილს უკიდურეს სიღარიბეში გაუტარებია. 1852 წლის 16 თებერვალს ღრმად მოხუცებული შალიკაშვილი გარდაიცვალა მოსკოვის მახლობლად, სერბულხეში. „Московские ведомости“-ში, რომელსაც 25 წელი შეაღია შალიკაშვილი, სულ რამდენიმე სტრიქონიანი ნეკროლოგი დაბეჭდა.

„16-го февраля, в Серпуховском уезде, скончался на 85-м году от рождения князь Петр Иванович Шаликов, известный своєю литературною деятельностью, преимущественно по редакции Московских ведомостей, которая издавалась им в продолжение 25 лет. Тело его погребено в Высоцком монастыре“.

ეურნალება „Сын Отечества“-მ შალიკაშვილი დახასიათა, როგორც კარგი ეურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

<sup>1</sup> Шаликов „Путешествие в Малороссию“ Эпиграмма.

<sup>2</sup> Шаликов, „Путешествие в Малороссию“ 1803 г., стр. 3.

პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა სერაიოზელი შესწავლის ღირსია: მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში დაცულია უამრავი მასალა შალიკაშვილის შესახებ. ამ მასალებს სჭირდება გამოცდილი მკვლევარის ხელი, რომელმაც უნდა „აღმოიჩინოს“ ქართულ საზოგადოებრიობას მისთვის თითქმის უცნობი მწერალი და ჟურნალისტი.

პეტრე შალიკაშვილის ჟურნალისტური საქმიანობა მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. 25 წლის მანძილზე იგი შეუცვლელად რედაქტობდა იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ პერიოდულ ორგანოს „Московские ведомости“-ს, სცემდა და რედაქტობდა პოპულარულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჟურნალებს — „Московский зритель“-ს, „Аглайн“-ს, „Дамский журнал“-ს, დაუღალავად მოღვაწეობდა იმდროინდელ რუსულ პრესაში, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურულ აღმანახებში. შალიკაშვილი კარამზინთან ერთად უნდა ჩაითვალოს რუსული სენტრემენტალური ჟურნალისტიკის მამამთავრად. შალიკაშვილის ჟურნა-

ლისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა შინა მშვიდობის დროის მემკვიდრეობით. მაგრამ უნდა ვიხელმძღვანელოთ უნდა მივუცეს პეტრე შალიკაშვილის ცხოვრებას და შეხედულებებს შალიკაშვილზე, აგრეთვე, სხვა თანამედროვე პროგრესულ მოაზროვნეთა აზრებსაც.

საინტერესოა შალიკაშვილის მხატვრული შემოქმედების შესწავლაც იგი იყო პოეტი, მწერალი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. მისი პოეტურა მემკვიდრეობა საგანგებო კვლევას მოითხოვს. მის მრავალრიცხოვან კრიტიკულ წერილებში და მხატვრულ ნარკვევებში ჩანს ნიჭიერი ჟურნალისტი, ხოლო მისი მხატვრული პროზა ავტორის წერის მშვენიერ სტილზე მიუთითებს. შალიკაშვილი პროგრესული მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე იყო. თავისი ხანგრძლივი ჟურნალისტურ მოღვაწეობითა და მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობით მან დააყვავა იმდროინდელი რუსეთის საზოგადოების მოწინავე, პროგრესული და საუკეთესო ნაწილი.



## ღერო გურიანუხილი

გამოჩენილ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს, რომელსაც დღეს ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ ჩვენს ქვეყანაში, ძალიან თავისებური ზეგარი ზედა წილად. მისი სახელი დიდი ხანია ცნობილია: უკვე ოცამ წლებში იგი ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილთაგანი იყო ქართველ მხატვართა შორის. იგი ბევრს ხატავდა. მისი სურათები და ნახატები ზმირად იფიქრებოდა და ჩვენს საზოგადოებას საესებით გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ამ დიდად თავისებური მხატვრის შესახებ, რომელიც ძალიან აღრე, თითქოს ერთბაშად, ჩამოყალიბდა, როგორც დასრულებული შემოქმედია.

მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა, რამდენიმე თაობა წამოიზარდა, უკვე ბევრმა ისეთმა ახალგაზრდა მხატვარმა მიიპყრო ყურადღება, რომელიც მაშინ, 20-იან წლებში, ჯერ დაბადებულად კი არ იყო. გუდიაშვილის სახელი ამ ახალ თაობებისთვისაც არ ყოფილა უცნობი, მაგრამ, არსებითად, სახელის ვარდა, მათ თითქმის არაფერი იყოდნენ მის შესახებ. და ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ისინი იქნენ ყოველ დღეც კი ხეუბნოდნენ და ესაუბრებოდნენ, მათთვის მაინც ზოლოდ ნახევრადრეალური პიროვნება იყო ფიზიკურად მას ზედადნენ და იცნობდნენ, მაგრამ მისი შემოქმედების ამბავი ზოლოდ გადმოცემით, ყურმოკვრით გავგონათ, როგორც შორეული წარსულის რაღაც ბუნდოვანი მოგონება. გუდიაშვილის თითო-ორი სურათი ხანდახან ჩნდებოდა გამოფენაზე, მაგრამ ნამდვილად ბევრმა აღარაინ იცოდა — აღარც უფროსმა და აღარც უმცროსმა — რას აკეთებს დღეს ლადო გუდიაშვილი.

და აი, ამ რამდენიმე ხნის წინათ, გაიხსნა მისი გამოფენა. და უკვე, ერთ საღამოს, ლადო გუდიაშვილის სახელს ზორცი შეესხა, იგი კვლავ საესებით რეალურ პიროვნებად იქცა ყველასთვის. მნახველთა აბსოლუტური უმეტესობისათვის ეს იყო სრულიად უცნობი განძის აღმოჩენა, რადგანაც ცოტა ვისმე-ღა ახსოვდა, რომ არსებობდა ასეთი ჩაფლული განძი, რომელიც აღრე თუ გვიან უნდა აღმოჩენილიყო.

დღეს ლადოს სახელი უფრო ცნობილია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, დღეს ჩვენ გავეცენით მის შემოქმედებასაც. მე ორბოდე სიტყვით შეეცებოდი ლადო გუდიაშვილის ცხოვრების გზას.

წარმოშობით ლადო გუდიაშვილი საქართველოს მთის ეკუთვნის: მამამისი მთიელი იყო, დედაშეთადან, დედა-მოხვევე. მაგრამ თვით ლადო თბილისში დაიბადა (1896 წელს). თბილისშივე გაატარა თავისი ბავშვობა და სიჭაბუკე.

მხატვრობისადმი სიყვარული ბავშვმა აღრევე გამოამჟღავნა: 1910 — 1914 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც მან მხატვარ-პედაგოგის წოდება მიიღო. 1914 წ. ლ. გუდიაშვილი პირველად გამოჩნდა ასპარეზზე: ერან. „თეატრსა და ცხოვრებაში“ დიბუქდა მის მიერ შესრულებული ილუსტრაციები ლეო ქიანელის მოთხრობისათვის.

მომდევრო წლები — გაცხოველებული მემშობის წლებია, წლები, როდესაც თანდათან იწყებს ჩამოყალიბებას გუდიაშვილის შემოქმედებითი სახე.

სწორედ იმ ხანებში ეცნობა იგი ძველ ქართულ მხატვრობას. მას იწყევენ შუისაუცრეთა ფრესკების გადმოსაღებად: იგი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, იხატავს ნაბახტევის, ნეკრესისა და გრემის, სვეტიცხოვლისა და დავით გარეჯის ფრესკებს, დიდი სიყვარულით სწავლობს ძველ ქართულ მინიატურებს. 1917 წელს, როდესაც ე. თაყაიშვილი გაემგზავრა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ პროვინციებში, რომლებიც თურქეთის ეპყრა ზელთ, მაშინ კი რუსის ჯარის მიერ იყო ოკუპირებული, მან ლ. გუდიაშვილიც თან წაიყვანა მხატვრად. ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ქობარეზი დღეს ერთადერთნი არიან ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის, რომელთაც თავისი თვლით უნახავთ ოშკის, ხაზუნისა და იშნის ტაძრები და მონაწილეობაც მიუღიათ მათს შესწავლაში.

ძველ ქართულ მხატვრობასთან „შეხვედრას“ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლადო გუდიაშვილის შემდგომი განვითარებისათვის. მისი მხატვრული სახის შემუშავებისათვის.

1919 წ. ლადო გუდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართველ მხატვართა საზოგადოების გამოფენაში, რომელიც იმავე შენობაში იყო მოწყობილი, რომელიც მოწყობილია მისი დღევანდელი გამოფენაც. მასთან ერთად ამ გამოფენაში მონაწილეობდნენ გიგო გაბაშვილი.

აკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე და ალ. შრეგლი-  
შვილი, ვალ. სიდიამონ-ერისთავი, დავ. კაკაბაძე,  
ელ. ახელუდინი, თამარ თაყაიძე, ნულვა ქიქოძე  
და სხვანი. იქვე იყო გამოფენილი ნიკო ფიროსმან-  
ნიც, რომლის პიროვნება და ბავშვურად უშუალო  
შემოქმედება ლადოს იმთავითვე იზიდავდა (ამას  
ხომ მისი ახლანდელი გამოფენაც მოწმობს). თვით  
ლადოს იმ გამოფენაზე მთელი კედელი ეჭირა:  
ზეთითა და აკვარელით შესრულებული 31 სურ-  
ათი და 30-მდე ფანქრით ნახატი უკვე საკმაოდ  
ნათელ წარმოდგენას ქმნიდა მის მისწრაფებათა  
და შესაძლებლობათა შესახებ.

დღევანდელ გამოფენაზე ამ ნაწარმოებთაგან  
მხოლოდ რამდენიმეა: „ქრტიანის ქეთი ქალ-  
თან“, „ახშირი“, „სტრატეგის დეჟანი“, „ვალ ტაბაძე  
და ლურჯა ცხენები“, „დღევანდელი“.

სხვა სურათების უმრავლესობაც თემატურად  
ამავე გვუძღეს ეკუთვნოდა. იყო აგრეთვე პორტ-  
რეტებიც. მათი უმეტესობა დღესდღეობით გა-  
ფანტულია.

იმევე 1919 წელს ლადომ მონაწილეობა მიიღო  
რუსეთის რევოლუციის კულტურის მოხატ-  
ვაში. თემა იგივე იყო: ძველი თბილისი. მას-  
თან ერთად ამ კულტურის ხატავდნენ დავ. კაკაბა-  
ძე, მაშინ ჯერ კიდევ დამწყები, შემდეგში კი  
სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ მხატვარი სიგაზ-  
მენელ ვალიუბეკი. მხატვრები სულეიკანი და კარ.  
ზღანდუიძი. უფროსი თაობის წარმომადგენლებს  
აღბათ კარგად ახსოვთ ეს მოხატულობა, რომელ-  
ღაც ზვენი ზელოვნების გარკვეული ეტაპის დამა-  
ხასიათებელი ძეგლი იყო.

1919-სავე წელს ლ. გუდიაშვილი პარიზს მიე-  
მგზავრება და განაგრძობს სწავლას როსსო-  
ნის აკადემიაში.

ოციან წლებში, როგორც ვიცით, პარიზში მუ-  
შაობდა რამდენიმე სხვა ქართველი მხატვარიც,  
რომელთაც შემდეგ აგრეთვე თვალსაჩინო ადგი-  
ლი დაიკვიდრეს საბჭოთა ქართული ხელოვნების  
განვითარებაში: აქ განსვენებული დავით კაკაბა-  
ძე, რომლის შემოქმედებაც ჩვენი ახალი მხატვ-  
რობის ბრწყინვალე ფურცელს შეადგენს, გამო-  
ჩენილი პორტრეტისტი ქეთი მაღალაშვილი, ცნო-  
ბელი მხატვარი ელენე ახელუდინი; მუშაობდა  
აგრეთვე ადრე გარდაცვლილი შ. ქიქოძე, რომელ-  
მაც სამშობლოში დაბრუნება ვეღარც მოასწრო.

პარიზში, რომელსაც — შეიძლება ითქვას —  
ყოველნაირი მხატვრობა და ყოველგვარი მხატვ-  
რები ენახა, პარიზში, რომელიც მთავრობის ყვე-  
ლა კეთილიდან იზიდავდა შემოქმედთ. ამ ქალაქში,  
სადაც ათასობით მხატვარი დათვლებოდა,  
ლ. გუდიაშვილმა მაინც მალე მიიპყრო უფრადღე-  
ბა: იგი მონაწილეობს თვით პარიზულ გამოფე-  
ნებში. (Salon d'Automne, des Indépendant,  
და სხვა), ადენს სურათებს ბელგიაში, ამერიკაში.  
1922 წ. პარიზში მოეწყო მისი ნახატებისა და  
აკვარელის გამოფენა, იმავე წელს მისი სურა-  
თები წარმოდგენილი იყო ნიუ-იორკის ახალი  
გალერეის პირველ გამოფენაზე. იგი ასურა-

თებს გამოცემებს, საერთოდ, აქტიურად მონაწი-  
ლეობს პარიზის მხატვრულ ცხოვრებაში. 1925  
წელს პარიზში ქვეყნდება მონაწილეობა შ. სიგა-  
ზმენელის ხელოვნება წიგნების ინტერესებში  
აღვეწებენ თვალს შორეული, მათთვის ნახევრად  
ლეგენდური ქვეყნის ამ ახალგაზრდა წარმომად-  
გენელს, რომელიც იქ, ყველაფრის მომსწრე კოს-  
მოპოლიტურ პარიზშიაც კი ინარჩუნებს თავის სა-  
კუთარ, გამოჩინულ, ზმას. დამახასიათებელია  
თუმცა ლ. გუდიაშვილი პარიზის ცხოვრების სტე-  
ნენსავე ხატავს. მისი თემატიკა ძირითადად მათვე  
ქართული და თბილისური რჩება.

1926 წ. ლადო გუდიაშვილი სამშობლოს დაუ-  
ბრუნდა და მას შემდეგ, უკვე 30 წელიწადია, გა-  
ნაგრძობს დაუცხრომელ მუშაობას. იმავე 1926  
წელს იგი მოიწვეულ იქნა საქართველოს სახმადგ-  
რო აკადემიის პრივილეგირად; ასწავლიდა მონ-  
მენტურ-დეკორატიულ ფერწერას, ხელმძღვანე-  
ლობდა საკომპოზიციო კლასს, ასწავლიდა აგრე-  
თვე კერამიკულ ფაქულტეტზედაც. 1926-სავე  
წელს მოეწყო თბილისში მისი სურათების გამო-  
ფენა. იგი მომდევნო წლებშიაც მონაწილეობს  
გამოფენებში — საქართველოშიაც და საბჭოთა  
კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც.

მისი მუშაობა მრავალფეროვანი იყო: სურათ-  
ები, გრაფიკა, დეკორატიული პანოები, თეატრის  
დეკორაციები... ჯერ კიდევ მარჯანიშვილის სი-  
ცოცხლეში იგი აფორმებს სპექტაკლს „არსენას  
ლექსი“... პანოებშიც აქვს თბილისის საღვთისა  
და სასტუმრო ორიენტის დაბანავებს; ასე-  
რათებს ვეფხის-ტყაოსანს, სულხან-საბას არაკებს,  
ხალხურ არსენას ლექსს, ზღაპრებს; ქმნის პორტ-  
რეტებს, სიუჟეტურ კომპოზიციებს...

ინტერესთა ეს მრავალფეროვნება შემდეგშიაც,  
დღევანდელ დღემდეც უცვლელად რჩება, რასაც  
თვალნათლავ გვიჩვენებს ძალაღან გახსნილი გი-  
მოფენა.

ეს გამოფენა, მოწყობილი ლ. გუდიაშვილის  
დაბადების 60 წლის თავთან დაკავშირებით,  
მთლიანად წარმოგვიდგენს მხატვრის განსაკვიფ-  
რებლად ინტენსიურ, დამაბულ შემოქმედებითს  
ცხოვრებას 40-ზე მეტი წლის განმავლობაში,  
თუმცა, როგორც ვთქვით, აქ მისი ყველა ნაწარ-  
მოები არაა თავმოყრილი (მათი ნაწილი ხომ უც-  
ხოეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია —  
საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთსა და ამერიკა-  
ში). ასეთი გამოფენა ბევრ ქართველ მხატვარს არ  
ღირსებია, ასეთი გამოფენა, საერთოდ, არა მარ-  
ტო ძნელი მოსაწყობია, არამედ ძნელი გასაბედიც.  
აქ ხომ აღამაინის მთელი ცხოვრების  
საქმეც და შექვეყნად გადმოშლილი და ასევე სა-  
ქვეყნოდ აწყარავდება, რა შეძლება ამ აღამაინს.  
რამე სარგებლობა მოუტანია, თუ ამაღლ დამ-  
შვრალა. ამგვარი გამოფენისათვის გამოტანილი  
განაჩენი — შემოქმედის მთელი ცხოვრებისთვის  
გამოტანილი განაჩენი.

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, თუ რა მსჯავრი  
დასლო ლ. გუდიაშვილის გამოფენას, ე. ი. მთელი

მისი ცხოვრების საქმეს, ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ამ გამოფენის წარმატება სრულიად უჩვეულო, სრულიად განსაკუთრებული იყო სწორედ უჩვეულო, იმიტომ, რომ ჩვენი დიდი ხანია აღარ გვიჩხავს ასეთი საყოველთაო, შეუწვევადი ინტერესი, ასეთი აქტიური, მღვლელოვანი დამოკიდებულება ჩვენი მხატვრების გამოფენისადმი, მათი შემოქმედებისადმი, როგორც ამ გამოფენამ გამოიწვია სხვადასხვა თაობათა და სხვადასხვა დარგთა წარმომადგენლებს შორის.

ეს არა მარტო ვასახარებია, არამედ დამაფიქრებელიც. რამ გამოიწვია ასეთი საყოველთაო ინტერესი და ენთუზიაზმი?

ზემოთ მოგახსენეთ, ეს გამოფენა უმეტესობისთვის მიუღოდნელი აღმოჩენა იყო მუთუჲ. რა თქმა უნდა, აღმოჩენის მიუღოდნელობასაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა, მაგრამ არსებითი, ცხადია, თვით აღმჩენილი სიგანითა, ე. ი. თვით ლ. გუდიაშვილის შემოქმედება.

აქ კი პირველი, რაც აოცებს ადამიანს, ეს გზაზე თემატიკის მრავალფეროვნება და სიმდიდრე. ლ. გუდიაშვილის გამოფენა მხატვრულ სახეობათა მთელ სამყაროს წარმოგვიჩვენებს და ეს სამყარო თვით მხატვრის მიერაა შექმნილი, თუმცა მოლანდ სამშობლო ქვეყნის ცხოვრებასთან, თვით ჩვენი ხალხის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული, მათ მიერაა შეაგონებული. ქართველი ხალხის შორეული წარსული და საბჭოთა საქართველოს ცხოვრება, შორეუ მსოფლიო ომის საშინელებანი, ისტორიული პერსონაჟები და თანამედროვეთა პორტრეტები, ფაგარაჟები, ხალხური თქმულებები და ზღაპრები, ხალხური ტიპები, ხალხური თვატრის მსახეები, ძველი თბილისის კოლორიტული სურათები — ყველაფერი ეს იზიდავს და აღფრევს მხატვარს. აქ სრული ძალითაა წარმოაღვენილი მხატვრის ფანტაზია, აქ ვხვდებით ალგორითებსაც, სიმბოლიკასაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხატვარს სათქმელი აქვს, მხატვარი თავისი შინაგანი სიმდიდრითაა მდიდარი.

შემდეგ: მიუხედავად გრძნობს მხატვრის დამოკიდებულებას გამოსახელებადში. არ ხანს ის სრული გულგრალობა, პასიურობა, რომელიც ბევრი მხატვრის ნაშეუვარს კლავს, ის აბსოლუტური აუღელვებლობა, რომელიც მხატვარს — შექმნილობით, აპარტოთინ ათანაბრებს. პირიქით, იგრძნობს, რომ ნაწარმოები განცდილია, რომ იგი სწორედ მღვდღარების, სივარტლის, ფიქრის ნაყოფია, ზოგი ღირსეული და პოეტური, ზოგი ირონიით გამსჭვალული, ზოგი გროტესკული, შერეული იმევე დროს, თემის, სიუჟეტის გახსნა ყოველთვის თავისებურია, ამ სიუჟეტის სრული მნიშვნელობით, საკუთარი და არა შაბლონურ-სტანდარტული,

ხშირად მიუღოდნელი, მახვილი, შრისწრებელი. ზოგჯერ — სიტყვიერად ძველად ასახსნელიც, ზოგჯერ, სიტყვიერად მიუღოდნელი, ზოგჯერ — ძალიან სიტყვიერად სწორედ ყოველისავე ამის გამო, ამ ნაწარმოებთ გულგრალობად ვერ უყურებს, ისინი გაფიქრებენ, გრძნობას უხმობენ, ღიმილს გგერიან, იქნებ პროტესტად აღვიძრან, მაგრამ ყოველთვის კი აქტიური დამოკიდებულებას იწყებენ.

ძალიან თავისებურია, მკვეთრად ინდივიდუალური გუდიაშვილის გამოსახელების ენა, მისი ნაწარმოებთა ფორმა.

რა თქმა უნდა, 40 წლის მანძილზე ევოლუცია თვალსაჩინოა ფერწერაშიც და გრაფიკაშიც. ყოველ ეტაპზე მხატვარი ახალ ამოცანებს ისახავდა: საკმაობისა შევადაროთ პირველი სურათების შეფერადებული გრაფიკა — ოციან წლებს, როცა ფერი, კოლორიტი (უმეტესად დეკორატიულიდ გაგებელი და გამოყენებული) მნიშვნელოვან კომპონენტად იქცევა და თვით ფერწერაშიც სულ სხვა სიმკვრივე ჩნდება; ან ოციანი წლების სურათების კოლორისტული გამო — ოცდაათიანობის ოციანი წლების გამო; ოციანი წლების ფერწერის მანერა — ფართო, გლუვი ზედაპირებით — უფრო გვიანდელ „ფერწერულ“ მანერას, უფრო „მომარაგე“, პასტოზური ფაქტურით; ასევე გრაფიკაშიც: საკმაობისა შევადაროთ ადრინდელი ინტერული ნახატები, რომლებშიც მთელი კომპოზიცია ხაზის ორნამენტულ რიტმს ემორჩილება — უფრო გვიანდელ ნახატებს, რომლებშიც შტრიხებით ან „გაღუსეთ“ მოვლდობა ჩნდება, და სხვ.

და მიუხედავად ამ საგრძნობი ცვლილებებისა, ლ. გუდიაშვილი მაინც ბოლომდე გუდიაშვილად რჩება: მას თავისი სახე აქვს, თავისი ხელი, იგი სხვა მხატვართან არ შეგვეშლება. რა შეადგენს ამ თავისებურების უცვლელ საფუძველ წლების მანძილზე — ეს ცალკე თემაა, სერიოზული შესწავლის საგანი.

დასასრულ, ლ. გუდიაშვილი ნამდვილი დიდოსტატიაა წმინდა პროფესიული თვალსაზრისით. მისი საუკეთესო სურათები გზილათ კოლორატის სიღამაში, ფერადოვან შეფარდებულ რაფინირებულ, კომპოზიციის საყიარველი პარამეტრებით, თუ შეიძლება ახე თქვას, კომპოზიციის (რატუნა უნდა, დეკორატიული მოფიქრებული კომპოზიციის) აბსოლუტური გრძნობით.

ლ. გუდიაშვილმა ხანგრძლივი და საინტერესო გზა გაწვლი. მისი, როგორც შემოქმედის, ფეხის აღვმა ემთხვევა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგრების ხანას — პირველი მსოფლიო ომისა და რქტომპრის დიდი რევოლუციის წლებს — რადესაც მთელი ევროპის, რუსეთისა და თვით საქართველოს სულთარი ცხოვრება არსებით გარდატეხას განიცდიდა. სწორედ მაშინ, ამ რთულს, ბრძოლითა და წინააღმდეგობით სავსე ხანაში გამოიკვეთა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლალი გუდია-



შეიღის სრულიად თავისებური, განუმეორებელი სახე. მას შემდეგ 40 წელმა გაწვლო. როცა ამ დიდ გზას თავს გადაევიდებო, არ შეიძლება არ დაეინახო მხატვრის შინაგანი სიმტკიცე და მთლიანობა, თავისი საქმის ურყევი რწმენა და მუდმივი მიზანსწრაფვა. როგორც ვთქვით, მისი შთამავლებელი იმთავითვე სამშობლო ქვეყანისა და მშობელი ხალხის ცხოვრება იყო, მის შემოქმედებას საქართველოს გარეშე ვერ წარმოვიდგენთ. ლ. გუდიაშვილმა ამ 40 წლის მანძილზე მთელ ქართულ საბჭოთა ხელოვნებასთან ერთად იარა, მაგრამ ამ საერთო მოძრაობასა და წინსვლაში მას თავისი — ზოგჯერ უჩვეულო, ზოგჯერ იქნებ მკვდარი, მაგრამ ყოველთვის თაკოსი საკუთარი, სხვისგან გაუთუღავი და უვალი — გზა ჰქონდა. მით უფრო საინტერესო და მიმზიდველი მისი შემოქმედება, რადგანაც სწორედ ინდივიდუალბათა მრავალფეროვნება და სიმდიდრე უნდა ქმნიდეს საბჭოთა ხელოვნების საერთო სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას.

ლ. გუდიაშვილის უთვალავ ნაწარმოებთა შორის, რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირი მხატვრული ღირებულება არა აქვს. ცხადია ისიც, რომ ლ. გუდიაშვილისთანა მხატვრები უოველავის ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს მზადებენ. სხვისი მიზანვა და განმეორება არასოდეს არ ვარგა, ისეთი შეკეთარი ინდივიდუალობის მქონე მხატვრის მიზანვა კი, როგორც გუდიაშვილია — სულ მთლად დამტკველი იქნებოდა და, არსებითად, შეუძლებელიცაა. მაგრამ გუდიაშვილს მაინც ბევრი რამა აქვს მისაბამი: მისაბამია არა კონკრეტული მხარე, არამედ პრინციპული, ის, რაც ახლბან ვახსენეთ: ის, რომ მხატვარმა, რამელიც საბჭოთა ხელოვნების საერთო საქმეს ემსახურება, უნდა იჭონიოს თავისი საკუთარი სახე, თავისი ენა, ხმაც, ის,

რომ მხატვარი მუდამ საკუთარი თავისი თუნდა ხედავდეს, თუნდა განიცდიდეს, რაღაც თავისიკ უნდა მოჰქონდეს, არ უნდა სხვადგენდეს გულგრილ, პასიურ, კონსტატაციურად მხატვრის უნდა უყვარდეს და უნდა იცნობდეს თავისი ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებას; ის, რომ იგი კემპარტი პროფესიონალი უნდა იყოს; ის, რომ იგი გულწრფელი, მართალი შემოქმედი უნდა იყოს.

ლადო გუდიაშვილის ცხოვრება იმის ნათელი მიხედვებელია, თუ რას შეიძლება მოაღწიოს შემოქმედმა, როცა მას უანგაროდ, წმინდა გრძობით უყვარს თავისი საქმე, თავისი ქვეყანა და ხალხი. და სწორედ ეს — თავისი საქმის წმინდა, თავდადებული, სიყვარული — უნდა შეითვას ლადო გუდიაშვილისაგან ჩვენმა ახალგაზრდობამ.

ლადო გუდიაშვილმა ურყევად დაიპყვირა თავისებური, განსაკუთრებული ადგილი ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. 40 წელიწადი — მცირე ვადა არაა, მაგრამ ვის მოევა აზრად, რომ ლადო გუდიაშვილი დაბერდა და მოსვენებას აპირებს? ალბათ არც ისე ბევრი მოიძებნება მხატვარი, რომ ლადოსავით 1000-ზე მეტი ნაწარმოები ჰქონდეს. მაგრამ თვით ლადოსაც ბრალია, რომ დღეს ჩვენ ამასაც ვეღარ ვეჯერდებით.

ჩვენ გვიყვარს ლადო გუდიაშვილი და გულწრფელად ვესურვებთ კიდევ დიდხანს დაუბერებლად სიცოცხლეს. ხოლო სანამ ცოცხალი იქნება, ლადო ფუნჯისა და ფანქარს არ, უფრო სწორად, ვერ გაავადებს ხელოვან: მას არ შეუძლია არ ხატოს, ხატვა მისი არსებობის უპირველესი სასიცოცხლო პირობაა, მისი ბუნებრივი მდგომარეობა. მას შეუძლია თქვას: ეცოცხლობ, მამასადამე, გხატავო! და ჩვენი სურვილიც ხომ სწორედ ეს არის.



# ზიგმუნტ ვაღიშვესკი

თბილისში გაიხსნა გამოჩენილი პოლონელი მხატვრის ზიგმუნტ ვაღიშვესკის სურათების გამოფენა.

ზ. ვაღიშვესკი დაიბადა 1897 წელს პეტერბურგში. მალე ვაღიშვესკის მშობლები ვადმოსახლდნენ საქართველოში. ბავშვს ადრე გამოუჩნდა მხატვრობისადმი მიდრეკილება და 9 წლისა ზიგმუნტი უკვე სწავლობს „ხატვისა და ფერწერის კურსებზე“, რომელიც გახსნეს თბილისში მხატვრებმა ნ. სკლიფასოვსკიმ და პ. ფოკელმა. (ნაწილობრივ ამ კურსების ბაზაზე დაარსდა 1922 წელს თბილისის სამხატვრო აკადემია).

თბილისში ვაღიშვესკიმ გაატარა თავისი ახალგაზრდობა, აქ განვითარდა მისი მხატვრული ნიჭი. თავიდანვე მას ახასიათებდა ძლიერი ტემპერამენტი და ფართო გაქანება. პ. ფოკელის მოგონებების მიხედვით, ვაღიშვესკიმ კურსებზე წარადგინა თავისი კომპოზიცია „პეტრე პირველი პოლტავის ბრძოლაში“, რომელიც იმდენად ნიჭიერად და ორიგინალურად იყო შესრულებული, რომ ყველა გაოცებული დარჩა.

უფრო მეტად გამსაკვიფრებელი იყო ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ ასლი, რომელიც მან გადაიღო რებროდუქციის მიხედვით ნატურალურ სიდიდით. კურსების მოწაფეზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ შედეგმა, რომ რეპროდუქციამ, რომელიც მას ხელთ ჰქონდა, არ შეაჩერა მისი გაქანება და ბევარი სამ, მეტადრე მოქმედ პირთა ხელები, თავისი ფანტაზიის მიხედვით დახატა.

კურსების პედაგოგები ცდილობდნენ მოწაფეებში სიყვარული ჩაენერგათ ქართულ, რუსულ და ევროპული ხელოვნებისადმი. მოწაფეები ეცნობოდნენ აგრეთვე იმდროინდელ დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში გავრცელებულ ახალ მიმდინარეობებს, მეტადრე იმპრესიონიზმს, მაგრამ კურსებზე სწავლებას მეთოდი ძირითადში მაინც რეალისმი იყო.

ასეთ შემოქმედებითი ატმოსფეროში ვითარდებოდა ზიგმუნტ ვაღიშვესკის საოცრად ორიგინალური და მკვეთრად ინდივიდუალური ტალანტი. დიდი სითბოთი და მხრუწველობით ეპყრობოდნენ მას ნ. სკლიფასოვსკის ოჯახში, რომლის მეგობარი იგი იყო მრავალი წლების მანძილზე.

„ხატვისა და ფერწერის კურსების“ დამთავრების ერთი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ 18 წელს არც კი იყო მიღწეული, როდესაც ვაღიშვესკიმ მხატვრულად გააფორმა „არტიტული საზოგადოების“ საკონცერტო დარბაზის ფოიე თავისი პლაკატებით,

ეს პლაკატები მეტად არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნიდნენ. ადგილები, რომელიც შეღებილი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ფერით, კარდონზე დაწებებული სხვადასხვა ფერის ქაღალდის ნაჭრებით იყო გადაკრული. ფერჯით კი მხოლოდ რამდენიმე შტრიხი, კონტურები და ფიგურების კიდურები იყო შესრულებული. ამ თავისებური მეთოდის წყალობით პლაკატები არ კარგადენდნენ თავის ფერადულობას დიდ მანძილიდანაც კი.

ზ. ვაღიშვესკის პლაკატებს კიდევ ერთი თავისებურება ჰქონდათ: ისინი შესრულებული იქნენ თითქმის რამდენიმე წუთის განმავლობაში ლაკონურად, გამოშასხველად და შემკვიფრებულად. ეს იყო ნამდვილი იმპროვიზაცია!

მრავალჯერ იყო ამ პლაკატების სიუჟეტი: „რაში და მწყემსი“, „უშა“, „მე სეანეთში ვარ“, „ხარი“, „არაბული ცხენი“, „ჩემი ეკიპაჟი ლის ანკერლსში“ და სხვ.

ვინც იცნობდა ზიგას, კარგად ახსოვთ იგი, როგორც მედამ ცოცხალი, მზიარული მოსახერხე, რომელიც ერთ წუთში კარიატურას ხატავდა თავის შეგობრებსა და ნაენობებზე.

ხატავდა იგი ფერით, ნახშირით, ფანქრით, მელნით, ხილის წვეთით. ხატავდა დაუსრულებლად... ჯერ კიდევ სკოლაში ებადეს ახასიათებდა ადამიანის ხასიათის მკვეთრი შეგრძნობა და შესანიშნავი უნარი ერთი ხაზით, ლაკონურად, გამარჯვებულად, მისი ვადმოცემისა.

ასეთივე თვისება ახასიათებს ზ. ვაღიშვესკის საფორნტო ჩანახატებს..

პირველ იმპერიალისტური ომის დროს ვაღიშვესკი ფრონტზე მოხვდა, მაგრამ აქაც თავის საყვარელ მხატვრობას არ ტოვებდა ხატავს ჯარისკაცების პორტრეტებს.

კრილობის მიღების შემდეგ, ახალგაზრდა მხატვარი ბრუნდება თბილისში. მიუხედავად საშინელ ომისა, თბილისი იმდროს ძველებურად ერთ-ერთ დიდ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ფერწერაში განაღდა სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლა. ძლიერი იყო აგრეთვე ფორმალისტური ხელოვნების გავლენა. მაგრამ მთავარი მაინც იყო რეალისტური მიმდინარეობის ბრძოლა ყოველგვარ ფორმალისტურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ.

თბილისი ძველებურად სხვადასხვა გასტროლიორების, — მუსიკოსების, ლიტერატორების და

მომღერლებს ჩამოსვლის ადგილი იყო. რაბანინოვი და პოფმანი აწყობენ აქ კონცერტებს. ჯ. მაიაკოვსკი და ვ. კამენსკი, კ. ზალომონტი და ს. გოროდეკი ხშირად ჩამოდიოდნენ და ლეკსებს ერთხელობდნენ ლიტერატურულ საღამოებზე. ქართველ პოეტებიდან ბრწყინავდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვლერიან გაფრინაშვილი, ვიოჩე ლეონიძე...

ლიტერატურული და მხატვრული ახალგაზრდობა ეძებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ახალ გზებს, სინამდვილის ასახვის ახალ საშუალებებს. ახლის ენათუხიასტები „ავღომანენენ“ ნაყოფისმანიშვილს, თბილისში დაბრუნებულ ეალიშვესკის ისევ ჩაგმება ამ ორმოცობაში. მას ჰყავს ბევრი მეგობარი და ბევრი თავყანისმცემელი, რომელთაც ხიბლავს არა მარტო მისი მხატვრული შემოქმედება, არამედ თეითონაც, როგორც ადამიანი.

თავის ახლობელ მეგობრებთან, ლადო გუდიაშვილთან და საშა ბაქმეტი-მელიკოვთან ერთად ზ. ვალიშვესკი ხშირად სტუდენტთა პოეტების ყავახანისა, სადაც ნოვატორული სულა სუფევდა. სწორედ ამ „ფანტასტიკურა ყავახანის“ კედლების მოხატვაზე მუშაობდნენ ვალიშვესკი და გუდიაშვილი.

ახალგაზრდა მხატვარს ამ წლებში მანძილზე ძალიან უჭირდა მატერიალურად და იგი ხშირად გამოდიოდა საღამო-კონცერტებზე, როგორც მხატვარი-მომენტალისტი, ესე იგი „ერთ მომენტში“ ხატავდა ამა თუ იმ ადამიანის პორტრეტს სრული მიმსგავსებით, რის შემდეგ იმართებოდა აქტიონი. მხატვრის ასეთ ნახატებს სახიათებდა ვირტუოზული შესრულება...

სწორედ ამ დროს ვალიშვესკიმ დახატა მრავალი პორტრეტი და კომპოზიციები.

ახალგაზრდა მხატვრის ნიჭი თანდათან გზას იკაფავს, იგი აღიარებს პოეტობს და 21 წლის ექვსეულს წინადადებას აღწევს წარმადილენის თბილისის საოპერა თეატრის სცენისათვის ფარდის ესკიზი, რომელიც მას უნდა შესრულებინა ა. ზალკმანის ხელმძღვანელობით. შესრულების ვადა ძალიან მკიცრე ჰქონდა მიემთელი (რამდენიმე დღე მხოლოდ). მიუხედავად ამისა ვალიშვესკის გასაოცარმა ნიჭმა და ახალგაზრდულმა გამბედაობამ გაიმარჯვა ამ ამოცანის შესრულებისას. მან დახატა ფრთოსან მერანზე ფედომარე მხედარი, რომელიც მზისკენ, სინათლისკენ მიისწრაფვის... ფარდა შეტად ფერადოვანი, ორიგინალური, საზეიმო ხასიათისა გამოვიდა და თავისი ფერადული ტონებით საესტეტიკო შეფერვებოდა მაყურებელთა დარბაზის გაფორმებას.

ახალი ფარდის გამოჩენამ გამოიწვია იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე ფენების ილტაცება, სამაგიეროდ კონსერვატორები შეზღუდნენ მას ლანდვა-ვინებით.

თვითონ ფაქტი, რომ ახალგაზრდა მხატვარს მიანდეს ასეთი საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება, ბევრს მეტყველებს. სამწუხაროდ ფარ-

და, და მისი ესკიზი, აქამდე მოძებნული არაა, თერნალი „Ars“, რომლის პირველი ნომერი 1918 წელს გამოვიდა, აცნობდა თანეს მკითხველებს, რომ მრავლფერადოვან ესკიზებს რუსული რეჟისორის სიძნელის გამო, მისი დაბეჭდვა მეორე ნომრისათვის გადაიდო. მაგრამ თერნალის მეორე ნომერი ვეღარ გამოვიდა — მისი გამოცემა შესწყდა. ეტყობა ესკიზი სადაც რედაქციის არქივში დაცავდა.

ნ. სკლიფასოვსკიმ და ბ. ფოგელმა მოაწვეეს 1920 წელს ზ. ვალიშვესკის პერსონალური გამოფენა, ამ გამოფენის შემდეგ 1921 წელს ვალიშვესკი ტოვებს თბილისს და მიდის პოლონეთში. კრაკოვში იგი ერთხანს სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, მაგრამ უკვე 1923 წელს მიდის პარიზში სხვა პოლონელ მხატვრებთან ერთად.

თანდათან ვალიშვესკის მხატვრობა უფრო მეტ აღიარებას პოულობს, როგორც პოლონეთში, ისე საფრანგეთში. 1931 წელს ბრუნდება პოლონეთში, სადაც მონაწილეობს ყოველწლიურ გამოფენებსა და სალონებში.

სამწუხაროდ ზ. ვალიშვესკი ადრე გარდაიცვალა, 39 წლისა, როდესაც იგი თავის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შევიდა. 1939 წელს ვალიშვესკი გარდაიცვალა კრაკოვში.

თბილისში გახსნილ გამოფენაზე წარმოდგენილ სურათებთან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მხატვარ ბ. ფოგელის საინტერესო პორტრეტი შავი ფანჯრით შესრულებული ზ. ვალიშვესკის მიერ 1917 წელს.

პორტრეტი ყურადღებას იქცევს სახის და ხელების მეკეთრი დახასიათებით. ხელები ყოველთვის მხატვრის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. და მეტე როგორი ოსტატობით ხატავს ხელებს! იშვიათად თუ ნახავთ სხვა მხატვართან, რომ ხელები ასე მეტრეზტყველად „დაბარდობდნენ“.

„ახალგაზრდა ქალის“ (ტემპერა, 1918) პორტრეტში ისევე სახე და ხელებია ყურადღების ცენტრში. საეარქელში გრაციოზულად ზის ახალგაზრდა ქალი და მაყურებლისკენ იქიჩება. პოზა თითქოს მშვიდია, მაგრამ თავის ოდნავ შესამჩნევი დახრა ამცადუნებს შინაგან დინამიკას. მხატვრის თვალმა მეკეთრიად აღბეჭდა ქალურობა, მომხიბლობა და თითქმის ბავშვური ფინიანობა...

ჭრელი ნიბი, საეარქელი, ყვითელი ბალიში, ლურჯი ტანსაცმელი და კედელი, — მხატვრის მიერ დამუშავებულია დეკორატიულად. მთლიანად პორტრეტი გადაწყვეტილია ოპტიმისტურ გამაში და ინტერარიის დეკორატიული დამუშავება პორტრეტის, მთლიან აღქმას სრულიად ირ უშლის. თვითონ მხატვარი ამ ნაწარმოებს თვლიდა ჯერ კიდევ დემონსტრაციულად, (ჩაატარა მხოლოდ 6-7 სენსი), რადგან იძულებული იყო შეეწყვიტა მუშაობა გამოფენის გახსნისთან და დაეკონტრირებინა. ახალგაზრდა ქალის“ პორტრეტი იყო ექსპონირებული იმ გამოფენაზე.

ყურადღებას იქცევს მხატვრის ინტერესთა ფართო დიაპაზონი. იგი ზატავს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებსაც (ნიკო ნიკოლაძე, ე. თაყაიშვილი, არსენიძე, გრ. ვეშაპელი), პოეტებსა, მხატვრებს და მსახიობებს: ტიციან ტაბიძე, პაოლო ჩაშვილი, სეზმან ერთაშვილი, ელენე ახვლედიანი, პორტაპოვი, მსახიობები კი-შევა და ტუგანოვი პიესაში „რომანტიკოსები“, ყარამურზა — სომეხი კომპოზიტორი და სხვ.

მხატვარი გატაცებულია „ძველი თბილისის“ ტიპაჟით. შეტადრე საინტერესოა შარკი „ერევნის მოედანი 11 ს. 00 წ.“ მოედანზე დგას პოლიციელი, შორს მისგან გარბის მოქალაქე, პოლიციელს თავი ისე შოაქვს, ვითომ არაფერს ამჩნევს, იგი მაყურებლისკენაც კი მიბრუნდა, რომ არაფერს არ დანახოს... პოლიციელის ტიპაჟი მოგვაგონებს ნიკო ფიროსმანიშვილის უკვდავ მეეზოვეს. არ შეიძლება რომ ზ. ვალიშვილს არ ყოფილიყო გატაცებული ნ. ფიროსმანიშვილით. ნუ გვაფიქვდება, რომ ვალიშვილს და კ. ზდანევიჩის შეუღლება, კირილე კი-ლ. გუდიაშვილიან ერთად ნ. ფიროსმანიშვილის „აღმომჩენია“.

გარდა ამისა ზ. ვალიშვილს ხატავს პოლიტიკურ კარიკატურებს, მაგალითად „შტრეკები გვირგვინის არემონტებენ“ და სხვ.

დაახლოებით 350 ნახატი იმყოფება თბილისში სხვადასხვა კერძო კოლექციებში. ეს ნაწარმოებები ახლა წარმოდგენილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გამოფენაზე. ძნელია დაწვრილებით ყველა ამ ნამუშევრის აღწერა-შეფასება. ერთი კი უდავოა — ყველაფერი შესრულებულია ოსტატის ხელით.

ზ. ვალიშვილს დატოვა თბილისი 1921 წელს და გაემგზავრა პოლონეთში. მაგრამ მის შესახებ სსოვნა ახლაც ცოცხლობს მეგობრებსა და თავყანისმცემლებში, რომელნიც მას იცნობდნენ.

თბილისში გამართული ზ. ვალიშვილის ახალგაზრდობის დროინდელი შემოქმედების გამოფენა — დიდი და ძვირფასი განძია. ეს გამოფენა უფრო მეტად განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხებს შორის მეგობრობას და კულტურულ ურთიერთობას.



## მოგონება ვალიშვისკიზე

1919 წლის 17 აპრილი. თბილისის კონსერვატორიის დარბაზი გაქვდილია ხალხით. ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამოა. აქ არიან ოვანეს თუმანიანი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სერგეი გოროდეცი და სხვ. პირველ ვანყოფინებაში გერონტი ქიქოძემ წარმოთქვა სიტყვა ახალი ქართული პოეზიის შესახებ. ყველას აინტერესებდა, თუ რას იტყოდა „ციხფერ ყაწყალებზე“ ისეთი ავტორიტეტი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, როგორც გ. ქიქოძეა. ძირითადად შეფასება დადებითი იყო და, მე მასხოვს, „ყაწყალებმა“ მაშინ ეს თავის გამარჯვებად წათვალეს. ანტრაქტზე ალი არსენიშვილს ვესაუბრებოდი. ალი ყველას იცნობს, მასაც ყველა იცნობს. მოუსვენარი და დიდი შოლაპარაკე არსენიშვილი საუბრის დროსაც კი აქეთ-იქეთ იყურება. აგერ, ვილაყას ხელი ჩამოართვა, ვილაყას შორიდან საღამო მისცა და უცებ თევირა: „ზიგა“. მაშინვე მიეხვდი, რომ ეს ცნობილი პოლონელი ახალგაზრდა მხატვარი — ზიგმუნტ ვალიშვისკი უნდა იყოს. და მართლაც, ზევნ მოგვიახლოვდა ქუჩათმინი, ცისფერთვალა და, მოღიმარე სახის, საშუალოზე ცოცხალი მაღალი, გამზდარი ქაბუცი. მაშინ ზიგა 22 წლათა იქნებოდა. მაგრამ თბილისის ლიტერატურულ და მხატვრულ საზოგადოებაში საქმიან ცნობილი იყო. პირადად მე ბევრი რაჟმ მქონდა მის შესახებ გაფიქრული მხატვარი კირილე ზდანევიჩისაგან, რომელიც მას ყოველთვის აქებდა, როგორც უაღრესად ნიჭიერ მხატვარს.

მაღერ არსენიშვილი მეზობლად მდგომი მოსაუბრეთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის გამოვლამარაკა და ბოლოს, როგორც ეს მას საერთოდ სწევოდა, მიგვატოვა კიდევაც და იმ ჯგუფის საუბარში ჩაერთა. ვალიშვისკი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, ბევრი რაჟმ მინდოდა მეკათბა მისთვის, მაგრამ რატომღაც ვერ ვახერხებდი. ამ შემთხვევაში ზიგა უფრო გაბედული აღმოჩნდა და თანდათან კითხვა-პასუხები ჩამოიროა მხატვრობაზე საუბარში. ბოლოს მან გადაშალა ზემ წინ სახატავი ბლოკნოტი, რომელიც ხელში ეკავა და დანქრით შესრულებული ჩანახატები მიჩვენა. თურმე, სინამ გ. ქიქოძე სიტყვას ამბობდა, ზიგამ მოასწრო ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ს. გოროდეცის და კიდევ ვიღაც, ჩემთვის უცნობი პირების პორტრეტების დახატვა, ზოგის პრაფილით, ზოგისაღ ანფასით. საკვირველი

იყო, როგორ ახერხებდა ახალგაზრდა მხატვარი შავი დანქრის ერთ-ორი შტრიხით გასაოცარი მსგავსების მიღწევას. ვალიშვისკის შეგძლო დანქრის ერთი მოქნევით აღმთინის თავის ან ფიგურის გამოხატვა ისე, რომ ხაზი არ შეეწყვიტა. შემდეგში ზიგა ამის ვირტუოზო გახდა. ახლაც, ხელოვნების მეზუფემის გამოფენაზე მრავლადაა წარმოდგენილი ზ. ვალიშვისკის გრაფიკული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები; შარავები, ესკიზები, ჩანახატები და სხვ.

ტიციან ტაბიძის საღამო საინტერესოდ ჩატარდა. მეტადვე მშურვალე ოჯაციები გამოიწვია ოვანეს თუმანიანის გამოსვლამ. მან სომხურად წარმოთქვა ახალგაზრდა ქართველი პოეტებისაღმი მიძღვნილი თავისი ლექსი, რომლის რუსული თარგმანი აქვე წაკითხა სერგეი გოროდეციმ, ქართული კი — პაოლო იაშვილმა. ვალიშვისკი ძალიან ეკაყოფილი დარჩა საღამოთ. მე ვიცოდი, რომ მეზობელ უბანში ცხოვრობდა (მებუთოვის, ახლა ენგელის ქუჩაზე), ამიტომ შინისაკენ ერთად წამოვედი. გზაში ბევრს ვლაპარაკობდით. ძალიან მაინტერესებდა მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი, თუ როგორ მოხვდა საქართველოში და სხვ. დიამ, მე პოლონელი ვარო — ამაღად შემომხვდა, და დამიწყო ლაპარაკი იმ ბედზე, რომელიც საერთოდ პოლონელ ხალხს, და მეტადრე მის ინტელიგენციას ხვდა, მას შემდეგ, რაც სამმა სახელმწიფომ — რუსეთმა, გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა — პოლონეთი სამად გაყო, მე წხოლოდ ორ-სამ მავალათს მოვიყვან, — მეტუნებოდა ზიგა, — დიდი პოლონელი აღმთინები — მიკევეჩი, სლოვაკი, შოპენი იძულებული იყენენ დაეტოვებინათ სამშობლო და უცხოეთში ემოღეწათ. შემდეგ: თქვენ კარგად იცით, რომ პოლონელი კორეენვესკო — ჯოზეფ კონრადი, ხლო პოლონელი კოსტროვეცი — ვილმ აბოლინერი გახდა და ეს მხოლოდ ყველაშთავს ცნობილი სახელები. მე დავიბაღე პეტერბურგში, სადაღ მამაჩემი მსახურობდა, მერე მას თავი უკრეს ბათუში, აქედან კი 1905 წელს თბილისში გადმოვსახლდით. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიტნებით აქ, მაგრამ უკვე 15 წელია, რაც აქ ვცხოვრობთ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ თბილისი ჩემთვის მშობლოერ ქალაქად იქცა.

შემდეგ, როდესაც ვალიშვისკის უფრო დავეახლოვდი, მე დავრწმუნდი ამ სიტყვების სიპართ.

ლემი. მართლაც, თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი მან საქართველოში გაატარა (1903 — 1921 წ. წ.). აქ, თბილისში, დაეკავადა, როგორც აღიანი და მხატვარი, აქ განვითარდა მისი განსაკუთრებული მხატვრული ნიჭი; აქ გაიქცა მან პირველი სახელი, თბილისში ზიგას ბეჭეტი მეგობარი ჰყავდა, როგორც ქართველი, ისე სომეხი და რუსი. დამონებული ერის შვილი, ვალიშვიტი თვითონ ხალხთა შორის მეგობრობის დიდი მოტივად იყო. მას სასტიკად სძულდა ერთი ერის მეორე ერზე წასიხნების პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ვალიშვიტის ერთი სატირული ნახატი, რომელიც ახლანდელ გამოქვეყნებულა, ოღონდ დათარიღებული არაა. ნახატის სათაურია: „ნოე მეორის არარატიონალური მიმავალი კიდობანი“, რომელიც იმდროინდელი შოთისისტური პოლიტიკის აშკარა მხედველას წარმოადგენს.

1919 — 1920 წლებში თბილისში ბევრი გასტროლორი ჩამოდიოდა: პოეტები, მუსიკოსები, მომღერლები, მსახიობები, მხატვრები. მათ შორის ბევრი მსოფლიოში სახელგანთქმულიც იყო. ჩვენ, ახლგაზრდები, თითქმის ყოველ საღამოს ხან ოპერისა და დრამის თეატრში, ხან კი კონსერვატორიაში მოწყობილ კონცერტებზე დავიარებოდით. მართალია, ბილეთის ფასი ჩვენთვის სწორად მიუწევდომელი იყო, მაგრამ ნაცნობი ბილეთიორები ან მსახიობები ყოველ თეატრში გვყავდა და ხშირად უფასოდ გვიშვებდნენ ქანდაკება ან ოპერსზე, უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ლიტერატურულ-მხატვრული „ბოქსი“ უფრო რომანტიზმის დროინდელ ბოქსებს წააგავდა ანბი მიგრეცა და პუჩინის რომ აქვთ გამოყენილი). ვიდრე იმპერიალიზმის დროინდელ ბოქსებს (პროპაგანდის ფაქტის სახით). ამავე და ქვემოთხრული, მაგრამ საშინლად ღარიბი და გაქირვებული ახალგაზრდობა, მართალია, არ იყო ჯერ რევოლუციონერად გაწყობილი, მაგრამ უაღრესად კრიტიკულად მოაზროვნე და არსებული წყობილებით უკმაყოფილო იყო. ზოგჯერ ულტრაბურთოდ დარჩენილი, „მეორე ნუგეში“ (ასეთი კაფე-საბაჟე არსებობდა მაშინ თბილისში) ვერავითარ ნუგეშს ვერ გვაძლევდა ჩვენ. ზიგა ხშირად კაფე-რესტორანებში ხატვდა იქ ყოფი მანდილოსნებს და ცნობილ პირებს. თუ შემთხვევით იმ დროს იქ პაოლო იაშვილი აღმოჩნდებოდა, ზიგას ნახატებს მაშინვე სახელდახელი აუქციონში გაათამაშებდა ხოლმე. სხვადასხვა მივიღასთან მსდომი ზიგას შეგობრები თანდათან ვეშატებთ ფასს. პაოლომ იცის, რომ არც ერთს უცნებში არაფერი არა გვაქვს, მაგრამ მდიდარი მანდილოსანი, რომლის პორტრეტიც დახატული, ვანა ასე ადვილად დავგიომობს თავის სურათს. პაოლო, გრიზოტდოვის სიტყვა რომ ვიხსიროთ, იმპროვიზირებულ „ლექსებს ნაბერ-წყლებივით აფრქვევს“. პორტრეტი გააყიდა და ზიგა რამდენიმე დღით უზრუნველყოფილია. ასე ემხარებოდა გულისხმევი და კეთილშობილი

აღიანი და დიდებული პოეტი პაოლო იაშვილი ჩვენს ზიგას.

1919 — 1920 წლებში ზიგას ხშირად ვხვდებოდა თეატრში. სწორედ მაშინ „მეორეში“ ეს სწორად პერი-თეატრის მთავარმა მხატვარმა ა. ზალემანმა თეატრის ახალი ფარდისათვის ესკიზის გასაკეთებლად. ზიგა მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას და რამდენიმე დღის განმავლობაში შესანიშნავი ესკიზი წარადგინა. ფარდამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არაჩვეულებრივი რამ იყო. მახსოვს: ლურჯი ცის ფონზე გაეარავარებულ ოქროსფერ მზისაკენ მიფრინავს რაშე მჯდომი ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი მხედარი. არ ვიცი, სად არის ახლა ეს ფარდა, ან თუ არსებობს მისი ესკიზი მაინც? ვალიშვიტის მიმართ უღმრთებლმა ბედმა ორი უსამართლობა ჩაიდინა: „ქივირიონის“ (ახლა რუსთაველის თეატრის ტანსაცმელის გასაძღველი ფოიე) ჭერისა და კედლების მოხატულობისა და საბურთო თეატრის ფარდის განადგურება.

გასილი კანალიოვის ბოგრაფებმა აღბათ არც კი იციან, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს თბილისში დიდმა მსახიობმა ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი ლექსები წაიკითხა, რუსულად ნათარგმნი. ეს მოხდა საბურთო თეატრში „პოეზიის დღის“ საღამოზე. გასაკუთრი დეტალით, ვადობს, გულში ჩამწვდომი ხავერდოვანი ხმით კითხულობდა კანალიოვი „შერანს“. არ მახსოვს, ვისი თარგმანი იყო. კანალიოვის კითხვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვალიშვიტს. როდესაც თეატრიდან გამოვედი, მან მიიხრა ოპერის ფარდისათვის ესკიზზე მუშაობის დროს ბარათაშვილის გენიალური ლექსი მაგონებდა. მე მინდოდა ბედთან შერკინების, დავმორჩილებლობის მოტივი წინა პლანზე წამომეწვია და არა „შვიდ ყოვანი“ და „შვიდ მღვდლარე ფიქარი“, ხომ გახსოვთ ნიკოს ლექსიდან: „გაქსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, ვარდამატარე ბედს სამქლვარი, თუ აქამოდ არ ეშვან მას, არც აქ ეშვონოს შენი მხედარი“.

ვალიშვიტის ძალიან უყვარდა მუსიკა. მისი საყვარელი თანამედროვე კომპოზიტორები იყვნენ: ა. სკრიაბინი, ს. რახმანინოვი და ს. პროკოფიევი. ზიგა პირადად იცნობდა იმ დროს თბილისში მცხოვრებ კომპოზიტორ ნიკოლაი ჩერეპნინს (1873 — 1945) და დიდი მეგობარი იყო მისი შვილის ნიკოლოზ კომპოზიტორისა და პიანისტის სპეჩ ჩერეპნინისა, რომელიც ზიგაზე უფრო ახალგაზრდა იყო. მახსოვს, 1919 წლის 22 მაისს ჩვენ დავესწარით ალექსანდრე ჩერეპნინის კონცერტის კონსერვატორიაში. პროკოფიევი მხოლოდ სამსწრე ნაწარმოები იყო. განსაკუთრებული „სონატა № 12“, მუსიკალური ბეჭების რაღაც გაეარავარებულ ნაყდს, მეტადრე tempestoso და energico ნაწილები, წარმოადგენდა.

ქართულ მხატვრებთან ვალიშვიტი თაყვანს სცემდა ნიკო ფირისმანიშვილს. ხშირად მინახავს, 1919 წლის გამოქვეყნებულ დიდხანს აქირობე-

ზოდა მის სურათებს: „მეზოვეს“ „შემის გამყოფელს“ და სხვ. საერთოდ, ზიგას ძალიან აინტერესებდა ფიროსმანიშვილის ტიპაჟი, ძნელია იმის თქმა, იქონია თუ არა ფიროსმანიშვილმა გავლენა ვალიშევსკიზე. იმ დროს გამოფენებზე ყურადღების ცენტრი ყოველთვის ლადი გუდიაშვილი იყო, ვალიშევსკის დიდი მეგობარი. ლადოს სურათები „თბილისის პოვნა“, „ქაღალაქ-გარეთ“, „მერანი“, „ჩემი თბილისი“ ვალიშევსკის მუდმივი ალტაკების საგანი იყო. მე მგონია, ვალიშევსკის მხატვრობის თბილისის პერიოდის ანალიზისას გავლენებზე ლაპარაკი უნაყოფო იქნება. გუდიაშვილი, ვალიშევსკი, ბაქბუქაშვილი, ნაწილობრივ ელენე ახვლედიანი, შალვა ქიქოძე თითქმის ერთნაირი მხატვრული ატმოსფეროთი სუნთქავდნენ. თემატიკა, გამოსახულების ხერხები, ნახატის სიფაქიზე, ახალი ფორმის ძიება, ფიროსმანიშვილით გატაცება — იქ რა ახასიათებდა ზემოთხსენებულ თბილისელ მხატვრებს იმ დროს. არ უნდა დაგვაიწყებდეს, რომ ვალიშევსკიმ 24 წლისამ დატოვა თბილისი, ასე რომ ვსაკვირველი არაა, თუ თბილისური პერიოდის ნამუშევრებში ბევრია ლიტერატურული რეზინისცენები, ბევრია უმწიფლური, არა იშვიათია „მირ ისტეტოს“ გავლენა, მაგრამ ამავე დროს გვხვდება ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებებიც, როგორცაა „დედის პორტრეტი“ (1919, ჭალაღი, ნახშირი) უადრესად რეალისტური ნახატი, სადაც აღმანიის ხასიათი მხატვრული სიმართლის უკიდურესობამდე გამოსახული, „ბ. დოგელის პორტრეტი“ (1916, ჭალაღი, შავი ფანქარა), საფორნტო ჩანახატები (ჯერისკაცთა პორტრეტები) და ძველი თბილისის ნახატები (თათრის მოედანი, სამიკიტრა და სხვ.).

1919 წლის მაისში ვალიშევსკიმ მონაწილეობა მიიღო „Малый Круг“-ის გამოფენაში, რომელიც თბილისის „კრუეკოს“ დაბაზში (ახლანდელი კომიტეტის შენობა რუსთაველის პროსპექტზე) მოეწყო, ისეთი მხატვრების გვერდით, როგორც სუდიაკინი, სორინი, გუდიაშვილი, ბაქბუქაშვილი, ფოგელი, ლანსურე, შარლემანი და სხვ.

ზ. ვალიშევსკი არ იყო გენდერკინდი, როგორც ზოგს ეგონა. მისი მხატვრული განვითარება ბუნებრივად და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა. პირველ ხანებში ზიგა ვეროშვილი მხატვრობის თავისებურ იმიტაციას მიჰყვებოდა (გოია, ბერდსლიე, მანე და სხვ.), იღებდა ასლებს ცნობილი სურათებიდან (მაგალითად, ლეონარდოს „სერობა“ 9-10 წლისამ გადაიღო), მაგრამ ბრმა მიმზადებელი არასოდეს ყოფილა, პერიოდით, ყოველთვის ორიგინალურ ინტერპრეტაციას იძლეოდა. ვალიშევსკი იმ დროს გაერცუნებული არც ერთი სკოლისა ან „იშვების“ მიმდევარი არ იყო. დიდი მხატვრისა ან მწერლის შემოქმედება ვერ თავსდება ამა თუ იმ სკოლის ან მიმართულების „პროკრუსტეს სარეცელზე“. ამიტომ ძნელია თქმა, რა უფრო ვარბობდა ვალიშევსკის შემოქმედებაში, რეალიზმი თუ რომანტიზმი, ფანტასტიკა თუ სინამდვილე.

უკანასკნელად ვალიშევსკის შევხვდი საოპერო თეატრში 1921 წლის 3 ანგარს ცნობილი პიანისტის ბოროვისკისა და ვიოლინისტიკის ბელოუსოვის კონცერტზე. ამის შემდეგ მე იგი აღარ მინახავს. შარშან შემთხვევით წააწყდი ყურნალ „Полынь“-ს, სიდიანაც გავეცანი ვალიშევსკის თბილისის შემდეგ დროინდელი ცხოვრების გზებს. იგი გარდაიცვალა 1939 წელს კრავოში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა. სამწუხაროდ, მის არ ელირსა თავისი საშობლო-პოლონეთის — ნამდვილი განათვისუფლებისა და აღორძინების ნახეა. 1939 წლის 1 სექტემბერს პიტლერის არშია შეიჭრა პოლონეთში და დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ზ. ვალიშევსკი პოლონეთში აღიარებულია როგორც პოლონური ახალი მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თბილისის ბუდედან გაფრენილმა არწიემ კრავოვსა და პარიზში მძლავრად და ლაღად გაშალა ფრთები. ქართველ ხალხს არასდროს არ დაავიწყდება „თბილისელი ზიგა“, პოლონეთის დიდი მხატვარი — ზიგმუნტ ვალიშევსკი.





## ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსები



ზურაბ ლორთქიფანიძის პოეტური შემოქმედება ჩვენი ახალი თაობის ადამიანის სულიერ ბიოგრაფიას ვაღმოგვეცემს, იმ თაობის, რომლის ცხოვრება ილსავსება მრავალნაირ განცდებითა და მღელვარებით, გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულით და დროებითი წარმატებლობით გაჩენილი სევდით... ზ. ლორთქიფანიძის პოეზიისათვის ნიშანდობლივია ჩვენი დროის ახალი ადამიანის მებრძოლი სულიერება, დაუოკებელი გაქანება და ენებათაღლევა. მისი პოეტური სახეების სამყაროში შეხედებით მხოლოდ ერთ ადამიანს, ეს არის ახალი თაობის ადამიანი, ახალი ფიქრებისა და განცდების, ახალი აზრებისა და გრძნობების. ეს არის სიცოცხლის დამწვრებელი, სამშობლო მხარისადმი მარადიულად შეყვარებული ადამიანი, ადამიანის მოტრფიალე ადამიანი. „ადამიანი აქ შემომხედა გულთ პირველად და ქვეყანაზე შემიყვარდა ადამიანი“ — წერს იგი მშობლიური სოფლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში. სხვაგან პოეტი ამბობს: „რა კაიბაა ჰქონდეს უსაღმოდ, რა კაიბაა უმშაკაობა“. სიყვარულის ეს ძალა კვებავს მის პოეზიას. ესაა პოეტის შთაგონების დაუმრეტელი წყარო, მისი შემოქმედების სათავე:

ამიტომ მიყვარს სათავე ჩემი  
ვამაყობ მისი ბრწყინვალეობითა,  
მოვმსადარებარ სწრაფი მდინარის ჩქვრი  
მე სიყვარულის მწვერვალებიდან —

ასე ფიქრობს პოეტი და თავისი ფიქრი მკითხველამდე მიჰყავს. პოეტისათვის არ არის იმაზე ძვირფასი, ვიდრე სოფლის შარაზე გლეხის ტბილი სალამი: „ჩვეულზეაა ასე ძვირფასი, მესალამებზეა აქაურები“ — სიამოვნებით შენიშნავს გზადმავალი პოეტი.

პოეტის სიყვარული სამშობლოსადმი მამაობა და თავგამებელი. ზ. ლორთქიფანიძის პოეტური ხმა საქართველოს სიყვარულთაა აღღერებული. მაგრამ ამ წრფელ პათოსში, მღელვარე ინტონაციაში, პოეტისაგან დამოუკიდებლად, შეუმჩნევლად იჭრება ერთგვარი სევდა, ადამიანის წარსულობით გამოწვეული, რაც საზოგადოებრივ ფენადობამდე აყვანილ მის ლექსს ოდნავ რომანტიკულ ბურუსში ახვევს. პოეტი არ ცდილობს გულის სიღრმეში გაჩენილი ეს ადამიანური დარდი გამოვლინოს სიხარულ-

ით შეალამაზოს, ყალბი აღტაცებით გააქარწყლოს ან შეამსუბუქოს:

არწივის ფრთებით ვინატრებ ფრენას,  
ოცნებას გაფუნე ველზე ფარჩებად,  
წაყლენ დღეები და ნელა-ნელა  
სიცოცხლე შენზე დამხარჯება.  
დამისტრდება მუხლები ძალზე,  
ჩამეფურვლება შავი თვალები,  
მე მაშინ სიოც წამაბარბაყებს,  
შენ, საქართველო — ვერც გრივალევი.

პოეტი გვიხატავს ახალი თაობის გამარჯვებისაკენ ლტოლვას, ახალი მწვერვლების დაუფრობის სურვილს და ცვლავ აზლისაკენ, უფრო მაღლისაკენ სწრაფვას. სასიმღეროდ თქმული ლექსები პოეტის სულიერ ენთუზიაზმს ემორჩილება მთლიანად და ეს კაბუტური გატაცება გრძნობის ურვეულო გამოხატვის საშუალებას ანიჭებს. „მე რა მომეცალებს?... ზეცას რად ვუმზერ?... კერა რომ აღმართულ თებთ იაღბუხზე ფებს ვერ დაეღვი“ — ასე გვაცნობს პოეტი თავის სურვილს. სხვა ლექსში პოეტი უფრო მკაფიოდ ლაპარაკობს თავის გატაცებაზე:

იღმალ ფიქრით დიდ მამულს ეწვეები,  
ნელა იშლება სიერცე სავარდოდ.  
გისატოლებლად მიწვევენ მთები,  
ერცელი მინდრები — მუხლასამართად.

ლექსის სტრიქონები იწვევენ მოგონებას ჩვენი ცხოვრების ყველაზე კარგ და ტბილ დღეებზე. პოეტის განცდები მკითხველის განცდებს ეთანაბრება და მისი ანარეკლი ხდება. ეს ბუნებრივია: საბჭოთა ადამიანებს ბევრი იქნებ ცხოვრებაში საერთო და საზიარო ეს მსგავსი გრძნობები გვაახლოებს ღირსეულ გმირთან და ჩვენს შორის გაჩენილ სულიერ კავშირს რაღაც ნათესაურს ხდის. ლექსში „ქადრის ქვეშ“ პოეტი იგონებს მისი ცხოვრების საუკეთესო დღეებს — სკოლის ბერიობას, სიციქვთა და გატაცებით აღსავსეს. ყრმობის ეს დღეები არ გავს აზლანდულს: ლახტი და ჰინჯის ბურთი, პატივცემული მასწავლებელი და ღურჯაბიანი გოგონა... პოეტი ნაღვლიანად წერს იმ გაფრენილ დღეებზე და ლექსის სტრიქონებს სინანულს აყოლებს, სინანულს პირველი სიყვარულის დაკარგვით გამოწვეულს:

ვხივარ ქადრის ქვეშ,  
ქულაზღილი  
და ვფიქრობ მარტო;  
შემოვა ვოგო

ღერჯი კაბით,  
თეთრი წინდებით,  
მე რომ მომწონდა  
და აქამდე  
ყოველთვის ვნატობ  
და ძველებური  
ჩვეულებით  
ისევ ვწითლდები.

ეს იყო სახელაწეწილი ყმაწვილი, რომელიც სატრფიალო გრძნობას სიმორცხვის გამო ალბათ ვერც კი ამტკიცებდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ ჩაიარა, დაეჯდა პოეტი, მას უკვე აღარ შეშვენის მოკრძალებული საუბარი გულისწორთან. მისი ფრანკი ვახდელი ვახდა, კილო თამაში. ახლა პოეტი აღტაცებით ლაპარაკობს გაბმულ ქორწილებზე, რომლებიც ბედნიერებას მოუტანს ქართულ ოჯახებს, მას და მის ტოლებს. აი როგორ ლაპარაკობს იგი საოცნებო ასულზე:

მისმა სუნთქვამ მინანავა  
ვაი, ტრფობა ასე როგორ მომერია,  
ცალუღელა წიქარა ვაჰ  
და გაბმული ქორწილები მომელიან.

პოეტის მიერ აკვარელით შესრულებული საქართველოს წარმავი პეიზაჟები, კოლორიტულად გადმოგვცემენ ჩვენი ბუნების ფერადოვან სიმდიდრესა და სილამაზეს. ზ. ლორთქიფანიძის ფერწერული სურათები საესეა პოეტური გაწყობილებით და ბუნების ღრმა გრძნობით. მაგრამ ბუნების სურათები ავტორისათვის მხოლოდ ფონია, რომელიც ზელსწყობს პოეტს ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი გამოქრწოვს. მის ლექსებში ბუნება წარმოადგენს ადამიანის მოქმედების, მისი ხასიათის ჩამოყალიბების სამუალებას, პოეტის სახეა სისტემის ორგანულ ნაწილს. ამიტომაც, რომ ავტორი ლირიკული გმირის ინდივიდუალურ ხასიათს ბუნებასთან ურთიერთობაში გადმოგვცემს მუდამ. ამ შტრიხ საყურადღებოა ლექსი „სალამოსისა“. წაეკითხოთ მისი პირველი და ბოლო სტროფი:

სალამოს ბინდი ხოხეთი და ოხვრით  
კავკასიონის შვევრავლს მოება,  
მოხუცი ბილიკს მიყვება ჯოხით  
და მონანს როგორც დამწვინდობება.

და შემდეგ:

მოიდან რიკრავი იღვრება ბაღში,  
ბაგეს უნამავს ყვავილთა წყებას,  
მწვანე ვრდოზე ამოზრის ბავშვი  
და ვავს სიციცხლის პირველ დამწებას.

როგორც ვხედავთ, პოეტი ჯერ ხატავს პეიზაჟს შეღამებისას და ამათვრებს გაზივრავის სურათით. შინაარსობრივად და კომპოზიციურად მკე-

დობდ შეკრულ ამ ლექსში სწორადია გადმოცემული ავტორის იდეური მიზანდასახულება. სალამოს ბინდში — მიმავალი ბერტყატი წინმოლოა ადამიანის წარმავლობისა, ხოლო ვაზივრავზე მოთამაშე ბავშვი სიციცხლის ზელახალი დასაწყისისა და ამქვეყნიერი მარადიულობისა.

ზ. ლორთქიფანიძის ლექსებში ზნობად გაიყვებენ მეტაფორული პოეტური სურათები, რომლებიც გამოირჩევიან დახვეწილობითა და გემოვნებით, სიტობით და სინაოლით.

არ შეიძლება მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილება არ მოახდინოს ამ სტრიქონებმა:

კავკასიის ქედი კედელია,  
ზედ მკიდია საქართველოს ზნალი.

ან:

ვწევარ გულამა, ფიქში წასული,  
და ისტორიის ლანდი მახტრავს.

ზ. ლორთქიფანიძის წიგნი ბევრია პოეტურად კარგად შესრულებული ლექსი. შეგზრდებით კიდევ ერთზე — „ორი ხატება“. ლექსში ნაჩვენებია რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა, მაგრამ ამის შესახებ პოეტი დეკლარაციულად როდეს ლაპარაკობს. რუსი ხალხის საამყო შეიღლის ალექსანდრე ვრიხოვდოვის და საქართველოს მწვენიერი ასულის ნინო ჰუკუავაძის უაღრესად ფაქიზი, ღრმა ინტიმური დამოკიდებულება გარკვეულ ლირიკულ გაწყობილებას ქმნის და ლექსს საზოგადოებრივ ელვადობას ანიჭებს. „ერთი შეზღადართო, როგორც რუსეთი, მეორე ტრფა ვით საქართველი“. ლექსში ასახული გულბილი გაწყობილება და მსუბუქი რომანტიკა დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ზურაბ ლორთქიფანიძის შემოქმედების მხოლოდ დადებით მხარეებზე გველაპარაკა და ნაყოლიანებში უყურადღებოდ დაგვეტოვებინა პოეტი შემოქმედებითი მეთაობის პროცესში ყოველთვის როდი აღწევს გამარჯვებას.

ზოგჯერ იგი იმეორებს ისეთ პოეტურ სახეებს, რომლებსაც ესთეტიკური შემოქმედების უნარი დაკარგვიით და პოეტური სურნელება მოკლებულია. ამემაღ არავისთვისაა საინტერესო საქართველოსადში ასეთი მიმართვა: „ვარდ-ყვავილების, ლამაზმანების, ბუმბერაზების დილა გამჩენა“. აქა-იქ იგრძნობა წინა თაობის პოეტთა ხმის გამოძახილი. შეინიშნება აგრეთვე პროზაული სტრიქონები: „აი, წინ მიდევს შენი სურათი, ამოღებული გულის ჯიბიდან“, ან „ფეხს შეამერებს, ღელავს მოგასმენს, და შეიციანი ღელავი ისა“ და სხვ. ზნობია აგრეთვე რთომისათვის არაბუნებრივად ნაშაბრი სიტყვა, რომელიც ლექსის მხატვრულ ქსოვილში იზოლირებულ კომპონენტს მიაგებს და ნასუსხებივით გამოიყურება.

მაგ.: „მიდი, ჩაქოცნე, ამტანიანმა“, „მიდამოების გადასკოცნელი“, „გზა-გზა გავფანტე შენაფეთება“ და სხვ. ზოგჯერ ავტორი ზერეღვედ ეპყრობა კარგად მიგნებულ პოეტურ სახეს და ცუდი სტრიქონით დისონანსი შეაქვს მთელ სტროფში:

ვათავლიერებთ დიდი სურვილით,  
კლდის შიგნით მუდამ, მუდამ უჭმება,  
და აქ მასპინძლად მხოლოდ დემოლი,  
და მეოთხრეტე საუკუნეა.

ვარძიისადმი მიძღვნილ ამ კარგ სტროფში მხატვრულ ეფექტს ანელებს პირველი სტრიქონი. წიგნი მოლიანად დაზღვეული არაა მწიგნობრები შეცდომებისა და ბუნდოვანი გამოხატვებისა. ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსების მეორე წიგნი ნათლად გვიჩვენებს რომ ავტორი პოეტური სიმწიფის ხანაში იმყოფება. მკითხველი მისგან ახალ საინტერესო ნაწარმოებებს მოელის.

გ. ზანდუკაძე

### ნაშრომი ჰაინრიხ ჰაინეზე



ჰაინეს მსოფლმხედველობის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარეს შარჰსმა და ენგელსმა, ამ საქმისთვის დიდი ამაგი დასდეს რუსმა რევოლუციურმა დემოკრატებმა და მოწინავე პოეტებმა. ჰაინეს თეორიულ-ესთეტიკური ნააზრებისა და მხატვრული შექვიდრების შესწავლის საქმე მალად საფეხბურზე აიყვანეს საბჭოთა ლიტერატურის მკოდნეებმა. საბჭოთა მეცნიერების (ლენინარსკი, ფრიბე, მეტალოვი, ლევენევი, დეიმი და სხვ.) შრომებში გარკვეული ადგილი დაეთმო ჰაინეს მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური თეორიის შესწავლას, მაგრამ ჰაინეს მსოფლმხედველობისა და ხელოვნების თეორიას საკითხი სპეციალური შესწავლის საგნად არავის უქცევია.

ჰაინეს მხატვრულ შეხედულებათა შესწავლა, ჩვენება იმისა, თუ რა კავშირშია ისინი მწერლის მთელ შემოქმედებასთან მიზნად დაისახა პროფ. გ. ხავთასმა თავის გამოკვლევაში „ჰაინრიხ ჰაინეს ხელოვნების თეორია“, რომელიც გამოსცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ. საკითხის გასაშუქებლად შევღვივარს მასალად ათლია ჰაინეს მთელი შემოქმედება, როგორც თეორიულ-კრიტიკული, ისევე მხატვრული. ჰაინეს მხატვრულ ნიმუშებს ავტორი უღვება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აელენენ ისინი მწერლის ესთეტიკურ შარჰსს. მის შეხედულებას ხელოვნების სტადანსება საკითხზე. ჰაინეს მხატვრულ ნაწარმოებთა განმარტებისას გ. ხავთასს აინტერესებს გამოთქვილის — წარმოადგენს თუ არა ჰაინეს ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში ჩაქსოვილი თვალსაზრისი მწერლის მთელი მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილს. გ. ხავთასი არ უარყოფს წინააღმდეგობებს ჰაინეს მსოფლმხედველობაში. ფეოდალურ-რეაქციული რეჟიმისა და ბურჟუაზიული ოლიგარქიის წინააღმდეგ ამხედრებული მწერალი უენარობას იმენს საბოლოოდ დაძლიის წყარაღბურ-ეუაზიული სტიქია და მტკიცედ გაიზიაროს რე-

ვოლუციური პროლეტარიატის მსოფლმხედველობა, მაგრამ ჰაინეს ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემის არსებობაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მწერალი წინააღმდეგობრივი ბუნების მქონება, შევღვივარს მინც გაუმართლებლად მიანია. მიმოიხილავს რა თვითონ პოეტის მოთითებებს სულიერ აწეწილობაზე, გ. ხავთასი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს, ჰაინეს კონცეფციით, არ გულისხმობს მწერალთან მყარი პრინციპების უწინრობას, მისი შემოქმედების ქაოსურობას. ავტორს გამართლებულად მიანია სისტემის ძიება ჰაინეს ესთეტიკურ ნააზრევაში და ამ მსოფლმხედველობრივი სისტემის დადგენას შევღვივარი ელლობის ხელოვნების შესახებ ჰაინეს მთელი ნააზრევის, მთელი მისი შემოქმედების შესწავლის გზით.

პროფ. გ. ხავთასის შრომა შედგება ექვსი თავისაგან. პირველ თავში ავტორი არკვევს ისეთ საკითხებს, თუ როგორია მატერიალისტის განმსაზღვრელი როლი ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულების გავებაში, აგრეთვე, როგორია ჰაინესთან დაყენებული ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დამოკიდებულების ძირითადი საკითხები. ჰაინეს კონცეფციის თანახმად, ასევენი ავტორი, ხელოვნებაში უევიფინება მატერიალური ცხოვრების კანონზომიერება; ხელოვნების ფაქტში განმსაზღვრელი როლი შევღვივანება მატერიალურ სამყაროს. ჰაინე დგას მატერიალისტური ესთეტიკის საფუძველზე და ილიარებს რეალისტური ხელოვნების ძირითად პრინციპებს. ჰაინე შევეთად ემიჯნება იდეალისტური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს; მათ სპირიტუალურ ავითარებს მატერიალისტური ესთეტიკის ძირითად თემას, რომლის თანახმადაც, რეალური სინამდვილის ასახვა ხელოვნებაში შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ჰაინეს ესთეტიკის მატერიალისტური მხარე, ავტორის აზრით, თავს იმენს ხელოვნებაში მატერიალისტური რეალიტაციის მოთხოვნის წამოყენებაში, მიწიერი რეალობის, სიცოცხლის სი-

ხარულსა და სიღამაზის კელტის წინ წამოწევაში. ჰინეს ესთეტიკის მატერიალისტური ბუნება მკლავდება ზელოვნების სოციალური დეტერმინაციის აღიარებაში და ზელოვნებაში სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესთა ჰიდილის დანახვაში (გვ. 179).

იდეალისტური ფილოსოფიისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ ჰინე, სამწიხაროდ, ვერ მიიყვანა ამ ფილოსოფიის სრულ უარყოფამდე. ჰინემ უარყო მხოლოდ იდეის პირველადობა და აღიარა იდეალისტური ფილოსოფიის ზოგიერთი დადებითი მხარე, რითაც თვითონვე დაარღვია საკუთარი მსოფლმხედველობის მთლიანობა. ჰინეს ნააზრევში იდეალიზმის, ეკრძოდ, იდეალისტური ესთეტიკის გადმონათმების შესწავლა გ. ხავთასის მიზნად დაესახავს შრომის მეორე თავში — იდეალისტური ესთეტიკის გადმონათმები ჰინეს ნააზრევში. იდეალიზმის გადმონათმითა არსებობას ჰინესთან ავტორი ხსნის პოეტის გარემომცველი რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარებით.

ზელოვნების შესახებ ჰინეს ნააზრევში მატერიალისტური საწყისების გვერდით მოიპოვება იდეალისტური ესთეტიკის გულმეცნებები. იხადება კითხვა: სახელდება რომელი მომენტია წამყვანი ჰინეს ესთეტიკურ ნააზრევში: მატერიალისტური თუ იდეალისტური. სწორედ ამ საკითხის გარკვევას მივძღვნა შრომის შესამე თავი — ზელოვნების სპეციფიკის ჰინესეული თეორია, რომელშიც ავტორი ანალიზებს სპეციფიკურ-მატერიალისტურ ჰინესეულ გაგებას, მის დამოკიდებულებას ველგარული რეალიზმისადმი, ელნება ზელოვნების და ტრადიციულ-რომანტიკული გაგებისადმი. აქვე ჩერდება ავტორი ჰინეს აზრებზე მხატვრული ასახვის სპეციფიკურ საკითხებთან და ზელოვნებაში ისტორიის ხარვეზების შევსების ჰინესეულ თეორიასთან დაკავშირებით. გ. ხავთასის დასკვნებით ჰინესათვის უარსაყოფია რეალიზმის-ის სახეობა, რომელშიც გამორჩეულია მხატვრულ-აბსტრაქტული. სინამდვილის ასახვა უნდა ხდებოდეს მთლიანი პროცესით—პლასტიკური და პოეტური გამოხატვის; რეალისტურ საფუძველზე დგომა კიდევ არ უზრუნველყოფს მაღალი და კუქმარტად მხატვრული ნიშნის შექმნას; ზელოვანი არ უნდა მოექცეს ყალბი ობიექტივიზმის ტყუილბაში; მან უნდა ვარიგუნოს საკუთარი მიმართება გადმოსაცემს მასალისადმი; იგი უნდა განიშნებოდეს შემოქმედებითი ენთუზიაზმით (გვ. 248). სინამდვილისადმი ზელოვნების დამოკიდებულების საკითხში ჰინე ემიჯნება მისტიკოს-რომანტიკოსთა პოზიციებს. ზელოვნება ჰინესათვის არის სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმა და არა იმანერტური მოვლენა. გარკვეულ ხარკს იდეალისტური ესთეტიკისადმი ჰინე იღებს ზე-

ლოვნებაში ისტორიის ხარვეზების შევსების თეორიის გაზიარებით. მაგრამ, გ. ხავთასის აზრით, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რაიმე მხარე იჩენება იდეალიზმში. სინამდვილისადმი ზელოვნების დამოკიდებულების გაგებაში — ეს კი ზელოვნების კვანძური საკითხია — ჰინე საბოლოოდ მატერიალისტურ თვალსაზრისზე რჩება (გვ. 346).

მეხუთე თავი მივძღვნა საკითხს — რეალისტურისა და მხატვრულის მთლიანობა ზელოვნების შესახებ ჰინეს ნააზრევში. დასკვნები, რომლებსაც აკეთებს ავტორი დიდი რაოდენობის მასალის განზოგადების საფუძველზე, შემდეგია: საკუთრივ, ჰინეს აზრით, რეალისტურისა და მხატვრულის მთლიანობა. მწერლის ამოცანა არის რეალობის ასახვა სინამდვილისადმი შეგნებული რეალისტური დამოკიდებულების საფუძველზე. უკუთმადობა თვითმიზნური ზელოვნება. საფაგებოდ ჩერდება რა ჰინესა და მარქსის ურთიერთობაზე, ავტორი აღნიშნავს, რომ მარქსის დიდი იდეური გავლენით სცადა ჰინემ ზელოვნებისა და სინამდვილის საკითხის აბუხურად დასმა. მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ჰინემ ვერ შეძლო, რაკი იგი რამდენადმე დარჩა იდეალისტური ფილოსოფიის ტყუილბაში. იდეალიზმი ჰინესთან არაა დაძლეული საბოლოოდ, მისი მატერიალიზმიც არ წარმოადგენს დიალექტიკურ მატერიალიზმს. ზელოვნების რიგი საკითხების გაგებაში ჰინე ვერ მივიდა ნამდვილად მეცნიერულ დასკვნებამდე. ეს ითქმის ავტორზე რეალისტურისა და მხატვრულის ურთიერთობის საკითხის ჰინესეული გაგების შესახებ (გვ. 432).

შრომის უკანასკნელ თავში — ჰინე და მისი დროის ესთეტიკური შეხედულებანი — გარკვეულია ჰინეს დამოკიდებულება მისი დროის სხვადასხვა, მაგალითად, „ახალგაზრდა გერმანელთა“, ჰეგელის და სხვა, — ესთეტიკური სისტემებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამოკიდებულებას მეცნიერული სოციალიზმის თეორიისადმი. ჰინეს ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრწამსის საბოლოო სახით ნამოვლინებაში დიდი როლი შეასრულა-მეცნიერული სოციალიზმის თეორიამ, მარქსიზმის ფილოსოფიამ და ესთეტიკამ. მაგრამ ეს გავლენა, აღნიშნავს პროფ. გ. ხავთასი, არ გამოხატულია ჰინეს მხრით მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დაუფლებასა და მიღებაში. ჰინემ ვერ შეძლო აბსტრაქტული რეალისტური პროლეტარიატის მებრძოლ მსოფლმხედველობამდე, თავისი წინააღმდეგობის საბოლოოდ დაძლეამდე (გვ. 476).

ჰინეს მსოფლმხედველობა ხასიათდება არსებითი ხასიათის ნაკლებით, პირველ რიგში შე-

ლედულობით; მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ამცირებს იმ წვლილს, რომელიც შეიტანა ჰაინემ მარქსამდელი მატერიალისტური ესთეტიკის განვითარებაში. ჰაინე წავიდა წინ რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის შექმნის, ხელოვნების ძირითადი თეორიული საკითხის მეცნიერულ-მატერიალისტური გადამწყვეტისაკენ, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ამოძღვრა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გაგებაში, მან ვერ მოგვცა ნამდვილად მეცნიერული, მატერიალისტური ხელოვნების თეორია. მიუხედავად ამისა, შექმნილია უარყოფითი პაინეს დადებითი როლი გასული საუკუნის პირველი ნახევრის ესთეტიკური მოძღვრების ისტორიაში (გვ. 480).

შრომში მართებულადაა აღნიშნული, რომ ჰაინეს მხატვრული შემოქმედებისა და ესთეტიკური შეხედულებების შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიდნენ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები. მაგრამ საჭირო

იყო კრიტიკული დამოკიდებულება ამავ ავტორების, კერძოდ პისარევისა და გერკენის, ზოგიერთი უმართებულო მსჯელობისადმი. საჭირო იყო უფრო ფართოდ ყოფილიყო გირაკელის პისარევის აშკარად მცდარი შეხედულება ჰაინეზე, მით უმეტეს, რომ ამ მცდარი დებულებების შემცველ შრომა ხშირად იმეჭდება დღესაც, და ამ დებულებათა რევიდირება თავს იჩენენ უკანასკნელ ხანებში დაწერილ სტატიებში. პისარევის შრომის მცდარ დებულებების ფართო კრიტიკა ჩვენს ახალგაზრდობას დაეხმარებოდა როგორც ჰაინეს მსოფლმხედველობის, ასევე პისარევის ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედების მართებულ გაგებაში.

პროფ. გ. ხაუთასის შრომა „ჰაინეზე ჰაინეს ხელოვნების თეორია“ მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა.

ზოთა ჩივიშვილი

## მონოგრაფია სოფრომ მგალობლიშვილზე



სოფრომ მგალობლიშვილის ლიტერატურულ-მეცნიერული და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. პროფ. გ. თავიშვილის წიგნი წარმოადგენს ცდას გაარკვიოს სოფრომ მგალობლიშვილის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, როლი ჩვენს რევოლუციურ მოძრაობაში. ზოგიერთი მოსაზრება და დებულება, რომლებიც წამოყენებულია პროფ. თავიშვილის წიგნში, ჩემი აზრით, არასწორად ამტკებენ ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული პერიოდების ისტორიას და თვით სოფრომ მგალობლიშვილის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

ავტორის სოფრომ მგალობლიშვილის მიიხიწვის ტიპიურ ხალხისან მწერლად, ხალხოსნური ლიტერატურის ყველაზე პოპულარულ წარმომადგენლად, ხალხოსნური ინტელიგენციის ერთერთ მეთაურთაგანად, ხალხოსნური მოძრაობის აქტიურ მონაწილედ, ასეთად რჩება, ავტორის აზრით, სოფრომ მგალობლიშვილი თვითი მისი სოციალისტის მანძილზე. მაგრამ გამოკვლევის ამ ცენტრალურ დებულებასთან ერთად წამოყენებულია მეორე, ამის საწინააღმდეგო, დებულება, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს ხალხ-

სანი სოფრომ მგალობლიშვილი მივიდა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის თეორიამდე, იგი ამხედა, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ერთერთი მიზეზი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის სუსტი კავშირი“ (გვ. 39), რომ „მეორე პერიოდი სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედებისა სრულიად ახალია როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით“ (გვ. 30). ამავე დროს, პროფ. გ. თავიშვილია წიგნის სპეციალურ პარაგრაფში, სადაც არკვევს სოფრომ მგალობლიშვილის დამოკიდებულებას ქალაქისადმი (გვ. 43 — 47), აღნიშნავს, რომ მგალობლიშვილს, ისე როგორც სხვა ხალხოსნებს, არ ესმოდა „ქალაქის მრეწველობისა და კულტურის მნიშვნელობა რევოლუციური მოძრაობისათვის. ისინი ვერ ზედადნენ ქალაქის მუშათა კლასის წამყვან როლს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში“ (გვ. 53). აქ პროფ. გ. თავიშვილი საბოლოოდ ასკენს: „ასეთი იყო სოფრომ მგალობლიშვილის ქალაქი მისი შემოქმედების დასაწყისში. ასეთად დარჩა იგი ბოლომდე. მან ვერ შესძლო კაპიტალისტური ქალაქის ჩრდილოვან მხარეების იქით დაენახა ქალაქის ახალი ცხოვრების საწყისები, შრომისა და მშრომელთა უბნები, მოწინავე კულტურის ყლორტები, ახალი აღმავლები“ (გვ. 47). ამრიგად, მწერალმა ქალაქად ვერ შეამჩნია მუშათა კლასი, ვერ გაიგო მისი ისტორიული როლი. ასე თავსდება

ორი ერთმანეთისადმი მოწინააღმდეგე, ერთმანეთის გამომრიცხველი თვალსაზრისი ამ პატარა წიგნში.

რამდენიმე შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ არასწორადაა დახასიათებული ქართული ხალხსნერი მოძრაობა და იდეოლოგია სარეწაო წიგნში. ქართული ხალხსნობა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე წარმოდგენილია, როგორც ერთი მთლიანი მიმდინარეობად დედამშველი მიმართულება ქართულ საზოგადოებაში. აზრისა. წიგნში არათუ განსხვავებულია ერთმანეთისაგან მიმდინარეობანი რევოლუციური ხალხსნობის შიგნით, არამედ ერთმანეთშია არეული რევოლუციური და ლიბერალური ხალხსნობა.

ავტორი აქვეყნებს ახალგაზრდა მკითხველებს, რომ „ხალხსნობა შორს იყო ხალხის ნამდვილი ინტერესებისაგან“ (გვ. 12), თუ ეს შეიძლება ითქვას ლიბერალ ხალხსნებზე, როგორ შეიძლება იგივე დებულება წამოყენებული იქნეს რევოლუციური ხალხსნების მიმართ? რევოლუციური ხალხსნების ასეთი შეფასებას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ კემარობებთან, მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისთან. 70-იან წლებს იმ არც რუს და არც ქართველ ხალხსნებს დაბლა არ დაუბრიათ 40 — 60 წ. წ. რევოლუციური დემოკრატიზმის, ჩერნიშევსკის დროში. ლენინის აზრით, რუსეთში აღრეული რევოლუციური ხალხსნების პროგრამის არსია, „რამ გლეხობა აამხედროს სოციალისტური რევოლუციის მოსახლენად თანამედროვე საზოგადოების საფუძველში“ (ტომ I, გვ. 309). ასევე იყო ჩვენი იუ. ზენინ რევოლუციური ხალხსნების ბრძოლა და იდეოლოგია, პირველ რიგში, მიმართული იყო ბატონობის ნაშთების აღმოფხვრისაკენ. პოლიტიკური რადიკალიზმი და რადიკალური აგრარული პროგრამა, მეფის ხელისუფლებისა და მემამულური მიწათმფლობელობის დაგრევის პროგრამა, გლეხურ შეურწმობათა განთავისუფლება მემამულეთა ჩაგვრისაგან, მიწა და თავისუფლება იყო არსებითი რევოლუციური ხალხსნურ მოძრაობაში და იდეოლოგიაში. და ვასალიარია, აღრეული ხალხსნების ბრძოლა ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, აბსოლუტიზმის, რეაქციული წოდებებისა და დამსჯელულების წინააღმდეგ რატომ არ მიანია პროფ. გ. თავზიშვილს ხალხის ინტერესების გამოხატველ ფაქტად?! თუ სადაც არაა ის, რომ რევოლუციური ხალხსნები რევოლუციის შემდგომდროინდელი ექსპლოატრებული და დამიარული გლეხობის ძირითადი მსახურის მოსარჩლენი იყვნენ, რა საფუძველი გვაქვს ვითვარათ, რომ შშრამულ გლეხთა ინტერესების დაცვა მანინ არ წარმოადგენდა ხალხის ინტერესების დაცვას. მართალია, რევოლუციურ ხალხსნურ მოძრა-

ბას და იდეოლოგიას ქონდა თავისი სურტი მხარეები და შეცდომები. ანტიკარისტულ და ანტი-მემამულურ ბრძოლასთან ერთად რევოლუციურ ხალხსნათა იდეოლოგია მრტყველი ინტერესებს რუსეთისა და საქართველოს პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლის შესახებ, იღუზის, რომ სახალხო-დემოკრატიულ რევოლუციას შეეძლო ერთი ხელის დაკვირვება მოგნო ყოველგვარი ჩაგვრა და ექსპლოატაცია, მაშინ როდესაც მას შეეძლო, ერთი სახის ექსპლოატაციის განადგურება და პირობების მომზადების დაჩქარება სოციალიზმისათვის, რამდენადაც გლეხური რევოლუციის განხორციელება დაანგრევდა აბსოლუტრზმს და მოსობდა მემამულეთა კლასს. მართალია, რუსეთისა და საქართველოს არაკამატების ტერაგზნით განვითარების ხალხსნური თეორია უაღრესად მცდარი და რეაქციული იყო, მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გტაბზე რუსეთში მთავარი იყო ბრძოლა ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ. 70—80 წ. წ. რევოლუციური ხალხსნები რუსეთისა და საქართველოში გამოდიოდნენ ცარიზმისა და არსებული აგრარული ურთიერთობის უბოროტეს მტრებად და შეურიგებლად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ, ამით ისინი ექვეოდნენ არა ხალხის მტრების რიგში, როგორც ამას პროფ. გ. თავზიშვილი ფიქრობს, არამედ ხალხის ინტერესების დამცველთა ავანგარდში გამოდიოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ისინი გამოხატავდნენ ჩაგრული გლეხების ინტერესებს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხთა ინტერესები და მათი დაცვა როდი ეწინააღმდეგებოდა მაშინ საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებს.

განა ლენინი ამიტომ აძლევდა მაღალ შეფასებას ხალხსნების თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობლობის წინააღმდეგ, რომ მას მიანდა იგი ბრძოლა დაცილებულად ხალხის ინტერესებისაგან? „და თქვენ, — წერდა ლენინი, — არ შეგიძლიათ სოციალ-დემოკრატებს უსაფუძვლოდ, რომ ისინი ვერ აფასებდნენ ამ თავის დროის საუკეთესო ადამიანების დიდ ისტორიულ დამსახურებას, ღრმა პატივისცემით არ ეპყრობდნენ მათ მსოფსა?“. (ტომ I, გვ. 308).

თავის წიგნში პროფ. გ. თავზიშვილი იძლევა ქართული ხალხსნური მოძრაობის „განვითარების არასწორ სურათს. ჯერ-ერთი, ის ფიქრობს, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ხალხსნური მოძრაობა საქართველოში მინელდა და, მეორეც, ქართულ ხალხსნურ პროპაგანდისტთა რეაქსიებისა და მოძრაობის უტოპიურობის გამოაშკარავების გამო ხალხსნები „კულტურულ-პედაგოგიური და ლიტერატურული მუშაობით შემოიფარგლნენ“ (გვ. 14).

ის მტკიცება, რომ „ხალხში სიარელის“ ტაქტიკის დაპირსების შემდეგ ქართულმა ხალხსნობამ მშვიდობიანი კულტურტრეგერული ხასიათი მიიღო და მთლიანად ლიბერალიზმისაკენ დაქანდა, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვი-



ლეს. ქართული ხალხისნური რევოლუციურ-პროპაგანდისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და მონაწილეთა რეპრესირების შემდეგ ქართველ ხალხისნებში წარმოიშვა ახალი რევოლუციური მიმდინარეობანი და სწორედ „80-იანი წლების დასაწყისში“ საქართველოში საქვეგვაქვს ძლიერ ნარადიოვოლუტურ ორგანიზაციებთან. ეს მოძრაობა არა კულტურტრეგერულია, არამედ რევოლუციურ-პოლიტკურიია .ეს პირველი რიგის მოცინად ისახავს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას ტერორის ტაქტიკით და არა კულტურტრეგერული მშვიდობიანი მოღვაწეობით.

70 — 80-იანი წლების ქართულ ხალხისნურ-პროპაგანდისტულ მოძრაობას პროფ. გ. თავიზნივლი წარმოადგენს, როგორც ცალკე წრეებად აღმოღდა, ერთმანეთთან დეკავემირებულ მოძრაობას და იძლევა მის ბუნდოვან დახასიათებას.

არასწორად არის მოცემული ამ პერიოდის რუს და ქართველ ხალხისანთა ურთიერთკავშირის სურათი. პროფ. გ. თავიზნივლი ფიქრობს, რომ ქართველი ხალხისნები გორელი ხალხისნების საშუალებით დაკავშირებულა იყვნენ მხოლოდ რუსეთში „მოღვაწე ქართველ ხალხისნებთან“ (გვ. 11). ნამდვილად კი, ეს კავშირი უფრო ფართო იყო და უმთავრესად ახორციელებდა მას ხალხისან პროპაგანდისტთა ხელმძღვანელობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 70-იანი წლების ქართველი ხალხისნები დაკავშირებული იყვნენ არა მარტო რუსეთში მოქმედ ხალხისნურ ორგანიზაციებთან, არამედ სახლვაჯაჯრეთის რუს ხალხისნურ ცენტრებთან და პერიოდიკსთან, ხალხისნური მოძრაობის რუს ბელადებთან...

პროფ. გ. თავიზნივლი იმასაც გვატყობინებს, რომ, თურმე, ანტონ ფურცელაძე, ს. ჰრელსნივლი და ა. ნანიევილი „თანავგრძნობდნენ ხალხისნურ იდეებს და მათ მუშაობის ფორმებს“ (გვ. 11), მაშინ როდესაც თითოეული მათგანი ჩვენი ხალხისნობის გარკვეულ მიმდინარეობათა მსხვილი იდეოლოგები და მოძრაობის ხელმძღვანელები იყვნენ. ამ მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული ხალხისნური თვალსაზრისით და მოღვაწეობით გამოირჩევა ანტონ ფურცელაძე, რომლის მრავალფეროვანი პუბლიცისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა მონოგრაფიულად ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. პროფ. გ. თავიზნივლი კი გვაუწყებს, რომ ანტონ ფურცელაძე თანავგრძნობდა ხალხისნებსო.

სოფრომ მგალობლივილი, ისე როგორც მეორე ხალხისანი მწერალი ნიკო .ლომოვი, გურულბრყვილო ფიქრობს, რომ გლახის უბედურების მიზეზი უსწავლელობა და ცრუმორწმუნეობააო, — ამტკიცებს პროფ. გ. თავიზნივლი. „მკითხავი, შელოცვები, სალოცავები, ხატზე გადაცემა, ხატის განარისხება, შესაწირავი, კოტის

ძახილი, — აი ბოროტებანი, რაც ხალხს არბევს, აუჭლებებს და ელეტს. სანამ ცრუმორწმუნეობა არ მოვიგისპია, ხალხს სიკეთე არ ეყოფისბო. ბრწმუნებს თავის მტოხვევს სიფრომ მგალობლივს კილი“ (გვ. 22 — 23). ეს მტკიცება არ არის მართალი. განა სოფრომ მგალობლივილის მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტკის ცენტრალური ნაბეღება ის არის, რომ მშრომელ გლეხობის, ხალხის სიღატაკის, მისი პირუტყველი მდგომარეობის არსებობა მიზეზი გაუნათლებლობა და ცრუმორწმუნეობაა? მართალია, სოფრომ მგალობლივილი გვიჩვენებდა, რომ ცრუმორწმუნეობა, რელიგია ბოროტებას წარმოადგენდა, მშრომელთათვის, მაგრამ სამ ამტკიცება სოფრომ მგალობლივილი, რომ იმ მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ყველაფერი წესრიგში იყო, გარდა სასკოლო-საგანმანათლებლო პოლიტიკისა? სად ამტკიცებდა სოფრომ მგალობლივილი, რომ მშრომელთა პატრიარქალურ-კულტურული კეთილდღეობა დამოკიდებული იყო სასკოლო-საგანმანათლებლო პოლიტიკის გახალხტრებაზე მსხვილ მემამულეთა, ცარხშისა და სხვა პრივილეგიურ კლასების პატრონობის შენარჩუნების პირობებში. სოფრომ მგალობლივილის დამსახტრება ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხალხის სიღატაკის, მისი კულტურული დაბალი დონის ძირითად მიზეზებს ხედავდა მემამულურ-ბურჟუაზიულ ექსპლოატაციაში, პოლიტიკურ უუფლებობაში; მისი დამსახტრება იმის მტკიცებაშია, რომ, სანამ ქართველ მშრომელზე პატრონობს ცარიზმი, მსხვილი მემამულე და კაპიტალი, მანამ მშრომელი მუდამ დარჩება დატაკად, პირუტყველ მდგომარეობაში. სოფრომ მგალობლივილი მართალი იყო, როდესაც გლეხობის და მშრომელთა უბედურების ძირითად მიზეზებს ექსპლოატატორულ ურთიერთობაში და პოლიტიკურ უუფლებობაში ხედავდა, იგი მართალი იყო, როდესაც მშრომელთა აგონება, რომ მხოლოდ რევოლუციური ბრძოლი შეუძლიათ მათ მიღწეონ ექსპლოატატორულ ურთიერთობათა ლიკვიდაციას, მაგრამ მისი არსებობით შეცდომა და მის სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისთა უტოპიური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ შაქის „საერთო მფლობელობა“, მისი სოციალიზაცია ან ნაციონალიზაცია თითქოს წარმოადგენა უნივერსალურ საშუალებებას ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან განთავისუფლებისათვის მაშინ როდესაც ის სპობდა მხოლოდ მემამულურ ექსპლოატაციას და არავითარ ზარირს არ წარმოადგენდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის აღსაკვეთად. მგალობლივილი ანტიმემამულური პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამის განხორციელება ნიშნავდა ქვეყნის



გამოყვანას დემოკრატიული განვითარების ფართო შარავნაზე. ესაა ამ თვალსაზრისის რევოლუციური პროგრესული მხარე. ვერ ამბობდა რა მეცნიერული სოციალიზმის თეორიამდე, სოფრომ მგალობლიშვილმა ვერ მოგვცა კაპიტალიზმის მეცნიერული კრიტიკა და ვერ განსაზღვრა კაპიტალიზმის ისტორიული ადგილი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში, ვერ შეიმუშავა სწორი წარმოდგენა სოციალიზმის შესახებ, დე-

მოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის პეგემონ და მამოძარაველ კლასურებზე დაუბნე. ასეთია ზოგი არასწორი დებუნდებეს ქრისტიანი მონოგრაფიაში „სოფრომ მგალობლიშვილი“. მათი თავიდან აცილებით უთუოდ მოაგებდა პროფ. გ. თავიშვილის წიგნი.

**ვახანიელ მიხრაილიშვილი**

**წიგნი ასპინძის ბრძოლაზე**



ქართული ხალხის შრავალსაყენივანი ისტორია აღსავსეა თავგანწირული და ვაჟკაცური ბრძოლებით. ასპინძის ბრძოლა, რომელიც ქართველმა ხალხმა დიდი სარდლის, მეფე რაინდის ერეკლე მეორის მხედართმთავრობით გადაიხადა, წინაპართა ვაჟკაცური შემართების ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია.

არა ერთი მკვლევარი დანტერესებულა ამ საკითხით, მაგრამ იგი სპეციალური კვლევის საგნად დღემდე არავის გაუხდია. ამიტომ ბუნებრივია განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც ამ თემაზე გამოქვეყნებული ლიტერატურა იწვევს იწვევა ის მხატვრული თუ ისტორიული. უთუოდ ასეთი ინტერესით შეხედება მკითხველი ე. მაქარაძის მონოგრაფიას — „ასპინძის ბრძოლა“.

როგორც წიგნის სათაური მიუთითებს, ძირითად საკვლევ თემას ასპინძის ბრძოლა წარმოადგენს, მაგრამ ეს საკითხი გაერომცველი ისტორიული მოვლენებისაგან იზოლირებულად ვერ გამოქვდება, ამიტომ ავტორი ასპინძის ბრძოლას იხილავს, როგორც რუსეთ-თურქეთის ომისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. ამასთან წიგნში მიმოხილულია ასპინძის ბრძოლის წინა პერიოდის საქართველოს სამეფო-სამთავროების გეონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

მე-18 ს. შეუახანებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანის პოლიტიკურ გავლენას ექვემდებარებოდა, მაგრამ მდგარი ბრძოლებით ისინი თანდათან აღწევენ თავს ამ დამოკიდებულებას.

1747 — 1750 წ. თეიმურაზმა და ერეკლემ ზედმიხედ დაამარტეს ხანები, ქართლ-კახეთის სამეფოებმა ერეკლის, ნახევიანისა და ვანჯის სახანოები საქართველოს მოხარკეებადაც კი გადააქციეს.

მომდევნო წლებშიაც არა ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იქნა მოპოვებული შამხადიან მეზობ-

ლებთან ბრძოლებში. მაგ., ერეკლე მეორემ 1751 წელს ერეკლის ახლოს ყირბულასთან სასტიკად დაამარტა თავრიზის მფლობელის ახატ-ხანის თერამეტასიანი ლაშქარი, წარმატებით იქნა უკუგდებული შაჰი შარვანის ხანი აჯი-ნალაბი.

თეიმურაზი და ერეკლე ენერგიულად ზრუნავენ ქვეყნის შემდგომი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით 1760 წელს მეფე თეიმურაზ მეორე რუსეთს მიემგზავრება. ქართველ მეფეებს გაბედული გეგმა ჰქონდათ — ისინი წარდილოეთის დახმარებით ირანის ტახტზე რუსეთისათვის სასურველი პირის გაყვანას ცდილობდნენ. სამუშაოდ, ქართველ მეფეთა წინადადებს რუსეთში მზარი ვერ დაუპირეს. თეიმურაზი კი პასუხის მოლოდინში იქვე გარდაიცვალა 1762 წელს.

თეიმურაზის გარდაცვალებისათავე ერეკლე მეორემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა და ამით ეს ორი სამეფო გაერთიანა. საგარეო ურთიერთობაში მოპოვებული წარმატებები კიდევ უფრო მკვიდარ პოზიციებზე დგებოდა მე-18 საუკუნის 60-იან წლებში. ერეკლე მეორემ თანდათან სძლია ფეოდალთა სეპარატიზმი, აღაგმა ქვეყნის მოლაპატე თავდათა თავდასულობა. უდავოდ პროგრესიული როლი შეასრულა ერეკლეს საგლეხო პოლიტიკამ, რომლის გატარებით გლეხებს საშუალება მიუცა წელში ოდნე მანეც გამართულიყო და ქვეყნის თავდაცვის ძირითად ძალად გამხდარიყო.

ამის საფუძველზე მონოგრაფიის ავტორი არასკენის, რომ მე-18 საუკუნის სამოციანი წლებისათვის სერბიულ ძალას წარმოადგენდა აღმოსავლეთი საქართველო, რომელსაც მეზობლები არსებითად უწევდნენ ანგარიშს. მაგრამ ეს წარმატებებუ მუარ წადაგზე ვერ იდგა, იგი ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის უშიშროებას დიდი მამადიანური სახელმწიფოებისაგან აგრესიის შემთხვევაში.

„ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ ვითარების მთელი სირთულე, — დასძენს ავტორი, — და კერსს იღებდნენ რუსეთზე, რომელიც

თმცა წელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მოიწვედა კავსიისაკენ. თეიმურაზის ელზონის წარუმატლობას ქართველი პოლიტიკოსების მერყეობა და ორიენტაციის გადასწავლა არ შეეძლო გასწავლა, რადგან ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ თურქეთი და ირანიც საქართველოს მოსპობი მტრს არაფერს მოუტანდნენ, ხოლო ერთმორწინე რუსეთი, ყოყმანის მიუხედავად, დღეს თუ ზღა, სამკვიდრო-სასიცოცხლოდ შევებებოდა თურქეთსა და ირანს, რათა კასპიისა და შავი ზღვის აუზებისაკენ გზა ვაკეთა და ქართველებიც თავიანთ ენერჯის არ იშურებდნენ, რათა ეს ხელსაყრელი ქვეყნის ავტრესორებისათვის დაეარსებინათ და საქართველო გადაერჩინათ“ (ვ. 18).

უფრო მძიმე იყო დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა. ქვეყანა თურქეთის მძიმე უღელქვეშ გმინავდა. ტყეის სუიდეის საშინელი სენის მინვარება, დამამკრებელი ხარკი, ძარცვა და ლეჯა — აი რა მოუტანეს ოსმალო დამპყრობლებმა ქართველ ხალხს.

იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა თავისი ოღაწეობა ტყვეთა სუიდეის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო და სერიოზულ წარმატებასაც მიიღწია. მაგრამ ამის პასუხად თურქებმა იმერეთს რადეალიცხოვანი ლაშქარი შემოუსია. მართალია, სოლომონ მეფემ ხრესილის ბრძოლაში სასიხეკად დაამარცხა მოხალადენი და თურქეთმაც ქვეყნის საბოლოო დამყრობაზეც ხელი აიღო, მაგრამ ეს კიდევ ცოტას ნიშნავდა. ამიტომ რუსეთთან კავშირი, როგორც ამაზე ხაზგასმით მითითებებს წიგნის ავტორი, დასავლეთ საქართველოსათვისაც საარსებო აუცილებლობას წარმოადგენდა. ავი ამ მიზნით გაგზავნა სოლომონ მეფემ 1768 წლის 23 ივნისს სავანგებო ელჩად რუსეთში მაქსიმე ქუთათელი, რომლის პირით იგი იმპერატორს მფარველობას სთხოვდა.

ასეთი იყო საქართველოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში კვლავ დისვა ჯერ კიდევ გადაუტრეღი ძველი ამოცანა — სახელმწიფო საზღვრის შავი ზღვის სანაპიროებამდე გადაწევა და ამ ზღვაზე თავისუფალი ნავსნობის უფლების მოპოვება. ქართველების ომში ჩაბმით რუსეთი მიზნით ისახავდა მტრის საკმაოდ დიდი ძალების დაბანდვას და ამით ძირითად ფრონტზე საქმის შემსუბუქებას. რუსეთის სახელმწიფოსთან ოსმალთა საწინააღმდეგო საომარი კავშირით კი ქართველი მეფეები თავიანთი საგარეო და საშინაო მდგომარეობის განმტკიცებას ვარაუდობდნენ.

1769 წლის 27 მარტს ეკატერინე მეორემ ხელი მოაწერა ბრძანებას სამხედრო კარგევისადმი საქართველოში საქმსპედიციო ჯარის გამოგზავნის შესახებ. საქართველოში გამოგზავნილი ჯარის რიცხვი თავდაპირველად მეტად მცირე იყო — მისი რაოდენობა 411 კაცს აღწევდა. მაგ-

რამ ერეკლე მეორე ომში ჩაბმაზე მხოლოდ ამ პირობით თანმდებოდა, თუ ერეკლე მეორის რიცხვს ხელი ათას კაცამდე გადიდებდნენ, ვერ წმენდა არ ქართლ-კახეთის ომში ჩაბმის დიდ სარგებლობასაში, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა საქმსპედიციო ჯარის ცხრაჯერ და უფრო მეტად გადიდება.

რუსეთის საქმსპედიციო ჯარის საარღობა გენერალი ტოტლებენი, რომელმაც დაკისრებული ამოცანის შესარტლებლად ვერც მისი და ვერც მზადყოფნა გამოიჩინა, პირიქით, ნი თავისი ამკარა ავანტიურისტული საქმიანობით სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოუტანა ორივე მხარეს. ვ. შუპარაძის წიგნში მრავალი საარტიკო მასალის გულდასმით შესწავლის საფუძველზე ვერცხვანდ ამის გამუქებელი ზეწმამდარი გენერლის ამ „მოღაწეობასთან“ დაკავშირებული მრავალი საკითხი. როგორც ცნობილია, 1769 წლის სექტემბერში ტოტლებენი იმერეთში ჩამოვიდა, მაგრამ მისი პირველივე ნაბიჯები წარუმატებლობით აღინიშნა — სამარცხვინოდ გამოიღდა გულდაკერებული გენერალი შოკაძის ცხობა აღებვის ცდისას. ამ მარცხის მიუხედავად მოკრძაოვის მიერ რუსეთში გაგზავნილ პატაკში სურსათის ნაყლებობა დასახელებული, მაგრამ მონოგრაფიისაში დამაჯერებლად დასაბუთებული ამ მიზეზის უსაფუძვლობა. ამ პატაკში სხვა უფრო საგულეისსმო აზრია გამოთქმული, რომელიც უნებლით ამხელს ტოტლებენს — „სოლომონი უკლურია რუსეთის სამმკრატორო ტანტს სარგებლობა და სამსახური უჩვენესო“. სამაგიეროდ მეტი სარგებლობის მოტანა ქართლ-კახეთის სამეფოს შეუძლიაო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ტოტლებენის დაუდევრობა იმერეთში, თუცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გულისხმიერება მას არც აღმოსავლეთ საქართველოში გამოუჩენია.

ქართლში ჩასული ტოტლებენი ყიზლარის კომენდანტისადმი გაგზავნილ წერილში რიხიანად ამბობს, დამხმარე ჯარის მიღებისთანავე ახალციხისაკენ დაიძვრებოიო. საბუთების შესწავლით მონოგრაფიის ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ახალციხეზე ლაშქრობის გეგმა თვითონ ერეკლე მეორეს წამოუყენებია მოურაქოვთან და ტოტლებენთან პირველ შეხვედრისას, ხოლო რუსეთის წარმომადგენლებს ეს გეგმა მიუღიათ. ის კი, რომ ქართლ-კახეთის მეფე მის განხორციელებაზე თავს იკავებდა რუსეთის დამხმარე ჯარის მიღებამდე.

წიგნის ავტორი გადაჭრით უარყოფს ისტორიკოსების შეხედულებებს, რომლებიც მათ აწყურის მარცხის ასახსნელად გამოუთქვამთ და უკარისპირტბს მათ თავის თვალახზისს, რომლის დასაბუთებისათვის მარჯვედ იყენებს არტიკებში დაცულ საბუთებს.

თურქეთის წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლა ასპინძლისთან, 1770 წლის 20 აპრილს მოხდა (აწყურის ციხის აღების წარუმატებელი ცდის შემ-

დებ. ამ ბრძოლაში კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა. ქართველებმა ერეკლე მეფის სარდლობით თავდაცვას შეტევის ტაქტიკა არჩიეს. სწრაფმა და გაბედულმა იერიშმა მტრის წინა რიგები ვატყხა. უწყსრივად უკანდახეული მოწინააღმდეგის ლაშქარი აირ-ღაირია, თურქებმა ბრძოლის ველზე 4000 მოკლული დატოვეს, ხოლო უკან დახეულთა დიდი უმრავლესობა ქართველთა მიერ საგანგებოდ დაზიანებული ხიდიდან აღიდგებულ მტკვარში შთაინთქა. ქართველებს ბრძოლაში სრულიად უმნიშვნელო ზარალი მოუვიდათ.

ასპინძის ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებებს თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ტოტლებენის დღაღატის გამა ერეკლემ ეს გამარჯვება ვერ გამოაყენა.

წიგნის ავტორი ცალკე პარაგრაფში ნათლად უჩვენებს ზოგიერთი მცველკარის მოსაზრების უსაფუძვლობას იმის შესახებ, რომ ტოტლებენის ავანტურას ერეკლეს წინააღმდეგ თითქოს რუსეთის საშუაო კარი ასულდგმულვებდა, რომ თითქოს რუსეთს საქართველოს ანექსია ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამ ბრძის უარსაყოფად საკმარისია ავტორის მიერ მოტანილი მხოლოდ ერთ არგუმენტზე მივითხრო: ერეკლე მეფე დავიანთებ მოთხოვნიდა რუსთა საექსპედიციო ჯარის გადღებვას, რაზედაც რუსეთის მთავრობა დიდი დავიანთების შემდეგ დათანხმდა და მას რომ საქართველოს დაპყრობის მიზანი ჰქონოდა, ჯარის გადღებვაზე აზღვი ამბავი, ცხადია, არ ატყდებოდა!

ვ. მაჭარაძე უფურთხდებოდა არ ტოტლებენს ტოტლებენის მიერ საქართველოში გადღებულ არც ერთ ნაბიჯს, რის შედეგადაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გენერალი ვანზობა აღუქმებდა რუსეთის საქმეებს საქართველოში. როგორც ცნობილია, ტოტლებენი შეიღწილია ომში პრუსიელთა სასარგებლოდ ვაშუშურ საქმიანობას ეწეოდა, რის გამოძღვანების შემდეგ მის სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ შეწყალებულ იქნა. ვ. მაჭარაძის აზრით, ტოტლებენის საქმიანობის შესწავლა გარკვეულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ აქაც ეწვი შევიტყუროთ მის პატიოსნებაში. საამისო საბუნოვად ავტორს ეახანის სასამართლოს ოქმები მიანია. ეს საბუთები მიუთითებენ, რომ ტოტლებენმა 1770 წლის დასაწყისში კავშირი დაამყარა ახალციხის ფაშასთან.

მართალია, ციგნში ვადაკრით არ არის დამტკიცებული ტოტლებენის ჯამეობა, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ ავტორი სრულ სიმართლეს ამბობს, როცა წერს: „მოუხედავად იმისა, იყო თუ არა ტოტლებენი უცხოეთის აგენტა, ერთი რამ სადავოდ არ მოგვანია: ტოტლებენმა ფაქტიურად ჩაშალა საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე 1770 — 1771 წლებში, რითაც რუსეთის მებრ ზიანი მიაყენა, ვიდრე 1761 წელს.“ (გვ. 113).

მონოგრაფიაში კარგად არის ჩაჩვენები რუ-

სეთ-თურქეთის ომის შედეგების დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის. რუსეთისაგან დამარცხებულმა თურქეთმა საბოლოოდ დასაწყობად იიღო ხელი ქართველი ხალხის დამამარცხებელ ხარკზე, მართალია, ხელშეკრულებით დასაყვანი საქართველო კვლავ თურქეთის ვასალად რჩებოდა, მაგრამ ოსმალეთი პირობას დებდა, არ შეეცაოთებინა სარწმუნოება ამ ქვეყანაში. ფრიად მნიშვნელოვანი იყო ამ ომის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოსათვისაც. ომის შედეგად შექმნილმა საერთაშორისო მდგომარეობამ ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო და სამინიო გაძლიერების ნაყოფიერი პირობები შეუქმნა.

წიგნის დამწერისას ავტორს გულდასმით შეუსწავლია უამრავი საარქივო მასალა, რომლებიც დაცულია მსოფვიის და თბილისის არქივებსა და მუზეუმებში. ამის საფუძველზე იგი ახლბუთად ამუქებს მთელ რიგ საკითხებს. მაგალითად, ტოტლებენის წინააღმდეგ ოფიცერთა შეთქმულებას საკითხის შესწავლას მცველკარები ძირითადდ ტოტლებენისა და ლეოვის ცალმხრივ მოხსენებებს ეყრდნობოდენ. რაც შეეხება ოფიცერთა საქმეზე სასამართლოს ვლევის მასალებს, მას დღემდე არაგინ ვასცნობია. ამ საბუთების შესწავლით ვ. მაჭარაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „რუსი ოფიცრები კი არ იყვნენ შეთქმულნი, არამედ თითონ ტოტლებენია შეთქმული ოფიცრების წინააღმდეგ“.

ნაშრომის უმთავრესი საკვლევი საგანი, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, ასპინძის ბრძოლის ისტორია უნდა იყოს. ცხადია, ამ საკითხის ვაშუქება სხვა ისტორიულ მოვლენებთან კავშირის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ასპინძის ბრძოლის ისტორიასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებზე ავტორი რამდენიმე გვერდზე ჩერდება. მთლიანად წიგნი კი ფაქტიურად მიძღვნილია იმ საკითხებისადმი, რომლებზედაც ამ მიმოხილვაში ლაბარაკი.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთი საქართველოს დაპყრობის ამოცანას არ ისახავდა ამ პერიოდში, მაშასადამე, ტოტლებენის ავანტურასთან რუსეთის მთავრობას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, მაგრამ მიუეცრძობებლობა მოითხოვს იქნება, რომ სარდლებისადმი მიცემული ისტრუქციები სათანადოდ ვერ ზღუდებოდა მათ თვითნებობას. მაგ, ეკატერინე მეორის მიერ სუხოტინისადმი მიცემულ დარიგებებში გვხვდება ისეთი ადგილი, რომლის განმარტებულება საქართველოს ინტერესებს უთოოდ შელახავდა „ტოტლებენის დაწყებულ ომს საქმე, ქართველების რუსეთის ვრთებულეებზე ძალით დაფიცება (ხაზი ჩვენია დ. ნ.). — თუ ქართველების ომში მონაწილეობას ხელს შეუწყობს, შევიძლიათ ვაავრძელოთ“.

ვ. მაჭარაძის ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის საგულისხმო შენაძენია.



ჰალიხია მახაპარიანი



## ერთი პატარა რეცეპტის გამო

ქურნალ „Дружба народов“-ის 1957 წლის მეექვსე ნომერში რედაქციის სახელით გამოქვეყნებულია პატარა რეცეპტი მოსკოვი, რუსულად გამოცემულ გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებულზე „Горы и скалы“. (Стихи. Перевод с грузинского. М. 1957).

ამ რეცეპტის ათიოდე სტრიქონში ისეთ საკვირველ განზოგადებებთან და დასკვნებთან გვაქვს საქმე, რომ მთლიანად მახინჯდება ქართული პოეზიის როგორც წარსული, ისე აწმყო ვითარება, ისე გაყალბებულია წარმოდგენილი ქართველთა ეროვნული ხასიათი, რომ შეუძლებელია ორიოდე განმარტება არ მივაწოდოთ პატრეცემულ რედაქციას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ იძულებული ვართ მივიყვანოთ მოგრძო ციტატა ამ რეცეპტიდან. ამ რას წერს არა ერთი ავტორი, არამედ ქურნალის რედაქცია:

„Грузинской поэзии свойственна природная созерцательность... Это не то, чтобы философичность — нет, мягкость, изменчивость настроений, чувственная основа мироощущения, свойственная грузинскому характеру редко грамонизирующие (აქ კორექტირებული შეცდომაა, უნდა იყოს, гармонизирующие — ვ. მ.) с тягой к абстрактным понятиям, силлогическим построениям гума. Грузинской поэзии ближе изысканства краткого стиха, художественная тонкость, отчетливый рисунок формы. В ней лирический элемент преобладает над объективным сюжетом, языческое жизнелюбие над пафосом мысли и воли“. (იხ. დასაბუღებული ქურნალი, გვ. 213).

როგორც ვხედავთ, ქურნალის რედაქციამ ხელის ერთი მისმით მიიტხველებს ამცნო ჩვენი ეროვნული ხასიათი (რადაც საკვირველი სენსუალობა) და ქართული პოეზიის არსიც აზრისა და ნებისყოფის უქონლობა. სამწუხაროდ, ამ ტირადამი გაყალბებულია ჩვენი ხალხის ხასიათიც, ქართული ლექსის ბუნებაც.

სად, რომელ გამოკვლევაში ამოიკითხა რედაქციამ, ან რომელი დაკვირვების შედეგია იმის მტკიცება, რომ ქართული ხასიათისათვის დამახასიათებელია რადაც ამორტული სიბილღე, ვანწყობილებათა ცვალებადობა და, რაც მთავა-

რია, თურმე ხასიათის ეს თვისებები იშვიათად ეხამება განყენებული ცნებებისადმი მიდრეკილებას, აზრის სილოგისტურ წყობას. და მეტიც, თურმე ქართულ ლექსში, რომელიც, რასაკვირველია, ეროვნულ ხასიათს გამოხატავს, წარმართული ცხოვრებისმოყვარეობა უპარობს აზრის და ნებისყოფის პათოსს.

გრიგოლ აბაშიძის ლექსები ასეთი მსჯელობისათვის არავითარ საფუძველს არ იძლევა. ამ მწერლის პოეზია საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მამსადაამე, ეს ნებისმიერი დასკვნებია, რომელნიც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, საყვირველად ელტრენ და გოციებას იწვევენ. მართლაც და, რაოდენი უპასუხისმგებლობაა საჭირო, ჩვენს ხალხს, ჩვენს პოეზიას, რომ დაქწამო, აზრისა და ნებისყოფის პათოსი არა ვაქვთო! საუკუნეების ქარცეცხლში ქართველმა ხალხმა თავისი თავი სწორედ აზრისა და რკინის ფოლადისებური ნებისყოფით გამოიტანა. ქართველი ხალხის ეს ხასიათი ისახა ისეთ პოეზიაში როგორც იყო შოთის, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას და ვინ მოთელის კიდევ რამდენი მთაზროვნე-პოეტის კწინილებებში. რაოდენ განათლებული უნდა იყო ადამიანი, მთელ ხალხს დასწამო, სილოგისტური აზროვნების უნარი გაკლავს, ხალხს, რომლის წიაღიდან გამოვიდნენ კოლხეთის, გელათის, გრემის აკადემიის მოღვაწენი, აივტი, პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, ვიორგი მერნულე, ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრების ავტორები, სულხან-საბა ორბელიანი და მრავალი სხვა განთქმული ქართველი მთაზროვნე.

რომელი სერობული, საქმეში ჩახედული ადამიანი, რომელიც ქართულ პოეზიას იცნობს, გაბუღავს და იტყვის, რომ მის აკლია აზრისა და ნებისყოფის პათოსი, რომ ის გაერბის ისტორიის ქარბუქს და მყუდრო იდილიაში ეძებს თავშესაფარს? რედაქცია ხომ ასე წერს:

„Сила и слабости Г. Абашидзе как-то очень показательны для сегодняшнего состояния грузинской поэзии... Слабости — в некоторой искусственной изысканности чувств и идиличности, дисгармонизирующие с общим пафосом тревожной неуспокоенности века, с тем светлым и сильным ветром истории, каким только и дышит большая поэзия“.

გრიგოლ აბაშიძის პოეზიის შეიძლება ზოგი-



# ახალი წიგნები

## სახელგამი



- აკაკი წერეთელი — ტ. VI, ტექსტი დასაბუქვად მოამზადა ს. ზუციშვილმა, გვ. 618, ფასი 25 მან.  
აკაკი წერეთელი — გამზრდელი, რედ. ილ. ხომტარია, გვ. 18, ფასი 35 კაპ.  
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება  
გ. მ. მაღენკოვის, ლ. მ. კაგანიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.  
გვ. 14, ფასი 15 კაპ.  
ი. სოკოლოვი — რა მნიშვნელობა აქვს მძიმე ინდუსტრიას. მთარგმნელი ვ. ი. სვანიძე, რედ.  
ვ. ჩიგოვანი, გვ. 42, ფასი 45 კაპ.

## საგლიტგამი

- გიორგი ლეონიძე — საგორი. რედ. გ. ჯიბლაძე, გვ. 132, ფასი 5 მან.  
ზენო გორდენიანი — გრიგოლ ტატიშვილი. რედ. შ. მამალაძე, გვ. 118, ფასი 8 მან.  
პროსპერ მერაბე — ტამანგო. თარგმანი ფრანგულიდან კ. ზუნდაძისა, რედ. გ. ქიქოძე, გვ. 31,  
ფასი 1 მან. 40 კაპ.  
შელიან ტუფში — მხიარული ლექსები. თარგმანი რევაზ მარგანიძისა, რედ. ელ. გოგოლაშვილი,  
გვ. 16, ფასი 2 მან. 40 კაპ.  
დ. მაშინ — საბირიაკი — ზღაპრები და მოთხრობები. თარგმანი ეთერ არჯევანიძისა, რედ.  
ვ. ძიძიგური, გვ. 50, ფასი 3 მან. 10 კაპ.

## საქმედგამი

- ვ. ვაშკაძე — ბუზები და მათთან ბრძოლა. მთარგმნელი გ. გ. ცინცაძე, რედ. ს. საყვარელიძე,  
გვ. 122, ფასი 4 მან.  
ა. ბ. დანდუროვი — რა უნდა იცოდეს მღაბრულმა მიწისქვეშა ჩაინიგზის შესახებ. რედ.  
გ. ფიცხელაური, გვ. 18, ფასი 50 კაპ.  
ელ. ვახვიანი — შოვი და უწერა. რედ. ს. ყიფიანი, გვ. 58, ფასი 1 მან. 80 კაპ.  
ტ. ჩ. ვუნჯუა — ატომური ენერჯია და მისი გამოყენება მშეიღობიანი მიზნით. რედ. მ. მირიანა-  
შვილი, გვ. 92, ფასი 2 მან. 40 კაპ.  
ი. ი. ჩიგოვანი — ანტაბიოტიკური პრეპარატები. რედ. ვ. ა. ანდლუაძე, გვ. 24, ფასი 55 კაპ.  
კ. ელიოზიშვილი — გაზაფხულის მწვეფე შეშუბება. რედ. გ. მხეიძე, გვ. 74, ფასი 2 მან.

## საპ. სსრ პოლიტიკური და მემორიული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

- დ. ლორთქიფანიძე — დიდ ჩეხი პედაგოგი — კლასიკოსი იან ამოს კომენსკი. რედ. ს. სიგუა,  
გვ. 48, ფასი 1 მან.  
პ. ზუაბიძე — კანი და მისი დანიშნულება. რედ. კ. მალრაძე, გვ. 22, ფასი 1 მან.  
ა. კუპრეიშვილი — დავის ევროპილოვის სახელობის კოლმეურნეობა იდმელობის გზაზე. რედ.  
ა. ორაგულიძე, გვ. 44, ფასი 1 მან.  
აკაკი გელოვანი — ქენრიკ იბსენი. რედ. დ. ფანჩულიძე, გვ. 46, ფასი 1 მან.  
ალ. ჯიშკარიანი — ბულგარეთი სოციალიზმის გზაზე. რედ. კ. მეშველიანი, გვ. 38, ფასი 1 მან.

## შედეგის გახწობა

ჟურნალ „მნათობის“ № 7-ში გვ. 125-ზე მეორე სვეტის მე-6 სტრიქონი ქვევლად უნდა იკითხებოდეს ასე: „... ემსახურება საერთო საქმეს და ისინი, რომელთაც მხოლოდ ან-  
გარება ამოარაგებთ...“



3360 8 8.

6.00/150



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ